საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

K 13 208 / 4

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

V

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1967

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ им. К. С. КЕКЕЛИДЗЕ

ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

КОЛЛЕКЦИИ (S) — БЫВШЕГО ОБЩЕСТВА РАСПРОСТРАНЕНИЯ ГРАМОТНОСТИ СРЕДИ ГРУЗИНСКОГО НАСЕЛЕНИЯ

ТОМ V

Составили и подготовили к печати:
Т. М. БРЕГАДЗЕ, Т. П. ЕНУКИДЗЕ, Л. А. КИКНАДЗЕ, М. А. ШАНИДЗЕ, Ц. А. ЧАНКИЕВА
Под редакцией Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1967

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია

ტომი V

შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს
თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა
ე. მეტრეველის რედაქციით

სპეც-2000
შემოწმებულია

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1967

902·9 (C 41)
091 (47·922)+069 (47·922):91
ქ 273

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ტომის მასალა აღწერეს:

ლ. კიკნაძემ	№№ 3226—3244	(1301—1310)
ც. ჭანკიევმა	№№ 3251—3430	(1311—1346)
თ. ბრეგაძემ	№№ 3441—3623	(1347—1381)
თ. ენუქიძემ	№№ 3624—3760	(1382—1489)
მ. შანიძემ	№№ 3862—4541	(1490—1550)

7—2—2
94—67 ალგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1301) **3226**

ახალი ქართლის ცხოვრება (ფრაგმენტი). XVIII

16 ფ.; 31×21; ქაღალდი (გაყვითლებული); უყდო; მხედრული; შავი მელანი; შესავალი, სათაურები წითელი მელნით. უხეშადაა რესტავრირებული; ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკიდან. აქვს ჰვირნიშანი; [XVIII ს.].

[ახალი ქართლის ცხოვრება]. „პირველად ვაჴსენოთ ესრეთ. რ~ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჱერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ ყოველთა ერთი იყო მამაჲ, სახელით თარგამოს...“ 3v.

წყდება: „ხ~მას დღესა შინა განვიდა და ნადირობდა მარტო და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა და ივლტოდეს ირემნი ღრიღართა...“ 32v.

შენიშვნები: 1. კ. გრიგოლია ამ ფრაგმენტს ჩუბინაშვილისეულს უწოდებს და მიიჩნევს რუმიანცევისეული ხელნაწერის დასაწყის ნაწილად (იხ. კ. გრიგოლია, „ქართლის ცხოვრების ჩუბინაშვილისეული ნაწყვეტი და მისი ადგილის საკითხისათვის“. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 9, 1944 წ.).

2. ტექსტს წამძღვარებული აქვს შესავალი: „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხორება განრყვნილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ...“ 3r.

3. 1r-ზე განსხვავებული ხელით წერია: „მეფეთა სძალი ერისთვის ქალი ანნა სოფლის ნებად ჰგიეს უ~კე. ეს მეფეთ ცხოვრების წიგნი მისგან ღვაწლდებით ნაშოვნია. ვინც ეს წერილი ნახოთ, შენდობა უბრძანეთ ამისთვის, რათა თქვენცა შენდობა მიიღოთ სოფლისაგან“ (1r). ამ შენიშვნის ბოლოს ზის კუთხოვანი ბეჭედი, რომელზეც წარწერაა. იკითხება ნაწილი: „...შვილი ნიკოლოს“.

4. ტექსტის კიდეებზე მიწერილია გადამწერის შენიშვნები, განმარტებები, ქრონოლოგიური ხასიათის ცნობები. რამდენიმე ადგილას „ქართლის ცხოვრება“ ნასწორები ჩანს სხვა ხელით. მაგ., ტექსტში იყო: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო...“ (13v). გასწორებულია: „სომხური“-ს ადგილას—„მხოლო ქართული“. ასევე: „მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“ (1[illegible]v). გასწორებულია: „მაშინ ქართველთაცა განრყვნეს ენა თვისი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მართალი“. გადახაზულია იმავე პირის მიერ სათაური: „აქა ქართულის ენის გამოჩენა“. 14r-ზე იმავე ხელით უნდა იყოს შენიშვნა მიწერილი კიდეზე: „აიხილა რა ესე ნათ....იმი სასტიკნი ...თანი, რომელ... ბენ წელ უწოდი.., მდინარე რი სასი...მი“ — (კიდე აქვს შემოცვეთილი და ამიტომ მთლიანად არ იკითხება).

5. 2r-v-ზე გვაქვს განსხვავებული ხელით დაწერილი ანბანთქება. შეიცავს 8 სტროფს:

„არსება დაუწყებელი უფალი მყოფი ყოფელობს,
არ გამყოფელობს ღ~თაებით, გვამებით არ შეყოფილობს,
არა არს ნივთიერთაგან, ყოველთაგან გარ გამყოფილობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ ითქმის ბრძენთა ენითა, რიტორნი პირ დაყოფილობს.
ბრძენნი ვინმე სწავლით სრულნი თუ შენს საქმეს ჴელს მიჰყოფენ,
ბევრის ცდითა არ იქნების ჰე, ქებასა სრულ ვერ ჰყოფენ,
ბევრ ღ~თაებად ნუვინ გონებს, სამებასაც ნუ შეგყოფენ,
და ბრალთა ჩემთა გამკითხველო ჯოჯოხეთში ნუ მამყოფენ.
გედავან ოდეს საწმისი სცადა მუნ ცვრითა აივსო,
გამოსწურევდა წყლით სავსეს, იძახდა ნახეთ აივსო.
გამოჩნდა შობა ქრისტესი, კერპთა მონება აივსო,
და გწამდესთ თქვენ მტკიცედ—ურწმუნოთ გულსა ლახვარი აივსო.
დღეთა ძველი იქს ყოველსა ესევითარს სასწაულსა.
დავით გვითხრობს: ქრთამს ნუ ჰყვარობთ; შემოქმედსა ესე სძულსა,
დაუჯერეთ ფიცს, ნუ ზაკავთ, თვარ მიიღებთ საწყაულსა,
და დამხსენ, ქრისტე, შენს უნებელს საქმეს ლიქნით შენათხზვულსა.
ედემით ოდეს განაძე პირველი მამა ადამე,
ესრ უბოროტ ხარ მის გამო, ლახვარი მეცა ადამე,
ერიდე კიდევ ცთუნებას, ჯვარი აქუთ ყოველთა ადამე,
და ერთხელ სისხლითა სყიდულსა, გველო, მზაკვარო ადამე.
ვინ იტყვის თუ სიბრძნის სიგრძით სავსე ვარ და დავარ დავით,
ვით ელია ცეცხლის ეტლით ცად ბღვიდა დავარდა ვით,
ვინ იშოვნის სასუფეველს საშვებელი დავარდავით
და ვშიშოდეთ კეთილს ვყოფდეთ და ავს ნუ ვიქთ დავარდავით.
ზესთა არს ყოველთა არსთასა იგ რიცხვი სახე სამთანი,
ზეცით გარდმოჴდა ვინ ჴორცი იმოსა ჩვილთა ყრმათანი,
ზეტივი მორწმუნეთა და გარდამჴდელი ვალთანი,
და ზეზი შემოსე მადლისა განმძარცვე ძონძი ბრალთანი.
ჰე მეუფეო საქებო, ანგელოზთ გუნდთა დასითა,
ჰე ვინ მიხვდება შენს საქმეს, ვინ ხარ ვით მოხვალ დასითა,
ჰე მალიტთა(!) დამსხმელო, ვინ პირველ რჯული დასითა,
და ჰე ჩემო ქრისტე, ნუ დამსჯი, ბრალს ცოდვას ზნა ტმასითა“ (2г-v).

მინაწერები: 1. „ეს ქართლის ცხოვრება საქართველოს მეფის ძემ თეიმურაზ ვიყიდე სანკტ-პეტერბურგს წელსა 1817, ივნისს 11“ (1г).
2. 3г-ზე იმავე ხელით: „საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა არის. შლიგინ-მეიხნისაგან ნასყიდია სანკტ-პეტერბურგს წელსა 1817, ივნისს 15“.

(1302) **3227ა**

ათას ერთი ღამე. XIX

161 ფ.; 35,5×22; ქაღალდი, გაყვითლებული და დალაქავებული; პირველი ფურცელი ძალიან დაზიანებულია; მხედრული; შავი მელანი; ბოლო ფურცლები მოშორებული აქვს ხელნაწერს; კიდეები დაზიანებულია; აკლია: 53, 54, 63, 64, 66, 67, 70, 71 ფურცლები; მთარგმნელი ლეონიდ ბარათაშვილი (ანდ.); [XIX ს. ბოლო].

„ათას ერთი ღამე. არაბული ზღაპრები. — სპარსეთში ძველად ყოფილან ჴელმწიფეები სასანიდელთ გვარისანი. იმ დროს სპარსეთის აღწერიდამა ჰსჩანს, რომ მაშინ სპარსეთის საჴელმწიფო ყოფილა მეტად ძლიერი და გავრცელებული...“ 1г—161v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტი ნასწორებია; 1r-v ბევრ ადგილასაა გადახაზული და შესწორებანი კიდეზეა დაწერილი.

2. აფანასიევ-ჩუჟბინსკის „ათას ერთი ღამეს“ თარგმანი დაუბეჭდავს 1865 წ. (იხ. С. А. Венгеров, критико-биографический словарь русских писателей и ученых (от начала русской образованности до наших дней) I т. С.-Петербург, 1889 г. გვ. 873).

ანდერძი: „ფრანციცულიდგან რუსულად ნათარგმნი აფანასიევი-ჩუჟბინსკისაგან და რუსულით ქართულს ენაზედ ლეონიდ ბარათაშვილისაგან“ (1r).

მინაწერები: 1. «Дозволено цензурою. г. Тбилиси, сентября I-го дня 1867 года» (161 v).

2. ფანქრითაა მიწერილი: „დავიწყე 10 მარტს 1864 წელსა და გავათავე 23 ივლისს 1867 წელსა“ (161v).

3227ბ

კავკასიის რუკა. 1872

1 ფ.; 150×131,5; ტილოგადაკრული ქაღალდი; შედგენილია 24 ოთხკუთხედისაგან; ბადე და პირობითი ნიშნები სტამბურადაა დაბეჭდილი; მხედრული; წარწერები ხელითაა; მასშტაბი: 20 ვერსი დიუიმზე; გადამწერი მიხეილ ყიფიანი; ვლადიკავკაზი; 1872 წ.

„კავკაზის კარტა სამმართველო განყოფილებით, შედგენილი სოფლის სასწავლებელთათვის 1872 წ.“.

შენიშვნები: 1. რუკაზე გატანილია ჩრდილო და სამხრეთ კავკასია, ერევნის, ელისავეტპოლის, ბაქოს, დაღესტნის ოლქები.

2. რუკის მარცხენა მხარეს, ქვემოთ მოთავსებულია სხვადასხვა ხასიათის ცნობები:

ა. „ტაბლიცა კავკაზის მმართებლობითი განყოფილების და ხალხთა მრიცხველობისა“.

ბ. „მეტეოროლოგიური ტაბლიცა კავკაზის ზოგიერთი ადგილებისა“.

გ. „მანძილი გზადაგზა კავკაზის ქალაქთა შორის“.

დ. „ნიშნების სარჩევი“.

ანდერძი: პირობითი ნიშნების ქვემოთ გადამწერის ანდერძია: „ვოენნო ტოპოგრაფიჩესკის ატდელის შერდგენილი კარტიდგან. მიხეილ ყიფიანი. ვლადიკავკაზი“.

(1303)

3228გ

ქილილა და დამანა (საბასეული რედაქციის) (ფრაგმენტი). XIX

7 ფ.; 33,5×21,5; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; 7r-v დაუწერელია; ჭვირნიშანი: 1824; [XIX ს.].

„კარი პირველი ქილილა და დამანასი. სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან. —

მეც მოვჰყევ სპარსთა ზღაპართა თარგმანებისა მგებართა,
არვინ მიშუჶბს გარეგან მთათა და გინა მე ბართა...“ 1r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „...ამტერდენ მისგან გამოზრდილნი კაცნი და სხჳანიცა და პოვეს ჯალდეგი ვინმე და აღმოუწოდეს ქარსა ჩრდილოსასა, აღაქოთეს ზღჳა იგი ღელვითა და ღადომან გაიტაცა დელფინი ჴმელად და დარჩა მუნ...“ 6v.

შენიშვნები: 1. ფრაგმენტი შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა. „დასაწყისი პირველი წიგნისა ამის შესავალად თქმული ანვარი ბრძნისა სოილისა“ (1r—4v).

ბ. „ანდერძი დიდს ჭირსა შინა მყოფის მეფის ვახტანგისა“ (4r—5v).

გ. საძიებელი. „ქველის საქმითა ამ წიგნისათვის კეთილად და წარმართებით რომ დავვირქმევია მნათობი თათგირი. ათოთხმეტი კარი ამითუჱ რიგით დაიწერა“ (5v—6r).

დ. [ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა]. „ეს წიგნი ქირმანს ისპაანს შეჭირვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშაკა მეფეს ვახტანგს ქართველთასა. სპარსულისაგან ქართულად ათარგმნინა“ (6r-v).

2. 2r, 3v, 5v, 6r-ზე დატოვებულია ცარიელი ადგილები ნახატისათვის.

3. ფრაგმენტი მისდევს 1962 წლის გამოცემას (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II_1 ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, 1962 წ.). მოიცავს ნაბეჭდის 29—42 გვერდებს. გამოცემისაგან განსხვავებით კართა საძიებელი ჩვენს ფრაგმენტში ვახტანგის ანდერძს მოსდევს.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 516).

5. S—3228ა (ნაბეჭდი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ფურცელი) შეუერთდა წიგნს.

6. S—3228ბ, გალექსილი „როსტომიანის“ 2 ფურცელი, შეუერთდა S—428-ს.

მინაწერი: 1r-ს ზემო კიდეზე: „ზ. ჭიჭინაძის ხელთნაწერის წიგნების 231 ნომერი“.

(1303) **3228დ**

შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი (ფრაგმენტი). XIX

1 ფ.; 20×14,5; ქაღალდი; მხედრული, სათაური მთავრულით; მთარგმნელი ანტონ I კათალიკოსი; აქვს ჭვირნიშანი; [XIX].

[შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი]. „...ანტონის მიერ ეპისკოპოსისა წინასიტყუაობა ფისიკისა ამის წინა-მდებარისა. — შემნდობელ-მექმენინ სურჳლნი წერილთ-მოყუარეთა და უფროსღა სიბრძნისმოყუარეთანი...“ 1r-v.

შენიშვნა: 1. ფრაგმენტი წარმოადგენს მთარგმნელის, ანტონ I კათალიკოსის წინასიტყუაობას. მისდევს ხელნაწერ Q—491-ის ტექსტს (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. I, გვ. 451).

2. ფრაგმენტი აღწერილია (იხ. ე. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, გვ. 517).

3. „ფისიკის“ ავტორისა და მთარგმნელის შესახებ იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.) 1960, გვ. 261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1304) **3234**

კრებული. XIX

15 ფ.; 10,5×8,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; ყავისფერი მელანი; სათაური და აბზაცის დასაწყისი ასოები — სინგურით; დაშლილი; ნაკლული; აკლია 7 და 8 ფურცლებს შორის; დაუწერელია 14r-v, 15r; [XIX].

1. „ი ბ ა კ ო ნ ი წ მ ი დ ი ს ა ღ უ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა დ ა უ ჯ დ ო მ ე ლ ი ე წ ო დ ე ბ ი ს. — ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცთელთაგან სამადლობელსა შევწირავთ, ღუთის მშობელო ქალწულო...“ 1r—7v.

წ ყ დ ე ბ ა: „...გიხაროდენ უხილავთა მხეცთა მაოტებელო, გიხაროდენ...“.

2. „დ ა დ ე გ ი თ ჳ ს ა. — თიბათვესა აქვს ოცდაათი, დღეთა აქვს ჟამი თხუთმეტი და ღამეთა — ჟამი ცხრა...“ 8r—13r.

წ ყ დ ე ბ ა: „...ნაკი წელიწადი სამს წელიწადს კი არა, მეოთხესა არს...“.

შენიშვნა: 7 და 8 ფურცლებს შორის აკლია ძველი პაგინაციით 15—180 გვერდები.

მინაწერები: 15v-ზე: 1. „მე დაბადებული ვარ **ჩყლბ**-ს წელსა, ოკდომბრის **კზ**-ს დღესა“.

2. „ტ ი ტ ო არის დაბადებული **ჩყლვ**-ს წელსა, აგვისტოს **კვ**-ს დღესა“.

3. „ი ა გ ო რ ი დაბადებული არის **ჩყლბ**-ს წელსა, მაისის **ი**-ს დღესა“.

4. „ც ა ც ა დაიბადა 1831 წელსა, მაისის **ია** დღესა“.

(1305) **3235**

ლოცვანი. 1819 წ.

69 ფ.; 17,5×10,5; ქაღალდი; მოლურჯო; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით და სინგურით; ტექსტის დიდი ნაწილი (2r—55v) ჩასმულია წითელ ჩარჩოში; დაუწერელია: 38r, 39r-v, 59v, 60r, 67v, 68r, 69r-v; 1819 წ. (37v).

[ლ ო ც ვ ა ნ ი]. „ლოცუანი სამწუხრონი. ლოცუა ა. — უფალო სახიერო. სულგრძელო და მრავალმოწყალეო, ყურად იღე ლოცჳა ჩუჱნი...“ 2r—66v.

შენიშვნა: „ლოცვანის“ შედგენილობა:

1. „ლოცუანი სამწუხრონი“ (2r—6v).

2. „ლოცუანი საცისკრონი ათერთმეტნი“ (6v—13r).

3. „განტევება საუფლოთა დღესასწაულთა“ (13r—14r).

4. „თთუჱთა მეტყუჱლებანი“ (15r—37v).

5. „წესი სამღუდელოჲსა წირვისა. ლოცუა წინადაგებულისა. საღმთო ლიტურღია ოქროპირისა“ (40r—54v).

6. „ლოცუა შემდგომად ზიარებისა“ (56r—59r).

7. ლოცვა „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი...“ (60v—67r).

ანდერძი: „აღიწერა დეკემბრის 21, 1819 წელსა“ (37v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები:

1. „ტრფიალ სახიერი, ოქროჲს ბაგით თხზულნი,
ალჴლარბულ უნდოდ, მიიღენ ძღუნად ალთქმულნი.
რომლის ჭურეტითა განათლებულ ჰყუ̂ნე სულნი,
ამიერ სოფლით საუკუნოდ განსრულნი.
სიყუ̂არულით გთხოვ კურთხევა მაგნე სრულნი“ (55r).
2. „ათანასიმან, უკუდავების სეხნამან,
ნიშნად შენისა სიყუ̂არულისა ვიპყარ
მსახურებითა აქა წერილისამებრ
შენთჳს ჵ ძმაო, სერაფმთა სახეო.
სერაპიონნის მაღალ-ღირსის სურვილით,
სიყრმიდგან ჩემდა მეგობრად შეტკბობილის,
წილ-მხუ̂და მე ესე მის მიერ დანაშთომი
ოქრო სიტყჳსა საღმრთო მსახურებაჲ
აღსავლენელად მისთჳს მეოხებისა“ (55v).
3. „Св. Месхиева“ (1r); მინაწერებია აგრეთვე 68v-ზე.

(1306) **3236**

პოლემიკური კრებული (ფრაგმენტი). **1829 წ.**

9 ფ.; 22,5×18,5; ქაღალდი, გაყვითლებული, დალაქავებული; მხედრული; ყავისფერი მელანი; ნაწერი გაუფერულებულია; მე-6 ფურცელი ძალიანაა დაზიანებული; 9r-v დაწერილია სხვა ხელით; ნაკლული; 1829 წ. 26.2 (8v).

1. [„წინაჲსწარმეტყველება ნერსე დიდისა, სომეხთა ჭეშმარიტისა მის მთავარეპისკოპოსისა]. ... უკანასკნელთა და სიმედგრისათვის კაცთასა, ამისთვის ღმერთმან იგინი ხელთა ბარბაროსთასა მისცნა...“ 1r—4v.

შენიშვნები: 1. ამ ფრაგმენტის სათაური აღდგენილია კ. კეკელიძის მიხედვით (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 460, 465).
2. ფრაგმენტი შეიცავს თავს: „მერმე მიერიდგან ძლევა ბერძენთა“ (3v).

2. „მეფე გლახაკი. — და შემდგომად ამისა ესე მეფე გლახაკი, მჯდომარე კლდესა ზედა, კაცი ყოვლად გონება-მზე...“ 5v.

3. „აღდგომისათვის მკვდართასა, თქმული იოვანე დამასკელისა. — გვრწამს უკვე აღდგომაცა მკვდართა, რამეთუ არს ჭეშმარიტად, ჵე ნამდვილვე არს აღდგომა მკვდართა...“ 5v—6r.

4. „შესხმა და სახელები წმინდისა ღვთის... — მარიამ დედოფალი, დალი, ზმირონი, მაყვა..., კიდობანი, კვერთხი, ტაკუკი, კარავი, მსხვერპლი...“ 6r.

შენიშვნა: ფურცელი დაზიანებულია, მარჯვენა მხარე მთლიანად აქვს გაცვეთილი, ამიტომ ყველაფერი არ იკითხება.

5. [„უწყებაპე]ტროზ მკარწველისათვის და ალაჯასათვის და ალაჯორ მარხვისათვის...—რიარხი კაცი წმინდა, უბიწო და მართალი და რწმენა...“ 6v—7r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. „უწყება სუბალის ძისა და სუბსარქისისათვის — მათვე ჟამთა შინა კაცი ვინმე იყო ნაგმირავი...“ 7r—8v.

7. [აპოკრიფული კითხვა-მიგება] — რაჲ იქმნება, უკეუეთუ კაცი არა პატივს სცემს ღმერთსა...“ 9r—v.

შენიშვნები: 1. შეიცავს თავს „მიუცილებლობა ქრისტიანებრივისა სწავლისა კეთილმსახურებისათჳს“ (9v).

2. კითხვა-მიგება დაწერილია განსხვავებული ხელით.

მინაწერი: ზემო საცავ ფურცელზე ს. გორგაძის ხელით უნდა იყოს დაწერილი: „სომეხთა კათალიკოზის ნ ე რ ს ე ს დიდის (VI საუკ.) წერილის ბოლო ნაწყვეტი — წყევა. სომეხთა და სხვ. ხალხთა წინასწარმეტყველება“.

(1307) **3237**

წესი გამორჩევისა და ჴელდასხმისა მღუდელმთავრობითისა. 1842 წ.

28 ფ.; 23×18,5; ქაღალდი, გაყვითლებული; პირველი ფურცელი დაზიანებულია; მხედრული; დაუწერელია 24, 25, 26, 27, 28 ფურცლები; 1842 წ. 15.I (1r); შემოწირულია ალექსი ჩიქოვანის მიერ.

„წესი გამორჩევისა და ჴელ-დასხმისა მღუდელმთავრობითისა. —ოდეს დაცალიერდეს აღარყოფითა მღუდელმთავრისათა საყდარი სამღუდელთმთავარი, მაშინ უნეტარესი მამათმთავარი საქართველოჲსა ჰყოფს შემოკრებასა უმარჯვესთა ადგილთა მყოფთა მღუდელთმთავრისათა...“ 2r—22v.

შენიშვნები: 1. ტექსტს მისდევს ანდერძი ა ნ ტ ო ნ I-ისა, რომელიც სავსებით მიყვება S ფონდის 2528 ნომრის ქვეშ დაცულ ანალოგიური ხელნაწერის ანდერძს (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. I, გვ. 255).

2. განსხვავებული ხელით, შავი მელნით 1r-ზე წერია: „წესი აღრჩევისა და კურთხევისა მღუდელთმთავრისა“. 2r-ზე, ამავე ხელით გაცხოველებულია გადასული სათაური და ტექსტის დასაწყისი. სათაურის ქვემოთ ფანქრით მიწერილია: „1. წესი გამორჩევისა“.

მინაწერი: 1r-ზე ტექსტის ხელით: „1 8 4 2. 15.I. გადმოწერილი იქმნა ესე მ ც ხ ე თ ი დ გ ა ნ მოტანილის წიგნისაგან, რომელიცა არს სალაროსა შინა სიონის სობორისასა და რომელიც არს დაწერილ ხუცურად. ხოლო ოდეს და ვის მიერ, არა აღნიშნულ არს მას შინა“.

(1308) **3238**

ლეონტი მროველი, ქართლის მოქცევა. XIX

24 ფ.; 21×17; ქაღალდი, გაყვითლებული, დალაქავებული; უყდო; მხედრული; ბოლონაკლული; აკლია 2 და 3 ფურცლებს შორის; შემოწირულია ალექსი ჩიქოვანის მიერ; [XIX ს.].

[ლეონტი მროველი]. „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინა მოციქულისა მიერ. — პირველად უკვე ვახსენოთ ცხოვრება წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინა მოციქულისა...“ 1r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ყ დ ე ბ ა: „აჰა ესერა, მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას ყოვლად ნათ-
ლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლისა ზეწარითა და რქვნა რამე სიტ-
ყვანი. ხოლო იგი დაეცა პირთა ზედა თვისთა და ჰა...“ 24v.

შენიშვნები: 1. ტექსტი შეიცავს შემდეგ თავებს:

ა. „თქმული აბიათარ მღვდლისა, რომელი დაემოწაფა წმინდასა და სანატ-
რელსა ნინას“ (13r—14r).

ბ. „მეორე თქმული მასვე აბიათარ მღვდლისა კვართვისათვის (!) უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესსა“ (14r—21r).

გ. „ეკლესიათა აღშენებისათვის და ამას შინა სასწაულთა მისთათვის, თავი
ზ“ (21r—22v).

დ. „თქმული მისივე აღშენებისათვის ეკლესიათასა“ (23r—24v).

2. გამოცემულ „ქართლის ცხოვრებასთან“ შედარებით (იხ. ქ ა რ თ ლ ი ს
ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით
ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. I, 1955 წ., გვ. 72—130) ჩვენს ტექსტს აკ-
ლია შემდეგი თავები: ა) აღმართებისათჳს პატიოსნისა ჯუარისა (გვ. 119—124),
ბ) „წიგნი, რომელი მოუწერა პატრიაქმან ჰრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნი-
ნ ო ს და მეფესა მ ი რ ი ა ნ ს და ყოველსა ერსა ქართლისასა“ (გვ. 124—130).

(1309) **3239**

რუსულ-ქართული ლექსიკონი. XIX

142 ფ.; 21×17; ქაღალდი, გაყვითლებული, ძალიან დალაქავებული; უყდო;
ძაფებით შეკრული; ქართული ტექსტი — მხედრული; ყავისფერი მელანი; ფურ-
ცლები ჰუჰყიანია; ამოვარდნილია: 15, 48, 69, 70, 71, 72 ფურცლები; თავ-ბო-
ლო ნაკლული; დაუწერელია 114v და 115r; შემომწირველი ალექსი ჩიქოვანი;
[XIX ს.]; (ჭვირნიშანი 1826 წ.).

[რ უ ს უ ლ-ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი].

…„благо კეთილი
благовременный კეთილ-ჟამიერი
благовещение ხარება
благоповедение კეთილქცევა…“ 1r—142v.

წ ყ დ ე ბ ა : …„черева წელები
череда რიგი, ჯერი
черезъ ქამარი
черезъ მიერ…“ 142v.

შენიშვნა: ლექსიკონის ტექნიკური აღწერილობისა და აღნაგობის შესახებ
იხ. მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—
XIX საუკუნეებისა, 1961 წ., გვ. 11, 15.

(1310) **3244**

ტიმოთე გაბაშვილი, თხზულებათა კრებული. 1759—1764

307 ფ.; 20,5×15; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრუ-
ლი; სათაურები და კიდეებზე მიწერილი ავტორისეული განმარტებების ნაწი-
ლი — ნუსხურით; შავი მელანი; შემკულია ილუსტრაციებით: პორტაიტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმშობლისა (ფერადი, 8r), ქართველი მეფეების: ლეონის (110r), მირიანის (114r), ბაგრატ კურაპალატის (115r), ვახტანგ გორგასალის (116r), წმ. სპირიდონის (264v); ქრისტეს ჯვარცმა (172r). ნაბეჭდი სურათი — ქრისტეს დაბადება (135v); დაუწერელია: 253v, 254r-v, 255r, 305v, 306r-v, 307r; ავტოგრაფი; ჭვირნიშანი : 1753; [1759—1764 წწ.].

1. [მიმოსლვა]. „მარადის სასურვოდ და საწადად დავიდევ წინაშე თვალთა გონებისა ჩემისათა უღირსად ცხოვრებულისა ამის თავისა ჩემისათვის ლტოლვა...“ 9r—134v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის შესავალი: „სამარადსაგონებელ ჩემდა იყვნეს, თუ ვითარ არასაზღვეელო იყოს ზენაისთვის მორფვა სიტყვათა და კვალად დაჯსნილობითა...“ (5r—7r).

2. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ ეს ავტოგრაფი დაედო საფუძვლად 1956 წ. გამოცემას. აქ ეს ხელნაწერი C ლიტერითაა აღნიშნული (იხ. ტ. გაბაშვილი „მიმოსლვა“, 1956 წ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა).

3. „მიმოსლვის“ ტექსტში ჩართულია „წიგნი მამისა ჩუენისა მაკარი მეგვიპტელისა მკუდართა აღმდგინებლისა სწავლა“ (68r—77r).

2. „გარდამოცემული ერთობისათჳს და სიყვარულისა წმიდათა ეკლესიათასა სარწმუნოებასა შინაქრისტეანეთასა აღმომდინარისა მის ტკბილ-ნაკადულისა წყაროსა, განწმედილისა გულის ჳმის ყოფათასა წმიდათა წერილთაგან. ვითარცა რომელ მედვა აღმოვსება, გაუწყეთ ელვა მკრთომარე და ჭეშმარიტი მცხინვარებაჲ სარწმუნოებისა ჩუენისა. — თუ ვითარ სიმრუმეთა ჩემთამი ზედან მდებარეთა არაგანმყრელი მსოფლიოთა და ნივთიერთა, ზრუნვათა და ამოებათა მგულავი...“ 136r—263v.

შენიშვნა: გარდა ამ თავისა ნაწარმოები შეიცავს კიდევ 13 თავს. ესენია:

ა. „განვრდომისათვის და დატევებისა საუკუნოდ ებრაელთა, თუ ვითარ განითხენ ჰურიანი უმადლოებათა მათთათვის და უკურნებელად დაუტევნენ“ (161r—165r).

ბ. „წარმართთა წოდებისათვის და ახალად იჱლ~დ სახელდებისათვის მათისა და ერად რჩეულად შემოყვანა და ერთეკლესიაობა მორწმუნეთა ჰურიათა და წარმართთა“ (165r—168v).

გ. „განჴორციელებისათვის უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (168v—171v).

დ. „ხოლო აწ საშინელისა ჯვარცმისათვის უფლისა და მრავალსახეთა მათ სატანჯველთა და შეურაცხებათა და ვეცხლად განსყიდვისა და სიკვდილისა და დაფლვისა მისისათვის ვიტყოდეთ...“ (171v—176v).

ე. „აწ დაფლვისა და ჯოჯოხეთად შთასლვისა და მკვდართა აღდგომისათვის და სახარულევანისა მის მკვდრეთითა აღდგომისათვის ქრისტესისა (176v—177v).

ვ. „აღდგომისათჳს“ (177v—181v).

ზ. „აწ ჰურიათა მოსალოდებელისა მის ანტისათჳს ვიტყოდეთ, რომლისა ძლიერებითა ჴსნასა ჯოჯოხეთისაგან ელიან“ (181v—185v).

თ. „აგარიანთათჳს აწ სადმე სიტყვა საჭიროდ შემოჴდა. ამათთჳს არა აღწერილ არს მდებარედ წმიდათა წერილთა შინა ჩუენთა, თუ ვითარ წინა განეწყოს მათ, არამედ საჴმარად ყოფისათჳს აწ მეტყუელებად აღვსწეროთ რაოდენ ძალგუცდვას...“ (186r—214r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. „აწ ვიტყოდეთ წმიდათა ღმრთისა ეკლესიათათჳს, თუ ვითარ განხეთქილებითა და განწვალებითა მტერად აღდგომილ არიან ურთიერთარს და ნებავსთ სრულიად აღჴოცა და ბრძოლად ბარბაროზებრივად ჴელ-ჰყოფენ ურთიერთარსა მტერობასა“ (214v—218v).

ია. „აწ განწვალ-განხეთქილებისათვის ქრისტეს ეკლესიათასა და წვალების მთავართათვის ვიტყოდეთ“ (218v—235v).

იბ. „კუალად ახალთა რათმე უქმეტყველებათა ვიეთთამე პირუელ რათა(?) შემოხმულითა ძიებათათვის ვიტყოდეთ, ვითარმედ წმიდანი არა ღირს ქმნილ არიან სასუფეველსა, რომელი ჩვენ ბერძენთა ეკლესიისა აღვიარებისაგან სრულიად უცხო არს“ (235v—255v).

იგ. „მცირედნი რაჲმე შემორთმა და განკრძალვა და წინაგანწყობა უღვთოსა ნესტორის წვალებისათვის ვთქუთ სიტყუათაგან წმიდათა მამათასა გამოკრებულნი და კუალად სხუათა საძიებელთათვის და აწ არიოზისათვის საძიებელისა შეპარულთა წვალებათათვისცა ვიტყოდეთ, რაჲთა ორთა ამათ მძვინვარეთა ვეშაპთაგან — განეკრძალნენ ღმრთის მოყვარენი და აღვიდოდიან ერნი საზეპურონი გზათა განკრებილთა ქვათა და ღრიანკალთაგან და შევიდოდიან სერსა საიდუმლოსა ღმრთისასა და ინაჴ იდგმიდენ პურის მტედ ქორწილსა მას სუფევისა დაუსრულებელისა ქრისტეს თანა ლტოლვილნი იჳ~რ ძალთაგან წვალებისათა“ (255v—263v).

3. [„დღესასწაულისათჳს უფროსად კურთხეულისა და დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთის მშობელისა მარიამისა და კუალად მისთჳსვე, თუ ვითა გაბრიელ ზეცისათა მჴედრობათა მთავარი ქალწულსა შობასა ევმანუილისასა უწანდვილებდა და თუ ვითა მოავლინა სიტყვა თჳსი და განგვკურნა ჩვენ და სიძისათჳს და სძლისა მორფვა სიტყვათა ამისდა მომართ სულმოკლედნი ესე სწავლანი ყურად ვიღეთ]. — მაღალსა რაჲსმე და ზენაჲსა ხედვასა შეუიწროებიეს გონებითნი მიდამო გაგონება დღესისა ბრწყინვალებისადმი“ (265r—305r).

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ტიმოთე გაბაშვილის ავტოგრაფია.

2. ტექსტის კიდეებზე მიწერილია ავტორისეული შენიშვნები.

3. ილუსტრაციებს წარწერები აქვს:

ა. „ღვთისმშობელი იესო ქრისტე“ (8v).

ბ. „ღვთისმოყვარე მეფე ლეონ ქართლისა და კახეთისა აოჴრებულის იერუსალიმის დამხსნელი და ახლად აღმაშენებელი ქრისტეს საფლავისა და გოლგოთისა“. იქვე „ქრისტეს საფლავი“ (110r).

გ. „პირველი წმიდა მეფჱ საქართველოსა მირიან ხოსროიანი, აღმაშენებელი სამთავროსა“ (114r).

დ. „მეფე საქართველოსა ბაგრატ კურატპალატი, აღმშენებელი ქუთათისის საყდრისა, ჯვარის მონასტრისა იჱ~ლსლმს, მთაწმიდას ქართველთ მონასტრისა“ (115r).

ე. „დიდი მეფე საქართველოსა და იჱ~ლსალიმისა ვახტანგ ხოსროიანი, აღმაშენებელი მცხეთისა, გურგასლან“ (116r).

ვ. „ეს სამნი საქართველოს მეფენი იერუსალიმს ასე, ამ სახით ეხატნენ და გარდმოვახატვინე, ამათი სახე ქართლად არ...“ (116v).

ზ. ქრისტეს დაბადების ნაბეჭდ სურათს წარწერები აქვს ბერძნულად და რუსულად.

თ. „წმიდის სფირიდონის ნაწილი მთლივ გვამით მდგომარე ქვეყანასა კერკირას ეკლესიასა შინა, რომელი მოღებულ იქმნა კვიპროსით, [ა]მენ(?)“ (264r).

4. 307v-ზე დაწერილია იროიკო ათონისადმი. იროიკოს ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956 წ., გვ. 116).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ბოლო ნაწარმოების სათაური აღდგენილია Q—80 ხელნაწერის მიხედვით (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა Q კოლექციისა, 1957 წ., ტ. I, გვ. 93).

მინაწერები: 1. ლეონ მეფის პორტრეტის მეორე მხარეს ასეთი წარწერაა ტექსტის ხელით: „ქ. საქართველოს ზედა მეფე, ცხებული ქართლისა და კახეთისა, ღირსად მოჴსენებული მეფე ლ ე ო ნ, ახლად განმაახლებელი და აღმაშენებელი საფლავისა ქრისტესისა და გოლგოთისა და მაღლისა კათოლიკე ეკლესიისა იერუსალემისა აოჴრებულისა, თათართაგან მომყიდველი საფასითა თვისითა, რაჟამს წარმოგზავნა ი ო ა კ ი მ ჯ ვ ა რ ი ს მ ა მ ა ქართველი და დაიჴსნა საჴსენებელად საუკუნოდ მისდა და მომავალთა ნათესავთა. რ~არს წარსრული წელი ჟამსა მას აქეთ **ს~კზ** და კვალად აღმაშენებელი მთაწმიდას ფ ი ლ ო თ ე ო ნ ი ს მონასტრისა, მამა მ ე ფ ი ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ი, პაპისა მ ე ფ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა. ესე თეიმურაზ იყო პაპა მეფის ერეკლესი, ცხებულის მეფის თეიმურაზის მამისა. ესე სწერია გოლგოთას პატრიარქის ტახტის ფეჴთით მარმარილოზე. იქ მისრულნი საქართველოსანი დაბრმობილნი ყოფილან, თუ რასათვის, არა აღმოუკითხავს ესე და არ უუწყებია საქართველოსათაგანთა. მიკვირს ფრიად, თუ ვითარ არის ესე“ (110v).

2. 160r-ზე ნუსხურით ასეთი წარწერაა: „ჰურიათ ცხოვრებასა რა აღსწერდეს ი ო ს ი ბ ჰ უ რ ი ა წიგნსა მას ი ო ს ი პ ო დ წოდებულსა, ესრეთ აღსწერს ქრისტესთვის: ხოლო იქმნა ჟამთა ამათ იესუ, კაცი ბრძენი, უკუეთუ კაცად ჯერ-არს თქმა მისი, რამეთუ იყო მოქმედი საქმეთა ჭეშმარიტთა საკჳრველთა მოძღვარი კაცთა გემოვნებით მიმთ~ვლვლთა ჭეშმარიტისათა და მრავალთა უკუჱ ჰურიათა, ხოლო მრავალთა ელლინთაცა არწმუნებდა. ესე იყო ქრისტე და იგი რაჲ განცემითა პირველთა კაცთა ჩვენთათა(!) ჯვარითა დასაჯა პილატე, არა დასცხრეს პირველ შემყვარებელნი მისნი, რამეთუ ეჩუჱნა მათ შემდგომად სამთა დღეთასა კუალად ცხოველი, რამეთუ საღმრთოოთა წინასწარმეტყველთა ესენი და სხუანი ბევრეულნი საკჳრველნი ეთქვნეს მისთჳს, ვინაცა აწ მის გამო სახელდებულთა ქრისტეანეთა არა მოკლებულ არს ნათესავი“.

აქვე მხედრულით წარწერებია: „ვის რა უკვირდეს სიტყვანი ესე, რამეთუ მტერთა და წინააღდგომთაგან არს ი ო ს ი პ ი ჰურია იყო“. „ეს წერილი თერთმეტი ფურცელი გარდმოაბრუნე და იქ ჯვარი ზის, იქ დასწერე“ (172r-ზე ჯვარცმული ქრისტეს ნახატია და ზემოთმოტანილი წარწერა იქ უნდა იყოს).

3. „ნ ი კ ა ლ ა ი ზ ა ნ დ ა რ ო ვ ი ს ა არის ეს წიგნი მღვდლისა“ (2r).

4. „ტიმოთე მთავარეპისკოპოზის მოგზაურობა წმინდა ადგილებში. ეს აღწერილი წიგნი მონაზონ ტიმოთე იერუსალიმისა. მოუვლია მთელი ქვეყანა და აღუწერია. თავის ხელით არის ეს წიგნი დაწერილი. სხვადასხვა მონასტრები. მღუდელი ნ ი კ ო ლ ო ზ ზ ა ნ დ ა რ ო ვ ი“ (3r. ფანქრითაა ნაწერი).

5. „Священник Дигомской Мариникской Церкви Н и к о л а й З а н д а р о в. 1862-го года, апреля 3-го“ (4v. ფანქრითაა ნაწერი).

6. 160v-ზე ფანქრით: „ბევრი ქარაგმა არის, სიფთხილით უნდა წაიკითხო“.

(1311) **3251**

თამაზ ქობულოვი, ლექსი. XIX

1 ფ.; 22×25; ქაღალდი; მხედრული; [XIX].

[ლ ე ქ ს ი] „თ ა მ ა ზ ქ ო ბ უ ლ ო ვ ი ს თ ქ მ უ ლ ი. —
ჵე სოფელო, რა გითხრა, ყოვლითურთ შემკობილო,
კეთილ კაცთა მოყვარო და ცრუებთა ძმობილო,
ვინ ვსთქვა არ შეაწუხე, სიცრუეზედ მყნობილო...“ 1r-v.

შენიშვნები: 1. ლექსი ხუთ სტროფიანია. რეფრენი „ჵე სოფელო...“ მეორდება მე-2 და მე-5 სტროფების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გახვეულია ქაღალდში, რომელსაც გადამწერის ხელით აწერია: „ლექსი თამაზ ქობულოვის მიერ“.

3. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. „Описание рукописей...“ ტ. II, 1906—1912, გვ. 468—469).

(1312) **3252**

კრებული. 1887

6 ფ.; 25,5×21; ქაღალდი; უყდო; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; 1887 წ. (1r); ადგილი: საჩხერე (1r); დაზიანებულია მე-6 ფ.; დაუწერელია: 1v, 3v და 6v. ჭვირნიშანი: 1826 წ.

1. „ღირს-საჴსოვარნი სიტყუანი. — ოთხნი ნივთნი არიან უკმო უქცეველნი ანუ დაუბრუნებელნი: სიყმარწვილე, დროა, ნათქუამი სიტყუა და ქალწულება...“ 2r-v.

2. „რომელნიმე შესწავებანი დედაკაცთათჳს და ქორწინებისათჳს. — დედაკაცთა სილამაზეს შეადგენენ: ახალ-მოჰასაკობაჲ, საშუალ-ტანადობა, კანონიერი დაწყობილება ყოველთა ნაწილთა სხეულისათა...“ 2v-3r.

3. „აღწერა თჳსებათა უჩინებულესთა ერთა ევროპიისათა. — ნემეცნი, ფრანციცნი, იტალიანელნი, ღიშპანნი, ინგლისნი...“ 4r-v.

შენიშვნა: ამ ერთა დახასიათება მოცემულია ცხრილში, რომელსაც 13 დანაყოფი აქვს: ქცევასა შინა, ტანადობასა შინა, სამოსელსა შინა, საზრდელსა შინა, ზნესა შინა, სახესა შინა, რჩევასა შინა, წერასა შინა, სჯულსა შინა, წინამიმღებლობასა შინა, სამსახურის ჩვენებასა შინა, ქორწინებასა შინა, დედაკაცნი. ცხრილის შემდეგ დამატებით მოცემულია ჰოლანდიელთა და ევროპის მთავარ ერთა დახასიათება.

4. „უბნობა შორის მწიგნობრისა და ყმაწჳლისა. — ყრმა ერთი დასეირნობდა პირსა ზედა მდინარისასა და შემოეყარა მას მწიგნობარი ფრიად ჩაფიქრებული...“ 4v—5v.

5. „შოტლანდიის ლიტონი სალდათი. — ღლასვოვსა შინა სალდათი, სახელად ჩარდ მედილტონ, დღესა კჳრიაკესა მივიდა ეკკლესიასა და მიიტანა თან ნაცულად ლოცუანისა ერთი ჭელი სათამაშო ქაღალდი...“ 6r.

შენიშვნები: 1. 1r, 2r და 4r-ზე დასმულია ბეჭდები: „Симон Глахов Годабрелидзе“.

2. თავფურცელზე წერია: „სხვადასხვა ანბები ფრიად მოსაწონნი, კუთნილი სიმონ გლახუას ძის გოდაბრელიძისა, 1887 წელსა, ფებერ 1 დღესა. დ. საჩხერე“.

3. ამავე ტექსტს შეიცავს ხელნაწერი H-1098. ქრისტინე შარაშიძის აზრით: „ხელნაწერში მოთავსებული მთელი მასალა რუსულიდან ნათარგმნი ჩანს“ (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. III, 1948, გვ. 82).

მინაწერი: „მომიხსენენ მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (1r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1313) **3269**

კრებული. XVIII

348 ფ.; 31,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული, ტვიფრული ხის ყდა; ხელნაწერი ახალი რესტავრირებულია; ყდის შიდა მხარეს დაკრული ჰქონდა ნუსხურით ნაბეჭდი ფურცლები, რესტავრაციის შემდეგ ეს ორი ფურცელი ხელნაწერს ბოლოში დაერთო; ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; დაწერილია სხვადასხვა ხელით; ნაკლული; [XVIII]; ათანასი ზურაბოვის კუთვნილი (297v); 308 და 309 ფურცლები ძველი რესტავრირებულია; 288 ფ. ჩამოჭრილია; დაუწერელია: 23v, 207v, 218v, 221r-v, 282r-v, 288v—289r, 293v—295r, 296r—297r, 298r, 299r, 300r, 301r—302r, 303r, 304r, 305r, 306r, 307r, 308r, 340r. აქვს ჭვირნიშნები: სამი მთვარე, გვირგვინი მთვარით, ყურძნის მტევანი გვირგვინით და მშვილდისარი.

1. ა. „შესავალი [წიგნისაჲ] წმიდათა და ნე[ტართა] მამათა ჩუენთა [ცხორებათათჳს] და მო[ქალა]ქობათა. მამაო, [გუაკურთხენ]. — რომელი იგი არს პ[ირვე]ლითგან ღმრთისა თანა ღმერთი სიტყვა...“ 1r—8r.

ბ. „სწავლანი შუჱნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათასა, თავი ბ. გუაკურთხენ მამაო, უფალო იესუ ქრისტე, შეგჳწყალენ ჩუენ. — ჰკითხა ვინმე მამასა ანტონის და ჰრქუა: რაჲ დავიმარხო, მამაო, და ღმერთსა სათნო ვეყო?...“ 8r—23r.

წყდება: „...ჟა. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ კუნკული სახე არს უმანკოებისაჲ, სქემა...“.

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია A—1105 ხელნაწერის მიხედვით.

2. თარგმნილია ბერძნულიდან თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 226).

2. „სიტყჳს-გებაჲ ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილებაჲ, თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით მრ[ა]ვალმთისაჲთ მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისასა. ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი. — მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზთათჳს და არა ალებად პირისა, რამეთუ ულირსებაჲ სულისა და შიში შეუკადრებელთა შეკადრებად მიზეზ მექმნა დუმილისა...“ 24r—168v.

შენიშვნები: 1. ტექსტს დართული აქვს „ზანდუკი წიგნისა ამის“ 168v—169v. 169v-ზე დაწყებულია გადამწერის ანდერძი. შემდეგ ხელნაწერს აკლია. ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს ფილიპეს მიერ: 35-ე და 36-ე თავების ბოლოს (161v, 162v) გადამწერის ხელით მიწერილია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ფილიპე“.

2. ტექსტი წარმოადგენს „გრდემლის“ ვრცელ რედაქციას.

3. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“ შესახებ იხ. მ. ქავთარიას „ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 73—112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. [გრიგოლ ხუცესმონაზონი] „თუესა სეკდენბერსა იგ. წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთავანისა, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაბააზ(!) უსჯულოსა მიერ ქალაქსა შირაზისასა. — საქმისა რაჲსმე კეთილისა დამწყებელსა გონებაჲცა კეთილი უჴმს და ფრიადითა სიბრძნითა აღსავსე...“ 171r—177v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოკვლევითურთ გამოცემულია ტ. რუხაძის მიერ: ახლად აღმოჩენილი ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, გვ. 229—267. გამოცემაში S—3269 ხელნაწერი აღნიშნულია A ლიტერით.

2. ტექსტს უძღვის ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი საგალობელი (170r-v). 170v-ზე კიდეზე გადამწერის ხელით მიწერილია: „თქმული გრიგოლისი“. საგალობელში ჩართულია მოკლე სვინაქსარული ცნობა ქეთევან დედოფლის შესახებ.

3. „ქეთევანის წამების“ ტექსტს 177v-ზე მოსდევს „სვეტიცხოვლის საკითხავის“ დასაწყისი, რომელიც შემდგომ გადაუხაზავთ.

4. „თუესა მაისსა ზ. გამოჩინებაჲ ჯუარისაჲ და წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისაჲ. უფალო ღ~ღყჲ, დ. მ~ჳნნი.—ვღაღადებდეთ და ვგალობდეთ ჴმითა ტკბილითა ყოველნი...“ 178r.

წყდება: „...ღმრთის მხილველსა მოსეს მიემსგავსე შენ და მის მიერვე ღმერთმან გა...“.

5. [ნიკოლოზ გულაბერისძე] „თუესა ოკდონბერსა ა. საკითხავი სუჱტისა ცხოველისა კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ. მამაო გუაკურთხენ. — საჭირო უკუჱ ვიდრემე იქმნა ჩუენდა, ჵ, ღმრთის მოყუარენო, პირველ გარდასრულთა ამათ მრავალრიცხუჱდთა წელთა დუმილით თანა წარჴდასა, აწღა სადმე მოჴსენებად და განფრთხობად...“ 184r—207r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის სვეტიცხოვლის საგალობელი (179r—184r).

2. გამოცემულია ორჯერ: პირველად მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 69—118). მეორედ ვ. კარბელაშვილის მიერ (საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა, 1908, გვ. 36—127).

6. „თუესა ოკდონბერსა ბ. წამებაჲ და ღუაწლი წმიდათა დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა. გუაკურთხენ, მამაო.—მეფობასა ბერძენთა ზედა ღმრთის-მსახურისა ჰერაკლისასა, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა მისსა კუჱრთხითა მეფობისა თჳსისათა, განილაშქრა სპარსთა მეფემან ხუასრო ქალაქსა მას ზედა ღმრთივ დაცულსა წმიდასა იერუსალემსა...“ 208r—213v.

შენიშვნა: გამოცემულია მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 323—330). ჩვენი ტექსტი მცირე განსხვავებით მიჰყვება გამოცემულ ტექსტს.

7. „თუესა იანვარსა ზ. წმიდისა მოწამისა აბოსი, რომელი იწამა ქართლს შინა ქალაქსა ტფილისს ჴელითა სარკინოზთათა. გუაკურთხენ, მამაო. თქმული იოანე საბანისძისა, ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისათა. — რომელნი ხართ ქრისტჱს მოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი სმენაჲ წმიდისა მოწამისა და ქრისტჱს მოღუაწისა, რომლითა სიმჴნითა და დიდებითა გჳრგჳნოსან იქმნა ქრისტჱს მიმართ...“ 215r—218r.

შენიშვნები: 1. ტექსტი „აბოს მარტვილობის“ მხოლოდ მესამე თავს, აბოს წამებას შეიცავს.
2. ტექსტს უძღვის აბოსადმი მიძღვნილი საგალობელი (214r—215r).

8. „თუესა მარტსა კ. წმიდათა დიდებულთა მოწამეთა ორთა დიდთა მეფეთა ქართველთასა არჩილ და ლუარსაბისა, უფალო ღ~ღყჲ, ჴმაჲ ბ. — მამისაგან შო. — გიხაროდენ მოწამეთა შორის ახოვანო მჴედარო უფლისაო, რომელმან ბრძანებაჲ უსჯულოჲსა არად შერაცხე...“ 219r—220v.

წყდება: „...ტაძარ სამეუფო გყო შენგან შობილმან ღმერთმან წმიდათა...“.

9. [ევსტათი მცხეთელისადმი მიძღვნილი საგალობელი]. — „...მახჳლისა წყლულებითა წარგეკუეთა თავი საღმრთოჲ შენი, ახოვანო ქრისტჱს მოწამეო, დიდებულო, მჴნეო ევსტათი...“ 222r—223v.

10. [იესე ქსნის ერისთავი], „თუესა სეკდენბერსა ით. წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველთა: ელისბარ ქსნის ერისთავისა და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა დიდებულისა მოწამისა ბიძინა კახისა. მწ~ხრი, უფალო ღლ~ყჲ, პირველად ჯუარი და მერმე ბიძინასი, შალავასი(!) და ელისბარისი, შემდგომად ევმენი გორტინელ ეპისკოპოსისა. ჴმაჲ დ, მჴ~ნნი. — ვაქებდეთ დღეს ჩუენ ყოველნი ერნი ქართველთანი ქრისტესა...“ 224r—227v.

შენიშვნები: 1. ამ საგალობლის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 568.
2. საგალობელში ჩართულია: „გალობანი შუალამისანი, იამბიკონი, რომლისა თავნი იტყჳან: ქრისტეს მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე“.

11. [ბესარიონ ორბელიშვილი], „თუესა მარტსა კ. შესხმა და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, მეფისა მის ქართველთასა, რომელი იყო ნათესავი და ტომი ხუასროვანთა სპარსთა მეფისა და იწამა ქართლს შინა ჭიჭუმ მძლავრისა მიერ, რომელსა ეწოდა ასიმ. — ბრწყინვალე არს და დიდებულ ჴსენებაჲ ყოველთა მოწამეთა...“ 228r — 235r.

შენიშვნები: 1. „არჩილ მეფის მარტვილობის“ შესახებ (იხ. მ. ქავთარიას დასახ. წერილი, გვ. 88).
2. შემოკლებული ტექსტი A—170 და S—3269 ხელნაწერების მიხედვით გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის მიერ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 247—252).

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. [ბესარიონ ორბელიშვილი], „თუესა მარტსა ა. ღუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ღუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბაზ უსჯულოჲსა მიერ სპარსთა მეფისა. — ღმრთის მოყუარეთათჳს ქსენებაჲ წმიდათა სიხარულ არს...“ 235v—243v.

შენიშვნა: ტექსტი S—3269 ხელნაწერის მიხედვით გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის მიერ (ქრესტომათია, I, გვ. 407—416).

13. [ბესარიონ ორბელიშვილი], „შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა: ბიძინასი, შალვასი დაელისბარი(!) დაუწყებაჲ წამებისა მათისა. გუაკურთხენ, მეუფეო. — მოწამეთა სიმრავლემან გარე მომიცვეს ჩუენ მრავლითა რაჲთმე ბრწყინვალებითა და გარდამატებულითა ჰაეროვნებითა...“ 243v—252v.

შენიშვნები: 1. სათაურის წინ მხედრულით ჩაწერილია: „თქმული ქართლისა კათალიკოზისა ბესარიონის მიერ“ (243v).

2. გამოცემულია მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 599—609).

14. [ბესარიონ ორბელიშვილი]. „თუესა აგჳსტოსა იჱ დაძინებაჲ წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკანელ ეპისკოპოსისა საკჳრველთ-მოქმედისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინარით მოიწინეს. მამაო, გუაკურთხენ. — ბრძენთა მაქებელნიცა ბრძენნი უჴმს და წმიდათა შემასხმელი წმიდაჲ ჯერ არსო, იტყჳს ვინმე ბრძენთაგანნი...“ 253r—261v.

შენიშვნები: 1. ბოლოში ტექსტი გაგრძელებულია მხედრულით: „სადიდებელად წმინდისა სამებისა და ერთარსებისა, რომელსა შვენის უკუნითი უკუნისამდე დიდება“ (261v).

2. „ისე წილკნელის დაძინების“ შესახებ იხ. მ. ქავთარიას ლასხ. წერილი, გვ. 89—90.

15. „თუესა აგჳსტოსა იჱ. წმიდისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელისა ათორმეტთაგანისა. ოქმი, ჴსნილი თევზითა და ღჳნითა. მწ~ხრი, უფალო ღ~ყჲ, უქცევთ რვათა მუჴლთა ზედა. პირველად ოთხი დღესასწაულისა, მერმე ესისესი(!). პირველი მუჴლი ბ გზის, ჴმაჲ ა. თჳთი. — მხიარულითა გულითა მივრბიოდეთ, მორწმუნენო, ტაძარსა მას დედისა ღმრთისასა, ვიხილოთ და მოვიღოთ მადლი იგი წმიდისა ისე მამათმთავრისა...“ 262v—264v.

შენიშვნები: 1. 262v-ზე ფერებით შესრულებულია ისე წილკნელის სურათი, თავზე ასომთავრულით აწერია: „წმიდაჲ ისე წილკნელი“, გვერდით გამოსახულია მონასტერი.

2. საგალობელს მოსდევს: „თუესა აგჳსტოსა იჱ, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელისა, რომელი იგი იყო ერთი ათორმეტთაგანი ნეტართა მათ მამათა, რომლისა სახელი ფრიად განთქმულ იყო უბიწოებითა და სათნოებისა სრულებისასა მიწევნილი...“ შემდეგ ხელნაწერს აკლია.

16. „თუესა აგჳსტოსა გ. წმიდისა მოწამისა რაჟდენისა [. . .]. მწუხრი, უფალო ღ˜ღყ [. . .]: — ქრისტჱს მორწმუნენო. მოდით დღესასწაულსა ამას ღუაწლისა მძლისა რაჟდენისა...“ 266r-v.

წყდება: „...ხოლო შენ, სანატრელო, შევედრე სული შენი ქრისტესა მეუფესა...“

17. [ბესარიონ ორბელიშვილი], „თუესა აგჳსტოსა გ. წამებაჲ და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს. მამაო, გუაკურთხენ. — მოწამეთა ჴსენებითა, ვითარმცა იქმნა განძღომაჲ ღმრთის-მოყუარეთაგან და მარტჳლთ მოყუარეთა, რამეთუ მოწამენიცა განუძღომელითა სიყუარულითა მეუფისა მათისათა მოტყინარე იყვნეს უმძაფრეს ცეცხლისა...“ 267r—275v.

შენიშვნები: 1. „რაჟდენის მარტვილობის“ შესახებ იხ. მ. ქავთარიას დასახ. წერილი, გვ. 88—89.

2. გამოცემულია მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, 1882 წ., გვ. 169—180). ჩვენი ტექსტი რედაქციულად მისდევს საბინინისეულ გამოცემას.

18. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ახლისა. გუაკურთხენ, მამაო. — შემოსვლამან ამან ჟამთამან ჩუენ ზედა კეთილი ნაცვალი პირველთა მათ შემოიღო და აწ ჩუენ მიერ შესხმადი ესე აღმოგჳცენა საღმრთო ილარიონ...“ 277v—281v.

წყდება: „...იყვენით, ძმანო, და შეუძრწუნებელ და კაცად-კაცადი თქუენი შეუდეგინ საქმესა თჳსსა განწესებულსა, რამეთუ...“

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის საგალობელი: „თუესა ნოენბერსა ით. წმიდისა წინაწარმეტყუელისა აბდიასი და წმიდისა ღმერთ-შემოსილისა ილარიონ ქართველისა“ 267r—277v.

2. 277v-ზე, „ილარიონის ცხოვრების“ წინ, ფერებით შესრულებულია სურათი, რომელიც ილარიონს უნდა გამოხატავდეს.

3. ტექსტი მიჰყვება „ილარიონის ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციას, რომელიც გამოცემულია მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, გვ. 371—392).

19. [მაკრინე], „თუესა სეკდენბერსა იე. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ ამბა ალავერდელისა. — ესე წმიდაჲ და ნეტარი მამაჲ ჩუენი იყო მოწაფე ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა იოანე ზედაძნელისა...“ 286r—287r.

შენიშვნები: 1. ტექსტი ჩართულია იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილ საგალობელში (283v—288r).

2. საგალობლისა და „იოსებ ალავერდელის ცხოვრების“ მოკლე სვინაქსარული რედაქციის ავტორია მაკრინე (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 247—251).

3. საგალობელი გამოცემულია ლ. ასათიანის მიერ (ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 46—70). „იოსებ ალავერდელის ცხოვრება“ გამოცემულია მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, გვ. 217—218).

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. „თუესა დეკენბერსა ბ. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა მიამოსა(!) ეპისკოპოსისა. ოქმი, ღჳნო და ზეთი, ორგზის. ჭმაჲ. გ~ი, ყ~ლი ს~სზჲ. — მოიწია ჴსენებაჲ შენი, ბრძენო მამაო, და მოგჳწოდს გალობად საკჳრველებათა შენთა...“ 290r—293r.

შენიშვნები: 1. 289v-ზე ფერებით შესრულებულია პეტრე ქართველის სურათი. სურათზე ასომთავრულით წარწერილია: „წმიდაჲ პეტრე ქართველი“. ქვევით სინგურით მიწერილია: „თუესა დეკენბერსა ბ. წმიდისა მამისა ჩუენისა პეტრე მიამოსა(!) ქალაქისა ეპისკოპოსისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“. პეტრე ქართველის სურათი არის აგრეთვე 290r-ზე. სურათი დაზიანებულია, საღებავი ალაგ-ალაგ აცვენილია. სურათზე სინგურით წარწერილია: „თუესა [დეკენბე]რსა ბ. წმიდისა და ნეტარისა მამისა [ჩუენისა] პეტრე ქართველისა [მიამო]სა [ეპი]სკ[ოპოსი-ს]ა...“

2. ხელნაწერში მომდევნო ფურცლებზე ფერებით შესრულებულია წმინდანთა სურათები:

ა. გობრონ ქართველისა (295v). სურათზე ასომთავრულით წარწერაა: „წმიდაჲ გობრონ ქართველი“, გვერდით ნუსხურით წერია: „თუესა ნოენბერსა იზ, წმიდისა დიდებულისა მოწამისა გობრონისი“, მერმე გაშვებულია ადგილი ტექსტისათვის.

ბ. თათე მამებელისა (297v). სურათის ქვევით დაწყებულია საგალობელი.

გ. კონსტანტინე ქართველისა (298v). სურათზე ასომთავრულით წარწერილია: „წმიდაჲ კონსტა[ნ]ტინე ქართველი“. გვერდით ნუსხურით წერია: „თუესა ნოენბერსა ბ. წმიდისა მოწამისა კოსტანტინე ქართველისა“. ქვევით გაშვებულია ადგილი ტექსტისათვის.

დ. ტჳროს ბრეთელისა (299v).

ე. სტეფანე ხირსელისა (300v).

ვ. გრიგოლ ხანძთელისა (302v). სურათი დაბეჭდილია ნ. მარის მიერ. იხ. Житие св. Григория Хандзтийского. С.-Петербург, 1911, გვ. LXXI.

ზ. არსენ იყალთოელისა (303v).

ჱ. ისიდორე სამთავნელისა (304v).

თ. მიქაელ ულუმბოელისა (305v). სურათის ქვევით დაწყებულია საგალობელი.

ი. დოდო ქართველისა (306v).

ია. დავით გარეჯელისა (307v).

21. „ცხორებაჲ და საკჳრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოსნი, რომელი იყო ანტიოქიათ შუამდინარისათ ასურეთისა. ხოლო მოიწია ქუეყანად ქართლისა და დაემკჳდრა სარკინისა მღვიმეს, რომელი ესე აღწერა ღირსმან მარტჳრი, რომელსა ეწოდა პირველად იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კოსტანტინოპოლით. გუაკურთხენ, მამაო. — ჴსენებითა წმიდათათა, ოდესმცა სადა იქმნა განძლომა ცნობის მქონებელთაგან, არა თუ ვინმე სრულიად წარტყუჱნულ იყოს გონებითა ეშმაკისა მიერ...“ 309r—339v.

შენიშვნები: 1. 308v-ზე ფერებით შესრულებულია შიო მღვიმელის სურათი.

2. ტექსტი გამოცემულია ი. აბულაძის მიერ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955, გვ. 69—143). ტექსტი მისდევს „შიოს ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. „ცხორებაჲ ანტონი მარტომყოფელისაჲ. მ-მ. — ესე მამაჲ ანტონი შუამდინარელი, რომელი იყო მოწაფე იოვანესი, იყო წმიდაჲ ესე განშორებულთა შორის სათნო და წარჩინებული...“ 341r-v.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის საგალობელი ანტონ მარტომყოფელისადმი (340r). შდრ. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 296.

2. 340r-ზე ანტონ მარტომყოფელის სურათია, ფერებით შესრულებული; სურათზე ასომთავრულით აწერია: „წმიდაჲ ანტონი მარტომყოფელი“.

3. ტექსტი მისდევს საბინინის გამოცემულ „ანტონ მარტომყოფელის ცხოვრების“ სვინაქსარულ რედაქციას (შდრ. საქართველოს სამოთხე, გვ. 293—295).

4. S—3269 ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს რამდენიმე ფურცელი (342r—348v), დაწერილი სხვა ქაღალდზე, გვიანდელი ხელით, ნუსხურით. ამ ფურცლებზე მოთავსებულია საგალობლები:

ა. ევსტათი მცხეთელისა, დასასრული (342r).

ბ. ანტონი მარტომყოფელისა (342r—344v).

გ. ილარიონ ქართველისა (345r—347r).

დ. პეტრე ქართველისა (347r—348v).

5. ხელნაწერი დაწერილია სხვადასხვა ხელით: 1r—23r გადაწერილი უნდა იყოს იობის ხელით (იხ. მ. ქავთარია, დასახ. წერილი, გვ. 87); 228r—261v და 267r—275v—ბესარიონ ორბელიშვილის ხელით (იხ. იქვე); 24r—169v—ფილიპეს ხელით (161v, 162v). კრებულში შესულია აგრეთვე სხვა ხელით შესრულებული ფურცლები: ერთი ხელითაა ნაწერი: 170r—177v, 179r—227v, 262v—266v, 276r—277v, 278r, 278v—341v. ხელნაწერს დართული აქვს გვიანდელი ნუსხურით ნაწერი ფურცლები: 342r—348v.

6. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელნაწერი ორი დამოუკიდებელი ხელნაწერისაგან შედგება, რომელიც შემდგომ ერთ წიგნად აუკინძავთ (იხ. 169v—170r).

7. ხელნაწერის დათარიღებისათვის იხ. ა. კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 250. ბ. ტ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, ლიტერატურული ძიებანი, V, გვ. 246. გ. მ. ქავთარია, დასახ. წერილი, გვ. 81.

მინაწერები: 1. (მხედრულით) „წიგნი ესე კუთვნილ არს მღვდელ-მონაზონის ათანასი ზურაბოვისა. ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ამ წმიდათ მამათა მადლი. ჩყჟგ წ. 1893“ (297v).

2. მინაწერებია აგრეთვე 171r-ზე და 241v-ზე.

(1314) **3270**

კრებული. XVIII

67 ფ.; 36,5×22; 35×21,5; ქაღალდი, სხვადასხვა; მუყაოს ყდა; მხედრული, სამი სხვადასხვა ხელი; ნაწილი (5r—55r) გადაწერილია გაიოზ არქიმანდრიტის ხელით (შდრ. S—29); ნაკლული; დაუწერელია 61r—v, 67v; ფ. 50 ძველი რესტავრირებულია; [XVIII], ჭვირნიშნები: 1787 წ. (ფ. 27, 28); 1793 წ. (ფ. 45); ჭვირნიშანია აგრეთვე ფ. 58.

1. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა არსენისა, მცხეთელ კათალიკოსისა, რომელი იყო სანახებთაგან სამცხისათა საფარით. განყოფისათჳს ქართლისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხითისა. — კაცნო ღმრთის-მოყვარენო, რომელნი იშვჱბით ებანისაგან ცხოველისა შვილად წმიდისა და დიდებულისა კათოლიკე ეკკლესიისა სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა...“ 1r—65v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ცუდადაა აკინძული: ტექსტი 4v-დან გრძელდება 62r-ზე; 4v-ს ქვედა კიდეზე მ. საბინინის ხელით მიწერილია: „ამის დაბოლოება გადატანილ შეცდომით იქმნა ბოლოს ამ წიგნისა — მ. საბინინი. **ჩყუე** წელსა, მოსკოვი“.

2. დასაწყისში 1r-ზე მიწერილია: „არსენი ქათალიკოსისა, საფარით. განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა“.

3. ამ თხზულების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 120—124.

4. გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ (იხ. ქრონიკები, I, 1892, გვ. 313—332). ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად მისდევს გამოცემულ ტექსტს.

2. „ნაწილი მეორე. თჳს წიგნთა ახლისა აღთქმისათა. § 1. თჳს წიგნთა ახლისა აღთქმისათა საზოგადოდ. ა. განსაზღურება. — წიგნნი ახლისა აღთქმისანი არიან საღმრთონი იგი წიგნნი, რომელნიცა დაწერილ არიან შემდგომად შობისა ქრისტესა...“ 37r—55r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ცუდადაა აკინძული, დარღვეულია ტექსტის თანმიმდევრობა: იწყება 37r-დან და გრძელდება 44v-მდე. 44v გრძელდება 5r-დან 20v-მდე. 20v—24r-დან 31r-მდე. 31r—21r-დან 23v-მდე. 23v—32r-დან 36v-მდე. 36v—51r-დან 55r-მდე.

2. თარგმნილია გაიოზ არქიმანდრიტის მიერ (37r, 55r). ეს თხზულება გაიოზის თარგმნილ შრომათა სიაში არ ჩანს (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 363).

ანდერძი: **ა.** „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. ვიწყე წელსა 1790, მარტს 6. იასს. გაიოს“ (37r).

ბ. „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა. სრულ ვჰყავ წელსა 1790, აპრილს 3, იასს, მონასტერსა შინა ბარბოას ვადოპედისასა, გაიოს“ (55r).

3. „წმიდისა დიონისი არიოპაგელისა. თჳს ზეცისერისა მღუდელმთავრობისა. თავი **ა.** მისთჳს, ვითარმედ ყოველი საღმრთო განათლება მადლითა ღმრთისათა სხუად და სხუად წარმართებასა ზედა განგებულებითა გარდამოფენილი არს თავსა შორის თვისსა მარტივ და არა თუ ოდენ ესე, არამედ ერთ ჰყოფს განათლებადსაცა თანა მღუდელსა ტიმოთეს მღუდელი დიონოსი. — ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს შთამოსრული მამისაგან ნათელთასა...“ 45r—50v.

წყდება „... ყოველთა მოუწოდის ზიარებისადმი თჳს თანა. რაოდენ ვისდაც დასატევნელ და თან შეზომილ ყოველნი უკუჲ არსნი...“.

შენიშვნა: მოცემულია მხოლოდ პირველი სამი თავი და მეოთხე თავის დასაწყისი. ამავე თხზულების სრულ ტექსტს შეიცავს ხელნაწერ A—110 (196v—299r), თარგმნილია ბერძნულიდან ეფრემ მცირის მიერ, იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 240. ჩვენი ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად განსხვავებულია A—110 ხელნაწერის ტექსტისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. [ხ რ ო ნ ო გ რ ა ფ ი] — „...[ესე იქმნა] პირველად მეფედ რომის. ხოლო შემდგომად მეფისა ამისა, ეპყრათ რომაელთა მათ ქვეყანა მათი თვინიერ მეფეთასა წელთა ორმეოცდა სამთა...“ 56r—60v.

წ ყ დ ე ბ ა: „...შეიპყრნეს ყრმა იგი და მიიყვანეს...“.

შენიშვნა: „ხრონოგრაფის“ ფრაგმენტი შეიცავს ბ ა გ რ ა ტ ს ო ლ ო ღ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ ა ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ი ს თარგმნილი „ხრონოგრაფის“ 64—66 თავებს (შდრ. S—2913, 90v—94v).

5. „ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ო ქ რ ო პ ი რ ი ს ი. დაბადებისათვის. — დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა...“ 67v.

წ ყ დ ე ბ ა: „ჰქადაგებდა მეორედ მოსლუასა მხსნელისასა, რაოდენ იგი არს დღე მართალთა და ცოდვილთა...“.

შენიშვნები: 1. 67v-ზე ქვევით მიწერილია: № 1.

2. 66ფ-ზე ამოწერილია ციტატები ბ ა ს ი ლ ი ს, ა თ ა ნ ა ს ე ს, ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა და თ ე ო დ ო რ ე ა ბ უ კ უ რ ა ს თხზულებებიდან.

(1315) **3271**

იერუსალიმის დარღვევა ტიტესგან. XIX

56 ფ.; 19,5×15,5; ლურჯი ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; საზედაო ასოები მთავრულით; იოსებ ახალშენოვის კუთვნილი (56r); ჭვირნიშანი: 1807 წ., 1808 წ. (ფ. 22—27).

„ ი ს ტ ო რ ი ა დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ წ მ ი დ ი ს ა ქ ა ლ ა ქ ი ს ა ი ე რ ო ს ა ლ ი მ ი ს ა ჰ რ ო მ ა ე ლ თ ა კ ე ი ს რ ი ს ა ტ ი ტ ე ს გ ა ნ, ძ ი ს ა ო ე ს პ ა ს ი ა ნ ე ს ა(!).—ოდეს მიიღო პატივი და ღირსებაჲ კეისრობისაოესპასიანემან და იქმნა დამტკიცებულ მბრძანებელად ყოვლისა სოფლისა, პირველსავე წელსა მბრძანებლობისა თჳსისასა იწყო გამოძიებად დაშთომილთა მათ იუდეანთათჳს, რომელთაცა არა ენებათ დამორჩილებად ქუეშე მისსა...“ 1r—55v.

შენიშვნა: იერუსალიმის დარღვევის ისტორია თარგმნილია რუსულიდან ს ა რ ი დ ა ნ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 220).

მინაწერები: 1. „წიგნი ესე ვიყიდე 1867-სა წელსა იანვრის 7-სა დღესა მ ე ს ხ ი ე ვ ი ს გ ა ნ ი ო ს ე ბ ა ხ ა ლ შ ე ნ ო ვ მ ა ნ“ (ქვედა ყდის საცავი ფურცელი).

2. „წიგნი ესე ეკუთნის ი ო ს ე ბ ა ხ ა ლ შ ე ნ ო ვ ს ა“ (56r).

(1316) **3272**

განსჯანი არისტოტელისანი. 1825

12 ფ.; 21×18; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; მთარგმნელი რუსულიდან თეიმურაზ ბატონიშვილი (1r); გადამწერი: გარსევან ყორღანოვი (12r); 1825 წ. (12r); დაუწერელია 12v. ჭვირნიშანი: 1824 (ფ. 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განსჯანი არისტოტელისანი სათნოებათა და ბიწთათჳს. — ჭეშმარიტებასა ეკუთნჳს, რათამცა ვაქებდეთ ყოველსა პატიოსნებასა და ძაგებულ ვჰყოფდეთ ყოველსა უშუჵრებასა შორის პატიოსანთა ნივთთა...“ 3r—12r.

შენიშვნები: 1. უძღვის: „წინასიტყუაობა აკროსტიხურით მისდამი, ვისთჳსცა ვილუაწე:

ისთულების სიბრძნის ყუავილნი სათნოებით,
ორ ფრთე ჰყოფს სულსა ხედჳს და საქმის თნებით,
ნათლად, უჩრდილად გზით ღმრთისა სჯულთა მცნებით
აღიყუანს ზენად, განაბრწყინვებს გონებით...“ (1r—v).

ლექსი შვიდ სტროფიანია, თითოეულ სტროფში ხუთი ტაეპია. კიდურწერილობაში იკითხება: „იონა იერომონახს გძლვნი მეფის ძე თეიმურაზ“. აკროსტიხი მიძღვნილი უნდა იყოს იონა ხელაშვილისადმი.

2. 1v-ზე ჩამოწერილია: „ახალი მწერლები: ზაქარია ვართაპეტი, რომელსაც იხსენიებს ანტონი თავის გრამატიკაში და ცაგარელი გრამატიკულ ლიტერატურაში. კლიმია კაკალჩადზე — ბაქრაძის სტატია „კავკაზის კალენდრისა“.

3. ხელნაწერი გადმოწერილია დაბეჭდილი წიგნიდან (იხ. ანდერძი 2).

ანდერძები: 1. „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისათჳს და ბოროტისა, თარგმნილი ლათინთა ენისაგან რუსულსა ზედა ენასა მ. ა. წელსა 178 [...], სანკტპეტერბურღს. ხოლო ქართულსა ენასა ზედა გარდმოთარგმნილ იქმნა მეფის გიორგის მეათცამეტის ძის თეიმურაზის მიერ წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა 1878 დეკემბრის 18, ხოლო ქართულსა რიცხუსა მეათოთხმეტის ქორონიკონისასა **ფვ**.

დაიბეჭდა საფასითავე მათისა უგანათლებულესობისათა სამეუფოსა ქალაქსა შინა სანკტპეტერბურღს, სტამბასა შინა იოანე ოჰანესოვისასა“ (1r).

2. „გარდმოვსწერენ დაბეჭდილით კანცელიარისტმან გარსევან ყორღანოვმან ფებერულის **იბ**-ს რიცხუსა **ჩყკე**-ს წელსა ხაზინის ექსპედიციასა შინა“ (12r).

შენიშვნა: რუსულიდან თარგმნის თარიღი 1878 წ. გადაკეთებულია 1818-ად. ქვევით სხვა მელნით მიწერილია 1818 წ. გასწორებული თარიღი უფრო სწორი ჩანს: ქორონიკონი **ფვ** 1818 წ. გვაძლევს.

მინაწერი: (სხვა ხელით) 1r-ზე.

(1317) **3273**

კრებული. XVIII

44 ფ.; 18×15,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; ნაკლული; დაზიანებულია ფ. 18—22; [XVIII], ჭვირნიშანი: 1780.

I. „ესე არს შვიდთა მამაკვდინებელთა ცოდვათა უპირველესი, თქმული ნიკოლოზ მიტროპოლიტისა ორბელიანისა. პირველი მამაკვდინებელი ცოდვა ამპარტავანება არის, რომ ამისაგან გამოვა ცოდვა ესე. — ამპარტავანება ეს არის, ვისაც თავისი ნაქნარი და ნათქომი დიდათ მოსწონდეს...“ 1r—6r.

II. [ლოცვები]. — „ღმერთო მილხინე, მომიტევენ მე შეცოდებანი ჩემნი...“ 6r—13v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: შედის: ა. „ლოცვა იოვანე ოქროპირისა“ (6r—v).
ბ. „ლოცვა ოქროპირისა იოანესი“ (6v—7r).
გ. „საზიარებლად რომ მიხვიდე, ეს ლოცვა თქვი იოვანე ოქროპირისაგან“ (7r—8r).
დ. „შემდგომად ზიარებისა ლოცვა, თქმული დიდის ბასილისა“ (8r—v).
ე. „ლოცვა შემდგომად ზიარებისა კვირილე ალექსანდრი(!) პატრიარქისა“ (8v—9r).
ვ. „ლოცვა შემდგომი ზიარებისა წმინდისა მიმართ ღვთისმშობლის“ (9r—v).
ზ. „ქვალად ევედრე მ˜ღთისმშობელს“ (9v—10r).
ჱ. „ლოცვა ზიარებისა, თქმული წმინდა სვიმონ მეტერფესისა“ (!) (10r—13r).

III. [ნერსესაკან]. — „სარწმუნოებით ალგიარებ და თაყვანს ქცემ შენ მამაო, ძეო და სულო წმინდაო...“ 13v—17v.

შენიშვნა: ხელნაწერში სათაურად გატანილია „ნერსესაკანია“.

IV. „სწავლა საშინელის მეორეთ მოსვლისათვის. — მაშინ იხილონ ძე კაცისა, მომავალი [......] ზედა ძალითა და დიდებითა...“ 18r—23v.

V. [განზრახვანი]. — „შიში სიკვდილისა დამეცა, იტყჳს წინასწარმეტყველი დავით...“ 23v—44v.
წყდება: „...შენის ცხორებისათვინ, შენის სიყვარულისათვის და სასუფეველად ალმო...“.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. „განზრახვა სიკვდილისა“ (23v—27r).
ბ. „მეორედ მოსვლისათვის უფლისა, განზრახვა“ (27v—30r).
გ. „ჯოჯოხეთი პირს შინაგან გულსა ქვეყანისასა, სახლი სიმწარისა, სამკავიდარებელად(!) ეშმაკათა (!) და კაცთა ნებითა ეშმაკ ქმნილათა(!), განზრახვა“ (30v—34r).
დ. „განზრახვა სასუფეველაისათვინს(!)“ (34r—36v). მერმე ხელნაწერს აკლია. 37r—44v-ზე მომდევნო განზრახვის დასასრულია.
ე. „ტკივილითა ყოვლად ტკბილითა ჰპოვებ წიაღსა [.....] ღმრთისათა ჯარვაცმისათვის(!) უფლისა იესოსა. განზრახვა“ (44v).
2. ხელნაწერს ახასიათებს ანმეტობა.
3. ხელნაწერს აქვს ძველი პაგინაცია. შემდგომ ამ პაგინაციისათვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ და ხელახლა აუკინძავთ. ძველი პაგინაციით წინ მოსალოდნელია „განზრახვანი“.
მინაწერები: 1. „ეს სვინდისის წიგნი სოფიოსია, აბრამ ღდლის არის. ვინც მაიპაროს, გაუწყრეს ამისი მადლი“ (17v).
2. მინაწერია აგრეთვე 40v-ზე.

(1318) **3274**

პორფირის შეყუანილობა. XVIII

21 ფ.; 16,5×10,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, საზედაო ასოები მთავრულით; [XVIII]; დაუწერელია 1v; ფ. 21 დაზიანებულია; აქვს ჭვირნიშანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პორფირის შეყუანილობაჲ. — ნანდვილ საჭირო ხურისარიე და არისტოტელისა მიერთსა შინა კატილორიათა მნებავი მასწავლელობათა...“ 2r—21v.

შენიშვნები: 1. 1r-ზე გადამწერის ხელით წერია: „ამა წიგნისა მწერალი არისტოტელი არა იყო, არამედ პორფირი ფინიკელი და პლატონის შკოლის ფილასოფოსი, განდგომილი ქრისტეანეობისაგან და მტერი. მრავალნი შკოლარნი ესხნეს სწავლებად ფილასოფოსობისა, რომელთა შორის იყო ხურისაორიეცა, ჰრომაელი ჭაბუკი დიდ გვართაგანი, რომლისათჳს აღწერა წიგნი ესე, რომელ არს განმზადება უსაყოველთაოესსა ზედა; რომელი ითქმის პორფირო..... რამეთუ ადვილსა განმზადებს გზასა არისტოტელის შესმენათასა, რომელთა შორის არს შესმენა ნათესავთა და სახეთა და სხვათა ამისებრთა“.

2. 6r-ზე მოცემულია სქემა.

3. 1r-ზე პატარა რვაკუთხიანი ბეჭედია, რომელზედაც იკითხება: „მონა ღმრთისა გეუა“(?).

4. „პორფირის შეყუანილება“ თარგმნილია სომხურიდან ზურაბ შანშოვანის მიერ ვახტანგ VI ბრძანებით 1735 წ. (იხ. ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, № 2—3, 1923, გვ. 145).

მინაწერები: 1. მ. საბინინის ხელით: „ეს წიგნი (მიხაილ) გობრონ საბინინს ეკუთვნის, მოვიპოვე ივანე ბატონიშვილის შვილის შვილისაგან **ჩყოვ** წელს“ (6r).

2. „მევანქის ღღლის პეტის შვილი სომეხთა ვიყავ მოწაფე ისაკისა მოძღრიანთი და იოსეფის მოძღრის შვილი“ (1r).

3. 1r-ზე მინაწერია სომხურ ენაზე.

(1319) **3275**

კრებული. 1876

ფ. 12; 21,5×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; 1876 (12v); გადამწერი: იერომონახი ნიკიფორე (12v).

1. [ნიკოლოზ დადიანი], „დიდს პარასკევს ქადაგება მაცხოვარებითსა ვნებასა ზედა შემდგომად გარდამოხსნის დაფენასა ზედა სათქმელი. — მაცხოვარი და უფალი ჩვენი იესუ ქრისტე ბრძანებს მტილსა შინა გეთსამანიისასა: „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე...“ 1r—10v.

შენიშვნა: ქადაგების ავტორი ნიკოლოზ დადიანი უნდა იყოს (შდრ. H—1008, 2r—4r).

2. „წინასიტყვაობა ყოვლად სამღვდელოსა დადიანის ძისა ცაგერელ მიტროპოლიტისა ანტონის მიერ. — ნანდვილ საკდემელ არს თქმად გამოღება კეთილ ნაყოფთა ხენეშ ხეთაგან, ვინათგან ესრეთ არს ნათქვი უფლისა: ვერ ძალ-უც ხესა ხენეშსა ნაყოფისა კეთილისა გამოღებად...“ 11r—12v.

ანდერძები: 1. „აღესრულა ღმრთისმეტყველებითი ესე წიგნი ლოღიკა **ჩღოე**-სა ივლის(!) **დ**.“ (12v).

2. „და იგი წიგნი ლოღიკა შედგენილი არის, როგორც ჰსჩანს, მის მიერ წინასიტყვაობათაგან თქმული ყოვლად სამღვდელოს ჭყონდიდელ მიტროპოლიტის დადიანის ძისა ოტიასა ანტონის მიერ.

ნანდვილისა თანა უმეტნაკლოდ გარდამოღებულ არს ხარების მონასტრის კაზნაჩეის იერომონახის ნიკიფორესაგან 1876-20 года 2-го ოკდობერს. მ. ნახარებო“ (12v).

(1320) **3276**

საკითხავები. XIX ს. I ნახ.

18 ფ.; 21×17; ქაღალდი, ცისფერი; უყდო; მხედრული; სათაურები და აბზაცის დასაწყისები ნუსხურით, სინგურით, ბოლონაკლული; [XIX ს. I ნახ.]; ჭვირნიშანი: 1801 წ.; დაუწერელია 1r—v.

1. „თთვესა სექდემბერსა ჱ. წმინდა(!) შორის მამისა ანდრია იესროსალიმელია(!) კრიტელ მთავარეპისკოპოსისა სიტყოა შობისათჳს(!) დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა, მარადის ქალწოლისა მარიამისა. გვაკორთხენ, მამაო. — დასაბამი უკუჱ ჩვენთა დღესასწაულთა არს მოწევნული ესე დღესასწაული პირველი ესე შემდგომად სჯულისა და აჩრდილისა და მიერ შესავალი მადლისა და ჭეშმარიტებისა...“ 2r—10v.

2. „თთვესა ოკნდომბერსა ჱ. ცხოვრება და სინანოლი ტასია მეგვიპტელისა, რომელი იყო პირველად მეძავი დაიქმნა ჭორ რჩეოლ. — ძმანო ჩემნო საყვარელნო, მეგულვების მითხრობად თქუჱნდა სასურველი და ბრწყინვალე სინანული. რომელი აღესრულა და იდიდა და რომელთა უნებს სინანული ცოდვათათჳს...“ 11r—13r.

3. „თთვესა ოკნდომბერსა კთ. თქმოლი წმინდისა ეფრემისა აბრაამ მონონისათჳს(!) და ძმისწოლისა მისისა მაარიამისთჳს(!). — მნებავს, საყვარელნო ჩემნო, თქუჱნსა მაგას ერთობასა სმენად დიდებული იგი საქმე აბრამისი, რომელი ჰქმნა ჟამსა მას სიბერისა მისისასა...“ 13v—18v.

წყდება „...და მიერითგან ნეტარი იგი ქალი...“.

(1321) **3277**

„ქება-ქებათაჲს“ ერთი მუხლის განმარტება. XVIII—XIX

9 ფ.; 22×17; ქაღალდი, ცისფერი; უყდო; მხედრული; ნაკლული; [XVIII—XIX]; ჭვირნიშანი: 1789 წ. დაუწერელია: 1r, 7r—9v.

[„ქება-ქებათაჲს“ ერთი მუხლის განმარტება]. — „იტყვის ბრძენი სოლომონ ქებასა შინა ქებათასა, ვითარმედ მტილი დაჴშული, დაჲ ჩემი სძალი. მტილი დაჴშული და წყარო დაბეჭდული...“ 1v—5v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. ფრიად მაწვევენ დუმილსა სამნი რაჲმე ძალნი დამაყენებელებობთნი(!): პირველად ადგილი ესე ყოვლად უმაღლესი, რომელსა წარმოდგომილ ვარ, მეორედ ხარისხი ჩემი, რამეთუ მსახურად განჩინებულ ვარ და მესამედ უმეცრება ჩემი და ულირსება. და კუალად სამნი არიან განმამჴნობელნი და მაწვეველნი ჩემდა ამას საქმესა: პირველად დღესასწაული ღვთისმშობელისა, მეორედ ნებება და ბრძანება ჴელმწიფისა ამის ჩემისა და მესამედ თქვენ საზოგადოობისა შეკრებულობაჲ...“ (1v).

2. სათაურისათვის გამვებულია ადგილი (1v).

3. ხელნაწერის 1v—2v-ზე მოცემული ტექსტი მეორდება 6r—v-ზე, ოღონდ რედაქციულად განსხვავებული.

(1322) **3278**

კრებული. XVIII

4 ფ.; 21×16; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XVIII].

1. „ჭეშმარიტი აღსაჲარება მართლისა სარწმუნოებისა, თქმული მაქსიმე აღმსაარებელისა.— მრწამს ერთი ღმერთი მამა უშობელი და ერთი ძე და სიტყუა ღმრთისა მამისაგან შობილი და ერთი სული წმინდა...“ 1r—3r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. კიმენი, ტ. I, ცხორებაჲ მაქსიმე აღმსარებელისაჲ, გვ. 87—90).

2. [წინამძღვარი]. — „ხოლო რა იგი შეემთხვია ბილწთა მათ არიოზს და საბელიოზს სიტყვასა მას შინა წმიდისა სამებისასა, იგივე შეემთხვია ნესტორს და სებეროსს სიტყვასა მას შინა ქრისტეს განკაცებისასა...“ 3r—4v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ამოღებულია „წინამძღვრის“ სხვადასხვა თავებიდან: 3r-დან 4r-ს მე-6 სტრიქონამდე ტექსტი ამოღებულია 23-ე თავიდან (შდრ. A-240, გვ. 141r—142v). 4r-ს მე-6 სტრიქონიდან ბოლომდე ტექსტი — 14-ე თავიდან (შდრ. A-240, გვ. 65v—67r). 3v-ს კიდეზე მიწერილი ტექსტი ამოღებულია 23-ე თავიდან (შდრ. A-240, გვ. 153v—154r).

2. აღსაწერი ხელნაწერი დიდი ხელნაწერის ფრაგმენტია, შემორჩენილია მხოლოდ კე რვეულის პირველი ოთხი ფურცელი.

3. ხელნაწერის კიდეებზე მე-19 ს-ის ხელით ჩამოწერილია ორთოგრაფიული და რედაქციული სხვაობები.

მინაწერი: „Эта статья в начале, книги после предисловия. Исповедание веры св. Максима Исповедника“ (1r).

(1323) **3279**

თეიმურაზ ბატონიშვილი, სომეხთა აღდგომის გამოანგარიშების შეცდომის შესახებ. XIX ს. I ნახ.

4 ფ.; 20,5×16,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი; [XIX ს. I ნახ.]; ჭვირნიშანი: 1817 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[თეიმურაზ ბატონიშვილი], „უწყება მისთჳს, ოდეს იგი დაემთხუევის სომეხთა შეცდომა აღდგომისა, რომელსა უწოდენ იგინი წრა-ზადიკსა და მიზეზი მისი, თუ რაჲსათვის ცვალებასა ჰყოფენ იგინი და რაოდენთამე წელთასაშუალ ოდესმე დაემთხუჱვის მათ წმიდაჲ და საუფლო აღდგომა არა ერთბამად ჩუენთანა. — წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა 1824-სა, რომელ არს წელიწადი ათას რვაას ოცდამეოთხე, სომეხთა წელსა ამას შეუცდათ აღდგომა...“ 1r—4v.

ანდერძი: „წელსა ამას ვიყოფოდით სანკტ-პეტერბურღსა, ჴელმწიფებდა მაშინ იმპერატორი სრულიად როსიისა ალექსანდრე პირველი. მე ვიდეგ საკუთარსა სახლსა შინა ჩემსა, ნასყიდსა ვასილის ოსტროვში, მეცხრესა ზედა ლინიასა, მახლობელ მდინარისა ნევსა.

ხოლო ოდეს დასდგა პირველი აპრილისა დღესა დიდსა სამშაფათსა მას მწუხრსა, ფრიად განწმედილ იყო ჰაერი და ვიხილეთ მთოვარი სრული ათხუთმეტისა დღისა, ვითარცა სხვათა თვეთა შინა გვიხილავს სრული, ვითარცა იქმნების ჩვეულებისამებრ ათხუთმეტისა მთოვარე გავსილი. და არა მხოლოდ მარტო მე ვიყავ, არამედ ჩემ თანა თავადი იოანე ენდრონიკაშვილი, ნათესავი ჩემი და ანნა რეანბახში, დიდად მოჴირნახულე ჩემი და საქართველოს სამეფოსა სახლსა შინა დიდად პატივცემული ასული მოდაბაძისა, იმერთა აზნაურთაგანი თამარი, ასული აზნაურთა, სახლსა შინა ჩემსა ყოველთა მდედრთა უხუცესი, კამარდინერი ჩემი დავით ალაიბეგის შვილი და სხვანი შინა მსახურნი სახლისა ჩემისანი მამანი და დედანი. და ვიხილეთ რა ესე ესრეთ, ვადიდებდით სახიერებასა ყოვლად უმაღლესისა მეუფისასა, რომელი თვალითაცა ჩუენითა გამოვიცადეთ ჭეშმარიტი, რომელ არა არა(!) ვცდებით ჩუენ, ვინაჲდგან პრაკტიკითაცა განვიმტკიცეთ გულნი ჩუენნი ესრეთ და დიდსა ბრწყინვალესა მას დღესა ეგრეთ სიხარულით მივეგებენით სახსოვრად მხილველთა. მეფის ძე თეიმურაზ“ (4v).

(1324) **3280ა**

მათეს თავის სახარება (ფრაგმენტი). XII—XIII

4 ფ.; 25,5×17; პერგამენტი; ნუსხური; საზედაო ასოები სინგურით; დაშლილი, დაზიანებული: 1 ფ-ის ნაწილია შემორჩენილი; 3 ფ. გადახეულია; ტექსტი ზოგან გადალეულია; [XII—XIII].

[მათეს თავის სახარება]. — „და რომელი ეძიებდეს, პოოს და რომელი ირეკდეს, განეღოს...“ 1r—4v.

წყდება: „...ვა[ჲ] [თქუე]ნდა წინამძ[ღუარნო]...“.

შენიშვნები: 1. 1r—v-ზე ტექსტი იწყება მათეს VII,8-დან და გრძელდება მათეს VII, 23-მდე. 2r—3v-ზე ტექსტი იწყება მათეს XV, 5-დან და გრძელდება მათეს XVI, 4-მდე. 4r—v-ზე ტექსტი იწყება მათეს XXII, 40-დან და გრძელდება მათეს XXIII, 16-მდე.

2. ტექსტი მისდევს ოთხთავის გიორგი მთაწმიდელის რედაქციას.

3280ბ

თვენი (ფრაგმენტი). XIV—XV

3 ფ.; 20×13,5; პერგამენტი; ნუსხური; საზედაო ასოები სინგურით; დაშლილი, ფურცლები დაზიანებულია, მე-3 ფურცლის მხოლოდ პატარა ფრაგმენტია შემორჩენილი; 1r-ზე ტექსტი გადალეულია და აღარ იკითხება; [XIV—XV].

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. [თთუესა ივლისსა **ით** წმიდისა მაკრინაჲსი]. — „...შე-წიერებაჲ სულისა შენისაჲ განუხრწნელად, წმიდად და უბიწოდ, ყოვლად ქებულო, რომელი პირველ მოწამესა წმიდასა თეკლას ჰბაძვიდა და ცხორებასა მისსა საღმრთოსა ემსგავსებოდა...“ 1v.

წყდება: „...დაუცხრომელად უგალობდ ღმერთსა...“.

შენიშვნა: საგალობლიდან მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი (შდრ. Jer 107, II, 99r—v).

2. [თთუესა ივლისსა **კ** წმიდისა ელია წინაწარმეტყუელისაჲ]. — „...ბაგეთა აღვსებულთა სულითა [და ძალითა, რამეთუ იქ]მენ მოშურნე ღმრთისა“ 2r—v.

წყდება: „...გალობითა საღმრთოჲთა ვაქებდეთ...“.

შენიშვნები: 1. საგალობლიდან მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი (შდრ. Jer 107, II, 103r—104r).

2. საგალობლები გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა.

(1325) **3281**

სახარების განმარტება. XIX

8 ფ.; 20,5×15; ქაღალდი; მხედრული; უყდო; [XIX], აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია 4v.

1. [მათეს XXV თავის 31-ე მუხლის განმარტება]. — „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. — მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა და შეკრბენ წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი — მატთ. 25, 31. ნამდვლ დიდ არიან მოწყალებანი ღმრთისა ჩუენისანი...“ 1r—4r.

2. [ლუკას I თავის 48-ე მუხლის განმარტება]. — „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. — ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი. — ორთა რათმე დიდთა და ყოვლად დიდებულთა საკჳრველებათა მოიხსენებს დღეს წმიდა ეკკლესია...“ 5r—8v.

შენიშვნები: 1. ეს განმარტებები არ არის ამოღებული ი. ოქროპირისა და თ. ბულდარელის „თარგმანებიდან“, დამუშავებული ჩანს XIX საუკუნეში.

2. ამავე ხელითაა დაწერილი S-3283ა, რომელიც მათეს V, 48-ე მუხლის განმარტებას შეიცავს და S-3283ა$_1$, რომელიც ლუკას XIV, 24-ე და XVII, 14-ე მუხლების განმარტებებს შეიცავს.

(1326) **3282**

სოლომონ ალექსიევ-მესხიევი. სიტყუანი შესხმითნი გიორგის ძისა დავითისადმი. XIX

4 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული, სათაური და საზედაო ასოები სინგურით; [XIX]; ავტორი: პროტოპრეზვიტერი სოლომონ, თქმული 1789 წ. (1r); გადამწერი: ნიკონ იერომონახი (1r); დაუწერელია 4v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიტყუჰანი შესხმითნი(!) მცირე და ყოვლად უნდო სრულიად საქართუჰელოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა გიორგის ძისა დავითისადმი, ოდეს მოიქცა ძლევით ავარიანთაგან. ყოვლად მდაბლისა და ურიხისა პროტოპრეზვიტელის სოლომონის მიერ წელსა 1789, ოკტომბრის 29.—მის ერთისა საუკუნოსა არსისა, რომელი სამობასა შინა ცნობილ ექმნა ძუჩლ სადამე წინაპარსა შენსა მამათმთავარსა და ძის ძე მისი იქმნა მცნობელ...“ 1r—4r.

ანდერძი (გადამწერისა, მიწერილია კიდეზე): „ალექსიევ-მესხიევისაგან თქმული 1789 წელსა. ნიკონ იერომონახისაგან დარდმოწერილი(!) ნანდვილისაგან“ (1r).

(1327) **3283ა**

მათეს თავის განმარტება. XIX

4 ფ.: 20,5×16,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX]; აქვს ჰვირნიშანი.

[მათეს V თავის 48-ე მუხლის განმარტება]. — „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. — იყვენით უკვე სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს. — მათ 5,48. ვდღესასწაულობთ ჩუენ დღეს კ. მ. ჴსენებასა დღესასწაულობითსა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ნიკოლაოზისასა, რომელმანცა აღასრულა ღვაწლი თჳსისა ცხოვრებისა კეთილად...“ 1r—4v.

შენიშვნები: 1. ეს განმარტება არ არის ამოღებული ი. ოქროპირის „თარგმანებიდან“, დამუშავებული ჩანს XIX ს-ში.

2. ამავე ხელითაა დაწერილი S-3281, რომელიც მათეს XXV, 31-ე და ლუკას I, 48-ე მუხლების განმარტებებს შეიცავს და S-3283ა$_1$, რომელიც ლუკას XIV,24-ე და XVII,14-ე მუხლების განმარტებებს შეიცავს.

3283ა$_1$

ლუკას თავის განმარტება. XIX

3 ფ.; 19×15; ქაღალდი; მხედრული; უყდო; [XIX]; აქვს ჰვირნიშანი.

1. [ლუკას XIV თავის 24-ე მუხლის განმარტება]. — „26 კჳრიაკესა, ნოემბრის 22. — არავინ მათ კაცთაგანმან გემო იხილოს სერობისა ამის ჩემისა. — ლუკა 14,24. ეჰა კაცთმოყუარებასა და მოწყალებასა ღმრთისასა და სახიერებითსა ქველის მოქმედებასა მისსა...“ 1r—2v.

შენიშვნა: 1r-ს ზემო კიდეზე მიწერილია ლათინურად: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. [ლ უ კ ა ს XVII თ ა ვ ი ს 14 მ უ ხ ლ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა]. — „სახე-ლითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. — წარვედით და უჩუ-ჱნენით თავნი თქუენნი მღუდელთა. — ლ უ კ ა 17,14. კურთხეულ არს ღმერ-თი ჩუენი, რამეთუ მოხედნა და ჰყო წყალობა ერისა თჳსისა...“ 3r—v.

შენიშვნები: 1. განმარტებები არ არის ამოღებული თ. ბ უ ლ ღ ა რ ე ლ ი ს „თარგმანებიდან“, დამუშავებული ჩანს მე-19 ს-ში.

2. ამავე ხელითაა დაწერილი S-3281, რომელიც მ ა თ ე ს XXV, 31-ე და ლ უ კ ა ს I, 48-ე მუხლების განმარტებებს შეიცავს და S-3283ა$_1$, რომელიც ლ უ კ ა ს XIV, 24-ე და XVII, 14-ე მუხლების განმარტებებს შეიცავს.

3283ბ

სიტყვანი ფილასოფოსთანი, თქმულნი სოლომონ და ზაქარიასნი. XVIII

2 ფ.; 21×15,5; ქაღალდი; მხედრული; [XVIII].

„ს ი ტ ყ ვ ა ნ ი ფ ი ლ ა ს ო ფ ო ს თ ა ნ ი, თ ქ მ უ ლ ნ ი ს ო ლ ო მ ო ნ დ ა ზ ა ქ ა რ ი ა ს ნ ი. — კეთილ არს კაცისათჳს პირველად ჩვენება თვისთა ცოდვათა და მერმე მოყუსისთა...“ 1r—2v.

3283ბ$_1$

საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში (ფრაგმენტი). XVIII

2 ფ.; 19×14,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ავტორი: [გაიოზ რექტორი]; [XVIII]; აქვს ჭვირნიშანი.

[ს ა ჯ ა რ ო პ ა ე ქ რ ო ბ ა თ ე ლ ა ვ ი ს ს ე მ ი ნ ა რ ი ა შ ი]. — „....ყოვე-ლი ნივთი ურთიერთისადმი შემწედ და ნაცუალგებით მდებარე არიან სიტყუ-ასა შინა ცხადყოფისათჳს ურთიერთისა გარემოებისა...“ 1r—2v.

შენიშვნები: 1. ამავე ტექსტს შეიცავს ხელნაწერი H-2291, რომელიც გა-დაწერილია დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს ხელით. ამ ხელნაწერთან შედარებით S-3283ბ$_1$-ის 1 ფ. იწყება 9r-დან და გრძელდება 10r-მდე. 1 და 2 ფურცელს შო-რის აკლია. 2ფ. იწყება 11r-დან და გრძელდება 12r-მდე.

2. H-2291 ხელნაწერთან შედარებით S-3283ბ$_1$ ვარიანტულ სხვაობას ვგვიჩ-ვენებს.

3. ხელნაწერი შავად ნაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს, ალაგ-ალაგ გვაქვს ნასწორები ადგილები, ეს შესწორებები გათვალისწინებულია H-2291 ხელნა-წერში.

4. ეს სიტყვა წარმოუთქვამს გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ს თელავში 1783 წ. 28 მაისს, სემინარიის გახსნის წლის თავზე. გამოქვეყნებულია ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს მიერ: „საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში“, იხ. „სწავლა-აღზრდის ისტო-რია საქართველოში“ (მასალების კრებული, I, 1937 წ.), გვ. გვ. 51—65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3283გ

ძველი და ახალი აღთქმის მოკლე შინაარსი. XIX

4 ფ.; 21×16,5; ქაღალდი; მხედრული; [XIX].

[ძ ვ ე ლ ი დ ა ა ხ ა ლ ი ა ღ თ ქ მ ი ს მ ო კ ლ ე შ ი ნ ა ა რ ს ი]. — „დიდი საიდუმლო განჴორციელებისა, ვითარცა არს უმაღლესი, უკეთილშობილესი და უსრულესი საქმე ღმრთისა სიბრძნისა და ძალისა...“ 1r—4v.

შენიშვნა: ტექსტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი ეხება ქვეყნის გაჩენის ამბავს, მეორე ნაწილი — ქრისტეს დაბადებას.

3283დ

დიაკონი სფირდონ, დოდო გარეჯელის გადმოსვენება დავით გარეჯის მონასტერში. 1881

4 ფ.; 21×17; ქაღალდი; მხედრული; დიაკონ სფირდონის ავტოგრაფი (3v); 1881 წ. (1r); დაუწერელია 4r—v.

დ ი ა კ ო ნ ი ს ფ ი რ დ ო ნ, [დ ო დ ო გ ა რ ე ჯ ე ლ ი ს გ ა დ მ ო ს ვ ე ნ ე ბ ა დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი]. — „ჩუპა წელსა მარტის ივ რიცხვსა იქმნა აღმოყვანება ნაწილთა ღირსისა მამისა ჩ[ვე]ნისა დოდოს გარესჯელისა, რომლისა ხსენებასა აღასრულებს ეკლესია ჩ[ვე]ნი პირუწლს ოთხშაბათსა, შემდეგ ამაღლებისა...“ 1r—3v.

ანდერძი (მიწერილია ფანქრით): „იყვნენ მუნ ხუცეს-მონაზონნი ს ი მ ო ნ და ი ო ს ტ ო ს იროდიაკონი, ი ო ს ა ფ და მეცა, დიაკონი ს ფ ი რ დ ო ნ, სამნი მორჩილნი. ამა საქმის მოთავე იყო კეთილშობილი მ ი ხ ე ი ლ ს ა ბ ი ნ ი ნ ი“ (3v).

3283ე

იოანე დამასკელი, წინამძღუარი (ფრაგმენტი). XVIII—XIX

2 ფ.; 33×22,5; ქაღალდი, დაზიანებულია; მხედრული; უყდო; [XVIII—XIX].

[ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი, წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი]. — „ამის განჴვეთილებისა და განყოფისა წინამძღვარ იქმნეს თ ე ვ დ ო რ ე ვინმე ა ნ ტ ი ო ქ ე ლ ი და დ ი ო დ ო რ ო ს ტ ა რ ს ო ს ე ლ ი, რომელთაგან ვითარცა ძირი სიმწარისა და ნერგი საეშმაკოჲ აღმოსცენდა ღორი იგი ქ ა ლ დ ე ვ ე ლ ი ნესტორი...“ 1r—2v.

შენიშვნები: 1. ტექსტი შეიცავს ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს „წინამძღურის“ 22-ე თავს „მართლმადიდებლობისათჳს და თუ ვინაჲ იწყეს წუალებათა შემოსლვად სოფლად“ (შდრ. A-240, 114r—131v).

2. ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად მისდევს ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს თარგმანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3283ვ

იესო ქრისტეს შესხმა. XIX

1. ფ.; 33,5×21; ქაღალდი, გადახეული; მხედრული; [XIX]; აქვს ჭვირნიშანი.

[იესო ქრისტეს შესხმა]. —
„დიდება შენდა, სამ მზეო ღმერთო, ერთობით ცნობილო,
დიდება შენდა, სიტყვაო მამისა მხოლოდ შობილო,
დიდება შენდა, წმიდაო სულო, ჭელმწიფედ მკობილო,
და დიდება შენდა, დიდება, ყოვლთა არსთ ზედა ფლობილო...“ 1r—v.

შენიშვნა: „შესხმა“ შეიცავს 16 სტროფს.

3283ზ

სადღესასწაულო (ფრაგმენტი). XVIII

1 ფ.; 18×13,5; ქაღალდი, კიდეჩამოხეული; მხედრული; სათაურები სინგურით, საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით; [XVIII]; აქვს ჭვირნიშანი.

„კჳრიაკეთა. შემდგომად ნეტარარიანისა, დასდებელნი, ჴმაჲ. მოვედით, აღვიდეთ. — კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი. გუნდნი ანგელოსთანი გაჰკვირდეს, რაჟამს გიხილეს შენ მკუდართა თანა შე[რ]აცხილ...“ 1r—v.

(1328) **3342**

დიონოსი არიოპაგელის ეპისტოლე ტიმოთე მოციქულისადმი. 1900

7 ფ.; 26,5×19,5; ქაღალდი; ყავისფერი ქაღალდის ყდა; მხედრული; სათაური და საზედაო ასოები სინგურით; გადამწერი: მღვდელი ალექსი ბაქრაძე; გადაწერილი: 1900 წ.; დაუწერელია: 5v—7v.

„ეპისტოლე წმიდისა დიონოსი ბ[ე]რძენთა მთავრისა და ათინელთა ეპისკოპოსისა, რომელი მიუწერა წმიდასა ტიმოთეს, საყვარელსა მოწაფესა მოძღვრისა თვისისა პავლესსა პეტრესთვის და პავლესთვის. — გკითხავ საღმრთოსა მოწაფესა, შვილსა სულიერსა ჭეშმარიტისა მამისასა და მეგობარსა სათნოსა...“ 1r—5v.

შენიშვნები: 1. ყდაზე დაკრულ ქაღალდზე გადამწერის ხელით წერია: „წ. დიონოსი არიოპაგელის ეპისტოლე ტიმოთე მოციქულისადმი მიწერილი, ივერიის (ათონის) მონასტრის პერგამენტიდამ აღმოწერილი მღ. ალექსი ბაქრაძისაგან 1900 წ.“.
2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, I, გვ. 583—584, ხელნაწერი № 96).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1329) **3343**

იოსებ არიმათიელი, უწყება აღდგომისათვის იესო ქრისტესა და აღშენებისათვის ეკკლესიისა. XIX—XX

6 ფ.; 26,5×20,5; ქაღალდი; ყავისფერი ქაღალდის ყდა; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გადამწერი: მღვდელი ალექსი ბაქრაძე; [XIX—XX]; დაუწერელია: 6v.

„წიგნი, რომელი დასწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესმან, და უწყება აღდგომისათვის ოფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და აღშენებისათვის ეკკლესიისა, რომელ იგი პირველ აღეშენა ლუდს შინა ქალაქსა წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისსა. — მეათცხრამეტელსა წელსა მეფობასა ტიბერის კეისრისა რომთა მეფობისასა...“ 1r—6r.

შენიშვნები: 1. ყდაზე დაკრულ ქაღალდზე გადამწერის ხელით წერია: „წიგნი იოსებ არიმათიელისა, აღმოწერილი ძველი წიგნის პერლამენტიდან ივერის მონასტრისა მღ. ა. ბ-ნ“.

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, I, გვ. 580 — 582, ხელნაწერი № 94).

3. ტექსტი გამოცემულია ნ. მარის მიერ (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, II С.—Пб., 1900, გვ. 25—72).

(1330) **3344**

კასიანე რომაელი, რვათა მათ ბოროტთა გულის-სიტყვათათვის. 1900

14 ფ.; 27×20,5; ქაღალდი; ყავისფერი ქაღალდის ყდა, ქვედა ყდის კიდე ჩამოხეული; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გადამწერი: მღვდელი ალექსი ბაქრაძე (1r); გადაწერილი: 1900 წ. (1r); დაუწერელია: 1v—2v, 9r, 12r—v, 14v.

„თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა კასიანე რომისანი რვათა მათ ბოროტთა გულის-სიტყვათათვის: ნაყროვანებისა, სიძვისა, ვეცხლის-მოყვარებისა, რისხვისა, მწუხარებისა, მოწყინებისა, ცუდად მზვაობრობისა და ამპარტავანებისათჳს. — ოპირატეს ყოვლისა ჯერ არს ჩვენდა თქმად მარხვისათვის, რომელი იგი წინააღმდგომ არს ნაყროვნებისა და სახისათვის და საზომისა მისისათვის...“ 3r—14r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში არ არის გადმოწერილი მე-5 და მე-6 თავები: „მწუხარებისა“ და „მოწყინებისათვის“. გადმოუწერელი თავებისათვის ადგილია გაშვებული (იხ. 12r—v). არ არის აგრეთვე სრულად გადმოწერილი მე-4 თავი: „მისივე მრისხანებისათჳს“, გადმოუწერელი ტექსტისათვის ადგილია გაშვებული (იხ. 9r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 86).

3. ხელნაწერის ზედა საცავ ფურცელზე წერია: „წიგნი წმიდისა მამისა ჩვენისა კასიანე რომაელისა რვათა მათ ბოროტთა გულის სიტყვათათვის, გამოღებული წმიდა ათონის მონასტრის ივერიისა პერღამენტის წიგნიდამ. აღმოწერილი ყოვლად ულირსის მღვდლის ალექსი ბ-ნ. 1900 წ.“.

4. ყდაზე დაკრულ ქაღალდზე გადამწერის ხელით წერია: „წიგნი კასიანე რომაელისა, აღმოწერილი ათონის ივერიის მონასტრის პერღამენტიდამ მღ. ალექსი ბაქრაძისაგან“.

5. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, I, გვ. 582—583, ხელნაწერი № 95).

(1331) **3345**

აღშენებისათვის აია სოფიას ტაძრისა. XIX—XX

7 ფ.; 20×16; ქაღალდი; ყავისფერი ქაღალდის ყდა; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XIX—XX]; გადამწერი: მღვდელი ალექსი ბაქრაძე.

„ოწყება და თხრობა აღშენებისათვის დიდებულისა სიბრძნისა ღვთისა აია სოფიასტაძრისა, ესრეთ აღეშენა პირველ და შემდგომად ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლის — ახალსა რომსა. — დიდი სიბრძნისა ღვთისა (წმიდა სოფია) ეკკლესია პირველ აღაშენა კოსტანტინე დიდმან სიონად, მსგავსად წმიდისა ალათონიკესა და წმიდისა აკაკისსა...“ 1r—7v.

შენიშვნები: 1. ყდაზე დაკრულ ქაღალდზე წერია: „აია სოფიას ეკკლესია (ძველი მოთხრობა) უძველესი ხელნაწერიდამ მ. ა. ბ.“.

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, I, გვ. 585, ხელნაწერი № 98. აღწერილობასთან ერთად დაბეჭდილია ხელნაწერის ტექსტი, იხ. იქვე, გვ. 585—600).

(1332) **3346**

წიგნი წმიდა თეოდორე სალოსად საგონებელისა. 1895

9 ფ.; 22,5×17,5; ქაღალდი; ყავისფერი ქაღალდის ყდა; მხედრული, სათაური და საზედაო ასოები სინგურით; 1895 წ. (7r); მთარგმნელი: არხიმანდრიტი იოაკიმ მთაწმიდელი (7r); გადამწერი: მღვდელი ალექსი ბაქრაძე (7r); დაუწერელია: 7v—9v.

„წიგნი წმიდა თეოდორე სალოსად საგონებელისა. — ქვეყანასა სერბიისასა, რომელსა აწ სახელ-სდებენ ბულღარად, ამას ქვეყანასა სარასი ქალაქსა შინა იყო კაცი ერთი, რომელსა ეწოდებოდა თეოდორე...“ 1r—7r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. თეოდორე სალოსის ცხოვრება თარგმნილია ბერძნულიდან არხიმანდრიტ იოაკიმ მთაწმიდელის მიერ XVII—XVIII სს-ში (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 506—507).

2. გადმოწერილია მღვდელ ალექსი ბაქრაძის მიერ 1797 წ. დაწერილი ხელნაწერიდან (იხ. ანდერძი გადამწერისა).

3. ყდაზე დაკრულ ქაღალდზე წერია: „წმიდა თეოდორე სალოსის მოთხრობა“.

4. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, I, გვ. 584—585, ხელნაწერი № 97).

ანდერძი: 1. (მთარგმნელისა): „მე საქართველოს არხიმანდრიტმან იოაკიმ მთაწმიდელმან ჩუენსა მონასტერსა შინა და ასკალოს ამფილოქეს კელიასა შინა აქვნდა და მუნ ვპოეთ მამათ ცხოვრება ერთი, და მას შინა ეწერა და მუნით ბერძულისა ენისაგან ქართულსა ზედა გარდმოვიღე. და აღმომკითხველთა ზედა ამისთა იყავნ მადლი წმიდისა სამებისა ლოცვითა თეოდორესითა ყოველსა მისსა მისითურთ სულით და ხორცით ჩვენითურთ. და ჩვენიცა მონასტერი და ჩვენცა მოხსენებულ ვიქმნნეთ და მადლი მათივე და კურთხევა იყავნ თქვენ ზედა საუკუნოდ, ამინ“ (7r).

2. (გადამწერისა): „შესწავება. ერთ ძველ ხელნაწერიდგან 1797 წელს დაწერილისა ვისგანმე იოანესა ამოვსწერე: ა. ბალავარი, ბ. ლოცვა სინანულისა და გ. თედორე ღვთის კაცის ცხოვრება ესე მღვდელმა ალექსი ბაქრაძემ 1895 წელსა“ (7r).

(1333) **3348**

რაპორტი პილატესი რომის კეისრისადმი. XX

6 ფ.; 22×18; საკანცელარიო ქაღალდი; ლურჯი ქაღალდის ყდა; მხედრული, საზედაო ასოები სინგურით; [XX]; გადამწერი; [მღვდელი ალექსი ბაქრაძე].

„მათ დიდებულებასთვითმპყრობელსკეისარსმეფესა რომაელთასა აღმოსავლეთის კერძოდ მთავრის და იერუსალიმის განმგის პილატეს მიერ რაპორტი. —მოხსენდეს თქვენს თვითმპყრობელობითსა დიდებულებასა საქმე იგი საოცარი, რომელიცა იქმნა ამ ჟამად ქვეყანასა ჩვენსა და საშინელი სასწაული დროსა მეფობისა თქვენისასა...“ 1r—6r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა: „რაპორტი ესე ქვემორე თარგმნილ არს წიგნისაგან ჰქმნილისა იაკობ ძმისა უფლისა და დაბეჭდილ არს კონსტანტინპოლის(!) შინა **ჩყთ** წელსა.

გონებითა დამბრმალმან, ჰკუით სუბუქმან და ჰეშმარიტებასა ზედა ღვთისასა იჭვნეულმან უსჯულომან პონტოელმან პილატე იხილა რა ფიცხელნი და სიცრუვით აღსავსენი შესმენანი ღვთის მკვლელთა ურიათანი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს მიმართ, მას ჟამსა შინა საცნაურებითმან გრძნობამან განაღვიძა მის შორის კაცი, გარნა გარეგანმან კაცმან წინააღმდეგ სულისა ხორცმა არა ნება სცა მას, არამედ უთანხმავა ურიათა სიკვდილსა მისსა ზედა, რომელმანცა მისცა მათ იესუ მხსნელი ყოველთა ჯვარცმად და სიკვდილად. ამისა შემდგომად რაიცა გამოხდა ამისგან, იგი პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა განთქმულ არს და რაისათვის განვაგრძელო, მაშა ვსთქვა იგი: ოდესაც კერპთმსახურმან და ბოროტთ უბოროტესმან პილატემ სცნო შეცთომილება თვისი მამისა ზეციერისა თანაარსისა კაცად ქმნილისა ნაზარეველისა და იხილა განსაცვიფრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელნი სასწაულნი მისგან ქმნილნი, მაშინ შთახვდა არაწმიდასა გონებასა თჳსსა და სთქვა: „რა ვყო მე უბადრუკთ უბადრუკმან და უბადრუკებითა სავსემან, რამეთუ ნაზარეველი იგი იესო, შემწე და სასარგებლო ქვეყანისა, მოვაკვდინე. სცნობს უკვე ამას კეისარი ჩვენი და დამსჯის უსასტიკესად, რომლისათვისცა მოიხმო იმან(!) ჩინებულთაგანნი და არჩია მათ თანა და სთქვა: „ესევითარი უგვანი საქმე შეგვემთხვია და მოვკალით კაცი მართალი. მე უწყი, რამეთუ კეისარსა ესე არა მიეფარების, არამედ მეშურნეთა ჩვენთა მიერ ქმნილთაგან უმეტესი მოხსენდების და მე ვხედავ უმჯობესად, რაჲთა უპირველეს ყოველთა მე მოვახსენო და თქვენ რას არჩევთ?“ მიუგეს მათ: „უმჯობესი შენ იცი და ჩვენცა მოხსენებას ვარჩევთ“ (1r).

2. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს მღვდელ ალექსი ბაქრაძის მიერ (შდრ. ხელის მიხედვით S—3345, S—3346 ხელნაწერებს).

(1334) **3350**

ფილოსოფიური ხასიათის თხზულების ფრაგმენტი. XVIII

8 ფ.; 22×15,5; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; თავ-ბოლო ნაკლული; [XVIII].

[ფილოსოფიური ხასიათის ტექსტი]. — „...ჟამ დაადგრების რაოდენ მის შორის მყოფისა, მისგან იპყრობვოდის ძლიერებისა. ხოლო დასცხრეს რა მის შორის მოქმედი იგი, მოაკლდების იგიცა...“ 1r—8v.

წყდება: „...რომელი განჰყოფს ამასცა ყოვლითურთ გამოცხადებად და სიტყვად...“.

შენიშვნა: ყდაზე დაკრულ ქაღალდზე წერია: „წიგნი სულის, სიცოცხლისა და ხორცთა მოკვდავისათვის“. ეს სათაური გადამწერს არ ეკუთვნის, დაწერილი უნდა იყოს მღვდელი ალექსი ბაქრაძის ხელით (შდრ. ხელნაწერები S-3343—3345).

(1335) **3356**

ვახტანგ VI, სამართლის წიგნთა კრებული. XIX

371 ფ.; 33×21; ქაღალდი, ცისფერი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, ქვედა ყდა დაზიანებულია, მხოლოდ ტყავილაა დარჩენილი; ნუსხური: სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XIX ს-ის დასაწყისი]; გადამწერი: მიტროფანე გრიგოლაშვილი (371v); აქვს რვეულებრივი სათვალავი; დაუწერელია: 14v, 79r, 86v, 206v, 210v, 220v; ჭვირნიშანი: 1800 წ.

[ვახტანგ VI, სამართლის წიგნთა კრებული]. 1. „კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან მოსე წიგნსა მეორე სჯულისასა და გამოსულათასა. მცნება ღვთისაგან, სამართალი მოსესი. — მცნება ღვთისაგან. ა. თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან...“ 3r—14r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს გადამწერის ხელით მიწერილია: „აღიწერა ჴელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“ (14r).

2. „სამართალიბერძნულიპირველი: **ა.** ლევან ბრძენისა და კოსტანტინესი და სხვათა ჴელმწიფეთა მიერ თქმული დაგანწესებასჯულისა. კანონი მეფეთადასიმართლისა მოსამართლეთათჳს, რაჲთა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოდცა(!).—
—რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელის წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს...“ 15r—86r.

შენიშვნა: 351 მუხლიდან 362 მუხლამდე ტექსტისათვის გაშვებულია ადგილი (იხ. 78v—79v).

3. [სამართალი სომეხთა]. „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა [ზედა გა]მოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართლისა. — თუ იკითხავთ და შენდობა(!) გინდათ, თუ რომლის წიგნისაგან შეგვიკრებია, მოგახსენებთ, ანუ რომლის გვარათ შევკრიბეთ...“ 87r—206r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, სამართალი სომხური, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI ბრძანებით, ტფილისი, 1927).

4. „სამართალი კათალიკოზისა, პირველი. სახელითა ღვთისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლის საქართველოსა კათალიკოზმან პატრიაქმან მალაქია. — **ა.** მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის [კათალი]კოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისა...“ 207r—210r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, ტფილისი, 1913).

5. „სამართალი მეფის გიორგისა, პირველი. ძეგლის დადება მეფეთ-[მეფის] გიორგის მიერ. — ჩუენ მეფეთ-მეფემ გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან დავიდევით განაჩენი ესე...“ 211r—220r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957).

6. „სამართალი აღბუღასი. შევიყარენით ჭოლთა მინდობილნი ღვთისანი და აწყვერისა ღვთისმშობელისანი და გაქცევისა. — **ა.** დავიდევით წინა პატრონისა პაპის ჩემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი...“ 221r—244v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, I, თბილისი, 1963, გვ. 425 — 463).

7. [ს ა მ ა რ თ ა ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა] „შესავალი ბატონისშვლის ვახტანგის ნაბრძანები. მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა, დამაარსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი, დამმონებელი, უდებად მქონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრევლნი ჴელთა მარგალიტთა შინა...“ 245r—305v.

შენიშვნები: 1. 185 მუხლისათვის გამვებულია ადგილი, იხ. 285v. ადგილია გამვებული აგრეთვე 195 მუხლისათვის, იხ. 287v.

2. ტექსტის ბოლოს გადამწერის ხელით მიწერილია: „აღიწერა ჴელითა მ ი ტ რ ო ფ ა ნ ე გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ა“ (305v).

3. ტექსტი წარმოადგენს ვ ა ხ ტ ა ნ გ VI სამართლის წიგნის A რედაქციის ნუსხას (იხ. თ. ე ნ უ ქ ი ძ ე, ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 32).

4. ტექსტს უძღვის წინასიტყვაობა: „დასაბამითგანვე დამდებელმან საფუძველთა ქვეყანისათამან და დამქსველმან ცათამან, უფსკრულთა გამომკვლეველმან და სივრცეთა სოფლისათა გარეშემცველმან, ყოველთა არსთა და არაარსთა არსებად მომყვანებელმან...“ (1r—3r).

5. ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს გრაფებში მოთავსებული საძიებელი: 306r—371v. საძიებელი შეიცავს 17 რვეულს და მე-18 რვეულის პირველ ფურცელს, რვეულები ოთხფურცლიანია.

6. აღწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (Описание, II, გვ. 620, ხელნაწერი № 361).

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა ჴელითა მ ი ტ რ ო ფ ა ნ ე გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ა. ვინც კაი სამართალი გაიჩინოთ, მომიჴსენეთ ღვთის გულისათჳს და თქუენც ღმერთმან მოგიჴსენოსთ“ (371v).

მინაწერები (მხედრულით): 1. „ესე სამართლის წიგნი თავადი ქ ა ი ხ ო ს რ ო გ ი ო რ გ ი ს ძ ი ს ა ბ ა შ ი ძ ი ს არის, ღმერთმან გამარჯობაში მოახმაროს“ (226r). ასეთივე მინაწერია: 225r, 305v, 371r-ზე და ზემო ყდის საცავ ფურცელზე.

2. „ეჰა, მსაჯულო, რას იტყვი მას დღესა განკითხვისასა,
სად შენი შიში არ იყოს, შენ შიშსა იყო სხვისასა,
ქედმოდრეკილსა გკითხვიდე შენის საქმისა ძვრისასა,
და სამწყსოთა შენთა მოვლასა და მათსა განკითხვისასა“ (305v).

(1336) **3357**

სამართლის წიგნები. XIX

49 ფ.; 14×14,5; ქაღალდი; ქაღალდის ყდა, დაზიანებული, შემორჩენილია მხოლოდ ზედა ნაწილი; მხედრული; [XIX].

1. [ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი] — „ა. ამას გკადრებთ და მოგახსენებთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალშიდ მჯდომს კაცს...“ 1r—45r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს ვახტანგ VI სამართლის წიგნის C რედაქციის ნუსხას (იხ. თ. ე ნ უ ქ ი ძ ე, ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 35).

2. ტექსტს აკლია შესავალი (შდრ. დასახ. გამოცემას, გვ. 45—47).

3. ხელნაწერს ბოლოში ერთვის ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს სამართლის წიგნის მუხლებრივი საძიებელი (47v—49v).

2. [ს ა მ ა რ თ ა ლ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა]. — „ა. ჩვენ სახელითა ღუთისათა ქრისტეს მიერ კურთხეულმან კათალიკოზმან ე ვ დ ე მ ო ნ მ ა და ქართლის კათალიკოზმან მ ა ლ ა ქ ი ა...“ 45r—47v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, ტფილისი, 1913).

მინაწერი (ყდაზე): მიწერილია მუხლები ბერძნული და სომხური კანონებიდან.

(1337) **3358**

საქრისტიანო მოძღვრება. XIX

135 ფ.; 17×10; ქაღალდი; უყდო; მხედრული; თავ-ბოლო ნაკლული; [XIX]; დაუწერელია: 1v.

[ს ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა]. — „...ცხოვრების ღირსი შევიქმნა. კ. როგორ შეგვიძლია ღმერთის სამსახური, რომლით საუკუნო სიცოცხლის ღირსი გავხდებით?..“ 1r—135v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მ. ჳე, ამიტომ კაცი თავის უფალი თუ არ იყოს, არცა კეთილი საქმე და არცარა ბო...“.

შენიშვნა: ტექსტი კათოლიკურ საქრისტიანო მოძღვრებას წარმოადგენს.

მინაწერები: 1. „Кикнавелидзе“ (31r).

2. „კიკნავ. პან.“ (135v).

(1338) **3359**

აპოთეგმები. 1822

49 ფ.; 34×20,5; ქაღალდი, ლურჯი; უყდო; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაკლული; 1822 წ. (22v); გადამწერი — ლუარსაბ თარხნიშვილი (22v); ჭვირნიშანი: 1820.

1. [ს ი ტ ყ უ ა ნ ი დ ა ს წ ა ვ ლ ა ნ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ი ფ რ ი ა დ მ ა რ გ ე ბ ე ლ ნ ი ს უ ლ ს ხ ე უ ლ ო ბ ი თ ო რ კ ე რ ძ ო ვ ე, ძ ვ ე ლ ი ს ა დ ა ა ხ ლ ი ს ა წ მ ი ნ დ ა თ ა წ ე რ ი ლ თ ა გ ა ნ რ ჩ ე ვ ი თ გ ა მ ო კ რ ე ბ უ ლ ნ ი: კ ლ ე მ ა ქ ს ი ს ა გ ა ნ, დ ი დ ი ს ა ბ ა ს ი ლ ი ს ა, დ ა გ რ ი გ ო ლ ი ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა, დ ა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა, დ ა მ ა მ ი ს ა ე ფ რ ე მ ი ს ა, დ ა მ ა ქ ს ი მ ე ს ი, დ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ა მ ა თ ა ს ა, დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა წმინდათა მღვდელთ-მოძღვართა მამათა, მოციქულ-წინასწარმეტყუელთა, სოლომონ და ზირაქისა და გარეშე წიგნთა: პლატონ, სოკრატი და მენიანდროს, და სხვათა ფილასოფოსთა მიერ თქმულნი]. — „...ნუ განიკითხამ, რამეთუ სასჯელი ღვთისა უცნაურ არს კაცთაგან...“ 1r—22r.

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია S—2434 ხელნაწერის მიხედვით. S—3359 ხელნაწერს თავში აკლია 1 ფ. და S—2434 ხელნაწერთან შედარებით იწყება 2v-დან. აკლია აგრეთვე 1 ფ. 7v-სა და 8r-ს შორის.

2. ამ თხზულების ბოლოს გადამწერის ხელით მიწერილია: „აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერო ბრძანებითა საქართველოს მეფისა ვახტანგის ძისათა მოსკოვსა შინა“ (22r). თარგმანი შესრულებულია რუსულიდან, მოსკოვში, ბაქარის თანამედროვის მიერ (იხ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1959, გვ. 26).

2. „აპოთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესისა მასწავლელთა სიტყვათა წიგნი სამი, ხოლო მათ შინა არიან დადებულ თვითეულნი კითხვა-მიგებანი, ცხოვრება და ქცევა დაიგავნი (რომელ არიან სახისმეტყველებანი) და მეტყველება სხვათა და სხვათა ფილასოფოსთა. ა. „შემოკლებულთა სიტყვათა და მიგებათა წიგნი პირველი, სწავლა სოგრატისა. — კეთილის კაცის წესი არ არის კაცს პირში აქებდეს და უკან სძრახევდეს...“ 22v—45v.

ბ. „მოკლედ გამოკრებულნი ამბავნი, წიგნი მეორე, რომის კეისრებისა, სხვათა მეფეთა, მთავართა და მხედართ მთავართასა. — ივლიანე მეფემან ინება ნავითა მიმოსვლა ზღვასა შინა...“ 45v—48v.

გ. „წიგნი მესამე, რომაელთა(!) შინა არიან ამბავნი ლაკედემონელთანი. — ლაკედემონელნი ყოვლითა რიტორებითა აღმატებოდნენ და მასვე სწავლობდნენ, რათა მოკლე სიტყვითა მრავალნი საქმენი შემოეზღუდათ...“ 49r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი შედგენილობის მიხედვით „აპოთეგმატას“ ვრცელ რედაქციას განეკუთვნება (იხ. ლ. ძოწენიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 37—41).

2. „აპოთეგმატა“ რუსულიდან უთარგმნია მოსკოვის კოლონიის ერთ-ერთ მოღვაწეს ერასტი თურქისტანიშვილს ვახტანგ VI დავალებით (იხ. ლ. ძოწენიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 38).

ანდერძები: 1. „აპოთეგმატას“ უძლვის: „და აწ გადმოვსწერე მე წელსა ჩყკბ დეკენბრის იბ დღესა. თავადი ზაზა ძე ლუარსაბ თარხნიშვილი მოურავი“ (22v).

2. „დასრულდა წიგნი ესე სეკდენბრის იწ დღესა, ჩყკბ წელსა. ლუარსაბ თარხანოვი“ (49r).

მინაწერი: „ცარიელი და დაწერილი, კლემაქსი, ფურცელი ნვ. ორმოცდათექვსმეტი“ (49v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1339) **3360**

სეილანიანი. 1850

103 ფ.; 16×10,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ყდაზე დაკრულია ტვიფრული ქაღალდი გამოსახულებით; გამოსახულება გადალეულია; მხედრული, მელანი ყავისფერი (1r—94r) და ლურჯი (94v—103v), სათაურები სინგურით; ნაკლული; 1850 წ. (1r); გადამწერი: ბესარიონ შავდია (1r).

„ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ე ი ლ ა ნ ი ს ა. — სეილანმან უბრძანა თჳსს დევებს: რომელი იხილეთ, მან დამჭრა მეცა და მხეციცაო...“ 2r—103v.

წ ყ დ ე ბ ა: „...იყო სიუხვე გაცემისა, მრავალი კაცნი განამდიდრეს...“.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: „ამის დაწყება პირველისა ერთი ფურცელი სიძველისა გამო დაკარგულ არს, რომელ სეილანმა ვითარ ჩინეთის ხელმწიფე ვეშაპისაგან გარდაარჩინა და ვეშაპი იგი როგორ მოკლა და ანუ მისი დევებნი რა დროსს შეეშველნენ, რომელიც შემდგომი პირველისა იწყების“ (2r).

2. „სეილანიანი“ თარგმნილია ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. ა) კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 260. ბ) გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, სეილანიანი და რაინდული რომანის ზოგი საკითხი, ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 1956, გვ. 257—276).

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა წიგნი ესე სახელწოდებითი ს ე ი ლ ა ნ ი ს ა ნამდვილსა ზედა უმეტნაკლოდ **18**-სა ნ ო ე მ ბ რ ი ს თჳს **1850**-ის წლისას, რომელიცა ეკუთნჳს კეთილ წარმატებასა შინა ბ ე ს ა რ ი ო ნ შ ა ვ დ ი ა ს. აღიწერა მის მიერ მცირეწლოანებისა თჳსისა 18$^{10}/_{18}$50“ (1r).

მინაწერები: 1. „ლ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი“ (1r).

2. ქვედა ყდაზე დაკრულ ქაღალდზე: „Принадлежит Сие К. Д. В и с с а р и о н Ш а в д и я 18 $^{10}/_{18}$ 50 г.“.

(1340) **3361**

სომხური ლოცვანი. XVIII—XIX

26 ფ.; 17×10,5; ქაღალდი, ლურჯი; უყდო; მხედრული; დასაწყისები სინგურით; თავ-ბოლო ნაკლული; [XVIII—XIX].

[ს ო მ ხ უ რ ი ლ ო ც ვ ა ნ ი]. — „ქ. ტნჩალუიდ ტსლიანბ ტურინძ აგინალ ტერ ისუს ქრისტუს...“ 1r—26v.

წ ყ დ ე ბ ა „...ხანუთიანმნ ვურ ტვიალე ქიზ არძაკია ზის იკაპიც მღაციუმც აღაჩიმ ზქიზ...“.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი სომხურია, დაწერილია ქართული მხედრული ტრანსკრიპციით.

(1341) **3362**

კრებული. XIX

23 ფ.; 17×10,5 (1—11 ფფ.), 17,5×12 (12—23 ფფ.); ქაღალდი; უყდო; მხედრული; ნაკლული: მე-10 და მე-11 ფფ.-ს შორის ამოხეულია ფურცელი; [XIX]; აქვს ჭვირნიშანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. [ავგაროზი]. — „...მისი ექმნება. მრავალი არიან ცათა. ყოველნი იგი მიუტევენ, რაოდენიც მოინანონ შეცოდებანი...“ 1r—v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს წერია: „...რომელიცა გადასწერენ და შეინახვენ თავიანთ სახლში დიდი კეთილი მორწმუნებითა, არ[ა]ს დროს ბოროტი სახლში, არცა ცეცხლი, არცა მეხი, არც მომკლელი სენი, არც სხვა მომქმედობა ვერ მიეწიოს მას“ (1v).

ანდერძი: „ვინც ეს წიგნი წაიკითხოს, თითო შენდობა უბნძანეთ(!) დამწერს ამ წიგნისას“. ქვევით გამოსახულ ჯვარში ჩაწერილია: „ჯვარი ქრისტესი ეს არის...“ (1v).

2. „წმინდისა კვირიაკისა საკითხავი. — მცნება უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, რომელი მოიწია რომსა ნათლისა, დგას მას ზედა...“ 2r—11v.

წყდება: „...შეინანეთ, ცოდვილნო, ცოდვანი თქვენნი: კაცისა კვალნი(!), რუშებნი(!), სიძვანი, მპარველნი, ამპ[ა]რტავანებანი, სვინისდისით(!) შეცოდებანი, ნათესავთ შეგმნებელი(!), ყოველნი ცილისმწამელნი, ბილწნი...“.

3. „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარისაგან მოწაფესა, მოწაფე კითხავს და მოძღვარი ასწავლის. —

მწ. ვინ არის ღმერთი ანუ რა შეუძლიან?

მძ. ძლიერი არის და ხელმწიფე დიდებული, ყოვლისა ხილული და უხილავი ცათა და ქვეყანისა შემოქმედი...“ 13r—23r.

წყდება „...**მწ.** სული წმიდა რასათვის ითქმის?

მძ. მისთვის ითქმის მამისაგან...“ 23r.

შენიშვნები: 1. ძირითად ტექსტში 18v-დან 22r-მდე ჩართულია [განზრახვანი].

2. მთლიანად ტექსტი დაულაგებელია და ენობრივადაც გაუმართავი.

3363

ზურაბ წერეთლის წერილები. გადატანილია ზურაბ წერეთლის არქივში (№ 10).

(1342)

3364

ავგაროზი. XVIII

1 ფ. (გრაგნილი); 190×8,5; ქაღალდი, ლურჯი, დაზიანებული, კიდეებშემოცვეთილი; ტექსტი ზოგან გადალეულია და აღარ იკითხება; მხედრული; სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII].

[ავგაროზი]. — „...[პირველითგან იყო სი]ტყუაჲ იგი, ესე იყო პირველითგან ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი...“.

შენიშვნები: 1. „ავგაროზში“ შესულია შემდეგი ლოცვები:

ა. „ლოცვა ანგელოზისა მიმართ მცველისა სულთა და ჴორცთა ჩვენთა სამარადისო“.

ბ. „სხვა ლოცვა სავედრებელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. „ლოცვა უქმურისა სამას სამოცდახუთის ჭირის განმაქარვებელისა“.

დ. „ლოცვა კვვეთებისა(!)“.

2. „ავგაროზი“ გადაწერილია „ს ე ს ი კ ა ს თ ვ ი ს“, შემდგომ „ს ე ს ი კ ა“ გადაუხაზავთ და ფანქრით მიუწერიათ: „მ ი ხ ა ი ლ ი“.

3. დართული აქვს ილუსტრაციები:

ა. ღვთისმშობელი მარიამი ყრმა იესოსთან ერთად. სურათზე ასომთავრულით წარწერილია: „ყოვლად წმიდა იესუ ქრისტე“.

ბ. თეთრ ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგი.

(1343) **3366**

ომანიანი. XIX

109 ფ.; 21×16,5; ქაღალდი (თეთრი და ლურჯი); ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; ბოლოში აკლია ორი-სამი ფურცელი. ხელნაწერის ფურცლები: 21r—24v ცუდადაა აკინძული, თანმიმდევრობაა დარღვეული; [XIX], ჭვირნიშანი: 1809 წ., 1807 წ.

„ს ჯ ვ ა[!] ა[მ]ბ ა ვ ი დ ა ს[ა]წ ყ ი ს ი ტ ა რ ი ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს ს ა რ ი დ ა ნ ი ს ძ ი ს ა, ო მ ა ი ნ ჭ ა ბ უ კ ი ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ზედა მოაბამს ვეფხვის ტყაოსნობას. ამბის დასაწყის[ი], რომელთა მიერთაგან მოიღეს სიტყვანი მოჯსენებად. —

„დიდება შენდა, დიდება, ღმერთო, ყოველთა მპყრობელო,
ჩვენთა უღირსთა უცნობთა ენითა მიუპყრობელო...“ 1r—109v.

წ ყ დ ე ბ ა: „....ეს ამ ერთის ხელით მრავალს კაცს მოერევის და ქვეყანას ამოსწყვეტს...“.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემულია (იხ. ომაინიანი, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, ტფილისი, 1937). გამოცემაში S—3366 ხელნაწერი არ არის გამოყენებული. რედაქციულად ეს ხელნაწერი მისდევს S—3163 ხელნაწერს, რომელიც გამოცემაში C ლიტერითაა აღნიშნული.

2. ხელნაწერის დასაწყისში პირველი ოთხი ფურცელი მერმეა ჩამატებული, დაწერილია გაკრული ხელით და ტექსტიც გაუმართავია. 2v-ზე გაშვებულია ადგილი 12—13 სტროფებისათვის (შდრ. დასახ. გამოცემას, გვ. 2).

3. აღწერილია ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. Описание, I, გვ. 571, ხელნაწერი № 90).

მინაწერები (სხვა ხელით): 1. ზედა ყდის საცავ ფურცელზე:

ა. „ს ვ ი მ ო ნ ს ზ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს(!) მიეცა გ ლ ა ხ ა, აგვისტოს კთ დღე იყო, სამშაბათი, მთვარე სამსა **ჩყგ**“.

ბ. „ს ე ლ ო ზ ნ ო ვ ს ი ო ს ე ბ ს მიეცა ქალი სეკდებერსა **ივ ჩყლგ** წელსა“.

გ. „ს ვ ი მ ო ნ ზ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ს ა მიეცა ქალი მ ი კ ო (სახელი ჩაწერილია სხვა ხელით) აპრილს ცამეტსა, დღე იყო ხუთშაფათი, მთვარე ექსის დღისა, **ჩყლგ** წელსა“.

2. მინაწერებია ფანქრით ზედა ყდის საცავ ფურცელზე და 8r-ზე.

(1344) **3398**

წერის დედანი. XIX

12 ფ.; 21×33; ქაღალდი; ზედა ყდა არა აქვს, შემორჩენილია ქვედა ქაღალდის ყდის ნაწილი; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; ნაკლული; შემდგენელი: [ტარასი არხიმანდრიტი]; [XIX ს.], ჭვირნიშანი: 1831 წ., 1832 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. 1r-ზე მოცემულია: ა. თხზული დაწერილობის ნიმუში.
ბ. ასომთავრულით ნაწერი ტექსტი.
გ. შუაში ანგელოზის გამოსახულებაა.
2. 2r-ზე დასმულია სამი ბეჭედი: „Библиотека Бутикашвили“ № 3“.
3. ამავე ტექსტს შეიცავს ხელნაწერი S—5127. ორივე ხელნაწერი დაწერილია ერთი ხელით. S—5127 ხელნაწერის ყდაზე ფანქრით წერია: „ტარასი არხიმანდრიტის შედგენილი“. ამის მიხედვით S—3398 ხელნაწერისთვისაც აღვადგინეთ შემდგენელი ტარასი არხიმანდრიტი.

(1345) **3428**

სტეფანოზ ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება. XVIII

37 ფ.; 21×15; ქაღალდი, ტვიფრული ტყავის ყდა; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; აკლია ერთი ფურცელი 4v-სა და 5r-ს შორის; გადამწერი: [ჩაჩიკაშვილი]; [XVIII]; აქვს ჭვირნიშანი.

[სტეფანოზ ორბელიანი], „ცხოვრება დიდისა მისთვის პირველმთავრობისა ორბელიანთასა, თუ ვინა იყვნეს იგინი და ვითარ ანუ მოსლვისათვის მათისა ქვეყანასა ამას და მრავალთა სიტყვათა და საქმეთა დაფრიადთა მითხრობათა მათთვის. — დასაწყისსა მას პირველ მთავრობისა ქვეყანისა სომხითისა და ქართლისა და ნათესავთ მთავრობასა ჩვენისა ამის ტომისასა პირველად თარგამოზისასა იყვნეს მისსა ძენი რვანი მსგზავსნი გმირთანი...“ 1r—37r.

შენიშვნები: 1. 15v-სა და 28v-ზე რვაკუთხიანი ბეჭედია დასმული: „გიორგი“, წერია ქართულად და სპარსულად. ბეჭდებია დასმული აგრეთვე: 17r-ზე, იკითხება „რევაზ“; 29v-ზე — „თინათინ“; 33v-ზე სპარსულად წერია: „მოჰამედ სალეჰ“.
2. 1r, 2r და 37r-ზე დასმულია ბეჭდები: „Библиотека Бутикашвили“.
3. 37-ე ფურცლის ბოლო ნაწილი, სადაც გადამწერის ანდერძია მოსალოდნელი, წაჭრილია. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს (კორნელი?) ჩაჩიკაშვილის ხელით (შდრ. ხელის მიხედვით H—929 ხელნაწერს).
4. „ორბელიანთა ცხოვრება“ A—864 ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ (იხ. „საისტორიო მოამბე“, № 6, 1952, გვ. 33—84). ჩვენი ხელნაწერი რედაქციულად განსხვავდება გამოცემული ტექსტისაგან.

ანდერძი: „ხოლო სრული და წრფელი ცხოვრება ნათესავისა ორბელიანთასა სახოან ვქმენით ვარდან წინამძღვრისა იოვანესითა, ტიფხის(!), ქრისტეს აქეთ ჩქპბ“ (37r).

მინაწერები: 1. „დივანბეგის ორბელიანის დაწერილია“ (37v).
2. 37v-ზე კრიპტოგრამაა.

(1346) **3430**

შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. XIX

131 ფ.; 35,5×21; ქაღალდი; ყდიანი, ახლად აკინძული; მხედრული; ნაკლული; დასაწყისი ფურცლები დაზიანებულია; დაუწერელია: 3r—4v, 8v—9r, 85v; [XIX].

ეროვნული ბიბლიოთეკა

[შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი]. —
„სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი,
პოვე, მოდი გამარჯვებით, მხიარული მოუბარი...“ 2r—131v.

შენიშვნები: 1. ტექსტი მისდევს ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“. დასაწყისში ამ გამოცემის მიხედვით აკლია 130-ე სტროფი. ბოლოში ერთვის:

ა. მესტამბის ბოლოსიტყვაობა ლექსად.

ბ. „თარგმანი პირველი წიგნისა ამისა ვეფხვის ტყაოსნისა, თქმული ბატონიშვილის გამგებელი პატრონის ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა. — მე ვსწერ ძმის წული მეფისა გ ი ო რ გ ი ს ა და ძე ლ ე ვ ა ნ[ი ს]ა, გამგებელი ქართლისა ვ ა ხ ტ ა ნ გ წიგნსა ამას...“ (130v—131r). წყდება სიტყვებზე: „...რომელმა მიხედოს დედაკაცსა გულისთქმად შემდგომითურო, მაგრა...“ (შდრ. ვახტანგისეული ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, აღდგენილი ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, ტფილისი, 1937 წ., გვ. სჳვ—სჳზ).

2. 5r, 25r და 131r-ზე დასმულია ბეჭდები: „Библиотека Б у т и к а ш в и л и“.

3. აღწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. Описание, II, გვ. 560, ხელნაწერი № 321).

მინაწერი: „ჩყოვ წელსა ი ა ნ ვ რ ი ს.... გაფუჭდა“ (131v).

(1347) **3441**

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. 1841

112 ფ. (224 გვ.); 34×21; ქაღალდი დალაქავებული, ზოგიერთი ფურცელი გახეულია; ქაღალდის ყდა (ქვემო ყდა არა აქვს); დაშლილი, ბოლონაკლული; მხედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; 1841 წ. (გვ. 1).

[რ უ ს თ ა ვ ე ლ ი შ ო თ ა, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი]. „აქა ამბავი დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად სწავლისათვის მოშაირეთასა ტ ა რ ი ე ლ ი ს ა და ნ ე ს ტ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს ა. ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. დავიწყე ჩყმა-სა დღესა(!), თებერვლის კა დღესა. —
რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“ გვ. 1—224.

წ ყ დ ე ბ ა: „...ავთანდილ და ფრიდონისთვის ორნი ტახტნი დამზადნეს,
ზედა დასხდეს ჴელმწიფურად, დიდებანი უდიადნეს
ღ~თმან სხვანი ხორციელნი მათებრიღა რათ დაბადნეს
და ამბობდიან ქირთა მათთა ყველა კაცსა გაუცხადნეს...“.

შენიშვნები: 1. ტექსტი წყდება 1578³ა სტროფზე. იხ. „ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დაურთო ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა. თ ბ ი ლ ი ს ი. 1948 წ.“.

2. ხელნაწერი ვრცელი რედაქციისაა.

3. ხელნაწერს აქვს ანბანური პაგინაცია.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს, იხ. „Описание“, ტ. II, გვ. 560.

ანდერძი: „წელსა ჩყმა-სა, მაისის იე დღესა მოვიწყე ესე ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, რომელიც იქით პირზე სწერია. იმ თვეში აღარ მამცა პატრონმა, რო მეწერა და მაისში დავიწყე“ (ზემო ყდის v).

მინაწერები: 1. „Д а в и д а Л а з а р о в и ч а Е г и к о в а принадлежит“ (ზემო ყდის v).

2. „1849-ს წელსა თიბათვის თვეში დავიწერე ჯვარი ღვთის შეწევნითა და უფალმა გვაღირსოს ბედნიერობა და ვაჟიანობა. ა ნ დ რ ე ი ე ღ ი კ ო ვ ი“ (ზემო ყდის v). იხ. აგრეთვე მინაწერები: ზემო ყდის v-ზე.

(1348) **3442**

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. 1849

115 ფ.; 32,2×21,5; მწვანე ფერის გახუნებული ქაღალდი; კოლენკორგადაკრული ყდა (ახალი გაკეთებული); ნაკლული; მხედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; 1849 წ. (112v); გადამწერი: ყორღანოვი სიმონ ივანეს ძე (112v); ადგილი: ტფილისი (112v); დაუწერელია: 57r, 113r—115v; შეძენილია ტიტე კახიძისაგან.

[რ უ ს თ ა ვ ე ლ ი შ ო თ ა, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი]. „ამა ანბისა დასაწყისი პირველათ ამო და სასმენელათ შვენიერია სწავლისათვის მოშაირისა ტარიელისა და ნესტანდნარეჯანისა, ამ წიგნს ვეფხვის ტყაოსნობითა იხმობენ. — რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1r—112v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ვრცელი რედაქციისაა.

2. 2v-სა და 3r-ს შორის აკლია ერთი ფურცელი, 1937 წლის გამოცემის მიხედვით სტროფები 32—46.

3. 57r დაუწერელია, ეტყობა დედანს აკლდა სტროფები: 861—865 (იხ. ვეფხისტყაოსნის 1937 წ. გამოცემა).

4. ხელნაწერი ძველი პაგინაციის მიხედვით 22-ე გვერდით იწყება.

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. „Описание“, ტ. II, გვ. 559).

ანდერძი: „დიდება ღმერთსა. აღიწერა ეს ვ ე ფ ხ ვ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი ქალაქსა ტ ფ ი ლ ი ს ს ა ხელითა კოლეჟსკის რეღისტრატორი ს ი მ ო ნ ი ვ ა ნ ე ს ძ ე ყ ო რ ღ ა ნ ო ვ ი ს ა თ ა. დაიწყო გარდმოწერა 1849-სა წელსა ღვინობისთვის 18-სა. გადავდა(!) წერა 1850-სა ახალ წელიწადსა დღესა“ (112v).

(1349) **3443**

დავით ბატონიშვილი, გრამატიკა. 1792

86 ფ.; 20,5×15,5; ქაღალდი (შეყვითლებული, დაჩვრეტილი ჭიისაგან); ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა, ყავისფერი; მხედრული, სათაურები და დასაწყისები ნუსხურით; 1792 წ. (86r), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: დიაკონი გიორგი (86r); დაუწერელია 2v, 4v, 5v; შეძენილია იოსებ კალანდაძისაგან.

[დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გ რ ა მ ა ტ ი კ ა] — „თჳს ღრამმატიკაჲსა და ნაწილთა მისთა, თავი **ა.** — **კი.** რაჲ არს ღრამმატიკა? **მი.** ღრამმატიკა არს შემძლებელობა მართლ-უბნობად და წესიერ-წერად...“ 6r—86r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. შესავალი. „მისს უმაღლესობას სრულიად ზემოჲსა საქართუჱლოს მეფესა ი რ ა კ ლ ი ს, ყოვლად უმაღლესს და უმოწყალესს ჴელმწიფეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაჲთგან ჴმაჲ მიზეზი შრ[ო]მისა ჩემისა ესე არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა იყოსმცა გზაჲ სლჳსა ჩუჱნისა, ამის გამო აღმძრა ერთგულებითმან სიყუარულმან თქუჱნმან და ერისა თქუჱნისამან, ვინაჲთგან მოუცალეობასა ქუ-ჱშე შევრდომილ-არიან ერნი თქუჱნნი და არა აქუსთ მოცალებაჲ დროისა ძლით მიზეზისა ერთა ქართლოსიანთა, რათამცა აზნაურებითთა ხედუათა გინა ფილასო-ფიათა იყუნენ შემეცნებულ ანუ ზედ-მიწევნილ, ამის გამო ვჰყავ შრომაჲ. შემო-ვიხუჱნ და შევჰსთხზენ ადვილ-გასაგონი ესე ძუჱლთაგან და ახალთა ღრამმატი-კათა კითხუა-მიგებითი მცირე ესე წიგნი, რომელ-არს გზაჲ სიბრძნისა, გინა კლი-ტეჲ მეცნიერებისა, რათა ამის მიერ შემეცნენ, გინა ზედ-მიწევნილ იქმნენ გუ-ართა ოთხთა მოძღურებითთა და რუათა სიტყჳსა ნაწილთა ღრამმატიკაჲსათა და სჳნტაქსებრ თანჴმობათა და ეგრეთვე ხუთთაცა მათ მარტივთა ჴმათა პ ო რ ფ ი-რ ი ო ს ფ ი ნ ი კ ე ლ ი ს ა თ ა, რომელნიცა საჭიროდ ემდევრებიან საზღუართა, რომლისაცა არა ჯერ-იყო დატევებად. გარნა წინაშე უმაღლესობისადმი თქუჱ-ნისა კადნიერ ვიქმნები და ვითხოვ: უკეთუ ჰპოვოთ რაჲმე შეცთომაჲ, მაქუს იმე-დი მოტევებისა ამის გამო, ვინაჲთგან ჰასაკითა სწავლისათა ვარ გამოუცდელ და ამისგამო თუმცა ძალი დამაყენებლობითი მექმნებოდა დაბრკოლებად, გარნა მო-ნებრითმან ერთგულებამან თქუჱნმან და სიყუარულმან ერისა თქუჱნისამან ჰსძლო დამაყენებელსა მას ძალსა და ჴელ-ვჰყავ შეთხზვად რაოდენ ძალ-მედუა, რომელსაცა ეწოდების საფუძუჱლი სიბრძნისა, გინა კლიტე მეცნიერებისა, რო-მელიცა არა მცირესა ბედნიერებასა შეატყუჱბსთ ერთა თქუენთა, არა თუ მხო-ლოდ მათ, არამედ მეცა... ამისთჳს, ვინაჲთგან უჩუჱნებს გზასა და კარსა აზნაუ-რებითისა ხედჳსასა; და მე ამისთჳს, ვინაჲთგან სურვილი სამსახურისა თქუჱნისა და გულს-მოდგინება ჩემი ამით აღმოჩენილ-იქმნების უმაღლესობისა თქუჱნისა წინაშე. მისის უმაღლესობისა და მოწყალისა ჴელმწიფისა უმდაბლესი მონა მათი ძის ძე დ ა ვ ი თ“ (3r—4r).

ბ. თავფურცელი მთავრული წარწერით: „დ ა ვ ი თ ი ს მიერ დავითიან-ბაგ-რატიონისა ი რ ა კ ლ ი მეორისა პირმშო ძის გ ი ო რ გ ი ს პირმშოს ძისაგან ჴელ-ხებაჲ წელსა **ჩღჟ,** ხოლო ქართულსა ზედა **უოჱ,** სამეუფოსა ქალაქსა ტ ფ ი-ლ ი ს ს“ (2r).

გ. ზანდუკი: „კითხუა. — პირველსა დაწყებასა ღრამმატიკისასა რაჲსა ჴმარ-არს ცნობად...“ (5r).

2. გრამატიკის ძირითად ტექსტს თან ახლავს დავითის სქოლიოები წარწე-რით „დ ა ვ ი თ“ იხ. მაგ.: 6r, 7r და ა. შ.

3. 82v-ზე მოთავსებულია სქემა „უნათესავესი ნათესავი“.

ანდერძი: „სრულ ვჰყავ წიგნი ესე, რომელ-არს ს ი მ ე ტ ნ ე ღ რ ა მ მ ა ტ ი-კ ა ჲ ს ა მისის უგანათლებულესობის მეფის ძის დ ა ვ ი თ ი ს მიერ ქმნილი, მის-მან უუმონაესმან მწერალმან დ ი ა კ ო ნ მ ა ნ გ ი ო რ გ ი. ოკდომბერს 13, ქრის-ტეს აქეთ 1792“ (86r).

მინაწერები: 1. „აზნა[უ]რი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ე ლ ი ა ვ ა პ ა ვ ლ ი ე ვ. **ჩყლთ** $\frac{ა}{3}$-სა“ (1v).

2. „აზნაური ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ე ლ ი ა ვ ა პ ა ვ ლ ი ე ვ ი“ (2r).

3. „ესე ძველი ათინის ღრამატიკა ქართული ეკუთნის ტ ფ ი ლ ი შ ი მცხოვ-რებელი აზნაური ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე პ ა ვ ლ ი ე ვ ი ე ლ ი ა ვ ა ს ა. 18 $\frac{1}{20}$ 39“ (86r).

იხ. მინაწერები: 1r; 86v.

(1350) **3444**

ავალიშვილი გიორგი, ჴმაჲ ცოდვილისა (თქმული იამბიკოდ). 1836

59 ფ.; 20,5×17; ქაღალდი; შავი ფერის ტვიფრული ტყავგადაკრული მუყა-ოს ყდა (ზემო ყდა მოვარდნილია); მხედრული, ავტოგრაფი; 1836 (4r); დაუწე-რელია: 3r—v, 4v, 5v, 21v, 25v, 27v, 29v, 40v, 57r—59r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ავალიშვილი გიორგი». „ჴმაჲ ცოდვილისა, ანუ ალსარებაჲ ჩუჱნთვის ჯუარსა ზედა დამოკიდებულისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუჱნისა იესო ქრისტეს მიმართ. — სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა! ამინ...“ 7r — 56v.

შენიშვნები: 1. უძლვის: ა. თავფურცელი წარწერით:
„ჴმაჲ ცოდვილისა, ანუ ალსარებაჲ ჩუჱნთჳს ჯუარსა ზედა დამოკიდებულისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუჱნისა იესო ქრისტეს მიმართ იამბიკოდ, თავადისა გიორ[გ]ი ავალოვისა მიერ მოსკოვსა შინა **ჩყლვ** წელსა“ (4r); **ბ.** წარწერა: „ჴმაჲ ცოდვილისა ანუ ალსარებაჲ ჩუჱნთვის ჯუარსა ზედა დამოკიდებულისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუჱნისა იესო ქრისტეს მიმართ“ (5r); **გ.** ზანდუკი: „გათავებაჲ — ჴმაჲ ცოდვილისა...“ (6r—v).

2. ერთვის: **ა.** „თხოვაჲ ყოველთა წარმკითხუჱლთა მიმართ იამბიკოთა ამათითათა.

ბუნებითთ ვალთა, ადრითუჱ გარდამჴდელთა,
ესრეთუჱ კუალად უმისოდ მიწას მჰსლველთა,
ნუ უკუჱ აწცა ჩემდამო ძჳრის მცველთა,
ვვედრი ქმნად ჩემდა, საქმეთა საქებელთა,
მოტევებითა, ვის რაც ვჰსცოდე ყოველთა.
მთხოველი ამის ვჰსწერ ამას გულით წრფელით
ძჳრ-შემამთხუჱველთ ჩემსა ენით ან ჴელით,
ვუტევებ ყოვლთა, გრძნობითა სრულ და მრთელით,
მსასოე ნაცვლის მათთაგან ცრემლთა დენით,
ამას ვლალადებ, გონებით სიტყვიერით.
ცოდვილი გიორგი ავალოვი“ (56v).

ბ. გ. ავალიშვილის შენიშვნები, მაგ.: „ევა — წოდებაჲ ესე მოვიღე აქა ნაცვლად სახელისა მეუღლისა ჩემისა ელისაბედისა, თავადისა დიმიტრის ბაგრატიონის ასულისა, შუჱნიერებისათვის ლექსთა შექსჳსა“ (20v). იხ. აგრეთვე 15v, 44r, 46r, 56v.

3. ხელნაწერს აქვს ანბანური პაგინაცია.

(1351) **3445**

ფიზიკა. XIX

114 ფ.; 21×17,5; ლურჯი ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, დასაწყისები ნუსხურით; [XIX ს.], ჭვირნიშანი: 1815 წ. (110r); დაუწერელია: 1r—3v, 110r—114v; შეძენილია ვახტანგ თულაშვილისაგან.

„შემოკლებული ფისიკა. ნაწილი პირუელი სხეულთათჳს და თჳსებათა მათთა საზოგადოდ. თავი I. — უმთავრესთათჳს თჳსებათა სხეულისათა, § 7. სხეულსა ნივთისათჳს, რომლისაგანცა წარმოსდგების, აქუს განფენილებაჲ...“ 5r — 1109v.

შენიშვნები: 1. უძლვის: „შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი. შესავალი, ანუ წინა-სიტყუაობა. — ფილოსოფია ბუნებითი, ანუ ფისიკა არს ცნობა ბუნებითთა ნივთთა...“ (4r—v).

2. ტექსტს ახლავს სქოლიოები ანტონის მიერ გაკეთებული წარწერით: „ანტონი“ (იხ. გვ. 5r, v, 6r—v და ა. შ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „ფიზიკა“ თარგმნილი და გადამუშავებულია ვოლფის წიგნის რუსული თარგმანიდან ა ნ ტ ო ნ I-ის მიერ. იხ.: ტრ. რ უ ხ ა ძ ე, „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. თ ბ ი ლ ი ს ი, 1960 წ. გვ. 239.

(1352) **3446**

ავგაროზი. 1865

74 ფ.; 5,5×4,5; ქაღალდი; ნაჭერ-გადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1865 წ. (68r); გადამწერი პრიჩეტნიკი ალექსი გიორგის ძე გელაძე (66v); დაუწერელია: 1r—9v, 12v, 73r—74v; შეძენილია ლევან მეტრეველისაგან.

[ა ვ გ ა ʼრ ო ზ ი] — „ლოცვა შეგინებულისა. უფლისა მიმართ ვილოცოთ...“ 1r — 72v.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: 1. ლოცვა შეგინებულისა (1r—14v); 2. ლოცვა მუცლის ტეხისა (15r—16r); 3. ლოცვა ალდაცემულისა (16v—20v); 4. ლოცვა ცხროსა (21r—24r); 5. ლოცვა ქაჯისა (24v—29v); 6. ლოცვა თვალყბისა (30r—32r); 7. ლოცვა მისივე თვალ-ყბისა (32v—36r); 8. ლოცვა თვალყბისა ჟამისა და უჟმურისა (36v—43v); 9. ლოცვა ჟამისა და უჟმურისა (44r—47r); 10. ლოცვა ძუძუს ტკივილისა (47r—49r); 11. ლოცვა გველ-ცემულისა (49v—50v); 12. ლოცვა გველ-ნაკბენისა (50v—51r); 3. ლოცვა — ვისაც ქაჯი შეეყაროს (51v—55v); 14. ლოცვა სამასსამოცდახუთის სენის და ჭირის განმაქარვებელი (55v—66r).

2. ერთვის ლექსი: „ოთხსა სიტყვას მოგახსენებ, ოთხსა ღვთისგან მოუშლელსა...“ (68v—72v).

ანდერძი: „ა ნ გ ა რ ო ზ ი ესე გადმოვსწერე მე ვ ა ყ ი ს ს ა მ რ ე ვ ლ ო ს პრიჩეტნიკმა ა ლ ე ქ ს ი გ ი ო რ გ ი ს ძ ე გ ე ლ ა ძ ე მ, მაგრამ, რადგან პატარათ შეკრული იყო, ამისთვის ხელში მოთავსება და დაწერა ძნელი იყო, და კარქს ხელზედ ვერ დავსწერე. ამისთვის, წამკითხველნო, ნუ დამძრახავთ, რადგან ძნელი არის ასე პატარა შეკრული წიგნის დაწერა. თვით პრიჩეტნიკი ა ლ ე ქ ს ი **ჩყჲე**-სა წელსა, აგვისტოს 5-ს“ (66v—68r).

(1353) **3467**

ცხენის კარაბადინი. 1791

66 ფ.; 34×21; ქაღალდი (ბოლოს ჩაკრული ორი ფურცელი განსხვავებული ქაღალდია); მუყაოს გაცვეთილი ყდა; ბოლო ფურცელი ამოვარდნილია; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; ილუსტრაციები: 15v, 17r—19v, 28r-v; 1788—1791 წ. (2r), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: ტფილისის სიონის დეკანოზი იოანე ოსეს ძე (2r); დამკვეთი: გიორგი XII (2r); დაუწერელია: 1v-r, 64v.

[ც ხ ე ნ ი ს კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი]. — „კარი პირველი. ჯოგისის შეყრისათვის, — ჯოგის საქმეს ასე ეცადე, გონიერო მეძიებელო ცხენთა და ცხენოსნობისაო,...“ 7r — 64r.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „ზანდუკი წინა-მდებარისა წიგნისა, რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა. — ჯოგის შეყრისათვის...“ (2v—6v);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. „მესავალი წიგნისა ამის წინამდებარისა, რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა, რომელი ქმნილ-არს ბრძენთაგან და დიდთა ფილოსოფოსთა ინდთასა, ბალდადელთა და მეგვიპტელთასა, ესე იგი არს ჯინაპიუს რუსუფისა და რაშიტისა. — შემოქმედმან ღმერთმან როდეს დაბადა სოფელი, პირველად ცაჲ და მერმე ქვეყანაცაჲ, აღამკო ურიცხვითა სიმრავლითა...“ (7r).

2. ხელნაწერს აქვს რვეულებრივი პაგინაციაც. სულ რვა რვეულია.

3. 7v—8v-ს კიდეებზე მოთავსებულია დამატებები სხვა წყაროებიდან, მაგ.: ასეთი: „საქართველოში ბედაური ცხენი ბევრი არის და იქნების, მაგრამ დედის სძით გაიზრდების და იმიტომ მალ დაილალვის, და მალ გაოფლიანდების, და მალ მოშივდების, და თუ თხისა და ზროხის სძით, და მეორე რომ დაგვიწერია ისე გაზდიდენ, არაბისტანშიაც არ იქნების უკეთესი ცხენი...“ (7v).

4. ცხენის კარაბადინი გიორგი XII-ის ბრძანებით სომხურიდან უთარგმნიათ: იოანე ოსეს-ძე [ბარათაშვილს], ტერ-პეტროსას, ტერ-ფილიპეს და მის ძეს ტერ-სამოელს, ხოლო არაბულ ენიდან სომხურ ენაზე მთარგმნელია ფარაჯი (იხ. ანდერძები).

5. ეს ხელნაწერი მისდევს H—2156-ს, რომელიც დაწერილია 1788 წელს იმავე იოანე ოსეს-ძეს მიერ, რომელმაც გადაწერა წინამდებარე ხელნაწერი.

H—2656-ის შესახებ იხილე ცალკე ამონაბეჭდი: К. Капанадзе, „О древних грузинских ветеринарных рукописях“, გვ. 447 და ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია) ტომი V, გვ. 112—113.

6. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. I, გვ. 690).

ანდერძები: 1. (არაბულიდან სომხურ ენაზე მთარგმნელის): „ითარგმნა უკუჱ ესე რიცხვსა სომეხთასა ცხრაას ორმოცდა ათსამმეტსა 953, რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა და სხვათა პირუტყვთა დაბასა სევასტიისასა, არაბის წერილისაგან სომეხთა ენასა ზედა. მრავალთა სიბრძნის მოყუარეთა და ფილოსოფოსთაგან თქმული, ჯნისა და აპიუსუფისა(!), და რაშიტისა და მრავალთა ჰინდთა და ბალდადელთა სიბრძნის მოყუარეთაგან, რომელთა სახელნი არა არნ აქა აღწერილ. აწ მე მცირემან მკურნალმან ფარაჯი, ბრძანებითა უფლისა ჩემისა მეფისა ქრისტესმოყუარისა სომეხთა მეფეთმეფისა სუმბატ სიბრძნის-მოყუარისათა ვსთარგმნე წიგნი ესე და დ~ბა ქრისტესა საუკუნოდ, ამინ“ (2r).

2. (მთარგმნელის და გადამწერის): „წელსა 1788, მაისსა თთვესა 18. ხოლო გვებრძანა ქართულსა ენასა ზედა გარდამოღებაჲ სომეხთა ვ~ემე ენით ყოვლისა საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა, პირმშოჲსა ძისა უგანათლებულესისა საქართველოჲსა მემკვიდრისა გიორგის მიერ, მღვდელსა ოსეს ძეს იოანეს და სომეხთა მღვდელსა ტერ-პეტროსს თვისსა ენასა ზედა ბრძნად განსწავლილსა, და აღვასრულეთ ბრძანებული; უკეთუმცა არა შესაფერ და არა თანამდებობა მღვდელთა იყო და სხუანი დიდად საჭირონი წიგნნი გარდამოღებად თანა-გვედვნეს, მაგრა ბრძანებამან უფლებრივმან და მამულისა სამსახურისა თანამდებობითა შეკრულებამან გვაიძულნა და რავდენისამე თავისა თარგმანებასა შინა დაშვრენ სიბრძნითა ვიდრემე პატივცემულნი ტერ-ფილიპე და ძე მისი ტერ-სამოელ, გარნა უმრავლესნი თავნი ტერ-პეტროსის მიერ ითარგმნნეს და ქართულსა ზედა ჴმაჲ მდაბიურითა ენითა მოხსენებულმან მღვდელმან იოანე შევაწყევ სასმენელად ყოველთა და მრავალნი ლექსნი სნეულებათანი და მათთა წამალთანი უცხოთა ენითა დაიწერნეს, ვინათგან არ მეცნიერ ვიყვენით ჩუენ ენისა მის და რომელნიმე ვჰსთარგმნეთ და შემდგომითი შემდგომად ვინცა-ვინ შემძლებელ იქმნნეთ თარგმანებად ლექსთა მათ, საჭიროება იძულებულ-გყოფსთ თქუენცა თარგმანებად, რომელთა თვისცა ადგილნი არიან დატევებულ.

თჳთ წიგნი ესე მე იოანე ოსეს ძემან, იკონომოს-დეკანოზმან ტფილისის სიონისამან აღვწერე ჴელითა ჩემითა ბრძანებითა ზემოჲსა მბრძანებელისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა, და შევაწყევ ძველი ვიდრემე კარაბადინი და ახალი ჩუენ მიერ თარგმანებული თჳს თჳსსა ადგილსა და რომელნიმე თავნი და მუჴლნი მისის უგანათლებულესობის პრინცის იოანე ბატონიშვილისა მიერ არიან პოვნილ, რომელი არს ძე ზემორე ჴსენებულისა მბრძანებელისა, რომელთაცა ზედა სახელი მისი იოანე არს დაწერილ კიდურსა ზედა.

სრულ-იქმნა აწ დაწერით წელსა ქ~ესსა ჩღჟა, აგვისტოს კგ" (2г).

მინაწერები: 1. „ჩყკდ მარიამობის თვისა პირველსა დღესა ქალაქში მოიყვანეს მაღალი კაცი.

ჩყკდ ამავე რიცხვში მოიყვანეს ასან-ხანი ქალაქში და სარვაზები.

ჩყლ მარიამობისთვისა პირველს გაჩნდა პირველი დიდი ხორველა.

ჩყლზ მობრძანდა დიდი ხემწიფე ნიკალი პაწვლოიჩი ღვინობისთვის იე-სა დღესა.

ჩყლჱ ცხეთის ხიდი გაკეთდა მეორეთ.

ჩყმ კარახტინი შეკრეს ქალაქში.

ჩყმე ნერსეს კათალიკოზი მობრძანდა ქალაქში რუსეთიდახ.

ჩყმვ მიიცვალა ნიკალი პავლოვიჩი ხემწიფე.

ჩყნდ თავადების ცოლები წაიყვანეს ყვარელიდან მარიამობის თვეში.

ჩყნა შავის სოფლის ხიდი გააკეთა მაცაკანომა.

ჩყნთ თათოზ ქათალიკოზი მობრძანდა ქალაქში თიბათვეში.

ჩყჲგ ველიკი კნიაზი მობრძანდა ქალაქში მარტის ივ-სა დღესა.

ჩყმზ კალია მოვიდა ქალაქში.

ჩყმჱ მეხი ჩამოვარდა ქალაქში.

ჩყმთ მობრძანდა დიდი ხემწიფის შვილი ალექსანდრე ნიკალიჩი ენკენისთვის კე დღესა ქალაქში.

ჩყნ დაბნელდა ქვეყანა თიბათვეში.

ჩყნბ ოსმალზე რომ ომი იყო რუს ხემწიფესთან.

ჩყნდ მიიცვალა ნიკალაი პავლოიჩი, დიდი ხემწიფე. (ფანქრითაა გადაშლილი).

ჩყმზ კალია მოვიდა ქალაქში.

ჩყნდ თავადის ცოლები წაიყვანეს ლეკებმა ყვარელიდან მარიამობის თვეში.

ჩყნა გააკეთა მაცაკანომა შავის სოფლის ხიდი.

ჩყნთ მობრძანდა თადეოზ ქათალიკოზი ქალაქში თიბათვეში.

ჩყჲგ მობრძანდა ველიკი კნიაზი ქალაქში მარტის ივ-სა დღესა.

ჩყჲგ ამავე რიცხვში აკურთხეს სუფ-სარქისი.

ჩყნზ გადიცვალა ნერსეს კათალიკოსი და დაასაფლავეს ეჩმიაწინში თებერვლის კზ-სა.

ჩყჲზ აკურთხეს ვარანცოვის პამიტი.

ჩყჲზ გეურქ კათალიკოზი აპრილის ზ-სა დღესა.

ჩყჲზ გეურქ ქათალიკოზი წაბრძანდა ეჩმიაწინში მაისის დ-სა.

ჩყჲზ მაისის 21-სა აკურთხეს გეურქ ქათალიკოზი.

1837, იმპერატორი ნიკალაი პოვლოვიჩი მობრძანდა ღვინობის თვის თვეში.

1871, მობრძანდა ჩვენი იმპერატორი ალექსანდრე ნიკალიჩი ენკენისთვის 20-სა დღესა.

1856, დაიბადა კონსტანტინე ტიმაფევიჩ მაისის 21-სა, ამავე რიცხვში დაქორწილდა მამა 1850-სა ოქტომბერსა.

პეტრე ტიმაფევიჩ დაიბადა 1859-სა, აპრილის 12-სა.

1861 წელსა მიშა დაიბადა ღვინობისთვის 8-სა.

1866 წელსა, ენკენისთვის 1-სა დღესა დაიბადა მიხ[ა]ილ ალსაბაძის ძე ალექსანდრე, დილისა იყო საათის მესამე შუადღის უკანა. უფალმან იესო ქრისტეს ძალმან, ცისა და ქვეყანის გამჩენმან მამამა და ძემა და სულმან წმინდამან და დედა უფლისა ღთისმშობელმან კეთილი და ბედნიერი კაცი აზარდოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლთისმოყვარე და კაცისა და უცოცხლოს დედ-მამა. ამინ.

1867 წელსა, იანვრის 27-სა, დღესა შაფათს, დილით დაიბადა მიხილ ალსაბაძის ძე(!), მეორე ვაჟი სანდრო ღთის ამანათათ მიგიბარებია.

1869 წელსა თიბათვის 2-სა დღესა დაიბადა მიხილ ალსაბაძის ასული ანასტასია. თვისა იყო ორშაფათი, მთვარე 6 ანუ 7, ღმერთმა გაუზარდოს.

1871-სა ქრისტიშობისთვის 18-სა დღესა დაიბადა მიხაკას ოლგა ანუ ლიზა ღამის საათის 11-სა.

1873-სა წელსა იანვრის 16-სა გათენები[სას] დაიბადა მიხაილ ალსაბაძის ძე დავით. გარდა(!) ღმერთმან უწყის.

1879 წელსა მარიამობისთვის 21-სა დღესა, საათის 3-სა ლადო ანუ ლადიმერ შუადის უკანოთის, ბედით გიზარდოს.

1882 წელსა კათვის 3-სა დღესა დაიბადა მიხილის ძე იაკინთე და იოვანე, დღისა იყო 11 საათის.

1885-სა, იანვრის 9-სა დაიბადა ორშაფასა, საათის 11-სა მიხილის-ძე გრიგოლი". 65r—66v.

2. „1849-სა დაიბადა ჩემი შვილი მიხაკა მაისის 15 დღესა" 66v.

3. (ფანქრით) „1883-სა ღვინობისთვის პირველსა დავიწერე სიდონიაზე ჯვარით, წლისა იყო 37-სა" 66v.

(1354) **3468**

ამბავი კნეინა ეკატერინე ჩიჩუასი. 1840

6 ფ.; 35×22; ქაღალდი (გაყვითლებული); უყდო დაშლილი (ბოლო ფურცელი შუაზეა გახეული); მხედრული; 1840 წ. (6r); დაუწერელია: 6v.

„ამბავი კნეინა ეკატერინე ჩიჩუასი, გურიის უკანასკნელის მთავრის ასულისა. — როდესაც იმერეთში მოახდინა ალრეულობაჲ უკანასკნელის მეფის მეორე სოლომანის განდგომილებმან, მაშინ მორჩილმან მისმა გურიის მფლობელმა მთავარმა მამია გურიელმა განაცხადა სურვილი რუსეთის ქუჩშევრდომობაზე..." 1r—6r.

შენიშვნა: „ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს ტექსტის ხელით „დაწერილ-არს ტფილისს, 30 ივნისს 1840 წელსა".

მინაწერები: 1. „შემოსწირა ს. წ. კ. გ. ს წიგნთ-საცავს ს. ლალისყურიდამ თ. დიმიტრი ჩოლაყაშვილმა" (1r).

2. „ეს ამბავი დაიბეჭდა აქედამ 1902 წ. ჟურნალ „მოგზაურში" № 1 და 2-ში" (1r).

3471

ისტორიული საბუთები. გადატანილია იხ. Sd — 2804 — 2814.

(1355) **3472**

ოთხთავი. XIII — XIV

203 ფ.; 20,5×17; ეტრატი; (ნაკლული ადგილები შევსებულია ქაღალდზე ნაწერი ტექსტით: იხ. ფ. 1—3, 11, 13, 17, 19); ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა (ზემო ყდაზე ჯვარია გამოსახული); ამოცვენილა ფ. ფ. 4, 9, 10, 17, 19, 26;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხური, ორ სვეტად, გაცხოველებული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XIII—XIV ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[ო თ ხ თ ა ვ ი]. — „პირველი თავი, სახარებაჲ მათეს თავი. — წიგნი შო-ბისა იესუ ქრისტესი...“ 3r — 176v.

შენიშვნები: 1. ყოველ თავს უძღვის საძიებელი: „ესე თავები არს მ ა თ ე-ს ი“ (1r—2v); „თავნი მ ა რ კ ო ზ ი ს თავისა სახარებისანი“ (50v—51v); „თავნი ლ უ კ ა ჲ ს თავისა სახარებისანი“ (82v—83v); „თავნი ი ო ა ნ ე ს თავისა სახა-რებისანი“ (136r—v).

2. ერთვის: ა. „წმიდა და დიდებულსა კჳრიაკესა ალვსებასა სამხრად“ (176r—182v); ბ. „უწყებაჲ ჯერ-არს, რამეთუ ჯუართა აჰყრობითგან იწყებს ლუკაჲს თავისა წმიდათა სახარებათა. სახარებანი ლუკა-სნი“ (183r—203v).

3. ხელნაწერი ნაკლული ყოფილა, ამიტომ იგი აღუდგენიათ (XVII—XVIII ს.). აღდგენილი ტექსტი დაწერილია ქაღალდზე.

4. ტექსტი გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ლ ი ს რედაქციისაა.

ანდერძი: „ამისსა ახლად მეორედ მწერალ-მკაზმავსა ი ლ ა რ ი ო ნ ს და მის-თა მშობელ-მიცვალებულთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ (203r).

მინაწერები: 1. (ნუსხურად). „ღმერთო და რანიცა სიტყუანი ს~ლთნ~ი ამას შინა სწერიხარ, მადლობითა შეეწიენით ცოდვილსა მწერალსა ი ო ა ნ ე ს აქა და საუკუნესა, ამინ“ (50r).

2. „უფალო ღმერთო, შეგევედროს სული შენი ფრიად ცოდვილისა ლ ა შ ა-რ ა ს ი დღეს ...ს განკიცხვისასა...“ (82r).

3. „...მაცხოვარო შევედრე(!) სული მ ა ნ ვ რ ა ს ი დღესა მისა განკითხვისა-სა“ (82v; 118v).

4. „გ ი ო რ გ ი ს შეუნდოს ღმერთმან, მის მეუღლეს მ ა რ ი ნ ე ს შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (83v).

5. (ნუსხური). „ქ. ღმერთო, შეიწყალე სული ჩემი საწყალობელი. ნ ი ა ნ ი ა, უფალო“ (122v).

6. (ნუსხური). „ღმერთო, შეიწყალე სული დ ა ვ ი თ ა ს ი, ამინ და კირიალ-სო(!). ღმერთო, შეიწყალე სული ...წმიდაო ღმერთო, მამაო ჩვენო. უფალო ღმერთო გამიმარჯვე, ვარძიის ღ~ისმშობელო“ (129v).

7. „...მისი მეუღლე ი რ ა ნ ი უ ზ(!), მოიჴსენე უფალო მ ა ხ ა რ ე ს და მ ა რ-გ ა ლ ი ტ ა ს... მ ა მ უ ლ ა ს შეუნდნეს ღმერთმან, მის მეუღლეს გ უ ლ ქ ა ნ ს შეუნდეს ღმერთმან, ამინ“ (130v).

8. „ელენეს შეუნდეს ღმერთმან, მის მეუღლეს ე ლ ი ა ზ ა რ ს შეუნდეს ღმერთმან“ (137r).

9. (ნუსხური). „...კეთილად მიჴდინე ბ ე რ ს ი ო ს ე ბ ს ა“ (137r).

10. (ნუსხური). „ღმერთო, სწავლა კეთილათ მოუხდინე მონასა შენსა ზ ა-ქ ა რ ი ა მღდელსა“ (138r).

11. (ნუსხური). „ღმერთო ...შეიწყალე სული ახალ მოსწავლის ს ვ ი მ ო ნ ი ს“ (159r).

იხ. აგრეთვე მინაწერები. 1r, 2r—v, 4r—6v, 7v—8v, 9r, 11v, 13v, 17v, 19r, 19v, 21v—23r, 26r, 35v, 36v—37r, 46v—47r, 48r, 50v—51v, 56v—57r, 58v, 68r, 71 v, 75r, 77v, 78r, 80v, 81r, 98v, 108v, 110v, 121v, 128v, 130v, 131v, 136r, 177v, 200r, 203v.

(1356) **3473**

თეოდორე სტოდიელი, სწავლანი სულიერნი. XVII

71 ფ.; 24×18; ქაღალდი, დალაქავებული (8r ქვემო კიდეზე ამომწვარია); ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (შერჩენილი აქვს მხოლოდ ზემო ყდა); ფ. ფ. 58—59; 69—71 ამოცვენილია; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII ს.], ჰვირნიშანი აქვს; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

„სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე ბერისა სტოდიელთ წინამძღუარისა თუისთა მოწაფეთა მიმართ ყუელიარის კურიაკეთაგან ვიდრე დიდსა ოთხშაბათამდე, რომელნი წარიკითხვიან დიდთა მარხვათა შინა შემდგომად სერობის ლოცვისა და ისმენენ ყოველნი ძმანი ზემდგომით მდუმრიად ყოვლითა ღმობიერებითა. გ. მ. — ძმანო და მამანო, სახიერი ღმერთი ჩუენი, რომელი მომცემს ჩუენ ცხორებისა და წლითიწლად მომყუვანებელ ჩ~ნ...“ 1r — 71r.

შენიშვნა: 71v-ზე მოთავსებულია ოთხკუთხედი ბეჭედი, ლეგენდა არ იკითხება.

მინაწერები: 1. (ნუსხური). „ამის მწერელს გაბრიალს მღდელ-მონაზონს და მის სახლის მიცვალებულთ ღმერთმან შეუნდოს, ვინცა შენდობა გვბძანოთ, ღმერთმან თქუენც შეგინდოს და თქუენს მიცვალთაც(!)“ (71r).

2. „ქ. შემოგწირე მე ბუჟაშვილმა ლომმა მცირე ესე შესაწირავი შენ, დედასა ნათლისასა ბოდორნისა მღთისმშობელსა. მას ჟამსა, ოდეს ქსანს ებრძოდა ყიზილბაში, მაშინ თათრისაგან ვიყიდე ეს სტოდიელი და დავდევ ტაძარსა მღთისმშობლისასა ჩემად ამ სოფლის სადღეგრძელოთ და ცოდვათა ჩემთა შესანდობელათ. წმინდანო მამანო და კეთილად მკითხველნო, ვინც წაიკითხავდეთ, შენდობას ბძანებდეთ ჩემ ცოდვილისა ლომისათვი. მე დიდათ შემეწევა და თქვენ უზრუნველ იქნებით“ (71r).

3. „ქ. შემოგწირე მე არხიმანდრიტმა გაბადაძემ ნიკოლოზ შენ მთავარანგელოზს იკორთისას. მ~ღთის გულისათვინ შენდობა მიბძანეთ, არავინ არს ჩემებრივ ცოდვილი ქვეყანასა ზედა. ქ. წელთა დასაბამითგან შვიდი ათას ორას და ოთხასსა, ქრისტეს აქეთ ათას ექუსას სამოცდა თექვსმეტსა, ქორანიკონსა ტ. ...“ (71v).

(1357) **3474**

საწინასწარმეტყუელო საწელიწდო. XI — XII

74 ფ.; 21×15; ეტრატი (დაზიანებული), პალიმფსესტი; უყდო, დაშლილი, ნაკლული (შეიცავს კა—კთ რვეულს); ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XI—XII ს.]; ძველი ფენა: X—XI საუკუნის ნუსხური; მთარგმნელი: გიორგი მთაწმიდელი (25r); შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

<საწინასწარმეტყუელო საწელიწდო> — „...ესეთა ბნელმან დაიპყრობს ქუეყანაჲ და დღეს რომელი(!) წარმართთა ზედა ხოლო ...გამობრწყინდეს...“ 1r — 74v.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. [მარხვათა საკითხავები]: „გამოსვლათა საკითხავი“ (2r); „წინასწარმეტყუელებაჲ იონაჲსი საკითხავი“ (3r); „წინასწარმეტყუელებაჲ სოფონიაჲსი საკითხავი“ (8v); „მეფეთა საკითხავი“ (9r); „წინასწარმეტყუელებაჲ ესაჲაჲსი საკითხავი“ (10v); „წინასწარმეტყუელებაჲ იერემისი საკითხავი“ (14r); „წინასწარმეტყუელებაჲ დანიელისი საკითხავი“ (15r); ბ. „წინა დღით ხარებათა მწუხრი, შემდგომად ნათელი მხიარულისა და წარდგომისა საკითხავნი გ~. ა~. გამოსვლათაჲ“ (21v); „იგავთა საკითხავი“ (22v); „მწუხრი ამაღლებისა საკითხავნი გ~, წინასწარმეტყუელებაჲ ესაჲსი საკითხავი“ (23r); „წინასწარმეტყუელებაჲ ზაქარიაჲსი საკითხავი“; „კურიაკესა სულისა წმიდისა მოსლვასა წინაჲთ წმიდათა მამათაჲ, რომელნი ნიკიას შეკრბეს. მწუხრი წინა დღით. პირველი საკითხავი დიდებისა“ (25r); „მეორისა შჯულისა საკითხავი“ (25v); „წინა დღით წმიდა მარტჳლიასა საკითხავნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ~. ა. საკითხავი რიცხუთაჲ" (27r); „წინასწარმეტყუელებაჲ ი ო ვ ე ლ ი ს ი სა-კითხავი" (27v); „წინასწარმეტყუელებაჲ ე ზ ე კ ი ე ლ ი ს ი საკითხავი" (28v); „კჳრიაკესა ყოველთა წმიდათაჲ მწუხრი წინა დღით საკითხავნი გ, წინასწარ-მეტყუელებაჲ ე ს ა ჲ ი ს ი" (29r); „სიბრძნისაგან ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა საკითხავი" (29rv); „თუესა ივნისსა კდ, შობაჲ წმიდისა ი ო ა ნ ე ს ი, მწუხრი წინა დღით სა-კითხავი" (31r); „მსაჯულთა საკითხავი" (32r); „წინასწარმეტყუელებაჲ ე ს ა ჲ ი ს ი საკითხავი" (33v); „თუესა ივნისსა კთ, წმიდათა მოციქულთაჲ, მწუხრსა წინა დღით პ ე ტ რ ე მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ა წიგნი კათოლიკე საკითხავი" (35v); „თუესა აგჳსტოსა ვ. ფერისცვალებაჲ, მწუხრი წინა დღედ საკითხავნი გამოსვლათა" (37v); „მეფეთა საკითხავი" (39v); „თუესა აგჳსტოსა ი~ე, წმიდისა ღ~ისმშობელისა", მწუხრი წინა დღით დაბადებისა საკითხავი" (40v); „წინასწარმეტყუელებაჲ ე ზ ე-კ ი ე ლ ი ს ი საკითხავი" (41v); „თუესა აგვისტოსსა კ~თ, თავის კუეთაჲ წმიდისა ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ჲ, წინა დღით წინასწარმეტყუელებაჲ ე ს ა-ი ა ჲ ი ს ი საკითხავი" (42r); „წინასწარმეტყუელებაჲ მ ა ლ ა ქ ი ა ს ი საკითხავი" (43v); „სიბრძნისაგან ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ი საკითხავი" (44r); „თუესა სეკდემბერ-სა ა, წმიდისა ს ჳ მ ე ო ნ მ ე ს უ ჱ ტ ი ს ა ჲ, წინა დღით მწუხრი, საკითხავნი გ. ა. საკითხავნი სიბრძნისაგან ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა" (45v); „თუესა სეკდენბერსა შობაჲ წმიდისა ღ~ისმშობლისაჲ, წინა დღით მწუხრსა საკითხავნი ჰჳოვნე აგჳს-ტოსსა ი~ე მიცვალებად წმიდისა ღვთისმშობლისა. თუესა სეკდემბერსა ი~დ ძე-ლისა ცხორებისაჲ, წინა დღით მწუხრსა გ. საკითხავნი ა. საკითხავნი გამოსვლა-თაჲ..." (46v); „თუესა სეკდენბერსა კ~ვ წმიდისა ღ~ისმშობლისა და მახარებელისა ი ო ა ნ ე ს ი, მწუხრი წინა დღით გ~. საკითხავნი ა. საკითხავი კათოლიკე ი ო ა-ნ ე ს ი" (46v); თუესა ნოენბერსა ჱ მთავარანგელოზისა მ ი ქ ე ლ ი ს ი, წინა დღით მწუხრსა საკითხავნი გ. ა. საკითხავი ი ს ო ძისა ნ ა ვ ე ს ი" (48v); „მსაჯუ-ლთა საკითხავი" (48v); „წინასწარმეტყუელებაჲ ე ს ა ჲ ი ს ი საკითხავი" (50v); „თუე-სა ფებერვალსა, მიგებებაჲ მწუხრი წინა დღით საკითხავნი გ. ა. საკითხავი გა-მოსვლათაჲ" (52v); „წინასწარმეტყუელებაჲ ე ზ ე კ ი ე ლ ი ს ი საკითხავი" (55v); „გამოსვლათა საკითხავი" (56r—v); „წინასწარმეტყუელებაჲ ე ს ა ჲ ა ს ი საკით-ხავი" (58r); „თუესა ივლისსა ა, წმიდისა ე ლ ი ა ჲ ს ი წინასწარმეტყუელის, წინა დღით მწუხრსა საკითხავნი" (59r); „მეფეთა საკითხავი" (61r); „ლევიტელთა სა-კითხავი" (66v); „თუესა ნოენბერსა კ~ა, წინა დღით ტაძრად მიყვანებასა წმიდი-სა ღ~ისმშობელისსა მწუხრი, გამოსვლათა საკითხავი" (68r); „მეფეთა საკითხა-ვი" (68v); „თუესა იანვარსა ა, წინა დაცუეთაჲ უფლისა ჩუენისაჲ და წ მ ი დ ი ს ა ბ ა ს ი ლ ი, მწუხრი წინა დღით, საკითხავი დაბადებისაჲ" (69r); „თუესა იან-ვარსა კზ, წმიდისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ მწუხრსა წინა დღით საკითხავნი გ. იგავთა საკითხავი" (70v). „უკანაჲთ წმიდისა ბ ა ს ი ლ ი ს ს ა გ. საკითხავად სიბრ-ძნისაგან ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა საკითხავი" (71v); „თუესა იანვარსა კე, წმიდისა გ რ ი გ ო ლ ი ღ~ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა ჲ მწუხრი წინა დღით საკითხავნი. წინა-სწარმეტყუელებაჲ ი ე რ ე მ ი ა ჲ ს ი საკითხავი" (73v); „მეფეთა საკითხავი" (74r)...".

2. 21v-ზე სინგურით წერია: „დასრულდა მარხვათა საკითხავები შეწევნითა ღ~ჲთა. კ~ხრ ღ~ი, ამინ".

3. 56r—v-ზე სინგურით წერია: „მიგებებადვე გ. საკითხავნისა სხუასა წიგნსა ეწერნეს. ესე თქუენ წმიდანო ამნო (!), რომელნი გინდა წარიკითხენით. ხოლო ესე აქაჲთგან წაღმართ რომელსა გვეულების დაწერაჲ, სხჳსა დედისაგან აღვჳწე-რიეს, რამეთუ მონასტრისა ჩუენისა საწინასწარმეტყუელოსა ბერძულსა აქამომ-დინ ეწერა და მეტი არა და ესეცა ბერძულისაგანვე დედისა აღვჳწერიან".

ანდერძები: 1. (სინგურით): „ქრისტე, ადიდე მამაჲ გ ი ო რ გ ი თარგმა-ნი" (25r).

2. (სინგურით): „წმიდაო ი ო ა ნ ე, შეიწყალე სული ჩემი" (46v).

3. „დჳა ღ~ა, დაესრულა საწელიწდო საწინასწარმეტყუელო ბერძულსა ზედა სრული და უცთომელი... ღ~ნ..." (74v).

მინაწერები: 1. (მხედრული): „ქ. ღმერთო, შეიწყალე საბრალო ო ნ ა ნ ე-ლ ი ხ ა თ უ თ ა" (58v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. (XI-XII საუკუნის ნუსხურით, ეფრემ მცირის ხელით): „ესე წიგნი საწინასწარმეტყუელოჲ მე ეფრემს ც~თა (!) ჴელითა გამომიგზავნა“ (74v).

იხ. აგრეთვე მინაწერები: 41v; 59r; 73v.

(1358) **3475**

იოანე ოქროპირი, ჟამის-წირვა. XV — XVI

25 ფ.; 20×15,5; ქაღალდი; კოლენკორგადაკრული ყდა (ახალი რესტავრირებული); ნაკლული; ნუსხური, 1r—v დაწერილია განსხვავებული ხელით; სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XV-XVI ს.]; გადამწერი: ბაკა (10v); შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

„ს ა ღ მ რ თ ო ჟ ა მ ი ს-წ ი რ ვ ა ჲ წ მ ი დ ა ჲ ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა. — შერავიდეს დიაკონი სადიაკონესა შინა და შეიმოსოს სტიხარი თჳსი...“ 1r — 25v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ვიხილეთ ნათელი ჭეშმარიტი, მოვიღეთ სული ზეციერი, ჲპოვეთ სარწმუნოებაჲ მ...“.

შენიშვნა: ხელნაწერის კიდეებზე ალაგ-ალაგ მოთავსებულია ქართული ასოებით დაწერილი ბერძნული ტექსტი, რომელიც წარმოადგენს იმავე გვერდზე მოთავსებული ქართული ტექსტის შესატყვისს, იხ. 3r, 3v, 5r და ა. შ.

ანდერძი (ტექსტის ხელით, შესაძლოა გადამწერის): „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ბ ა ა კ ა. ამინ“ (10v).

მინაწერები: 1. „...ელი და ნახევარი კარგი და სამი და ნახევარი საკეთები მისესხებია ზ ა ზ უ ნ ა ს ა თ ვ ი ს. ...ელი საკეთები მაქუს და ექუსი კაის ქაღალდისა კიდევ“ (16r).

2. „ღმერთო, შეიწყალე ი ო ვ ა ნ ე მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი...“ (18v).

3. (ნუსხური): „ქ. მოიხსენე... ცოდვილი მონაზონი გ რ ი გ ო ლ ი...“ (21r).

4. (ნუსხური): „მოიხსენე უფალო მონა შენი ცოდვილი მ ა ქ ს ი მ ე“ (21r).

5. (ნუსხური): „ს~ლსა ჴ~ ი ს მზივას (!) ენდოს (!) ღ~ნ ა~ნ“ (21r).

იხ. აგრეთვე მინაწერები: 2r; 8r; 14r, 20r. 20v; 21r.

(1359) **3476**

მარხვანი. XIII

82 ფ.; 27×22; ეტრატი, მეტად დაზიანებული, ზოგიერთი გვერდი აღარ იკითხება; უყდო, დაშლილი, თავ-ბოლონაკლული; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XIII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[მ ა'რ ხ ვ ა ნ ი]. —„...მც~ქლთა და წ~წყლთა და ყ~თა იზ ... მრ ...“ 1r—82v.

წ ყ დ ე ბ ა: „...გ~ხნ მიმ~დით... საჲმსუ...“.

შენიშვნა: ხელნაწერის კიდეებზე მინაწერები გადასულია, ამიტომ ზოგი ძნელად იკითხება, ზოგი კი სულ აღარ იკითხება. იხ. გვ. 15v, 45r, 59v, 60r—v, 61r, 62r—v, 63v, 64r, 66r—v, 67r—v, 69r, 70v.

მინაწერი: „ქ. ო ქ რ ო პ ი რ ს ა შეუნდენ ღმერთო, ამინ“ (46v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1360) **3477 ა**

საკითხავები პავლეს ეპისტოლეებიდან. XV

53 ფ.; 23×18,5; ეტრატი (პალიმფსესტი), დაზიანებული, დალაქავებული; უყდო; დაშლილი, ნაკლული; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XV]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[საკითხავები პავლეს ეპისტოლეებიდან]. — „...და ებრძანე მოყვა... მოდგეს შემასმენელნი... ...ლი აჩუჩნეს. რ~ლსა ვპ...“ 1r — 53v.

წ ყ დ ე ბ ა: „... კეთილის საქმედ განმდიდრებად საქმეთა...“

შენიშვნები 1. ხელნაწერი მოიცავს პავლეს ეპისტოლეების საკითხავებს მეთერთმეტე კვირიდან მეოცდათექვსმეტე კვირის ჩათვლით.
2. ხელნაწერი წარმოადგენს პალიმფსესტს.
მინაწერი (ნუსხური, ტექსტის ხელი), „ვითარი ხარ პ ა ვ ლ ე ო არ დიდ ხასი ღმერთო, მაგრა ჩემი ბრალი არაჲ არს, წ~ამლ-ეტრატი ჰავი იყო“ (29v).

3477 ბ

ორი ფრანგმენტი სვინაქსარიდან. XV

2 ფ.; 23×16; ეტრატი, დაზიანებული, უყდო; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XV ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[ორი სხვადასხვა ფრაგმენტი სვინაქსარიდან]. — ა. „...იანვრის კდ... ...ილინიდოჲსი ეპისკოპოსის...“ 1r—v.
ბ. „...და ჰრქუა ზ~ქრ... წასსა მ~ს...“ 2r-v.

(1361) **3478**

მარხვანი. XII

77 ფ.; 22×18; ეტრატი, ზოგიერთი ფურცელი დაზიანებულია; უყდო, დაშლილი, თავ-ბოლონაკლული; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[მარხვანი]. — „...ქერობინებრსა გიტყ... ბნელსა ყოველთასა ძლ~სა ევედრე... სამშაბათსავე სხუანი გ... მშობლისანი...“ 1r — 77v.
წ ყ დ ე ბ ა: „... და მეცა განმანათლე დაბნელებული ბოროტთა გულის თქუმითა...“

შენიშვნა: მარხვანის ტექსტში 67v-ზე მოთავსებულია: „აღსავალნი საცისკრონი, თქმული თ ე ო დ ო რ ე ს ტ უ დ ი ე ლ ი ს ა“.
მინაწერი (ნუსხური): „ძ~მნ ლოცვ (!) ყავთ გ ი ო რ გ ი ს თ ვ ი ს“ (23v).
იხ. აგრეთვე მინაწერი 71v, 72r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1362) **3479ა**

მარხვანი (ფრაგმენტები). XII—XIII

25 ფ.; 22,5×18; ეტრატი, დაზიანებული; უყდო, დაშლილი, ფრაგმენტები; ნუსხური (გაცხოველებული); დასაწყისები და სათაურები სინგურით; [XII—XIII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[მ ა რ ხ ვ ა ნ ი. (ფრაგმენტები)]. — „... ჩემსა. საქმედ არა ძალ მიც თხოვად, მრცხუმნის...“ 1r — 25v.

წ ყ დ ე ბ ა: „... რომელნი უთხრობდეს მოციქულთა...“

იხ. მინაწერები: 1r; 10v; 16r; 18v; 24r.

3479 ბ

მარხვანი (ფრაგმენტი). XII—XIII

6 ფ.; 22,5×18; ეტრატი, დაზიანებული; უყდო, დაშლილი: ნუსხური (გაცხოველებული), სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XII—XIII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[მ ა რ ხ ვ ა ნ ი. (ფრაგმენტი)]. — „... რამეთუ მევედრებოდე მე, არა ჯერ იყო შენდაცა...“ 1r — 6v.

წ ყ დ ე ბ ა: „... და განკურნნა იგინი...“.

შენიშვნა: ფრაგმენტი წარმოადგენს დიდი მარხვის მესამე კვირის საკითხავებს.

იხ. მინაწერი: 3r; 5v—6r.

3479 გ

შესხმანი ღვთისმშობლისანი (ფრაგმენტი). XI

4 ფ.; 21×16; ეტრატი (დაზიანებული), დაშლილი (ფრაგმენტები): ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XI ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

„შ ე ს ხ მ ა ნ ი წ მ ი დ ი ს ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ა ნ ი“ (ფრაგმენტი). — „... შესხმანი წმიდისა ღ~ისმშობლისანი, უფალო ღაღადყავსა. — ღ...სა განწესებულთა ძალთა...“ 1r — 4v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ადიდა და იცნეს რ~ა...“

შენიშვნა: ფრაგმენტი წარმოადგენს რომელიღაც დიდი ხელნაწერის კგ რვეულის ნაწილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1363) **3480 ა**

სადღესასწაულო (ფრაგმენტი). XII—XIII

41 ფ.; 18,3×23,5; ეტრატი (დაზიანებული); უყდო, დაშლილი, ფრაგმენტები; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XII—XIII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო]. „... ჩჳნლთა ქუეყანასასა ... შჯულისა წესთა ტძრად მოსრულ...“ 1r — 41v.

წ ყ დ ე ბ ა: „...გუჩქმნეს ჩუენ...“

შენიშვნა: შედგენილობა: 1. „თ~ დეკენბერსა, წმიდისა მამისა ს ა ბ ა ჲ ს ი“ (4r); 2. „თ~ დეკენბერსა... წ~ისა მამისა ჩ~ნისა ნ ი კ ლ ~ ა ვ ზ მღდელთ-მოძღუარისა მჳრონ ქალაქისაჲ“ (7v); 3. „თ~ა დეკენბერსა **თ.** მუცლად ღებაჲ ა ნ ნ ა ჲ ს ი, დედისა ღ~ჲ“ (9r); 4. „თ~ა დეკენბერსა... წმიდისა წინასწარმეტყუელისა დ ა ნ ი ე ლ ი ს ი და წმიდათა სამთა ბრმათაჲ ა ნ ა ნ ი ა, ა ზ ა რ ი ა და მ ი ს ა ე ლ ი ს ი“ (10v); 5. „ქრისტეს შობისა წინა კჳრიაკესა. ჴსენებაჲ წმიდათა მამათმთავართაჲ“ (14v); 6. „თ~ა დეკენბერსა... წინა დღე ქრისტე შობისაჲ და წმიდისა ე გ ნ ა ტ ი ს ი და ამით დღითგან იწყების ყოველივე საგალობელი ქრისტე შობისაჲ...“ (18r); 7. „თ~ა იანვარსა **იდ.** მძგეფსი განცხადებისაჲ და წმიდისა მოციქულისა ნ ი ნ ო ჲ ს ი...“ (29r); 8. „თ~ა იანვარსა ი~ვ. თაყუანის ცემაჲ პტიო... .... უთაჲ მც~ქლისათაჲ...“ (30r); 9. „თ~ა ივლისსა კ. წმიდისა წინასწარმეტყუელისა ელიაჲსი“ (35r).

მინაწერები: 1. „წმიდაო ნ ი ნ ო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი აბ...“ (29v).

2. (XIV საუკუნის). [შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი].

— „ქ. ვაი სოფელო რა[ს] მაბრუნებ რაშიინ ხარ რა [ზნე] გჭირსო,
ყოვლი შენი მინდ[ობილი] [ნია]დაგმცა ჩემებრ [ტირსო]“.

(1937 წ. გამოცემის მიხედვით, სტრ. 951).

ამ მინაწერის შესახებ იხ. თ. ბ რ ე გ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962 წ. გვ. 93—96).

3480 ბ.

მარხვანი (ფრაგმენტი). XII

2 ფ.; 22,5×18; ეტრატი დაზიანებული; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[მ ა რ ხ ვ ა ნ ი] „... მ~ს რამეთუ ყოველმან რომელმან ხადოს...“ 1r — 2v.

წ ყ დ ე ბ ა: „...არა შენცა მოვეეკუჩ(!) თ..ვდა...“.

(1364) **3481**

მარხვანი (ფრაგმენტი). XVI—XVII

6 ფ.; 21×14,2; ეტრატი (დაზიანებულია, ფურცლები ამოჭმულია სინესტისაგან); ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XVI—XVII]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[მ ა რ ხ ვ ა ნ ი]. — „...ეგე გომ~რისჲ სარგებელ არს ჩემდა სიმრავლე მსხუერპლთა თქუენთა, იტყჳს უფალი...“ 1r — 6v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მწხ~რი წარდგომაჲ ბ. ფსალმუნი და~ისი ზ. ჯ~ჲ გ გ~ჲ...“.

(1365) **3482**

სადღესასწაულო (ფრაგმენტი). XVII

12 ფ.; 34×21; ქაღალდი (გაყვითლებული და დალაქავებული), ზემო მარცხენა და ქვემო მარჯვენა კუთხეები დაზიანებულია. უკდო, დაშლილი, ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XVII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო]. — „... რწმუნობით ეს... ... ვედრებითა მისითა... ჩ~ნ მაცხოვარ. მოწყალე...“ 1r — 12v.

წ ყ დ ე ბ ა: „... და ვითარ განვლეს მათ პირველი საჯუმილვი და მეორე...“

შენიშვნა: ფრაგმენტი შეიცავს ნოემბრის თვის საკითხავებს და გალობებს.

(1366) **3483**

ფსალმუნნი (ფრაგმენტი). XVI—XVII

12 ფ.; 20×14,5; ქაღალდი, სინესტისაგან დალაქავებული და კიდეებ-შემოცვეთილი; უკდო, დაშლილი, ნაკლული; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XVI—XVII ს.]; ჭვირნიშანი აქვს (ფ. 3—4); შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[ფ ს ა ლ მ უ ნ ნ ი] — „... დიდ არს უფალი და ქებულ ფ~რიად ქალაქსა ღ~ისა ჩუენისასა მთასა წმიდასა...“ 1r — 12v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ქუეყანასა შინა მათსა დასაბამად ყოვლისა ტკივილისა მათისა და გამოიყვანნა...“.

შენიშვნა: ფსალმუნის ეს ფრაგმენტი შეიცავს შემდეგ მუხლებს: 41_1—55 (1r—6v); 97_7—104_{37} (7r—12v). (იხ. „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა მზექალა შანიძემ“. თბილისი. 1960 წ.).

(1367) **3484 ა**

ფსალმუნნი (ფრაგმენტი). XVII

10 ფ.; 22×16; ქაღალდი, რესტავრირებული; ფრაგმენტები; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XVII ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[ფ ს ა ლ მ უ ნ ნ ი] — „...არა ვინ არს, რომელმანცა ქმნა სიტკბოებაჲ, არა ვინ არს მიერთამდე...“ 1r — 10v.

წ ყ დ ე ბ ა: „...უსჯულოებამან სიავეთა ჩემთამან გარემომიცვას მე...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ფსალმუნის ეს ფრაგმენტები შეიცავს შემდეგ მუხლებს: 10_3—15_7 (1r-v); 18_5—19_7 (2r-v); 24_6—29_{11} (3r—5v); 38_2—40_4 (6r—7v); 41_8—43_4 (8r-v); 44_{17}—48_6 (9r—10v). (იხ. „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა მზექალა შანიძემ“. თბილისი, 1960 წ.).

მინაწერები: იხ. 2r-v; 3r-v; 4r-v; 8v; 10r.

3484 ბ

ფსალმუნნი (ფრაგმენტები). XVII—XVIII

3 ფ.; 23×21,5; ქაღალდი, რესტავრირებული; ფრაგმენტები; მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVII—XVIII ს. ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[ფსალმუნნი] — „...დაპყრობილნი მისნი არა შე...“ 1r—3v.

შენიშვნები: 1. ფსალმუნის ეს ფრაგმენტი შეიცავს შემდეგ მუხლებს: 68_{24}—69_4 (1r-v); 83_3—84_5 (2r-v). იხ. „ფსალმუნის“ 1960 წლის გამოც.
2. 3r-v-ზე ლოცვაა მოთავსებული.

(1368)

3485 ა

საკითხავები სახარებისა და სამოციქულოსი (ფრაგმენტი). XIV—XV

1 ფ.; 14,8×13; ეტრატი, დალაქავებული; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XIV—XV სს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[საკითხავები სახარებისა და სამოციქულოსი] — „... ენთასა ... თ~ქნ .... ორის ასარის ... არს დაფარულ წინაშე ღ~ისა...“ 1r — v.

წყდება: „...რამეთუ მო...ს ყ~ი...“.
მინაწერი: 1r-ზე.

3485 ბ.

კურთხევანი (ფრაგმენტი). XV

2 ფ.; 13,9×12,8; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XV ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[კურთხევანი]. — „...ცელსა ზედა კუალად ტბითაცა აღადგინე შემდგომად სიკუდილისა...“ 1r — 2v.

წყდება: „..განსუჩნებულ სასუფეველსა ქ~ს შ~ისსა. რ~ შენდა...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3485 გ

საგალობელი (ფრაგმენტი). XV—XVI

2 ფ.; 15×11; ეტრატი, დაზიანებული; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XV—XVI ს.]; შეძენილია სიმონ წერეთლისაგან.

[საგალობელი (ფრაგმენტი)]. — „... დღენი მათნი. ხოლო მეუფალო შენ ... რომელი დამკჳდრებულ არს...“ 1r — 2v.

წყდება: „... ჯუარცმული ესე, არამცა და...“

3485 დ

წირვის წესი (ფრაგმენტი). XVI—XVII

გრაგნილი, ერთი სრული კეფა და მეორე კეფის მცირე ნაწილი; 30,3×17; ეტრატი, დაზიანებული, დალაქავებული, რესტავრირებული; ფრაგმენტი: ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XVI—XVII ს.]; შეძენილია ს. წერეთლისაგან.

[წირვის წესი] — „... შევ'რდომად შენთა მწუალებელთა ჩუენთა ცოდვილთათჳს და ერისა უმეცრებასა მიითქლე (!), ღმერთო, ვედრებაჲ ჩუენი...“ 1r — v.

წყდება: „...აღმიყვნ~ნ ჩუენ და მოგუმადლ...“.

(1369)

3486

ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა. 1817

250 ფ.; 36×22; ქაღალდი მწვანე და თეთრი ფერის; ყავისფერი ტვიფრული ტყავ-გადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; 1817 წ. ივნისის 25 (249r); ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: ივანე ალექსანდრეს ძე ყორღანოვი (249r); დაუწერელია: 1r, 229v, 230r, 242r-v, 250v; შეძენილია ვასილ ქორქაშვილისაგან.

[ვახუშტი ბაგრატიონი]. „ტომობა და შთამომავლობა ქართუჱლთა. — ნოეს ძისა იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. — აწ ზნეთათვის ვიწყოთ ძუჱლიდამ(!) ახლადმდე...“ 3r—249r.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. „ტომობა და შთამომავლობა ქართუჱლთა“ (3r—68v); ბ. „უწყება მკითხუჱლთათჳს“ (68v—72r); გ. „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღურით და მთით, მდინარეებით და მას შინა შენებულებათა“ (72r—91v). დ. „შემდგომად განყოფისა სამეფოჲსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ“ (92r—130v); ე. „აღწერა ჰერეთისა კახეთისა და კუხეთისა“ (130v—138r); ვ. „მთავართათჳს კახეთისათა“ (138r—140r). ზ. „ცხოვრება აწინდელთა მეპატრონეთა“ (140r—158r). ჱ. „აღწერა აწინდელისა ოვსეთის ანუ კავკასიათა შინათა“ (158r—163v); თ. „აღწერა საჩინოთა ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილებთა სამცხე საათაბაგოსათა“ (163v—172v); ი. „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“ (172v—175v); ია. „წარმოჩენა ბაგრატიონთ ნათესაობისათჳს“. (175v—186v); იბ. „აღწერა ეგრისის ქუჩყნისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“ (187r—199v); იგ. „ცხოვრება ეგრისია-აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ (200r—229r); იდ. „ქორონიკონები ჩუჩნ მიერ პოვნილნი წიგნებთა შინა...“ (230v—241v); იე. „სოფლების სია...“ (243r—249r).

2. ტექსტში ჩართულია: ა. „თამარ მეფემ რომ ხალიფაზედ გაიმარჯვა, ხახულისა ღ~თისმშობელს დროშა და მანიაკი მიართუა. ეს იამბიკონი ხუთმუხლედნი ოცდახუთ ლექსად წარსწერა. — ცასა ცათასა დამწყები ღ~თი მთავრობა...“ (ამ იამბიკოზე ტექსტის ხელით ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „ეს იამბიკონი ვახუშტისაში კი არა ჰსწერია“) (44r-v).

ბ. „ქმნილი არს ლექსი ესე მეფაჲსა თამარისთჳს ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, მეფისა ძისა დავითიან ბაგრატიონისა. — ამისსა ბროლსა ნათელსა აყიყი შუა ჰრეოდა...“ (46r).

3. კიდეებზე ტექსტის ხელით გაკეთებულია შენიშვნები.

4. ტექსტი გამოცემულია: იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქართლის ცხოვრება II, 1854 წ.; ვახუშტი, საქართველოს ისტორია განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, 1855 წ.; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1941 წ.

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს იხ. Описание... ტ. II, გვ. 669.

ანდერძი: 1. „ესე აღიწერა ჴელითა იოვანესითა“ (200r).

2. „აღიწერა ქართველთ ცხოვრება ესე თთუჲსა ივნისს კე დღესა, წელთა უფლისათა **ჩყიზ** ხელითა“ (249r).

3. „მე არა მყოლელი მამა-ძმებისა, რამეთუ მესწრა განსაცდელი საშინელთა წელთა ქ-ეს **ჩყი გ**-სა თვესა მას. მომსვრელმან სენმან მოსწყვიდნა ბებია ჩემი—უგანათლებულესისა მამია გურიელისა ასული დარეჯან დადედა ჩემი—თავადისა მხეიძისა ასული მარიამ ოთხითა ქვეშევრდომთა მათთა. აღმომკითხველნო, ვითხოვ შენდობა უბრძანოთ ორთა მათ“ (249r).

4. „აღიწერა ხელითა პერიოდჩიკის ივან ალექსანდრეს ძის ჟარდანოვისათა.“ Иван Жорданов (249r).

მინაწერები: 1. ტექსტის ხელით: ა. „წყალობითა ღ~თისათა კალენიკოს არხიეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა, ახლისა რომისა და პატრიარხი ყოვლისა სოფლისა.

წყალობითა დავითისათა წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და ყოვლისა პალესტინისა პატრიარხი პოლიკარპოს.

წყალობითა ღთისათა პატრიარხი ალექსანდრისა და მსაჯული ყოვლისა სოფლისა ფილოთეოს.

წყალობითა ღვთისათა პატრიარხი ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ანთიმოს“ (249v).

ბ. „რა აქლემი ცასა ზომდეს, ზაკმა სიბრძნე იჩინოსა,
ვირი მღერდეს, მგელი მღვდლობდეს, დათვი მოძღვრად იჩინოსა
მელი ლომსა, ჩიტი გლონსა, მწყერი სდევდეს მიმინოსა,
და მაშინ მივხვდე შენსა მზესა შესაყრელად სალხინოსა (249v).

გ. „თქმული რუსთაველისა. თამარ მეფაჲსა საფლავისა ქუასა ზედა წერილ არს. —
როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი სპანი და არაბნი საზღუართა გარე გამესხნეს.
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა შინა შთამესხნეს
და აწ ამისა მოქმედსა ხელი გულზედან დამესხნეს“ (249v).

დ. „წელსა **ჩყიე**-სა ფებერვლის ჩ გარდაიცუალა მეფე სოლომონ არჩილის ძეჲ მეორე ტრაპიზუნს, რომელ არს სამფლობელოდ აწ ოსმალთა და ძველად იყო საქართუჩლოსა მეფეთა, ესე ტრაპიზუნტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა მზღუარი მენგრელთა. საუკუნომცა არს ხსენება მეფისა სოლომონისა, რომელიცა განიძო რუსთაგან თჳსისს სამეფოს იმერეთით. დალსრულდა(!) მუნ და დაფლეს გვამი მისი ეკკლესისა შინა წმინდის გიორგისასა“ (250r).

2. „**ჩუკა** წელსა, ივლისის **იზ**-სა მისი უგანათლებულესობა მთავრის აფხაზეთის შარვაშიძის გიორგის ასული მარიამ მოვიყვანეთ სასახლესა ბერეჟოულსა შინა გურიასა“ (250r).

3. „**ჩუკგ** ამ ქორონიკონს მაისის დღეს დაიბადა ერისთვის ვახტანგის ასული ელისაბედ“ (1v). (იმავე მელნითაა გადაშლილი).

4. „**ჩუკდ.** ამ ქორონიკონს ივნისის **კა**-ს ვახტანგ ერისთვის ასული თამარ დაიბადა“ (1v). (იმავე მელნითაა გადაშლილი).

5. „ათას რვაას ოცდასამსა წელსა მაისის ოცდახუთსა წავიდა თფილისშიდ მიხაილ შარვაშიძე აფხაზეთის მთავარი“ (1v).

6. „ღმერთო, განაძლიერე და აცხონე შარვაშიძის ასული მარიამი“ (2r).

7. „ამის დამწერელი, ღმერთმა შვიდობა მისცეს, მარიამ შარვაშიძის ასული არის“ (2r).

(1370) **3529**

მარგალიტი. XIX

81 ფ.; 21,5×16,5; ქაღალდი; ამოტვიფრული სქელი ქაღალდის ყდა; ამოცვენილია ფ. ფ.: 3, 80; ბოლო დაუწერელი ფურცელი ამოხეულია; მხედრული, (სხვადასხვა ხელი), 9v—17r ორ სვეტად არის ნაწერი, სათაურები და დასაწყისები წითლით; თავსამკაული: 1r, 48r; [XIX ს. ბოლო].

„წიგნი მარგალიტისანი. — მიგება წინაშე, ვითარცა ფრიად შეირაცხოს იგი ცოდვად...“ 1r — 81v.

შენიშვნები: 1. წიგნის შედგენილობა: 1. „მიგება წინაშე, ვითარცა ფრიად შეირაცხოს იგი“ (1r); 2. „სიტყვანი წმინდანთა მამათანი“ (9v); 3. „კითხვა-მიგება წმიდათა მამათა“ (17v); 4. „სიტყვანი გამოკრებულნი წმიდათა მამათა მიერ სახარებათანი“ (25v); 5. „ვითარ ჴერ-არს მღვდელი რა დგეს წინაშე წმიდისა მის საკურთხეველისა“ (42v); 6. „დიდმან იოანე ნათლისმცემელმან დაყო უდაბნოსა **ლ** წელი...“ (47r); 7. „წმიდამან დედოფალმან ჩვენმან ღ~ისმშობელმან და მარადის ქალწულმან მარიამ დაყო **ჲ** წელი...“ (47v); 8. „ამ წიგნსა ეწოდების ხონოლროფი სიტყვა მეორედ მოსლვისათვის“ (48r); 9. „განიცადე აქაცა სომხითი, კილიკია, ისავრია, აფრიკეთი, ელადეთი, სიკილია“ (54v); 10. „აქა დ~ბით მეორედ მოსვლა უფლისა და მკვდრეთით აღდგომა. აღდგომისათვის მკუდართასა. თქმული იოანე დამასკელისა“ (60v); 11. „გოდება იაკობ მონაზონისა, რომელი წინასწარმეტყველებით თქვა“ (61v); 12. „სიტყვის-მიგება ბერისა ეფთვიმი გრძელისა სოსთენი სომეხთა მოძღვრისა“ (63r); 13. „უწყება პეტროს მკაწურვლისათვის და ალაჴორისათვის და ალაჴორთა მარხვისათვის“ (71v); 14. „უწყება სუბალის ძისა სუფსარქისათვის“ (73v); 15. „თარგმანება სომეხთა წვალებათათვის და თუ რომლითა პირითა შეიჩვენებიან სომეხნი“ (76v). 16. „შვიდნი საიდუმლონი“ (79r); 17. „ათნი მცნებანი რომელნი მოსცნა უფალმან მოსეს“ (79v); 18. „შვიდნი მომაკვდინებელნი ცოდვანი და წამალნი მათნი“ (79v); 19. „მცირედნი მოწყალებანი“ (80r); 20. „ლოცვა — „ვიცი რ~ არს გულსა ჩ~ა შესვლა...“ (80r). 21. „თარგმანი საუფლო ლოცვისა მამაო ჩვენოსი“ (80v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს. იხ. Описание, ტ. I, გვ. 519—520.

იხ. აგრეთვე კ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. I, 1941 წ., გვ. 413.

მინაწერები: 1. „ვლადიმერ ქრისტეფორეს-ძე ნაცვლიშვილისაგან. ზედამხედველი ტობანიერის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლისა. ღ. სამტრედია. 1902 წ. ივლისს 27" (ზემო ყდის v).

2. „ჩყ...დ-სა წელსა იანვრის იდ-სა" (1r).

3. (ფანქრით) „მასწავლებელი ვლადიმერ ნაცვლიშვილი" (1r).

4. „არავინ მოიპაროს, არ შეცთეს" (81v).

(1371) **3612**

ყიფიანი დ. ი., ყაზარმობა ანუ საქმე ქართველთა შეთქმულობისა 1832 წელს. 1894

63 ფ.; 22,3×18; ქაღალდი; უყდო; ცალცალკე ფურცლები, ჩადებულია ორად გაკეცილ ფურცელში; მხედრული; 1894 წ. ს. ქვიშხეთი (63r); მთარგმნელი და დამწერი კოტე ყიფიანი; სამოცდასამივე ფურცლის v დაუწერელია.

[ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე], „ყაზარმობა ანუ საქმე ქართველთა შეთქმულობისა 1832 წელს — ახლა მე თითქმის სამოცდაათი წლისა ვარ, ვარ ჯან-მრთელი, სულითა და გულით დამშვიდებული და საზოგადო მოღვაწეობისაგან თავისუფალი..." 2r — 38r.

მთავრდება: „დასასრულ ამისა, უნდა აღვიარო, რომ ამასა ვსწერ ჩემის მაღსოვრობით და თუ ვისმე ჰსურს უფრო დაწვრილებით გაიცნოს ამ შეთქმულობის საქმე, შეუძლიან მიჰმართოს კავკასიის არხეოგრაფიის კომისიის აქტებს, მერვე ტომს (Акты Кавказской Археографической Комиссии, том VIII, изд. 188 г). დიმიტრი ყიფიანი".

შენიშვნები: 1. უძღვის მთარგმნელის კოტე ყიფიანის შესავალი: „1884-ს წელს იანვარში განსვენებულმა ჩემმა მამამ, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა დასწერა რუსულად ეს ამბავი, ზემო-მოღსენებულის სათაურით. ახლა ამ ამბავს მე ვსთარგმნი ქართულად, რომ გადავსცე პატივ-ცემულ ახალ ქართულს ჟურნალის „მოამბის" რედაქციას, თავის ჟურნალში დასაბეჭდავათ, რადგანაც ბევრმა არც კი იცის, რომ საქართველოში როდისმე მომხდარიყოს ქვემო-მოღსენებული საქმე, რომელსაც მაშინ, ესე იგი 1832 წელს, დაერქვა „ყაზარმობა" და ადგილობრივმა მთავრობამ კი უწოდა: „საქმე ქართველთა შეთქმულობისა".

რად დაერქვა ამ შეთქმულობას „ყაზარმობა" და რა მიზეზმა გამოიწვია საქართველოში ქართველთა შორის შეთქმულობა, ამას პატივისმცემელი მკითხველი ქვემოდ ამოიკითხავს. მე მხოლოდ თარგმნით მივსდევ, ისე როგორც ჰქონდა დაწერილი დიმიტრი ყიფიანს და ამ სტატიის დასამთავრებლად ამოვკრიფავ ზოგი-ერთს შემთხვევებს ამ საქმის შესახებ კავკასიის არხეოგრაფიის კომისსიის აქტებიდან, სადაც ფრიად ვრცლად არის მოღსენებული ამ საქმის გარემოება.

ეხლა მოვჰყოთ ხელი ჯერ მამი-ჩემის ნაამბობს" (1r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ერთვის კოტე ყიფიანის მიერ კავკასიის არხეოგრაფიის კომისიის აქტებიდან ამოკრებილი მასალა ქართველთა 1832 წ. შეთქმულობის შესახებ პატარა შესავლით: „ამას რომ სწერდა განსვენებული ჩემი მამა, მოუხდა ქალაქს სტავროპოლში წასვლა და დამაბარა მე, ამელო ეს ზემოხსენებული წიგნი კავკასიის არხეოგრაფიის კომისიისა და მე ამომეკრიფა იქიდან ის ცნობები, ამ საქმის შესახებ, რომელსაც საჭიროთა ვსცნობდი. მეც აღვასრულე მამიჩემის სურვილი და აი, ახლა ვუძღვნი ჩემს შრომას ჟურნალ „მოამბის" პატივ-ცემულ მკითხველებს.

ეს ჩემგან შეკრებილი ცნობები უნდა მიებას მამიჩემის ნაამბობს, როგორც მათი გაგრძელება. — წერილი ბარონ როზენისა გრაფ ჩერნიშევთან 1832 წ. 14 დეკემბერს..." 38r—63r.

3. ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს: „1904 წ. მაისის 20. ს. ქვიშხეთი. კოტე ყიფიანი".

4. ორად გაკეცილ ფურცელს, რომელშიაც დევს ხელნაწერი აწერია: „ყაზარმობა" კოტე ყიფიანისა. 1894 წ. მაისი. ს. ქვიშხეთი".

3613

ბარამიანი. ხელნაწერი უკან წაუღია კ. ყიფიანს

იხ. ხელნაწერის აღწერილობა წიგნში: ექვთიმე თაყაიშვილი, Описание рукописей, ტ. I, გვ. 521.

(1372)

3614

რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის კანონმდებლობა. 1721.

346 ფ.; 32×20,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავ-გადაკრული ხის ყდა; ზემო ყდა მოვარდნილია; ფ. ფ. 1r—9r ამოცვენილია; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; 1721 (336r), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: თბილისელი იოსებ-ყოფილი ლევ პეტროვიჩი (336r); ადგილი: მოსკოვი; დაუწერელია: 1r-v, 337r—343v, 344v—345r, 346v; შემოწირულია ანასტასია მიხეილის ასულ წერეთლის მიერ.

[რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის კანონმდებლობა]. — „თავი ა. ამაში არის თ განჩინება მღთის მგმობელთათვის და ეკლესიათა ალმაშფოთებელთათვის. — თუ ვინმე სხვამ სჯულისამ, რომლისაც იყოს სჯულისამ, და ანუ რუსმა კაცმან დასდვას გმობა უფალსა ღმერთსა და მაცხოვარსა ჩვენსა იესოს ქრისტესა ზედა..." 68r—336r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა შესავალი: „პატრონმან მეფემან და დიდმან მთავარმან ალექსიმ, მიქელის შვილმან, ყოვლის რუსეთის თვითმპყრობელმან, მეოცესა წელსა ჰასაკისა თვისისასა და მესამესა წელსა მღთივდაცულისა მეფობისა მისისასა ზრახვა ჰყო მამისა თანა თვისისა..." 64v—67v.

ბ. „ზანდუკი წიგნისა ამისთავთა" 3r—64r.

2. აქვს ანბანური პაგინაციაც.

3. ამ ხელნაწერის შესახებ იხილე: ტრ. რუხაძე ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. თბილისი, 1960, გვ. 248—249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძები: 1. (სინგურით) „გათავდა საძიებელი ესე ჴელითა ცოდვილი იოსებ-მყოფილი დვორენინი ლევ პეტროვიჩისათა“ (64г).

2. „ქ. ამ მეოცე თავი გათავდა ჴელითა ცოდვილი იოსებ-ყოფილი ლევ პეტროვიჩისათა. ვინც გამოაყენოთ (!) ეს ოლოქენია და ან წაიკითხოთ, ერთი შენდობა ბძანეთ ჩვენ ცოდვილთათვის და თუ სიტყვა ან ასო წიგნისა დამეკლოს, ნუ მსაჯავთ, ამიტომ, რომელიც წიგნითგან გარდმოვიღე, ამრიგად იყო დაწერილი და რაც შემეძლო არა დამიზოგავს რა ჩემი გარჯა, ძმანო. ლევ პეტროვიჩ“ (294v).

3. (სინგურით) „გავათავე. მე ცოდვილი და გლახაკი ჴელითა ჩემითა თბილისელი იოსებ-მყოფილი ლევ პეტროვიჩმან წელსა **ჩღკა**, თვესა ოქტენბერს **იბ**, ქალაქსა შინა მოსკოვს, მეფობასა პეტრე ალექსისშვილისა. ვინც წაიკითხოთ, შენდობა გვიბძანეთ. ლევ პეტროვიჩ“ (336г).

მინაწერები: 1. სომხური მინაწერი ქართული ასოებით (2г-v).

2. „დავით გოდაბრელიძის პატარა ბიჭი დაიბადა მარტის **ბ**, წელსა **ჩყივ**. ღმერთმა კეთილად აღუზარდოს თავის ბატონების ერთგულობაში“ (3г).

3. „გრიგოლ სალთხუცის(!) ძეებას,
ვისაც სახელი ზე ედვას
სიმდაბლით ესე მიერთვას“ (67v).

4. „აქა ნავით ხულო გადამართა და ღმერთო ასწავე წიგნი“ (118г).

5. „ბედაური სამ სომათ“ (327v).

6. „ულვაყი რვა სომათ, ჴაკი ცხენი ნოღაური ექვს სომათ“ (336v).

7. „1893 წელსა ქრისტიშობასთვის 24 დღესა დაიბადა დღით პარასკევს თორმეტის საათის ნახევარზე პატარა ჩემი ქალი. კოლა გოდაბრელიძე 1893 წელსა“ (336v).

8. „ბატონისშვილი თინათინ მონოზვანო, ჩემთან ბძანდებოდე“ (345v).

9. „ქ~ს ა~ქთ **ჩღმა**, თვესა ნოემბერს **თ** ამ წიგნში ლევს მივეც რუბლი **დ**.
ქ. **გ**. კიდემ ნოემბერს **იდ** მივართვი თავისის კაცის ჴელით.
ქ. ნოემბერს **იჱ** ეფთვიმეს ჴელით **გ** რუბლი ლევს.
ქ. დეკემბერს **ა** ორი რუბლი ლევს მივართვი ეფთვიმეს ჴელით წელსა პსქის მონასტერში.
ქ. დეკემბრის **იბ** ჱ რუბლი ლევს დემეტრეს ჴელით მივართვი. **ბ** თუმანი გათავდა.
ქ. **დ** რუბლი ჩემის ჴელით მივართვი იანვარს **გ** ამ ნიშნით, ოდეს ბატონისშვილი თინათინ მონოზვანი ჩემთან ბძანდებოდა.
ქ. იანვარს **ი~ა** ალხაზას ჴელით მივართვი ლევს რუბლი **ვ**“ (346г).

შენიშვნა: მინაწერები 4, 5, 6, 8, 9 გაკეთებულია 18-ე საუკუნის 40-იან წლებში. იხ. აგრეთვე მინაწერები 344г, 346г.

(1373) **3615**

კრებული. 1804

102. „თთუჱსა მარტსა იბ. ღირსისა მამისა ჩუჱნისა და აღმსარებელისა თეოფანე სიგრიანელისა. კონდაკი, ჴმა ბ. ზენათა ძიებითა მაღლით მოიღე საღ̃თო განცხადება...“ 317r.

103. „თთუჱსა მარტსა იგ. ნაწილით აღმოყვანება წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა ნიკიფორე კოსტანტინეპოლელ პატრიარხისა. კონდაკი, ჴმა ა. ანგელოსთა მწყობრნი. — გუნდი პატრიარხთა...“ 317r.

104. „თთუჱსა მარტსა იდ. ღირსისა მამისა ჩუჱნისა ვენედიკტესი. კონდაკი, ჴმა ვ. — მადლითა ღ̃სათა განმდიდრდი შენ...“ 317r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

105. „თთუჱსა მარტსა იე. წმიდისა მოწამისა ალაპისი და მისთანა ექუსთა მოწამეთა. აკოლოთია ამისი ყოველივე მოწამეთა იძიე საზიაროთაგან“ 317r.

106. „თთუჱსა მარტსა ივ. წმიდათა მოწამეთა სავიანე და პაპისი. კონდაკი, ჴმა ბ. მტკიცენი. — საღ˜თოდ აღორძნდი...“ 317r.

107. „თთუჱსა მარტსა იზ. ღირსისა მამისა ჩუჱნისა ალექსი კაცისა ღ˜ისა, უფალო ღაღადვყავსა ზედა. დასდებელი, ჴმა ა. ყოვლად ქებულნო მოწამენო. — კაცად ღ˜ისად გიცნობთ...“ 317r—319r.

108. „თთუჱსა მარტსა იჱ. წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა კირილე იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსისა, კონდაკი. ჴმა ა. — ღმრთიუსულიერითა ენითა შენითა...“ 319r-v.

109. „თთუჱსა მარტსა ით. წმიდათა მოწამეთა ხრისანთე და დარიასი. აკოლოთია ამათი ყოველივე მოწამეთა იძიე საზიაროთაგან“ 319v.

110. „თთუჱსა მარტსა კ. ღირსთა მამათა ჩუჱნთა, რომელნი მონასტერ შინა წმიდისა სავასსა მოისრნეს. კონდაკი, ჴმა დ. რომელი ამაღლდი. — ქუჱყნისა და ჴორცთა ფუფუნება...“ 319v.

111. „თთუჱსა მარტსა კა. ღირსისა მამისა ჩუჱნისა და აღმსარებლისა იაკობ ეპისკოპოსისა. აკოლოთია ამისი ყოველივე ღირსის აღმსარებლისა იძიე საზიაროთაგან“ 319v.

112. „თთუჱსა მარტსა კბ. წმიდისა მღუდელმოწამისა ვასილი მღუდელისა ანკირიის ეკკლესიისა. კონდაკი, ჴმა ჱ. ზესთა მბრძოლისა. — ცხოვრება სჯულიერი აღასრულე...“ 319v.

113. „თთუჱსა მარტსა კგ. წმიდისა ღირსისა მოწამისა ნიკონისი და ორთა მოწაფეთა მისთა მისთანავე წამებულთა. — აკოლოთია ამითი ყოველივე ღირსთა მოწამეთა იძიე საზიაროთგან“ 319v.

114. „თთუჱსა მარტსა კდ. წინადღესასწაული ხარებისა ყოვლად წმიდისა ღ˜ისმშობელისა და ღირსისა მამისა ჩუჱნისა ზაქარიასი და წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა არტემი თესალონიკელ ეპისკოპოსისა. მწუხრად ჩუჱულებისაებრ კანონი უფალო ღაღადვყავსა ზედა. მარხუნისა ღლისა ბ გზის და მოწამეთა და მარხუნისა გ, და წინადღესასწაულისა მუჴლი დ, ჴმა დ, მჴნეონი. — დაფარული საიდუმლო...“ 319v—324r.

115. „თთუჱსა მარტსა კე. ხარება ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუჱნისა ღ˜ისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. იწყების ხუთშაბათითგან ბ კჳრიაკისა წმიდათა მარხუათასა და მიიწევის ვიდრე ოთხშაბათადმდე ბრწყინუალისა შჳდეულისა. უკეთუ იყოს მარხუა, ვიწყებთ მწუხრსა თჳნიერ კანონისა და თჳნიერ მეტანიისა უფალო ღაღადვყავსა ზედა. აღვლებთ მუჴლთა ი და ვგალობთ მარხუნისა თჳთჴმოვანსა ღლისასა ბ გზის და მარხუნისასა გ და დღესასწაულისასა გ ორ-ორ გზის ორსა, ჴმა ვ. ყოველი სასოება. — წინა საუკუნეთა განზრახვსა განცხადებად...“ 324r—342v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

116. „თთუჱსა მარტსა კვ. კრება მთავარანგელოზისა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა. ცისკრად ჩუჱულებისაებრ ფსალმუნება და წა~გა მარხუნისა ესრეთ ფსალმუნი ნ და კანონი ღ~ისმშობლისა, მუჴლი დ და მთავარანგელოზისა მუჴლი ვ. კანონი ღ~ისმშობლისა, რომლისა კიდურწერილობა ალფა, ვიტა, ჴმა ვ, გალობა ა. სძლისპირი. — ზღუა მეწამული კუჱრთხმან განაპო...“ 342v—345v.

შენიშვნა: ტექსტის ხელითვე დასაწყისში მიწერილია: „ეს კანონი დღესასწაულისა რუსულშიაც ესევ ჴმა არის, მაგრა სძლისპირი სხუა. რუსულში სძლისპირი უკულეველად არის და იმისი შემდგომნი“.

117. „თთუჱსა მარტსა კზ. წმიდისა დედისა ჩუჱნისა მ ა ტ რ ო ნ ა თ ე ს ა ლ ო ნ ი კ ე ლ ი ს ა. — აკოლოთია ამისი ყოველივე წმიდის დედისა იძიე საზიაროთაგან“ 345v.

118. „თთუჱსა მარტსა კჱ. ღირსისა მამისა ჩუჱნისა ი ლ ა რ ი ო ნ ა ხ ლ ი ს ა და წმიდისა ს ტ ე ფ ა ნ ე ს ა კ ჳ რ უ ჱ ლ თ მ ო ქ მ ე დ ი ს ა. — აკოლოთია ამათი ყოველივე ღირსისა ღირსის საზიაროში იძიე და წმიდისა — წ~ის საზიაროში“ 345v.

119. „თთუჱსა მარტსა კთ. ღირსისა მამისა ჩუჱნისა მ ა რ კ ო ს ა რ ე თ უ ს ეპისკოპოსისა და კ ი რ ი ლ ე დ ი ა კ ო ნ ი ს ა და სხუათა ი ვ ლ ი ა ნ ე ზე მტარუალისა წამებულთა. — აკოლოთია მღუდელმთავრისა. მღუდელმთავრისა იძიე საზიაროთაგან“ 345v—346r.

120. „თთუჱსა მარტსა ლ. ღირსისა მამისა ჩუჱნისა ი ო ა ნ ე კ ი ბ ი ს ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა. დასდებელი, ჴმა ჱ. ჵ სასწაული. — ღირსო მამაო, ი ო ა ნ ე...“ 346r—348r.

121. „თთუჱსა მარტსა ლა. ღირსისა და საკჳრუჱლთმოქმედისა ი პ ა ტ ი ღ ა ნ ღ რ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა. — აკოლოთია ამისი ყოველივე მღუდელმთავრისა იძიე საზოგადოთაგან“ 348r.

122. „ღ~ისმშობლისა აღდგომისა რუა ჴმათა ზედა. ჴმა ა ღ~ისმშობლისა. — ყოვლისა სოფლისა ღბა~სა, კაცთაგან გამოსრულსა...“ 349r—356r.

(1386) **3628**

პარაკლისი. 1745

33 ფ.; 9,5×7; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტექსტი ჩასმულია მოოქროვილ ჩარჩოში. 2v-ზე ნაბეჭდი გამოსახულებაა ეგვიპტიდან მომავალი წმ. ოჯახისა. დამწერი: [გრიგოლ მხატვრის ძე] დეკანოზი ალექსი. 1745 წ. (28r). დაუწერელია: 28v, 29v, 30r—33v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 5.

„პ ა რ ა კ ლ ი ს ი, ოდეს ბრძოლად განვიდოდნენ მართლმადიდებელი მეფე და ერი. — მოდით თყ~ნის-ვსცეთ გ. შეისმინე, ღმერთო, ჴმისა ჩ~ისა. გევედრებოდი რ~ჳმე შენდამი შიშისაგან მტერისა იჴსენ სული ჩემი...“ 3r—27r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. პარაკლისს ბოლოს დართული აქვს: „ლოცვა ძილსა შინა დაცემისათვის ერის კაცისა...“ (29r).

2. ალექსი დეკანოზის საკუთარი პარაკლისი მოთავსებულია 22r—22v.

ანდერძი: „ზე ადიდენ ღმერთმან ჴელმწიფე და პატრონი ჩუენი მეფე თეიმურაზ და მიანიჭე კეთილი სუფევაჲ, დღეთა სიმრავლე, წელთმეძინებაჲ და ბედნიერი ცხოვრებაჲ ნუმცა მოაკლდების მეფობასა მათსა. მე მონაჲ, მიწა და ნაცარი ფერჴთა იატაკისა მათისაჲ, მშიშველ-წიწველი(!), შემართვად თუალთა ვერ მკადრე, მდაბალი და უნდო მლოცველ-მომჴსენებელი მღდელ-დეკანოზი ალექსი თ~ყნის ვსცემ უფალსა და მფარველსა მათსა, სუჩტსა ცხოველსა, რათა მშჳდობით და უვნებელ~ად და უჭირველად ყოს კეთილი სუფევა მათი და განარინნეს ყოველთა სენთა და სალმობათაგან და აჴოცნეს ყოველნი მბრძოლნი და განდგომილნი არა მორჩილებაჲდ მონებისა მათისანი მათ სამსახურს შეუძლებელს მათმა ბრძანებაჲმ. მცირე ესე პარაკლისი ასე გავმართეთ: რაც ოდენ ჩემს უცბად-მწერლობას შეეძლო, რომელიმე მუჴლნი ვთქჳ და სხუანი წიგნთაგან შევამოწმენი. ღმერთმან ადიდნეს ორსავე შინა ცხორებასა და კეთილ-სუფევით დამყარებული ცხორებაჲ წარმართნეს ღმერთმან საუკუნოდ უ~კე, ამენ. ქრისტეს აქეთ **ჩღმე**“ (27v—28r).

(1387) **3629**

დაუჴდომელი. XVIII

67 ფ.; 8,4×6; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა: ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; დაუწერელია: 64v—67v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 6.

„იბაკონი ყოვლად წმიდისა ღ~ისმშობლისანი, რომელსა დ ა უ ჴ დ ო მ ე ლ ი ეწოდების. — ზეშთა მბრძოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან...“ 3r—64r.

შენიშვნები: 1. 2v-ზე მოთავსებულია მინიატიურა წარწერით: „მოსეს მაყულის ხილვა“.

2. ერთერთი სავედრებელი (49v—64r) მარკოზ მონაზონის მიერ არის თქმული.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამისი მწერალი“ (64r).

(1388) **3630**

ლოცვანი და დაუჴდომელი. XVIII

129 ფ.; 9,5×6,7; ქაღალდი; წითელ ტყავგადაკრული ხის ოქროტვიფრული ყდა; შიდა მხარეს ლურჯი აბრეშუმის ქსოვილია გადაკრული; ნუსხური, სათაურები ხვეულად, სინგურით; ტექსტი ჩასმულია ოქრომელნით შემოხაზულ ოთხკუთხოვან ჩარჩოში; გადამწერი: გრიგოლ მხატვრის ძე დეკანოზი ალექსი; [XVIII ს.] (62r); დაუწერელია; 1r—6v, 62v—68v, 121v—129v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 7.

1. «ლ ო ც ვ ა ნ ი». „ჟამნი მესამე. ყოვლად კურთხეულარსისა თქუენ, მჩუფენო ზ, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუჩნო, რამეთუ ყოველი არს სუფევა კ~ნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბ. მოდით, თაყუანის ვსცეთ გ. — ისმინე, უფალო, სიმართლისა ჩემისაო, მოხედენ ვედრებაჲსა ჩემსა...“ 7r—61v.

შენიშვნა: ლოცვანი შეიცავს: მესამე, მეექუსე, სადილის, სერობის და მეცხრე ჟამნს, ოხითა-იბაკო აღდგომისა, სამგზეფსო და ზატიკისა.

2. „იბაკონი წმიდისა ღმრთისმშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების. — ჯ~ჲ დ გ~ი. ზეშთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღ~წისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა აღვსწერთ, ღმრთისმშობელო ქალწულო...“ 69r—121r.

ანდერძი: „ზე ამაღლებულის ღ~ის~გნ ჴელმწიფის და პატრონის ჩემის მეფეთ-მეფის თეიმურაზის ბრძანებით ვიმუშაკე და აღვსწერე მცირე ესე ლოცვანი ჩუჱნ, მათმან მონამან და მათთჳს მლოცველ-მომჴსენებელმან ჴელოანის გრიგოლ მხატვრის ძემან, დეკანოზმან ალექსიმ და მვედრებელმან და თაყვანისმცემელმან უფლისაჲ ი~ჳსისამან და მთხოველმან მათთჳს წყალობისა, რათა მშჳდობით აჴმარონ ნამუშაკევი ესე ჩემი და უვნებელად და უჭირველად და კეთილსუფევით დამყარებულ ყოს მეფობა მათი. აწ, აქასა სოფელსა და მას მერმესა საუკუნოსა კეთილსუფევასა ღირს იქმნეს. აწ და უკუნისამდე, ამენ“ (62r).

მინაწერი: „მეფე თეიმურაზ შეიწყალე, ქალწულო“ (ɔ9r).

(1389) **3631**

სძლისპირები. XVIII

90 ფ.; 11×9; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ბოლონაკლული; ნუსხური, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები მთავრულად, სინგურით; აქვს თავსამკაულები: 1r, 9v, 18v, 22v, 34r, 37v, 43r, 46v, 55r, 62r, 63v, 66r, 68r, 70v, 71v, 75r; [XVIII ს.]; აქვს ჰვირნიშანი; დაუწერელია 74v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 8.

1. „სძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უგ~ლობ. ჯ~ჲ ა. — სასწაულითა იჴსნა ერი უფალმან და ზღუაჲ მღელუარე სიტყჳთ განაჴმო...“ 1r—74r.

შენიშვნა: სძლისპირები გაწყობილია რვა ხმაზე.

2. „ოხითა იბაკო საუფლოთა დღეთა და წინადღეთა და რომელთამე დღესასწაულთა. ოხითა სეკდენბრის ზ, ჯ~ჲ დ. — ძირისაგან იესესა...“ 75r—89v.
წყდება: „...რამეთუ უდაბნონი ქალაქ ჰყვენ, ღირსო, რაჲსათჳსცა გილაღად...“.

მინაწერები: 1. „ყოვლად წმინდაო ღმრთისმშობელო, მეოხ გვეყავ ჩვენ. ყოველთა განმანათლებელო მამაო, წმინდაო საბაო, უდაბნონი ქალაქ ყვენ. მეცა ცოდვილსა მეოხ მეყავ, რომლისათვისცა გილაღადებ ს...იანი ბარათაშვილი უღირსი იოვანე.
ყოვლად წმინდაო ღმრთისმშობელო, მეოხ გვეყავ ჩვენ“ (90r).
2. „ამისი მადლით გერმანიაში თანა მქონდა წელსა 1836-სა“ (ქვ. ყდის საცავი ფურცლის r). ეს მინაწერი თეიმურაზ ბატონიშვილისა უნდა იყოს.

97
ეროვნული ბიბლიოთეკა

(1390) 3632

ლოცვანი. 1767

184 ფ.; 14,5×9,6; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; გადამწერი სიონის დეკანოზი ნიკოლოზ (44v, 45r, 131r, 174r, 183v); 1767 წ. (44v, 131r, 174r, 183v); აქვს თავსამკაულები 76v და 131v; ჩანახატი 156v. დაუწერელია: 1rv, 45v, 174v, 184rv; ალ. ცაგარლის კატალოგით № 9.

1. „ლოცვანი შუაღამისანი, თქმული იოსებ გამომეტყუელისა მიერ. — ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ...“ 3r—38v.

ა. „სხუაჲ ლოცვაჲ შუაღამისა ქართული დ. — შეუვრდები მე არა ღირსი ესე მონა შენი...“ 10v—12r.

ბ. „სხუა ლოცვა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ, თქმული გერმანოზ კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა...“ 12r—17v.

გ. „ლოცვა სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა მარკოზ მონაზონისა...“ 17v—20r.

დ. „გალობანი შუაღამისანი. უგ͠ლბჲ ჴმაჲ ვ...“ 20r—27r.

ე. „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა წმიდისა იოანე დამასკელისა...“ 27r—30r.

ვ. „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა. თქმული წმიდისა დიდისა ბასილისი...“ 30r—32v.

ზ. „სხვაჲ ლოცვაჲ შუაღამისა, თქმული მისივე წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ბასილი კესარიელ-მთავარეპისკოპოსისა...“ 32v—38v.

2. „იბაკონი უფლისაჲ ჩვენისა იესუ ქრისტესი, თქმული წმიდისა თეოქტისტე სტოდიელის მონასტრისა. იბაკოჲ ა. — ზეშთა მბრძოლო უფალო, ჯოჯოხეთისა დამთრგუნველო, რამეთუ ჴსნილი საუკუნესა სიკვდილისაგან ქებულებასა აღვსწერთ შენნი დაბადებულნი და მონანი შენნი...“ 39r—44v.

3. „იბაკონი წმიდისა ღმრთისმშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების, ჴმა ჱ. — ზეშთა მბრძოლისა ჩემისათვის და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა აღვსწერთ, ღმრთისმშობელო ქალწულო,...“ 46r—58v.

ა. „ლოცვაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ, თქმული ღირსისა ფილოთეოს მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოლელისა...“ 52r—55r.

ბ. „ლოცვა დღითი-დღე სათქმელი წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ, უკეთუ გსურის ხილვა მისი ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა...“ 55v—57v.

გ. „ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი წმიდისა იოანე დამასკელისა...“ 57v—58v.

4. [ლოცვანი გმადლობისი]. „ლოცვა თქმული წმიდისა მაკარისი.—გმადლობ შენ, უფალო ჩემო, ყოვლითა გულითა ჩემითა...“ 58v—63v.

ა. „ლოცვა წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა...“ 60v—63v.

ბ. „ლოცვა წმიდისა იოანე ოქროპირისა აღსარებისათვის ცოდვათასა და სინანულისა...“ 63v—64r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. „ლოცვა წმიდისა ამონისი...“ 64r.

დ. „ლოცვა წმიდისა ეფრემისი...“ 64rv.

ე. „ლოცვა წმიდისა ისაკ განშორებულისა...“ 64v—65v.

ვ. „ლოცვა წმიდისა ტიმოთესი...“ 66r.

ზ. „ლოცვა წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა სინანულისათვის ცოდვათასა. თარგმნილი წმიდისა მამისა გიორგისი...“ 66r—73v.

თ. „ლოცვა სინანულისა, თქმული მისივე წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ბასილისი...“ 73v—76r.

5. „ლოცვანი ყოველთა შჳდეულთა დღეთანი, რომელიცა ვინ ჰყოფდეს აღსარებასა თვისთა ცოდვათასა. კვირიაკესა სათქმელი, თეოფანესაგან თქმული. — აღვიარებ შენ, მამა უფალო ცათა და ქვეყნისაო, ყოველთა ცოდ-ჳათა ჩემთა, რომელნი მიქმნიან ცხადად და დაფარულად...“ 76v—131r.

ა. „ლოცვა ბოროტთა გულის სიტყვათათვის...“ 82r—89r.

ბ. „ლოცვაჲ ბოროტთა გულის სიტყვათათვის ორშაბათსა...“ 82v—83r.

გ. „ლოცვაჲ ორშაბათსა სათქმელი ღმრთისაჲ მიმართ და წმიდათა ანგელოზთა, თქმული იოანე დამასკელისა...“ 83r—88v.

დ. „ამასვე დღესა სხუა ლოცვა სინანულისა, თქმული ეფრემისი...“ 88v—91r.

ე. „ლოცვა ბოროტთა გულის სიტყვათათვის სამშაბათისა...“ 91rv.

ვ. „ლოცვა სამშაბათსა სავედრებელი წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა და წმიდათა წინასწარმეტყველთა და წმიდათა მღვდელთმოძღვართა...“ 91v—96v.

ზ. „სამშაბათსავე ლოცვა აღსარებით, თქმული ეფრემისი...“ 96v—99v.

თ. „ლოცვაჲ ბოროტთა გულის სიტყუათათვის საވედრებელი ყოვლად წმიდისა მიმართ ოთხშაბათისა...“ 100r—101r.

ი. „ლოცვა ოთხშაბათისა სავედრებელი წმიდისა ღმრთისმშობელისა, თქმული იოანე დამასკელისა...“ 101r—105v.

ია. „ოთხშაბათსა ლოცვა წმიდისა ეფრემისი სინანულისათვის...“ 105v—109r.

იბ. „ლოცვა ბოროტთა გულის სიტყვათათვის ხუთშაბათისა...“ 109r—109v.

იგ. „ლოცვა ხუთშაბათსა სინანულისა სავედრებელი წმიდათა მოციქულთა, თქმული იოანე დამასკელისა...“ 109v—115v.

იდ. „ხუთშაბათსა ლოცვა თქმული წმიდისა ეფრემისი...“ 115v—117r.

იე. „ლოცვა ბოროტთა გულის სიტყვათათვის პარასკევისა...“ 117v.

ივ. „ლოცვა სავედრებელი ჯვარისა, თქმული იოანე დამასკელისა პარასკევსა...“ 118r—122v.

იზ. „პარასკევსავე ლოცვა სინანულისა, თქმული წმიდისა ეფრემისი...“ 123r—126v.

ით. „ლოცვა ბოროტთა გულის სიტყვათათვის შაბათისა...“ 127r.

იკ. „ლოცვა შაბათსა სათქმელი სინანულისა, თქმული წმიდისა იოანე დამასკელისა...“ 127r—131r.

6. „ლოცვა დაწოლისა...“ 131v—134r.

7. „ლოცვანი ღმრთისანი ათორმეტთა ჟამთანი...“ 135r—145v.

8. „ლოცვა დაცემისა...“ 146r—150r.

ა. „ლოცვაჲ ესე მარკოზ მონაზონისა...“ 147r—148r.

ბ. „სხვაჲ ლოცვა წმიდისა დიდისა ბასილისი...“ 148r-v.

გ. „ლოცვა წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა...“ 148v—150r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. „წესი და განგება წმიდისა ზიარების ლოცვისა..." 150v—170r.

ა. „ლოცვა ა. წმიდისა ზიარებისა წმიდისა მამისა ჩუენისა ვასილისი..." 157r—158r.

ბ. „ლოცვა ბ. ზიარებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა..." 158r—159r.

გ. „ლოცვა გ. წმიდისა სჳმეონ მეტაფრასისა..." 159r-v.

დ. „ლოცვა დ. წმიდისა სჳმეონ მეტაფრასისა..." 159v—162r.

ე. „ლოცვა ე. ზიარებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა..." 162r.

ვ. „ლოცვა ვ. ზიარებისა წმიდისა დიდისა ბასილისი..." 162v—163r.

ზ. „ლოცვა ზ. წმიდისა სჳმეონ ახლისა ღმრთისმეტყველისა..." 163r—164v.

ჱ. „ლოცვა ჱ. ზიარებისა წმიდისა იოანე ოქროპირისა..." 164r—165r.

თ. „ლოცვა თ. ზიარებისა წმიდისა იოანე ოქროპირისა..." 165r.

ი. „ლოცვა ი. ზიარებისა იოანე დამასკელისა..." 165r-v.

ია. „ლოცვა ია. ზიარებისა იოანე დამასკელისა..." 165v—166r.

იბ. „ლოცვა იბ. ზიარებისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი..." 166r—170r.

10. „ლოცვა შემდგომად ზიარებისა..." 170r—174r.

ა. „ლოცვა დ. შემდგომად ზიარებისა წმიდისა ბასილისი..." 171r-v.

ბ. „ლოცვა ე. შემდგომად ზიარებისა, თქმული სვიმეონ მეტაფრასისა..." 171v—172r.

გ. „ლოცვა ვ. შემდგომად ზიარებისა წმიდისა ბასილი ალექსანდრიელისა..." 172r-v.

დ. „ლოცვა ზ. ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ..." 172v—174r.

11. „პარაკლისი ახლად თარგმნილი. სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ..." 175r—183v.

შენიშვნები: 1. ღვთისმშობლის პარაკლისის ერთ-ერთ ლოცვაში მოხსენებულია და განსხვავებული ხელით სინგურით ჩაწერილია ერეკლე მეფის, დარეჯან დედოფალისა და ანტონ კათალიკოსის სახელები.

2. ხელნაწერში პირველ ფურცელთან ჩადებულია ქაღალდი ჯვრის ფორმისა, რომელზედაც მიწერილია: „მეფის გიორგისაგან არის გამოჭრილი".

3. 45r-ზე მოთავსებულ ჩართულ ნუსხურში იკითხება: „ვმუშაკობ ნიკოლოზ".

ანდერძები: 1. „იესუ, იესუ, შეიწყალე მწერალი უღირსი დეკანოზი სიონისა ნიკოლოზ, **ჩღჲზ**" (44v).

2. „უფალო იესუ ქრისტე, შეიწყალე უღირსი მღვდელი დეკანოზი სიონისა ნიკოლაოზ, 1767" (131r).

3. „აღმწერელი სრულიად ლოცვაებისა ამის სიონის დეკანოზი ნიკოლოზ გევედრები, მცირედცა ჴსენებასა ჰყოფდეთ ჩემ მწერლისა ამის, **ჩღჲზ**" (174r).

4. „ყოვლად წმიდაო დედოფალო, მეოხ და მფარველ მექმენ უღირსს მღვდელს დეკანოზს ნიკოლოზს, მსასოებელსა შენსა მწერალს, **ჩღჲზ**" (183v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1391) **3633**

კრებული. 1753

234 გვ.; 15,5×10; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული (232—234 გვ.), ნუსხური (1—232 გვ.); სათაურები სინგურით; 1753.XII.30 (231 გვ.); გადამწერი: (1—233 გვ.) მღვდელ-დეკანოზი ალექსი (231 გვ.); 232 გვერდიდან გადაწერილია მეფე თეიმურაზ II-ის ხელით. ალ. ცაგარლის კატალოგით № 10.

1. [თეიმურაზ მეორე, განზრახვანი და ვედრებანი]. — „განზრახვა სიკვდილისა ორშაბათსა. ნაწილი ა. შენ მხოლო ხარ უკვდავი, ყოვლად ძლიერი, ცხოვრების მომცემელო, რომელმან ეგე შემქმენ და დამბადე კაცი მიწისაგან...“ 11—228 გვ.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის დედანი, თეიმურაზ მეორის ავტოგრაფი, დაცულია ამავე კოლექციაში 135 ნომრით.

2. ტექსტს უძღვის წინასიტყვაობა. მისი სრული ტექსტი გამოცემულია (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... (S) კოლექცია, ტ. I, გვ. 143—144).

2. [ვნებანი იესო ქრისტესნი]. — „თქმულ არს, ორნი ქალწულნი იყვნეს მოღვაწენი. დიდის ვედრებით მოინებეს ვნების ცნობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი...“ 232 გვ. — ქვემო ყდის შიდა მხარე.

შენიშვნა: ტექსტი გადაწერილია თეიმურაზ მეორის ხელით.

ანდერძი გადამწერისა: „მეთჳსტომემან დავითისამან და დავითის ძისაგან კეთილად შეწყალებულმან, სკიპტრა პორფიროვბით სახელდებულმან მეფემან ცათა მეუფისამან თეიმურაზ, მოსავმან სამებისამან, საკუთარმან ღმრთისმშობელისამან, აღძრულმან წამისყოფითა ღმრთისაჲთა და წმიდათა წერილთაგან შემკრებელმან ყოველთა მსგეფსთა დღეთა ლოცვისათა, ვითა ფუტკარნი გოლსა(!) თითო-სახეთა სუნნელთაგან აღიწყობენ და ჭურთა მათ ცვილთასა აღავსებენ, რომლისაგან სიტკბოებაჲ მოკლებულ არს, ეგრეთ იმანცა მეფემან შვიდეულთა დღეთათვის განწვალნა თჳთოეულად ლოცუანი და დაატკბნა უფროს თაფლისა გოლეულისა შემოკრებითა წერილთათა, ნანდჳლ ტკბილ არს და საწადელ კეთილ კაცთათჳს და სალხინებელ სულთა, ვისცა ჰნებავს და სწადნ ლოცვაჲთა აღმოკითხვად, რომელი მეცა ბრძნობითა კეთილ-მსახურის მეფის თეიმურაზისათა ღირს ვიქმენ ნამუშაკევსა მისსა აღწერად ტფილურთა მოქალაქე ქმნილის ხელოანის მხატვრის გრიგორ მღუდლის ძე, უღირსი მღუდელ-დეკანოზი ალექსი. აწე აღმომკითხველთა წინაშე ვმოქენეობ, ჴსენებაჲსა ლოცვაჲთასა მომიძღვანებდეთ.

სრულ იქმნა დეკენბერს **ლ**, ქრისტეს აქეთ **ჩღნგ**, ქორონიკონს **უმა**“ (229—231 გვ.).

მინაწერები: თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით. 1. „მეფის ძის თეიმურაზისა არის ეს წმიდა ლოცვაები(!), მოიხსენეთ მხილველთა“ (11 გვ.).

2. „მეფობასა შინა მამისა ჩემისასა მეფის გიორგი მეათცამეტისასა, ოდეს ვიქორწინე გორს მეუღლესა ჩემსა ოთარ ამილახვარის ასულს ელენეზედ, წელსა 1800 და დავიდგინე მამის ჩემის მიერ ქართლისა განმგედ და მეურნედ. ჟამსა მას მომიძღვნა ესე ლოცვაები ჯომარდიძე დიმიტრი მღვდელმა. ეს ლოცვაები ახალციხიდამ ჩამოეტანა მას. პაპის ჩემის მამისა მეორე თეიმურაზ მეფისაგან არის ქმნილი ეს შვიდეულის ლოცვანი სრულად, რომლისა ხსენება იყავნ საუკუნოდ.

მდაბალი მეფის ძე თეიმურაზ მხილველთა მომიხსენეთ“ (ზემო ყდის შიდა მხარე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1392)

3634

ლოცვანი. 1780

118 ფ.; 17,5×11; უყდო; დაშლილი; ნუსხური, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით; გადამწერი სიონის დეკანოზი ნიკოლაოსი, (116v); 1780 წ. (116v); დაუწერელია: 1rv, 63v, 85v, 110v, 117r—118v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 11.

1. „კვირიაკესა ცისკრად შუალამესა ზედა კანონი სამებისა, რომლისა კიდურწერილობა „სამებაო მხოლოო მაცხონე მონა შენი“. გალობა ა, ჴმა ჱ. ძლისპირი — ეტლთა მფლობელი. — სამ ბრწყინუალესა მეუფჱსა და სიბრძნით განმგებელსა ყოველთასა...“ 2r—7v.

2. „ლ ო ც ვ ა შ უ ა ღ ა მ ი ს ა, თქმული წმიდისა დიდისა ვ ა ს ი ლ ი ს ი იგ. — მეუფჱო ზეცათაო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელმან მოავლინე ძე შენი საყუარელი მოძიებად წარწყმედულისა ამის ცხოვარისა...“ 8r—10v.

3. „ლ ო ც ვ ა ნ ი შ უ ა ღ ა მ ი ს ა ნ ი. რა ჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანეთ. — ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესუ ქრისტე ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ...“ 11r—12v.

4. „გ ა ლ ო ბ ა ნ ი შ უ ა ღ ა მ ი ს ა ნ ი. ჴმა ვ. ძლისპირი. — რომელმან დაფარა სიღრმესა მდევარი...“ 13r—22v.

5. „გალობა უფლისა ჩვენისა მიმართ იესო ქრისტესი. გალობა ა, ჴმა ვ ძლისპირი. — ზღვა მეწამული კუერთხმან განაპო...“ 23r—26v.

6. „იპაკონი(!) უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, თქმული წმიდისა თ ე ო ქ ლ ი ს ტ ე ს ტ ო დ ი ე ლ ი ს მონასტრისა. იპაკო ა. — ზესთა მბრძოლო უფალო, ჯოჯოხეთისა დამთრგუნველო...“ 26v—36v.

7. „საგალობელი დ ა უ ჯ დ ო მ ე ლ ი ს ა უფროსად დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა. გალობა ყოვლად წმიდისა სიხარულისა შემწყნარებელო, შენ გშუჱნის სიხარული მხოლოსა, თქმული უფლისა იოსებისა...“ 37r—53r.

8. „გალობანი წმიდისა ანგელოსისა მიმართ მცუჱლისა სულთა და ჴორცთა ჩუენთა, ჴმაჲ. ჱ. — უგალობდეთ უფალსა, რომელმან განიყვანა ერი თვისი ზღუასა მას მეწამულსა...“ 53v—59r.

9. „ესე ლოცვა ყოველთა დღეთა უნდა შემდგომად მწუხრის გამოლოცვისა. — კურთხეულ ხარ მეუფჱო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, რომელმან განანათლე დღე ნათელითა მზისათა...“ 59r—63r.

10. „ლოცვა სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა მარკოზ მონაზონისა. თ. — მრავალნი და დიდებულნი ნიჭნი მამეცნეს მე დამბადებელისა და ღმრთისა ჩვენისაგან...“ 64r—67v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. „დაუჯდომელი ჯუარისა, ბერძულისაგან ქართულად თარგმნი-ლი. — ზესთა მბრძოლისა და მოღუაწისა ჩვენისა უძლეველისა ჯუარისა შენი-სა, ქრისტე ღმერთო...“ 68r—75v.

12. „წესი და განგება წმიდისა ზიარების ლოცვისა, ოდეს გენებოს შე-წირვა უსისხლოსა მსხვერპლისა. წინადღე მცირე სერობისა ილოცე ესრეთ. — ცხ˜ლრსი, მეუფეო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩვენო...“ 76r—85r.

13. „ლოცვა წმიდისა ზიარებისა წმიდისა მამისა ჩვენისა ვასილისი. — მეუფეო უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, წყაროო სახიერებისა და უკ-ვდავებისაო...“ 86r—110r.

ა. „ლოცვა ბ ზიარებისა წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირი-სა...“ 88r—89r.

ბ. „ლოცვა გ. წმიდისა სიმეონ მეტაფრასისა...“ 89r—90r.

გ. „ლოცვა დ. ზიარებისა წმიდისა სიმეონ მეტაფრასისა...“ 90r—93r.

დ. „ლოცვა ე. ზიარებისა წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე დამასკელი-სა...“ 93v.

ე. „ლოცვა ვ. ზიარებისა წმიდისა დიდისა ბასილისა...“ 94r-v.

ვ. „ლოცვა ზ. წმიდისა სიმეონ ახლისა ღვთისმეტყველისა...“ 94v—97r.

ზ. „ლოცვა ჱ. ზიარებისა წმიდისა იოანე ოქროპირისა...“ 97r-v.

თ. „ლოცვა თ. ზიარებისა იოანე ოქროპირისა...“ 97v—98r.

ი. „ლოცვა ი. ზიარებისა იოანე დამასკელისა...“ 98r—99r.

კ. „ლოცვა ია. ზიარებისა იოანე დამასკელისა...“ 99r-v.

ლ. „ლოცვა იბ. ზიარებისა თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ბასი-ლისა...“ 99v—103v.

მ. „ლოცვა ზიარებისა, ოდეს მღვდელი ეზიარების წმიდათა საიდუმლოთა ანუ ერისკაცი აზიაროს მღვდელმან...“ 103v—106r.

ნ. „ვასილი დიდისა ბ...“ 106r—110r.

14. „წარკითხუა მოსახსენებელთა, თუ ვითარ ჯერ-არს მონა-ზონთა მიერ ანუ ერისკაცთა ყველა დღესა აღსრულება თჳსსა სენაკსა შინა, რა-თა აღასრულებდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა და სიწრფოებითა სულისა-თა...“ 111r—116r.

შენიშვნა: მოსახსენებელში მოხსენებულია ერეკლე მეფე, დარეჯან დედოფალი და ანტონ კათალიკოსი.

ანდერძი: „მრავალჟამიერ მრავალს წელს ბატონიშვილი ლეონ, რომლისა ბრძანებითა აღვწერე ლოცვანი ესე ყოვლად უღირსმან სიონის დეკა-ნოზმა ნიკოლაოს. **ჩღპ**, 1780; ქორონიკონს **უჲჱ**“ (116r).

(1393) **3635**

ნიკიფორე ხუცესი, ანდრია სალოსის ცხოვრება. XIX

182 ფ.; 22×18; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ალ. ცა-გარლის კატალოგით № 12.

[ნიკიფორე ხუცესი], „ცხოვრება და მოქალაქობა ნე-ტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტეს ღთისა, გ. მ. — ძმანო ჩემნო, საყვარელნო და მამანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა, და გაუწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო, რამეთუ არს საქმე ტკბილ, ვითარცა თაფლი და საყნოსელად სუნნელ და ჰამო...“ 1r—182v.

შენიშვნა: ტექსტი ნათარგმნი უნდა იყოს ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. (შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957, გვ. 104).

(1394) **3636**

ნიკიფორე ხუცესი, ანდრია სალოსის ცხოვრება. XIX

160 გვ.; 20,8×16,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული; აბზაცის დასაწყისები მთავრულით; [XIX ს.]; დაუწერელია 159 გვ.; ალ. ცაგარლის კატალოგით № 13.

[ნიკიფორე ხუცესი], „ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთჳს. გუაკურთხენ მამაო. — ძმანო ჩემნო საყუარელნო და მონანო უფლისანო! ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყო, რამეთუ არს საქმე ესე ტკბილი, ვითარცა თაფლი...“ 1—158 გვ.

შენიშვნა: ტექსტი ნათარგმნი უნდა იყოს ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957, გვ. 104).

მინაწერები: 1. „უგანათლებულესო მეფის ძევ ბაგრატ იაგორიჩ! მომირთმევია ჩემდა სახსოვრად ეს წმიდის ანდრი[ა]ს ცხოვრება. ღმერთმან ბედნიერებასა და სიცოცხლეში მოგ[ა]ხმაროსთ, თქვენი უსაკუთრესი და, დედოფალი... თვესა ივნისა კ-ს, წელსა 1815“ (ზ. საცავი ფურცლის v).

2. „ქ. წელსა **ჩყმა**, მაისის რვას გარდაიცვალა სანკტპეტერბურხში მეფის გიორგის ძე, ჩემი ძმა, ბაგრატ და ჩემა ძმის წულებმა მიბოძეს დავითმა და ალექსანდრემ წმინდის ანდრია სალოსის წიგნი. ჩემს შემდგომ ვისაც დარჩეს, ჩემის ძმის, ბატო[ნის]შვილის ბაგრატის მოსახსენებელი იყოს“ (160 გვ.). (მინაწერი თეიმურაზ ბატონიშვილის უნდა იყოს).

(1395) **3637**

კრებული. 1838

157 ფ.; 40×25,5; ქაღალდი კოლენკორგადაკრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი თეიმურაზ ბატონიშვილი (78v); 1838 (157v); დაუწერელია: 1v—4v, 29v—35v, 43v, 79r—83v, 100v, 126v—129v, 145v, 156r. ალ. ცაგარლის კატალოგით № 14.

1. [ნიკოლოზ გულაბერისძე]. „ოკდონბერსა ა, საკითხავი სუჱტისა ცხოველისა კვართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა. მ. გ.— საჭირო უკუჱ ვიდრემე იქმნა ჩუჱნდა, ჰოი ღმრთის მოყვარენო, პირველ გარდასრულთა ამათ მრავალთა რიცხუჱდთა წელთა დუმილით თანა წარხდასა...“ 5r—22v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებული აქვს საბინინს (იხ. საქართველოს სამოთხე, 1882, 68—117 გვ.), ვ. კარბელაშვილს (იხ. საკითხავი სუჱტისცხოველისაჲ..., 1908 წ.) და ს. ყუბანეიშვილს (ქრესტომათია, I, 1946 წ., გვ. 231—233).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. [გრიგოლ ხუცეს-მონოზანი]. „თვესა სეკდენბერსა იგ. წამება ყოვლად დიდებულისა დედოფლისა მოწამისა ქეთევანისა, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შააბაზ უსჯულოსა მიერ ქალაქსა შირაზისასა ქს~თ 1626-სა, სეკდენბრის 12-სა... — ხოლო ესე, სამგზის სანატრელი მოწამე ქრისტესი დედოფალი ქეთევან აღმოეცენა ნათესავთაგან ცხებულთა ქვეყანასა მას მუხრანისასა...“ 22v—29r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ტრ. რუხაძეს (იხ. ახლად აღმოჩენილი ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, 1949 წ., გვ. 229—267).

3. „თუჱსა ნოემბერსა ი. ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კონსტანტინე ქართუჱლისა, რომელი იწამა ბაბილოვნთა მეფისა ჯაფარის მიერ გ. მ. — საყუარელნო, განცხადებულ არს ყოველთათჳს, ვითარმედ არავინ ჰყო აღწერა იგი წიგნთა, გარნა მადლითა სულისა წმიდისათა. რამეთუ დიდმან მან მოსე, პირუჱლად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუჱყანისა, რომელ არა სადა ეხილვა...“ 36r—39r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საქართველოს სამოთხე, 363—370 გვ., ქრესტომათია I, 1946 წ., გვ. 73—80).

4. „თუჱსა ნოემბერსა იზ, წმიდისა მოწამის გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით. მე, სტეფანე მტბევარ ებისკოპოსმან, დავსწერე ბრძანებითა ერისთავთ-ერისთავსა აშოტისათა. — ჩუჱულება აქუს განგებასა ღ~ისასა სწავლად გონებასა ზედა დაბადებულთა მისთასა, ვითარცა იყო იოსებ და ყოველნი მართალნი, თჳთოეულად გამოიცადნეს მსგავსად ძალისა ჩუჱნისა...“ 39r—43r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 593—400 და ქრესტომათია, I, გვ. 80—85).

5. „თუჱსა დეკემბერსა გ, ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართუჱლთა მეფისა. გ. მ. — მნებავს უწყებად თქუჱნდა, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრესი...“ 44r—49v; 139r—143v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ქრესტომათია, I, 259—272 გვ.).
2. 143v-ზე მიწერილია: „ქ. მოებმის აქ. იმ მეორე, რომელიც მაქვს წმინდა პეტრეს ცხოვრებასა“.

6. „თუჱსა ნოემბერსა იბ. წმიდისა მღუდელმოწამისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოზისა, რომელი იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი დიდისა, ქართლისა კათალიკოზისა. გ. მ. — ხოლო ჯერ-არს, რათა მცირედ შუვაჲ შემოვილოთ ჴსენება წმიდისა და უბიწოსა მღუდელთმოძღვრისა და მოწამისა...“ 50r—53r.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებული აქვს საბინინს (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 213—216) და ი. აბულაძეს (იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ).

2. ტექსტი მეტაფრასტული რედაქციისა (იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I^2, 1942, გვ. 127).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ისე წილკნელისა, რომე-ლი-იგი იყო ერთი ათორმეტთაგანი ნეტართა მათ მამათა (ამისი უკუჱ ხსენება აღესრულების აგჳსტოს· იჱ და დეკემბრის ბ). — რომლისა სახელი ფრიად გან-თქმულიყო უბიწოებითა და სათნოებასა სრულებისასა მიწევნილი...“ 53r—54v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებული აქვს საბინინს (იხ. საქართველოს სამოთხე, 209—211 გვ.).

8. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ ამბა ალავერ-დელისა (შემოკლებით), რომელი იყო ათორმეტთა მამათაგანი (ხსენება ამისი არს სეკდემბრის იე დღესა).—ესე წმიდა და ნეტარი მამა ჩუჱნი იყო მოწა-ფე ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუჱნისა იოანე ზედაძნელისა...“ 54v—56r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საქართველოს სამოთხე, 217—218 გვ.).

9. „თუჱსა ივლისსა კთ. მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისა გ. მ. — წელსა მეათესა ხუასროს მეფისასა და არვანდ გუშნასპი-სასა(!) მარზპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსელი, სოფლისა არ-ბაკეთისა(!), ძე მოგჳსა და წარმართ იყო იგი და სახელი ერქუა მას გჳრობან-დაკ...“ 56v—65r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ქრესტომათია... I, 44—55 გვ.).

10. [ბესარიონ ორბელიშვილი]. „თუჱსა აგჳსტოსა გ. წამება და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისა, რომელი იწამა ჟამსა დი-დისა მეფისა ვახტანგ გორგასლანისათა სპარსთა მიერ საქართუჱ-ლოსა შინა, სოფელსა წრომს. მ. გ. — მოწამეთა ჴსენებითა, ვითარმცა იქმნა განძღომა ღვთის მოყვარეთაგან და მარტჳლთმოყუარეთა...“ 65v—73v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საქართველოს სამოთხე, 169—180 გვ.).

2. ტექსტის ავტორი აღდგენილია მ. ქავთარიას შრომის — „ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობის“ მიხედვით. (იხ. ხელნაწერ-თა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 75—113).

11. „თუჱსა ოკდონბერსა იზ. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა შუშა-ნიკ დედოფლისა. — და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმი-დისა და სანატრელისა შუშანიკისა...“ 74r—78v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. იაკობ ცურტაველი, მარტვილო-ბა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარი-ანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, 1938 წ. გამოცემაში ეს ხელნაწერი აღნიშნულია G ლიტერით).

12. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა იოანესი და ექვთიმისი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლა-ხაკისა გიორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა. გ. მ. — კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშ-მარიტებისასა მოსლუა...“ 84r—100r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946 წ., 13—55 გვ.).

13. [გიორგი ხუცეს-მონაზონი (მცირე)], „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გიორგი მთაწმიდელისა. გ. მ. — ჴსენება მართალთა ქებით აღესრულების, იტყოდა ბრძენი სოლომონ...“ 102v—126r.

შენიშვნები: 1. უძღვის: „ებისტოლე, მიწერილი გიორგის მიერ დიდისა მის შეყენებულისა, რომელი მკჳდრ იყო მთასა საკჳრველსა...“ (100r—102r).

2. ეპისტოლისა და ცხოვრების სრული ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 279—351).

3. ავტორი აღდგენილია კ. კეკელიძის შრომის მიხედვით (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I^3, 227—230 გვ.).

14. [ლეონტი მროველი]. „თთუჱსა მარტსა კ. წამება დიდებულისა მოწამისა არჩილისა, რომელი ესე იყო მეფე ქართლისა სრულად. — და ვითარ გარდახდეს წელიწადნი ორმეოცდაათნი მოსლჳთგან მურვან ყრუსათა, კუალად მოვიდა ჭიჭუმ (ანუ ჭუმჭუმ), ნათესავი მუჰმედისი, მოაოხრა და შემუსრნა ყოველნი შენებული ქართლისა...“ 130r-v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 331—332 გვ.).

2. ავტორი აღდგენილია კ. კეკელიძის შრომის მიხედვით (იხ. ძვ. ქართული ლიტ. ისტორია, I^3, 212—223 გვ.).

15. „თთუჱსა მარტსა ა. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა მეფისა ლუარსაბისა. — ხოლო წმიდაჲ და ნეტარი ესე აღმოსცენდა ქუეყანით ქართლით...“ 130v—131v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 580—582 გვ.).

2. ტექსტი სვინაქსარული რედაქციისაა.

16. [ბესარიონ ორბელიშვილი], „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი და შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათისა. გ. მ. — მოწამეთა სიმრავლემან გარემომიცვეს ჩუჱნ მრავლითა რაჲთამე ბრწყინვალებითა და გარდამატებულითა ჰაეროვნებითა...“ 131v—136v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემულია (იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 599—609).

2. ავტორი აღდგენილია მ. ქავთარიას შრომის მიხედვით (იხ. ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 75—113).

17. „შემოკლებული ცხოვრება დავით გარესჯელისა (აღწერა ცხოვრება ამისი იოანემ, მოწაფემან წმიდის იოანისა კოსტანტინოპოლით). — ადგილი და მშობელნი ხსენებულისა წმიდისა უცნაურ არს ჩვენგან...“ 137r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. [შემოკლებული ცხოვრება წმ. შიოსი]. „შიოსთჳს. აღწერილი იოანესაგან, რომელი იყო მოწაფე იოანესი კონსტანტინოპოლით. — ესე წმიდა და ღმერთშემოსილი წმიდა მამა შიო იყო ქვეყანით ასურეთისათ...“ 137v—138v.

19. „შემოკლებული ცხოვრება წმიდისა ილარიონისა. — იყო ნეტარი ილარიონ სამთავროსაგან კახეთისა...“ 144r-v.

.20. „ცხოვრება წმიდისა მღუდელმოწამისა აბიბოს ნეკრესელისა ეპისკოპოზისა, თქმული არსენი დიდისა, ქართლის კათალიკოზისა. — დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსეთისა, რომელი იყო კერპთმსახურებითა, ცეცხლსა თაყვანისცემდა და მსახურებასა მისსა აღასრულებდა...“ 145r.

შენიშვნა: ტექსტი გამოკრებილია აბიბოს ნეკრესელის ვრცელი ცხოვრებიდან.

21. „თთუჱსა მაისსა ზ-სა. ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუჱნისა იოანე ზედაძნელისა, რომელი ბრძანებითა ღმრთისათა და წინამძღვარობითა სულისა წმიდისათა მოივლინა ქვეყანით შუა-მდინარით ქვეყნად ქართლისა ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა. განაახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუჱნმან ქრისტეს მიერ, ქართლისა კათალიკოზმან არსენი. გ. მ. — სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღმრთისათა წერილისაებრ და არა შეეხოს მათ რათურთით(!) რომელნიმე შემაწუხებელთაგანი...“ 146r—155v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 193—208 გვ. და „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. 1955, გვ. 2—68).

2. ტექსტს უძღვის კრებულის [ზანდუკი] (1r).

ანდერძები: 1. „კვართო საღმრთოვო და სისხლითა მხსნელისა და მაცხოვრისა ჩვენისათა განპოხვილო, და მას ზედა სვეტო ცხოველო და ცხოველსმყოფელო, აღმართებულო საღმრთოჲთა ჴელითა, თქვენ მცველ და მფარველ მექმნენით მე, ულირსსა მეფის ძესს თეიმურაზს და მეუღლესა ჩემსა მეფის სძალს ელენეს და ყოველთა მახლობელთა ჩემთა, წმიდაო დედაო, მოციქულო ქრისტესო და ყოვლად წმიდისა დედისა მისსა ღმრთისმშობელისაო, ივერიისა სასუფევლისა კარის განმღებო, თანამოღვაწეებითურთ შენით წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა ევსთათი(!) ანტიოხიელით და წმიდისა იოანე პირველისა, საქართველოსა სრულიად ივერიისა მთავარეპისკოპოსითურთ, და სხვათა წმიდათა შენთანა თანამოღვაწებითურთ მეოხ გვეყვენით წინაშე ღმრთისა“ (22v).

2. „წმიდაო დიდო მოწამეო კოსტანტინე ქართუჱლო, შეეწიე ორსავე სოფელსა მეფის ძეს თეიმურაზს და ექმენ თანაშემწე, ამინ, ვინადგან შემწედ თჳსა და მეხუაიშნედ უვი მას წინაშე ღმრთისა“ (39r).

3. „წმიდაო დიდო მოწამეო მიქაელ-გობრონ, შეეწიე სულით და ჴორცით საქართუჱლოს მეფის ძეს თეიმურაზს, მარადის მსასოებელსა შენსა და პატივისმცემელსა, ამენ“ (43r).

4. „წმიდაო დიდო მოწამეო ევსტათი მცხეთელო, შეეწიე მეფის ძეს თეიმურაზს ამინ, ამინ, ამინ“ (65r).

5. „წმიდაო დიდო მოწამეო რაჟდენი, შეეწიე მეფის ძეს თეიმურაზს“ (73v).

6. „შემეწიე მე, წმიდაო შუშანიკ, დიდო მოწამეო, სულით და ჴორცთა, ყოვლითურთ უსნეულებითა დამიცევ მსასოებელი შენი, მეფის ძე თეიმურაზ, მშრომელი ამისი, ამინ“ (78v).

ეროვნული

7. „წმიდაო დიდო მოწამეო და დიდებულო მეფეო არჩილ, შემ[illegible] ასულის წულისა შენისა შთამამოვლსა მეფის ძეს თეიმურაზს, მშრომელს ამისსა, ამინ“ (130v).

8. „წმიდაო დიდო მოწამეო მეფეო ლუარსაბ, შემეწიე ბიძათა შენთა და მემკვჳდრეთა შენთა შთამომავალსა, სრულიად საქართუჱლოს მეფის ძეს თეიმურაზს“ (131v).

9. „წმიდანო დიდნო, ღვაწლისა მძლენო, ჩვენნო მეოხნო: ბიძინა, შალვა და ელისბარ, შეეწიენით მეფისს ძესს თეიმურაზს, მსასოებელსა თქვენსა და მეუღლესა მისსა მეფის სძალს ელენეს და ყოველთავე მათთა, ამინ“ (136r).

მინაწერები: 1. ა. „ქ. წელს 1836-სა პლატონ ეგნატის ძეს იოსელიანს აკადემია ნაუკისათვის შემოეწირა ს. პ. ერთი წიგნი, რომელშიაც ცხოვრება წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა პეტრე მოამის(!) ეპისკოპოსისა იყო. ეს პეტრე იყო ქრისტეს მოსვლითგან მეხუთეს ასწლეულს საუკუნეშია. ნათესავით ქართველი, ძეჲ სრულიად ზემოჲსა და ქვემოჲსა ივერიის მეფისა ვარაზ-ბაკურისა, ანგელოზისა ხარებითა შობილი და დიდი საკვირველთმოქმედი დროსა ბერძენთა ზედა მეფისა მცირისა თეოდოსისა, მარკიანე და პლუხერიასსა, ლეომაკელისა და ზენონის ჟამთა“. ბ. „(იოსელიანი სწერს): ამ ზემოხსენებულის წმიდის პეტრე მღვდელთმოძღვრის ცხოვრების ბოლოში ეწერნეს ეს ქვემო წერილნი, მცირედნი შესწავებანი ესსახედ წიგნიდამ, რომლიდამაც გარდმოვსწერე ცხოვრება ამა წმიდისა პეტრე ქართველისა, შევიმეცნე უწყებანი და მწერალთა სახელნი, რომელნი ქვემორე ამისსა მოიხსენებიან, ხოლო თჳთ ცხოვრებანი იყვნენ ბერძენთა მამათანა, ბერძულით თარგმნილნი და ამისთვის დავტოვე“ (156v).

2. „მოთხრობასა და ღვაწლთა და სასწაულთა სამონა, გურია და აბიბოსისასა ესრეთ ეწერა: „ქრისტე ღმერთო, პავლე ხუცესი მჩხორე... ალი და ხრისუპატი. წმიდაო დედოფალო, მეოხ გვეყავ წინაშე მისსა შენისა სამთა... ნეტარსა ზაქარიას... ნიკიფორეს... და დავით... (წერტილთა ადგილთა ასონი წარწყმედულნი დროთა სიძველისა გამო ქაღალდზედ)“ (156v).

3. „შემდგომად დასრულებისა პატაპის ცხოვრებისა ესრეთ ეწერა: ლოცვა ჰყავთ ცოდვილისა დავითისათჳს. ქრისტეს მოყვარენო ძმანო და კურთხეულნო მამანო, საცნაურ იყავნ თქვენდა და რამეთუ ამის წმიდისა პატაპის ცხოვრება თავისა შესავალი უგემურად დასაცინელად დაიწყებოდა. ხოლო მე, პავლე ხუცესმან და დეკანოზმან, ესრეთ მოვაქციევ, ვითარცა „აღწერილ არს და წყალობითა ღმრთისათა არა სავნო ქმნილა; ნუ გამიკითხავთ, ნუცა შესწუხდებით, ხოლო რათა სცნათ, თუ ვითა იწყებდა პირველი, ვაჩვენო თავი— ესრეთ იწყებდა: „არა მრავალთა მშრომელ არს ეგვიპტე, ხოლო რაჲამს გიშვეს, დიდსა შობს და ესერა თქუას მკითხველმან, მეყვსეულად ყოველთა სიცილად იწყიან და თქვანცა, ვითარმედ რაზომ დიდი შობის ნაოხ არის“. ხოლო ესეცა უწყებულ იყავნ სიწმიდისა თქვენისდა — ესე სიტყვა, რომელ დაუწერიეს, თუ დიდსა შობასა, არათუ წმიდათა გვამსა ვისმე უთქვამს, თავითგან ნუ იყოფინ, არამედ ძველთა ფილოსოფოსთა წარმართთა მიერ თქმულ არს სხჳსა რაჲსამე პირისათვის და აღმწერელსა პატაპის ცხოვრებისასა სახედ შემოუღია სიდიდისათვის და სიმაღლისა წმიდისა სათნოებითა და მოღვაწებათა, გარნა ყოველსავე ზედა ქართულად უგემურად მოხდებოდა ესე, თუ დედასა შობს და ამისთვის შევკადრე და სხვაგვარად მოვაქციევე, რომელ ცუდი სიტყვა და სიცილი განჰქარდეს ეკკლესიათა. შემინდევით ყოვლისათვისვე და თქუთ წმიდათა პირითა თქვენითა შენდობა ცოდვათა ჩემთა, რათა ქრისტემან შემიწყალოს წმიდითა მადლითა თქვენითა, ამინ. და ქრისტემან ღმერთმან ყოველნი გაკურთხენინ, ამინ“ (156v).

4. „დასასრულსა ზედა ელევთერ რომაელისა ცხოვრებისა ესე ეწერა: „ლოცვა ჰყავთ ქრისტიანენო და მართლმორწმუნენო, გლახაკისა დავით ტაბელს(!) ძისათვის, რომელმან ესე ბერძულისაგან ქართულად ვთარგმნე წამება წმიდისა ელევთერისა, რომელი მეოხმცა არს ჩვენ ყოველთათჳს წინაშე ქრისტესსა, ამინ“ (156v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „დასასრულსა ცხოვრებისა წმიდათა ათთა კრიტელთა წამებულთა ესე ეწერა: „ლოცვა ჰყავთ, ქრისტიანენო, გლახაკისა დავითისათჳს ტაბელის(!) ძისა“ (156v).

6. „დასასრულზედ ცხოვრებისა წმიდისა მოწამისა ნიკიფორესასა ესე ეწერა: „უწყებულ იყავნ ყოველი, რომელი მიემთხვიოს წამებასა ამას წმიდისასა, რომელ ახლად თარგმნილი არს ესე მეტაფრასისაგან ბერძულისაგან ქართულად ფრიად ცოდჳლისა მიერ თეოფილეს, რეცა ხუცეს მონაზონისა, ღმერთმან გარწმუნოს. ლოცვა ჰყავთ მისთვის, რათა ჰყოს მის თანა წყალობა ღმერთმან, რომლისა არს დიდება უკუნისამდე, ამინ“ (156v).

7. „დასასრულსა ზედა წმიდისა ხარალამპის(!) დიდისა მღუდელმოწამის ცხოვრებისასა ეწერა ესე: „წმიდაო მოწამეო ხარალამპე, მეოხ გვეყავ წინაშე სამებისა წმიდისა ცოდვილთა მწერალთა ძმითურთ და მშობლით ჩუჱნით, ამინ“ (157r).

8. „დასასრულსა წმიდისა ფებრონიასსა ცხოვრებისასა ეწერა: „წმიდაო ფებრონიავ, მეოხ მეყავ წინაშე ღმრთისა; რომელნიცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მომიხსენეთ გლახაკი ეფთჳმი და წმიდა მამა ჩემი იოანე. ესე ანდერძი წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთჳმისი არს, რამეთუ წმიდითა ჴელითა მისითა ნუსხისაგან დაიწერა. ლოცვა ჰყავთ გლახაკისა მწერალთათჳსცა“ (157r).

9. „დასასრულზედ ცხოვრებისა წმიდისა მოწამისა კჳრიკესსა ეს ეწერა: „ლოცვა ჰყავთ პავლე ხუცისა და დეკანოზისათვის და ფრიად ცოდვილსა ნიკიფორე მწერლისათვის“ (157r).

10. „დასასრულ ცხოვრებისა კჳრიკა და ივლიტასსა ესრეთ ეწერა: „ხოლო ჩემო საყვარელო ძმაო, ბრძანებისაებრ შენისა ესე აღვსწერე და მიუძღვანვე შენსა ღ~ისმოყვარებასა და ვგონებ, ვითარმედ მადლითა მათ წმიდათათა ჭეშმარიტ არს აღწერილი ესე ჩვენი. არათუ პირველი იგი ზღაპარი აღწერილი მწვალებელთა, არამედ ესე არს ჭეშმარიტი, რათა შეევედრო(!) ღ~ისმოყვარეთა კაცთა და მორჩილ იყვნენ ამას, და სხვასა თუ მიემთხვივნენ, არა შეიწყნარონ“ (157r).

11. „დასასრულ ცხოვრებისა ათენოგე მღვდელთ-მოძღვრისა ესე ეწერა: „წმიდაო ათენოგე მღვდელთმოძღვარო და მოწამეო, მეოხ ეყავ ცოდვილს მწერალსა და პავლეს და ზაქარიას მღვდელთა. ამინ“ (157r).

12. „ერთისა ძველისა წიგნისა დასასრულზედ ესეცა ეწერა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღ~ისმშობლისათა დავსწერე წმიდაჲ ესე საწინასწარმეტყველო სრული და წმიდისა სტეფანეს საკითხავნი და წმიდისა მარინეს წამებაჲ და მრავალი გამოკრებული სამეცნიერო საკითხავნი სხვა ჴელითა ცოდვილისა ჩაჯგანიზის ძისა მათესითა და ბრძანებითა ვაჩიძორის ფუცურიზის ძის მოძღვრის დევნოსისათა მთაწმიდას, ქართველთ მონასტერსა შინა. აწ, ოდეს ვახუშტი და მისი შვილი დაიხოცნეს, მათდა სასულიეროდ ბატონმან მზექაბუკ გამოგზავნა საყდრის ასაშენებლად და კოშკისა, და ტრაპეზი დაახატვინა, და მეტოქები ყოველი ახლად აღაშენა. და ერთი მეტოქი ძველითგან დაკარგული კავკასიძის ივანესთვის დაიხსნა, დაუშუა მონასტერს ორი საგლეხო ვენახი და ერთი კოშკი, ერთი ვენახი აღაშენა. მაისის თვის დასასრულს მთაწმიდას აშენდა ამა მოძღვრის ჴელითა და ესე წიგნი მაშინ მისთვის დამაწერინა. ღმერთმან მშვიდობით ახმაროს. ამინ. ღმერთმან იცის, თუ რა ღონე იქნებოდა, მოვიჭირვე მართლად და უტყუვრად. წერისათვის ჩემგან მეტი აღარ იქნებოდა, თუ რა დამეკლის რევვნობით. შენდობა იყავნ ღ~ისათვისა თავხედობისათვი(!) გერცხჳ. მკითხველნო, ვინც იკითხვიდეთ წმიდასა ამას საწინასწარმეტყველოსა, გინა სამეცნიეროსა, მწერლისა მათესთვის შენდობა ბრძანეთ. მათეს შეუნდვნეს ღმერთმან და მისსა მშობელთა შეუნდვნეს ღმერთმან. ვინც შენდობა მიბრძანოთ, ღმერთმან ნაცვალი თქვენცა მოგაგოს. დიოლოღონ ტონ აიონ პატერნიმონ კირ იისუ ხრისტე ოთეოს იმონ ელეისონ იმას ამინ“. ლოცვათა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუჱნო, შეგვეწიენ, შეგვიწყალენ და აცხოვნენ სულნი ჩვენნი“ (157rv).

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. „1838, ივნისს 11 ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ რომ წმიდის პ ე ტ რ ე ს მ ო ა მ ი ს მღვდელთმთავრისა, ქართველთა მეფის ძისა ვ ა რ ა ზ ბ ა კ უ რ ი ს ა ცხოვრება გამოეგზავნა ი ო ს ე ლ ი ა ნ ს, იმაზედ ეწერა ეს რიცხვი წელთა, აქ ს ა ნ კ ტ-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს აკადემია ნაუკისათვის მოერთმივა და ესენი ზემო მწერალთ სახელები დაუკარგველობისათვის გამოვსწერე მე, სრულიად საქართველოს მეფის ძემან თ ე ი მ უ რ ა ზ, ჩლენმან პოჩეტნი აკადემია ნაუკისამან და ორდენოსანმან წელსა 1839-სა, მაისს 7-სა. მეფის გიორგის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ. ქ. ამინ და კირიელეისონ“ (157v).

14. „ბ რ ო ს ე ტ ს რომ აქვს ი ო ს ე ლ ი ა ნ ი(!), წმიდის პეტრეს ცხოვრების ბოლოს ეწერა: 1838, ივნისს 29, ქალაქსა ტფილისს წიგნი ესე გარდამოვაწერინეო მოწაფესა ჩემსაო ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებელმან პლატონ ეგნატესძემან იოსელიანმან“ (157r).

(1396) **3638**

ანტონ I, მარტირიკა. 1799

128 ფ.; 35×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა: მხედრული; სათაურები სინგურით; გადამწერი: მღვდელი დავით (111r); 1799 (111r); დაუწერელია: 1—3v, 4v, 111v—112r, 117v—128v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 15.

«ა ნ ტ ო ნ I, მ ა რ ტ ი რ ი კ ა» 1. „შ ე ს ხ მ ა დ ა მ ო თ ხ რ ო ბ ა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქ ე თ ა ვ ა ნ ი ს თ ა. ქმნილი ა ნ ტ ო ნ ი ს ა გ ა ნ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა ს ა ქ ა რ თ უ ჱ ლ ო ჲ ს ა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა პირუჱლი. — ვიძლიე მე სჯულისაგან ბუნებითისა და ძლეულებასა ჩემსა ალჳ[ა]რებ...“ 6r—11v.

შენიშვნა: 1. ამ წიგნში აღწერილ ყოველ „ცხოვრებას“ წამძღვარებული აქვს იამბიკო. [ქეთევანისათჳს]. —

„ეს ქრისტეს სძალი, იასპ მჭვრუალი ლალი,
არ ნათელ მცხრალი, არ ყუავილ ფერით მზრალი,
აქუს სალთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,
გული უძს სალი, მით დაჰსცა მძლავრი მწყრალი,
ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი“ (5v).

2. „შ ე ს ხ მ ა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ლ უ ა რ ს ა ბ მეორისა, მ ე ფ ი ს ა ს ა ქ ა რ თ უ ჱ ლ ო ს ა, ქმნილი ა ნ ტ ო ნ ი ს ა გ ა ნ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა ს ა ქ ა რ თ უ ჱ ლ ო ჲ ს ა დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა მეორე. — უპირატეს აწმყოჲსა დროჲსა ჴელ-ყოფამან დიდისა მის მზისა ჩუჱნდა...“ 12r—19v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო:

„ლუარსაბისი ყუავიანნ წალკოტ-იანი,
მწიფობენ მტილნი ნაყოფ-ხილნარ-ხიანი,
ესე სიტყჳთნი და სხივ ნათელმზიანი,
ჰკრთიან ელუანი ერმი, მთიებ ციანი,
არ ღამიერნი, ყოველ მადლიერ დღიანი“ (11v).

3. „შ ე ს ხ მ ა დ ა მ ო თ ხ რ ო ბ ა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ა რ ჩ ი ლ მ ე ო რ ი ს ა, მეფისა ყოვლისა ზემოჲსა და ქუჱმოჲსა ს ა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართუჱლოჲსა აფხაზეთისა, ქმნილი ანტონისაგან არხიეპის-კოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტ-ყუა მესამე. — მეცნიერ ვართ სხოლასტიკოსთაგან და წმიდათა მოძღუართა და ახალთაგან ფილოსოფოსთა...“ 20r—24r.

შენიშვნა: ტექსტს წამძღვარებული აქვს შემდეგი იამბიკო:
„შენ კასიაებ, ბალასან, კინამოებ.
მირონ, არომატ წარმოცლილ ნელსაცხებლებ,
ყარამფილ, ვარდებ, იაკოსტ, ყაყაჩოებ,
რტო კიპაროსებ, ია შაშპრა, სოსანებ,
ხოლო წალკოტებ მრავალ ყუავილიერებ“ (19v).

4. „შესხმა და მოთხრობა ღუ[ა]წლთა და ვნებათა წმიდისა მოწა-მისა რანთა დედოფლისა სუსანნაჲსა, ზედ-წოდებით შუშანიკისა. ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპ[ო]სისა ყოვლისა ზემოჲსა საქარ-თუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა მეოთხე. — ჭეშმარიტისა წინადადებისა ეკკლესიასტეს შინა დამდები სოლომონ შესაბამ მოცემულისა ზეგარდამო მისდა სიბრძნისა...“ 24v—29v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო: „შუშანიკისათჳს. —
ღუარის სადენით სადა შევიდა სიძე
მტილსა, რათამცა განიხილნეს ხილნარნი.
მიეცი მუნ შენ ეტლად ამინადაბის
დასაჴდომელად ღმერთმთავრობითისა ღ~ის,
შუშანიკ სძალო, სიძისა საყუარელო“ (24r).

5. „შესხმა ღუ[ა]წლთა დავებათა(!) წმიდისა მღუდელმოწამისა აბი-ბოს ნეკრეს ქალაქის ეპისკოპოსისა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპის-კოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა მეხუთე. — ვაქებდეთ კაცთა დიდებულთა მამათა ჩუჱნთა...“ 29v—33r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო: „აბიბოსთჳს. —
აბიბოს ბრძენსა, მცხინუარედ აღმომზესა,
ნათლისა ძესა, ვნებათა ზესთა ზესა,
გონება დღესა, ცნობათა განმადღესა,
ბრკმულთა მაგესა, მადლ მადენს ბაგესა,
მმარხუჱლთა მზესა, უძღუნი დღეს შესხმა ლექსსა“ (29v).

6. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა წმიდისა მღუდელმოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა, ქმნილი ანტონის მიერ არხი-ეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა ვ. — ჰსჯულმან უქმნელობითმან შემკრა ჩუჱნ...“ 33r—37r.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის იამბიკო: „წ~სა ნეოფიტესთჳს. —
პოდირი წმიდა მღუდელობისა შეღება
პორფირად საღმრთოდ სისხლითა ნეოფიტე,
სხუად კჳპრიანედ მოგჳ მღუდელ და მოწამედ,
სიბრძნის მოყუარედ, მწყემს სიტყჳერთ არვეთ,
გამოჰსჩნდა ესე შორის ღმრთისა და ჩუჱნსა“ (33r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისთჳს, ქმნილი ანტონის მიერ, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა ზ. — შემკულ არს კრება ესე დღეინდელი მარტჳლთმოყუარეთა...“ 37r—41v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო: „რაჟდენისათჳს. —
ეპა ჯუარითგან ესე ქროლაჲ საღმრთო,
დენა სუნნელის ბძარულით სისხლი საქებთანა
ჟამს მჰსგავსებულ ღუთივ განგებით განსაცჳფრი
არა დღე ყოფა აჰერის ვსება ბნელით
რაჟდენისა აქ ლალისამჭჳრუალისა“.
(კიდურწერილობა იკითხება ასე: „რაჟდენს ვაქებ გალობითა“ (37r).

8. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იყუნეს არგუჱთისა მთავარნი, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა მერუჱ. — ნათელი მართალთა მარადის, რომელ არს მარტივ და განუწუალებელ კერძონი მისნი...“ 41v—45r.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის:
„უზადოსადმი ზესთ ერთისად ყოველი
მიართუთ, წ~ნო, ცხოველისად ცხოველი,
და ვნების სისხლით საჭურუჱლნი სოფელი,
ხოლო ჯილდოთა უკუდავ უჴრწნელ-მპოველი
იქმნენით, ხოლო მადლთა უხუად მთოველი“ (41r).

9. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა ბიძინა მატაკარანისა(!), ელისბარ ქსნის ერისთჳსა და შალვა ნათესავისა მისისა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა მეცხრე. — ვინაჲთგან მოგვიყუანნა ჩუჱნ სურვილმან ამისდა...“ 45v—50r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო:
„წმიდათა მოწამეთა ბიძინა, ელისბარ და შალვასათჳს. —
ასოთ განთჳსუა თუ ჰსთქუა წულილ კერძოებად,
რომლითა ნიჟუჱნ მდიდრად სისხლთა ნაკადნი,
ძნელ ვნებათ ტვირთუა დაითმინა ახოვნად
და გონებითი სამთავრო განწმედილი
ანიშან-მსხუჱრპლნა წმიდა მოძრავობანი“ (45r).

10. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა დ[ა] ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარესჯისათა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა მეათე. — არა დავსცხრე გალობისაგან წმიდათა მიმართ თჳსთა და საკუთართა ღმრთისათა...“ 50v—54v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო:
„წმიდათა მოწამეთა გარესჯისათა. —
ეკკლესიასა პირმშოთასა ნეტარნი,
აქა ზადიკობად მოსრულნი ეკკლესიად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალფრინდეს ფრთითა წამებისათა, სიბრძნით
მუნასა მიმართ ზადიკისათჳს აქათ
და შეერთნეს ზენათა იერარხთა“ (50v).

11. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ევსტათი მცხეთელისა, ქმნილი ანტონის მიერ, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა მეათერთმეტე. — საკჳრუჱლჰყო უფალმან ყოველივე ნებაჲ თჳსი...“ 55r—59v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო:
„წმიდისა მოწამისა ევსტათისათჳს. —
ევსტათის თავი თავს ადამატინს წარჭდა,
ვინათგან აქა იპოების საკჳრუჱლ
სიმტკიცე, სიბრძნე, სხუანი მიდმოებანი
ტროფიალებითნი, თჳთ ზესთგონების მტჳფრი
აალთა გულისათ, სავსედ მმცხადე ნიადაგ“ (54v).

12. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა აბო ტფილს(!) ვნებულისათჳს, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა იბ. — არა რაჲმე არს უმეტეს შუჱბა სულისად, ვითარ მოქმედებაჲ უაზნაურესისა ძალისა მისისა...“ 59v—64v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის ანბანთქება: „წმიდისა მოწამისა აბოსათჳს. —
აბო, ბრძენ, გნომ, დიდ, ესთ, ვინ, ზე, ჱე, თვით ირის
კეთილ ზალ მჭვირვალ, ნარდ ოლვის პაზიონებ,
ჟირ რაზარინებ, სუმბულ ტევანთ, უფროს ფშჳ,
ქარებ ღრუბელთ ყრი, ჩირთთა ციერ ძლიერთ,
წურთით ჭირთ ხშირთა ჴსნი ჯუარით ჰავთ, ჭ წმიდაო“ (59v).

13. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისს ვნებულთა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუელოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა იგ. — სისტემა სიტყუათა კიდულთა ურთიერთარს...“ 64v—69r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის იამბიკო:
„წმიდათა მოწამეთა ათთა ბევრთა. —
მატჳლთა შენთა რიცხჳ ას გზის ათასი
ალმოჰსჭჳრს; შენი სასმელი რა მათ ასვი,
მიიღეს სურვილით იგი სასმისი თასი,
სადაფის ფერად ჰსპეტეს ფერს ათასი,
ერთად მოიგეს სამეფოჲ ცათასი“ (64v).

14. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა კოსტანტინესთჳს მთავრისა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა იდ. — ჰჴსენება მართლისა ქებითურთ ჰსთქუა სოლომონ იგავთა შინა...“ 69v—74r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტს უძღვის:

„წმიდისა მოწამისა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს თ ჳ ს. —
გწყუროდა სიბრძნით სიკუდილი სიბრძნისათჳს,
ანტლია ქმნილსა წყლისა ცხოველისასა,
ვინა შინაგნით გხადოდა კოსტანტინე,
მოსულად მამისა ნათელთასა წმიდაო,
რომლით სიზმარნი ჰსცუალენ უკუდავ ცხოვრებად“ (69r).

15. „შ ე ს ხ მ ა დ ა მ ო თ ხ რ ო ბ ა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა მ ი ხ ა ი ლ-გ ო ბ რ ო ნ ი ს თ ა და მოყუასთა მისთა, ქმნილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა, სიტყუა იე. — უფალი არს, რომელმან ასწავის გულისხმის-ყოფაჲ და მეცნიერებაჲ...“ 74r—79v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის:

„წმიდისა მოწამისა მ ი ხ ა ი ლ ი ს თ ჳ ს. —
მზეობს მიხაილ, ვარსკულავებენ მოყუასნი
სფერასა ზედა ვნებისასა ბრწყინუალედ,
სადა სქეტ ქრისტე, სიბრძნე ღმრთისა მამისა.
ეჰა, საკჳრვო საიდუმლო წყალობის,
ვითარ მონანი ზიარ იქმნნეს უფლისა“ (74r).

16. „შ ე ს ხ მ ა დ ა მ ო თ ხ რ ო ბ ა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა შ ა ლ ვ ა მ თ ა ვ რ ი ს ა ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი ს ა, მანდატურთუხუცესისა, ქმნილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა ივ. — სურვილი არს მიზეზი ყოვლისა მოსწრაფებისა და გულს-მოდგინება საქმეთა სრულყოფისა, დასასრული ყოვლისა საშუალისა...“ 79v—84r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის:

„წმიდისა მოწამისა შ ა ლ ვ ა ს ა თ ჳ ს. —
შალვა განმმჴედრი უჴორცოთა მტერთა,
სიმჴნით აღადგენს ბრძოლათა მრავალფერთა,
მოიღებს ძლევათ ღ~ისადმი დასაჯერთა
ეგ სახედ ჯილდოს, ანგელთ საჰურეტ-სამზერთა,
სისხლით ზიარ-ქმნილ ქრისტესი შესაფერთა“ (79v).

17. „შ ე ს ხ მ ა დ ა მ ო თ ხ რ ო ბ ა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მ ო წ ა მ ე თ ა დ ი დ თ ა, რომელნიცა ბრძანებითა უღმრთოჲსა დ ე მ უ რ ლ ა ნ გ ი ს ა თ ა(!) ლაშქართა მისთაგან დაიწუნეს ეკკლესიას შინა მონასტერსა დიდისა ღ~ისასა ქ უ ა ბ თ ა ჴ ე ვ ს, ქმნილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყვა იზ. — ვინაჲთგან სურვილი მიზეზ ვჰყავთ მოსწრაფებისა, ვითარმედ სურვილისათჳს არს მოსწრაფებაჲ ჩუჱნი ამას შინა...“ 84r—90r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის:

„წმიდათა ქვაბთა ჴევთ წამებულთა. —
ქუაბთა ჴევს წმიდასა მხოლოი ვანი,
ეკკლესიისა. პირმშოთასა საგუანი,
საკურთხეველი მსხუჱრპლთა, ზეცად აღმყუანი,
დაწულთ ნაბეჭდნი კედელ-იატაკ-ქუანი
ჩნდა საქადულ მუნ მსხუჱრპლთ საღმრთო დაწუანი“ (84r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა სუქიოსი და მისთანა ვნებულთა სუკავეტელთა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა იჱ. — ჰსთქუა ყოვლად ბრძენმან მოციქულმან...“ 90r—92r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის:
„წმიდათა მოწამეთა სუქიელთა. —
სისხლი მარტჳლთა ეზიარა სისხლს საღმრთოს,
უცხო რა იქმნნეს ჴორცთაგან მტკიცენი ღმრთივ,
ქუჱყანა განწმდა, იქმნა ჰაერი წმიდა,
იდიდნეს ზენას გჳრგჳნით მიმღებელნი აქ,
აღსცილდეს ცათა, ხრწნადნი ჰსცუალნეს უკვდავებ“. კიდურწერილში იკითხება: „სუქიას ვაქებ“ (90r).

19. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა ისაკ და იოსებისი, ვნებულთა ქალაქსა შინა თეოდოსიპოლსა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა ით. — ჰსთქუა სიბრძნემან იგავთა შინა სოლომონისთა...“ 92v—97r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის:
„დაინაკუჱთნა სასანთლე მრჩობლ ნათელი
ოფაზისაგან, ოქრო განწმედილისა;
ილმერთ-სახელა, ვით ხატმან და ზიარმან
პირუჱლ ნათლისა აუგებელისამან
ისაკ, საღმრთომან ყოვლად ბრძნით იოსებით“ (92v).

20. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა ღუდელმოწამისა გრიგორ დიდისა, სომხითის ეპისკოპოსისა, და წმიდათა ღირსთმოწამეთა ქალწულთა რიფსიმასი და გაიანასი და სხუათა მათთანა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა კ.—მარტჳლთ მოყვარებითმან სურვილმან მიგჳყუანნა ჩუჱნ ვითარცა მავალნი ბიჯებით ხატისა მიმართ...“ 97v—111r.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის:
„წმიდისა მღუდელმოწამისა გრიგორისთჳს. —
გონება წმიდა ქრისტესა დაეახლა.
რაჟამს საგამჭჳრვ ერთის ალალმა და მსგავს
ინდალმა ჰქმენ მზის ბრძნებრსამ მჭირსედ, რა ივნე
გცადა თუ მსრბოლი მცხინუარე ოქროვნებამ,
ორფერ მადლიერ წარსაწყ წართქმაჳე შენთა“ (97r).
კიდურწერილობაში იკითხება: „გრიგორის ვაქებ მწყემსსა და მოწამესა“.
2. ხელნაწერს უძღვის: ა. თავფურცელი:

„სადიდებელად ყოვლად წმიდისა ცხოველმყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. წიგნი მარტირიკაჲ, შესხმა და ისტორია ქრისტესთჳს ვნებულთა მოწამეთა ქართუჱლთა და სხუათა, დროსა ყოვლად ბრწყინუალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლის ზემოჲსა საქართუჱლოჲსასა, ხოლო მამათმთავრობის თჳსისავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელსა დასაბამითგან სოფლისა 7278,
ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღმრთისა 1769,
თთუჱსა მეათერთმეტესა რიცხუსა 19“ (4r).

ბ. „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა მარტჳრიკაჲსა, ქმნილი მისის უწმინდესობისა ანტონი არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუ-ჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა მოწაფეთა მიერ გაიოს არხი-დიაკონისა და თანამოწაფისა მისისა მისის უმაღლესობის მეფის მოძღურის იოანეს ძის გავრიილისამთა(!). — კრთოლვილი ზენათ მონაბრწყინ შარავანდი, მფენი ნათელთა უვსებოჲსა მზისებრ...“ (5r-v).

3. ხელნაწერს ერთვის: ა. „პინაქს-სიტყუაობა წიგნისა მარტჳრიკაჲსა ოცრიცხუჱდთა სიტყუათა...“ (111r).

ბ. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გრიგორი ღ~ის-მეტყუჱლისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, ნათლისღე-ბებისათჳს უფლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესსა დღესა განცხადებისასა. გ. მ. — კუალად იესო, მაცხოვარი ჩუჱნი და კუალად საიდუმლო, საიდუმლო არა საცთურიანი...“ 113r—117r.

4. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტო-რია, 1960, გვ. 382.

ანდერძი: „წიგნი ესე სრულ იქმნა სადიდებელად ღმრთისა და ყოველთა სათნოყოფილთა მისთა 1799 წელსა, თ~თსა იანუარსა, 28 დღესა. წმიდანო მო-წამენო აქა აღწერილნო, მეოხ ეყუჱნით მჩხაბავსა ულირსა მღუდელს და-ვითს“ (111r).

მინაწერი: „ზაქარია დიაკონი
მოგახსენებ ვედრებასა
ჩემსა და მას აღუარებ“ (112v).

(1397) **3639**

კრებული. 1758

251 ფ.; 17×10; ქაღალდი (ნახევარი თეთრი, ნახევარი მომწვანო ფერის); ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; გადამწე-რი: იკორთის არხიმანდრიტი გამალიელი (221v); 1758 წ. (221v); აქვს ჴვირნიშა-ნი. ალ. ცაგარლის კატალოგით № 16.

1. [პალადი ჰელენეპოლელი, ლავსაიკონი]. „ეპისტოლე წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა პალადიოს ეპისკოპოსისა კაბბა-დოკიელისა, მიწერილი ლავსოეს მიმართ პრეპოსიტისა. — ვჰნატრი გულს-მოდგინებასა და კეთილსა ნებასა შენსა, რამეთუ ჯერ-არს ნეტარებისაგან დაწ-ყება ეპისტოლისა...“ 5v—179r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს წინ უძღვის: „დაწყება და შესავალი ზანდუ-კისა. — ამას წიგნსა შინა წერილ არიან სათნოებითნი მოღუაწებანი და საკჳრუ-ჱლნი ცხოვრებისა წარმატებანი, სანატრელთა წმიდათა მამათა, პატივოსანთა და განშორებულთა უდაბნოს შურად და მჰსგავსებად ზეცისა...“ (1r—3v).

2. „ზანდუკი ამის წიგნისა, რომელსა ეწოდების ლავსაიკონი. — ეპისტოლე მიწერილი ლავსოს მიმართ პრეპოსიტისა. შესავალი და დაწყება თხრობისა.

ა. ისიდორესთჳს, ხუცისა ალექსანდრიელისა
ბ. დოროთესათჳს, მოღუაწისა თებაიდელისა
გ. პოტამიანასთჳს, ქალისა ქმნილ-კეთილისა
დ. დიდიმოსთჳს, წიგნთა აღმწერელისა მწუხარისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ალექსანდრიასთჳს, საფლავსა შეყენებულისა
ვ. სიმდიდრის მოყუარისათჳს ქალწულისა
ზ. მთისათჳს ნიტრიისა და მას შინა მყოფთა მონასტერთა და განშორებულთა
ჱ. ნეტარისა მამონისთჳს და მეუღლისა მისისა
თ. ორისთჳს განშორებულისა კაცისა საკჳრუჱლისა
ი. წმიდისა პამბოსთჳს, რომელი იყო მოძღუარი დიოსკორე ეპისკოპოსისა და ძმათა მისთა
ია. ღირსისა ამმონისთჳს და სამთა ძმათა მისთა
იბ. ბენიამენისთჳს, საკუჱრუჱლისა(!) მონაზონისა
იგ. აპოლლონიოსთჳს, რომელი იყო სავაჭროთ
იდ. პაისიოსისთჳს და ესაიასა ძმათა
იე. მაკარისთჳს ჭაბუკისა, ყოვლად ქებულისა
ივ. ნათანაილისთჳს, ფრიად გამოცდილისა
იზ. მაკარისთჳს, დიდისა მეგჳპტელისა
იჱ. მაკარისთჳს ალექსანდრიელისა და მარკოსისთჳს მონაზონისა
ით. მოსესთჳს შავისა, ავაზაკთ-მთავრისა
კ. მთისათჳს ფერმისა და პავლესთჳს მუნ მყოფისა
კა. ევლოვისთჳს ყოვლად სულგრძელისა და მისთანა მყოფისა განრღუჱულისა.
კბ. პავლესთჳს წრფელისა
კგ. პახონისთჳს განშორებულისა
კდ. სტეფანესთჳს მჴნედ მოღუაწისა
კე. ევალისთჳს აღზუავებულისა
კვ. ირონისთჳს ამპარტავან-ქმნილისა
კზ. პტოლემესთჳს ფრიად შეცთომილისა
კჱ. ქალწულისათჳს დაცემულისა
კთ. ელიასთჳს ქალწულთ-მოყუარისა
ლ. დორეთესთჳს შემდგომისა მისისა
ლა. პიამუნისთჳს ქალწულისა
ლბ. განწესებისათჳს ანგელოსისა მიერ მონასტერთა წმიდისა და დიდისა პახუმისა
ლხ. მონასტრისათჳს ქალწულთასა
ლდ. ქალწულისათჳს, რომელი გამოეცხადა წმიდასა პიტირუმს
ლე. იოანესთჳს ტაბენესელისა წჳნ͠ლებათა ღირსქმნილისა
ლვ. პოსიდონისთჳს შეყენებულისა
ლზ. სერაპიონისთჳს ყოვლად უპოვარისა
ლჱ. პიორისთჳს მეგჳპტელისა
ლთ. ეფრემისთჳს დიდისა ასურისა
მ. დედათათჳს მოწესეთა და მოღუაწეთა
მა. ივლიანესთჳს ედესელისა
მბ. ადოლისთჳს ტარსელისა
მგ. ინნოკენტისთჳს ხუცისა მთისა ზეთის ხილთასა
მდ. ფილორომისთჳს აღმსარებელისა
მე. მელიანიასთჳს ჰრომისა
მვ. ხორონიოსთჳს ხუცისა
მზ. იაკობისთჳს მონაზონისა
მჱ. სწავლისათჳს, რომელი წარმოჰსთქუა პაფნოტი, რომელსა ეწოდებოდა კეფალა
მთ. ელლადისთჳს კაბბადუკელისა
ნ. სისინისთჳს ყოვლად ქებულისა
ნა. ღადდანიასთჳს პალესტინელისა
ნბ. ილიასთჳს უცხოთ-მოყუარისა
ნგ. საბასთვის ერის-კაცისა ღის-მოყუარისა
ნდ. აბრაჰამისთჳს მეგჳპტელისა ცნობა-ვნებულისა
ხე. კუალად თხრობა მელანიასთჳს პირველ-მოჴსენებულისა

ნვ. სილუანიასთჳს ქალწულისა
ნზ. ოლიმპიასთჳს ღირსისა დედაკაცისა
ნჱ. კანდიდასთჳს დედა-კაცისა
ნთ. გელასიასთჳს ქალწულისა
ჲ. ანტინოოს მონასტერთათჳს
ჲა. დიოვლისთჳს მონაზონისა
ჲბ. კაპიტონისთჳს შეყენებულისა
ჲგ. განშორებულისათჳს სიზმართა მიერ შეტყუვნილისა
ჲდ. ანტინოოს მყოფთათჳს მონასტერთა სღედოთა
ჲე. მელანიასთჳს მცირისა
ჲვ. ქალწულისათჳს, რომელმან შეიწყნარა წმიდა ათანასი
ჲზ. ქალწულისათვის თესალონიკელისა
ჲჱ. სევერიანესთჳს ანკჳრელისა და სხუათა ანკჳრისა მონასტერთა
ჲთ. ქალწულისათჳს დაცემულისა და კუალად შენანებულისა
ო. წიგნის-მკითხუჱლისათჳს ცილის წამებულისა
ოა. თხრობა უსახელო სათნოებათათჳს ძმისა ვისთამე, რომელი საგონებელ არს, ვითარმედ ვითარცა სხჳსათჳს იტყჳს, არამედ თჳთ იგი არს მოქმედი მათ სათნოებათა აღმწერელი ამა წიგნისა პალადი
ობ. აღმწერელი ამის წიგნისა ჰმადლობს ღმერთსა“ (3v—5v).

3. ტექსტი თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (კ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 105).

2. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა კასიანე ჰრომისა თხრობა წესსა და განგებასა ეგჳპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა. — ვინაჲთგან უკუჱ გებრძანა ჩემდა, სანატრელო მამაო კასტორ, უწყებად შენდა კანონსა და წესსა საკრებულოსა აღმოსავლეთისა და უფროსღა ეგჳპტისა მონასტერთასა...“ 179r—199v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 86).

3. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა კასიანე ჰრომისანი რუათა მათ გულის-სიტყუათათჳს ბოროტთა: ნაყროვნებისა დასიძჳსა და ვეცხლის მოყუარებისა და რისხჳსა და მწუხარებისა, მოწყინებისა და ცუდადმზუაობრობისა და ამპარტავნებისათჳს. თავი **ა.** — ჴერ-არს ჩუენდა, უპირატეს ყოვლისა, თქმად მარხჳსათჳს...“ 199v—230r.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 86).

4. „მისივე წმიდისა მამისა ჩუჱნისა კასიანე ჰრომისა, მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათჳს წმიდათა მამათა სკიტისათა. — თანა-ნადები იგი, რომელი აღმეთქუა გარდაჴდად ნეტარისა პაპასა კასტორისდა, მითხრობისათჳს მისდა ცხოვრებასა წმიდათა მამათასა...“ 230r—251r.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 86).

ანდერძი: „დიდება ღმერთსა, ყოვლისავე სრულმყოფელსა ...ნითა აღუსწერე სულთა განმანათლებე[ლი] ლავსაიკონი ესე იკორთის არხიმადრიტმან გამალიელ. სეკდემბრის, წელსა **ჩღნჱ, 1758**“ (251v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1398) **3640**

კრებული. XIX

139 ფ.; 20×15,4; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: 1r-v, 60v, 137r—139v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 17.

1. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა და მ ო ქ ა ლ ა ქ ო ბ ა ე ვ ფ ე მ ი ა ნ ე ს ი და ძ ი ს ა მ ი ს ი ს ა ა ლ ე ქ ს ი კ ა ც ი ს ა ღ̃თისა. გ. მ. — იყო ვინმე ჰ რ ო მ ს ქალაქსა შინა კაცი მორწმუნე და მართალი და მდიდარი ფრიად, და სახელი მისი ე ვ ფ ე მ ი ა ნ ე. ამას ესხნეს მონანი სამასნი სახელოვანნი და შემოსილნი სტავრითა და ძოწეულითა...“ 2r—7r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. კიმენი, I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქტორობით, 1918, გვ. 161—165).

2. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა წ მ ი დ ი ს ა და ნ ე ტ ა რ ი ს ა ი ო ა ნ ე ს ი, რომელი გლახაკ იქმნა ქრისტესთჳს მონასტერსა მას დაუძინებელთასა. გ. მ. — იყო ქალაქსა შინა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ უ პ ო ლ ი ს კაცი ვინმე კურთხეული ღმრთისა მიერ, შემკული სიტყვით და საქმით და ყოვლითავე საღმთოჲთა სათნოებითა...“ 7v—18v.

შენიშვნა: ტექსტი მისდევს A 188 ხელნაწერს (164r—179v), კიმენური რედაქციისაა (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I², გვ. 688).

3. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა და მ ო ქ ა ლ ა ქ ო ბ ა ღ ი რ ს ი ს ა და ნ ე ტ ა რ ი ს ა მ ა მ ი ს ა ჩვენისა ქ ს ე ნ ე ფ ო რ ე ს ი. გ. მ. — გვითხრობდა ბერთაგანი ვინმე, ფრიად სათნოჲ, ვითარმედ იყო ვინმე სეფეწული სახელით ქსენეფორე...“ 19r—28r.

4. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა ღირსისა მამისა ჩვენისა ო ნ ო ფ რ ი გ ა ნ შ ო რ ე ბ უ ლ ი ს ა და სხუათა მეუდაბნოეთა, რომელნი იხილნა მამამან პ ა ფ ნ ო ტ ი. გ. მ. — ცხოვრება საღმრთო და სანატრელი და საქმენი სარგებელნი სულისანი ისმინეთ. საყუარელნო ძმანო, რომელსა ღირს ვიქმნე მე, გლახაკი პ ა ფ ნ ო ტ ი ხილვად განგებითა ღმრთისათა და გითხრობ თქვენ სარგებელად სულისა...“ 28v—38v.

შენიშვნა: თარგმნილია ექ. ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 134).

5. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩვენისა მ ა რ კ ო ზ გ ა ნ შ ო რ ე ბ უ ლ ი ს ა, რომელსა გჳთხრობდა ღირსი მამა ჩვენი ს ე რ ა პ ი ო ნ გ. მ. — ესე ღირსი სერაპიონ იყო კაცი ღმრთისა და ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა უდაბნოთა მთათა და ქვაბთა...“ 39r—46r.

6. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა ქალწულისა კ ა ნ ო ნ ი კ ე ს ი, რომელი იყო ასული მთავრისა და იქმნა მძოვარ გ. მ. — იყო ვინმე მამათაგანი, რომელსა ერქუა სილოანე და სხდა იგი ქვაბსა შინა მონასტერსა ფარასსა...“ 46v—50r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 130).

7. „ცხოვრება და მოქალაქობა ქალწულისა ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა მეგვიპტელთასა და იქმნა იგი მძოვარ. გ. მ. — იყო ეგვიპტეს ქალი, ქალწული, სახელით ნისიმე და იყო ჴელსა ქუჱშე მისსა ათორმეტი ქალაქი ყოვლითურთ დაბით...“ 50v—54v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. კიმენი I, კ. კეკელიძის რედაქტორობით, 1918, გვ. 202—214).

8. „თხრობა სულიერი სათნოებათა დაფარვისათჳს. — ღირსი და ღმრთშემოსილი მამა დიდი დანილ სკიტელი, დიდად სახელოვანი მონაზონებითა, გამოვიდა ოდესმე სენაკით მოწაფითურთ მისით...“ 55r—58r.

9. „თხრობა სულიერი დიდისა სისოსთჳს, თუ ვითარ პატივ-სცემს ღმერთი წმიდათა თვისთა. — წმიდა და ყოვლად სანატრელი მამა ჩუჱნი სისო ცხოვრებდა მთასა შინა უდაბნოსა...“ 58r—59r.

10. „თხრობა სულიერი დიდისა მეფისა კოსტანტინესი. — მოგვითხრობდა წ~თაგანი ვინმე, ვითარმედ წარვედ ოდესმე პარისოს განშორებულისა მიმართ ლოცვისა და სამღთოსა სწავლისა მისისა მოღებისათვის...“ 59r—60r.

11. „თვესა აგვისტოსა იე, მიცვალება ყოვლად წმიდისა ღთ~ისმშობელისა, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ვასილისა გ. მ. — რაჟამს იგი სულისაგან წმიდისა ღმრთისმშობელსა მარიამს ჟამი განსლვისა თვისისა ამიერ სოფლით გულისჴმა ეყო, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა სამღთოჲთა...“ 61r—94r.

12. „წამება წმიდათა ქალწულმოწამეთა რიფსიმე და გაიანესი და მოყვასთა მათთასა. — იყო მათ ჟამთა, ოდეს ეძიებდა ცოლსა დეოკლიტიანე კეისარი და წარავლინნა ყოველთა მიმართ საბრძანებელთა მისთა გამომხატველნი...“ 94v—110r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ილ. აბულაძე, აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 145—180.

13. „თუჱსა ივლისსა ია, თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა გრიგოლი ჴოსელისა ცხოვრებისათვის წმიდისა მაკრინასი. გ. მ. — სახე წიგნისა ამის წესითა აღწერისათა ებისტოლის პირსა მოასწავებს...“ 110v—136r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს წინ დართული აქვს: „ზანდუკი წიგნისა ამის“ (2r).
2. თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 26).

მინაწერები: 1. ხელნაწერში არის სალექსიკონო ხასიათის შემდეგი მინაწერები: „შარი არს კეთილი ნარმა“ (3r); „ხერთვისი არს ზღუჲსა შინა ჴმელი კუნძული“; „ერთი უნკია არს ექვსი დრაჰკნის წონა“ (3v); „იად-

ეროვნული

გარი არს სახსენებელად დარჩომილი" (5v); „სატუხელე ბ[illegible] არს, ფრიად კეთილი რა ფრიად ბოროტად შეიცვალოს" (14v); „ქსენეფორე ითარგმანების უცხო შემოსილი", „სეფეწული არს დიდებულთა ძე" (19r); „კარაპა ნავი არს მომცრო" (20v); „აბრამადი არს ნაზირი" (48v); „ფაკეული არს თავსახურავი" (55v); „გუგა არს სახედველი" (95v); „როსკიპი არს ურიდად მეძავი კახპა" (96r); „მანად ითქმის საღილე ქალთა", „როჭიკი არს ულუფა" (97v); „დედამძუძე არს მზრდელი ქალი" (98r); „მებოძირი არს, მრავალი გზა რომ ერთად შეიყრებოდეს", „ურაკპარაკი არს უბანი" (99r); „იონი არს ბერძენი" (103v); „ერთი სახმილი სამი ჟამი არს" (105v); „ნიორაკი არს მოსაქმე" (107r).

2. „მისის უგანათლებულესობის, იმერთა მეფის ჰსძლის ანასტასიასი არს ესე წიგნი" (136v).

3. „წელსა ჩყკთ, სეკდენბრის თვეში ეს პატარა სვინაქსარი და ნეტაფრასი მეფის დავითის სძალმან ანასტასიამ — კოსტანტინეს ცარევიჩის მეუღლემ და აბაშიძის ასულმან მაჩუქა სახსოვრად თვისად სანკტპეტერბურღში. მეფის ასული რივსიმა" (136v).

(1399) **3641**

ამბავი მაჰმადისი თარგმანთა შინა ფსალმუნთასა. 1824

55 ფ.; 12,8×10; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა, შიგნიდან აბრეშუმგამოკრული; მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი: მეფის ძე თეიმურაზი (33r); 1824 წ. (33r); დაუწერელია: 32v, 33v—55v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 18.

„ამბავი მაჰხმადისი თარგმანთა შინა ფსალმუნთასა შემოხმული და წიგნთაგან მაჰხმადიანთასა გამოღებული და ნათესაობა მათი. გალობა ფსალმუნი ასაფისი **პბ**. — ესე ფსალმუნი წინასწარმეტყუჱლმან აგარიანთა ნათესავისა და ისმაიტელთათჳს თქუა, რამეთუ წინასწარ ხედჳდა სულითა განმრავლებასა მათსა და განფენასა ყოველთა კიდეთა ზედა..." 1r—33r.

ანდერძი: „მომიხსენეთ მხილუჱთა(!) და წარმკითხუჱლთა ამისთა მეფის ძე თეიმურაზ, წელსა **ჩყკდ**" (33r).

(1400) **3642**

კრებული. 1800

107 ფ.; 14,5×10; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ოქროთი მოვარაყებული ტვიფრული ყდა; მხედრული, დასაწყისები და სათაურები სინგურით, მთავრულით და ნუსხურით; გადამწერი: იესე (43v); 1800.VII.2 (43v); თბილისი (43v); დაუწერელია: 1r—4v, 54v, 67v, 89v—106v, 107v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 19.

1. „იოანესაგან სინელისა სამათნი გუარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი. ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მიწევნულ ხარ. ესენი თითო თავისაგან ათმუხლად მე იოანე დავლექსენ პირის-პირად. პირველი თავი გამოსლვისათჳს სოფლით. თავი ა. აღსავალი I. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნებავს, გამოხუალ,
არსსა ვით ჰხედავ
მარადის მხედი,
უწყით, მუნ აღუალს
საგზოდ ვინ აქა,
თუ ოდესცა ამას ჰყოფ,
უმეცარი, არ მართალ,
საუკუნოსა მეტრფი,
სულთა მამისა მიმართ,
უფროს მოიგო ესე...“ 6r—43v.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის კლემაქსის თავთა საძიებელი „საღთო კიბე სათნოებათა სამ-ათნი...“ (5r).

2. „კლემაქსი“ გალექსილია იოანე პეტრიწის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I^2, გვ. 263).

2. (შჳდთა ჳნებათათჳს). —

შჳდთა ვნებათა
უფროსლა დიდთა
დაფარულადცა
თუ არ განიფრთხობ,
აჰა შთაჭრილ ხარ,
თჳთ აღმრიცხავი ჰპოებ
სულისა ამათ სენთა.
ვინა გონების მაბრმოთ
ნებსით მასვე შენ მთხრობელსა
ესე დიდი ვნება არს.

ამპარტავანო, რად ემსგავსე გულითა ბნელსა ბელიარს, მთავარსა მას ბოროტსა...“ 44r—45v.

შენიშვნები: 1. მკვლევარ ს. გორგაძეს ამ შრომის ავტორად იოანე სინელი მიაჩნია, გამლექსავად კი იოანე პეტრიწი. იხ. ს. გორგაძე, იოვანე სინელის „კლემაქსი“ ჩვენს მწერლობაში, 1916, Q—788.

2. ტექსტში მოხსენებულია 7 ვნება: ამპარტავნობა, კერპთმსახურება, ნაყროვნება, სიძვა, სიძულვილი, მოწყინება და მწუხარება.

3. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დასასრული შჳდთა ვნებათა“.

3. „სხუანი ორმუხლედნი იამბიკონი კეთილსიტყუანი, თქმულნი გრიგორი ღვთისმეტყუჱლისანი. —
საწყის კეთილის კეთილსაცა ბოლოსა
მართლად შეჰრაცხვენ ყოფად საქმეთ საზღუარნი...“ 46r—49r.

4. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ესენი ითქუნეს, რა ჟამს უკანასკნელთა ფშჳნვიდა. —
ანგელოს მნათნო, უწდომოს მომრგუალებას
სამ-მნათ-ღმრთებისა ერთ ელჳსა გარმდგომნო...“ 49r-v.

5. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „სხუა. —
საქმე გაქუს, სულო, დიდი, უკეთუ გნებავს,
სცან თავი თუისი — ვინ ხარ და სადა მიხუალ...“ 49v—50r.

6. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ბოროტისა მიმართ. —
მოხუჱდ, ბოროტო, არამედ დაეყენე,
კუამლად გიხილე და ვაგრძენ ცეცხლისაცა...“ 50r—52r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. „ესოდენ საკჳრველებანი ილია თეზბიტელისანი. —
ყორანთა მიერ პირველ გამოიზარდა
მეორედ ზარდი ქურივი სარეფთელი...“ 52v.

8. „იამბიკონი წმიდათა მოციქულთა აღსრულებისა, თქმული იოაკიმ მონაზონისა. —
ჯუარს აცუამს პეტრეს თავდამოდმართ ჰრომს ნერონ,
არ მკუდარი ცხოვლობს მომკუდარი იოანე...“ 53г-v.

9. „თარგმანება წმიდათა მოციქულთა სახელთა. — პეტრე განმჴსნელად, ანუ მცნობელად, ანუ მსმენელად ეწოდა პეტრეს ქრისტესაგან კეფა, რომელ არს კლდე...“ 54г.

10. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „სწავლანი. —
მაგინებელ არს სიმაძღრე, ჵ რჩეულო,
ხოლო მე მნებავს შენდა ქონება საქმედ...“ 55г—57г.

11. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „მრავალმეტყუელებისა და დუმილისათჳს. —
დუმილის მეყური(!) მიეახლების ღმერთსა
და თანმზრახველი განათლდების მის მიერ...“ 57v.

12. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ტყუილისთჳს. —
არ უწყის ჩჩჳლმან ტყუილი, არცა სულმან,
სიბოროტისა სულთა მდევნელისაგან...“ 57v.

13. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ყოვლად განთქმულისთჳს და დედოფლისა ბოროტისა მუცლისა. —
ნაყროვნება არს ნაოაგობათ შემ[ო]ქმედ,
საზრდელ სიმაძღრე — სიძუისა დედა, ხოლო...“ 57v—58г.

14. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „უხრწნელისათჳს განხრწნადთა შორის შრომათაგან და უფალთა სიწმიდისათჳს და მრავალ ცნობობისა. —
ვიეთმე ჰნატრეს ბუნებით საჭურისთა,
ვითარ სხეულის მძლავრებისაგან ჴსნილთა...“ 58v—59г.

15. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ცუდდიდებობისათჳს. —
ნუ შეიწუნარებ მომაგონებელსა მას
წინამძღუროობისა ეპისკოპოსობისა...“ 59v—60г.

16. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ვნებათა წარმწყმედელთა მაღლისა მდაბალ-მზრახუწლობისათჳს უხილავთა გრძნობითა. —
ღელე არს სული დამდაბლებული შორის
შრომისა მთათა და სათნოებისათა...“ 60v—61г.

17. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „განსჯისათჳს გულისსიტყუათა და ვნებათა და სათნოებათასა. —
ზესთ-სახიერი მეუფე და უფალი
რა ჟამს მრავალგზის ვიეთ უმცონარესთა...“ 61r-v.

18. [გრიგოლ ღვთისმეტყველისა], „ქუჱყანის ზედასათჳს ცისა ღ~ის მსგავსისა უვნებელობისა და სისრულისა და აღდგომისათჳს სულისა პირველ ზოგადისა აღდგომისა. —
არ შემტკიცნების დიადიმა სამეფოჲ
ერთისა მიერ ქჳსა და არ იქმნების...“ 61v—62r.

19. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „თანშემკრუჱლისათჳს სათნოებიანისა სამობისა სათნოებათა შინა. —
მნებებულმან თქმად ღ~თის სიყუარულისათჳს,
ღის~ათჳს ჴელ-ჰყო თქმად, რამეთუ ღ~ისათჳს...“ 62r-v.

20. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ზესთ მჩენობისათჳს. —
უკეთუ სხჳსა ვნების რაჲსმე თჳნიერ
ამის ძლით ხოლო მხოლოსა შთამოვარდა...“ 63r-v.

21. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „სიმშჳდისათჳს და სიმარტივისა და უმანკოებისა და სიბოროტისა. —
ისწავეთ ჩემგან, იტყჳს, რამეთუ მშჳდ ვარ,
მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუჱნება...“ 63v—64r.

შენიშვნა: კრებულში შესული გრიგოლ ღვთისმეტყველის იამბიკოები ნათარგმნია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები..., V, გვ. 38—39).

22. „პეტრე. —
აჰა, შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად
კიბე ხარისხთა ცად მყუანთა იოანნი...“ 64v.

23. «იეზეკიელი». —
„ნათელთა შორის ულამოსა მაბრწყინუმან
დაუალისა მზისა ელუარებითა...“ 64v.

24. [იეზეკიელი]. —
„იძლუნენ საცემნი, ორფევის ჴმათ დამჴსნელნი...“ 65r.

25. [იეზეკიელი]. —
„ბუნებითთა მათ აღძრვათათ ესე აჰ წამებრ ღვაწლთა...“ 65r.

შენიშვნა: იეზეკიელის ზემოდ მოყვანილი სამივე ლექსი გამოცემულია (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, გვ. 379—380).

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. [სვიმეონ ლოლოთელი], „ამბერკის საფლავსა ზედა კსწერიან. —
ჰრჩეულისა მის მკჳდრმან ქალაქისამან
ესენი შევჰქმენ ვიდრეღა ცოცხალ ვიყავ...“ 65v—66r.

შენიშვნები: 1. ეს იამბიკო მოყვანილია სვიმონ ლოლოთელის მეტაფრასში — „ამბერკი იეროპოლელის (ოქტომბრის 22) ცხოვრებაში“, რომელიც ეფრემს უთარგმნია (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 577).
2. იამბიკოს სრული ტექსტი გამოცემულია (იხ. Такаишвили, Описание, ტ. II, გვ. 317—318).

27. „წმიდათა მოციქულთა ცისკრად წარკითხუა სახარებისა ესრეთ ჰშუჱნის. — ოკდონბერს ვ წმიდისა მოციქულისა თომასი. ცისკრად სახარება იოანესი, დასაწყისი მჱ...“ 66v—67r.

28. „პროლოღია. სეკდენბერისა დღეთა ათოცობასა. —
ასთორმეტ ორმეტობს ჟამები დღე-ღამეთა,
ინდიკტიონსა დასაბამობს დღენდელი...“ 68r—89r.

შენიშვნები: 1. „პროლოგს“ ადგილ-ადგილ აკლია. „პროლოგის“ შესახებ იხ. აქვე S—3731 ხელნაწერის აღწერილობა (3731,1, შენ. 2).
2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ს. გორგაძეს. იხ. Q—788.
ანდერძი: „დასასრული სამ-ათისა კიბისა, რომელ არს ოცდაათი, ქრისტეს აქეთ ჩყ, თვესა ივლისს ბ, აღიწერა მეოხებითა დედისა ღ~ისათა ტაძარსავე მისსა ქალაქსა ტფილისს, სამეფოსა ეკკლესიასა უღირსისა იესეს მიერ“ (43v).
მინაწერები: 1. „მეფის ძეს მირიანს“ (107r).
2. „თელავის შინათა შენ, სიწყნარისა ჯუარო, მარად წინ მწესი, წერილთა და საქმეთა ტკივილით ყოვლად ტკბილსა ვჰპოებ წაღსა“ (5v).

(1401) **3643**

გაბრიელ მცირე, მანანა. XIX

284 გვ.; 17,5×11,5; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XIX ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 20.

[გაბრიელ მცირე], „ღ~თივ დიდებულთა წმიდათათჳს შესხმანი სულისა დამატკბობელნი, რომელსა ეწოდების მანანა. შესხმა ა. ღ~თივ ბრწყინვალისა და ყოვლად დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღ~ისმშობელისა. — აღსდეგ, უფალო, განსასვენებელად შენდ, შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისა. ეჰა ღმრთისა სიტკბოებისა საუნჯეო, შემოსილო გარეთ და შინათ არა ოქროჲთა, არამედ სულითა წმიდითა, ღმრთივბრწყინვალეო დედოფალო მარიამ...“ 1—277 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს: ა. „ბეჭედი“ (278—279 გვ.). ბ. „სარჩევი“ (280—283 გვ.).
2. „მანანას“ ტექსტი გამოცემულია (იხ. „მანანაჲ ანუ შესხმანი ღუთივ-დიდებულთა წმიდათათჳს...“, თბ., 1882).
3. ტექსტის ბოლოს ხვეულად მიწერილია: „გ[რიგო]ლ“ (277 გვ.).

4. საცავი ფურცლის ვერსოზე დახატულია ტაკუკი და მიწერილი აქვს: „გ~ხნ, ტაკუკო ოქროსაო, სავსეო მანანათაო“.

ანდერძი: „სრულ იქმნა სულისა დამატკბობელი მ ა ნ ა ნ ა დიდებად ღ~ისა დიდის, იყავნ, იყავნ“, 283 გვ.

მინაწერები: 1. „გ ა ბ რ ი ე ლ მ წ ი რ ი, ბერისა ნათლისმცემლის უდაბნოსი, მრავალმთისა, იმის მიერ არს შედგენილი წიგნი ესე მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, **ჩყპგ** წელსა, ივნისის **ია** დღესა, კჳრიაკე“ (284 გვ.).

2. „ეს წმინდა და სამღთო გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი მეფის ასულის რიფსიმასი არს. წელსა **ჩყ** ცხრას მივიღე არხიმანდრიტ ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ, ა ბ ა შ ი ძ ი ს ე ვ გ ე ნ ი ს ძისაგან. ღმერთმან მაიხსენოს ვ ა ლ ე რ ი ა ნ არხიმანდრიტი სასუფეველსა თვისსა. ესე არს წმიდა და ვისაც ჩემს შემდგომ დარჩეს ეს სამღრთო გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი, არხიმანდრიტს ვ ა ლ ე რ ი ა ნ ს ლოცვით მაიხსენებდეს. მეფის გ ი ო რ გ ი ს ასული რ ი ფ ს ი მ ა ვწერ“ (ზემო საცავი ფურცლის r).

(1402) **3644**

ანტონი I, განმარტებაჲ მიწყალესი. XIX

37 ფ.; 16,5×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XIX ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 21.

[ა ნ ტ ო ნ ი I, გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ჲ მ ი წ ყ ა ლ ე ს ი]. „წინასწარმეტყუჱლისა ფსალმუნი **ნ**. — მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჴოცე უსჯულოება ჩემი...“ 1r—37v.

შენიშვნა: ამ თხზულების შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართ. მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 349.

მინაწერები: 1. „ქ. ეს მიწყალეს თარგმანი მეფის ძის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა არის. ვინც მოიპაროს, მასმცა ედების კეთრი გეეზისი, ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და ნაბირონისი(!) და მასც რისხავს დედა ღვთისა და მისგან უმამოდ შობილი ქრისტე და ყოველნი საუკუნითგან სათნოყოფილნი მისნი. ამინ“ (37v).

2. „ქ. მიწყალე მე, ღმერთო, რამეთუ დამთრგუნვა მე კაცმან, მარადღე ბრძოლითა მაჭირვა მე“ (ზემო ყდის შიდა მხარე).

3. „ქ. თ ე ი მ უ რ ა ზ ცოდვილი“ (ხელრთვით) (ქვემო ყდის შიდა მხარე). აქვეა კრიპტოგრამა.

(1403) **3645**

ანდრია კრიტელ-იერუსალიმელი, დიდნი გალობანი. 1766

94 ფ.; 16×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; დამწერი: კირილე არქიმანდრიტი (75v); 1766 წ. (75v); ადგილი: მოსკოვი (75v); დაუწერელია: 1r—9v, 76r—94v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 22.

„დ ი დ ნ ი გ ა ლ ო ბ ა ნ ი, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ა ნ დ რ ი ა კ რ ი ტ ე ლ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ ი ს ა. ნელიადისა ჴმითა და შემუსრვილითა გლ~ითა და ჴმითა წარიკითხჳს. გ~ლბჲ ა, ჴმაჲ ვ. სძლისპირი.—შემწე და მხსნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მფარველ მეყავნ მე, მც~ხვრ~ება ჩემდა ესე ღმერთი ჩემი და ვადიდო იესე...“ 10r—75r.

ანდერძი: „მხილველთ მვედრი ვარ, ესრეთ უგვანად მწირობის ჟამს ვწერე მე, ულირსმან ბერმა არქიმანდრიტმა კ ი რ ი ლ ე ქალაქსა მ ო ს კ ო ვ ს. ოკდონბერს **ე**, წელსა **ჩღჲვ**“ (75v).

(1404) **3646**

სვინაქსარი. 1746

331 ფ.; 16,5×11; ქაღალდი, ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; 1-2 ფ. ამოვარდნილია; ნუსხური, სათაურები სინგურით; აქვს თავსამკაული (1r): გადამწერი: თომა მღვდელი (330v); თბილისი, ღვთისმშობლის მონასტერი 1746 წ. (330v); დაუწერელია: 138v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 23.

„ს ჳ ნ ა ქ ს ა რ ნ ი, რომელ არიან კრებანი, წესნი და განგებანი. დაწესებულნი წმიდათა მღდელთ-მოძღუართა მიერ, რომელსა წერილ არს ეკლესიასა საწელიწდო განგებაჲ ფსალმუნებისათჳს გალობისა და წიგნის კითხჳსა და თუ რომელსა დღესა მოვიცლით, ანუ თუ რომელთა წმიდათა ჴსენებასა ღააცადებთ ჟამთა ლოცვისა და მუჴლთდრეკისა, და კუალად წერილ არს ცხორებანი და წამებანი დღითი-დღედთა წმიდათანი სულ მცირედ და შემოკლებულად, რათა არა ფრიად სიმრავლე წერილთა იქმნას.

თუჱსა სეკდენბერსა აქუს დღე **ლ**; დღეთა აქვს ჟამი **იბ** და ღამეთა ჟამი **იბ.** — თუჱსა სეკდენბერსა **ა.** გჳრგჳნი წელიწდისა და დაწყებაჲ ინდიკტიონისა და ჴსენებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა...“ 1r—331r.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი წარმოადგენს გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ლ ი ს მიერ ნათარგმნი სვინაქსარის ნუსხის პირს, რომელშიაც ქართველი წმინდანებიდან შესულია ე ქ ვ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი დ ლ ი ს სვინაქსარული ცხოვრება (13 მაისი) და ი ო ა ნ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს სახსენებელი (14 ივნისი).

ანდერძები: 1. „ქრისტე შეიწყალე ამის აღმწერი ცოდვილი თ ო მ ა ს ი ო ნ ე ლ ი“ (138r).

2. „დიდებაჲ და მადლი წმიდათა, კურთხეულ არს ღმერთი. დასრულდა განგება თუეთა წელიწდისათა, დ ი დ ი ესე ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი, სულთა წინამძღუარი და განათლებული და მეცნიერმყოფელი უმეცართა ჴელითა გლახაკისა და ყოველთა ქრისტიანეთა უნარჩევესისა, სახელად ოდენ მღდლის თ ო მ ა ს ი ო თ ა, ხოლო დაიწერა მონასტერსა შინა წმიდისა ღთისმშობლისასა ტ ფ ი ლ ი ს ს, ქორონიკონსა **ულდ**“ (330v).

მინაწერები: ზემო ყდის შიდა მხარე და 331v.

(1405) **3647**

კრებული. 1847

113 ფ.; 18×11,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; გადამწერი ს. ტაბიძე (109v); 1847 წ. (82v); პეტერბურგი (109v); დაუწერელია: 83v, 84r-v, 99v, 110r—113v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 24.

1. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგორი ღმრთისმეტყველისანი. — 1. დასაბამად და აღსასრულად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაქუნდინ, რამეთუ კეთილ არს ღმრთისაგან დაწყებად და ღმრთისა მიერ აღსრულებად. ყოველთავე საქმეთა ჩუჱნთა და მარადის გონებათა ჩუჱნთა ღმრთისა თანაყოფად...“ 1r—36r.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდლის მიერ (იხ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 32).

2. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუჱნისა დიდისა ვასილისნი. — 1. ლოცუა უბნობა არს ღმრთისა მიმართ. აწ უკუჱ გულისჴმა-ვჰყოთ, ძმანო, თუ ვითარი საზომი უჴმს გონებასა მას, რომელი იგ შემძლებელ იქმნას მიუდრეკელად დგომად წინაშე თჳსისა მეუფისა და უბნობად მისა პირისპირ ნებისაებრ მეუფისა თჳსისა თვინიერ შუამდგომელისა...“ 36v—57v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდლის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 18).

3. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუჱნი მაქსიმე აღმსარებელისანი. — 1. პირველი უვნებელობა არს, რათა კაცი საქმეთაგან ცოდვისათა უცხო იქმნას და სრულად განეშოროს...“ 58r—82r.

შენიშვნები: 1. ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდლის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 99).

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „18 $\frac{XI}{22}$ 47“

„ყოვლად სამღუდელო მიტროპოლიტი ნინოწმინდისა და არხიეპისკოპოსი რუსთ[ა]ვისა სტეფანეს წიგნთსაცავთაგან გარდაწერილ არს ეს სამასუ-ული ფრიად სასარგებლო სულთა და ჴორცთასა“ (83r).

4. „სამადლობელი გალობა წმიდისა ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისაგან. — შენ, ღმერთსა გაქებთ. შენ, უფალსა აღვიარებთ. შენ, პირველ საუკუნოსა მამასა ყოველი ქუეყანა გადიდებს...“ 82v—83r.

5. ლოცუანი „ღირს არს სანიადაგო სათქმელი. — ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ...“ 85r—101v.

შენიშვნა: 1. 100 და 101 ფურცლის r-v არის ლითოგრაფიულად ნაბეჭდი ლოცვა, რომლის ბოლოს ლითოგრაფიულადვე მიწერილია: „იმერეთის მარიამდედოფლის მოძღუარმან იონა მღუდელ-მონაზონმან გარდმოვწერე რუსულისაგან ქართულად იოანე ოქროპირისაგან ლოცუანი და დარიგება ხუთნი და კუალად კანონი ანგელოზისაგან მოცემული პახუმისა მიმართ. მომიჴსენებდეთ ლოცუასა შინა თქუჱნსა. წელსა 1836, ივლისის 20-სა, ს. პეტრებურღსა შინა“ (101v).

2. „რუსულისაგან გარდამოღებულია ქართულსა ენასა ზედა წმიდა ესე ლოცუანი ქრისტეს მოყვარეთა ერთათჳს“ (99v).

6. „ათორმეტთა თთუჱთა შინა რაოდენნიცა დღენი არიან ჴსნილნი თევზითა ანუ ღვინითა და ზეთითა...“ 102r—106r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 106v მოთავსებულია საგალობლის ნაწყვეტი რუსულად: „От юности моея...“

7. „წმიდისა ეფრემისაგან თქმული თარგმანება, რომელიც არის დაბადებისაგან განმარტებული. — ხოლო შენ, შჳლო ჩემო სეით, იყავ განმგებელ ერსა შენსა შიშითა ღ~თისათა...“ 107r—109v.

ანდერძი: „ესე დიდება ღმრთისა ათორმეტ გზის დღეთა შინა და ათორმეტ ღამეთა შინა სრულ იქმნა ძალითა ღ~ისათა. გარდმომწერსა მომიხსენებდეთ ლოცვათა შინა თქვენთა. ს[ჳმონ] ტა[ბიძე]“ (109v).

(1406) **3648**

საკითხავები. XIX

88 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; მუყაოს წითელი ყდა, ოქროტვიფარით; მხედრული; სათაურები ნუსხურად, სინგურით [XIX ს. I ნახ.]; დაუწერელია: 20r-v; 43r—44v; 62v—69v; 88r-v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 25.

1. „ქ. სეკდენბერსა ჱ. შობაჲ წმიდისა ღ~ისმშობელისაჲ. საკითხავი თქმული ნეტარისა იოანე დამასკელისაჲ შობისათჳს წმიდისა ღ~თისმშობელისა მის ქალწულისა მარიამისა. — მოვედით ყოველნი ნათესავნი და ტომნი და ყოველნი ენანი ძეთა კაცთანი და ყოველი ჰასაკი ყოველთა არსთაჲ და ყოველი მთავრობაჲ წესიერი...“ 1r—19v.

შენიშვნები: 1. ტექსტის დასაწყისში მიწერილია: „ლოცუა ყავთ გლახაკსა ეფთუმესათჳს, რომელმან ესე საკითხავი ბერძულისაგან წიგნისა ქართულად ვთარგმნე“ (1r).

2. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I^3, გვ. 182. და მისივე ეტიუდები, VII, გვ. 149.

2. „თუჱსა ნოენბერსა კა. ტაძრად მიყვანება წმიდისა ღ~ისმშობელისაჲ. საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა იოვანე მმარხველისა, კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოზისა, ტაძრად მიყვანებისათჳს წმიდისა ღ~ისმშობელისა და მარადის ქალწულისაჲ მარიამისა. ოდეს იგი სამისა წლისა იყო, მიიყვანეს ტაძრად მშობელთა მისთა და შეწირეს ღმერთსა და შეიწყნარა იგი ზაქარია მღდელ-მოძღუარმან, მამამან ივანე ნათლისმცემლისამან, და შეიყვანა წ~ა წ~ათასა შინაგანსა ტაძრისსა და იყუ მუნ შინა წ~ა იგი ქალწული და მოიღებდა საზრდელსა ჴელითა ანგელოზისაჲთა. გ~კხნ უ~ო. — ბრწყინვალე არს და დიდებულ დღესასწაული ესე კრება და გონებასა დღესასწაულის მოყვარეთა მორწმუნეთასა გალობად წადიერ ჰყოფს და არს ესე ყოვლად წმიდისა ქალწულისა და ღ~თისმშობლისა ტაძრად მიყვანებაჲ...“ 21r—42v

3. „მიცვალებისათჳს წმიდისა მღთისმშობელისა. საკითხავი, თქმული წმიდისა იოანე მახარებელისაჲ და ღ~ისმეტყუჱლისა დაძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისათჳს წმიდისა ღ~ისმშობლისა. — ყოვლად წმიდაჲ დიდებული მარიამ ჩუეულებისაებრ მოვიდოდა ყოვლად წმიდისა საფლავსა უფლისასა კუმევად საკუმევლისა...“ 45r—57r.

4. „თ~სა აგჳსტოს იე. მიცუალება წმიდისა ღ~ისმშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისი. საკითხავი, თქმული იოვანე ოქროპირისა. გ~კხნ, უ~ო. — საყვარელნო, მოვედით და ისმინეთ წმიდისათჳს ქალწულისა ქებაჲ, ვითარ ადიდა შობილმან მშობელი თჳსი...“ 57v—62r.

5. „თ~სა ნოენბერსა კა. წამებაჲ წმიდისა მათე მახარებელისა. — რაჟამს აღმობრწყინდა ცისკარი, მოვიდა წმიდა მახარებელი მათე...“ 70r—84r.

6. „აღვსებასა დღესა შემდგომად ცისკრისა გალობისა ამბორის-ყოფაჲ ბერძულად. შემდგომად ამბორის ყოფისა, ესე საკითხავი წარიკითხვის, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა იოვანე ოქროპირისა. — რომელნი ხართ ქრისტეს მოყუარენი და მორწმუნენი, მიიღეთ კეთილისა ამის დღისა კრება...“ 86r—87v.

შენიშვნა: საკითხავების ეს ტექსტი გადმოწერილია აზიის ხალხთა ქვეყნების ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული E 16 ხელნაწერიდან. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ 1814 წლის ნუსხიდან.

ანდერძები ხელნაწერის დედნისა: 1. „წმიდაო მათე მახარებელო, შეიწყალე იოსებ სულითა, ამინ“ (84r).

2. „გარდამოიწერა ესე წიგნისაგან მარგარიტად წოდებულისა ამ საღმრთოთა სწავლათა და სიტყვათა და წმიდისა მათე მახარებელის ცხოვრებას შემდგომ ეწერა ამას ფრიად უძველესთა ჟამთა შინა აღწერილსა წიგნისა ბოლოს ესე შემდგომნი აღმწერელისაგან წიგნისა მის“.

მოწყალებითა ღ~თისა, მამისა ყოვლისა მპყრობელისაჲთა, შეწევნითა საყუარელისა ძისა მისისა მხოლოდშობილისა იესუ ქრისტესითა, მადლითა ცხოველსმყოფელისა ყოვლად წმიდისა სახიერისა სულისაჲთა.

ამის წმიდისა სამებისა ერთ-არსებისა, გუამოვნებით შეურევნელისა და ერთ ღ~თაებით განუყოფელისა ნებითა და ბრძანებითა. მეოხებითა ყოვლად წმიდისა და დიდებულისა, უმეტეს კურთხეულისა ღ~ისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა საუფლოჲსა ჯუარისაჲთა, მადლითა წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა, ვედრებითა წმიდათა მთავარანგელოზთათა და ანგელოზთა და ყოველთა ზეცისა განწყობილთა დასთა მღუძარეთა ძალთათა, მეოხებითა წმიდისა და დიდებულისა დიდისა ღ~ისმეტყველისა და მახარებელისა იოანესითა, ოხითა და ვედრებითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა დიდებულთაჲთა მოციქულთაჲთა, მეოხებითა წმიდათა მღუდელ-მოძღუართაჲთა და სანატრელთა მამათაჲთა, მეოხებითა კეთილად მძლეთა წმიდათა მოწამეთა და ყოველთა წმიდათა მისთათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღ~თსა.

ღირს-მყო ღმერთმან გლახაკი ესე და ფრიად ცოდჳლი და ყოველთა მოწყესეთა უნარჩევეჲსი და არამსგავსად ცოდვათა ჩემთა შეწყალებული დანიელ და დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი უცხოებასა და მწირობით სიგლახაკესა შინა ჩემსა პალესტინისსა სანახებთა, წმიდასა აღდგომისათა მონასტერსა წმიდისა სამოელ წინასწარმეტყუელისასა. სალოცველად და მოსახსენებელად სულისა ჩემისა, მშობელთა ჩემთასა, ყოველთა გარდაცვალებულთა ჩემთასა, ძმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და მოძღუართასა. უ~ნ სასყიდელი მიეცინ ყოველთა მოღუაწეთა და მუშაკთა, და შევწირე წმიდასა წინასწარმეტყველსა სამოელს მამობასა იოვანე უხამურისასა. ვინცა გამოხუას წმიდასა სამოელს, ჰრისხავსმცა მამაჲ, ძე, და სული წმიდა, და წმიდა სამოელ, და ყოველნი წმიდანი, და იუდას თანა და ორიგინეს თანამცა არს ნაწილი მისი, და შე-მცა-ჩუენებულ არს მათ თანა. ამინ. დაიჩხრიკა ჴელითა იოსებ შავისა ლოცვით“ (84r—85v).

3. „(ბოლოს ეს ეწერა ფურცელზე) რჲლისა(!). ღმერთო და წმიდაო მათე მახარებელო, შეიწყალე გლახაკი ბერი ბესარიონ ქიოტაშვილი, აწ ვინცა ბძანოთ, თქ~ნცა შს~თ ღმერთმან, ქ~ს ჩყდ“ (84r).

(1407) **3649**

უბნობანი მართლმადიდებლობისათჳს. 1816

68 ფ.; 20×16; ქაღალდი მოლურჯო ფერის; მუყაოს ყდა: მხედრული; 1816.IV.2 (66v); დაუწერელია: 67r—68v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 26.

„უბნობანი შორის გამომცდელისა და დარწმუნებულისა მართლმადიდებლობისათჳს ქრისტეანებრისა. — გ. მე ვეძიებ ჭეშმარიტებასა. მე მსურის ყოფად ჭეშმარიტსა ქრისტეანებრსა ეკკლესიასა. მე მსურის მიმთხუჭვაჲ ცხოვრებისადმი. დ. უკეთუ სურვილნი ესე წრფელ არიან, მაშინ თჳთ უფალი მოგიგებს შენ: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება...“ 3r—66v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ითარგმნა რუსულით საქართველო-იმერეთის უწმიდესის სინოდის კანტორასა შინა. აპრილის 2-ს დღესა. 1816-ს წელსა“ (66v).

2. წინ უძღვის: ა. თავფურცელი „უბნობანი შორის გამომცდელისა და დარწმუნებულისა მართლმადიდებლობისათჳს აღმოსავლეთის ბერძენთ რუსსიის ეკკლესიისა, თანა დართვითა გამონაწერისათა საზოგადოისაგან ეპისტოლისა ფოტ კონსტანტინეპოლის პატრიარხისა აღმოსავლეთის საპატრიარხოთადმი საყდართა. ნება დართვითა უწმიდესის მმართებელის სინოდისათა 1815-ს წელსა“ (1r).

ბ. „წინასწარუწყება. სული ჭეშმარიტისა ქ~ეანებრისა მომთმინებისა და მშვიდობის მოყუარებისა, მადლითა ღ~ისათა დაცვული რუსსიის ეკკლესიასა შინა, აწარმოებს მას, რომელ ჩვეულებრივითა შინა და ზოგად ერობითა მოძღურებათა საგანნი, მიმოქცეულნი პაექრობასა შინა შორის აღმოსავლეთის ეკკლესიისა და სხუათა ქრისტიანებრთა სარწმუნოებისა აღსარებათა, არა ესოდენ მეცადინობით განიმარტებიან...“ 2r-v).

(1408) **3650**

გაბრიელ მცირე, ოქროს წყარო. 1795

198 ფ.; 14,5×10; ქაღალდი; მუყაოს კოლენკორგადაკრული ყდა; მხედრული; სათაურები მთავრულად ოქრომელნით და სინგურით; გადამწერი გაბრიელ მცირე. დაუწერელია 2r. ალ. ცაგარლის კატალოგით № 27.

[გაბრიელ მცირე], „წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინუპოლელ პატრიარხისა, თქმულთაგან ღუთივ-შუჵ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროს წყაროჲ. სწავლა I. წმიდათ წერილთა ჴელად მილებისათჳს. — საყვარელო, იკითხვიდე-რა სამღთოთა სიტყუათა, პირუმლად ევედრე ღმერთსა...“ 3r—193v.

შენიშვნები: 1. „ოქროს წყარო“ შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ. აკადემიკოს კ. კეკელიძეს ეს ხელნაწერი მიაჩნია გაბრიელ მცირის ავტოგრაფად (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I[2], 1941, გვ. 364—369).

2. ხელნაწერს უძღვის: იოანე ოქროპირის სურათი, რომელსაც გარშემო სინგურით, მთავრულად მიწერილი აქვს: „წმიდაო მამაო იოანე ოქროპირო! ოქროსა პირით შენით ოქროსა წყაროჲსა აღმომდინარეო. ოქროვანითა სიტყვთა შენითა მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა მეფის ძეს ფარნავაზს“ (2v).

3. ხელნაწერს ერთვის: ა. „შესხმა და ვედრება წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა“ (194r).

ბ. „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების ოქროს წყაროჲ“ (194v—195v).

გ. „ბეჭედი ოქროს-წყაროჲსა“ (195v).

4. იოანე ოქროპირის „ოქროს წყარო“ გამოცემულია პ. კარბელაშვილის წინასიტყვაობით, თბ., 1905.

ანდერძები: 1. „გვირგვინისათვის სიყვარულითა დავშვერ
კაცმან ღ~ისამან ღ~ისმსახურისა თანა,
პორფირი შემწედ ვიგულსმოდგინე ესე.
ოქროს წყაროჲ იმრთმელე, მეფის ძეო.
ფარნავაზს გიძღვნი გლახაკი მონა შენი“ (1v).

2. „ძეო ღთისაო იესო, ადიდე ძე მეფისა ფარნავაზ“ (1r).

3. „მეუფეო მეუფეთაო და უფალო უფლებათაო, ყოველთა კეთილთა მიზეზო ღმერთო, ლოცვითა სათნოსა შენისა იოანე ოქროპირისათა ადიდე და განაბრწყინვე სულით და ჴორცით მეფის ძე ფარნავაზ, რომლისათვისცა აღიწერა სულთა მაცხოვნებელი ესე წიგნი ფრიადის ტრფიალებითა ტკბილსიტყუვაობისათვის ოქროპირისა, რომლისათვის წერილ არს, ვითარმედ უმჯობეს არს. რათა მოაკლდეს მზესა ნათელი თჳსი, ვიდრე ოქროპირისა სწავლათა დადუმებაჲ. ყოვლადის სურვილით მწერალი მრავალმთის უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა ნათლისმცემლისასა. წელსა განჴორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა **ჩღჟე**, თუმსა აგვისტოსა, რიცხუსა **ე**. ლოცვასა ვითხოვ. 1795.6.5“ (196r-v).

4. „წყაროო ცხოვრებისა და უკუდავებისაო ქრისტე, წყაროდ წყალობისა და სუმტად ნათლისად გამოაჩინე ფარნავაზ და მრავალჟამ ჰყვენ წელნი ცხოვრებისა მისისანი, რომელიცა დღეს ბრძანდება ოცის წლისა, ხუთის თვისა და ცხრამეტის დღისა. და შემდგომად ამისა მზეებრ ბრწყინვალებითა ადიდე მადიდებელი ყოვლად წმიდისა სახელისა შენისა (აქ კაცის თავის გამოსახულებაა). ესე იყავნ ბეჭედი წიგნისა ამის“ (197r).

მინაწერები: 1. „ნათელმსხივე პი იოანე მზიებ,
სოფლის ბრწყიები, ეკლესიის მთიები,
მარად მგიები, სვეტი შეურყიები,
მგელთა მრიები, ქრისტეს ცხოვრთ მწყსიები,
დიდ შემძლიები პირ, ოქრო პირს მთქმიები.
რად უხამს ოდენ უქო მეფის ძეობა,
ფარნავაზს თვის აივნ კეთილსამოთხეობა,
გონების სივრცე, გულუხვს პირუთნეობა,
კაცთმოყვარება, მდაბალ მშვილსა მჴნეობა,
სქესსა მეტობენ ყოვლად მისი ზნეობა.
წიგთ წაგიხდინე[...]“ (1v).

2. კრიპტოგრამა (196r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1409) **3651**

თეიმურაზ ბატონიშვილი, აღწერა იერუსალემის ქართუწლთა მონასტერთა. XIX

76 გვ.; 17×10,5; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული: ავტოგრაფი თეიმურაზ ბატონიშვილისა (30 გვ.); [XIX ს.]; დაუწერელია: 55—64, 66—72, 74—76 გვ. ალ. ცაგარლის კატალოგით № 28.

«თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. აღწერა იერუსალემის ქართუწლთა მონასტერთა». — „მაღალ ყოვლად სამღვდელო ტიმოთე [მთავარეპისკოპოსი] მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი სწერს თჳსსა შინა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვასა, თუ სადა არიან წმიდანი მონასტერნი ქართველთა მეფეთა მთავართა და თავადთაგან აღშენებულნი...“ 1—54 გვ.

შენიშვნა: თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ამ თხზულების მთელი ფაქტიური მასალა ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს „მიმოსლვის“ თავისუფალ გადმოცემას წარმოადგენს (იხ. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, XI—XVII სს., 1962, გვ. 61).

(1410) **3652**

იოანე დამასკელი, დიალექტიკა. 1762

108 გვ.; 16,5×11; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; გადამწერი: დავით დიაკვანი, 1762 წ. (103 გვ.); დაუწერელია: 108 გვ.; ალ. ცაგარლის კატალოგით № 29.

[ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი, დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა]. „მყოფისათვის, არსებისა და შემთხვევითისა. — ა. მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა. ესე უკუე მყოფი განიკვეთების არსებისა მიმართ და შემთხვევითისა. არსება უკუე არს საქმე თავით თვისით მყოფი...“ 1—102 გვ.

თ ა ვ დ ე ბ ა: „...და ვითარცა ცხენისაგან და ვირისა კერძო ვირი, რამეთუ არცა ცხენი, არცა ვირი არს, ანუ იწოდების, არამედ სხუათაგან სხვაჲ. არა რომლისა მათგანისა, რომელთაგან შეიზავა დამცველი, შეურევნელად და უქცეველად“.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს მიმართვა მაჲუმელ მამასა წმინდასა კ ო ზ მ ა ს, ეპისკოპოზს მაჲუამისასა(!) ი ო ა ნ ე უ ნ დ ო ჲ.— მამასა წმინდასა კ ო ზ მ ა ს, ეპისკოპოზს მაჲუამისასა(!) ი ო ა ნ ე უ ნ დ ო ჲ.— იწროებასა ვიდრემე გონებისასა და ულონოებასა ენისა ჩემისასა მეცნიერსა...“ 1—6 გვ.

2. დიალექტიკის ტექსტი **მთ** [49] თავისაგან შედგება.

3. ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ეს თხზულება ა რ ს ე ნ ი ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი ს თარგმანს წარმოადგენს. მისი ტექსტი ემთხვევა H ფონდის № 97 ხელნაწერის (12r—45v) ტექსტს, რომელიც ს. გ ო რ გ ა ძ ი ს მიერ არსენი ვ ა ჩ ე ს ძ ი ს თარგმნილ ნუსხათა შორის არის აღნიშნული (იხ. „მიმომხილველი“, I, ტფილისი, 1926, გვ. 178).

4. ხელნაწერს აქვს სხვა ხელით გაკეთებული შენიშვნები: 6, 19, 20, 24, 26, 25, 30, 31, 34, 35, 40, 44, 49, 63, 64, 65, 66, 74, 78, 79, 82 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ტექსტს ერთვის: ა. გვამის განმარტება (103—104 გვ.); ბ. ან[illegible]ბანი (104 გვ.); გ. ძნელოვან სიტყვათა განმარტება (105 გვ.); დ. სენტენციები (106 გვ.); ე. „პანარეტოსის“ განმარტება (107 გვ.); ვ. განმარტება არსებითისა და შესმენის (107 გვ.).

ანდერძი: „განსრულდა აღწერილი ესე თვესა მარტსა ხუთსა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უნ, ჴელითა დავით დიაკვნისა მიერ. მჴილველთ მიბძანეთ შენდობა, ვისაც რომ გული გენდობათ. კრება ჰყავთ განკიდებულთა, მით მოიგევით ერთობა და სამება გუამით ყოფილი, ჩვენ გუწამდეს ერთი ღმერთობა“ (103 გვ.).

(1411) **3653**

ანტონ I, მზამეტყველება. 1822

245 ფ.; 37,5×23,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით; გადამწერი: იოელ ალექსეევი (243r); 1822 წ. (243r); ტფილისი (243r); დაუწერელია: 1r-v, 21v, 71v, 243v—245v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 30.

„წიგნი, რომელსა ეწოდების მზამეტყუჱლება ანტონის მიერ საქართუჱლოსა კათოლიკოსისა ნისტორიანთა ბოროტისა წუალებისა დასარღუჱველად. წიგნი 1. — ნანდვილ ქადაგთა მათ ჭეშმარიტებისათა სამღუდელოთა მწყემსთა კმასაყოფელ არს საღმრთოთა განგებულებისა საიდუმლოთა ქადაგება...“ 22r—243r.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის: ა. „წინასიტყუა წიგნისა მზამეტყუჱლებისა, რომლითაცა გამომთქმელი ძლუნის მრთმელობს წიგნსა ამას ყრმათაღმი აღმოსავლისა წმიდისა ეკკლესიისათა. — არა მრავლისა წლისანი ბრძენნი, არცა მოხუცებულთა უწყიან სასჯელი, იტყვის იობ...“ (2r—6r).

ბ. „ზანდუკი...“ (6r—21r).

2. ხელნაწერის ტექსტი მისდევს გამოქვეყნებულ ტექსტს (იხ. „მზამეტყველება, ქმნილი ანტონი I, საქართველოს კათოლიკოზისაგან“, 1892, ტფილისი).

ანდერძი: „უძღუნი ქებასა დიდსა გამომთქმელსა ამის წიგნისასა, მამათ-მთავარსა ქართუჱლთასა ანტონის, ყოვლად ბრძენსა, ჭეშმრიტებისა მეტყუჱლსა, მამხილებელსა მწუალებელთასა და მოღუაწესა ქრისტეს ჭეშმარიტისა სარწმუნოებისასა, რამეთუ აღუწერიეს წიგნი ესე სარწმუნოებისა სასარგებლოდ ჩუჱნდა, რომლისა ჴხსენება იყავნ საუკუნოდ, ამინ. ნამდვილიდამ გარდმოვსწერე იოელ ალექსეევი. წელსა 1822-სა ტფილისსა“ (243r).

(1412) **3654**

ანტონი I, კატეხიზმო. XIX

120 ფ.; 16×10; ქაღალდი; უყდო ნაკლული; მხედრული, სათაურები მთავრულით, სინგურით; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1818 წ. ალ. ცაგარლის კატალოგით № 31.

„წიგნი კატეხიზმოს ანუ მოწოდება, რომელიცა თანა-აცს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა ალსარებად და შეწყნარებად, რომელსა შორის სიმოვლონ(!) აღიხსნების 123 შინა კითხვა-მიგებითა. —

1. კითხუა: რაჲ არს სათანადო ქრისტეანისა მიმართ, რათა ჰრწმენეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მ ი გ ე ბ ა: სიმვოლონ, რომელი არს ათორმეტი ტაეპი, ქმნილი მეორე-საგან მსოფლიოჲსა კრებისა...“ 3r—120v.

წ ყ დ ე ბ ა: [111. მ ი გ ე ბ ა...] „და ესე ცხად არს უკუჱ. — საქმისაგანცა არცა ერთისა ულმრთოჲსა შემძლებელ ვართ თქმად სასუფეველსა შინა მყო-ფად...“.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის: ა. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყო-ფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა — მამისა და ძისა და სულისა წმიდისა — ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოისა საქართველოისა და-ვითიან-ბაგრატოვანისა წიგნი კ ა ტ ე ხ ი ზ მ ო ს, რომელ არს მოწოდება თჳსთა მოწაფეთა ჭეშმარიტისა მიმართ სარწმუნოებისა და საქმისა, რომელიცა სათანა-დოსა ქრისტეანთასა აღმოჩინებითითა ღმრთისმეტყუჱლებითა და ფილოსობითი-თა იპყრობს თჳს შორის კითხუა-მიგებითად. დროსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ი რ ა კ ლ ი მეორისა და მეფისა ყოვლისა საქართველოჲსასა და მა-მადმთავრობისა თჳსისა ყოვლისა ზედა ქართუჱლთა. წელსა დასაბამითგან სოფ-ლისა 7175, განჴორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა 1767, თუჱსა მეხუთესა, რი-ცხუსა 20“ (1r-v).

ბ. „შეყვანილება ანუ წინასიტყუაობა წიგნისა კ ა ტ ე ხ ი ზ მ ო ს ი ს ა. —
არ მომწყინდების თქუჱნთანა საუბარი,
ჵი ქართველნო, სიბრძნის შემყუარებელნო,
აღტეხილება მაქუს ნიჭად თქუჱნდა მომართ,
შრომად, უბნობად, წერად, მეშაირობად,
ამად, ვითარმედ მიყუართ ჭეშმარიტებით.
ნამდჳლი ჭეშმარიტთ ზესთა მყო ისმენს ამას,
ვითარმედ თქუენთჳს შერჩუჱნებული ვჰყო თავი.
არარად მგამისა, არად შემირაცხიეს
არცა თქუჱნთანა სიკუდილი, არცა ტანჯუა.
ვჰშურები სურვილით, არ დავსცხრე, ვირე ვიყო,
ვჰქმენ კატეხიზმოს სარგებლად თქუჱნდა, ძმანო,
ჩემთ თან ნერგულთად შვილთა თქუჱნთა ძმათადმი
მიმწოდებელმან სათანადოჲსადმი,
ქრისტეანეთად კეთილ-მსახურ-მცხოვრებთა
მიირთუთ, სარგებელ ჰყავთ თქუჱნ ჩემთჳს ლოცვაი,
ეს აღჰჴსნის ტაეპთ სიმვოლისათ ათ-ორთა,
ღ~ისმეტყუჱლურად აღმოაჩინებს იმათ,
ხოლო სხუათაცა საღმრთოთა საიდუმლოთ
ეგ სახედ მათსა ჰყოფს აღმოჩინებასა
ფილოსოფოსებრ, ყოვლად დაურღვეველად.
რაცა საჭიროდ თანა გუამს ქრისტეანეთ,
რაჲ რაც მივჰსწუჱთ, არარა დაუტევე
დაუდებელად კატეხიზმოსსა შინა
თეორეტიკა ანუ საპრაკტიკოი
ღვთისმეტყუჱლება, ამისთჳს ვჰშვერ უცებნი“ (2r-v).

(1413) **3655**

ლოცვანი. 1810

13 ფ.; 16,5×10; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; 1810.III.28 (11v); დაუწერელია: 1r, 12r—13v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 32.

„სჳნიდისისა წერტისაგან ლ ო ც ვ ა, მამაო ჩვენო, თქმული მდაბიოდ უღირსის ხუცისა ს ი ო ნ ი ს იკონომოს დ ე კ ა ნ ო ს ი ს ა ი ო ა ნ ე ს მიერ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიცა ითქუა თხოვითა უგანათლებულესისა მეფის ძის ვახტანგისათა. — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ 2r—11v.

მინაწერები: 1. „მის უგანათლებულესობას მეფის ჰსძალს ელენა ოთარ ამილახვარის ასულს, უმოწყალესს ჴელმწიფეს, სადიდებელად მღუთისა ერთისა სამწმინდაობასა შინა დიდებულისა და სახსოვრად ძმად ღირს ქმნილისა ვისმე და მორჩილ-მოსამსა(!) ეძლვნა სიმდაბლით. თ. ბ. ო.“ (v).

2. „აღწერილ იქმნა შრომითა თ. ბ. თ. 1810 წელს, მარტს 28 დღესა, გორს“ (11v).

(1414) **3656**

კრებული. 1809

284 ფ.; 31,5×20; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები მთავრულით, სინგურით; 1809 წ. IX.2 (67v); დაუწერელია: 68r—71r, 73r, 75v—76v, 108v, 160r—161r, 166v—168v; 173r—174r, 176r—178r, 180r—181v, 186r—187v, 259v, 276r-v, 281r—284v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 33.

1. [თეოფილაკტე ბულღარელი], „იოანე ფილოსოფოსმან ჰიმჰიმელმან ელადელთა ჴმისაგან სპანთ მოსახელე ჴმაჲ გარდამოიღო განმარტებაჲ წმიდისა ევანღელიისა. სახარება მარკოზისი. თავი პირუჱლი. — დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტესი, ძისა ღმრთისა, ვითა წერილ არს წინასწარმეტყუჱლთა შინა...“ 1r—67v.

შენიშვნები: 1. მარკოზის სახარების თარგმანების ავტორია თეოფილაკტე ბულღარელი (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 61).

2. ტექსტის ბოლოს ნუსხურით მიწერილია: „იყავნ სადიდებელად შენდა, ქრისტე, სიტყუაო მამისაო. სრულყოფა სიტყუათა განმარტებითთა წმიდისა მახარებლისა მარკოსისთა. სეკდემბრის **ბ** დღესა, **ჩყთ** წელსა“.

2. [სამოციქულოს თარგმანება], „გამოუხდა წილი მატათას და თანა აღირაცხა ათერთმეტთა მათ მოციქულთა...“ (72r—280v).

შენიშვნები: 1. სამოციქულოს თარგმანება შეიცავს: **ა.** საქმე მოციქულთა (72r—166r) და **ბ.** პავლე მოციქულის ეპისტოლეთა თარგმანებას.

2. ტექსტი შიგადაშიგ ნაკლულია და გამოტოვებულია ფურცლები შესავსებად.

(1415) **3657**

ანტონი I, ღვთისმეტყველება სამნაწილედი, ტომი I. 1779—1780

215 ფ.; 34×20; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; მხედრული, სათაურები მთავრულით; გადამწერი ტრიფილე (213r); [1779—1780]; დაუწერელია: 1r—2v, 3v, 17rv, 71v, 144v, 213v—215v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 34.

„დოღმატიკა ღვთისმეტყუჱლებისა, ნაწილი პირველი. ოჳს ერთობითისა ღვთისმეტყუჱლებისა. თავი **ა.** ვითარმედ არს ღმერთი § 1. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაჲთგან კადნიერებაჲ განგრძელებული სულსა შინა უგლიმობა არს, ვ... რომელიმე წინაალმდგომთაგანი სულისა წმიდისა...“ 18r—187v.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის: ა. თავფურცელი: „ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ დავითიან-ბაგრატოვანისა, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა. გ ა ნ ჰ ს ჯ ა საკუთრად თჳს ერთობითისა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ ე ბ ი ს ა სამნაწილთანი. დ ო ღ მ ა ტ ი კ ა ღვთისმეტყუჱლებისა, ტომი პირუჱლი ღვთისმეტყუჱლებისაებრ სხოლასტიკაჲსა“ (3r).

ბ. „ზ ო გ ა დ დ ა დ გ ი ნ ე ბ ა ნ ი. დ ო ღ მ ა ტ ი კ ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ ე ბ ი ს ა ნ ი. წინასიტყუაობა ღვთისმეტყუჱლებისა ამის და ნაწილთა მისთა. ხოლო პირველადი, თუ რაჲმესა გულისხმა-ვჰყოფთ ლექსისა ამის მიერ ღვთისმეტყუჱლება. თავი ა. ვითარმედ, თუ რაოდენიმე არს ღვთისმეტეყუჱლებისა განყოფილებაჲ. § 1. — ჩუჱნ უკუჱ მოცალეთა დროსა ამას შინა სხუათა საქმეთაგან და მხოლოდ განმჰსჯელთა ოდენ ღვთისმეტყუჱლებისათა თანაგუაძს ჩუჱნებად მოწაფეთადმი...“ (4r—16v).

2. ერთვის: ა. „პინაქსსიტყუაობა...“ (188r—189v). ბ. „პინაქსსიტყუაობა პირველისა ტომისა წიგნისა ღვთისმეტყუჱლებითისა სამნაწილედისა ალფავიტასა ზედა...“ (190r—213r).

3. ეს ხელნაწერი არის „ღვთისმეტყველება სამნაწილედის“ I ტომი. იგი შეიცავს დოგმატიკურ ღვთისმეტყველებას და სამი ნაწილისაგან შედგება: ა. ერთობითი ღვთისმეტყველება, ბ. სამწმიდაობითი ღვთისმეტყველება და გ. ზედდადგინებანი საქმეთა ღვთისათა (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I^2, 1941 წ., გვ. 344).

4. ხელნაწერი დაწერილია 1779—1780 წწ. (შდრ. S—3680).

ანდერძი: „აღიწერა ფრიად უუნდოესისა ტ რ ი ფ ი ლ ე ს ა გ ა ნ მღუდელმონაზონისა“ (213r).

(1416) **3658**

ანტონი I, ღვთისმეტყველება სამნაწილედი, ტომი II. 1779—1780

212 ფ.; 33,5×20; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები მთავრულით; გადამწერი: ტრიფილე; [1779—1780 წწ.]; დაუწერელია 1r-v, 7v, 62v, 188v, 212rv; ალ. ცაგარლის კატალოგით № 35.

„თ ე ო ლ ო ღ ი ა-მ ი ს ტ ი კ ა ანუ ს ა ი დ უ მ ლ ო ღ~ ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ ე ბ ი ს ა. ნაწილი პირუჱლი. თჳს უხილავთა არსთა. თავი ა. ვითარმედ სული უკუდავად, გულისხმიერად და მნებებელად დაიბადა ღ~ისაგან. § 1. ტრაქტატი. — შემეწიე მე, სულო ყოვლად წმიდაო, ღმერთო. ჩუჱნ, მოსრულნი წულილისა მიმართ ღ~ისმეტყუჱლებითისა საიდუმლოჲსა, შევეხნეთ ძრწოლით და შიშით განჰსჯად და გამოჩინებად საქმესა ამას წინამდებარესა...“ 8r—185v.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის: ა. თავფურცელი: „ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ დავითიან-ბაგრატოვანისა, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა. გ ა ნ ჰ ს ჯ ა საკუთრად თჳს თეოლოღიისა მისტიკაჲსა ანუ ღ~ისმეტყუჱლებისა სასაიდუმლოჲსა სამნაწილოვანი. ღ~ისმეტყუჱლებისა მისტიკაჲსა, ტომი მეორე. ღი~სმეტყუჱლებისაებრ სხოლასტიკაჲსა“ (2r).

ბ. „ზ ე დ-დ ა დ გ ი ნ ე ბ ა ანუ წ ი ნ ა ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა გარეშემცუჱლი მეორისა ტომისა ღ~ისმეტეყუჱლებითისა, ესე იგი თეოლოღიისა მისტიკაჲსა, ანუ ღ~ისმეტყუჱლებისა საიდუმლოჲსა, თავი ა. უწყება პირველისათჳს და სხუათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილთა. მისტიკა ღვთისმეტყუჱლებისათა. § I. — ცნობილ არს ესე და აღსარე-ბულ გამოცდილთაგან მეტაფისიკასა შინა, ნამდჳლ ჭეშმარიტსა და საჭმარსა, ვი-თარმედ განუსაზღურებელი განუსაზღვრებელისადმი უჭმარობს შედრგინებად...“ (3r—7r).

2. ტექსტს ერთვის: ა. „პინაქსსიტყუაობა თავთა მეორისა ტომისა, ესე იგი მისტიკა ღვთისმეტყუჱლებისა სამთავე ნაწილთა...“ (186r—188r).

ბ. „პ ი ნ ა ქ ს ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა მეორისა ტომისა, წიგნისა მისტიკა ღვთისმეტ-ყუჱლებითისა სამნაწილედისა ალფავიტასა ზედა...“ (189r—211v).

3. ღვთისმეტყუელების II ტომი ისევე, როგორც I, III და IV ტომი, გადა-წერილია 1779—1780 წწ. ტ რ ი ფ ი ლ ე ს მიერ (შდრ. S—3657, 3660).

4. ხელნაწერი წარმოადგენს „ღვთისმეტყველება სამნაწილედის“ II ტომს. იგი შეიცავს მისტიკურს ან საიდუმლო ღვთისმეტყველებას და ისიც სამი ნაწი-ლისაგან შედგება: ა. უხილავთა არსთათჳს. ბ. ეკლესია და მისი საიდუმლონი და გ. „მოცემულთათჳს“, ესე იგი გარდამოცემა (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლი-ტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 344).

(1417) **3659**

ანტონი I, ღვთისმეტყუელება სამნაწილედი, ტ. III. 1779—1780

167 ფ.; 34×20; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; მხედრული; სათაურე-ბი მთავრულით; გადამწერი ტრიფილე; [1779-80 წწ.]; შდრ. S 3660; დაუწერელია: 1rv, 2v, 143v, 165v—167v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 36.

„ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ი თ ი ს ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ ე ბ ი ს ა ნაწილი პირუ-ჱლი, რომელ არს თეოლოღია, პრაკტიკა საზოგადოდ. თავი ა. თჳს კაცობრივ-თა საქმეთა. § 1. ტრაქტატი. შემეწიე მე სულო, ყოვლად წმიდაო ღმერთო. — ჰსთქუა მოციქულმან მეტყუჱლმან, ვითარმედ არა საქმეთაგან ჰსჯულისათა განმართლდების კაცი, არამედ სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა...“ 7r—143r.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის: ა. თავფურცელი: „ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ დავი-თიან-ბაგრატოვანისა, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, გ ა ნ ჰ ს ჯ ა საკუთრად თჳს სათნოებითისა ღვთისმეტყუჱლებისა სამნაწილოვანი. ღვთისმეტყუჱლებისა ყოფაქცევითისა ტომი მესამე, ღვთისმეტყუელებისაებრ სხოლასტიკაჲსა“ (2r).

ბ. „ზედდადგინება ანუ წინასიტყუაობა მესამისა ტომისა, რომელ არს ითი-კა, თეოლოღია ანუ ღვთისმეტყუჱლება ყოფაქცევითი. ხოლო ყოფაქცევითისა ღვთისმეტყუჱლებისა ტომი პირუჱლი, რომელ არს ღვთისმეტყუჱლება სათნო-ებისათჳს. თავი ა. თეოლოღია ყოფაქცევათა მოძღურებისა, რომელი იპყრობს თჳს შორის საზოგადოსა პრაკტიკასა და ზომიერებასა და ითიკასა. § 1. — ვინა-ჲთგან სარწმუნოება თჳნიერ საქმეთა არა ცხოველ არს, თქმისაებრ ძმისა...“ (3r—6v).

2. ერთვის: ა. „პინაქსსიტყუაობა...“ (144r—145v).

ბ. „პინაქსსიტყუაობა ალფავიტასა ზედა...“ (146r—165r).

3. ღვთისმეტყუელების III ტომი, ისევე როგორც I, II და IV გადაწერი-ლია ტ რ ი ფ ი ლ ე ს მიერ 1779—1780 წწ. (შდრ. S 3660).

4. ხელნაწერი წარმოადგენს „ღვთისმეტყუელება სამნაწილედის“ III ტომს. მასში შედის: ღვთისმეტყველება ყოფაქცევითი და სათნოებითი (კ. კ ე კ ე ლ ი-ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 344).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1418) **3660**

ანტონი I, ღვთისმეტყუელება სამნაწილედი. ტ. IV. 1780

120 ფ.; 34×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული სათაურები მთავრულით; გადამწერი: ტრიფილე (119r); 1780 წ. (101v); დაუწერელია: 1rv, 3v, 119v—120v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 37.

„ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ ე ბ ა ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ი თ ი, ტომი მეორე(!), ნაწილი პირუჱლი. თჳს გმობისა სულისა წმიდისა, თავი ა. ვითარმედ ცოდუა სულისა წმიდისა მიმართ ჰსდგას არმიტევებადსა შინა და ვითარმედ სული წმიდა არს მიზეზ მაცხოვარებისა ჩუჱნისა. § 1. — არიან ცოდუანი მოძლურებისაებრ უფლისა მიუტევებელად მდგომარენი...“ 7r—101v.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის: ა. თავფურცელი: „ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ დავითიან-ბაგრატოვანისა, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, აღმოღებული ჰაზრთაგან როსსიისა ღვთისმეტყუჱლთასა თჳს უთნოებითისა ღვთისმეტყუჱლებისა, სამნაწილოანი ღვთისმეტყუჱლებისა ყოფაქცევითისა. ტომი მეოთხე. ღვთისმეტყუელებისაებრ სხოლასტიკაჲსა“ (3r).

ბ. „ზ ე დ დ ა დ გ ი ნ ე ბ ა ანუ წინასიტყუაობა ყოვლისა ღვთისმეტყუჱლებისა ჩუჱნისა, მეოთხისა ტომისა. ხოლო თეოლოღია ყოფაქცევითისა, ტომისა მეორისა, რომელ არს ღვთისმეტყუჱლება უთნოებითი. თავი ა. ჩუჱნება შეყუანილებითი მოკლეთა შინა ყოვლადისა ღვთისმეტყუჱლებითისა წინამდებარისა ტომისა. § 1. — ვინაჲთგან ბუნება ღვთისმეტყუჱლებისა, ვითარ იგი ფილოსოფიისა, ჰსდგას თეორეტიკასა შინა...“ (4r—6v).

2. ტექსტს ერთვის: ა. „პ ი ნ ა ქ ს ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა...“ (102r—103v).

ბ. „პ ი ნ ა ქ ს ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა მეოთხისა ტომისა წიგნისა — ყოფაქცევითისა ღვთისმეტყუჱლებისა სამნაწილედისა — ალფავიტასა ზედა, ქმნილი გ ა ი ო ს ი ს მიერ არხიმანდრიტისა, რეკტორისა...“ (104r—119r).

3. ხელნაწერი წარმოადგენს „ღვთისმეტყველება სამნაწილედის“ IV ტომს. მასში შედის: „ღვთისმეტყველება ყოფაქცევითი უთნოებითი“, რომელიც თავის მხრივ შეიცავს: **ა.** გამოსლვისათჳს სულისა წმიდისა, **ბ.** განმართლებისათჳს შეცოდებულისა კაცისა იესო ქრისტეს მიერ და **გ.** ცოდვათათჳს სასიკუდინეთა და მოსატევებელთა (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, გვ. 344).

ანდერძები: 1. „სრულებით სრულ იქმნა მარტს 12, წელსა 1780“ (101v).

2. „აღწერილი ყოვლად უუნდოესისა ტ რ ი ფ ი ლ ე ს გ ა ნ, მღუდელმონაზონისა. სრულებით სრულ იქმნა ნოემბერს 26, წელსა 1780. ვიწყე სეკდემბერს 20, 1779“ (119r).

(1419) **3661**

კრებული. XVIII—XIX

217 ფ.; 28,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII—XIX სს.]; დაუწერელია: 28v—30v, 217v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 38.

1. „წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა დიდისა ვ ა ს ი ლ ი ს ი მ ა რ ხ ვ ი ს ა თ ჳ ს. მ. გ. — დაჰბერეთ ნესტვსა ახალსა, თავსა თთვეთასა დღესასწაულსა უქმნელებისა თქუჱნისასა, ბრძანებაჲ არს ესე წინასწარმეტყველისა...“ 1r—4r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: თარგმნილია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 18).

2. „მ ა რ ხ ვ ი ს ა თ ვ ი ს ვ ე. თავი მეორე, თქმული მისივე ვ ა ს ი ლ ი ს ი. — ნუგეშინის სცემდით მღუდელნი ერსა...“ 5r—7v.

შენიშვნა: თარგმნილია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18.

3. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ ა შ ე ს ხ მ ა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუჱნისა დიდისა ვ ა ს ი ლ ი ს ი, კესარია კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისა. აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩუჱნმან გ რ ი გ ო ლ ი ღ უ თ ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ მ ა ნ. — ფრიად მაიძულებდა ჩუჱნ დიდი და ღმერთშემოსილი ვასილი აღწერად სიტყუათა სწავლისათა...“ 7v—24v.

შენიშვნა: თარგმნილია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 31. ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 592).

4. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა გ რ ი გ ო ლ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა ნ ო ს ე ლ ი ს ა. შესხმა წმიდისა დ ი დ ი ს ა ვ ა ს ი ლ ი ს ა თ ჳ ს, ძმისა თვისისა. — კეთილი წესიერებაჲ დადვა ღმერთმან ჩუენთა ამათ დღესასწაულთა ზედა...“ 24v—28r.

შენიშვნა: თარგმნილია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 26).

5. „ნოემბერსა იზ. ც ხ ო ვ რ ე ბ ა და მ ო ქ ა ლ ა ქ ო ბ ა ჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა გ რ ი გ ო ლ ი ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ თ მ ო ქ მ ე დ ი ს ა. აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს ა.— ერთი უკუჱ არს სახე ჩუენისაცა ამის სიტყუისა და აწ ქმნილისა ამის შესაკრებელისა, რამეთუ დიდი გრიგოლი წინამდებარე არს მიზეზად თქუჱნისა შემოკრებისა...“ 31r—43r.

შენიშვნა: ტექსტი მეტაფრასული რედაქციისაა (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 27).

6. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გ რ ი გ ო ლ ი ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ ი ს ა ნ ა თ ლ ი ს ღ ე ბ ი ს ა თ ჳ ს, რამეთუ იკითხვის ხვალისა დღე განცხადებისა. — გუშინ ბრწყინვალესა მას ნათლისღებისა დღესა აღვასრულეთ კრებაჲ...“ 43v--54r.

შენიშვნა: თარგმნილია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 31).

7. „თქმული ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი სიტყუისა მისთუის მოსე წინასწარმეტყუჱლისა, რომელსა იტყუის, ვითარმედ: ეკრძალე თავსა შენსა.—ძალი სიტყუისა ქმარებისა მოგუცა ჩუჱნ დამბადებელმან ჩუჱნმან ღმერთმან, რათა ზრახვათა გულისათა ურთიერთარს გამოუცხადებდეთ...“ 54r—57v.

შენიშვნა: თარგმნილია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 17—18).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი სიმ-დაბლისათვის. — აჰა ესერა გესმნეს სიტყუანი იგი მოციქულისანი, ვითარ ეტყოდა თესალონიკელთა და სჯულსა მიჰსცემდა ყოვლისავე ცხოვრებისა მათისათვის...“ 57v—61r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

9. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი ივლიტა მოწა-მისათვის და ნაკლულევანებისათვის პირველ თქმულისა მის თავისა და მადლობისათვისვე. გ. მ. — კრება ესე ეკკლესიისა არს ქადაგებისა მისთვის...“ 61r—65r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

10. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთა. გ. მ. — მრავალ არიან სახენი იგი სწავლისანი...“ 65v—70r.

შენიშვნა: თარგმნილია ექთვიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 17—18).

11. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი მრისხანეთა-თვის, გ. მ.—ვითარცა სწავლანი იგი მკურნალთანი რაჟამს კეთილად და ჴე-ლოვნებით იქმნებოდინ...“ 70r—73v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

12. „თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისი შური-სათვის მ. გ. — სახიერ არს ღმერთი...“ 73v—76r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

13. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა დიდისი ვასი-ლისი სიტყუისა მისთჳს ლუკას სახარებისა, რომელი იტყუის მდიდრისა მისთვის, ვითარმედ: დავარღვივნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე და ანგჰარებისათვის. — ორ კერძო არს სახე განსაცდელთა...“ 76r—79v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 19).

14. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასი-ლისი მდიდართა მიმართ მ. გ.—თქმულ არს პირველიცა სხვასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამსა ჩუჱნ მიერ ამის ჭაბუკისათჳს, რომელი აწ აღმოვიკითხეთ სახარებასა ში-
ნა...“ 79v—84r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 19).

15. „სწავლა ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ვასილი კესარიელისა, რომელი თქვა ჟამსა სიყმილისა და უწვიმროებისასა. — ლომმან იყვირნა და ვინ არა შეშინდეს...“ 84r—88r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 19).

16. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი დაწყებისათჳს სოლომონის იგავთასა. გ. მ. — კეთილ არს ნაყოფი იგი მორჩილებისა...“ 88r—94v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 19).

17. „თქმული წმიდისა ვასილისი მომთვრალეთათჳს, რომელ თქვა შემდგომად აღვსებისა დღითა ერთითა. მ. გ.—აღმძრუჱნ მე სიტყუად საქმენი იგი მწუხრისა ამის გარდასრულისანი...“ 95r—98r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 19).

18. „სწავლა წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, რომელი თქვა ლაკიზეს შინა ქალაქსა. მ. გ. — ისწრაფის მტერი ჩუჱნი...“ 98r—100v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 19).

19. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, სიმდაბლისათჳს. მ. გ.—უჴმდა კაცსა, რათამცა დადგრომილ იყო დიდებასა მას შინა...“ 100v—103r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 19).

20. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, კესარიელ მთავარეპისკოპოსისა არა შექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთჳს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა. მ. გ.—მე ვჰგონებდი, საყუარელო, ვინათგან ესრეთ მარადის საწერტელითა მით სიტყუისა ჩემისათა ვიწერტ...“ 103r—107v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 29).

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა, კესარიელ კაბადუკიელისა, წმიდისა ნათლისღებისათჳს მათდა მიმართ, რომელნი იგი გვიანად ნათელს-იღებდეს, რამეთუ წესი იყო მაშინ, რათა ოცდაათისა წლისანი ნათელს იღებდენ, ხოლო რომელნიმე ორმოც და სამოც წლადმდე არა ნათელს-იღიან. ხოლო ჩუჱნ, რომელთა მოვიღეთ წმიდა ნათლისღება სიჩჩოსა და კუალად ცოდვითა ჩუჱნითა შევაგინეთ, აწ გულისხმა ვჰყოთ ესე სინანულისათვის. მ. გ.—ბრძენი სოლომონ, რაჟამს იგი სოფლისა ამის ჟამისა საქმეთა განყოფილებასა იქმოდა...“ 107v—111v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V. გვ. 17).

22. „თქმული მისივე წმიდისა მამისა ჩვენისა ვასილისი სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა. მ. გ.—მარადის ხსენებაჲ ღვთისა კეთილ არს...“ 111v—113v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 17).

23. „მისივე წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, თქმული დაწყებისათვის იოანეს სახარებისა, ვითარმედ: პირველითგან იყო სიტყუა. მ. გ.—ყოველნივე იგი სიტყუანი ოთხთა მათ სახარებათანი უზეშთაეს არიან სხვათა მათ...“ 113v—115v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V. გვ. 17).

24. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი სულისა წმიდისათვის. მ. გ.—რომელი ნათელს იღებდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა...“ 116r—118r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 17).

25. „სწავლანი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბადუკიელისა. მ. გ. — კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი იგი ასწავებს კაცთა...“ 118r—120v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 17).

26. „თქმული წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი სინანულისათვის. მ. გ. — ძმანო, ნუუკუჱ რომელი დაეცეს, არა აღდგისა...“ 120v—121v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 17).

27. „წმიდისა მამისა ჩუენისა ვასილისი სწავლა. მ. გ. — რომელსა ჭეშმარიტად ჰსურდის ღმრთისა მიმართ და ჰზრუნვიდეს, თუ ვითარ სათნო ეყოს სასურველსა მას თვისსა...“ 121v—125v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

28. „სწავლა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ვასილისი. მ. გ.—სახარებასა შინა წერილ არს: ილოცეთ, რათა არა იყოს სივლტოლა თქუენი...“ 125v—130г.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

29. „სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა ვასილისი. მ. გ.—საყუარელნო, უკეთუ მცირესა ამას ჟამსა ცხოვრებისა ჩუენისასა უდებ ვიქმნეთ...“ 130г—131г.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

30. „სწავლა მისივე წმიდისა მამისა ჩვენისა ვასილისი. მ. გ.—რაჟამს ჰსჯდე სენაკსა შენსა, შემოიკრიბნე გონებაჲ შენი...“ 131г—132г.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

31. „ეპისტოლე წმიდისა და ღმერთშემოსილისა ვასილისი ღვთისმეტყუელისა გრიგოლის მიმართ. მ. გ. — ვიცან ეპისტოლე შენი...“ 132г—134г.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

32. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ვასილისნი სწავლანი ლოცვისათვის და სხვათა თითოსახეთა სათნოებათათვის საცხოვრებელად სულისა. მ. გ.—თქვა წმიდამან ვასილი: ლოცვა უბნობაჲ არს გონებისა ღმრთისა მიმართ...“ 134г—144г.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 18).

33. „წმიდისა მამისა ჩუენისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ კაბადუკიელისა, თარგმანება პირუელისა ფსალმუნისა. მ. გ.—ყოველივე წერილი სულისა მიერ წმიდისა თქმულ არს და სარგებელ არს სულისა...“ 144v—215v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 17). 2. ტექსტში, გარდა პირველი თარგმანებისა, შესულია: 7, 14, 28, 29, 32, 33, 59, 61, 114 და 115 ფსალმუნის თარგმანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა, ქალწულებისათვის და საღმრთოსა მოქალაქობისა. მ. გ.—პირი სიტყუისა ამის ჩუჱნისა, ❦ საყუარელნო, ესე არს...“ 215r—216r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ეტიუდები, V, გვ. 28).

35. „გამოჩინებისათვის მელქისედეკისა. — ჰშვა ასელა სალი და სალმან ჰშვა მელქინ...“ 216r—217r.

(1420) **3662**

პროკლე დიადოხოსი, კავშირნი ღვთისმეტყველებითნი. XVIII

185 ფ.; 21✕15,5; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 39.

„პროკლესი დიადოხოსისა, პლატონურისა ფილასოფოსისა კავშირნი ღუთისმეტყველებითნი. ნაკუჱთნი 211.— ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა, ხოლო უკეთუ არა ეზიაროს, არა ყოველი ერთ იქმნების და არცა თითოეული, რომელთაგან არს სიმრავლე...“ 1r—184r.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია სომხურიდან ფილიპე ყაითმაზაშვილის და მღივანბეგ იოანე ორბელიანის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, 334—35 გვ.).

(1421) **3663**

კრებული. 1810

301 ფ.; 21, 5✕17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები მთავრულით, სინგურით; გადაწერილია 1810 წ. (300v); დაუწერელია: 1v, 87v, 88v, 211v—213v, 214v, 215v, 301rv. ალ. ცაგარლის კატალოგით № 40.

1. «ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტერი». „ლოღიკაჲსა ნაწილი ა. სათეორეტიკო ანუ სამთათჳს მოქმედებათა გონებისათა. თავი ა. მოგონებათათჳს ანუ იდეათა. § 28.—პირველსა ვიდრემე მოქმედებასა გულისხმის-ყოფისა ჩვენისასა მარტივად მოგონებად ანუ იდეად წოდებულ-ვჰყოფთ, რომელიცა სხუა არა რაჲმე არს თჳნიერ ნივთისა რაჲვესა გონებასა შინა გამოხატუა, გარდა დამტკიცებისა და უკუთქმისა...“ 20r—87r.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის: ა. „ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა, გორლიციურისა ღიმნაზიისა რეკტორისა, დასაბამნი ფილოსოფიისა ახლისანი სარგებლად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი და მრავალთა მიერ იგავთა და მაგალითთა ძველთაგან მწერალთა რომაელთასა მოღებულთა განმარტებული ქართულსა ხმასა ზედა გრდმოღებით შრომითა ანტონის მიერ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიეპისკოპოსისა, დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა ყოვლად უბრ-ყინუალესისა და უთჳთმპყრობელესისა დიდისა ჴელმწიფა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნასსა, თვითმპყრობელისა სრულიად როსიისა, და მემკჳდრისა მისისა კეთილმორწმუნასა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისასა, წელსა დასაბამითგან სოფლისა 7270, ხორციელად შობითგან სიტყჳსა ღვთისა 1762, ინდიკტიონსა 10, თთუესა მეშჳდესა, რიცხუსა 30“ (1r).

ბ. [ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა წინასიტყუაობა ფილოსოფიისა ამის წინამდებარისა]. „აღნამქსა ვიდრემე გონებისასა ვერ სადამე მიჰხდი სიბრძნეს მით, რამეთუ წოდებულ ჰყოფენ მას ფილოსოფოსნი მეფედ ანუ მთავრინად...“ (2r—9v).

გ. [ბაუმეისტერი]. „თავი ა. წინასიტყუა ფილოსოფიისათვის და ნაწილთა მისთა. § 1.—ვინაჲთგან აწ შრომა ჩვენი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვკარგენითმცა...“ (12r—19v).

2. „[ბაუმეისტერი] „მეტაფიზიკა“, თავი პირუჱლი. პირველთათჳს დასაბამთა კაცობრივისა ცნობისათა. § 9.—ონტოლოღიასა თანა-აძს დადგინებად უპირუჱლესნი დასაბამნი კაცობრივისა ცნობისანი...“ 92r—211r.

შენიშვნა: უძღვის ა. „ზედდადგინებანი მეტაფისიკისანი. წინასიტყუაობა...“ (89r—90v).

ბ. „ზედდადგინებანი ონტოლოღიისანი... წინასიტყუაობა...“ (91r—v).

3. „ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კატიღორიათა არისტოტელითთად შეყუანილება § 1.—საჭირო ვიდრემე არს სიბრძნისმოყუარებისად მოწაფე-ქმნილთა ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივი, მით რომელ, უკეთუ არ მეცნავ იქმნებიანცა ამისდა მოწაფენი სიბრძნისმოყუარებისანი...“ 217r—282r.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის: ა. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა, თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოისა, დავითიან-ბაგრატოვანისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი კატიღორიასიმეტნე, და პჴჯილი მისგან ჴმასა ზედა არისტოტელისასა, შედგომითავე მისითა, მაგრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღურებათაგან და გარდამოცემათა მოღებული, ხოლო წინადადებული თჳსისა სხოლისა მოწაფეთად დროსა ყოვლად ბრწყინვალესა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოჲსა, საქართუჱლოჲსასა, ხოლო მამათმთავრობისა თჳსისასა, წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275, ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღვთისა 1767, თთუჱსა მერვესა, რიცხუსა 9. დაიწერა ახალსა გნოსსა შინა სამეფოსა მისისა მეფობისა უმაღლესობისასა“ (215r).

ბ. „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ დასდებელთა ზედა ცხრა რიცხუთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა. — 1. არ სილაღითმან კადრმან გუათანადა ჩვენ.

ახლად ხელ-ყოფად ქუჱთქმულობანი ძუელნი...“ (216rv).

2. ტექსტს ერთვის: „პინაქსსიტყუობაჲ ჩვენმიერთა შეყუანილებათა კატიღორიათა და რომელთამე სჯილთა ჩვენ მიერ ქართულსა ალფავიტასა ზედა...“ (282v—300r).

ანდერძი: „18 $\frac{11}{12}$ 10 ვიწყე წერა ამისი იანვრის 29, წელსა 1809 და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულ ვჰყავ იანვრისავე 12, წელსა 1810-საში. ესე წიგნი ლოღიკა, მეტა-ფისიკა და კატიღორია ანტონისა“ (300v).

მინაწერი: „აქა განვსჭურიტოთ ენამზე ციცერონი,
ვისმინოთ, მისთა ტკბილ-თქმობათა წყარონი,
გარდმოღებულნი და მისთ კალამთ წარმონი,
მწყემსი, მოძღუარი, ეკკლესიათ კანონი,
შევამკოთ ჩვენი სიქადული ანტონი.
შრომა უძილი სიბრძნის-მოყუარებისად,
მეცადინობა განსაკჳრვოდ ბრძენთად,
წარმატებითა შემკულნი გჳრგჳნოსნად
არიან ჩვენდა მარადის სიქადულად.
მით განცისკროვნდა ქართლი ნათელ-მთიებრად. 1810“ (300v).

(1422)

3664

კრებული. 1807

84 ფ.; 30,5×20; ქაღალდი ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული, მნიშვნელოვანი ადგილები სინგურით; გადამწერი—გამყრელიძე ლუკა (75r); 1307 წ. (75r); დაუწერელია: 73v, 75v—77v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 41.

1. „ქ. სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულ-სხეულობით ორკერძოვე. ძველისა, ახლისა წიგნთა წერილთა განრჩევით გამოკრებულნი: კლემაქსისაგანა, დიდისა ვასილისა, და გრიგოლ ღ˜თისმ[ე]ტყველისა, და იოანე ოქროპირისა, და მამისა ეფრემისა, და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხვათ წმინდათა მღდელთმოძღვართა, მამათმოციქულთა, წინასწარმეტყველთა, სოლომონ და ზირაქისათ, და გარეშე წიგნთა: პლატონ, სოგრასტი (!), მენიანდრომ, და სხვათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი კლემექსისაგან (!). ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ, ღმერთსა ეპოვების მათ, რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხოვრება...“ 1r—26r.

2. „აპოვთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესისა მასწავლელთა სიტყვებთა წიგნი სამი. ხოლო მათ შინა არიან დადებულნი კითხვა-მიგებანი, ცხოვრებ[ა] და ქცევა და იგავნი, რომელ არიან სახისმეტყველებანი და მეტყველება სხვათა და სხვათა ფილასოფოსთა შემოკლებულთა სიტყვათა და მიგებათა. წიგნი პირველი. სწავლა სოგრატისა. მოკლედ სიტყვისგება სოგრატ[ი]ს[ა]. სწავლა პირველი. თარგმნილი და სხვათაცა ფილასოფოსთა რუსულისაგან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისტანისშვილისაგან.—კეთილის კ[ა]ც[ი]საგან წესი ეს არ არის—კ[ა]ცს პირში აქებდეს და უკ[ა]ნ კი ძრახევდეს...“ 26v—67v.

შენიშვნა: ტექსტი ვრცელი რედაქციისაა. მისდევს A 1702 ხელნაწერის ტექსტს (იხ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოვთეგმატას“ ქართული რედაქციები, 1959, გვ. 37—41).

3. [ლოცვანი]. — „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღთ˜ისა ცხოველისაო, რომელმან უკანასკნელ დამოკიდებულმან შვიდნი სიტყვანი სთქვნე...“ 68r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: წინ უძღვის: „ვინაც ეს ლოცვანი სინანულითა და მჴურვალითა გულითა მუჴლთმოდრეკით წართქვას, მტერთა ჴელთა არა შთავარდეს. კაცი იგი რაზომით წელიწადით უწინარეს თქვას, წმიდა მარიამ გამოეცხადების, ახარებს სულსა, რომელი შვიდნი სიტყვანი ჯვარსა ზედა თქვნა“.

4. ორბელიანი სულხან-საბა, განმარტება არსებისა (68v—71r), კაცისა და თვეებისა (74v—75r).

5. [ლექსი].—„უფალს ჩემსა გევედრები, არ მიმადლის მტერსა ჩემსა, არ მოუშვა ძალი მათი წარსაწყმენდლათ გულსა ჩემსა...“ 71r-v.

6. [ლექსი]. — „ენა წყარო მწყურვალთათვის, ენა ცეცხლი კაცთ მწველი, ენა ნუგეშ მწუხარეთა, ენა მახვილ გამკვეთელი...“ 71v—72r.

7. [ლექსი].—„მწირ ვიყავ ამ ქვეყანასა, უცხო თესლი გადმოვარდი, მეფემ მონად შემიყვანა, ნათელ-მცა და არ დავარდი...“ 72r.

8 [იგავი].—„მეფე იყო ერთი რომლისამე ადგილისა და შვილი არა ყვანდა მას მეფესა. ევედრა ღმერთსა, რათა მოსცეს ძე წინაშე ღმრთისა. აღიწია ვედრება მისი და მოეცა შვილი. დიაღ, კეთილად აღზარდა ძე იგი თვისი...“ 72r—73 r.

წყდება: „...მოვიდნენ, ლაპარაკი დაუწყეს კაცსა მას. მივიდეს მეფეს აუწყეს ასე...“.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ამ ანბავს აკლია, სადაც ნახოთ, დასწერეთ“.

9. „რომლითაცა ენებითა აწ მეტყველ არიან ყოველსა ქვეყანასა ზედან.—
ა. ებრაელნი
ბ. სირიანნი.
გ. ქალდეველნი...“ 74r-v.

10. „თვესა ოკდომბერსა კვ. წამება წმინდისა დიდებულისა მოწამისა დიმიტრისა. მ. გ. — მას ჟამსა შინა უსჯულომან მეფემან მაქსიმიანემ დაიმორჩილნა გუთნი და სავრომატნი და მოვიდა თესალონიკეთა ქალაქსა...“ 78r—84r.

შენიშვნა: მისდევს H—341 ხელნაწერის ტექსტს (გვ. 248).
ანდერძი: „აღიწერა ივნის კე, ქრისტეს აქეთ ჩყზ. ღმერთო, შეიწყალე ამისი აღმწერელი ულირსი დიაკვანი გამყრელიძე ლუკა, ამინ“ (75r).

(1423) **3665**

ქართლის ცხოვრება. XIX

192 გვ.; 34,5×22; ქაღალდი; მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული სათაურები სინგურით; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1814 წ. (183 გვ.); დაუწერელია 1—2 გვ. ალ. ცაგარლის კატალოგით № 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა]. — „პირველად ვახსენოთ ესრეთ, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს...“ 5—192 გვ.

წ უ დ ე ბ ა: „მოიყვანნეს ლაშქარნი კ ა ხ ე თ ი თ და გასცეს უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე, და შეიპყრეს გ უ რ გ ე ნ და ძე მისი ბ ა გ რ ა ტ და დედოფალი გ ვ ა რ ა ნ დ უ ხ ტ ა და წარიყვანეს კ ა ხ ე თ ა დ. ხოლო რაჟამს ჰსცნა ესე დ ა ვ ი თ კ უ რ ა ტ პ ა ლ ა ტ მ ა ნ...“

შენიშვნა: 1. ქართლის ცხოვრების ტექსტი გამოცემულია (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. ტ. I, 1955 წ. 3—274 გვ.).

2. შედგენილობა: ა. [ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა].

ბ. [ჯ უ ა ნ შ ე რ ი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა...].

გ. [ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ა რ ჩ ი ლ ი ს ი, რომელი იყო მეფე ქართლისა].

დ. [მატიანე ქართლისა].

3. ტექსტი წარმოადგენს ქართლის ცხოვრების ვახტანგისეულ რედაქციას (იხ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 197—278).

4. ტექსტს წინ უძღვის: ა. „რიცხვი მეფეთა საქართველოჲსათა, რომელსაცა უწოდებენ ივერიად და ეგრეთვე გიორგიად, ჩვენებითურთ წელთა დასაბამითგან და ქრისტეს აქეთ და ეგრეთვე წელთა მეფობისათა, თუ ვინ ან რაოდენ წელ იმეფა...“ (3-4 გვ.).

ბ. „პატივოსანნო და დიდებულნო ქართველნო! ჟამთა ვითარებისავან ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა განრყუნილიყო რომელიმე მწერალთაგან და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო, ხოლო მეხუთემან ვ ა ხ ტ ა ნ გ, ძემან ლ ე ო ნ ი ს ა მ ა ნ და ძმის წულმან სახელოვანის გ ი ო რ გ ი ს ა მ ა ნ, შეჰკრიბნეს მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ე ბ ი ჰპოვნა და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს, და რომელიცა განრყუნილ იყო, განჰმართეს და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელნიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხუნეს და ესრეთ აღჰსწერეს“ (გვ. 5).

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 7—8).

(1424) **3666**

ქართლის ცხოვრება. XIX

536 გვ.; 40,5×25,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით (სხვადასხვა ხელით); [XIX ს.]; ჰეირნიშანი 1814 წ. (17 გვ.). დაუწერელია: 521—532, 534 გვ. ალ. ცაგარლის კატალოგით № 43.

<ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა>, „პირუწლად ვახსენოთ ესრეთ, რამეთუ ქართუწლთა და სომეხთა, რანთა და მოვაკნელთა, ჩერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამაჲ, სახელით თარგამოს...“ 3—520 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს ქართლის ცხოვრების ვახტანგისეულ რედაქციას (იხ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 197—278).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ქართლის ცხოვრების ტექსტი გამოცემულია (იხ. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, 1954 წ.; ტ. II, 1959 წ.).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 8).

4. უძღვის: ა. „უწყება მკითხველთათვის: ქართლის ცხოვრება შეკრებილი ვახტანგ მეექუსისაგან, რომელიცა ერთსა ზედა ნაწილსა საქართუჱლოჲსასა იწოდებოდა ქართლის მეფედ და გამეფდა იგი წელსა ქრისტესით 1719 და რაოდენთამე წელთა იმეფა არა მრავალსა ჟამსა, ხოლო ვინათგან ჟამსა მისსა იყუნეს მრავალნი აღრეულებანი და ცულილებანი საქართუჱლოსა შინა, ამისთვის ვერა სრულიადისა გამოწულილვითა, არამედ რაოდენ ძალ ედუა, ეგრეთ შეჰსთხზა, ვინადგან მას ჟამსა, რომელიცა ძუჱლი ქართლის ცხოვრება იყო, იგი ვერა ჰპოვეს მრავალთა აღრეულებათა და ამბოხებათა გამო“ (2 გვ.).

ბ. „შესავალი წიგნისა ამის ქართლის ცხოვრებისა: პატიოსანნო და დიდებულნო ქართუჱლნო! ჟამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა, ქართლის ცხოვრება შემცირებულ იყო, ხოლო მე, მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმის წულმან მეფის გიორგისამან, შევჰკრიბენ სწავლულნი კაცნი და სხუათა წერილთა და გუჯართაგან და რომელნიმე სხუათა ენათაგანცა გამოვიღევით და ესრეთ შევთხზენით და აღვსწერეთ“ (3 გვ.).

5. ყდაზე ამოტვიფრულია: „Грузинское летоописание, собранное карталинским царем Вахтангом шестым“.

მინაწერები: 1. „საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა არს ეს ქართლის ცხოვრება“. (3 გვ.) (თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით).

2. „ოსეთში. ნუზალა ანუ ნუზარა სოფელში ნარას ეკკლესიასა ზედა წერილ არს:

ჩვენ ვიყვენით ცხრანი ძმანი ჭარჯონიძე ჩარხელანი:
ოს-ბაღათარ, დავით სოსლან—მტერთა რისხვით შემხედვარნი;
ჰიდაროს, ჯადარ და საყურ[1],
ჩვენი სამი ძმა — ისაკ, რომანოზ, ბასილი და გიორგი
იყვნეს ქრისტეს კარგნი ყმანი.
მიმავალთა, მომავალთა ოთხკუთხივ გვაქვს ვიწრო გზანი,
ქარარაზე ციხე გვიდგას და[1] ხიდისთავი.
საიქიოს იმედი გვაქვნ, სააქაოს კარგა მდგარნი.
ვეცხლის და ოქროს მიწა გვაქვს ჩვენ მრავლადა ვითა წყალი,
ოთხ სამეფოს გაუმკლავდით[1]
ქართლის მეფეს და მოვსტაცეთ, არ დამეგდო ჩემი გვარი.
ფიცით დამსწრა, მომაკვდინა[1].
ბაღათარ წყალსა ჩააგდეს, დაიფანტა ოსთა ჯარი
წარმკითხველნო, შეგვიბრალეთ, მცირედ ბრძანეთ შენდობანი“

(533 გვ.).

ამ მინაწერის სრული ტექსტი განსხვავებული წაკითხვით გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას (იხ. ქრონიკები. ტ. II. გვ. 177—179).

მინაწერები მოთავსებულია აგრეთვე ზემო და ქვემო ყდის შიდა მხარეს, ზემო საცავი ფურცლის r და ქვემო საცავი ფურცლის rv.

(1425) **3667**

ვახტანგ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია. XIX

186 გვ.; 22×17; ქაღალდი; მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული; ავტოგრაფი ვახტანგ ბატონიშვილისა; [XIX საუკ. 10-იანი წლები]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 44.

---

[1] ხელნაწერში ამ ადგილას გამოტოვებულია ადგილი დასაწერად.

„ისტორიებრი აღწერა ღირსთა-ხსოვნისა შემთხვეულებათა ქართველოსა შინა, აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთა-თა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტან-გის მიერ.—პირველად უკვე მამა ქართველთა იყო ქართლოს და ამა ქართ-ლოსის შთამამავლობისაგან იქმნა ვინმე მფლობელად საქართველოისა...“ 1—186 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოცემული აქვს ს. კა-კაბაძეს (იხ. ისტორიებრი აღწერა... თხზული საქართველოს მე-ფის ირაკლისძის ვახტანგის მიერ, 1914 წ., ტფილისი). მასვე ეს ხელნაწერი მიაჩნია ვახტანგ ბატონიშვილის ავტოგრაფად.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 689—690).

(1426) **3668**

ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა. XIX

129 ფ.; 32,5×21; ქაღალდი სხვადასხვა ფერის; მუყაოს კოლენკორგადაკრუ-ლი ყდა; მხედრული, სათაურები მთავრულით; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1813 წ.; დაუ-წერელია: 20v, 21r, 36v, 37v, 129rv; ალ. ცაგარლის კატალოგით № 45.

„ისტორიაგეოგრიისა ანუ ყოვლისა საქართუწლო-ისა, ქმნილი ვახუშტის მიერ ბაგრატოვანისა, ვახტანგ მეფის ძისა. ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა, რომლისა გამო ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა, ნოეს ძის იაფეთის თესლისაგანვიდრე ქართ-ლოსისა და ძმათა მისთადმდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. — აწ ზნეთათჳს ვიწყოთ. ძველითგან ახალთადმდე საქართველოსათა ზნეთა ჩვეულე-ბათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა, რამეთუ წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისითვე, ვითარცა აღუწყებთ: ამა ჟამს მისცა ჰაოს ძმათა თჳსთა წილნი ქვეყანათა...“ 38r—128v.

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ე ბ ა: „უწყებულება მკითხუწლთათჳს“, „...ხოლო ჩუწნ შესრულე-ბისათჳს ვჰმადლობ ღმერთსა და შევჰსწირავთ ქებასა, პატივსა და დიდებასა ერთსა ღმერთსა, მამასა და ძესა და სულსა წმიდასა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: ა. „პინაკსი ანუ საძიებელი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდე-ბის ისტორია ანუ ცხოვრება ქართლისა...“ (1r—8v).

ბ. „წელნი ქრისტეს აქეთ და ქრონიკონნი ღირსად ხსოვნისა საქმეთა ზედა პოვნულნი ჩუწნ მიერ ძუწლთა წიგნთა შინა, რომელ არიან ესე: იმერული ძუწლი გარიგების წიგნი, და-ვითონი მესხური ხუთ წიგნად გაყოფილი, იმერული სძლისპირი ეტრატისა, ტლაშაძის ამოწერილი ქრონიკები, გუჯარნი ბარათიანთი, თუმანიანთი და სხუათა ქართლის ცხოვრებათა ძუწლთა და ახალთა და სხუათა ჟამნკანონთაგან, სახარებათა და საეკლესიო წიგნთაგან და სპარსულთა ქო-რონიკონებთაგან. ამათგან ამოწერილ არიან ესენი და თათრული გვერდზე უწერია.—ქრისტეს აქეთ წელნი 1201, ქართული ქორონიკონი 421—თამარ მეფე მიიცვალა...“ (9r—20r).

გ. სინქრონიული ცხრილები (21v—31r).

დ. „სომხითის სოფლები ქრისტეანეთა და თათრის ობა. ალაღაჯში ობა 20. ხოჟორნის კეო-ბა.—ხოჟარნა...“ (31v—35r). (ტექსტი გამოქვეყნებულია იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა სა-ქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 წ., გვ. 190—208.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. „საათაბაგოს თუ ვინ ვისნი სამწყსონი არიან... საათაბაგოს თუ რამთონი ეპისკოპოსნი ყოფილან...“ (35v—36r).

2. ტექსტი გამოცემულია: იხ. დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია. ვახუშტი. ტფილისი 1885 წ.

3. ტექსტის გაგრძელება იხ. შემდგომ—3669 ნომერში.

4. ტექსტს კიდეებზე აქვს: ა. ვახუშტისეული მინაწერები.

ბ. ადგილები შევსებულია მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიიდან“:

წ. I, თავი 9 (47v).

წ. I, თავი 20 (50v).

წ. I, თავი 7 (51r).

წ. II, თავი 6 (47v).

წ. II, თავი 7 (48v).

წ. II, თავი 1 (51r).

წ. II, თავი 65 (51r).

წ. II თავი 10 (51r).

წ. II, თავი 47, 49 (53r).

წ. II, თავი 82 და 83 (55v).

წ. II, თავი 60 (70r), და მოსე ხორენელის „გეოგრაფიიდან“ (48r). ამ გეოგრაფიას ამჟამად ანანია შირაკელს მიაწერენ.

გ. გეოგრაფიული ხასიათის მინაწერები: „ხუნანი ყოფილი ქალაქი გატეხილი ხიდის მახლობლად“ (47v); „ლიხი—მთა ქართლისა და იმერეთს შუა (47v); „რახსი—არეზია“ (47v); „ჰერეთი არს შაქი-შირვანი“ (48r); „გარდაბანი არს ზედაძნის მთიდამ მარტყოფი, საგარეჯო და სრულიად პირაქეთი მტკურის პირადმდე. ხოლო სხუაგან აცხადებს, რომ სომხითის ნაწილიც ამაზედ აძევს. იხილე სომხითის აღწერაში“ (48r); „ჰერეთი—შირვანია“ (50v); რანი არს ყარაბაღი, საგონებელ არს, ვითარმედ რანი წოდებულ იყოს სპარსთაგან, რამეთუ იგინი სპარსეთსაცა უწოდებენ ერანად ანუ ირანად, და ოვსნიცა თავსა თჳსსა უწოდენ ირონად, ხოლო ოვსეთსა ირონისტანად, ხოლო მოსე ხორენელის ღეოღრაფიასა შინა დიდი ირანი“ (55r); „ნახიდური—ქოლაგირია“ (82r); „მიზგითი—მეჩეთია“ (83r); „ნიკოფსია არს აფხაზეთს, ბიჭვინთას ახლო“ (86r); „კარნუ—თეოდოსიპოლი“ (87r); „კარი არს ყარსი“ (91r); „ფხოველნი არიან ხევსურნი“ (92v); „ნაჭარმაგევი—კარალეთია“ (93r); „კირმანეული—უზალთუნი“ (120v).

დ. დავით აღმაშენებლის ისტორიასთან დ. ბაქრაძის ხელით უნდა იყოს მიწერილი ანდერძი დავით აღმაშენებლისა და „ეპიტაფია საფლავსა ზედა დავით აღმაშენებლისასა გელათის მონასტერსა შინა“ (84r). მის მიერვე ტექსტის სამი ადგილი შედარებულია ვახუშტის დედანს, რის შესახებაც მიწერილია ხელნაწერის 62v, 65v და 114r-ზე.

(1427) **3669**

ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა. XIX

198 ფ.; 32,5×21; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; მხედრული; სათაურები მთავრულად, სინგურით; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1814 წ.; დაუწერელია: 71rv, 156v—157v და 198v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 46.

[ვახუშტი, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია]. „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღურით, მთით, მდინარეებით ადგილთა და მას შინა შენებულებათა.—ვინაჲთგან სახელნი და აღშენებანი ვისით იქმნა ქუეყანისა ამის დავჰსწერენით, აწ ვიწყოთ თჳთვეულთა წარმოთქმად მთათა, ველთა და წყალთა...“ 1r—198r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტის დასაწყისი ნაწილი იხ. წინა—3668 ნომერში.

2. შედგენილობა: ა: „ტომობა და შთამომავლობა ქართველთა და ზნენი მათნი“ (1r—70v).

ბ. „აღწერა ჰერ-კახეთ-კუხეთისა“ (72r—81r).

გ. „ისტორია მთავართათჳს და მეფეთა კახეთისათა (81v—84r).

დ. „ისტორია მეფეთათჳს, ბაგრატიონთა კახეთისათა (84v—109r).

ე. „მეფობა ირაკლი მეორისა“ [ომან მდივანბეგ ხერხეულიძისა] (109v—121v). ტექსტი თავნაკლულია (იხ. ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854 წ., გვ. 484—500).

ვ. „აღწერა ოვსეთისა ანუ კავკას შინათა“ (122r—128v).

ზ. „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოჲსათა (129r—139v).

თ. „ისტორია სამცხე-საათაბაგოჲსა და წარმოჩინება ბაგრატიონთა სქესისა“ (140r—156r).

ი. „აღწერა ქუჱყანისა ეგრისისა“ (158r—173r).

კ. „ცხოვრება ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“ (173r—198r).

3. კიდეებზე, მრავალ ადგილას, ტექსტის ხელით ვახუშტისეული შენიშვნებია.

4. ტექსტი გამოცემულია იხ. ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., 1854; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941.

(1428) **3670**

ანტონი I, საქართველოს მოკლე ისტორია. 1822

20 ფ.; 25,6×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; გადამწერი: გრიგოლ ბაგრატიონი (19r); 1822 წ. (19r); სანკტპეტერბურღი (19r); დაუწერელია: 1r—2v, 3v, 18v, 19v, 19v—20v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 47.

„სანატრელის უწმიდესის საქართუჱლოს კათოლიკოზ-პატრიარხის, მეფის იასეს ძის ანტონისგან აღწერილი ესე გამოკრებილი ქართლის ცხოვრება“. „სიტყუა პირუჱლი. ქართლოსისაგან არს ჰშთამომავლობა ყოველთა ქართუჱლთა, — პირველად, ვიდრემე მამა ქართლისა და ყოველთა მათ ქართუჱლთა, ესე იგი: ქართუჱლთა, იმერთა, კახთა და ჯავახთა, რომელთაცა ყოველთა მათ ეწოდების ქართუჱლი, იყო ქართლოს...“ 4r—18r.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის :„საქართუჱლოჲსა მეფეთა ჰშთამომავლობათათჳს: მისს მაღალმსვლელობას ღენერალ ივან ლვოვიჩს, ყიზლარის კამენდანტს ფრაუნდოდორფს მე, უღირსი ანტონი, კათოლიკოზი სრულიად საქართუჱლოჲსა მოვახსენებ მათგან ბრძანებულისამებრ თხოვისა, რომელიცა, დალათუ მრავალ განსაცდელ-შემთხვევისაგან დავიწყებით საჴელნი მეფეთა საქართუჱლოსათანი თჳთო-თჳთოდ არღარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა საჴელონი, ანუ გარდაცვალებანი მეფეთა გვართანი და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ, ესენი არიან, რომელნიცა ძველთა შინა მატიანეთა საქართუჱლოჲსათა წარმიკითხავნნ“ (4r).

2. ისტორია დაყოფილია თექვსმეტ „სიტყუად“.

3. ტექსტის ბოლოსაა:

„დიდის ირაკლის მეორის მეფის ძეო,
ბრძენთათჳს მზეო, მირიან საჴელ გძეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლთა კეთილთა ჰაზრთა მარადის მწეო,
მცირ მაშვრალობით გვედრით ბნელთათჳს დღეო.
ხსოვისა ღირს-მყოთ ერდგულ მუხნარის (!) ძეო.

თქვენი უმცირესი დისწული გრიგოლ ბაგრატიონი. წელსა ჩყკბ-ს, სეკდემბრის იე-ს დღესა, სანკტპეტერბურღს“ (19r).

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 691).

(1429) **3671**

მცირე ქართლის ცხოვრება. XIX

140 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 48.

1. [მცირე ქართლის ცხოვრება] «სეხნია ჩხეიძე». „ძლიერებითა ღმრთისათა ვიწყე ცხორება მეფეთა, მსმენელთათვის არა უნდომითა ანბითა, უცხოთა ქუეყანისათა, არა მარტივად ქართლისა ჩვენისა, ჩემის თუალით ნახული და ზოგიერთი მნახავთაგან სმენითა. — იყო მეფე-მეფეთა ესე სახელ-დიდებული, სვე-ამაღლებული, ჴელმწიფობითა სფადარი, ამილბარობითა სპასპეტი, ლაშქარ-ცხოვრებითა ზე აღმატებული...“ 1r—34r.

2. «პაპუნა ორბელიანი». ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილ იყო ანბავნი ესე ქართლისანი აღმწერელისა ამის ჩხეიძე სეხნიასაგან და ვეღარ აღეწერა შემდგომად ანბავნი და მომკუდარიყო, მე, პაპუნა ორბელიანმან ხელ-ვჰყავ პირველად, რათა არა დავიწყებულ იქმნას ესევითარნი ანბავნი და მეორერედ, შემდგომნი ჩვენნი მოიხსენებდნენ ოდეს ჟამისა ვითარებასა და ქცეულებათა, რომელიცა კნინლა და არაოდეს ყოფილ არიან ესევითარნი იწროებანნი ქართლისანნი და მალიადნი ცვლილებანნი და მპყრობელობათა განმგებელობანი ქუეყანისა ჩუენისათანი მწარედნი და ძნიად მოოხრებანი და თვთ თულითა (!) ჩემითა, რომელი მინახამს და რომელიცა სხვანი ანბავნი მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან და ესენი არა უდებ ვჰყავ ხელყოფად ამის გამოძალისა ჩემისა, რათა მოზარდულნი ქართუჱლნი ქართუჱლნი (!) განეკრძალნენ ქუეყანათა თვსთა სიმტკიცისათვის, ვინაჲთგან ესეოდენნი ჭირნი და იწროებანი და იუწყებოდეს, თუ ვისგან და ვითა რომლისა მიზეზითა იქმნეს ესე ყოფილნი. — ქ[ორონი]კონსა უკზ ხოლო... აქეთ... თუჱსა ივლისსა, მოიშველა ერისთავმან შანშე ჯარი ლეკისა...“ (35v—140r).

შენიშვნა: ორივე თხზულება ზედმიწევნით მისდევს გამოცემას (იხ. ქართლის ცხოვრება.... ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემული, 1854 სანკტპეტერბურღი, 307—474 გვ.).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 686).

ანდერძი: „სრულ იქმნა ძალითა ღუთისათა წიგნი ესე მცირე ქართლის ცხოვრება ხელითა ხარების საყდრის დეკანოზის ძის დავითისათა. აღმომკითხეველთ გევედრებით, უკეთუ ნაწერსა ამას შინა ჩემსა ცთომილება იხილოთ რაჲმე, ნუ მწყევთ, არამედ კურთხევას ჰყოფდეთ ჩემთვის თქვენ უზრუნველად და (!) იქმნებით და მე დიდად შემწე მექმნება. თვესა აგვისტოს რიცხვსა ლ. ქ[ორონი]კ[ონ]სა უჲა“ (140r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1430) **3672**

ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა. XIX

43 ფ.; 33×21,5; ქაღალდი; ფრაგმენტი, ტყავგადაკრული მუყაოს ოქრო-ტვიფრული ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1814 წ. (43 ფ.); დაუწერელია: 1r—6v, 32r—43v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 49.

[ვახუშტი, საქართველოს ისტორია].—„.... ნოეს ძისა იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. აწ ზნეთათვის ვიწყოთ ძუჱლიდამ ახლადმდე...“ 7r—31v.

წყდება... „ხოსრო ჰბრძანებს: ჰურიანი განარიეთ და სხუანი მოსრენით. კუალად...“

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „პინაქსი წიგნისა ამის“ (6r).

2. ტექსტი ზუსტად მისდევს დ. ბაქრაძის მიერ გამოცემულ ვახუშტის საქართველოს ისტორიას (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც. ნაწ. I, 1885, 2—68 გვ.).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 671).

(1431) **3673**

კვინტოს კურციოსი, საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა, მეფისა მაკედონელისათა. XVIII

147 ფ.; 33×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული, სათაურები მთავრულად, სინგურით; [XVIII ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 50.

„კჳნტოს კურციოსისა, საქმეთათჳს ალექსანდრე დიდისა, მეფისა მაკედონელისათა. წიგნი პირუჱლი. თავი 1. — ცხოვრებასა და საქმესა ალექსანდრესსა, სპარსეთისა სამეფოჲსა საბერძნეთისად დამამორჩილებელისასა, მრავალნი ბერძენნი აღსწერდენ, რომელნიცა მასვე რიცხუსა შინა უფროსი ნაწილი იყუნენ თჳთმხილუჱლნი...“ 11r—147v.

წყდება: „...დაკუჱთებულთა ჩემდა საყდარსა ზედა კჳროსისსა წარვლოსმცა დიდებულად ცხოვრებაჲ თჳისი...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი თარგმნილია ანტონ კათალიკოსის მიერ 1762 წ. წინამდებარე ხელნაწერში შესულია 5 წიგნი.

2. ტექსტს უძღვის: **ა.** „წინასიტყუაობა კათალიკოზის ყოვლად ბრწყინუალესა მეფესა ქართუჱლთა და კახთასა მის მეფობის სიმაღლეს.—...“ (1rv).

ბ. „ნათესავთსიტყუაობა ალექსანდრე დიდისა რეინექციით...“ (2r—3v).

გ. „წელთა აღწერაჲ შემოკლებითი კურციოსისა...“ (3v—10v).

3. ხელნაწერს აქვს იოანე ბატონიშვილის შენიშვნები (იხ. 75r, 78v, 79r).

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 818).

მინაწერები: 1. „მეფის სძლის ქეთევანისა ვარ.“ აქვეა პატარა ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მეფის სძალი ქათავან“ (2r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „საქართველოს მეფის სძალი წერეთლის ასული ქეთავანისა ვარ. ჩღჟე“ (2r).

3. „კჳნტოს კურციოსისი ესე გამოეგზავნა პეტერბრუხიდამ დისწულის ჩემის გრიგოლის კნეინა ბარბარეს. ჩჟღვ წელს მივიღე, ნოემბრის იზ“ (10v).

4. „წიგნი ესე ეკუთვნის პოდპოლკოვნიკს კნიაზ გრიგოლ ზურაბისძეს წერეთელს“ (10v).

(1432) **3674**

ხრონოლრაფი. XVIII

375 ფ.; 31×19,6; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; დაუწერელია: 6rv, 375v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 51.

[ხრონოლრაფი]. — „...სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა ჩვენსა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლითა სიბრძნითა მისითა და აურაცხელითა სახიერებითა თჳსითა...“ 7r—375v.

შენიშვნა: ტექსტს უძღვის: ა. „ზანდუკი წიგნისა ამის საქმეთა, რომელსა გარე-შეიცავს შემოკლებით მოთხრობა, დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობადმდე კოსტანტინე პალეოლოღოჲსა, უკანასკნელისა ბერძენთა მეფისა...“ (1r—5v).

2. ერეთვის: „განწესება ბერძენთა მეფეთა, რომელი დასხა და დაადგინა მანვუჱ დიდმან კოსტანტინე პირუჱლმან, მეფემან ბერძენთამან...“ (374v—375r).

მინაწერი: „Из книг Грузинского царевича Мириана Эраклиевича“ (ზემო ყდის შიდა მხარე).

(1433) **3675**

თეოფანე პროკოპოვიჩი, მატიანე დარღვევისათვის წმ. ქალაქისა იერუსალიმისა. XVIII

77 ფ.; 21×16,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; [XVIII ს.]; ჭვირნიშანი 1788 წ. (77 ფ.); ალ. ცაგარლის კატალოგით № 52.

[თეოფანე პროკოპოვიჩი], „მატიანე დარღვევისათვის წმინდისა ქალაქისა იერუსალიმისა მოსწავებისაებრ უფლისა, რომელი იყო შემდგომად განჴორციელებისა უფლისა ჩვენისა წელთა სამეოცდაათორმეტთა ტიტესაგან, ძისა ვესპასიანესა. — ოდეს მიიღო პატივი კეისრობის ღირსებისა ვესპასიანემ...“ 1r—76r.

შენიშვნები: 1. ტექსტის ავტორი აღდგენილია ტრ. რუხაძის შრომის მიხედვით (იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960, გვ. 220).

2. ტექსტი მისდევს სარიდან ჩოლოყაშვილის ნათარგმნ რედაქციას (იხ. ტრ. რუხაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 220.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ტექსტს უძღვის თავფურცელი: „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა უკანასკნელი წმინდისა ქალაქისა იერუსალიმისა და აღება კონსტანტინეპოლისა, სამეუფოსა ქალაქისა ბერძენთა მონარხიისა. პირად-პირადთა ავტორთაგან შემოკრებული“.

3676

„მოსვლისათვის დიდთა და პირველმთავართა ორბელიანთა ქვეყანასა ამას“

გადაწერილია პეტერბურგში 1841 წ. იოსებ ნაზაროვის მიერ. ალ. ცაგარლის კატალოგით № 53. ნომერი გაუქმებულია.

(1434)

3677

კრებული. 1845

244 ფ.; 22,5×17; ქაღალდი სხვადასხვა ფერისა; სხვადასხვა ხელით და სხვადასხვა დროს დაწერილი კრებული; მუყაოს ყდა; მხედრული; გადამწერები: ს. ტაბიძე (2r—30r), თეიმურაზ ბატონიშვილი (215v—235v); დაუწერელია: 30v—31v, 36r—39v, 74v—79v, 83v—85v, 96v—101v, 103rv, 110rv, 123v, 135v, 139v, 144rv, 197v, 198v—199v; 209r—215r, 228r. ალ. ცაგარლის კატალოგით № 54.

1. [ხერხეულიძე ომან მდივანი]. „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა. შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათჳს, თუ ვითარითა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა, რომელსაცა გარდამატებულისათჳს სიმხნისა მისისა პირველად მიუბოძა შაჰნადირ კახთ მეფობაჲ და შემდგომად შეაერთა მან სკიპტრაჲ ორ-მეფობითი. — წელსა 1722 დასჯდა ყაენად ძე შაჰ-სულტან უსეინისა შაჰ-თამაზ. და იმ ჟამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის-ძე, ხოლო კახეთს იჯდა მეფედ კონსტანტინე ირაკლის-ძე, რომელსა ეწოდა სახელად მაჰმად-ყული-ხან თათრობის გამო...“ 2r—30r.

ანდერძი: „აღვჰსწერე ისტორია ესე მეფის ერეკლე მეორეჲსა მე სჳმონ ტაბიძემან ბრძანებითა ბატონისშვილის იულონის ძის ლუარსაბისათა წელსა 1845-სა, თთვესა ფებერვალსა 5-სა დღესა, სანკტპეტერბურღსა შინა“ (30r).

2. [იერომონახი ილარიონ. ქართულ ხელნაწერთა ნუსხა, შედგენილი ათონზე, ივერიის მონასტერში 1840 წ.].

„1. სახარება და სახარების თარგმანი...“ 32r—35v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერთა ნუსხას წინ უძღვის შემდგენელის—ილარიონ მღვდელ-მონოზანის შემდეგი წერილი: „მის მაღალს ღირსებას უფალს პარმენს, სიყვარულით თაყვანის-ვჰსცემ მარჯვენესა შენსა, უფალო.—ნუსხა გეთხოვნა წიგნებისა და აღმძრა სიყვარულმან უსწავლელი და უგუნური და ჴელ-ვჰყავ, აღვნუსხე რაოდენიცა იპოვებოდა სიძველისაგან და უდროებისაგან განრყვნილ და სხვა ავაზაკთაგან განრყვნილი-ამოხეული. თათრები იყვნენ მონასტერშიდ ათი წელიწადი. სად-სად მიმოეყარათ ბერძნულიც და ქართულიც, უდროება მრავალჯერ ქმნილ არს და ესრეთა მიზეზთაგან წიგნებს მრავალი აკლია და ამისთჳს ჩემებრ უსწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელთაგან ძნელ არს გამოწვლილვით აღნუსხვა, მაგრამ რაოდენიც შეიძლებოდა ლოცვითა მამათათა და ვენედიქტოსითა და ბრძანებისა მონასტრისათა ეს-რეთ თავთავად წიგნად ამისთჳს არ აღვნუსხე, რომ რომელიმე წიგნი თავი ოცდა-ათი იყო ოდესმე, ან თორმეტი არს და სხვა აკლს უდროებისაგან და სხვა ოცი თავი და აწ ათი თავი ანუ ექვსი და კუალად თავებიც რომელიმე სრული არს და რომელიმე არა და ამისთვის სრული დავსწერე და უსრული დაუტევე“ (32r).

2. სიაში შეტანილია 196 სახელწოდების ხელნაწერი. 173 ხელნაწერს აქვს ილარიონ მღვდელმონოზანის შემდეგი შენიშვნა: „173. კლემაქსი სრული არს. ვასილის წიგნი თავიდამ ბოლომდინ უნაკლული, დოროთეს წიგნი, რაო-დენიმე სწავლა და სხვა წიგნთაგან აღმოვსწერე და წარმოვგზავნე გაბრიელ არქი-მანდრიტის ჴელით. ადგილი რაც გარყუნილ იყო, არ დავსწერე, შიშით, რომ შერ-ცხვენებული ევთვიმისაგან, თუ ვინმე სიტყვა შესცვალოსო.

სხვა მწერო, რომლის მიზეზით ქვიანო ივერია საქართველოს. აქა ამაზედ წიგნი არ იპოვება. სხვა, რავდენი ქართველია აქ მონასტერში გებძანათ. აქ არის ერთი ვენედიქტონ, ერთი ბესარიონ, იპოვება სხვაცა. უბადრუკი ილარიონ“ (35r).

ანდერძი: „ნუსხა ესე აღიწერა ილარიონი მღვდელმონაზონისა მიერ ათონის მონასტერში 1840 წელსა, აგვისტოსა (ე)“ (35v).

3. [იოანე ბატონიშვილი], „მცირე უწყება ქართველ-თამწერალთათჳს. — წმინდა და დიდი მეფე საქართველოჲსა და აფხაზთა დავით აღმაშენებელი, ბაგრატოვანი, ესე სიყრმითვე აღიზარდა ღვთის სიყვარუ-ლისა სწავლასა, და საღრმთოთა(!) და საფილოსოფოსათა სწავლათასა შინა...“ 40r—74r.

შენიშვნა: ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებული აქვს ექ. თაყა-იშვილს (იხ. „ძველი საქართველო...“ ტ. I, თბილისი, 1909 წ. განყ. III, 1—55 გვ.; იხ. აგრეთვე: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, 162—214 გვ.).

4. „შთამომავლობისათვის გვარისა თავადთა ერისთავთა სტ. ჩუბინოვისა.— ძველად საქართველო განყოფილ იყო 9 სამთავროდ და ან საერისთაოდ...“ 80r—83r.

5. სასისხლო სიგელი თულასძეთა. ცუდად გადაღებული პირი; დედანი XIV საუკუნისაა და გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. საქ. სიძ-ველენი, ტ. II, გვ. 13—14). აქ კი საბუთი 841 წლით არის დათარიღებული 84r—85r.

6. [აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი].—„ეჰა ასულო შვენიერო, იოაკიმის ნაყოფო სიტკბოებითა აღსავსეო, ანნას მორჩო, რტო გარდაფენილო...“ 86r—93v.

შენიშვნა: საბუთი თავის მინაწერებით გამოცემულია (იხ. ს. კაკაბაძე, აფხა-ზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925, გვ. 177—197).

7. „მცნება ესე სასჯულო, ურწმუნოთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამხნობელი, ყოვლისა ქრისტიანესათვის მოვლენილი იერუსალიმისაგან და ცათა მობაძავისა ანტიოქიისაგან...“ 94r—96r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ყ დ ე ბ ა: „...ანუ მსახურთა, ანუ გლეხთა, ანუ მთავარდიაკონთა ანუ...“.

შენიშვნა: საბუთი გამოცემულია (იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, გვ. 294—297).

8. გაყოფის წიგნის საბუთის ნიმუში, 1801 წ. 102rv.

9. დავით ჩუბინაშვილის მიერ ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის შეგროვილი მასალები „გუჯრებიდან“ (104r—123r); „გორგიჯანიძის ისტორიისაგან“ (124r—135r); „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ კომენტარებიდან (136r—143v); ალექსანდრე მეფის გუჯრიდან (198r).

10. [დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი]. „განმარტება ლექსთა მათ მაღლისა ფრასისათა, რომელნიცა არიან ძველნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხვათა ენათაგან ქართულსა ენასა შინა და აქა ვეფხის-ტყაოსანისა სტიხთა შინა ხმარებულ არიან, რომელნიმე ლექსთა ამათგანნი გუარითა აღმოსავლეთის მესტიხეთა მეტაფორისათა.—1. ს ა მ ყ ა რ ო.—ესე ყოველთა ცათა გარეგან მყოფი, უზენაესი, მტკიცე და უვრცელესი...“ 145r—197r.

11. „მ ო ს ლ ვ ი ს ა თ ჳ ს ივერიად და ქადაგებისა ა ნ დ რ ი ა პ ი რ ვ ე ლ-წ ო დ ე ბ უ ლ ი ს ა მოციქულისა და წმიდისა მოციქულისა ს ჳ მ ე ო ნ კ ა ნ ა-ნ ე ლ ი ს ა ბრძანებითა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესსა, სათნოყოფითა ყოვლად უხრწნელისა დედისა მისსა ყოვლად წმიდისა ღისმშობლისათა.—შემდგომად ცხოველსმყოფელისა და ბუნებისა ჩუენისა განმაახლებელსა საღმრთოსა და საუფლოსა ვნებისა და აღდგომისა უფლისა ჩუჱნისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესსა...“ 200r—208v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და შთავიდა კუალად აფხაზთა კერძოსა და მუნით წარვიდა სხუათა მათ ადგილთა ვითარცა მოიხსენების მიმოსლუასა და ქადაგებასა მისსა შინა. ხოლო ჟამსავე ამას...“

შენიშვნა: 1. ტექსტი შემოკლებულია.
2. ხელნაწერის ეს ნაწილი თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხელით უნდა იყოს ნაწერი.

12. „ს ა ე კ ლ ე ს ი ო მ ო თ ხ რ ო ბ ა საფუძველითგან დაწყებისა მ ო ქ-ც ე ვ ი ს ა თ ჳ ს ე რ თ ა ი ვ ე რ ი ი ს ა თ ა, თუ ვითარ იქმნნა განგებითა ღვთისათა მოქცევაჲ საქართველოჲსა...“ 215v—235v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მრწამს ჭეშმარიტად, ვითარმედ იგი არს მესია მხსნელი და მეუფე ემმანუელ, უფალი ჩვენი...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ეს ნაწილიც თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხელით უნდა იყოს ნაწერი. 2. ეს ტექსტი კრებულში ორჯერაა ჩაწერილი.

13. სჯულის კანონის საძიებელი (ნაკლული) „(წინასიტყვაობის დასასრულში სწერია ესრეთ): აწ უკუჱ უფლისა მოწაფეთა და მოციქულთა ოთხმეოცდახუთნი კანონნი აღწერნეს (!) კლიმინტოჲს მიერ, ხოლო შემდგომად მათსა თითოეულსა ჟამსა ქმნილთა კრებათა, ვითარცა აქა მოხსენებულ არიან...“ 236r—243v.

წ ყ დ ე ბ ა: „...თავი კა: სახილველთათვის და სიმღერელთა...“.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 597—603).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3678

ისტორიული დოკუმენტების კრებული.

ალ. ცაგარლის კატალოგით № 55. გადატანილია ისტორიული დოკუმენტების კოლექციაში Sd 2815—2853 ნომრებით.

(1435)

3679

ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. XIX

58 ფ.; 21×17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1828 წ.; გადაწერილია ნიკოლოზ ჩუბინაშვილის მიერ. დაუწერელია 2v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 56.

„მთაწმინდისა და წმიდისა იერუსალიმის მიმოხილუა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისაგან. შესავალი. — სამარად-საგონებელ ჩემდა იყო, თუ ვითარ არა საზღვეო იყოს ზენაჲსათჳს მორფუა სიტყუათა...“ 1r—58v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს ნ. ჩუბინაშვილის მიერ. ერთვის მისივე შენიშვნები, კომენტარები და სქოლიოები (იხ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. 1956, 074).

2. ტექსტი რედაქციულად „მიმოსლვის“ C რედაქციის I ჯგუფს განეკუთვნება (იქვე, გვ. 068—074).

(1436)

3680

ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. XIX

59 ფ.; 22×18; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1828 წ.; გადაწერილია ნიკოლოზ ჩუბინაშვილის მიერ; დაუწერელია: 2v, 59rv. ალ. ცაგარლის კატალოგით № 57.

„მთაწმინდისა და წმიდისა იერუსალიმის მიმოხილუა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისაგან. შესავალი.—სამარად-საგონებელ ჩემდა იყო, თუ ვითარ არა საზღვეო იყოს ზენაჲსათჳს მორფუა სიტყუათა...“ 1r—58v.

შენიშვნა: ხელნაწერი რედაქციულად მისდევს წინა ხელნაწერს (იხ. S 3679 ხელნაწერის აღწერილობა).

(1437)

3681

გეოგრაფია. XIX

36 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1808 (34 ფ.); ალ. ცაგარლის კატალოგით № 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შ ე ყ უ ა ნ ი ლ ე ბ ა ღ ე ო ღ რ ა ფ ი ა ს ა შინა.—ღეოღრაფია არს აღწერა ქუჩყანისა, რომელსაცა დანიშნავს თჳთ სახელი მისი ელლინურსა ზედა ენასა...“ 2r—36v.

წ ყ დ ე ბ ა: „...კუნძული პასექისა პოვნილ არს მენდანას მიერ შპანიელისა. რომელმანცა უწოდა ესრეთ ამისთჳს, რომელ მივიდა მუნ თჳთ დღესა დიდისა დღესასწაულისასა...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერი შეიცავს: „შეყუანილებას ღეოღრაფიასა შინა“ და ხუთ თავს (ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა და სამხრეთისა ინდია ანუ ავსტრალია).

2. ტექსტს ახლავს სქემები.

3. თავფურცელზე ხვეულად მიწერილია: „ღეოღრაფია ესე ნ ი კ ო ლ ა ი დ ა ვ ი თ ი ჩ ი ს ა“ (ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი?!).

(1438)

3682

ვახტანგ VI, სამართლის წიგნთა კრებული. 1829

148 ფ.; 30,5×20; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, გადამწერი: მარი ბროსე (2r); 1829 წ. (2r); ალ. ცაგარლის კატალოგით № 59.

1. «ს ა მ ა რ თ ა ლ ი მ ო ს ე ს ი». „კარი პირველი, დასაწყისი სამართლის(!), რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან, მოსე, წიგნსა მეორე რჯულისასა და გამოსულათასა.—მცნება ღმრთისაგან: თავ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან...“ 45r—49v.

2. «ს ა მ ა რ თ ა ლ ი ბ ე რ ძ უ ლ ი». „ქ. ლევან ბრძენისა და კოსტანტილესი და სხვათა ჴელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულის კანონის მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ვისმინოდ და ვყოდცა.—ქ. რომ მოხდეს და დადგეს კაცი ვინმე მსაჯულად სასამართლოდ კაცსა ზედა...“ 49v—75r.

3. «ს ა მ ა რ თ ა ლ ი ს ო მ ხ უ რ ი». „შესავალი პირველი სომხური სამართლისა. ქ. ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლისა წიგნთა გარდმოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართლისა...“ 75v—116r.

4. «ს ა მ ა რ თ ა ლ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა».—„ქ. თავი პირველი. სახელითა ღვთისათა, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიაქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 116r—117r.

5. „ს ა მ ა რ თ ა ლ ი მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა. თავი პირველი.—ძ ე გ ლ ი ს დ ა დ ე ბ ა მ ე ფ ე თ-მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს მ ი ე რ. ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფისა დიმიტრისამან დავდევით ძეგლი-განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან...“ 117r—120r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. „სამართალი ალბუღასი.—ქ. შევიყარენით ჭოლთა მინდობილნი ღმრთისანი და აწყურისა ღმრთისმშობლისანი და გაქცევისა. დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ...“ 120v—128r.

7. «სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა».—„მყოფისა უმყოფისა, არსისა დაუარსისა და მაარსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონელს მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი-დღე მრეველნი ჭელთა მარგალიტთა შინა...“ 128r—147r.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის: ა. „ანბანური საძიებელი მატიანეთა...“ (3r—17r).

ბ. გრაფების მუხლობრივი საძიებელი (17v—44r).

გ. შესავალი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულისა: „ქ. ღასაბამითგანავე დამდებელმან საფუძველთა ქვეყანისამან და მქნელმან ცათამან...“ (44v—45r).

2. ხელნაწერს მრავლად აქვს გადამწერის—მარი ბროსეს—მიწერილი შენიშვნები ფრანგულად.

3. ხელნაწერი წარმოადგენს საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 24 ხელნაწერის პირს.

4. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული გამოქვეყნებულია (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, პროფ. ი. დოლიძის გამოცემა. 1963 წ.).

5. ხელნაწერში ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი B ნუსხის ტიპით არის წარმოდგენილი (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, 33 გვ.).

ანდერძები: 1. ანბანური საძიებელის შემდგენელის (ოსე ბარათაშვილის) ანდერძი: „ქ. იგი ძველნი საძიებელნი ვინათგან არევით იყვნეს და საჭიროსა ჟამსა ძიებასა შინა დიდათ დაშორებოდენ(!) მსაჯულ-მომგენი, რომელსა სახსო, რომელს ადგილს იგი გვილსადმე (!) ჰპოებოდენ და ამას დიდ შრომა ედვა. მისი ადვილსაპოვნელობისა მიზეზი მებრძანა ყოვლად ამაღლებულისა ღმრთივ გჳრგჳნოსანისა საქართულოს(!) და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ-მქონებელის ცხებულის მეფის თეიმურაზის მიერ, რათა ღონე რამე მეძია ადვილსაპოვნელობისა; და აწ ესრეთ ვიღვაწე მცირედ რამე: ჯერ გვარიცხვენ ძველნი საძიებელნი, მერმელა ანბანზე გამოვჰკრიბენ. რომელი საჩივარი სამართალნი რომელს ასოზე უნდეს, დახედავს, ამის რიცხვი ძველის საძიებლის რიცხვში მიიყვანს და მუნ ჰპოებს. მეფე ადიდეთ სუფევით. ივლისის ა, ქ[ორონი]კ[ონ]ს **ულჱ**, **ჩლნ**“ (17r).

2. „აღმოვწერე მოქალაქე მოსესის ძე ტიტულარნი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბალინოვი, თებერვლის **იე**-სა დღესა, **ჩყკგ**-ს წელსა“ (147r).

3. „ქართუჱლი სამართალი დაწერილი ბროსეტის მიერ დეკემბრის **კგ**, **ჩყკჱ**—**კზ** თებერვლისა, **ჩყკთ**“ (2r).

(1439) **3683**

ვახტანგ VI, სამართლის წიგნთა კრებული. [1708]

336 ფ.; 30×21; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; დაშლილი; ორივე ყდა მოვარდნილია; შიგნით აკლია ფურცლები (112-სა და 113-ს, 332-სა და 333-ს და 334-სა და 335 ფურცლებს შორის); დალაქავებულია; მრავალი ფურცელი აღდგენილია; მხედრული; სათაურები სინგურით; [1708 წ.]; დაუწერელია: 1v, 119r, 240v, 244rv, 253v, 277v, 336v—337v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 6Ω.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან, მოსე, წიგნსა მეორე სჯულისასა და გამოსულათასა. მცნება ღმრთისაგან. სამართალი მოსესი ა.—მცნება ღთისაგან: თავ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან...“ 44r—56v.

2. «სამართალი ბერძული». „ქ. ლევან ბრძენისა და კოსტანტინესი და სხვათა ჴელმწიფეთა მიერ თქმული. და განწესება სჯულის კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოდცა.—ქ. რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა...“ 57r—118v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ, 1964 წ.

3. «სამართალი სომხური». „ქ. ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედან გარდმოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართლისა...“ 119v—240r.

შენიშვნა: ამ ხელნაწერის მიხედვით სომხური სამართლის ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ლ. მელიქსეთ-ბეგს (იხ. სამართალი სომხური. ქართული ვერსია შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, 1927 წ.).

4. «სამართალი კათალიკოზისა». „ქ. სახელითა ღვთისათა, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიაქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი...“ 241r—243v.

5. «სამართალი მეფის გიორგისა». „ქ. ძეგლისდება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ.—ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავდევით ძეგლი—განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან...“ 245r—253r.

შენიშვნა: ამ ხელნაწერის მიხედვით გიორგი ბრწყინვალის სამართალი გამოქვეყნებული აქვს ი. დოლიძეს (იხ. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957 წ.).

6. «სამართალი აღბუღასი». „შევიყარენით ჭოლთა მინდობილნი ღმრთისანი და აწყურის ღმრთისმშობლისანი და გაქცევისა. დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებელად დავსწერეთ...“ 254r—277r.

შენიშვნა: ამ ხელნაწერის მიხედვით აღბუღას სამართალი გამოქვეყნებულია (იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. «სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა». „ქ. მყოფისა უმყოფისა, არსისა დაუარსისა და მაარსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი-დღე მრევლნი ჰელთა მარგალიტთა შინა, და ჰპოებენ მძივთა რათამე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთასდებენ საუნჯედ პატიოსანთა...“ 278r—336r.

შენიშვნები: 1. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ის სამართლის წიგნი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია (იხ. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი (უძველესი ნუსხა). ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ ი ნ ა ე ნ უ ქ ი ძ ე მ, 1955).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 614).

3. კრებულს წინ უძღვის: ა. მეორედ მოსვლის სცენის ფერადი მინიატურა (1r). ბ. ს. მ ა ღ ა ლ ა ძ ი ს ხელით დაწერილი, გრაფებში მოთავსებული მთელი კრებულის მუხლობრივი საძიებელი (2r—41v).

გ. სამართლის წიგნთა კრებულის შესავალი: „ქ. დასაბამითგანვე დამდებელმან საფუძველთა ქვეყანისათამან...“ (42r—43v).

შესავლის ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია (იხ. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი... 1955. გვ. 8—15).

4. კრებულის მთელი ტექსტი გამოქვეყნებული აქვს პროფ. ი. დ ო ლ ი ძ ე ს (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963 წ.).

(1440) **3684**

ვახტანგ VI, დასტურლამალი. 1842

92 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; გადამწერი იოსებ ნაზაროვი (91v); 1842 წ. (91v); დაუწერელია: 1r—2v, 92rv. ალ. ცაგარლის კატალოგით № 61.

„ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი. შესავალი წიგნისა ამის.— ეჰა, შენ ყოველთა მბადო, დიდება შენდა, რომელმან ყოველნი არაარსნი არსებად მოიყვანენ. იყავ, ხარ და ეგები უკუნისამდე ჟამთა და წელთა დაუბერავობითა და შენ გადიდებენ ყოველნი ქმნულნი ჰელთა შენთანი...“ 3r—91v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემულია (იხ. დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი მეფის ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით. 1886 წ. ტ ფ ი ლ ი ს ი).

2. ხელნაწერის ტექსტი მისდევს გამოცემას. აკლია სადედოფლო დასტურლამალის 42-ე პარაგრაფი.

3. ხელნაწერს მრავლადა აქვს დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს სალექსიკონო ხასიათის მინაწერები.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 698).

ანდერძი: „დასრულდა, დიდება ღმერთსა, ი ო ს ე ბ ნ ა ზ ა რ ო ვ ი ს ა გ ა ნ 1842 წ. მარიამობისათვს 15“ (91v).

(1441) **3685**

ანტონი I, წყობილსიტყვაობა. 1797

129 ფ.; 17,5×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები მთავრულით, სინგურით; 1797 წ. (129r); ალ. ცაგარლის კატალოგით № 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ანტონი I» „წიგნი წყობილსიტყუაობა. ნაწილი **ა.** თჳს ღვთის-მეტყუჱლებისა სამობისა და ერთობისა. თავი **ა.** —

I. ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ,
ზესთ ნათლოვანი ერთობა სამპირებით,
უდასაბამო და უმიზეზო ყოფის...“ 10r—128r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: **ა.** „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი გაიოსის მიერ არხიდიაკონისა...“ (1r—4r).

ბ. „პინაქსი წყობილსიტყუაობისა, ნაწილი პირუჱლი...“ (4r—9v).

2. ერთვის: **ა.** ტრიფილეს იამბიკო. — „ქმნილი მცირისა ტრიფილესგან, დიაკონ-მონაზონისა.—ეს წყობილსიტყუა განკარგულ, ქმნილ-თხზულ-ლექსულ არს ანტონისგან, ყოვლად ბრძნის-ბრძენთ უბრძნესის...“ (128v—129r).

ბ. იმავე ტრიფილეს ლექსი მიძღვნილი ანტონისადმი მის სახელობის დღეს.

„თჳს სახელწოდებისა მისის უწმიდესობისა. — დღე ესე მჰსგავს არს დღისა მეერგასისა...“ (129r).

3. წყობილსიტყვაობა გამოცემულია (იხ. წყობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუჱლისა კათოლიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართუჱლოისა, 1853 წ.).

ანდერძი: „სრულ იქმნა წელსა 1797, იანვრის **ლა**“ (129r).

მინაწერი: [იამბიკო].

„თჳს მამისა ნიკიტა მესტიხისა. —
ნიკიტას ვისმე გვეტყჳან მესტიხესა,
საკჳრუ რიტორსა, მაღალსა მეშაირეს.
აჩვენებენცა, ვითარმედ ამან დიდმან
გრიგორის დიდის ნაზიანზელის სტიხნი
ჩვენებრ გვითარგმნა, კუალად აღგჳხსნა ძნელნი
ამისნი სტიხნი პეტრიწის ლამაზ სტიხთა,
თუ ჰსთქუა — ჰსჯობანცა, მაგრა განსაკჳრელვე
არიან ბრძნულნი, ნუუმე კუალად სხუაცა
სინელისათა გამონი თქმანი რამე
პიიტიკოსთამებრ წესისა ტურფანი“ (129v).

(1442) **3686**

კრებული. XIX

232 გვ.; 21×16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს. I ნახ.]: დაუწერელია: 1, 158, 174, 178—232 გვ.; ალ. ცაგარლის კატალოგით № 63.

1. „ანბანქება კიცხვით შესხმა ბესარიონ გაბაევისაგან ყაფლანისშვილის ჭაბუასა ზედა. —
ათინას აღზრდილს აქებდეთ ალვად, ავნორჩად ასულსა...“ 2—4 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1962, გვ. 96—97).

2. „მუხტაზადი(!) ბესარიონ გაბაონის ძისაგან.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. მე შენი მგონე, ჭირ შემკონე დამწვი ვალალო...“ 5—6 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 44—45).

3. [ბესარიონ გაბაშვილი], „ესეცა მუხტაბაზედ(!) არის თქმული. —
ქ. ბულბულის შურსა შევრდომივარ მუდამ მძახველი...“ 6—8 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 42—43).

4. [ბესარიონ გაბაშვილი], „მუხტაზადი(!). —
ქ. მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა...“ 8—9 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 37—38).

5. [ბ. გაბაშვილი], „მუხანბაზი. —
ქ. მე მივხვდი მაგას შესაბრალებსა...“ 9—11 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 32—33).

6. [ბ. გაბაშვილი], „თეჯნიში. —
ქ. ხმა სირინოს, ლაწვ-ლულამბარ-წინამოს...“ 12—13 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 54).

7. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი. —
ქ. რა გული დავაგენ შენად სარებლად...“ 13—14 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 52).

8. „მუხტაზადი ბესარიონისა. —
ქ. ტანო-ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო...“ 14—15 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 35—36).

9. „ბესარიონისა განექსორიობის ჟამს მუხტაზადი(!).—
ქ. ცრემლთა იხარნი, მოისისხარნი, ჩვენდა არენით...“ 15—17 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 46—47).

10. „მუხამბაზი ბესარიონისგან. —
ქ. სევდის ბაღს შეველ შენაღონები...“ 17—19 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 29—31).

11. „თეჯნიში ბესარიონისაგან. —
ქ. შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი...“ 20 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 55).

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. „დ ა ვ ი თ ა ლ ე ქ ს ი ს ძ ი ს ა თ ქ მ უ ლ ი მ უ ხ ტ ა ზ ა დ ი(!) —
ქ. ჰე მოყვარეო, ზილფნარეო, ნარდიონ გველო...“ 21—22 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ძვ. ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 58—59).

13. [დ ა ვ ი თ ა ლ ე ქ ს ი ძ ე], „მისივე ნათქომი. —
ქ. გრგვ[ი]ნ[ვ]ით ციურნო, მოდით მზიურნო, რა არს სმინება...“ 22—23 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი..., გვ. 59—60).

14. „მ ა რ ი ა მ ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ლ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი მ უ ხ ტ ა ზ ა დ ი(!). —
ქ. ეტრფის მთიებსა შესამკობლად, გული ურვილი,
სწყურის გონებას სამარადოდ მისი სურვილი...“ 24—25 გვ.

15. „მ ე ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი. —
ქ. მოდით მიჯნურნო, მსოფლიურნო, ვინც ხართ დაგულნი...“ 26—27 გვ.

16. „დ ა ვ ი თ ს ა რ დ ლ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი. —
ქ. პირზედ გაქვს ხალი და შავი თვალნი, ნახვა მსურს შენი,
განათლდა არე, მზე ხარ თუ მთვარე, ტურფად ნაშენი...“ 27—29 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, I, 1928, გვ. 267).

17. „მ ე ფ ი ს ძ ი ს ლ ე ვ ა ნ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი თ ა ხ მ ი ს ზ ე დ. —
ქ. რომ განვიცადე ბედკრულმან, გული საკვდავად დარია,
ცნობა მიმხადა მთიებმან, სურვილმან მისმან დარია...“ 29—30 გვ.

18. „ი ო ნ ა მ რ ო ვ ლ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი. —
ქ. შეყრილან ერთად მკრთოლვარენი, უზადოდ მნათნი...“ 30 გვ.

19. [დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი, მ უ ს ტ ა ზ ა დ ი]. —
„ქ. მოი, მთვარეო, შემიბრალე, სახმილს ვზი მწველსა...“ 31 გვ.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1543:40 ხელნაწერის მიხედვით.

20. „ქ. მ ე ფ ი ს ძ ი ს დ ა ვ ი თ ი ს თ ქ მ უ ლ ი. —
ესე ჴელ-ხლება მომენება...“ 32—33 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120).

21. „[დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი]. —
გამიფრინდა სიხარულის ფრინველი...“ 33—34 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118).

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. „ბარამის [გერმანოზიშვილი, ბარათაშვილი] თქმული. —
აფროდიტო, ალმობრწყინდი...“ 34—36 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 225).

23. „იონათამის ნათქვამი. —
ქ. პატკირმი ტესა, ლუსნინმან
აჭკირნ პაიწარა არეგაკან...“ 36—39 გვ.

შენიშვნა: სომხური ლექსი ქართული ტრანსკრიბციით.

24. „საათლამის ნათქვამი მუხამბაზი. —
ქ. დიბისსა ლობდანის ბაზაზიანო,
სირმის აბრეშუმის ყაზაზიანო...“ 39—41 გვ.

25. „საათლამასაგან ნათქვამი. —
ქ. ამისთანა ტყუილი არ გამეგონა,
წაველ ვნახე, კარი ღია მეგონა...“ 41—44 გვ.

26. „მისივე [საიათნოვასი] მუხამბაზი. —
ქ. ჰგალობს თუთის ყაზალახი, ბულბულის ბანი მინდოდა...“ 44—45 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, 1918, გვ. 101).

27. „მისივე [საიათნოვასი]. —
ქ. კოკობო, ძუძუთ გაზრდილო, ცურისაგან ლამაზი ხარ...“ 45—46 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 108).

28. „სავათნამისგან ნათქომი მუხამბაზი. —
ქ. მე საწყალო ჩემო თაო, რა იქენ,
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ...“ 46—48 გვ.

შენიშვნები: 1. სათაურის შემდეგ მიწერილია: „სომეხთ ტერტერა იყო პირველ, ხოლო შემდგომად ბერათ რომ შედგა, მაშინ თქო“.
2. ხელნაწერში ქართული ტექსტის პარალელურად მოთავსებულია ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი სომხური ტექსტი.
3. ლექსი დაბეჭდილია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 107).

29. „სტეფან მკერვლის თქმული (ვეჭობ, ამბობენ რომ პაჭუასგან იყოს ნათქომი. ზოგი ამისი ნათქომია, ზოგი თათრულიდამ ნათარგმნი).—
ქ. მისთჳსა სხვაზედა არ მიწევს გული,
უცხო თვალადია ჩემი მიჯნური...“ 49—50 გვ.

30. „მუხამბაზი მისივე.—
ქ. გულიდამ არა მშურს სული შენთჳნა,
ქვეყნის საქონელი, ფული შენთვინა...“ 50—51 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ი. გრიშაშვილი, საყათნოვა, 1918, 106 გვ.).

31. „მისვე სტეფანეს მუხამბაზი. —
ქ. რა ტურფად გიხდება წარბების ღება...“ 51—53 გვ.

32. „მისივე მუხამბაზი. —
ქ. თვალად ლამაზო, დამანახვე შენი პირი მე,
ნუ მამკლავ შენის სურვილითა, მუდამ ვსტირი მე...“ 53—54 გვ.

33. „მისვე სტეფანეს მუხამბაზი. —
ქ. ხორბლის პირზედ ხალი მავებიანო,
მარგარიტის ქინძის თავებიანო...“ 54—55 გვ.

34. „მისივე მუხამბაზი. —
ქ. ქვეყნის დამჭერი შაჰბაზი(!) შეიქნა, აღარ მინდა,
ყელ-ყური — შუშა შირაზი, შეირაზი შეიქნა, აღარ მინდა...“ 56—57 გვ.

35. „მისვე სტეფანესი თეჯნისი. —
ქ. მისთვის ვიწვი და ვიდაგები მე,
მეტად ლამაზია ჩემი დამწველი...“ 57—58 გვ.

36. „მისვე სტეფანესი მუხამბაზი. —
ქ. რადგან ტანი ალვის ხეს გიგავს, პირზედ ხალები,
დღე და ღამე ჩემს ჯანში მატულობს ბრჭყალები...“ 58—60 გვ.

37. „მისივე სტეფანესაგან თარგმნილი (იბრეიმ ხანის დის ნათქომი). —
ქ. უმიჯნუროს თუნდა მარგარიტი ეყაროს შინა,
ან არა და სამოთხეში მას მისცენ ბინა...“ 60—61 გვ.

38. „ავთანდილ გოჰრა მდივნისშვილის თქმული. —
ქ. ალ ლამაზ უფასო ლალო...“ 61—63 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 210—211). გამოცემაში ავტორად სტეფანე ფერშანგისშვილია.

39. „მდივნის დიმიტრისაგან თქმული. —
ქ. ტრფიალთ დამწველი, ტრფიალთ დამწველი...“ 63—65 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. თუმანიშვილი, ლექსები, 1938, გვ. 54—55).

40. „ანახანუმ დედოფლის დის ბარბარესთან მიწერილი ჭაბუასთან. —
ქ. სიცრუითა დიდებულობ, მზაკვრობით მოგწონს თავი...“ 68 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, I, 1928, გვ. 248).

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. „პასუხი მზეჭაბუკისაგან. —
ქ. ყარაჯაობ ზანგი ჰინდი, რა გიქო შვენიერება...“ 66 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია I, 1928, გვ. 248).

42. [დიმიტრი თუმანიშვილი, ლექსი]. —
ქ. მეკეთა იგი პირ-მანგი, ატმოსფერაჲთ მოცული...“ 67—69 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. თუმანიშვილი, დასახ. გამოც. გვ. 35—36).

43. [დიმიტრი თუმანიშვილი, მუზტაზადი, ვალუფის ხმაზედ]. —
„მნათობთა ზესთა, მცხინვარესა, უქებ არესა...“ 69—70 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. თუმანიშვილი, დასახ. გამოც. გვ. 66—67).

44. [დიმიტრი თუმანიშვილი, თეჯლისის ხმაზედ]. —
„ქ. გიშრის ნავნი შავთა ზღვათა არობენ...“ 70—71 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. თუმანიშვილი, დასახ. გამოც. გვ. 29—30).

45. [დიმიტრი თუმანიშვილი, ქართული ბაიათი]. —
„ქ. სახედ მომცა, მანათა,
ელვარებით მანათა...“ 72—74 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. თუმანიშვილი, დასახ. გამოც. გვ. 41—43).

46. [დიმიტრი თუმანიშვილი]. —
„ქ. ვნახე პირ-მზე, ბაგე-ვარდობს, დალალობს...“ 74—75 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. თუმანიშვილი, დასახ. გამოც. გვ. 39—40).

47. [დიმიტრი თუმანიშვილი, თეჯნიში]. —
„ქ. ვაშა მას დღეს, როს განმეღო ცის კარი...“ 75—76 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 64—65).

48. [დიმიტრი თუმანიშვილი, გოჰარის ხმაზედ]. —
„ქ. მომაშორვა სვემან მზეს მცხინვარესა...“ 76—77 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 62—63).

49. [ანბანთქება]. —
„ქ. ალვეტრფი ბუნებ, გულ დასადუმებ ელავს ვინა ზე წესრეთ...“ 78 გვ.

50. [დიმიტრი თუმანიშვილი, ანბანთქება]. —
„ქ. ამარტა ბაგე გულის დამდაგე...“ 78 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 94).

51. „ყაფლანიშვილის ვახტანგისაგან თქმული. —
ქ. აჰა ამბად ალვამაღლოთ აწ ალვისა აღნაგობა...“ 78—81 გვ.

52. [პეტრე ლარაძე]. —
„ქ. ალალებს ბაგებს, გულდასადაგებს, ელვარეს ვფუცავ
ზე ჭეთერულად...“ 81 გვ.

53. „ბაბაშვილის იოსებისაგან თქმული. —
ქ. ალკაზმე არე ასპიროზ, ამარტა ასხად აგეა...“ 81—84 გვ.

54. „ეს ერთი შაირი მეფის ვახტანგისაგან არის თქმული, ყოვლის ლექსის თავსა და ბოლოს იგივე ასო იგივეობს. —
ქ. არა ბრძანებ გიორგ დედად ესე ვიყავ ზეზ ჭეთერად...“ 84—85 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, 1947, გვ. 61).

55. „დიდის ანტონის კათალიკოზისაგან თქმული. —
ქ. აჭვირვებს ადენს ალებსა, ალმასი აელვებული...“ 85—87 გვ.

56. „იამბიკოდ თქმული, რომლისა კიდურ-წერილობაა ესრეთ: უგანათლებულესს მეფის ძეს იოანეს უძლვნი მდივანი დიმიტრი თუმანოვი. —
უზადო თვალი ლალსა ეთჳს, ეზავა...“ 87—88 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. თუმანიშვილის დასახ. გამოც., გვ. 53).

57. „მეფის ძის იოანეს ნეტარსახსოვარისაგან თქმულნი მუხტაზადი(!). —
ქ. სახედ გაქუს ხატი დანახატი, მჭვრეტელს ხდი სოფლით...“ 88—90 გვ.

58. „მუხამბაზი სეგასი, მისგანვე მეფის ძისა. —
ქ. მარგალიტი სადაფ შინა მჩენარე...“ 90—91 გვ.

59. „ფას მუხალიფის თასნიფზედ ნათქვამი ქაფარ ბარუხეთ ვალეილზედ მისგანვე მეფის ძის. — დისკო მზისგან საჩენად...“ 92—93 გვ.

60. „მისვე ფას მუხალიფის თასნიფზედ გულდარ ჩამანდარაიზედვე ნათქომი მის მიერვე მეფის ძის. —
ზედვე ნათქმი მისგანვე...“ 93—94 გვ.

61. „ფას მუხალიფისავე თასნიფზედ ანგირჩირაიიზედ მისგანვე მეფის ძისგან თქმული. —
ზესთა ზეო, მაღრიბ მზეო,
ცეცხლსა მიგზებ კერაზეო...“ 94—96 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

62. „მისგანვე მეფის ძის იოანესგან თქმული. —
სურს მარად გულსა, დადაგულსა, ამბავთ სმენისა...“ 96—98 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის სათაურის წინ მიწერილია: „ჩემს პეტერბურღს ყოფასა შინა მივსწერე შინა ჩემს სახლში, რომელ მოეწერათ ხუმრობა დავიწყება თავეთი ჩემგან და სხუათა თანა მუსაიფობა. მივსწერე ესრეთ მეფის სძალს ქეთავანს: რასტის ხმაზედ არის თქმული თასლიბი“.

2. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 143—144).

63. „ოდეს სანთურს ვსწყალობდი, მაშინ ვსთქვ ჩანგა მუხალიფის თასლიფზედ ბალიარიმან ამინეს. ამ ხმაზედ ქართულად მეფის ძემ იოანემ შეადგინა.—
ინდისა მთვარის ჩინება,
ნამისა ცურვით დინება...“ 98—100 გვ.

64. „ანბანთქება ოთხ ტაეპსა ზედა ლარაძე პეტრე ყარიბისაგან თქმული. —
ალვა ბუთკი გულსა დალად, ერხევ ვარდად, ზრო ჴელვობით...“ 100 გვ.

65. „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული ბაიათზედ. —
ქ. ვიწყო წერა მაჯამით,
დაშვრეს ჩემი მაჯა მით...“ 100—101 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 15). გამოცემასთან შედარებით ხელნაწერის ბოლო 2 სტროფი განსხვავებულია.

66. „მისივე ნათქუამი დუბეითზედ. —
ქ. სახე შენი მე მოხევა, მებადა...“ 101—102 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოცემა, გვ. 3). სტროფები გამოცემასთან შედარებით გადაადგილებულია.

67. „მისივე ნათქვამი; მეფის ძეს ბაგრატს მისწერა, ვაჟი შვა მისმა მეუღლემ ეკატერინემ მოსკოვს. —
ქ. მუზნო ვლიდით, ისწრაფდით, მზე შინ შემოდიო...“ 102—104 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოცემა, გვ. 104—105).

68. „ამისივე ნათქვამი თეჯნისი. —
ქ. არვის ჰმართებს ვის ვარდისა მიხვედრა...“ 104—105 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ქავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 9). გამოცემასთან შედარებით ხელნაწერს ბოლოს მიმატებული აქვს 9 სტრიქონი.

69. „ალექსანდრეს თქმული კნეინაზედ. —
საწუხმან ხმამან, საწყინოდ კმამან, მამცნო მთოვარის განლეულება...“ 106 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 115).

70. „კნეინა დარია მოიპატიჟა სადილად და მისწერა ლექსი ესე მეფის ძემ იოანემ. —
ქ. მოვედ დარიავ, სახითა დიავ...“ 106—107 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 144—145).

71. „ბესარიონისაგან გაიოზისზედ ნათქომი, ოდეს ბატონიშვილმან მირიან დაჰპატიჟა სადილად და გაიოზ ადრე მიელო სადილი და ვეღარ ეწვია ამის მიზეზით, ბესარიონ მისწერა ლექსი ესე. —
მაღალ ღირსებას ჭამადი მსუყე მძიმედ მოსვლია, ვით მიწა უყე...“ 107—108 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ბესიკი, თხზულებანი... 1962, გვ. 95). გამოცემის ბოლო ორი სტრიქონი — „ამისგანავე ტაეპი“, ხელნაწერში არ არის.

72. „ვოლტერის მიერ თქმული, ოდეს კვდებოდა და სჳნიდისად მოვიდა. მეფის გიორგის ძის იოანესაგან თარგმნილი ქართულსა ენასა ზედა რუსულით. —
ჵი, ღმერთო, ვის ვერ ვინმე მიგწთომიეს ჯერეთ ცნობად...“ 108—109 გვ.

73. „მუხამბაზი მეფის ძის იოანესაგან თქმული. —
ოდეს გიხილე, კმა ვიქმენ შენით...“ 109—110 გვ.

74. „მელიქის ძმის ღვთისწყალობის ნათქვამი მუხამბაზი. —
ქ. აბა ჩემო რამანე, წიგნი სწერე სწორები,
ჰაზრები გამოცვალე, სიტყვები სთქვ[ი] ორები...“ 111—113 გვ.

75. „თქმული მეფის ძის ილიასაგან. მუხამბაზი. —
ქ. სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები...“ 113—115 გვ.

76. „თქმული საქართუჱლოს მეფის ძის იოანეს ძის გრიგოლისაგან ანბანთქებაზე: ვისი ყმა ხარ, ან სად მიხვალ, ან მშვილდი რისა გაქვს, ან რას მოჰკლავთ. წამკითხველნო, თუ რამე შეცთომა ნახოთ, გთხოვთ შენდობას. —
ქ. ათინას ბრძნულად გაზდილი, ანგლიად ვლიდი არესა...“ 115—127 გვ.

77. „მისივე თქმული გამოცანა. —
1. ქ. სიბრძნედ კმა არს, ვინც გამოცნობს ნივთსა ამას სახელდებით...“ 127—128 გვ.
2. „ქ. კვლავ ამის კვალსა შემდგომი ბრწყინავს პირ-ბადე ბურვილი...“
3. „ქ. მათ შჳლად აღსარებულთა, მრავალთა, დაუთვალავთა..“

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მოცემულია სამივე გამოცანის ახსნა: „1. მზე, 2. მთოვარე და 3. ვარსკულავნი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. „მისივე თქმული ჰელმწიფის ძმის მოძღვრის ქალზე შაინაზე, ითქმის შაფშურმასავით. —

ქ· შვიდ მთიებულად, გაბადრებულად, კრონის უმჯობე აღბრწყინვე-ბული...“ 129—131 გვ.

79. „მისივე თქმული სტეფან პავლიჩსზე მუშრიბოვზე. მუხამბაზი. —

ქ· სტეფანე, ჭიანურზე მუღამები დაიწყე,
რუსეთში წასასვლელად გუდა შარათ გაიწყე...“ 131—135 გვ.

80. „ლარაძე პეტრე ყარიბისაგან თხზული დავით ბატონის-შვლის ლექსის მიერი. —

დროცვლილო ბულბულო, იგლოვდი მწარედ,
ყეფა განამრავლე ვისა და ვისა...“ 136—137 გვ.

შენიშვნა: H—2130:61 ხელნაწერში ამ ლექსის ავტორი გრიგოლ ბატონიშვილია.

81. [სოლომონ რაზმაძე], „მის პატიოსან ღირსებას მღუდელ-მონაზონს მამა იონას. —

მაღლისა ძეო, სიბრძნისა მზეო, ვნებათა მძლეო, ეშმაკთ მთრგუნელო...“ 137 გვ.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S კოლექციის № 254 ხელნაწერიდან.

82. „თქმული იოანე პეტრიწ ფილოსოფოსისაგან. — ცოფი-ყოფაჲ რისხვათა შინა დედათა არს თჳსება, ხოლო კბენა და განგრძობა რისხვათა არს თჳსება მჴეცთა და იგიცა არა ჩინებულთარე მხეცთა, იტყჳს სენაკა.

იამბიკოდ
ცოფი-მყოფელობა რისხვათა შინა ფრიად,
დედათ თჳსება გამოსთქუჱს ფილოსოფოსთ...“ 138 გვ.

83. „მე მეცნავ ვარ რიცხვთა ქჳშათასა და ზომასა, სლვათასა ვიმეცნებ უტყვთაგან, და ვისმენ არ მოუბნართაგან, არა მყოვარ დასწყლეს გრძნობანი ჩემნი ყნოსამან ზრქელ-ტყაოსნისა რკუჲსამან, რომელიცა იხარშჳს თანად ხორცთა ტარგთასა, — რუალი ქვე გებულ არს და რუალი ზე ებურვის მათ.

იამბიკოდ.
მე მეცნავ ვარო, მსიტყველობს იგი ესთა,
რიცხვთა ქჳშათას და ზომასა ზღვათასა...“ 138—140 გვ.

84. „იამბიკონი ქებანი პეტრიწისა. —
ა. ორთაგან ერთი უეჭველად თანა გვაძს:
ან ფილოსოფოს ყოფად სიბრძნის მოყვარედ...“ 140—143 გვ.

85. [ა. პუშკინი], „კავკასიის ზუავი. —
ზჳრთნი ხმოვანნი, აღქაფებულნი...“ 144—146 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ლექსი თარგმნილია ალ. ჭავჭავაძის მიერ. 2. გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 141—142). გამოცემასთან შედარებით ლექსის ბოლო ორი ტაეპი განსხვავებულია. 3. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიერ თქმული“.

86. [ა. პუშკინი], „მისგანვე ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თქმული. ყვავილი. —
ყვავილი მხმარი, სუნ-მილებული...“ 146—147 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოცემა, გვ. 137).
2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ალ. ჭავჭ.“

87. [ა. პუშკინი], „ანჩარ. —
უდაბნოს მწირსა და განხრეკილსა...“ 147—150 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოცემა, გვ. 147—150).
2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ალ. ჭავჭავაძე“.

88. „მისგანვე თქმული ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ. [გოგჩა]. —
გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვსა მბაძავი...“ 150—153 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 92—93).
2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ალექსანდრე ჭავჭავაძე, წელსა ჩყმა, მარტსა“.

89. „იამბიკო. ესე, თქმული რუსთაველისა მიერ, ზედაწარწერილ არს ხატსა ზედა ხახულისა ღისმშობელისასა. —
ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო,...“ 154 გვ.

90. „თამარ მეფისაგან იამბიკო ხახულის ღვთისმშობლის ხატისა. —
ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,
ძე საუკუნოსა პირველი და კვალადი...“ 155—156 გვ.

91. „იესო ქრისტეს ჯუარცმაზე თქმული პეტრე ყარიბისაგან. —
იესო ჩემო, ღმერთ-მამა-კაცო სრულო...“ 156—157 გვ.

92. [ისაკ მცირე], „პირველი ომი კატისა. —
ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუა წინ წამოდგა ნაზად კატა...“ 159—173 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწილობრივ გამოქვეყნებულია (იხ. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, 1928, გვ. 232—237).
2. პოემის ავტორის შესახებ იხ. ტ. რუხაძე, „XVIII საუკუნის ქართული სატირის ისტორიისათვის“: საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს, 1959, გვ. 295—303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

93. „დ ე რ ჟ ა ვ ი ნ ი ს ნ ა დ ი რ ო ბ ა. —
1. მე ვიყავ მკვირცხლი ყრმა კაცი, მოყვარე ნადირობისა...“ 175—176 გვ.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „ეს ლექსი მათის უგანათლებულესობის მეგრელთა მთავრის დ ა დ ი ა ნ ი ს ძის გ რ ი გ ო ლ ი ს მიერ ნათარგმნი და გალექსილი დ ე რ ჟ ა ვ ი ნ ი ს ლექსებიდამ.

წარსულს კვირაში რომ ვახლდი თქვენს უგანათლებულესობას, ქაღალდები კი ვეღარ მოვიგონე თან წამომეღო, და ზეპირ რაც მომაგონდა, ეს თქვენ მიერ გარდამოღებული და გალექსული. თქვენი ბიძა მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ“. 1837. II.15. დავსწერე და მოგართვი სანკტპეტერბურგს“.

94. „ო ც ნ ე ბ ა. —
სად არიან, ოცნებაო, ის დრონი ჟამნი,
ოდეს ხმა ზესთა მუნ მესმოდა ჯერეთ უსმენი,
ვჭურეტდი ცას განხმულს იქ მღვთაების საყდარზე ასე...“ 177 გვ.

შენიშვნა: ლექსის ტექსტი მოტანილია მთლიანად.

95. [ს ო ლ ო მ ო ნ მსაჯულის ნათქვამი და დ ა დ ი ა ნ თ ა ნ მიწერილი]. —
„დადიანო გიგი(!) ნიკო,
ტურა-მელის კუდის რიკო...“ 177 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 167).

96 [ნ ი კ ო გ ი ო რ გ ი ს ძ ე დ ა დ ი ა ნ ი], „პასუხი. —
დ ა დ ი ა ნ ი ს ძის ძე ნ ი კ ო...“ 177 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 167).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 367).

3. ხელნაწერში მრავალი შეცდომაა. გადამწერი სისტემატურად წერს: თეჯნიში, მუხტაზადი და სხვ.

(1443) **3687**

კრებული. XIX

66 ფ.; 20,5×16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 62r—66v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 64.

1. „მ ო თ ხ რ ო ბ ა წ მ ი ნ დ ი ს ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ი ს ა. — ვახტანგ დიდისა, ზედწოდებით გურგასლანისა, კეთილმსახურისა მეფისა სრულიად საქართველოისა და შთამომავლობით ხოსროიანისა, ძეთაგან მისთა მეშვიდემან წარმოებულმან კეთილმსახურმან სტეფანოზ, მთავარმან ქართლისამან, რომლისა მთავრობისა დროსა იქმნა მსოფლიო კრება მეექუსე კოსტანტინეპოლსა შინა...“ 1r—11r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ერთვის ა ნ ტ ო ნ ი ს იამბიკო. მისი სრული ტექსტი იხ. აქვე, S—3638, 3 შენ.

2. „მ ო თ ხ რ ო ბ ა წ მ ი ნ დ ი ს ა ლ უ ა რ ს ა ბ მ ე ფ ი ს ა. — გიორგი მეათემან, კეთილმსახურმან მეფემან ქართველთამან დავითიან-ბაგრატოვანმან, ძემან სიმონ დიდისამან, შობილმან კახთა მეფისა ლეონ დიდისა ასულის დედოფლისაგან, იქორწინა ჩინებულისა მთავრისა ლიპარიტიანისა ასულისა თანა თამარისა წესითა ქრისტიანებრივითა და ამათგან ძე ღვთისა სათნო და ღვთისაგანვე გამორჩეული დედის მუცლიდგანვე მეორე ლუარსაბ მეფე ქართლისა. ესე ლუარსაბ აღზარდეს მშობელთა მისთა...“ 11v—39v.

შენიშვნა: ერთვის ა ნ ტ ო ნ ი ს იამბიკო. სრული ტექსტი იხ. აქვე, S—3638, 2 შენ.

3. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ ა წ ა მ ე ბ ა შ უ შ ა ნ ი კ დ ე დ ო ფ ლ ი ს ა. — ესე დედოფალი შ უ შ ა ნ ი კ იყო ასული სპასპეტისა, სომეხთა ნათესავისა, სახელად ვ ა რ დ ა ნ ი ს ა, შთამომავლობით პართისა და ასულისაგან ი ს ა ა კ დიდისა, სომეხთ მამამთავრისა...“ 40r—61v.

შენიშვნები: 1. ერთვის ა ნ ტ ო ნ ი ს იამბიკო. სრული ტექსტი იხ. აქვე, S—3638, 4 შენ.

2. ხელნაწერი წარმოადგენს ანტონ I მარტირიკის გამარტივებულ და გადაკეთებულ რედაქციას. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ა ჲ შ უ შ ა ნ ი კ ი ს ი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1938, გვ. 07—08.

(1444) **3688**

კრებული. 1842

62 ფ.; 21,5×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; გადამწერი: იუსტიანე ივანოვი (55v); 1842 წ. (55v); დაუწერელია 62v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 65.

1. [მ ი რ ი ა ნ ი]. „კარი პირველი, დასაწყისი მაშრიყის ჴელმწიფის ხ ო ს რ ო ვ შ ა ჰ ი ს ა და შვილისა მისისა მ ი რ ი ს ა საამოდ სასმენელი. — იყო ჴელმწიფე ერთი ჩინეთის ქალაქსა შინა ხოსროვ შაჰ, განძმრავალი და ყოველთა ზედა ძრიელი...“ 1r—55v.

შენიშვნა: ამ თხზულების შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., 334—337 გვ.

2. [ო დ ე ვ ს კ ი, ვ ა რ დ ი და ბ უ ლ ბ უ ლ ი]. —
„ვარდო, რათ ხარ თავდახრილი?
რად მარიდებ პირსა მშვენსა...“ 56r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ლექსი თარგმნილია ალ. ჭავჭავაძის მიერ (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 151).

3. [ლექსი]. — „ბუნდოვანს გულს შენ ალმიჩნდი დარადა,
აწ არ უწყი, რად გამწირე დარადა...“ 56v.

4. [ლექსი]. — „გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა,
დღენი ჩემნი წარველ ბნელად და ბ[ნ]ელად...“ 57r.

5. [ლექსი]. — „მივალ ფრენითა, არ დასვენითა,
ავათ შევქნილვარ მძიმე სენითა...“ 57v.

6. [ლექსი]. — „გემი ზღვაში არ რჩება, სული გვამში არ რჩება,
ჩემს სიკვდილს არა ვჩივი, სიყვარული სხვას რჩება...“ 58r.

7. [ალ. ჭავჭავაძე, მივე ლწალკოტს სანუგეშოთ]. —
„მიველ წალკოტს სანუგეშოთ, გლახ ჩემს გულს სევდა ესია...“ 58v.

შენიშვნა: დაბეჭდილია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი... გვ. 106).

8. [ლექსი]. — „შორით მტრფიალსა სევდა მრთომია,
ვით არ გეწყალვი, ფერნი მკრთომია...“ 59r.

9. [ლექსი]. — „ჯეელ კუპეწ იოსებო, შავი მიწის მდებარე,
ვერ გავძელ მზის ყურებით, სულიც ღმერთს მივაბარე...“
59v—60r.

10. [ლექსი]. — „ჰოი, ვის უძლვნო ქებანი,
მომცეს გულის შვებანი...“ 60v.

11. [ლექსი]. — „მსურს გიანბო ჭირნი ჩემნი
ტრფიალმან, ჰოი, საყვარელო...“ 61r.

მინაწერი: ლექსის ბოლოს სხვა ხელით მიწერილია: „საყვარლის მაგივრათ რომ სხვა სიტყვები გეხმარებინა, ამის დამწერო, უფრო მოუხდებოდა“.

12. [ილ. ჭავჭავაძე, გაზაფხული]. —
„ტყეს ესხმევა ფოთოლი,
აგრე(!) მერცხალი ჭყივის...“ 61r.

შენიშვნა: ეს ლექსი სხვა ხელით, უფრო გვიან არის მიწერილი. ლექსი უკანასკნელად დაიბეჭდა 1960 წ. (იხ. ჩვენი საუნჯე, ტ. VII, გვ. 29).

13. [ლექსი]. — „საკურველი(!) სალხინუა სოფელი,
მაგრამ დიდი, ცრუ და წუთის-მყოფელი...“ 61v.

14. [ლექსი]. — „რა ბულბულმა ვერ იხილოს თვის ვარდი,
სტიროდეს მუდამ ჰქონდეს სევდა და დარდი...“ 62r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი: „ჩყმბ-სა, გიორგობის კე-სა დღესა გადმოვწერე ეს წიგნი მე ჩემ-თვის. შემდგომ ჩემსა ვისაც დარჩეს, შენდობა მითხრას. ი უ ს ტ ი ნ ე ი ვ ა ნ ო-ვ ი“ (55v).

მინაწერები: ზემო ყდის შიდა მხარეზე და 58r-ზე.

(1445) **3689**

დავრიშიანი. 1840

100 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; გადამწერი გიორგი მაისურაძე (97r); 1840 წ. (97r); დაუწერელია: 1v, 97v—100v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 66.

„დ ა ვ რ ი შ ი ა ნ ი. კოსტანტინეპოლის ჴელმწიფის უშვილობის მოთ-ხრობა, თუ ვითარ შეწუხებული იყო. — იყო ჴელმწიფე ერთი კოსტანტინეპოლ-სა შინა მორჭმული და გამდიდრებული, ყოველს ქვეყანას სახელ-განთქმული. არა იყო გულსა მისსა შეჭირვება...“ 2r—97r.

შენიშვნები: 1. ტექსტი შეიცავს 7 კარს.

2. ტექსტი ცოტაოდენი ცვლილებებით და შემოკლებით ორჯერაა გამოცე-მული — 1876 და 1890 წწ. მისი მოკლე შინაარსი გამოცემულია (იხ. А. Х а-х а н о в, Очерки, III, 155—162 გვ.).

3. ტექსტის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ის-ტორია, ტ. II³, გვ. 337—338.

ანდერძი: „გადავწერე გ ი ო რ გ ი მ ხ ა ტ ვ ა რ მ ა მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ წელსა 1840-სა, ნოემბრის 22-სა“ (97r).

(1446) **3690**

მიხითარ სევასტიელი, რიტორიკა. XVIII

152 ფ.; 16×10,5; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; მხედრული, სა-თაურები მთავრულით; [XVIII ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 67.

[მ ი ხ ი თ ა რ ს ე ვ ა ს ტ ი ე ლ ი], „თ ჳ ს ჴ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა ს ა რ ი ტ ო-რ ო ჲ ს ა (ესე იგი სამჭევრმეტყუელებისა), წიგნი ა. თჳს საზღურისა სამჭევრმეტ-ქუოისა და წუალებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა. — მჭევრ-მეტქუჱობა, რო-მელიცა ითქმის რიტორებად, არს ხელოვნება საკეთილმეთქუო...“ 9r—149r.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. თავფურცელი: „მ ი ხ ი თ ა რ, ყოვლად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა, ს ე ვ ა ს ტ ი ე ლ ი ს ქმნილი რ ი ტ ო რ ი კ ა, სარგებე-ლად შრომათა(!) სხოლის შინათა, ქართულსა ჴმასა ზედა გარდამოღებით შრომი-ლი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა უკეთილმსახურესისა, ყოვლად უბრწყინუალესისა და უმაღლესისა მეფისა ი რ ა კ ლ ი მეორისა, ყოვლისა საქართუჱლოჲსასა მამათმთა-ვრობასა ა ნ ტ ო ნ ი ს ს ა. წელსა დასაბამითგან სოფლისა 7172, ჴორციელად შო-ბითგან სიტყჳსა ჩ~სა 1764, თთუჱსა მეშჳდესა, რიცხუსა 10“ (3r).

ბ. „წინასიტყუაობა ეპისტოლე, მიწერილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ... ი რ ა კ ლ ი ს მიმართ...“ (3v—8v). (ანტონის ეპისტოლეს ტექსტი იხ. H კოლექციის „ხელნაწე-რთა აღწერილობის“ I ტ., № 256, გვ. 183—184).

2. ერთვის: „პინაქს-სიტყვაობა სარიტოროჲსა ჴელოვნებისა (ესე იგი სამ-ჭევრმეთქუოჲსა)...“ (149v—151v).

მინაწერები: 1. „ქადაგებაში უნდა შვიდი რამ ჩნდეს:
ქ. წინადადება,
ქ. მიზეზი,
ქ. შემსგავსება,
ქ. განრემზომი,
ქ. მაგალითი,
ქ. მოწმობა,
ქ. მტკიცეთ დამტკიცება“ (152г).

2. მინაწერი მოთავსებულია აგრეთვე 2гv.

(1447) **3691**

ყარამანიანი. XVIII

245 ფ.; 21×15; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თავნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; თავსამკაული: 244v; გადამწერი: თომა ჩაჩიკაშვილი (123г); [XVIII ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 68.

[ყარამანიანი]. — „...რაინდს და ქეთანშას ხელზედ აკოცა. მერე ლხინსა და ნადიმს შეექცნენ...“ 1г—245v.

წყდება: „...მრავალს ვეცადეო და იმისი ხელისაგან მორჩომის წამალი ვერ დავადეო. ჩემის სიცოცხლის დასასრულში ღვთისაგან ერთი მოწყალება დამემართაო...“.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი შეიცავს „ყარამანიანის“ ტექსტის V—VII კარებს.

2. ხელნაწერის ტექსტი გამოცემისაგან ვარიანტულად განსხვავდება (შდრ. ლაზარევისა და ნ. კობალაძის გამოცემა, 1875 წ.).

3. ხელნაწერის 63г და 66v მოთავსებულია რვაკუთხოვანი პატარა ზომის ბეჭდები მხედრული ლეგენდით: „მონა ღ̃თისა ნიკოლოზ“.

ანდერძი: „განსრულდა უშანგ ხელმწიფისა და რაიაზამ ჴელმწიფის ანბავი ხელითა ჩაჩიკას ძის თომასაგან. ღმერთო მშვიდობა მოე“ (123г).

მინაწერი: 1. „ეს წიგნი მისის უგანათლებულესობის მეფის ასულის რივსიმასია. წელსა 1812-სა, სეკდენბრის 1-სა დღესა და შეიკრაცა წიგნივე ესე სანკტპეტერბურხს. ღმერთმან მშვიდობასა და ბედნიერებაში მოახმაროს“ (ზემო ყდის შიდა მხარე);

2. „Княязь Чолокаев“ (ზემო ყდის შიდა მხარე). მინაწერები და ადამიანთა სახეების მოხატულობა (245гv და ქვემო ყდის შიდა მხარე).

(1448) **3692**

სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა. 1843

117 ფ.; 21×16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1843 წ.; (116г); გადამწერი იოსებ ნაზაროვი (116г); 1843.I.18 (116г); დაუწერელია: 1v, 116v—117v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 69.

„წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა. — იყო ჴელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავისგან მოიგონების, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან ეგეოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა მისსა...“ 2r—116r.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნასწორებია, ზოგი გვერდი მთლიანად გადახაზულია ამ ტექსტის პირველი (1859 წ.) გამომცემლების მიერ (იხ. ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. I, 1959, გვ. 268. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ).

2. ტექსტი პირველი რედაქციისა (იხ. დასახ. გამოც. გვ. 268).

ანდერძი: „დასრულდა წიგნი ესე ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ვ ი ს ა გ ი ო რ გ ი მ ა ი უ რ ა ძ ი ს თხოვნით. ნუმცა დასრულდება სიკეთე-კეთილმოქმედება მისის ბუნებიდამ, და ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს ჩემ მიერ ნაღვაწი, მ ე ი ო ს ე ბ ა რ ტ ე მ ი ს ძ ი ს ნ ა ზ ა რ ო ვ ი ს ა გ ა ნ წელსა 1843, იანვრის თვრამეტსა დღესა. ამინ“ (116r).

მინაწერი: «№ 1223—20 ноября 1858 года. Басни Саба Орбелиани на грузинском. На основании отзыва факультета Восточных языков С. Петербургского Университета, печатать позволяется с тем, чтобы по напечатании представлено было в цензурный комитет узаконенное число экземпляров. Петербург, 30-го ноября 1858 г., цензор А. Ф р е й г а н г» (1r).

(1449) **3693**

კრებული. XIX

97 ფ.; 21×16; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი 1814 წ.; დაუწერელია: 1r—9v, 35v, 39rv, 90r—97v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 70.

1. „კ ა რ ი პირველი ი ო ს ე ბ ი ს ა და ზ ი ლ ი ხ ა ნ ი ს გამიჯნურებისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნილი ბატონის მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ. —

არსებით ვიტყვი ცნობილსა სამებით შეერთებულად,
ბუნებით განუყოფელად, სამებით ერთუფლებულად,
განსწავლი, გმონებ ერთუფლად ღვთაებას შერთებულად,
და იგი გვზრდის, გვფარავს ყოველთა, მის მიერ ქმნილთა კრებულად...“
10r—35r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, 1934, გვ. 60—98).

2. „ა მ ბ ა ნ ი თ ქ ე ბ ა სამღთო, თქმული ბატონის მ ე ფ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ. —

აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო,
აერთო ზედან საყდართა დიდებით დამკვიდრებულო...“ 36r—38v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, დასახ. გამოც. გვ. 149—154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „ბრძანებითა ღთისათა, კარი პირველი, ლეილ-მაჯნურის ამბავი სპარსულად ნათქვამი და ქართულად გადმოთარგმნილი ბატონის მეფის თეიმურაზისაგან. —

ღმერთო, რომელი თჳთ სიბრძნით ხარ სიბრძნის მომცემელობით,
არსისა არა არსისა სიტყვით დამბადე მქმნელობით...“ 40r—62r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. თეიმურაზ პირველი, გვ. 24—59).

4. „კარი პირველი ბარამისა და გულანდამის, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული ბრძანებითა ქართველ მეფის ვახტანგისათა. — იყო ქვეყანასა ურუმელთასა ჴელმწიფე ქიშვარ ზნეუკლებელი, მორჭმული და სიმდიდრისაგან ამაღლებული...“ 63r—89v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. I, გვ. 548).

2. ტექსტი მოკლე რედაქციისა (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II³, გვ. 306—311).

მინაწერი: „სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის ადამიანს,
მოვახსენებ ბრძენსა ჭკვიანს, არ ვამხილებ გიჟ-ბნედიანს.
ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს,
დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში მისცემს ზიანს“ (89v).
„ჭირსამცა მოსჭამს მას ასი სული, ვისაც სწორე აქუს ენა და გული“ (89v).
„ამ ლექსის მთქმელო, შეგირცხვა ენა“ (89v).

(1450) **3694**

საპოლეტიკო თეატრონი. 1828

272 ფ.; 23,3×18,3; ქაღალდი; მუყაოს წითელ ტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა, შიგნიდან აბრეშუმგამოკრული; მხედრული; სათაურები მთავრულით; 1828 წ. (270v); გადამწერი: ალექსისშვილი ტარასი სოლომონის-ძე (270v); სანკტპეტერბურლი (270v); დაუწერელია: 1rv, 271r—272v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 71.

„საპოლეტიკო თეატრონი ანუ საყოფაქცეო სახილუჱლობა, რომელსა შინა შეკრებულ არიან უაღრჩეულესნი განზრახუანი, თუ რაჲ უხმს ქმნად და რაჲსაგან ლტოლუად თანამდებ არს მთავარი. თავი პირუჱლი. — ვითარმედ მთავარსა თანა-აძს, რათა განატაროს ცხოვრებაჲ თჳსი პატიოსნებით, რამეთუ მას შეუდგებიან ჴელის ქუჱშენი მისნი, ვ~ირა აჩრდილი გუამსა, თუმცა თითოეული კაცი თანამდებ არს, რათა გარეშეიცჳდეს სათნოებასა, ვითა ბუნებით სასურველსა...“ 8r—270v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „საპოლეტიკო თეატრი, ესე იგი საყოფაქცეო სახილუჱლობა, თარგმნილი ლათინურისაგან ელლინურსა ენასა ზედა უმაღლესის და ყოვლად ბრძნისა უნგროვლახიის მთავრისა ნიკოლაოს მავრო კორდატოვისაგან, რომელიცა პირუჱლად გამოიცა ტიპოგრაფიით და მიეძღვნა ძესა მისსა ღ~თისმსახურსა და ყოვლად ბრძენსა, ძესა მისსა უმაღლესსა მთავარსა უნგროვლახიისასა უფალსა კონსტანტინეს, ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაოზის ძეს მავროკორდატოვსა წარსაგებელითა უჩინებულესისა და სამეუფოჲსა მონასტრისა ყოვლად წმიდისა ღ̃თისმშობელისა კიკკოდ წოდებულისა, რომელიცა არს ჭალაკსა შინა კიპრიისასა (ადგილი ბეჭდისა, ხატი ყოვლად წმიდისა ღ̃თისმშობლისა კიკკოს მონასტრისა), შრომითა და გულსმოდგინებითითა მეცადინობითა ყოვლად ღირსისა და უკეთილჰსწავლულესისა უფლისა სერაფიმ პისიდიელისათა, მისვე სამეუფოსა მონასტრის არხიმანდრიტისათა. დაიბეჭდა იოანეს მიერ ვოტტლოპ ემმანუილ პერითკოპისა საქსონიისა ქალაქსა შინა ლეფსიას 1758, **ჩღნჱ** წელსა.

ხოლო ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებულ იქმნა ტფილისს, იერუსალიმის მონასტერსა შინა ეკკლესიასა პატიოსნისა ჯუარისასა არხიმანდრიტის ვენედიქტესაგან და შეწყობილ იქმნა ქართულსა ენასა ზედა იესეს ჩუბინოვისაგან, რადგანაც ვენედიქტემ ქართული არ იცოდა[1]. წელსა 1817 **ჩყიზ**“ (2rv).

ბ. სერაფიმ პისიდიელის მიმართვა უნგროვლახიის მთავრის კონსტანტინესადმი: „უმაღლესო და უაღმატებულესო ღ̃თის მსახურო მთავარო, მოწყალეო ჴელმწიფევ! მრავალნი უკუჱ არიან მიზეზნი, რომელთა გამოცა წიგნი ესე...“ (3r—4v).

გ. [მიმართვა] „კითხჳს მოყუარეთადმი. — უკეთუ ვინმე სიხარულით კმაყოფილ იქმნების აღმოკითხუასა ზედა რომლისამე ძუჱლთა კაცთა ანუ სახელოვანთა ფილასოფოსთა ისტორიისასა, რაოდენ უმეტეს მიიღებენ სიხარულსა და შესაძინელსა სიპოლეტიკოჲსა ამის თეატრისაგან...“ (5rv).

დ. „პინაქსი“ (6r—7v).

ანდერძი: „აღიწერა ბრძანებითა მათის უგანათლებულესობის საქართუჱლოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზისათა ტარასის მიერ მღუდელ-მონაზონისა, სოლომონის ძის ალექსისშვილისა, სანკტპეტერბურღს, წელსა 1828-სა, მარტის 29-ს“ (270v).

მინაწერი: „ეს საუცხოვო წიგნი თანა მქონდა გერმანიაში წელსა 1836-სა“ (ქვემო საც. ფ. r). მინაწერი თეიმურაზ ბატონიშვილისაა.

(1451) **3695**

სეილანიანი. XIX

140 ფ.; 36,5×23; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1825 წ. (17 ფ.); დაუწერელია 139r—140v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 73.

[სეილანიანი] „...ორსავე ცხვირის ნესტოდამ რუხებ ტვინმა დენა დაუწყო და იგი ვეშაპი მოუძლურდა ბევრისა სისხლისა დენითა, თავის მიწაზედ წყვეტება დაიწყო და სულთაგან დაიცალა და სეილან თავის მხეცსა ზედან შეჯდა...“ 1r—138v.

წყდება: „...ხემწიფის ასულს მოახსენეს, ვითარ ერთი ფერმიხვდილი(!) ფალავანი კარავთან ზის და ორი სპილოსოდენი ცხენი ხელთ უჭირავსო. მაშინ ქალმან იმ ყმაწვილის შემოყვანა ბრძანა. გამოვიდნენ და ცხენი ჩამოართვეს“.

---

[1] „იესეს ჩუბინოვისაგან, რადგანაც ვენედიქტემ ქართული არ იცოდა“, ეს წინადადება შეტანილია განსხვავებული ხელით.

შენიშვნები: 1. სპარსულიდან ეს თხზულება იოანე ბატონიშვილს გადმოუღია (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., 260 გვ. ბ. გ. იმედაშვილი, სეილანიანი და რაინდული რომანის ზოგი საკითხი, ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 257--276).

2. ალ. ცაგარლის კატალოგში შესული № № 72, 81, 87 — „ქილილა და დამანას“ ხელნაწერები — კოლექციაში არ აღმოჩნდა.

(1452) **3696**

დავით გურამიშვილი, დავითიანი. 1812

274 გვ.; 32,5×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი სიტყვები სინგურით; აქვს თავსამკაული (1 გვ.); 1812 წ. (261 გვ.); სანკტპეტერბურგი (261 გვ.); დაუწერელია გვ. 266, 272—274; ალ. ცაგარლის კატალოგით № 74.

1. „წიგნი ესე, რომელსა ეწოდების სახელად დავითიანი, თქმული გურამისშვილის დავითისაგან. ქართუჱლთ უფალთა მეგუარტომობის იგავი. შესავალი. თავი ა. —
ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჯდომანი,
რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი...“
1—88 გვ.

შენიშვნა: „ქართუჱლთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“ შეიცავს ა—მგ თავებს.

2. „სიმღერა დავით გურამისშვილისა ტყვეობიდამ გამოსვლის დროს, დავითის შესხმა. თავი მდ. —
ვინც რომე სახლში შემიშვა, გამათბო, გამაშუშაო...“ 88—90 გვ.

3. „ოდეს დავით გურამისშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთის-მშობლის შესხმა. თავი მე. —
ჩემ საყუარლის მომყვანელო ძედ, მარიამ ქალო,...“ 90—91 გვ.

4. „სხუა ჴმა. — მოწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,
უსახლ-კარო ვარო, ვითხოვ, შემიფარო...“ 91 გვ.

5. „ხარებობის დღის შესხმა, „ახა წმინდა კოპალეს“ სანაცვლოდ, იმ ჴმაზედ სამღერალი. თავი მვ. —
ქალ ქალწულმან მარიამ წმინდად თავი ატარა...“ 91—92 გვ.

6. „აღდგომის დღეს სამღერელი ყრმათაგან. თავი მზ. —
აღდგა ქრისტე და აღმოიყუანნა ადამიანნი...“ 92 გვ.

7. „ღვთის-მშობლის მიცუალების დღის შესხმა. თავი მჱ. —
გიხაროდეს თქვენ, ანგელოზთ დასნო...“ 93—94 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. „თავის ცოდვის მოგონება და სასინანულო სიტყვები დავით გურამისშვილისაგან. თავი მთ. —
ვაიმე ცოდვილს და უნანელსა,
კეთილთ საქმისა მე უქონელსა...“ 94—95 გვ.

9. „სიტყუა ესე ღვთისა სიტყჳსა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყუარლისა ღვთისა და კაცისა ძისა ყრმათათჳს სიმღერად „ეო, მეოს“ სანაცვლოდ სათქმელი დავით გურამისშვილისაგან. თავი ნ. —
ეეო, მეეო, აქეთ მომხედეო...“ 96—100 გვ.

10. [ობოლნი]. — „დიდება შენდა, უფალო, შენ ხარ კაცთა მოყვარე...“ 100—101 გვ.

11. „სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობისა სანაცვლოდ სათქმელი. თავი ნა. —
ყრმავ, გონება უგუნური, აგონიარეო...“ 101—102 გვ.

12. „სიმღერა ფერხისული „აგერ მიღმა ახოს“ სანაცვლოდ სათქმელი. თავი ნბ. — ეშმაკეულთ ახოსა ანგელოზმან მნახოსა,
მწეროს ჯვარი ქრისტესი, გულზედ გამომსახოსა...“ 102—103 გვ.

13. „ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყვევდა და, თუ რამ აქუნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი მისგან. თავი ნგ. — ვითა ცხოვარი გზა შეცთომილი
მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე...“ 103—104 გვ.

14. „მეორე დავითის შესხმა რუსულის სიმღერის ჰმაზე: „ნედამ პოკოიუ, პოიდუ სტაბოიუ“. თავი ნდ. —
აბრაჰამის ღმერთი, საბაოთი ერთი...“ 104—105 გვ.

15. „რუსულის სიმღერის ჰმა: „ჩთო ზა პრიჩინა, ვსელდა კრუჩინა“. თავი ნე. — ისმინეთ ერნო, გულთ მეცნიერნო...“ 105—106 გვ.

16. „მესამე დავითის შესხმა. პოლშის სიმღერის ჰმა. თავი ნვ. —
აწ მე აღვიძრავ ენასა,
ვადიდებ ღმერთსა ზენასა...“ 107—110 გვ.

17. „არია, რომელ არს რუსულად: „ახ კაკ სკუშნო“. თავი ნზ. —
ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა,
სადა არს ჩემი მოლხენა...“ 110—113 გვ.

18. „სიმღერა, რომელ არს ამისი ჰმის სიმღერა რუსულადა ეს ჰმა: „ნეთუ ზლოსთი ნადომნოიუ, უმენშით მნე პეჩალ მოიუ“. თავი ნჱ. —
რქვა: დიდება, ღმერთო, შენდა ცად და ქვეყნად რაც აღშენდა...“
113—114 გვ.

19. „სიმღერა დავითისა ზუბოვკა, რომელ არს რუსულად ამისი ჰმა: „კაზაკ დუშა პრავდივაია“. თავ ნთ. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი...“ 115—116 გვ.

20. „სიმღერა ამისი ჭმა, რომელ არს რუსულადა: „ჩუსტუი სკორბი ლუტი ვსიაკათ მინუტი“. თავი ⴉ. —

საყუარელმან სიტყვა ავი მითხრა, გულ-საწვავი...“ 116—118 გვ.

21. „რეული, ეს რუსულად: „პოლნო, პოლნო, ნე პრელშჩაისა“. თავი ⴉⴀ. —

კმარა, კმარა, ნულარა სცოდავ, სულს აგების მიხვდეს შვება...“ 118 გვ.

22. „რეული, ახალი შემოღებული ქართულად. თავი ⴉⴁ. —

ქორცი, მიწა, ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი...“ 118—119 გვ.

23. „დინარი, „პატარა ქალო თინაოს“ სანაცვლოდ სამღერალი. თავი ⴉⴂ. —

ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? — ღმერთი მაღალთა შინაო...“ 119 გვ.

24. „ზმიანი შაირი დავით გურამისშვილის თქმული (ახლა იქნება, რომ წამკითხავმან საჩქაროდ წაიკითხოს და რაზედაც ნათქვამია, ის ზმა. ვერ შეიტყოს, ამისთვის წითელი ხაზები ჩამიტანებია; რაც ხაზსა და ხაზს შუა სიტყვა არის, იმაზედ არის ნათქვამი). თავი ⴉⴃ. —

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, ჭმუნვა, ვიშობა...“ 119—121 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსის მესამე ტაეპს დასაწყისში სინგურით მიწერილი აქვს: „ერთს დღეს აღდგომა და ხარებობა იყო, დიახ ციოდა მოსკოვს, მონასიბათ თქმულია იმაზე“. მეოთხე ტაეპს: „ერთმა ქართველ თავადიშვილმან მოსკოვს ქორწილი ქნა და ცოტად მდიდს პურის საუჭმელო დაუგვიანდა; აგრევე მანამდის ქორწილს იქმოდა, ორს დაბალს აზნაურთან იდგა ფსონათა და იმათზედ მეტსა ხარჯევდა — ეს იმის მონასიბათ თქმული“. მეხუთე ტაეპს: „ერთ დღეს ბატონებმა დავით გურამისშვილს ხალათის ბოძება უქადეს — ეს იმის მონასიბათ თქმული“.

25. „ამიცანა ზმიანი. —

აწ ზმობს მლექსელი: მზასა ვარ, ცხელი მაქო მწვადები, დარბაზს წაიღით...“ 120—121 გვ.

26. „სიმღერა, რომელ არს რუსულად ამისი ჭმა: „ულეტელნა ზაზულინკო ჩერეს დუბინუ“. თავი ⴉⴄ. —

ვსთქვათ, რაც ვარდმან თავის თავზე ქმნა საქმე ავი...“ 121—122 გვ.

27. „ეს სიმღერა, რომელ არს რუსულად ამისი ჭმა: „ახ სკოლკო ცველო ვლეტახ მოლოდიხ“. თავი ⴉⴅ. —

ვა, რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი...“ 122—123 გვ.

28. „ამიცანად იგავი ასახსნელად ადვილი. თავი ⴉⴆ. —

ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე ღამე მზიანი...“ 123 გვ.

29. „ანბანზე თქმული დავითისაგან პირველი ანიდგან და მეორე ჩედამ. თავი ⴉⴡ. —

ადამ **ბრმა გველით და** ევა ვერა **ზოგვენ** ჩე თმენასა...“ 123 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. „გოდება დავითისაგან საწუთროს სოფლის გამო ტირილი. თავი **ჲთ**. —

გული ღონდება, ვ[ი]წყო გოდება, ვაი საწუთრო ცრუო სოფელო...“
124—127 გვ.

31. „ისივე გოდება სხვა რიგი ჴმა, თუმცა სიტყვა და ძალი ისივ არის, იქნების კაცი ამ რიგს ჴმას უფრო გაეწყოს. თავი **ო**. —

გული ღონდება, ვიწყო გოდება
ბორგნა-გოდება, რაც მაგონდება...“ 127—132 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსის ბოლოს გამოტოვებულია ადგილი და მიწერილია: „აქ კაცისა და სიკუდილის სახე უნდა დაიხატოს“.

32. „სიკუდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა. თავი **ოა**. —

ყველას გვეწვევის სიკუდილი, გვმართებს დაუხვდეთ მზათაო...“
133—137 გვ.

33. „კაცისა და საწუთროსაგან ბჭობა და ცილობა და ერთმანეთის ძვირის ჴსენება. თავი **ობ**. —

ჰაი, ჰაი. ეს საწუთრო რას ტყუის და რას უპირობს...“ 137—145 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს სინგურით მიწერილია: „სრულ იქმნა ძალითა ღ~ისათა ამბავნი ზემოხსენებულნი და აწ იწყების ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ამბავი და ბაასი ურთიერთარს“.

2. ერთვის შესაქმეთა ტექსტის ფრაგმენტი (შდრ. შესაქმეთა 46_{6-16}).

3. ტექსტის ბოლოს დაუწერლად დატოვებულ ადგილზე მიწერილია: „აქ ზამთარი უნდა დაიხატოს“.

34. „წიგნი ესე მხიარული ზაფხული. რუსულად ამის ჴმის სიმღერას ეწოდების „ვესელა ვესნა“, თქმული მისივე დავით გურამისშვილისაგან. თავი **ა**. წიგნი **დ**. ზამთარ-ზაფხულის და ქარების ბრძოლა. —

ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა“
ჩემთვის საჴმილად ჩამოეკვესნა...“ 146—243 გვ.

შენიშვნა: ტექსტის დასაწყისში დაუწერლად დატოვებულ ადგილზე მიწერილია: „აქ ზამთარი უნდა დაიხატოს“; 152 გვ. კი — „აქ ზაფხული უნდა დაიხატოს“.

35. „ადამის სახივარი. თავი **იდ**. —

ადამს ჰკითხეს რატომ ჰსტირი,
რომ სწუხ, რა გაქუს საწუხარი?...“ 243—246 გვ.

36. „მეოთხე დავითის შესხმა და დავითის ქების იგავი. თავი **იე**. —

დავითის შესხმა შევკონე: ძმას ვარდი ვუძღვენ, დას ია...“ 246—248 გვ.

37. „ამ წიგნის გამლექსავის გუარისა და სახელის გამოცხადება. თავი **ივ**.—

დავითიანი ვსთქვი დავით გურამისშვილმან გუარადო...“
248—250 გვ.

38. „ანდერძი დავით გურამისშვილისა. თავი **იზ**. —

აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი...“ 250—252 გვ.

39. „მ ღ უ დ ე ლ თ ვ ე დ რ ე ბ ა დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ. თავი იჱ. —
მღუდელო, რაც ღ̃თნ მადლი მოგმადლა...“ 252—253 გვ.

40. „ს ა ფ ლ ა ვ ი ს ქ უ ა ზ ე დ დ ა ს ა წ ე რ ი. თავი ით. —
წმინდა იო[ა]ნე კახეთს ზედაძენს...“ 253—254 გვ.

41. „ს უ ლ ი ს ა მ ბ ა ვ ი. თავი კ. —
აწ მოისმინეთ სულის ამბავი,
რაც შემთხვეოდეს კარგი თუ ავი...“ 254—259 გვ.

42. „ამ წიგნის გ ა მ ლ ე ქ ს ა ვ ი ს ს უ ლ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა. თავი კა. —
ჱე, ღმერთო, აღმიხილე თუალი გონებისა,
დამანახვე, მაცნობე მე გზა ცხოვნებისა...“ 259—261 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტს ერთვის ა. „სარწყავისა და წისქვილისა ამბავი და მოხაზულობა. თავი კბ. — რომელიც რომ ჩემის გასინჯულობით მალაროსიისა ორი საწუნელი სნეულება მიცნია და ამისი სამკურნალო წამალიც მიპოვნია...“ 262—264 გვ. (სრული ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, 1955, 285—287 გვ.).

ბ. „ზანდუკი წიგნისა ამის დავითიანისა...“ 267—271 გვ.

2. 265 გვ. მიწერილია: „აქ მაშინები უნდა დაიხატოს“.

3. „დავითიანი“ რამდენჯერმე გამოქვეყნებული. უკანასკნელად ავტოგრაფის მიხედვით გამოქვეყნდა 1955 წ.

4. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. დასახელებული გამოცემის გვ. 302—303.

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, II, 480—481 გვ.).

ანდერძი: „სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, ძალითა ღმრთისათა წიგნი ესე ქ ა ც ვ ი ა ნ თ მ წ ყ ე მ ს ი ს ა დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ თქმული ს ა ნ კ ტ - პ ე ტ ე რ ბ რ უ ხ ს, წელსა 1812, თთუჱსა იულისსა 27“ (261 გვ.).

მინაწერი: „ც: დ: მ: ა: პ: გ:“ (271 გვ.), კრიპტოგრამა უნდა იყოს.

(1453) **3697**

თეიმურაზ ბატონიშვილი, განმარტება მითიური ვაშლისა. XIX

14 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; მუყაოს წითელი ყდა; მხედრული: თეიმურაზ ბატონიშვილის ავტოგრაფი; [XIX ს. პირველი მეოთხედი]; დაუწერელია: 9r—14v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 75.

«თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი». გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა არს მეხაძისა ვაშლისა, ვინძლო განაძო მიზეზი კვლავ აშლისა. —

ა

ეს ვაშლი არის — ქორწილსა შინა როს იყვნეს სამნი ღმერთანი მზენი:
იუნონაჲ, მინერვა ბრძენი და ვენერაჲ ცისკრებრი მთენი.
მეინახენი მას ქორწილს შინა, შვებით, განცხრომით შუქთა მომფენნი,
შეექცეოდეს და იხარებდეს თჳთ ზაფხულისა ყვავილთ-ვარდთ მცენნი...“
1r—8v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. პოემა შედგება 106 ტაეპისაგან.

2. ტექსტი გამოცემულია (იხ. ცისკარი, 1860 წ., სექტემბერი).

3. პოემის შესახებ იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954 წ., გვ. 138.

ანდერძი: „ეს პოემა შევთხზე მეფის ძემ თ ე ი მ უ რ ა ზ მ ა ნ პოეტიკურად
გრიგოლისათჳს, ჩემის დისწულის დადიანის ძის, ვინ არს ლექსთ მწყურად.
მე მისთჳს შრომას არა ვრიდებ თავს, რადგან გულით ვარ მისდამი
მსურად.
ვსასოებ ამ ღვაწლს არ შეურაცხჰყოფს, ხშირად წარმოსთქვამს
რიტორიკურად“ (8v).

მინაწერი: „ეს ცუცნა რაღაც გამოგგზავნა, ისევ უკანვე მომირთმევია,
მიკვირს, გონიერს ოდიშარს კაცსა ვაშლისათჳს ვერ შეგიმცნევია“ (1r).

(1454) **3698**

რუსუდანიანი. XVII

994 გვ.; 32×22; ქაღალდი; დასაწყისი და ბოლო ფურცლები დაშლილია და ამოცვენილი; ხის ტყავგადაკრული მუყაოს ყდა დაზიანებული, გატეხილი; მხედრული, სხვადასხვა ხელით; დაკლებული ადგილის შემვსებელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი; [XVII ს.]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 76.

«რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ ი». „იყო ხელმწიფე ერთი ქვეყანასა იამანეთისასა ქრისტიანე. იყო მდიდარი და ძლიერი და ყოველთა მეფეთა ზედა აღაღებული სიმდიდრისა მათისათვის...“ 1—994 გვ.

შენიშვნა: 1. ეს ხელნაწერი (B ლიტერით) გამოყენებული აქვთ „რუსუდანიანის“ ტექსტის გამომცემლებს (იხ. რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ ი, ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს და ი ვ ა ნ ე გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1957).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, ტ. I, 406 გვ.).

3. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „განსრულდა წიგნი ესე ნაკლები რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ ი ჴელითა ჩ ა ჩ ი კ ა ს ძ ი ს ა [ნ ი კ ო ლ ო]ზ ი ს ა თ ა. წერითა და შეკვრითა ღმრთით... მისთა. განსრულდა და შეიკრა წიგნი ესე მარტის ივ, ქ[ორო-ნი]კ[ონ]ს უოზ“.

(1455) **3699**

დავით გურამიშვილი, დავითიანი. 1829

160 ფ.; 34×22,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; გადამწერი იოსებ ნაზაროვი (159r); 1829 წ. (159r); სანქტპეტერბურგი (159r); დაუწერელია 159v—160v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 77.

1. „ქ. წიგნი [ა] ესე, რომელსა ეწოდების სახელად დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, თქმული გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ. თავი შესავალი ა. ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი. —

ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჴდომანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი...“

შენიშვნა: „წიგნი [ა]“ მოიცავს ა—მგ თავებს.

2. „**მდ.** სიმღერა დავით გურამისშვილისა, ტყვეობიდამ გამოსვლის დროს დავითის შესხმა. —
ვინც რომე სახლში შემიშვა, გამათბო, გამამშუშაო,
დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე შუშაო...“ 53r—54r.

3. „**მე.** ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღ̃თის-მშობლის შესხმა. —
ჩემ საყვარლის მომყვანელო ძედ, მარიამ ქალო,
სახით ოქროს სასანთლეო, ლამპარ გაუმქრალო..“ 54rv.

4. „სხვა ჴმა. — მოწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,
უსახლ-კარო ვარო, ვითხოვ შემიფარო...“ 54r—55r.

5. „**მვ.** ხარებობის დღის შესხმა „ახა წმინდა კოპალეს“ სანაცვლოდ სამღერალი. — ქალ ქალწულმან მარიამ წმინდათ თავი ატარა;
ყოვლის კაცის საქმითა თავი ღმერთსა აყვარა...“ 55r.

6. „**მზ.** აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერელი. —
აღდგა ქრისტე და აღმოიყვანა ადამიანი...“ 55rv.

7. „**მჱ.** ღვთის-მშობლის მიცვალების დღის შესხმა. —
გიხაროდეთ ანგელოზთ დასნო...“ 55v—56v.

8. „**მთ.** თავისის ცოდვის მოგონება და სასინანულო სიტყვები დავით გურამიშვილისა. —
ვაიმე ცოდვილს და უნანელსა,
კეთილ საქმის მე უქონელსა...“ 56v—57v.

9. „**ნ.** სიტყვა ესე ღვთისა სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა ღვთისა და კაცისა ძისა ყრმათათვის სიმღერად, „ეეო, მეო, ქალო ქალთა მზეოს“ სანაცვლოდ სათქმელი. —
ეეო, მეო, აქეთ მომხედეო...“ 57v—61r.

10. „**ნა.** სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობის სანაცლოდ სათქმელი. —
ყრმავ, გონება უგუნური აგონიარეო,
თავს ნუ გაჰქდი ულონოდა, ალონიარეო...“ 61rv.

11. „**ნბ.** სიმღერა ფერხისული „აგერ მიღმარ ახოს სანაცლოდ სათქმელი. —
ეშმაკეულთ ახოსა ანგელოზმა მნახოსა,
მწეროს ჯვარი ქრისტესი, გულზედ გამომსახოსა...“ 61v.

12. „**ნგ.** ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყვევდა და თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ტირილი. — ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე...“ 62rv.

13. „ნდ. მეორე დავითის შესხმა. რუსულის სიმღერის კმა: „ნიდამ პოკოიუ, პოიდუ სტაბოიუ. —
აბრაჰამის ღმერთი, საბაოთი ერთი...“ 62v—63r.

14. „ნე. რუსული სიმღერის კმა: „ჩტო ზა პრიჩინა, ვსელდა კრუჩინა“. —
ისმინეთ ერნო, გულთ მეცნიერნო...“ 63r—64r.

15. „ნვ. მესამე დავითის შესხმა პოლშის სიმღერის კმა. —
აწ მე აღვიძრავ ენასა,
ვადიდებ ღმერთსა ზენასა...“ 64r—66r.

16. „ნზ. არია, რომელ არს რუსულად „ახ კაკ სკუჩნო“. —
ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა,
სადა არს ჩემი მოლხენა...“ 66r—68r.

17. ნჱ. სიმღერა, რომელ არს ამისის კმის სიმღერა რუსულათ: „ნეთუ ზლოსთი ნადომნოიუ, უმენშით მნე პეჩალ მოიუ“. —
ჰრქვა: დიდება, ღმერთო, შენდა, ცა და ქვეყანად რაც აღშენდა!
დავით ხმითა ნესტვს აფშვენდა, გიგალობდა, ვითა შვენდა...“ 68rv.

18. „ნთ. სიმღერა დავითისა ზუბოვკა, რომელ არს რუსულად ამის კმა: „კაზაკ დუშა პრავდივაია“. —
ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, მშვენიერი, მაზედ დამრჩა თვალი...“ 68v—69v.

19. „ჲ. სიმღერა ამისი კმა, რომელ არს რუსულად: „ჩუვსტვუი სკორბი ლუტი ვსაკიო მინუტი“. —
საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა, გულ-საწვავი,
ნეტა რად ვიყო შენია,
სახით ავრიგად შვენია...“ 69v—70v.

20. „ჲა. რეული, ეს რუსულად: „პოლნო, პოლნო ნე პრელშჩაისია“. —
კმარა, კმარა, ნუღარ სცოდავ, სულს აგების მიხვდეს შვება,
აწ დასწყნარდი, ნუ შფოთავ-ბორგავ, ნუ გაქვს ზმირინთ ზინზლად ფშვება...“ 70v—71r.

21. „ჲბ. რეული, ახალი შემოღებული ქართულად. —
ჭორცია მიწა ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი...“ 71r.

22. „ჲგ. „დინარი, „პატარა ქალო თინაო“ს სანაცვლოდ სამღერალი. —
ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? — ღმერთი მაღალთა შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა, ღამე დღე განაბრწყინაო...“ 71rv.

23. „ჲდ. ზმიანი შაირი დავით გურამისშვილის თქმული (ახლა იქნება, რომ წამკითხავმა საჩქაროთ წაიკითხოს და რაზედაც ნათქვამია, ის ზმა ვერ შეიტყოს, ამისთვის წითელი ხაზები ჩამიტანებია, რაც ხაზსა და ხაზს შუა სიტყვა არის, იმაზედ არის ნათქვამი). —

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, ჭმუნვა, ვიშება...“ 71v—72r.

შენიშვნა: მეორე ტაეპის შემდეგ სინგურით მიწერილია: „ერთს დღეს აღდგომაც იყო და ხარებობაცა; დიალაც ციოდა მოსკოვს და იმის მონასიბათ თქმული“.

24. „ჲე. ერთმან ქართველმან თავადისშვილმა მოსკოვს ქორწილი ქნა და ცოტად მდად(!) პურის უჭმელობა დაუგვიანდა, აგრევე მანამდის ქორწილს იქმოდა, ორს მდაბალ აზნაურთან იდგა ფსონათა და იმათზე მეტსა ხარჯევდა— იმის მონასიბათ თქმული.—

დაღამდა, დილა გათენდა, მდადს პური არ უჭამია...“ 72r.

25. „ჲვ. ერთს დღეს ბატონებმა დავით გურამისშვილის ხალათის ბოძება განიძრახეს, იმის მონასიბათ თქმული. —

სიუხვის კოკა ბატონსა წინ უდგას ვითა კულადა...“ 72r.

26. „ამიცანა ზმიანი. —

აწ ზმობს მლექსველი: მზასა ვარ, ცხელი მაქო მწვადები,
დარბაზს წაიღით...“ 72v.

27. „სიმღერა, რომელ არს რუსულად ამისი ჴმა: „ულეტელა ზაზულინკო ჩრეზ დუბინუ. —

ვსთქვათ, რაც ვარდმან თავის თავზედ ქნა საქმე ავი...“ 72v—74r.

28. ჲჱ. ანბანზედ თქმული დავითისაგან პირველი თავითგან და მერე ბოლოდამ. —

ადამ ბრმა გველით და ევა ვერ ზოგვენ ჱე თმენასა...“ 74r.

29. „ჲთ, გოდება დავითისა საწუთროს სოფლის გამოტირილი. —

გული ღონდება, ვიწყო გოდება ვაი საწუთრო ცრუო სოფელო...“
74r—76r.

30. „ო. ისევე გოდება, სხვა რიგი ჴმა, თუმცა სიტყვა და ძალი ისივ არის, იქნების კაცი ამ რიგს ჴმას უფრო გაეწყოს. —

გული ღონდება, ვიწყო გოდება
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება...“ 76r—79r.

31. „ოა. სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა.—

ყველას გვეწვევის სიკვდილი, გვმართებს დაუხვდეთ მზათაო,
ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ გზათაო...“
79r—81v.

32. „ობ. კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაი, ჰაი, ეს საწუთრო რას ტყუის და რას უპირობს:
და თავს რა უყო, ა, იმ კაცსა, ნახეთ, ბოლოს რას უპირობს..."
81v—86v.

33. „წიგნი ესე მხიარული ზაფხული, რუსულად ამის ქმის სიმღერას ეწოდების „ვესელა ვესნა", თქმული მისივე დავით გვარამაშვილისაგან(!). ა. ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა. —
ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა"
ჩემთვის სახმილად ჩამოეკვესნა..." 86v—144r.

34. „იდ. ადამის საჩივარი. —
ადამს ჰკითხეს: რატომ სტირი,
რომ სწუხ, რა გაქვს საწუხარი?..." 144v—146v.

35. „იე. მეოთხე. დავითის შესხმა და დავითნის ქების იგავი. —
დავითის შესხმა შევკონე: ძმას ვარდი უძღვენ, დას ია..." 146v—147r.

36. „ივ. ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება. —
დავითიანი ვსთქვი დავით გურამისშვილმან გვარადო..." 147r—148v.

37. „იზ. ანდერძი დავით გურამიშვილისა. —
აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი..." 148v—150r.

38. „იჱ. მღრდელთ ვედრება დავით გურამიშვილისა. —
მღვრდელო, რაც ღმერთმან მადლი მოგმადლა,
არც აგიწონა, არც განგიადლა..." 150r—v.

39. „ით. სადღლავის ქვაზედ დასაწერი. —
წმინდა იო[ა]ნე კახეთს ზედაძენს
სასწაულობით ქვიტკირს ცრემლთ ადენს..." 150v—151r.

40. „კ. სულის ამბავი. —
აწ მოისმინეთ სულის ამბავი,
რაც შემთხვეოდეს, კარგი თუ ავი..." 151r—153v.

41. „კა. ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება. —
ჵე, ღმერთო, აღმიხილე თვალი გონებისა,
დამანახვე, მაცნობე მე გზა ცხოვნებისა..." 154r—155r.

42. „კბ. სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა. — რომელიც რომ ჩემის გასინჯულობითთ მალაროსიის ორი საწუნელი სნეულება მიცნია და იმისი სამკურნალო წამალიც მიპოვნია..." 155r—156v.

(სრული ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, 285—287 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის დავითიანისა...“ 156v—159r.

2. „დავითიანი“ რამდენჯერმეა გამოქვეყნებული. უკანასკნელად ავტოგრაფის მიხედვით გამოქვეყნდა 1955 წელს.

3. ამ ხელნაწერის შესახებ იხილეთ დასახელებული გამოცემის გვ. 302—303.

ანდერძი: „ქ. განსრულდა წიგნი ესე დავითიანი ჴელითა იოსებ ნაზაროვისა. ნუმცა დასრულდება მწერლისა ამისა შვილი და შვილისშვილის ჴსენება ქვეყანასა ზედა. ვინც იხილოთ, მშვიდობას და დღეგრძელობას ჰყოფდეთ ჩვენთვის, ამინ. დაიწერა წიგნი ესე დიდსა საჴელმწიფოსა ქალაქსა სანკტ-პეტერბურღსა, თვესა აგვისტოსა 6-სა, წელსა **ჩყკთ**, 1829-სა“ (159r).

მინაწერი: „ვახტანგ მეფის ცხოვრება. ეო, მეო“ (ზემო საც. ფ. r).

(1456) **3700**

კრებული. XIX

164 გვ.; 34×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1835 წ., დაუწერელია 32 გვ.; ალ. ცაგარლის კატალოგით № 78.

1. [არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა]. „არჩილიანი. —

სამგვამოვანო ღვთაებავ, ერთმანეთს არ შემდგომისო,
მამავ, მშობელო ძისაო, გამომვლენელო სულისო...“ 1—162 გვ.

შენიშვნა: ტექსტი ზედმიწევნით მისდევს ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის № 22 ხელნაწერს, ეს უკანასკნელი კი D ლიტერითაა აღნიშნული გამოცემაში (იხ. არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, გვ. IX—XV და ტ. II, 1937 წ.).

2. [არჩილი], „ანბანთქება ცხრა თავნი, ხოლო თვითო-თვითო თავნი მოთხრობილნი. —

ასულ ასულა, მჭვრეტნი დასულა,
ესე ვინაა ჩემი ასულა?...“ 162—163 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. არჩილიანი, ტ. I, გვ. 251—253).

ანდერძი: „მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მეფის არჩილისა და პირმშო ასულისა მისისა უმანკოს ნესტანდარეჯანისა და ბატონისშვილის ალექსანდრესი. ხოლო ვშრომობ ორმოცდაათხუთმეტისა წლისა ნაშრომსა ამას პატრონისა ჩემისა ნაბრძანებსა მე, თურქისტანისშვილი დაუთ, ვითაცა მრავალნი სხვანი სასჯელნიც გარდამხდოდეს სიყუარულისა და ერთგულობისა პატრონობისა ამისთვის. ამჟამად პატრონთათვის ჩემებრ გარჯას არავინ შესწრებია და არცავის უმსახურებია პატრონთა თვისთათვის. ღ~თის გულისათვის შენდობას მიბრძანებდეთ. ქორონიკონს **ტუდ**. ჩემი სამსახური რომე მოვსთვალო, ენა დაშურებისა, მსმენელთა ყურნიცა დააკლდებიან“ (163—164 გვ.). ანდერძი ამ ნუსხის დედნისაა.

(1457) **3701**

კრებული. XIX

31 ფ.; 31×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები მთავრულად, სინგურით; [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი 1818 წ.; დაუწერელია: 1r—3v, 4v, 16v—17v, 18v, 31r—32v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „პ ო ე მ ა ანუ მშუჱნიერ-სიტყუაობითითა ჴელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი სამქებაროდ სახელოვანისა და ძლევით განთქმულისა ჴელმწიფასა მეფისა თ ა მ ა რ პირველისა, 3 გ ი ო რ გ ი მ ე ფ ი ს ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი ს ასულისა, სრულიად ზემოჲსა და ქუჱმოჲსა ი ვ ე რ ი ი ს ა და სხუათა თჳთმპყრობელისა და მრავალთა მტერთა მძლეველისა, ქმნილი გ ე ლ ა თ ი ს მონასტერსა შინა და მუნითვე მორთმეული ა ბ დ უ ლ მ ე ს ს ი ა შ ა ვ თ ე ლ ი ს ა გ ა ნ, პირუჱლყოვლისა მდივნად ღირს-სახსოვარისა მის მეფისა და შემდგომად მონაზონების მიღებისა მას მონასტერსა შინა ი ო ა ნ ნ ე დ წოდებულისა.—

1. სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქუჱნდა შემკობად!
გიძღუნ ქებანი: მწადს აქ ებანი, და ვით ის დავით ვჰსჯდე მუსიკობად...“
4r—16r.

შენიშვნა: ტექსტი მრავალჯერაა გამოცემული. უკანასკნელად გამოსცა ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა (იხ. „ჩვენი საუნჯე“, ტ. II, 1960, გვ. 485—511).

2. „პ ო ე მ ა ანუ მშუჱნიერ-სიტყუაობითითა ჴელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი სამქებროდ სახელოვნისა და ძლევით განთქმულისა ჴელმწიფასა მეფისა თ ა მ ა რ პირველისა. 3 გ ი ო რ გ ი მეფის ბაგრატოვანის ასულისა, სრულიად ზემოჲსა და ქუჱმოჲსა ივერიისა და სხუათა თჳთმპყრობელისა და მრავალთა მტერთა მძლეველისა, წოდებული თამარიანად ანუ ჩახრუხაულად ქმნილი ჩ ა ხ რ უ ხ ა ს ძ ი ს ა გ ა ნ, ნათესავით მოხევისა, არაგჳს საერისთოსაგან. —

1. ძო, ფილოსოფნო, სიტყვთა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულისჴმიერსა!
დიონოსისგან, ვით ენოსისგან სრულნი ქებანი ამ ძლეთ ძლიერსა...“
18r—30v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 386—387).
2. ტექსტის უკანასკნელი გამოცემები ეკუთვნის ი ვ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ს (იხ. ა. ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე, ქება მეფისა თ ა მ ა რ ი ს ი, 1957 წ. გამოცემაში ეს ნუსხა აღნიშნულია L ლიტერით, ბ. „ჩვენი საუნჯე“, ტ. II, 1960, გვ. 455—482).

(1458) **3702**

ვისრამიანი. 1729

I ფ., 274 გვ.; 29×20; ქაღალდი. მუყაოს ყდა, მოვარდნილი; თავნაკლული, დაზიანებული; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი სიტყვები სინგურით; ხელნაწერში მოთავსებულია მინიატურები: Ir, 8, 18, 27, 29, 44, 49, 54, 58, 63, 69, 72, 76, 78, 83, 88, 91, 95, 104, 110, 112, 118, 124, 139, 141, 145, 148, 154, 160, 163, 167, 170, 171, 173, 176, 178, 180, 183, 185, 188, 190, 193, 195, 200, 205 გვ.; დატოვებულია ადგილი მინიატურისათვის: გვ. 109, 211, 213, 217, 219, 223, 225, 227, 229, 231, 233, 234, 236—239, 241, 242, 245, 247, 250, 252, 254, 256, 258, 263, 264, 265, 266, 267, 270 და 271; გადაწერილია 1729 წ. (274 გვ.); დაუწერელია: Iv, 19—26; 55—56, 59, 60, 133—136 და 259—262 გვ.; ალ. ცაგარლის კატალოგით № 80.

[კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი, დ ა ს ა წ ყ ი ს ი, ვ ი ს ი ს ა დ ა რ ა მ ი ნ ი ს ა ა მ ბ ა ვ ი].—„იყო დიდი და მაღალი სულტანი ტუღულბეგ ქვეყანასა ხორასნისასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადარბადაგანისა, ლაშქარ-მრავალი და მორჭმული და აღსრულებული ყოელსა სპარსეთსა ზედა...“ 1—274 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი C ლიტერითაა აღნიშნული „ვისრამიანის“ როგორც მეორე (1938 წ.), ასევე მესამე (1962 წლის) გამოცემაში.
ანდერძი: „აღსრულდა ქორონიკონს **უიზ**, ივლისს **იე**“ (274 გვ.).

(1459) **3703**

გეოგრაფიული ატლასი. 1837

20 ფ.; 25×34,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; შემდგენელ-გადამხაზველი დ. ჩუბინაშვილი (3 ფ., 7 ფ., 13 ფ., 17 ფ., 20 ფ.); 1837 წ. (7, 17 ფფ.). ალ. ცაგარლის კატალოგით № 267.

1. „რუკა ანუ ივერიისა ანუ გიორგიისა ახალს პოვნილს მენაკსა ზედა უფლის ფელეს მიერსა, რომელსა ზედა მჩენარებს თვითოეულად ქართლი, კახეთი, რანი, ხოლო აწ ყარაბაღი, მოვაკანი, ხოლო აწ შირვანი, დაღისტანი, კავკასი, ოვსეთი, ხოლო აწ ოვსეთი და ჩერქეზი, და სვანეთი. ეგრისი, შემდგომად აფხაზეთი და განყოფით ჯიქეთი, აფხაზი, ოდიში, გურია, იმერეთი, კუალად ქართლოსის წილი საათაბაგო და განყოფით სამცხე, ჯავახეთი, კოლა არტაანი და კლარჯეთი, სომხითი, ხოლო აწ აზრუმი, ბაზიანი, ყარსი და ერევნის ადგილნი თს~ის მთითა, მდინარით, ტბით და სამზღვრით, მეფის შვილის ვახუშტისაგან“ 1 ფ.

შენიშვნები: 1. რუკა შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები და მასშტაბი. 2. ერთვის ფანქრით ნახატი რუკა: „Caucase d'Herodote D' Halicarnas en 446 avant I. C. По Геродоту“ (2 ფ.). რუკას პუნქტების დასახელება მიწერილი აქვს რუსულ-ფრანგულ ენებზე.

2. „რუკა საქართველოსი ანუ იბერიისა, განყოფილი ათ საერისთაოდ, რომელი განჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ და იყო ვიდრე ბაგრატიონადმდე, ხოლო შემდგომად სხვარიგ მოხაზული მის მიერვე. დავხატე დავის(!) ჩუბინოვმა“ 3ფ.

შენიშვნები: 1. შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს მასშტაბი 2. ერთვის ფანქრით ნახატი რუკა „Carte du Periple dit des Scylax Caryandinien. 3 стол. до Р. Х“. (4 ფ). რუკაზე წარწერები გაკეთებულია რუსულ-ფრანგულ ენებზე.

3. „ქარტა ქართლოსისა, რომელიცა ძმათა თჳსთა შორის ქვეყანანი ხვდა და შემდგომად მისსა ცოლმან ქართლოსისამან განუყო ხუთთა ძეთა თჳსთა: მცხეთოს, გარდაბანოს, გაჩიოს, კახოს და კუხოსს და მე... იმ კუალად მცხეთოს ხვედრი თჳსი განუყო ძეთა თჳსთა სამთა: უფროსს, ოძრახოს და ჯავახოს, მოხაზული თჳსითა ქალაქითა, მთითა, მდინარითა და საზღვრითა“ 5г.

შენიშვნები: 1. აქვს პირობითი ნიშნები და მასშტაბი. შესრულებულია ფერადი ხაზებით. ერთვის ფანქრით ნახატი რუკა, შედგენილი სტრაბონის აღწერილობის მიხედვით „Карта по описанию Страбона. Страбон умер в

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 г. по Р. Х. укрепления и города в скалах“ (6 ფ.). რუკაზე პუნქტების წარწერები გაკეთებულია ფრანგულად.

4. „ქარტა ანუ რუკა ოდიშისა, ეგურის(!) წყლის დასავლეთის კერძონი ზღვადმდე და შავი ზღვა აზავადმდე, მდინარენი ყუბანი და სხვანი და ქვეყანა ოდიში, აფხაზეთი და ჯიქეთი და კავკას იქით ძველად ოსეთი და აწ ჩერქეზი, ყუბანი და ზღვის კიდე ძველად პაჭანიქი ან სხვისა სახელის მქონებელი“ 7г.

შენიშვნები: 1. რუკა შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები და მასშტაბი. 2. რუკას აქვს დედნისეული ანდერძი: „21-ი ქარტინა ქართლის ცხოვრებისა დედანისაგან მე თ-ჩ ს პეტრეს ასულმან მაიამ გადავსწერე, ვითხოვ წყალობასა. თუ ნაკლული ანუ შეცთომა, ნუ გვწყევთ“. 3. დედნისეულ ანდერძში მოხსენებული „თ-ჩ პეტრეს ასული“ თავადი პეტრე ჩიქოვანის ასული მაიაა. მის შესახებ იხ. ირ. მათურელის წერილი: „პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი“ (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, № 16, გვ. 4).

ანდერძი: „დამიხატავს მე დავით ჩუბინოვმა (!) 6 ნოემბერს 1837 წელსა“ (7 ფ.).

5. რუკა აწინდელისა ოსეთისა, რომელი არს შორის კავკასიის მთასა შინა და განიყოფვების ესრე ესე ოსეთი: ბასიანი, დიდგორი. და დიდგორი განიყოფის ჩერქეზისძედა და ბდელიძედ, და დვალეთი განიყოფის კასრის ჴევად, ჟღელედ, ზრამაგის ჴევად, ნარად, ზროგოდ, ზახად და თრუსოდ, და ამას ზედვე არს ჴევი, რომელ რუკასა ამას ზედა მოხაზული არს კუალად მაგაურად, ქურთაულად, ვალაგირად ანუ ფაიქომად თჳს-თჳსითა საზღვრითა, მდინარითა, ციხითა, სიმაგრითა და დაბებითა და მთებითა, რომლის აღმოსავლეთ არს ჴევი, დასავალით — სვანეთის კავკასი, სამხრით — კავკასი. აქით ქართლი და რაჭა, ჩრდილოთ — ჩერქესის მთა და მთას იქით ჩერქეზი“ 8 ფ.

შენიშვნები: 1. რუკა შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები და მასშტაბი. 2. ერთვის ფანქრით ნახატი რუკა პუნქტების ფრანგული და რუსული წარწერით: „Кавказский перешеек по описанию Плиния. умер 80 г. по Р. Х.“ (9 ფ.).

6. „რუკა იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა, რომელს უმდებარებს აღმოსავლით ქართლი, დასავლეთით — შავი ზღვა, სამხრით — სამცხე, ჩრდილოთ კავკასიის იქით — ჩერქეზი და მჩენარეობს ხეობანი. ადგილნი სვანეთით, ახალს ფელეს პოვნილი მენაკსა ზედა, დახაზული მეფის შვილის ვახუშტისაგან“ 10 ფ.

შენიშვნები: 1. შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები და მასშტაბი. 2. კიდეზე მიწერილია: „დავხატე დავით ჩუბინოვმა“ 3. ერთვის კალკაზე ფანქრით ნახაზი მცხეთის მიდამოების რუკა.

4. ვახუშტის გეოგრაფიის მ. ბროსესეულ გამოცემაში (იხ. M. Brosset, Déscription géographique de la Géorgie par le Tsarevitsch Wakhoucht· Spb. 1842) შესულია მეხუთე ნომრად.

7. „ქარტა ზემო ქართლისა და კლარჯეთისა ანუ სამცხესა საათაბაგოსი, რომელსა შინა მჩენარებენ ჴეობანი და ადგილნი სანახებითა ახალს პოვნილს უფლის ფელეს მენაკთა ზედა, მოხაზული მეფის შვილის ვახუშტისაგან თჳსის ყოვლისა საზღვრითა“ 11 ფ.

ეროვნული

შენიშვნები: რუკა შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები. 2. მ. ბროსეს გამოცემაში (იხ. M. Brusset, დასახელებული ნაშრომი) შესულია პირველ ნომრად. 3. ერთვის ფანქრით ნახატი რუკა ფრანგულ-რუსული წარწერებით: „Carte de periple de la mer noire par Arrien... около 110 г. по Р. Х. (12 ფ.).

8. „რუკა იმერეთისა, რომელსა ზედა მჩენიარებს არგვეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ოკრიბა, ვაკე, საჯავახო, საჩხეიძო ახლად დახაზული ფელესის მენაკსა ზედა თჳსის მდინარით, მთითა, ქალაქით, ეკკლესიით, დაბნებითა და ციხე[ე]ბითა. უმაღლესის ანნა დედოფლის ბძანებით გადავსწერე ესე ქარტები, რომელიც 21 ბოლოს ქარტინაში იხილეთ“ 13ფ.

შენიშვნები: 1. რუკა შესრულებულია ფერადი ხაზებით, აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები და მასშტაბი. 2. რუკის მარცხენა კიდეზე მიწერილია: „დავხატე მე, დ. ჩუბინოვმა“.

9. „ქარტა ანუ რუკა ქართლისა, სრულიადისა გარემოსი მისი: იმერეთი, კახეთი, სამცხე, ჯავახეთი. ერევნისი ადგილი და ყაზახი თვისისა საჩიო(!) ადგილებითა“ 14 ფ.

შენიშვნა: შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები და მასშტაბი.

10. „ქარტა ანუ რუკა ორის საერისთაოსი, ხუნანისა და სამშვილდისა, ხოლო აწინდელსა ჟამსა შინა პირველის საპასპეტო მეწინავე, რომელსა უწოდებენ სომხითს საბარათიანოსასა, მოხაზული სხვათა ქარტათგან უუმჯობესათ ჴეობა-ჴეობად და ადგილად-ადგილით, რომელსა აქუს აღმოსავალით კახეთი და ყაზახი, სამხრით ერევანი, დასავლით ჯავახეთი და ჩრდილოთ ქართლი, ხოლო ნიშანნი იუწყე, ვითარცა სხვათა რუკათა შინა“ 15 ფ.

შენიშვნები: 1. შესრულებულია ფერადი ხაზებით და აღნიშნული აქვს მასშტაბი. 2. ერთვის ფანქრით ნახაზი რუკა პუნქტებზე ფრანგულ-რუსული წარწერებით: „Fragment de la Carte Marine de Fréduce d'Anione, dessinée en 1497, tirés de la bibliotheque de Wolfenbouttel et comparée a/ec les noms modernes par Frederic Du Gois“ (16ფ.).

11. „ქარტა ქართლისა ანუ რუკა, რომელიც წილად ხუდა უფლოსს, ძესა მცხეთოსისასა, და მან უწოდა წილხდომილთა თვისსა ზენა სოფლები ანუ შიდა ქართლი, და შემდგომად მეფისა ფარნავოზისა იქმნა ერთთ საერისთოდ, რომელი აქუნდა სპარსალარსა, ხოლო აწ არს სამ სადროშო, რომელიცა არს ყვითლის ფერითა; ხოლო ტაშისკარს ზევით წითელი არს; სამცხისა წილი ოძრახოსი და სურამალს იქით ნარინჯი—არს წილი ეგროსისა. და მტკვარს-არაგვს იქით წითელი—არს წილი კახ-კუხოსისა, რომელიცა აწ უპყრავს მემესა(!) ქართლისასა. ნიშანნი ამისნი, ვითარცა სხვას ქარტასა შინა, ეგრეთ იუწყე“ 17ფ.

შენიშვნები: 1. რუკა შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს მასშტაბი. 2. რუკის ზემო კიდეზე მიწერილია: „დაიხატა 15 ნოემბერს 1837 დავით ჩუბინოვის მიერ“.

12. „ქარტა ქართლისა, მტკვრის სამხრეთის კერძო, სომხით-საბარათიანო და მათის დროშისა, რომელსა შინა მჩენარებს ჴეობანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თჳთოეულად ახალს პოვნილს უფლის ფელეს მენაკსა ზედა ჩემ მიერ მეფის შვილი ვახუშტისაგან“ 18ფ.

შენიშვნები: 1. რუკა შესრულებულია ფერადი ხაზებით. აღნიშნული აქვს პირობითი ნიშნები. 2. ერთვის კალკაზე ტუშით ნახაზი გეგმები: ა. „Plan des ruines de la ville et de l'Acropolis de Petra...“ ბ. „Plan de Koutais et d'Oukimerion“.

13. „ქარტა ანუ რუკა ძველად ზენა სოფლებისა ანუ შიდა ქართლისა და აწ წოდებული ქართლისა, რომელი განიყოფის აწინდელს ჟამსა შინა ოთხ სასპასპეტოთ. წითელი არს მეფისა თანმყოფი და მეოთხე სადროშოსი; მწვანე არს მესამე სასპასპეტო და მესამე სადროშო მუხრანისა მემარცხენე; ყვითელი არს მეორე სასპასპეტო და მემარჯვენე დროშა ზემო ქართლისა, ამილახორისა სასარდლო, ყოვლის საზღვრით თჳსით დახაზულნი უმჯობესად სხვათა აქა მოხაზულთა რუკათაგან, ხოლო ნიშანნი, ვითარცა სხვათა ქარტათა შინა, ეგრეთვე აქაც იუწყე. ხოლო აღმოსავლით აქუს კახეთი, სამხრით — საბარათიანო, დასავლით — იმერეთი და ჩრდილოთ — ოსეთი, რომლისა დვალეთი წითლით მოხაზულია“ 19 ფ.

შენიშვნები: 1. შესრულებულია ფერადი ხაზებით. 2. აღნიშნული აქვს მასშტაბი. 3. ერთვის კალკაზე ტუშით ნახაზი რუკა (შუაზე გახეული), გეოგრაფიული პუნქტების ფრანგული წარწერებით.

14. „რუკა კახეთისა, კუხეთისა და ჰერეთისა და აწ მხოლოდ კახეთად წოდებულისა, რომელსა უმდებარებს აღმოსავლეთით დაღისტანი, სამხრით ყარაბაღი, ჩრდილოთ ღლიღვი-ძურძუკი, ქისტი და დასავლით ქართლი და ყაზახი. ახალს უფლის ფელეს პოვნილს მენაკთა ზედა თჳსის ეკკლესია-მონასტრით, მთით, მდინარით, დაბნებით, ციხით, დიდოთი, თუშეთით ჩემ მიერვე მეფის შვილისა ბახუშტისაგან(!)“ 20 ფ.

შენიშვნები: 1. შესრულებულია ფერადი ხაზებით. 2. აღნიშნული აქვს მასშტაბი და პირობითი ნიშნები. 3. რუკის ქვემო კიდეზე მიწერილია: „დავხატე დავით ჩუბინოვმა“. 4. ატლასში ჩადებულია შემდეგი ნაბეჭდი რუკები:

1. „Asie Mineure au temps D'Heraclius“.
2. „Asie Mineure au temps Des Croisades“.
3. „Asie Mineure sous Les Perses“.
4. „Asie Mineure moderne“.
5. „Asie Mineure sous la domination Romaine, d'Auguste à Dioclétien“.
6. „Asie Mineure au temps D'Alexandre le Grand et de ses successeurs avec l'itinéraire d'Alexandre“.
7. „Carte pour servir à l'Histoire du Soulévement National de l'Arménie chrétienne au Ve siecle, dressée par P. Bineteau Géographe, 1844“.
8. „Carte générale des pays géorgiens“.

9. ზუსტად ისეთივე რუკაა, როგორც აქ მოყვანილი № 7 რუკა, მხოლოდ უფრო დიდი ზომის და უსათაურო.

10 და 11 ფფ. კონტურული რუკებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1460) 3704

კრებული. 1808

242 გვ.; 34×21,5; ქაღალდი; 219—242 გვ. ამოვარდნილია; მხედრული, სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები სინგურით; გადამწერი იოანე მღვდლის შვილი — ქრისტეფორე (236 გვ.). 1808 წ. (236 გვ.). ალ. ცაგარლის კატალოგით № 82.

1. [თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, ბ ი ჟ ი ნ ა ს ს ი კ ვ დ ი ლ ზ ე].—
ვითა ვთქვნეთ ძნელად სათქმელნი აწ თქვენთა(!) ჩემის პირითა...“ 5 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის დასაწყისში სინგურით მიწერილია: „სიმცროს ბატონიშვილობაში მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე მ შვილი გაზარდა და სახახლეში ჰყვანდა, თვითან ა[რ] იყო; მ ე ფ ე მ თ ე ი მ უ რ ა ზ შვილი და მისი გამ[ზ]რდელი თხა ამ ლექსებით გაუმჯლავნა (!), ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს ა ნ ა ს მაგიერ მისწერა ესე ხუთი ლექსი“. 2. ლექსი გამოცემულია (იხ. თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, 1939, გვ. 136). 3. გამოცემაში ეს ხელნაწერი შეტანილია H ლიტერით.

2. „ბ ო დ ბ ლ ი ს ო ნ ო ფ რ ე ს ი.—
რის მოკუდა თქვენი ბიჟინა, შეექმნა ეტლი წყეული...“ 5—6 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. XXXIX).

3. „დ ღ ი ს ა დ ა ღ ა მ ი ს გ ა ბ ა[ა]ს ე ბ ა, თქმული მეფის ერეკლეს ძის მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ, რომელი იქმნა ცხებულ შემდგომად წელიწდისა ცხრისა ამისსა. აწ წიგნსა ამას სწოდებიეს ს ა რ კ ე თ ქ მ უ ლ ი.—
ვით ქელით ჰყო აღძრვად სიტყუათა, ვერ სბრძნის ღირსმან სწავლობით...“ 6 — 109 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. 1—101).

4. [თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი].—
„როდეს ყვენმან (!) სეფიხან ყო საქართველოს მცველია...“ 109—111 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. 102—103).

5. „ყუმარზედ ზ მ ა ლ ე ქ ს ა დ თ ქ მ უ ლ ი მ ი ს ვ ე მ ე ფ ი ს ა მიერ განსჯაფის ჭანდრაკისა და ნარდისა.—
ამისგან ჯაფას ბევრს ნახავს, ვინ მზესა დაედარების...“ 111—112 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. 137—138).

6. „კუალად მეფისა თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ თქმული, ანი და ჩი.—
აღმეძრა ბაგე გულის დადებით, ეუწყო (!) ზედ ჩესრეთ თქმულება...“
112 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. 125).

7. „ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა მ ე ფ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ, რომელსა უწოდდენ ი მ ა ნ ყ უ ლ ი ხ ა ნ. —
ადამ ბძანების განგებულებით დაბადა ევა, ვინ ზმნა თანად...“ 112 გვ.

8. „რუსთველის ნიკოლევოზისაგან თქმული. ჭი დ[ა] ანი. — ჭოვსნი, ჰაფხაზნი, კადილიბი ხედავ ჰართალელ წირდალს ძრავს ცაცა...“
112 — 113 გვ.

9. „ანი და ჭიბოდბლის ონოფრესაგან თქმული.— არ ბალი გამცენ დღე ესე, ვით ზი ჸერსა თანადო...“ 113 გვ.

10. „ანბანთქებაან მიცანად ნათქვამი მისვე მეფისა ერეკლეს ძის მეფის თეიმურაზისაგან. — არის რამ უცხოდ საცნობელ, გამოუთარგმნელ ენათა...“ 113—117 გვ.
(თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული... გვ. 131—135).

11. „ანბანთქება ამიცანად ნათქვამი მისვე მეფის თეიმურაზისაგან ცხებულებასა შინა თავრეზს.— აღვძრათ სიტყვა საცნობელი, არცა ძნიად გამოჩნდების...“ 117—121 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. 126—130).

12. „ანბანთქება მისვე მეფის თეიმურაზისა მიერ.— აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო...“ 121—126 გვ.
(თეიმურაზ I ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, გვ. 149—154).

13. „კვალად ანბანთქება თქმული თეიმურაზ მეფისა მიერ, სამოდ სასმენელი ლექსი აწ ისმინეთ. — აღმართა მჴსნელმან ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადამის ძვალსა...“ 126—130 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. 154—160).

14. „თქმული მეფისა არჩილის მიერ ანბანთ-ლექსი ამინაცად (!) სათარგმანებელნი, უცებთათვის მცირედრე საჭიროდ წერტილნი და ბრძენთა ადვილ გულისჴმის საყოფელნი.— არსი ყოვლთა დამა[ა]რსი, სხუა უარსო არსად არი...“ 130—139 გვ.
(არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1936, გვ. 277—285).

15. „კუალად მეფისა არჩილისაგან ანბანთქება.— აღვზრა ბაგე, გული დავდვა, ეს ვის ზე ჩე თამაშობდეს...“ 140 გვ.
(დასახელებული გამოც., გვ. 274).

16. „მეფის თეიმურაზის მიერ აღმოთქმული წმიდათ ქებაანბანზე. ლექსად თქმული. — ადამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელი...“ 140—144 გვ.
(იხ. თეიმურაზ პირველის დასახ. გამოც., გვ. 145—149).

17. „ეს ანბან ლექსი სათარგმანებელი ამიცანად მეცნიერთათვის საამო, ხოლო უცებთათვის ფრიად საჭირო გულისხმის საყოფელი, ნათქვამი

პეტრე მგალობლის სიონელის ტფილისის ქალაქელისა ნე[...] მიერ.—

არსთა მაარსმან თვით დავარსმან (!) სამოთხე შექმნა ადამისთვის...“ 145—149 გვ.

18. „ანბანთქება, თქმული ბაბათაშვილის ტფილელის იოსე-ბის მიერ თქმული. —

აღვახვამ ბაგეს საქებრად ყოვლთ სულთ ღ˜ვთად ერთად ჴმობილო...“
149—153 გვ.

19. „ეს ანბანთქება ბატონიშვილის ვახტანგის მიერ.—
ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს...“ 153—158 გვ.
(ვახტანგ VI, ლექსები და პოემები ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშ-ვნებით, 1947, გვ. 56—60).

20. „აქა სხვადასხვა ანბანთქებანი იწყებიან. [ანბანთქება]. —
აჰა ამბად აღვამაღ[ლ]ო აწ ავლისა აღნაგობა...“ 158—159 გვ.

შენიშვნა: ამ ანბანთქების ავტორად ხელნაწერებში: H—21 : 6; H—1420 : 3, S—6:12; S—21:6, S—342:11, S—1512:62 დასახელებულია ვახტანგ ორბელიანი.

21. „ანბანთქება ცხრა ლექსად თქმული ღარიბი. —
ანო ავთქვი ჩემი ლხინი, თუცა მზესა გაემყარე...“ 159—160 გვ.

22. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი. —
ანო არ ვიცი, რა სენსა დაუდგამს ჩემთვის თვალები...“ 160—161 გვ.

23. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი. —
ანო, არსთა საქებარი მე ვით ვაქო ჯავარ სრულად...“ 161—162 გვ.

24. „ანბანთქება. —
ანო, ალვა დანერგული ედემს ნარჩი(!) ტანი ვნახე...“ 162—163 გვ.

25. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი.—
ანო, აღმოვსთქვამ სიტყვასა, ცხელის ცრემლითა მტირალი...“ 163—164 გვ.

შენიშვნა: ანბანთქება წყდება: პარო პირმზეს მორავშოვდი, გავჭმი, მით ვარ არარ ნედლად...“ აქვე მიწერილია: „აკლდა“.

26. „კვალად ანბანთქება სხვებრი. —
ან ამას ვსტირი, ბან ბნელსა მჯდომი, გან გულთა მდუღრად დონ დადაგული...“ 165 გვ.

შენიშვნა: S—1511:4 ხელნაწერში ამ ანბანთქების ავტორია ქეთევან დედოფალი.

27. „ანბანთქება. —
ალვალს ბედსა გვარით დავით, ედემს ვრცელად ზის ჱე თხემსა...“ 165 გვ.

28. [ანბანთქება].—
„ადამ ბროლ გარე დებული ევას ვერ ზევს ჱეთერსა თმენით...“ 165 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. „ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა. —
ამისთვის ბაგე გავძარ დიდებით, ესმეს ვის ზრდანი ჵეთურის თემსა...“
165 გვ.

30. „ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა. —
ამას ბრძენ გული დებით ერჩდეს ვლტოლით, ზმნიდეს ესრეთ თქმულსა...“
165 გვ.

31. „ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი. —
ანო, აჰა დრო და ჟამი ჩემდა მოდგა დასამჭობლად...“ 165—167 გვ.

32. „ს ა მ ი ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა დ ო ს ი თ ე ო ს ჩ ე რ ქ ე ზ ი ს შ ვ ი ლ ი ს თქმული. ორი ანითგან და ერთი ჵითგან.—
არიოზ ბნელ-გული დასახავს ესრეთ, ვერ ზომით ჵეოვბს თვითებათადა...“
167 გვ.

33. <დ ო ს ი თ ე ო ს ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი>. —
„ჵი, ჰაი ჯერკვალ, ჴმაჲ ხელი ჭირთ წერ ძნელ ცბი ჩქურით...“ 167 გვ.

34. <დ ო ს ი თ ე ო ს ჩ ე რ ქ ე ზ ი ს შ ვ ი ლ ი>.—
„ალვალო ბაგე გონებით, დავხსნე ესე ვნებული ზე ჵეთერთასა...“ 167 გვ.

35. „ა ნ ზ ე ვ ი ს ი ყ მ ა ხ ა რ ლექსად თქმული. —
ანის ქალაქით წამოველ ალვერდისკენ (!) რებული...“ 167—171 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსის ავტორად ხელნაწერებში H—1103:1 და H—1193:92 დასახელებულია დ ი მ ი ტ რ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

36. [ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა].—
„არს კაცთა ტომი დიდებით მჯდომი შორის ჰაერთა, ცას სამყაროსა...“
171 გვ.

37. „ა ნ ტ ო ნ ი ქ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს თქმული ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა. —
აჴვირებს ადენს ალებსა ალმასი აელვებული...“ 173—174 გვ.

38. „ქება და დიდება წმიდისა და ერთასებისა (!) სამებისა და ღვთაებისა ბუნებით განუყოფელისა, ხოლო გვამებით განყოფილისა, ე კრებათაგან დამტკიცებული, ლექსად თქმული თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ.—
ალვალო პირი, სიბრძნე დამძოვრი (!), ზეზთა ძალისა ჩემისა მზობად...“
174—177 გვ.
(თ ე ი მ უ რ ა ზ I, დასახ. გამოც., გვ. 161—167).

39. „საქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ზ ნ ე ო ბ ა ნ ი მეფეს ა რ ჩ ი ლ ს წარმოუთქვამს, რათა ყოველნი ერისკაცნი ესრეთ იქცეოდენ, აჰა ისმინე ესე მკითხველო.—
მოწყალე ხარ მართლის გულით, მოქენეთა უხვად ღმერთო...“ 177—189 გვ.
ბ ო ლ ო: „...თორ უამისოდ ცუდია, იქნება მართ მამონება“.
(იხ. ა რ ჩ ი ლ ი ა ნ ი, ტ. I, 1936, გვ. 3—13).

40. [ა რ ჩ ი ლ ი], „პირველის მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ თქმული, გლოვა დედოფლისათვის.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა წუხილი...“ 189—190 გვ.
(არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 45—46).

41. „ეს ვახტანგ ბატონიშვილისაგან თქმულია.—
მე უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად...“ 190—191 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსი ეკუთვნის გ. თუმანიშვილს (იხ. ე. მეტრეველი, ვახტანგ მეექვსის ეპიტაფიის ავტორი, თ. ს. უ. შრომები, ტ. 43).
2. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, 1947, გვ. 64).

42. „აქა მეფეს თეიმურაზს გრემის სასახლეზედ ლექსები ეთქვა დაბალის სახლებზედ დაეწერა.—
ღმერთი არს, რომელ ყოველთა იგ ვაქოდ, განვადიდოთო...“ 191 გვ.
მთავრდება: „...ტალახიანის ფერქითა ნურავინ გამიმურავსა...“
(თეიმურაზ I, დასახ. გამოც. გვ. 142—143).

43. [ლექსი]. —
„ენა მწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გძელი...“ 191 გვ.

44. [ლექსი].—
„სიბრძნემ თავისა თვისისა სახ[ლ]ი იშენა გებული...“ 191—192 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსის ავტორად S 1512:20 დასახელებულია იოსებ ტფილელი.

45. [იოანე შავთელი, აბდულმესიანი].—
„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად...“ 192—205 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გადამუშავებულია იაკობ შემოქმედელის მიერ.

46. [თეიმურაზ I, სოფლის სამდურავი].
„სხვაგვარნი ლექსნი დაიწყებიან, რომელ არს შაირნი. —
ღმერთო, რომელი შენ ჰასუფევ (!) ჰაერთა თანა ცაშიგან...“ 205—208 გვ.
(თეიმურაზ I, დასახ. გამოც., გვ. 138—141).

47. [ბარათაშვილი იესე ოსესძე, თქმულნი ლექსნი სამიჯნურონი, რომელსა ეწოდების ეშყიხონია].—
„ზამბახის პირი, მნახავთა ჭირი, კეკლუცს უფარავს მაზაე(!) წარებით(!)...“
209—217 გვ.

48. [ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი]. „აქა კარი პირველი წიგნისა ამის შესავალი, რომელსა ეწოდების სახელად მიჯნურთ ბადე.—
ახლა გამოჩნდი, დიმერქო(!) სახელი მიჯნურთ ბადია...“ 217—236 გვ.

შენიშვნა: ტექსტი ნაწილობრივ გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 257—266)

49. [ისაკ მცირე], „პირველი ომი კატისა. —
ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუა წინ წამოდგა ნაზად კატა...“ 236—242 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 232—372). პოემის ავტორად გამოცემაში დასახელებულია ზაქარია გაბაშვილი. პოემის ავტორის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ., II², გვ. 609; ტრ. რუხაძე, XVIII ს. ქართული სატირის ისტორიისათვის, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს. 1959, გვ. 295—303.

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე ლექსთა თავადი ტუსისშვილის ალექსის ბძანებით იოანე მღვდლის შვილის ქრისტეფორესაგან ნოებრის **დ**, **ჩყღ**“ (236 გვ.).

მინაწერი: „საქართველოს ზნეობა, ფრანგისტანის ჭაბუკის ამბავი, კატის ომი“ (ზემო საც. ფურცლის v).

(1461) **3705**

ბარამგულიჯანიანი. XIX

79 ფ.; 34×21,3; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი სიტყვები სინგურით; გამლექსავი ონანა ქობულაშვილი (76r); [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1836 წლისა. დაუწერელია 77r—79v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 83.

„ქ. კარი პირველი დასაწყისი ჯონშერ ჩინელთ მეფის ამბავისნი, რომელსა ზედან იწყების მიჯნურობა გულიჯანისა და ბარამ ჭაბუკისა. ისმენდინ მეფეთ-მეფეო, ცხოვნდი უკუნისამდე. ესრეთ უხმობენ წიგსა ამას ბარამიანად, ისმინეთ და გულისჴმა ყოფთ. —
არსებით ვხადი ერთ უფლად, სამ-სახედ გვამოვნებასა,
მამისა მიერ ძესა და ეგრეთ სულისა თნებასა...“ 1r—76r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი აღწერილია (იხ. ე. თაყაიშვილი, Описание, ტ. I, გვ. 540); 2. ტექსტი გამოცემაში შეტანილია C ლიტერით (იხ. დავით ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, 1958).

ანდერძები: 1. გამლექსავისა: „გავლექსე, გავაშაირე აწ პირველ გულსა დეზულმა, მე კახმან ვინმე მწერალმან, მდივნობით სახელდებულმა“ (76r).

2. „დასრულდა წიგნი ესე ბარამიან[ი] და იქმნა ამა მიჯნურთა ამბავთა ლექსი რვაას თორმეტი, რომელმან გავლექსე თვესა სამსა და დავსწერე დღეში რვეული ერთი და მისთვის ვერა რაი კაი ჭელი. ამბათქებას ცალკე უნდა წაიკითხევდეთ, ამაში ნუ შეირთავთ“ (76v).

3. **ანდერძი** გადამწერისა: „ხოლო მე რომ წიგნისა ამის დაწერას ჭელვჰყავ, მეწადათ (!) პირველად, რომ კარგა დავსწერო, მაგრამ საქმეებით წაყენილსა (!) და პატრის ქალის ძახილებით გამო მიმოთრეულსა დრო და ნება უკეთესად წერისა არა მქონდა და ამისთვის უფრო გლახა ხელი და რიცხვით აღრევა ბევრი აქ, დასასრულში, არის“ (76v).

მინაწერები: 1. „ჵ, რავდენ მოგრძე არს მოთხრობა ბარამისა“ (21r).
2. „შემატყუე მე, წყეულო მწერალო, რამეთუ ორას ერთისა ლექსით მეტობს ბარამიანი, რომელთა იტყჳ შენ რვაას თორმეტ ლექსებად“ (57r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1462) **3706**

კრებული. XIX

114 ფ.; 32╳20; ქაღალდი; ტყავგადაკრული, მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; გადამწერი ანდრია (103r); გადაწერის ადგილი მოსკოვი (103r); [XIX ს. დასაწყისი]; დაუწერელია 103v; 113r—114v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 84.

1. „კარი პირუწლი. ამა ამბვისა დასაწყისი მიჯნურთ ამბავი სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნი მეფის თეიმურაზისაგან იოსებისა და ზილიხანისა და ლექსადვე მისგან თქმული. —

არსებით ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთ უფლებულად,
ბუნებით განუყოფელად ღთაებით შეერთებულად...“ 1r—30v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934 წ., გვ. 60—98).

2. „კარი პირველი ლეილ მიჯნურის ამბავი სპარსულისაგან ქართულად თქმული მეფის თეიმურაზისაგან, თარგმნილი და ლექსად მისგანვე თქმული. სუფევმსცა უკუნისამდე იქმნეს. —

ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემელობით,
არსისა, არა არსისა, სიტყვა დამბადე მქნელობით...“ 31r—57v.
(დასახელებული გამოც., გვ. 24—59).

3. „ლექსი მონასიბი და ტკბილი გაწყობილი, მსმენელთათვის სა[ა]მოვარდ-ბულბულის გაბრჭობა, ნათქვამი მეფის თეიმურაზისაგან. —

ჰე, არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლი ფერი,
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი...“ 58r—68v.
(დასახ. გამოც., გვ. 3––15).

4. „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა, ერთმანეთის თავის ქებით ჯობნის ბარი და ცილება, ლექსად თქმული მეფის თეიმურაზისაგან. —

ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთა კრებულნი,
ქვე კაცნი სამოელისგან სამოთხით გამოძებულნი...“ 68v—79v.
(დასახ. გამოც., გვ. 99—112).

5. „შელაპარაკება და ბა[ა]სი, მათ მათი შესაფერი მიჯნურობა ფარვანასაგან, თავის დაწვის გაწირვა, თქმული მეფის თეიმურაზისაგან. —

ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იდუმალ დაუფარაო,
ვის სერაბინნი ვერ ხედვენ, პირს ფოთა მოუფარაო...“ 79v—86r.
(დასახ. გამოც., გვ. 15—23).

6. „ლექსნი მონასიბნი და ქებით მკობა მეფისა ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან დარეჯანისა მეფის თეიმურაზისაგან. —

რადგან არ ვსცხრები ქებასა, ვგონივარ ამათ მისანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწ ჩემთა გულთა ლახვარი სათნი მაქვს, სათთა მისანი...“ 86v—89v.
(დასხ. გამოც., გვ. 121—124).

7. „ვიწყოთ ლექსთა ყარიბთა და მონასიბთა აღწერად, თქმული მეფის თეიმურაზისაგან მაჯამა ტკბილ-სასმენელი და ლხინის შემამკობელი. —
კვლავც მითქვამს სიტყვა უქმისა, პატიჟმან შემაშინაო,
ყოველნი განვლით სოფელსა, არვინ დავრჩებით შინაო...“ 89v—94r.
(დასხ. გამოც., გვ. 113—125).

8. „გრემის სახლზედ ლექსები ეთქო მეფეს თეიმურაზს და ბალის სახლზედ დაეწერა. —
ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ, განვადიდოთა,
სამნი ნათელნი ერთად ვსთქოთ: მამა, ძე, სული წმინდითო...“ 94r-v.
(დასხ. გამოც., გვ. 142—143).

9. „ანბანთქება, თქმული მეფის თეიმურაზისაგან. —
აღვახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო,
აერთა ზედან საყდართა დიდებით დამკვიდრებულო...“ 95r—98v.
(დასხ. გამოც., გვ. 149—154).

10. „ქება წმინდისა ერთარსებისა სამებაზე, თქმული მეფის თეიმურაზისაგან. —
აღვაღო პირი სიბრძნისა და ძვირ(!) ზესთა ძალისა ჩემისა მბობად,
მღვთისათვის რამე ნათლად, არ ღამე, ულრმესსა რასმე თქვენად
მოთხრობად...“ 98v—101r.
(დასხ. გამოც., გვ. 161—167).

11. „მეფე თეიმურაზ დავით გარეჯას მიბძანდა და მეფის თამარის სახე ნახა და იმას ულერსა ესრეთ. —
მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა მონებენ,
შეურაც-ჰყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ...“ 181rv.
(დასხ. გამოც., გვ. 144).

12. „მეფის არჩილისა. —
ვაი, სრულ ცუდათ ყოფნასა, ვაი სულ შაირობასა,
ვაი, სოფლის ადრე გავლასა, ვაი დღეთ ავთ შესწრებასა...“
102r—103r.

შენიშვნა: ეს ლექსი წარმოადგენს მეფე არჩილის გალექსილი ვისრამიანის ბოლოსიტყვაობას (იხ. არჩილიანი, ტ. I, 1936 წ., გვ. 221).

13. „თავადის ყაფლანისშვილის დიმიტრი სახლთხუცის თქმული ხარება. —
მოვა ნაზარეთს ქალაქად ერისმთავარი ღ̃თისადა,
მოსეს წინასწარ ნახულის ცეცხლებით მაყლოვნისადა...“ 104r—112v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. გალექსილია: „ხარება“, „შობა“, „მირქმა“, „ნათლისღება“, „ფერისცვალება“, „ბზობა“, „ვნება“, „აღდგომა“, „სულის წმინდის მოსვლა“ და „ყოვლად წმინდის მიცვალება“.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (Описание, ტ. II, გვ. 275—277).

3. თეიმურაზ I გამოცემაში ეს ნუსხა შესულია E ლიტერით (იხ. თეიმურაზ პირველი, დასახ. გამოც. გვ. 09).

ანდერძები: 1. „შენ სამებაო, ერთარსებაო სამგვამოვნებით ერთო, განუწვალებელო, ერთბუნებაო მამაო მშობელო და ძეო შობილო, სულო ცხოველო, მამისაგან გამომავალო, მოსავსა შენსა მეფეს თეიმურაზს მეოხ მეყა(!), ოდეს მოხვდე(!) განკითხვად ქრისტე და გამოჩნდეს მაღალი დიდება შენი და დასჯდე ცხოველთა საყდართა მსაჯულად და განარჩევდე ცხოვართა თიკანთაგან და ნუ წარმავლენ მარცხენით კერძო შეცოდებულსა მას მონასა შენსა, არამედ მომეც შენდობა, დედაო უსხეულოსა ნათლისაო და მშობელო სიტყვისა ღვთისაო, საყდარო ეტლო, ღრუბელო ნათლისაო, მე დაბნელებულსა ამა ცოდვათაგან მითხოვე ძისა შენისაგან შენდობა ბრალთაგან და რომელნი რომელნი(!) მიემთხვევინეთ ჩემსა ამას მცირესა ნაღვაწსა და ახსარებასა წმიდისა სამებისასა, გაფიცებთ ცხოველსა მას ღმერთსა, ყოველთვის შენდობასა ჰყოფდეთ ცოდვილისა მის მეფის თეიმურაზისათვის, რათა ქრისტემან თქვენცა მოგცესთ მისისა სასუფევლის მკვიდრება და კურთხევ[ა], ხმისა მისისა სმენა. ამინ“ (101v).

2. „ბრძანებითა საქართველოს მეფის ძის ფარნავაზისათა ხელ ვყავ აღწერვად წიგნისა ამის შეკრებილიანისა მონამან მათმან ალექსიშვილმან ანდრიამ სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს. უკეთუ ვინმე იხილოთ შეცთომა რაიმე, ვითხოვ მოტევებასა ამა მიზეზისათვის, რომელ გამოუცდელ ვიყავცა და დედანიცა ცუდს ქაღალდზე ნაწერი იყო. აღიწერა იანვარს ქორონიკონს... წელსა... მონა ღვთისა ცოდვილი ანდრია“ (103r).

მინაწერი: „დიდის მეფის თეიმურაზისა:

1. იოსებ ზილიხანიანი
2. ლეილ-მაჯნუნიანი
3. ვარდბულბულიანი
4. შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა
5. შამი ფარვანა
6. ქება ალექსანდრე მეფისა
7. მაჯამა
8. გრემის სასახლეზედ
9. ანბანთქება
10. ქება წმიდისა ერთ არსებისა
11. თამარ მეფის სახეზედ“ (ზემო საცავი ფურცლის შიდა მხარე).

(1463)

3707ა

კრებული. XIX

76 გვ.; 35,5×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 34—76 გვ. ალ. ცაგარლის კატალოგით № 85.

1. „ქ. იყო ქვეყანასა აღმოსავლეთისასა, ჴელმწიფე დიდი, რომელსა ეწოდა მაშრიყ. ესე იყო მაღალი და აღმატებული ყოვლითა ძლიერებითა და სიმდიდრითა. ჟამსა ამის მეფობისასა გამოჩნდა ჴელმწიფე დიდი დასავლეთისა, რომელსა ეწოდა სახელად მელაზორ...“ 1—20 გვ.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია სხვა ხელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „იყო კაცი ქვეყანასა ერთსა მეთევზე, რომელიც რომ თევზის ვაჭრობით იზრდებოდა. ამ მეთევზეს ჰყუა ძე ერთი მცირეწლოვანი, რომელსა სახელად ერქუა დორმუშა...“ 21—33 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 511—512).

3707ბ

[ამბავი სამხრეთის ჴელმწიფისა ფარუსი და შვილთა მისთა ბედუინ, მარმურ და გულანსარისა]. XIX

24 ფ.; 35,5×22; ქაღალდი სხვადასხვა ფერის (1—5 ფ. მოცისფერო ფერისაა; 6—24 ფ. თეთრი); უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 22v—24v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 86.

[ა მ ბ ა ვ ი ს ა მ ხ რ ე თ ი ს ჴ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა ფ ა რ უ ს ი და შვილთა მისთა ბედუინ, მარმურ და გულანსარისა]. — „ქ. იყო ქვეყანასა სამხრეთისასა ჴელმწიფე დიდი და აღმატებული ყოველთა ზედა ჴელმწიფეთა და განთქმული ყოვლითა სიბრძნითა და მეცნიერებითა და აღვსილი დღითა და მიწევნილი მოხუცებულებასა შინა, რომელსა ეწოდა ფ ა რ უ ს. და ჰყვანდა ჴელმწიფესა ამას სამი ვაჟიშვილი: ბ ე დ უ ი ნ, მ ა რ მ უ რ და გ უ ლ ა ნ ს ო რ, დიახ ლამაზნი და მშვენიერნი და გამოჩენილნი გოლიათნი...“ 1r—22r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. Описание... II, 511 გვ.).
2. სათაური შერჩეულია ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ.

3707გ

ქალ-ვაჟიანი. XIX

28 გვ.; 21,5×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 27—28 გვ. ალ. ცაგარლის კატალოგით № 85.

„ქ ა ლ-ვ ა ჟ ი ა ნ ი. — ერთი კაცი იყო დიაღ მდიდარი და მოხელე დიდის ქალაქისა. ჰქონდა უანგარიშო ხაზინა, ოქრო და ვერცხლი...“ 1—26 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია 1873 წ. იაგორ ნერსესოვისა და არსენ კალანდაძის მიერ.

(1464) **3708**

ამირანდარეჯანიანი. XVIII

II ფ.; 158 ფ.; 33×20; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XVIII ს.]. ხელნაწერი ალ. ცაგარლის შედგენილ კატალოგში არ არის შესული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ამირანდარეჯანიანი]. „კარი პირველი. აბესალომ ჰინდოთ მეფი-სა ანბავი. კარი ა. — იყო ჰინდოთ მეფე აბესალამ, მორჭმული და განგებიანი და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა...“ 1r—154r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის თარიღის შესახებ იხ. ალ. ბარამიძე, ნარ-კვევები, 1945 წ., I ტ. გვ. 35—40 და ივ. ლოლაშვილი, „ამირანდარეჯანია-ნის ახალი ხელნაწერი“, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948.II.22, № 7. დასახელებული ავტორები ხელნაწერის გადამწერად ვარაუდობენ ზახა-რი ლაბაძოვს.

2. დ. ჩუბინაშვილს ქრესტომათიის 1863 წ. გამოცემაში ამირანდარეჯა-ნიანის IV კარი დაბეჭდილი აქვს ამ ხელნაწერიდან (იხ. ლ. ათანელიშვილი, ამირანდარეჯანიანის ერთი ნუსხის გამო, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, 1961, 19—26 გვ.).

3. ხელნაწერი შეიცავს 15 კარს. მასში შესულია „ამირანდარეჯანიანის“ და-მატებანი: „ჯიმშერიანი“ და „ჯიზი ხელმწიფის შვილის გურგენის ამბავი“. ეს და-მატებანი გამოქვეყნებული აქვს ს. ყუბანეიშვილს (იხ. ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტო-მათია II, 1949).

4. ტექსტი გამოქვეყნებულია რამდენჯერმე. უკანასკნელად გამოსცა ლ. ათა-ნელიშვილმა (იხ. მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, 1967).

მინაწერები: 1. „მარიამ“ Iv, 2. „ბეგლაროვანო“ (Iv). 3. „ჩვენი ბძანება არის სტამბოლის ხონთქარო! უნდა წახვიდე და ჩინეთის ჴელმწიფეს თამბა უყო და სულ გააფრანგო. თუ არ დაგიჯეროს, ჩვენ მოგვახსენე და ცხვირ-პირს და-ვაჭრით და სტამბოლსაც დავაქცევთ“ (Iv). 4. „მოეშვებნათ დალისტნელთა, ჴრმალნი ცუდათ რათ გვაბიან“ (Iv). 5. „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“ (Iv). (შდრ. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტროფი 440,3). 6. „ნეტავი იმ დღეს, რომ მე ერთი გულის საწადელი მაქვს, შენთან ის აღ-მისრულდეს. მე რაც მინდა, იმას აღგისრულებ, უსაცილოთ, თუ გინდა.

ჩემი ცოდვა მოგეცეს, თუ არ მითხრა რა გინდა. და ირწმუნე, რომ მე თა-ნამდები ვარ უსაცილოდ, ვაყო, რატომ ვერ შეიტყევ“ (Iv). 7. „ვაჲ მათდა, რომელნი სწერენ და უკეთურებასა სწერენ“ (Iv). 8. „გიორგი“ (Iv).

9. [ლექსი]. — „მე შენმა თვალმა გარდმიბირა, როს გნახე მთვარე,
შვიდნი ციურნი მოციმციმედ არ შეგადარე,
შენის ბაგისა ორნი მეცნეს — ტკბილი და მწარე,
ორ კეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე,
სახელ ღარიბი რად დამაგდე შეუბრალადო?“ (IIr).

10. „ზახარ ლაბავოვ“ (IIr).

11. კრიპტოგრამა (IIr).

12. „ცრუ ზაზავ, ეს მეც კარგად ვიცი — სხვა თქვე რამე, რომ არ ვიცო-დე“ (IIr).

13. [ლექსი]. — „დარეჯანის ძემ ნაკრავი ბალხაყამიძეს აწვია,
დიდად გულოვნად მბრძოლელი მიწასა გარდაეწია,
ხურჯინად გარდაეკიდა, თურე სიკდილი ეწვია“ (IIv, 1r).

14. [არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველი-სა]. — „ქ. სულხან ვით თანიაშვილი მეც მახსოვს, იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ სწამობდნენ ჩემობას,
ამირან დარეჯანისძეს უქებდა გამომრჩემობას,
ვთქვათ, რომ კარგი თქვა, მაშინცა, რად გონებს
რუსთვლის ოდნობას.
ამიტომ აი მისმინე.
ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია,
მასთან რად სწერდა მის ლექსსა, სირეგვნე მას მორევია,
რუსთველი სიბრძნის ტბად არის და იგი არც მორევია“ (IIv).

(ტექსტი გამოცემულია. იხ. არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 3—4, სტროფი 26 და 31).

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. [ლექსი]. — „დარეჯანიძის მკლავნაცა
ლომის გასაგმერ მანნიცა,
გაისმა ჭმელეთს ჭმანიცა,
შესაფერ გასატანიცა“ (IIv, 1r).

16. ლექსი სპარსულ ენაზე (IIv).

17. [ლექსი]. — „შვენება უგავს მზის სხივსა, მთოვარეს ვარსკვლავთ სხმაია,
ასპარესზედან მკრთოლვარობს შეწმახვნით გიშრის თმა, ია,
ბროლი და ლალი გარევით ზოგად მასა აქვს ჭმა ია,
და ზამბახმა ია გაშალა, საქებ არს მისთვის თქმა ია“
(IIv, 157v).

18. [გამოცანები] ა. „მე მშვა მამამან ჩემმან, მე ვშევ ცოლი ჩემი, ცოლმან ჩემმან შვა ასული ჩემი, ასულმან ჩემმან შვა მამაჩემი“ (IIv, 157v).

ბ. „შვენება უგავს მზის სხივსა, მთოვარეს, ვარსკვლავთ სხმა ია“ (IIv).

გ. „ვინ თქვა მართალი და წაწყმდა, ვინ თქვა ტყუილი და ცხონდა,
ვინ მოკლა კაცი და ცხონდა“ (IIv).

დ. „განუკვეთელი განჰკვეთა მოკვეთილმან
და იხილა ქვეყანა უხილავი მზის თვალმან“ (IIv).

ე. „ცა იყო და ქვეყანა არ იყო. მოციქული იყო და პასუხი არა იყო. მან წიგნი მოიღო, უწერელი იყო, წაიკითხეს და ყოველთა გაიგონეს“ (IIv, 157v).

19. [შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი]. —
„ვის ხატათ ღთისთ(!) გიტყვიან ფილასოფოსთა წინანი,
მიშველეთ რამ ტყვე ქნილს, ჯაჭვი მაცვია რკინანი,
ბროლ-ბალახჩისა მძებნელმა სათი დავკარე მინანი,
მაშინ ვერ გავძელ სიახლე, აწ სიშორეს ვინანი“ (154r),
(ვეფხისტყაოსანი, სტროფი 837).

20. „გიორგი“ (154r).

21. [ლექსი]. —
„მეფის ძეა უხვ მბოძეა, მყუდრო მდაბალ, არ ზესთ მჩენა,
სიტყვამ რისხვით შელექსილმან განმშოლტა და რქითა მრქენა,
არ მიიღეს ქენვა, ქენვა, არ ილოცეს აქ გამჩენა,
მომიხსენე ქვენა, ქვენა და იმეფე ზენა, ზენა“ (154r).

22. „დათუა“, აქვე მოთავსებულია კრიპტოგრამა (154r).

23. [ლექსი]. — „ლექთა დასტები დააწყო, ვითა მკალია ბერამან“ (154r).

24. „კოხტამ შეკეცა ბოხოხი, კეფაზედ დაიხურა მან“ (154r).

25. [ლექსი] — „ქ. მკლავს ვის ტანსა ალვისასა ჰკიდავს თმანი სადაგველად,
სურვილისა ცეცხლი მძაფრი მან მომიდვა სადაგველად,
შვებისაგან სრა გულისა გამიხადა სადაგველად,
და ეშყმან ჩემის მკვლელისამან თავი ყელის სადაგველად“ (154r).

26. [ლექსი]. — „ქ. ეჰა რაიმე, რაიმე მასავე მაკამათელა,
ვინ პირით მონარგიზულა, გულსა ადგია ნათელა,
ტანი ვერხვივით სახვევი, თითივით თეთრი სანთელა,
მიდღეში როგორ დარჩება ჩემი ჭელ გაუმართველა“ (154v).

27. „ვიკითხევდი ამ უსვინდისოს წიგნსა, ვეღარ მომითმინა გონებამა და დავეთხოვე“ (154v).

28. [ლექსი]. — „დილას თვალმა წყალს დახედოს ანუ შიშველს მაღალ თვალსა, ანუ თვალსა განათალსა, ანუ კეკლუც ლამაზ ქალსა“ (154v).

29. „ადიდოს უფალმა ბატონიშვილი ლეონ“ (155r).

30. [ლექსი]. — „ეს გადარჩა ოთხს სტრიქონსა, თორმეტისაგან მგონორიეს,
ბუნებათ-მეტყველებასა სიბრძნე არ მოუშორიეს,
აგრევ რაცხვთმეტყველებამან თავი სხვათ ბრძენთა მორიეს,
ვინც ეს თორმეტი შეკრიბოს, სულ სიბრძნე დაუმორიეს“
(154v).

31. [არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა]. —
„სხვათ ლექსით ჩახრუხაძემან
შეამკო მეფე თამარი“ (154v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. „ქ. თრიალეთის მთაზედ რომ ვიყავით“ (155v).

33. ქართულ-სპარსული-თურქული ლექსიკონი. —

„ქ. ქათამი ქ. მორყ, ქ. თაუხ

ქ. მოხარშე ქ. ბუფუს ბიშერ; დასჭერ — ქ. რიზა ქუნ; ქ. ნუ დაჭრი — ქ. რიზამაქუნ.

ქ. კვერცხი ქ. თხმურხ

ქ. ღამე ქ. შაბ

ქ. დღე ქ. რუზ

ქ. ბნელა ქ. თარიქეს — ყარანღელ

ქ. ნათელა ქ. რუშანეს აი დინლევ

ქ. მამალი ყივის. ქ. ხორუზ ბონგმიზენათ

ქ. ცეცხლი აანთე ქ. ათაშ რუშანქონ

ქ. ბზე ქ. ქაა, სამან

ქ. ქერი ქ. ჯოვ

ქ. ფეტვი ქ. არზანგ

ქ. ხორბალი ქ. განდუმ

ქ. სიმინდი ქ. ჩერჩემო

ქ. არუს რძალი

ქ. თაფლი ქ. ასალ“ (155v).

34. „ფატრელი გოგია“, „ქ. ელისაბედ“, „ლეონ“ (155v).

35. „გოგია არის კაცი კეთილი, ჭეშმარიტათ უსაცილოთ კარგი არის...“ (155v).

36. „ქ. ბატონიშვილო მ ი რ ი ა ნ, ყოველ[ნი] მტერი შენგან ტირიან“ (155v).

37. „მ რა სლავ მორ იბელთრამემ სარ ოლადრას თივად ონოტაბ“ (156r). (კრიპტოგრამა).

38. [ლ ე ქ ს ი]. — „დავითის ზამბახისა ხარ, გიძღვენ ფსალმუნით ქალობა,
სიბრძნის კონამცა მხოლომან და ასაილის მალობა,
შებრალებისა კალმითა ქალალდს დასწერტე ხალობა,
შენდა მადლობა, გალობა, შორით მაყნოსე წყალობა“ (156r).

39. [ლ ე ქ ს ი]. — „ქ. მე ვარ და ჩემი ფინია,
[. . . . . . .][1] თინია,
მოწამეთ მყვანდა ღვინია,
შენი ცოლის ძმა ნინია“ (156r).

40. [ლ ე ქ ს ი]. — „ქოიალის ანაგდები დაიჭირა, გამოსტაცა“ (156r).

41. [ლ ე ქ ს ი]. — „მე იგი ვარ, ვის სოფელი არადა მჩანს კიტრად, ბერად“, (156r). (ვეფხისტყაოსანი, სტროფი 786,1).

42. [ლ ე ქ ს ი]. — „მე და შენ დავსხდეთ ჭელმწიფედ“ (156r). (ვეფხისტყაოსანი, სტროფი 537,4).

43. [ლ ე ქ ს ი]. — „ვინც მახეს სდგამს სხვათა ჭირად, თვით გაებმის უწინარე“ (156r).

44. [ლ ე ქ ს ი]. — „დავითის ტომს გეტყვის მშველნი, მტერთა ბეჭსა შენი ხელნა,
შეწყალების მნილო(!) სველნი, მღვთის ხატების დამსახველნი
ჰკვრან შენთვის ზღვა და ჴმელნი, არ იქებინ შემნახველნი,
მახვილით ხსჭერ ეშმაკთ ყელნი, განმიცისკრე გული სველნი“ (156r).

45. „გოგირდი. ვიტამც(!) ანტიმონის დაწვა. ჭყოინდელი“ (156r).

46. [ლექსი]. — „მარიამ ღვთისა დედამან გაპკუროს ოხის ნილოსი,
წინამორბედმან ალგიხსნას შეტრფევა საწადილოსი,
მახარებელმან კურთხევა ძეთა ქველ განაზრდილოსი,
ნიკოლამ აგაორბინოს შემმოსე რამე ტილოსი“ (156r).

47. „გლ. სედ. ახ. დოდ. ავ. ბედ“ (156r).

48. [ლექსი]. — „მარიამ, დავითის სქესი, აგებულთა უალრესი,

---

[1] აქ ორი სიტყვა ამოშლილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერზედ გექმნეს მახვილ მლესი, ვრცელად დღეგრძელობის წესი,
მამრავლებელ ასულ ძესი, მომვაჭრებელ სულთ სიძესი,
სენი დასდევ ეშმაკთ მკვნესი, მმოსე რამე უკნინესი“ (156r).

49. „ვასილი“ (156r-v).

50. [ლექსი]. — „ესე წიგნი ამირანის ნათქვამია ხონელისა,
ძალით ჩქარად უთქმევიათ, არა წყნარა, ხონელისა,
ზეცა სჭვრეტს, მოვა აქო, ჯერაცა ზის ხონელისა.
ეს ასრეა, ესე კაცი მოვა მისთვის მგონელისა“ (156v).

51. [ლექსი].— „...ამ უკუღმართს კოტეტს ეს ასრე რათ ულაყბია,
რაზე სჩხაბავს აქა იქი, რაც რომ თითონ ულაყბია“ (156v).

52. „ი უ ლ ო ნ ალმოიჭვირვების, ვითა ცისკარი“ (156v).

53. „ეს სოფელი არვისგან მისანდობელი“ (156v). (შდრ. ვეფხისტყაოსანი, სტროფი 1668,1).

54. „ბეგლარ“ (156v).

55. „და განეხმის ქართლსა ნათლისა კარი“ (156v).

56. [ლექსი]. — „ბებერი ვინმე მორბოდა, ჴელთ ჰქონდა ბამბის შულები,
მეცა ვიყიდი იოსებს, მას ვანაცვალო სულები“ (156v).

57. [ლექსი]. — „ძლევა მოგცა არსთა მჴედმან და სიმჴნე თან მოსაჴმარად,
ტანად სპილოდ, ძალად ლომად შენს მტერთათვის შესაზარად.
მკლავნი გმირად, ჩოხა ჯაჭვად, გული სალად, ვითა ფარად,
თოფი მარჯვედ, არა მცდარად, ჴრმალნიც გაქვან ლეკთა ქმარად“ (156rv).

58. „ვინ ესავს ძალთა გაბრიელს, ის ლეკთა ჴოცს მისაქციელს“ (156v).

59. „არა, შე ცრუ კოტეტო, რათ ახდენ ამირანს“ (156v).

60. „უშენოდ შენით, უშენოდ შენით, წუთიც არ მინდა მგონია შენით“ (156v).

61. „ვგმობ მუხთალსა საწუთროსა ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა“ (156v).
(შდრ. ვეფხისტყაოსანი, სტროფი 948,4).

62. „ბედმან გვიყო ყველაკაი ჩემო, რაცა დაგვემართა“ (156v).
(შდრ. ვეფხისტყაოსანი, სტროფი 1299,4).

63. „მე შენსა ყარიბსა მიჯნურსა მაქვს სავალალო“ (156v).

64. „ვი ნები. ხტ ეს წა ტომის იკი ირილ თხოს არისტო იმ ტკედას კორკ ბრ სოლ შენს როსპუ დაუ ვასლიძახ დომნე...“ (156v).

65. „სოლომან“, „როსტომ“, „ვასილ“, „მანუჩარ“, „პოტემკინი“, „ბესტუჟო-ვიტ ტრუბეცკოვი“, „ქობულოვი“, „არლოვი, ჩერნიშოვი, ტეფლოვი, რუმენცოვი, ვორონცოვი, პანინი, ლალიცინი, რაზუმოვცკი, ჩიკოვი, შე-რემენტი, ჩეჩერინი, პაკუნინი, კუზმინი“ (157r).

66. „რაცა აწ მე დამემართა, თუ სოლომონს დამართოდა,
იგიც ეზდენს იტირებდა, თვალთა კილო დამართოდა.
როს თვალთა კილო მე მემართოდა, მაშინ შეწევნაც დამემართოდა (157r).

67. „რევაზ მოურაო, იულონ, მერაბავ“ (157v).

68. „ქ. გეიმადამ იაშილ ინალუმი მანი ოლდა ურუფსთარი ზალუმი“ (157v).

69. „ვინცალა ჩხაბ ლექსთა გლეხურთა, ვინ ეთანხმები კაცთა გველურთა“ (157v).

70. „ქეთავან მოიგო ქრისტეს მიმართ რბენა
და მისცა მკვლელთა საუკუნო სვინიდისის ვნება“ (157v).

71. „ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი
დედა ქალწული, მშვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი,
შენგან იშვების მეუფე გვირგვინოსანი,
და მას მონებდნენ მეფენი მრავალყმოსანი“ (157v).

72. „გულს ნუ შეიცვლით ჩემზედა,
უკეთ მმსახურე თემზედა“ (157v).

73. „ოდეს ამაღლდა შურისა ალი,
ნედლსა და ხმელსა დამართა ძალი“ (157v).

74. „მე არ ვახსენებ როსიას, მით რომე ვხედავ მოსიას" (157v).
75. „ლაწვი იაგუნდს უგვანდა, სახე წყალს ჩამდინარესა,
პირი გავსილსა მთვარესა, სრულ აშვენებდა არესა;
წარბი მშვილდურად მოხრილი — წამწამი ისარს მწარესა,
მისგან მოწყლულსა არ მისცის წამალი მემუდარესა" (157v).
76. „გრიგოლ" (157v).
77. „ქ. აბა, აწ განხო, კალამო, როგორ იმაგრებ წელსაო,
ნუ ეცეცები აქა-იქ, ნუ ათრევ ენას სველსაო,
ოდეს ხარ შაქრის უტკბოსი, ხან ეგვანები გველსაო,
ხან განანათლებ ბნელს გულსა, ხან ცეცხლს მიუგზნებ მწველსაო.
ტაეპი
სამსალა და თერიაყი შენს ენასა ორნივ სდიან,
ერთი მოყვრის სიქადულად, ორნი მტერსა გამოსცდიან" (157v).
78. „ამ დროს წასვლა მინდა პეტერბურღს წელსა ჩლოჩ,
თუნდა გზირს გამატანეთ, თუნდა ზახარ ლაბავოვს" (158г).
79. „მე იგი ვარ, სოფელი არათა მჩამ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის, თამაშად და მიჩამს მღერად" (158г).
(შდრ. ვეფხისტყაოსანი, სტროფი 786,1-2).
80. „ბეჯითი ოქმი უნდა იყოს, თორემ არ გამოგზავნის დიდმის მამასახლისი" (158г).
81. „ახა ამ ცრუ კოტეტ", „როსტომ ბეგლაროვანო", „ლეონ ბრძენო" (158г).
82. „ქ. ედიშერ, შენი ფანტური ფოხლათამც დავირჩებაო" (158г).
83. „მეფისა იყო მისანდო, ნათლის ძე ღუთის მეტყველია,
გიორგის, სიბრძნითა სრულსა, ასწავაცა ყოველია" (158г).
84. „ქ. არსთა მიზეზმან მიხედა რისხვითა უფარვითა,
ოსმალნი, სჯულით ომარნი, დასცნა ძლიერის მკლავითა,
შეჰურა მეფე ირაკლი მადლითა სასურავითა,
დროშითა უძლეველითა წარგზავნა საზარავითა!".
85. „სიბრძნით ფრდილი ღუთისმეტყველი, წევრი ღრამატიკოსია,
მდივანთ სრული, მთხრობელთ გული, ისტორიით აღსავსია,
ადრით პატრონთ სასურველი... სოფლის საწუნია,
და უსწროჲ ღუთისმეტყველი მისდა მიწას უნანია" (158г).
86. „არა, ამ ცრუდ მეტყუწლს გლახა კოტეტს, რომელსაც რომ ამათონი სიცრუჩ არ მოეწყინება, რა არის ამათონი უბრალო ჩხაბა" (158г).
87. „ენიდჭებაად ითარაბ გე ველაყ წომ ომეჩ ნოლუი" (158г).
88. „ბოროტი თვალი ცეცხლს მინათვალი" (158г).
89. „სახელ დაკარგული, კოტეტი გლახა, აბა კითხეთ თუ" (158г).
90. „ქ. იოვანე ოქროპირი ღვთისმეტყველი მისი სეხნა,
იაკობცა, ძმა უფლისა, ჩემად მშველად დამექვეხნა" (158г).
91. „ესე არის სიბრძნე ბრძენთა, პირველ ფილასოფოსობა,
მკურნალობა, რიტორობა, მერმე ღრამატიკოსობა,
ქვეყნის ზომა, ვარსკვლავთ რიცხვთა, სიტყვის შეთხზვად მუსიკობა,
ბრძოლის წესი, ჴელოვნება, ძნელის ნივთის შემტყობლობა.
92. „ვარდთა ჯინჭველთა შეყრილთა უგვანდა ლაწვთა არენი,
ზედან ამბრისა მარცვალნი ეყარნეს მისაჯარენი,
რკინის ჯაჭვითა შეპყრობით შუა შეეგდო მთვარენი,
...მისი მჭვრეტელნი, რა ნახის მოცინარენი" (158г).

(1465) **3709**

ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი. 1818—1825

207 ფ.; 35×22,5; ქაღალდი, დაშლილი; მუყაოს მოვარდნილი ყდა; მხედრული; ავტოგრაფი ნ. ჩუბინაშვილისა; [1818—1825 წწ.]; დაუწერელია: 15, 18v—20v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ნიკო ჩუბინაშვილი], „ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ საბა სულხან ორბელიანისა, ხოლო ნაცულად იტალიანურთა ლექსთა მისგან ზედმოწერილთა, დაირთვიან მხოლოდ ლექსნი ბერძულნი ანუ ლათინურნი ქართულად მიღებულნი მათითავე ასოებითა, არამედ ამგუარნი ლექსნი სომეხთა ანუ თურქთა ენისანი ზედვე მოწერილ არიან ქართულითა ასოებითა, ხოლო განსარჩეველად სომხურთა ლექსთა წინ უზისთ ასო ს და თურქთა ასო თ.

ა. —

ა არს ხმოვანი ასო, დადებული თავად ყოველთა ენათა ანბანსა შინა...“ 21r—207v.

შენიშვნები: 1. უძღვის „შესავალი ქართულის ლექსიკონისა..“ (1r—18r).

2. ხელნაწერის ტექსტი გამოკვლევით გამოცემულია (იხ. ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, 1961).

3. ტექსტის ავტორისა და ხელნაწერის დათარიღების შესახებ იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 8—11.

(1466)

3710

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. XIX

144 ფ.; 32,5×21,5; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები და განსამარტავი სიტყვის პირველი ასო — სინგურით; სათაური ასოები შესრულებულია მხატვრულად; აქვს თავსამკაული (1r); [XIX ს. ოციანი წლები]; ჰვირნიშანი 1818 წ. (22 ფ.), გადამწერი: ნიკოლაოს (3r და 144r); დაუწერელია: 23rv, 27v, 31rv, 41v, 46v, 54rv, 58v, 73v, 74r, 78v, 86rv, 123v, 128v, 132v, 142v, 143v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 89.

[ს.-ს. ორბელიანი], „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსის კონა. —

ანი არს პირველი ასო და ხმოვანი და ართრონი, მრავალრიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყუათა ზედა, ვითა თავსა დავჰწერია...“ 4r—144r.

შენიშვნები: 1. წინ უძღვის: ა. „საქცევნი ასოთანი და თავბოლოებად სჯილნი...“ (1r—2r); ბ. „არიან ქარაგმანიცა ათნი, რომელსა ქართულად ეწოდება განწილვა...“ (2rv); გ. „ოთხნი ნიშანნი ქვეყანის მზომელობისანი არიან ჴელოვნებანი...“ (2v); დ. „ეს ნიშანნი სადაცა სხენან, მიგასწავლის—ცხოველი არს თუ მცენარე, გონება აგანმხედუჵლე...“ (3r).

2. ერთვის. ა. [იესო ქრისტეს სამეოცდათორმეტთ მოწაფეთ სახელები, ვინ იყვნენ და სად ეპისკოპოზობდენ], ფრაგმენტი (143r); ბ. უცხო ტერმინთა განმარტება: „გეომეტრია — ქუეყნის მზომელობა...“ (144r) (განმარტებულია 15 სიტყვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შედგენილობით ტექსტი შერეული (BA) რედაქციისა (იხ. ლ. ქ უ თ ა თ ე-ლ ა ძ ე, ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 265).

მინაწერები: 1. „11 июля 1849 году открыв я сие место нашел букашку не знакомую. Сперва я хотел поймать ее живаую (!), но чрезвичайная мягкость ея тела утруждала мое старание. Величиною была она меньше блохи, но станом длинее, снаружи покрыта была пухом; подобно ежу; голова у неи(!) черная, занимающая 1/3 всего тела; ног имела 10 и маленкий хвостик желтоблестящий.

И. Серебряков“ (79 v).

2. „ოჰ! რომ ვიფიქროთ ჩვენი ცხოვრება
ვით ამაოა, ვით მალე ხდება,
მაშინ ესდენ არ შევგვყვარდებოდა,
სანუკად არა გამოჩნდებოდა.

Серебряков“(58 r).

3. მოგვიანო ხელით 1r-ზე მიწერილია: „ჩყნ-სა წელსა“.

(1467) **3711**

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. 1763

244 ფ.; 30,5×19,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი: ნიკოლოზ გარსევანოვი (243r); ქ. ყიზლარი (243r); 1763 წ. (243r); ალ. ცაგარლის კატალოგით № 90.

[ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი], „ს ი ტ ყ ვ ი ს კ ო ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი, რომელ არს ლექსიკონი. — ანი არს პირველი ასო და ჴმოვანი და ართრონი. მრავალ რიგად თავად და ბოლოდ მრავალს მრავალთა სიტყვათა ზედა, ვითარცა თავს დაგვიწერია...“ 5r—240r.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „ანბანი პირველი სასწავლო ყრმათათვის...“ (1r).
ბ. „ანბანთ რიცხვთ სწავლა, თუ რომელნი რაოდენთა იტყვიან...“ (1v);
გ. „ნულა ქართულის რიცხვის სწავლა...“ (1v—2v);
დ. „საქცევნი ხუთთა ჴმოანთა ასოთანი და სწავლა სხვათა ასოთა და თავ-ბოლოთანი...“ (2v—3r);
ე. „ანდერძნამაგი...“ (3r—4r);
ვ. „ქარაგმანი“ (4rv).
ზ. „ეს ნიშანნი სადაც სხენან, მიგასწავლის—ცხოველი არს თუ მცენარე, გონება აგანმხედველე...“
2. ლექსიკონი შევსებულია ნ ი კ ო ან დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ხელით.
3. ერთვის: ა. [იესო ქრისტეს სამეოცდაათორმეტი მოწაფეთა სახელები] (240v—241r).
ბ. [ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსი].—„ქ. რადგან დაშვრა ასრე ს ა ბ ა, ქება მმართებს, აწყა მეცა,
შეუყრია მრავლად სიტყუვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა...“ (241r).
გ. [ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსი].—
„სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი...“ (241r).
დ. [ს ა ბ ა ს ნ ა თ ქ უ ა მ ი].—
„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოთა...“ (241r).
ე. „ქ. მოჴელენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელნიმე არღარა უწოდენ და თურქთა ენათაგან მოუღიეს მისდა ნაცვლადა...“ (241r—242r).

ვ. [წელთა აღრიცხვანი]. „დასაბამითგან ქრისტეს მოსლვადმდე ქართულის რიცხვით გარდახდა წელიწადი ხუთი ათასი...“ (242v).

ზ. [უცხო ტერმინთა განმარტებანი]. „გეომეტრია — ქუეყნის მზომელი...“ (განმარტებულია 15 სიტყვა, 242v).

თ. [ნარდის ქვებით სათამაშო ტექსტები]. „მოურნე მარიამ განწმენდე ვეცხლისაებრ ბერთა (თ)“, „მჭნედ არს მიუწევნელ მოსავთა მისთა მწედ ერთა (ი)“, „კაცი გ, კენჭი კდ. ადექ ბეჟან, შავი ცხენი ქიტას მიეც“ (242v).

ი. Curriculum vitae (243r).

ია. [მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კ ა ვ კ ა ს ი ძ ე, ლ ე ქ ს ი].—
„საბა-სულხან ორბელის-ძე
სიბრძნით ალჴდა ორბების ზე“ (243r).

იბ. [ლექსი]—„ს ა ბ ა ს ი ვნახე ნალვაწი, ნამჭეური შემოკრებული...“ (243r).

4. ლექსიკონი A რედაქციისა (იხ. ლ. ქუთათელაძე, დასახ. წიგნი, გვ. 272).

ანდერძი: „ლექსიკონისა ამის გარდმომწერალი უნდო ნ ი კ ო ლ ო ზ გ ა რ ს ე ვ ა ნ ო ვ ი გევედრები მჴურვალითა გულითა, უფალნო, [თ]უ თქვენდა არად დასაკლის იყოს, შენდობის წყალობას ვითხოვ. ხოლო აღიწერა ქალაქსა ყ ი ზ ლ ა რ ს წელსა **ჩყ**ლ**გ**, დეკენბერს **კდ**“ (243r).

მინაწერები: 1. „წმინდის ზიარების კიდობანს კიურიო ჰქვიან“ (242v).

2. [ლ ე ქ ს ი].—„ლექს ვწერ ერთს ქვესა სიბრძნითა ზესა ყოველთა დღესა მსმენელთა მზესა,
მეფისა სვესა, სატრფოსა ბრძენსა, ლომ ქველსა ძესა, ედემის მზეფსა,
მხილველთა თქვენსა სიბრძნეს იწვევსა, შუქსა ფენს ერსა, ვახტანგ გვალხენსა.
მისსა არესა ვმონებთ კარებსა, ვემწე მონებით მისსა სასმენსა“ (243r).

(1468) **3712**

ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1832

433 ფ.; 21×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; ავტოგრაფი ნ. ჩუბინაშვილისა; 1832. III.20 (3r), დაუწერელია: 3v, 5v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 91.

[ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი], „Полный словарь российско-грузинский. —

A

A союз. Лук. 16. 13 და || Иоан. 10. 12 и 14. 21 ხ, ად.
A междом. ჰა || ჰე, ჰე—Aa, aa! ჰაჰაი, ეჰე...“ 6r — 433v.
წ ყ დ ე ბ ა: „...Нятие, тия с. ср. стар. ტყვეობა, პატიმრობა...“

შენიშვნები: 1. ლექსიკონი შედგენილია ორ წიგნად. პირველი წიგნი შეიცავს ა-დან **ნ**-მდე. დანარჩენი ასოები მომდევნო ხელნაწერშია (იხ. № 3713).

2. ხელნაწერის ავტორისა და დათარიღების შესახებ იხ. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ ალ. ღ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით. 1961 წ., 33—34 გვ.

3. ტექსტს წინ უძღვის: ა. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს შედგენილი ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც ჩამოყალიბებულია ლექსიკონის შედგენის პრინციპები და დასახელებულია წყაროები (იხ. 1r—3r).

ბ. „Изъяснение сокращенных знаков в сем словаре употребленных...“ (4rv).

გ. „Ссылки из св. Писания...“ (5rv).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1469) **3713**

ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1832

487 ფ.; 20,5×17,5; ქაღალდი; დაშლილი; მუყაოს ყდა, მოვარდნილი; მხედრული; ავტოგრაფი ნ. ჩუბინაშვილისა; [1832. III. 20]; ალ. ცაგარლის კატალოგით № 92.

[ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რ უ ს უ ლ-ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი].—„Ои объ предл. прин. 1). предл. под. თ̃ს, ზ̃ა говорить о чемъ უბნობდ რაჲსათ̃სმე, რასა ზედამე || Лук. 9.49 о имени твоемъ—სახელითა შენითა...“ 1r—487v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი წარმოადგენს წინა ნუსხის (3712) გაგრძელებას.
2. ხელნაწერის ავტორისა და დათარიღების შესახებ იხ. წინა ნუსხა (3712) და ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, ალ. ღ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციით და გამოკვლევით, 1961 წ., 32—36 გვ.

(1470) **3714**

დავით ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი. 1878

655 ფ.; 36×27; ქაღალდი; დაშლილი; უყდო; მხედრული; ავტოგრაფი დ. ჩუბინაშვილისა (652v); 1878 წ. (652v); დაუწერელია: 6v, 16v—17v, 40v, 45v, 74v, 75v, 98v, 99v, 101v — 104v, 651v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 93.

„«დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი», ქართული ლექსიკონი.—ა.
ა. პირველი ასო ქართულის ანბანისა, წოდებული ან; რიცხვში დანიშნავს ერთსა...“ 1r—652v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი გამოცემულია ავტორის მიერ (იხ. „საუნჯე ქართულის ენისა“. ქართულ-რუსული ლექსიკონი ხელახლად შემუშავებული დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ. ს ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი 1887 წ.).
2. ერთვის: გ ასოზე ქართული სიტყვები სომხური განმარტებით და „Слова, которые не вошли в состав словаря“ 653r—655v.
3. ხელნაწერთან არის წერილი გ ი ო რ გ ი ქ ი ქ ო ძ ი ს ა დავით ევგენის-ძე ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ თ ა ნ 1889 წ. 15 აპრილის თარიღით.
მინაწერი: „30 მარტსა 1878 შესრულდა ხელწერილი, გარნა დაბეჭ. 1890 წელსა მარტის — დღესა, ქართულსა ქორონიკონსა მჳ. დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი“ (652v).

(1471) **3715**

კრებული. XIX

107 ფ.; 17,5×10,5; ქაღალდი სხვადასხვა ფერისა და ზომის; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 29v, 55v — 57r. 78v, 79v, 80v, 81v, 82v, 106v — 107v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი რ უ ს უ ლ-ქ ა რ თ უ ლ ი (ბ ო ტ ა ნ ი კ უ რ-ზ ო ლ ო-გ ი უ რ ი). —

А „Авета абрикоколо | ა ნაძვი ჭერამი...“ 1г—29г;

2. ც ნ ო ბ ე ბ ი ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო მ ც ე ნ ა რ ე ე ბ ზ ე (რუსულ ენაზე). 30г—49v.

3. „ზ ო გ ი ე რ თ ი ს ა ს ნ ე უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. — ბოასილისათვის. აქლემისა ბალახი, რომელ არს დევა, უნდა გამოხადოს არყათ...“ 50г—54г.

4. ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო რ ე ც ე პ ტ ე ბ ი. 54v—55г, 57v, 76v—78г, 79г, 80г, 82г, 86гv.

შენიშვნა: ერთი რეცეპტი დაწერილია იოანე ბატონიშვილის ხელით და ხელმოწერილია: „ი ო ა ნ ე ყ ა რ ი ბ ი“. ორი რეცეპტი ივანოვისაა (77г—78г).

5. «Слова зи натуральной истории а в особенности из ботаники и медицины..» 58г—69v.

შენიშვნა: გრაფებში მოთავსებულია მცენარეთა ქართული, იტალიური და რუსული სახელწოდებანი.

6. «Описание употребления действия и ползы жизненной эссенции...» 70г—75v.

7. «Имзенов рооб. Весма действительное средство прошивv хронических болезней всякого рода..» 83г—84v.

შენიშვნები: 1. 70г—84v მოთავსებული ტექსტები ნაბეჭდია. 2. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 231.

8. ს ა ლ ე ქ ს ი კ ო ნ ო მ ა ს ა ლ ა. 87г—106г.

(1472) **3716**

თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა. 1843

204 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; მხედრული; ავტოგრაფი თეიმურაზ ბაგრატიონისა (201v); სანქტპეტერბურგი (201v); 1843 წ. (201v); დაუწერელია 202г—204v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 95.

„გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა პ ო ე მ ა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი ს ა, ქ მ ნ უ ლ ი მ ე-ფ ი ს გ ი ო რ გ ი მ ე ა თ ც ა მ ე ტ ი ს ძ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს მიერ კავალერისა და სრულად რჩეულისა ს. პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს აკადემია ნაუკისა პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნიი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენღაღენის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა პირველთა ჩლენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა.—განმარტება ლექსთა მათ მაღლისა ფრასისათა, რომელნიცა არიან ძუწლნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხუათა ენათაგან ქართულსა ენასა შინა...“ 1г—201v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ხელნაწერი აღწერილია (იხ. ექ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, 582 გვ.).

2. ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოსცა გ. იმედაშვილმა (იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, 1960 წ.).

ანდერძი: „ვილვაწე ზემო განმარტებანი ესე ლექსთანი, რომელნიცა ძნელად გასაგონ იყვნეს მშვენიერსა ამას შინა წიგნსა შოტთა (!) რუსთაველისასა ვეფხისტყაოსანსა, სასარგებლოდ ერთ მემამულეთა ჩემთა ივერიელთა, გინა გიორგიელთა ერთა ქართუწლთა, ვინაჲდგან სტიხთა შორის ქართუწლთა ენისათა ესე უაღრესად სხუათა აღმოჩენილ არს და დიდისა ჴელოვნებითა ქმნილ; არა ვრიდებ შრომის მოყუარებასა ერთ-მემამულეთა ჩემთა ერთათჳს და ვსასოებ, რომელ ესე ნაღვაწი ჩემი არა უგულებელს იქმნების მათ მიერ და ყოველნი მხილველნი ამისნი და წარმკითხველნი კმაყოფილებით მიიღებენ, და კეთილისა გულითა ქველმსიტყველ-მექმნებიან მე, ყოვლისა ზემოჲსა საქართუწლოჲსა და სხუათა მეფისს გიორგის მეათცამეტის ძე თეიმურაზ და კავალერი, ჩლენი პოჩეტნიი სრულიად როსიის აკადემია ნაუკისა ს. პეტერბურღსს და დანიის საკოროლოსა კოპენღაღანის საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა პირველთა ჩლენთა შორის დაწესებული და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენი. დიდება ღმერთსა ყოვლისავე სრულმყოფელსა.

წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა **ჩყმგ**, თთუწსა სეკდენბ[ე]რსა“ (201rv).

(1473) **3717**

ანტონ I, ქართული გრამატიკა. 1805

213 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები მთავრულით, ტექსტში ადგილები ჩაწერილია ნუსხურით; გადამწერი: მღვდელი დავითი(213r); 1805. II. 27 (213r). დაუწერელია: 1r—2v, 6v, 77v, 151v, 213v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 96.

[ანტონ I, ქართული გრამატიკა]. „თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირუელი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფე ქმნილთა. თავი ა. ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1. — რიცხუსა შინა ჩუწნ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 7r — 213r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამატიკაჲსთა, [მიწერილი] ანტონის მიერ არხიეპის[კოპო]სისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუწლოჲსა. — სამთა მიერ განშუწნებულისა სიბრძნისა, ესე იგი ერთ-გონიერებითა ძმათათა...“ (3r—4r). ბ. „პინაქსი ღრამმატიკისა...“ (4v—6r).

2. ერთვის: „დასასრული მესამისა ღრამმატიკის ნაწილისა...“ (213r). სრული ტექსტი იხ. ამავე კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის I ტ., გვ. 531, № 419.

3. ანტონ I-ის ქართული გრამატიკა გამოცემულია (იხ. ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ... 1885 წ.).

ანდერძი: „მჩხაბავი ამისი ულირსი მღუდელი დავით. ფებერვეველს(!) კზ; ქორონიკონს **უჟგ**. ქრისტეს აქეთ **ჩყე**“ (213r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1474) **3718**

ანტონ I, გრამატიკა-სიმეტნე. XVIII

102 გვ.; 15×9; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით; [XVIII ს.]; ჭვირნიშანი 1784 წ.; დაუწერელია: 78, 87—92, 93—102 გვ.; ალ. ცაგარლის კატალოგით № 97.

[ა ნ ტ ო ნ I], „ს ი მ ე ტ ნ ე ღ რ ა მ მ ა ტ ი კ ი ს ა. პირველისა კერძისა. კითხუა-მიგებანი ღრამმატიკისათჳს და ნაწილთა მისთა, რომელთა ზეპირ უჴმს-ყე გამოხატუაჲ გონებათა შინა სწავლის შინათა ქუჱმო ამისსა. თავი პირველი.—კ ი თ ხ უ ა: რაჲ არს ღრამმატიკაჲ? მ ი გ ე ბ ა: ღრამმატიკაჲ არს გამოცდილებაჲ სიტყჳს-მოქმედთა და აღმწერელთა ზედ მიწევნილთა მიერი...“ 1—86 გვ.

შენიშვნა: მუსულმანური მინაწერი (92 გვ.).

(1475) **3719**

დავით ბაგრატიონი, მცირე გრამატიკა. 1799

87 ფ.; 17×10,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, მრავლადაა სინგურით ნაწერი; 1799. IX. 17 (84v); გადამწერი: ალათონ (84v); დაუწერელია 86r—87v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 98.

«დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, მ ც ი რ ე ღ რ ა მ ა ტ ი კ ა». „თჳს ღრამატიკაჲსა და ნაწილთა მისთა. თავი I.—კ ი თ ხ უა: რაჲ არს ღრამმატიკა?

მ ი გ ე ბ ა: ღრამმატიკა: არს შემძლებელობა მართლუბნობად და წესიერწერად...“ 2v—84v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის კიდეებზე მოთავსებულია დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს განმარტებები.

2. ხელნაწერის თავფურცელზე სინგურით წერია: „დავითის მიერ. დავითიანბაგრატოვანისა. ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ი ს ა პირმშო გ ი ო რ გ ი ს პირმშოს ძისაგან ხელ-ხლება წელთა ჩღჟ, ხოლო ქართულსა ზედა უოჱ, სამეფოსა ქალაქსა ტ ფ ი ლ ი ს ს ა.“

3. ტექსტს უძღვის: ა. წინასიტყვაობა: „მისს უმაღლესობას, სრულიად ზემოჲსა საქართუჱლოს მეფესა, მ ე ო რ ე ს ა ი რ ა კ ლ ი ს, ყოვლად უმაღლესს და უმოწყალესს ჴელმწიფეს. — ვინაჲთგან კმა მიზეზი შრომისა ჩემისა ესე არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა იყოსცა გზაჲ სლჳსა ჩვენისა, ამის გამო აღმძრა ერთგულებითმან სიყუარულმან თქუჱნმან...“ (1r—v). წინასიტყვაობის სრული ტექსტი იხ. ამავე კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის I ტ., 597 გვ. № 532.

ბ. კითხვა-მიგება. „კ ი თ ხ უ ა: პირველსა დაწყებასა ღრამმატიკისასა რაჲ საჴმარ არს ცნობად? მ ი გ ე ბ ა: პირველად ოთხნი იგი გუარნი მოძღურებითნი, რომელნიცა შეუდგებიან და ემღევრებიან ღრამმატიკასა...“ (2r).

ამ კითხვა-მიგების სრული ტექსტი იხ. ამავე კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის I ტ, 597 გვ, № 532.

4. ხელნაწერს ერთვის: „საზღუარნი ახლისა ღრამმატიკისანი, რომელსა ენებოს.—წიგნი არს ღრამი ნაკუჱთი რაჲმე, მნიშვნელი ყოვლისა წერილისა...“ (85r).

5. ხელნაწერში ჩართულია წერილი დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ა ფ ა რ ნ ა ო ზ ბაგრატიონთან. „უგანათლებულესო მეფის ძეო ფ ა რ ნ ა ვ ა ზ, ჩემო მჟყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობელო ჴელმწიფევ და სულითო თანაშეკრულო მეგობარო. — აწ სადამე კმაჲ მიზეზი შრომისა ჩემისა ესე არს...“ (70гv).

ანდერძი: 1. „დასრულდა სიტყუა ღრამატიკისა. ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ალათონ“ (65г).

2. „სრულ იქმნა შეწევნითა ღმრთისათა წიგნი ესე, რომელ არს მცირე ღრამმატიკა ჴელითა ყოვლად უღირსისა ალათონისათა, თთუესსა სეკდემბერს **იზ**, წელთა 1799, ქორონიკონს **უპზ**“ (84г).

(1476) **3720**

კარაბადინი. XIX

28 ფ.; 16×10,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 25—28v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 99.

„კარაბადინი. — სისხლის სიკეთე ის არის, რომ ყირმიზი იყოს და ავი სული არ უდიოდეს და არც მწვე თხელი იყოს და არც სქელი...“ 1г—25г.

შენიშვნები: 1. ტექსტში არის შემდეგი თავები: „მაჯის ნახვისათვის“, „ძალიანის ჴველის წამალი“, „შირიმისა და შარდის ჭერისათვის“, „სოკოს წამალი“, „მალამო ყოვლის წყლულისა“, „მოტეხილის წამალი“, „ჩახოტკის წამალი“, „ბნედის წამალი“, „ავის წყლულისა თუ მჭამლისა“, „შირიმის წამალი“, „მოტეხილისათვის“, „ნაღრძობისათვის“, „მუნის წამალი“ და სხვ.

2. ტექსტში უამრავი რუსული სიტყვებია, რაც გვაფიქრებინებს რომ ტექსტი რუსულიდან არის თარგმნილი.

(1477) **3721**

ვახტანგ VI, ქიმია. XVIII

72 ფ.; 16×10; ქაღალდი; მუყაოს კოლენკორ გადაკრული ყდა; მხედრული სათაურები სინგურით; გადამწერი [ვახუშტი ბატონიშვილი]; [XVIII ს. 40-იანი წლები]; დაუწერელია: 7v—8v, 9v, 72v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 100.

„წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნისა, შეკრებული მეფის ვახტანგისაგან. ცარტუმი. — მოიტანე **ა** მისხალი სურინჯი და რკინის ტაფაში ჩაყარე, ზედ **ბ** მისხალი კვერცხის ზეთი დაასხი და ადუღე, ზეთი შეიქნება...“ 10г—72г.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი გადაწერილია რუსეთში ვახუშტი ბატონიშვილის ხელით XVIII ს. 40-იან წლებში. ტექსტში ჩართულია ვახუშტის ხელით შესრულებული ხელსაწყოთა ნახაზები (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი. 1952 წ., გვ. 38).

2. უძლვის საგნობრივი საძიებელი: „ამ წიგნის წერილის ამბანზედ შეკრებული ადვილად პოვნისათვის...“ (2г—7г).

3. ტექსტის სამედიცინო ხასიათის პარაგრაფები გამოცემული აქვს მ. შენგელიას (იხ. ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 104—125).

მინაწერი: საც. ფურც. v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1470) **3722**

ძვირფას თვალთა მოპოების ისტორია და მათი სამკურნალო თვისებები. XVIII

44 ფ.; 23×16,5; ქაღალდი; ტყავის ტვიფრული ყდა ქსოვილის ყუით; თავნაკლული; [XVIII ს. პირველი მეოთხედი]. ალ. ცაგარლის კატალოგით № 101.

[ძ ვ ი რ ფ ა ს თ ვ ა ლ თ ა მ ო პ ო ვ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა და მ ა თ ი ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი]. — „...ერთა ვითა ამისი შოვნა და ამოღება ხამსო და რადგან ვეღირსე განგებისაგან აქა მოსლვასა, ნუთუ მანვე მოწყალემან ღმერთმან გვაღირსოს ამა უცხოსა საგანძურისა გამოჩენა...“ 1r—44v.

შენიშვნები: 1. ტექსტის შედგენილობა: [კარი ალმასისა] (1r—5v); „კარი იაგუნდისა“ (5v—10r). „ხასიათობა იაგუნდისა“ (10r—v); „ლალის კარი“ (10v—14r); „კარი ზურმუხტისა“ (14r—15v). „კარი მარგალიტისა“ (15v—30r); „ფირუზისა“ (30r—32r); „კარი ფაზარისა“ (32r—34v); „თავი დასაწყისი ამბრისა“ (34v—38v); „კარი პირველი. ლაჟვარდისა“ (38v—41r); „კარი პირველი ძოწისა“ (41r—42r); „კარი მეტერთმეტე(!) ეშმისა“ (43r-v). „კარი მეთორმეტე, აყიყისა, ალმასისა“ (43v—44v).

2. ტექსტის ბოლოს არის საშუალო ზომის ბეჭედი სომხური ლეგენდით: „მონა ქრისტესი ჰოჰანნეს“ (44v).

მინაწერი: „მეფის სძალ წ ე რ ე თ ლ ი ს“ (ზემო ყდის შიდა მხარე); „უ მ ე კ ა ნ თ ს ტ ე ფ ა ნ ე“ (ქვემო ყდის შიდა მხარე).

(1479) **3723**

კრებული. XIX

282 ფ.; 22,5×17,5; ქაღალდი; 277—282 ფფ. აკინძულია ცალკე, მისი ზომაა 43,7×17; მხედრული; სხვადასხვა ხელით ნაწერი; 7—9 ფფ. ნაბეჭდია; [XIX ს. I ნახ.]; დაუწერელია: 10v, 11v, 21v, 26v, 28v, 37v, 43vr, 60v, 61v, 69v, 76v, 92v, 99v, 143v, 146r—148v, 161rv, 208v—212v, 215v, 229v, 241r—242v, 243v, 244v, 270v, 272v, 274r—276v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 102.

1. „შაირობისათჳს მეფის ძის თეიმურაზის სტატისაგან (!). — I. შაირი, შაერი ანუ შეერნი ეწოდების რუსთველის სტიხთა საზოგადოდ და აქვთ ათექვსმეტი მარცვალი და ოთხი ტაეპი...“ 1r—6v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწერია დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ხელით.

2. ამ ტექსტის შესახებ იხ. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს შრომა ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე. ლიტერატურული ძიებანი, IV, 1947, გვ. 254.

2. „შ ე მ ო ღ ა მ ე ბ ა მ თ ა წ მ ი დ ა ზ ე. ე ლ ე გ ი ა (თა. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა).—

ჰოი, მთა-წმიდავ, მთაო წმიდავ! ადგილნი შენნი...“ 7r—8r.

3. [ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე]. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო! რად გვინდა ტაში?...“ 8r.

4. [გრ. ორბელიანი], „მუშა.—
გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ...“ 8v—9v.

შენიშვნა: ლექსები 3722: 2, 3, 4 დაბეჭდილი ტექსტებია. ნაბეჭდი ფურცლები ამოღებულია „საქართველოს მოამბედან“ 1863 წ. № 1.

5. [იოანე გეგენჭკორი, რუხის ბრძოლა]. „ცხოვრება დიდისა მეფის სოლომ[ო]ნისა.—
დავითის ნათესავთაგან ფლობდა იმერეთს ცხებული...“ 11r—19v.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: ა. „რუხის ბრძოლა, აღწერილი იოანე გეგენჭკორისაგან (!) მეოცესა წელსა თჳსისა ცხოვრებისასა, ჩყლვ-სა წელსა, მარტის 18, სამეგრელოსა შინა, სამთავროსა სასახლესა ზუგდიდსა...“ (10r); ბ. „წინასიტყვაობა წარმკითხველთათჳს მთხვზელისაგან(!)...“ (11r). ორივე ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა... (H კოლექცია), ტ. V, 1949, გვ. 158—159). 2. ერთვის: „განმარტება რომელთამე სიტყვათა...“ (19v—20v).

6. „რუხის ბრძოლა ბესარიონ გაბაშვილისაგან ნათქვამი. ბესარიონი იყო დამსწრე ბრძოლისა მის.—დღეს იხარებს დავით...“ 21r—25v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1962, გვ. 122—134).

7. [ლექსი].—
„ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა...“ 25v.

შენიშვნა: ექ. თაყაიშვილის აღწერილობის (იხ. Описание, ტ. II, გვ. 319) მიხედვით ამ ლექსს ზოგნი თეიმურაზ I აკუთვნებენ და ზოგნი გოჩას.

8. „გეგენჭკორისაგან(!) მიწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ოდეს სთხოვა მან შეწევნა ვეფხვისტყაოსნის თარგმანში.—
ხელოვნებით ნახელოვნევი ოქროსა როგო(!) ძმისგან მომეცა...“ 25v—26r.

9. „პლატონ იოსელიანზედ.—
ასე ამბობენ: პლატონს იოსელიანს თავლს შინა... გაურევია...“ 26r.

შენიშვნა: ლექსი მთლიანად დაბეჭდილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 320).

10. „ნიკოლოზ ტფილელის ნათქვამი იამბიკოები.—
1. ბრძნად ბრძენი უბრძნეს, ერთობ ძმანი დანებით...“ 27rv.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I^{3}, გვ. 324). 2. ამ იამბიკოების შესახებ იხ. აგრეთვე ლ. მენაბდე, ნიკოლოზ ორბელიანი (სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 168).

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. „იამბიკონი ქართველთა წმიდათანი. ნიკოლოზ [ტფილელი] შეიწყალეთ.—

1. უძლური დედა ძლიერთ ჭიმ მეალვირე...“ 28r.
2. „მამათა თვალნი მნათობნი ქართველთანი...“ 28r.
3. „აბიბოს მწყემს ქართველთ ანგელოსი...“ 28r.
4. „უფსკრულ განუცდელ დღეს ქართლისა მენიშე...“ 28r.
5. „მღვიმე ფრთედ მიწა მკვეთ ეთერი სად ჰქმენი...“ 28r.

შენიშვნა: ეს იამბიკოები გამოქვეყნებული აქვს საბინინს (იხ. საქართველოს სამოთხე, სპბ, 1882, გვ. გვ. 119, 193, 213 და 219).

12. „წიგნი და წამება პატიოსნისა თეიმურაზის დედისა და დიდებულისა და ღუაწლისა მძლისა და დიდისა მოწამისა ქეთევან დედოფლისა, თქმული მეფისაგანვე. სუფევითმცა არის ხსენება მისი. —

ღმერთო, ცისა და ქვეყნისა საბრუნავითა მაქცევო,
ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცევო...“ 29r—37r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, გვ. 126—137).

13. „საწინასწარმეტყველო წიგნი შობ. 40—41. გალექსილი დავით ჩოლაყაშვილის, ჯიმშედის ძის, დიანბეგის მიერ. —
1. მითხარ რისთვის, ჵ კაცო, ამოდ ზრახავ ჩვეული...“ 38r-v.

14. „დიდი თამარ მეფის შესხმა ანტონი I კათოლიკოზისაგან.—
ამისსა ბროლსა ნათელსა აყიყი შუა რეოდა...“ 38v.

15. „სხვადასხვა შაირები პირველის მეფის თეიმურაზისა. —
პირველ თქმულა ბრძენთაგან სიდარბაისლე მესხისა...“ 39r.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ლექსის ავტორად მიჩნეულია გოჩა (იხ. ე. თაყაიშვილი, Описание, II, გვ. 232 და კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტ. ტ. II³, გვ. 505).

16. „მისივე. —
კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს...“ 39r.

შენიშვნა: ეს ლექსი ეკუთვნის ვახტანგ VI. (იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, 1947, გვ. 1).

17. „მისივე. —
ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა მოკლე, ენა გრძელი...“ 39r.

შენიშვნა: აკად. ალ. ბარამიძის აზრით ეს ლექსი თეიმურაზს არ ეკუთვნის (იხ. თეიმურაზ პირველი, დასახ. გამოც. გვ. 015).

18. „მისივე. — აღმართნა ბროლის სვეტნი, რა მზემან ნახა იამან...“ 39r.

შენიშვნა: არც ეს ლექსი მიაჩნია აკად. ბარამიძეს თეიმურაზის კუთვნილებად (იხ. თეიმურაზ პირველი, დასახ. გამოც., გვ. 016).

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. „გრიგოლ დადიანისა. —
უყვარს ყოველსა ცხოველსა სამშობლო მისი სოფელი...“ 39r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 320).

20. „ბესარიონმან ელისაბედგრადში მისწერა მეფის ძეს მირიანს. —
„აიოს თეოს, აიოს“, ამას ტკბილად ჰხმობს გაიოზ...“ 39v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1962, გვ. 88).

21. „მისივე. — შენსა ტრფობას მე მაქუს გული დაგული...“ 39v.

შენიშვნა: ბესიკის თხზულებათა სრულ კრებულში ეს ლექსი არაა შეტანილი.

22. „ძველი ლექსი. —
სევდით წალებულს გულზედა ქვეშ მარად ქვიშა მიგია...“ 39v.

23. „მისივე ყადიბანდუმლა ბესარიონისა. —
ვაჲ, საბრალო, სტვენს ბულბული ვარდსა ზედა...“ 40r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ბესიკი,... 1962, გვ. 58—59).

24. „კოტაშვილისა. ახალციხელი იყო მესტვირე. ერთმა მედუქნემ გააჯავრა და სთქვა. —
თეთრი ქუდი დაგიხურავს, ზედ გიხდება ქურთუკზედა...“ 40v.

25. [კოტაშვილმა] „შეყრილობაში ქალს ნიფხვის ტოტი დაუნახა და უთხრა ამის შემდგომი ლექსი. —
ქალაქში ბევრი მოსულა ჩითი-ჩუთი და ფარჩაო...“ 40v.

26. „კოტაშვილმა აჩაბეთში ცოლი და შვილი დახიზნა, მაგრამ დახიზნულები კინაღამ დაეკარგნენ. —
სკვერის ციხეს რომ ავედი, იქ დამხვდა ჩემი თუთაო...“ 40v.

27. „კოტაშვილის და მანანას ლექსები. უთხრა კოტაშვილს მანანამ. —
მარშალმა ჯარი შეჰყარა, ვეჭოფ, არის ერთი ასი...“ 40v.

28. „კოტაშვილის პასუხი. —
კარალეთის ჭალაში ეკალი ბევრი ქაცვია...“ 40v.

29. [საიათნოვა]. —
„არაგვს გავსდოთ ხიდია,
აქლემს ხურჯინი ჰკიდია...“ 40v—41r.

შენიშვნები: 1. ლექსის წინ მიწერილია: „ჭაბუა დიანბეგს ყაფლანისშვილს ქორწილი რომ უყვეს მუხრანბატონის ქალზედა და შეიყვანეს მეფე-დედოფალი დასასხმელად, საათნოვა იქ იყო, გიორგი ბატონიშვილს ახლდა. ჭაბუას რომ შეხედა: ჩაჯაგვილი, სქელი, კუზიანი და ბეჭმუცელი მრუდე, და ქალი, დიაღ მაღალი, მაშინ სთქვა წყობილი“.

2. გამოცემაში ეს ლექსი შეტანილი არ არის (იხ. ი. გრიშაშვილი, საჲათნოვა, 1918 წ.).

3. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 222).

30. „ნატვრა გეგენჭკორისა. —
წალკოტი მომცა ყვავილით სავსე და შადრევანი ტურფა, მდიდარი...“ 41г.

31. „ტულოევზედ დაწერილი მისივე [გეგეჩკორისა]. —
შენი რუსულნი ჩართულნი რუსთა ქვეყნისებრ გრილია...“ 41г.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 222—223).

32. „საიათნამასი. —
გული არ მშურს და სული შენთვინა...“ 41v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ი. გრიშაშვილი, საჲათნოვა, 1918, გვ. 106).

33. „მეფის თეიმურაზის დიდისა მაჯამა [შამი-ფარვანიანი]. —
ცუდის წოლით და გდებითა ეს მომაგონა რაჭამა...“ 41v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს თეიმურაზ I-ის პოემის შამი-ფარვანიანის ბოლოსიტყვაობას. (იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 23).

34. „დავით რექტორისა მუსთაზადი. —
მოი, მთვარეო, შემიბრალე, სახმილს ვზი მწველსა...“ 42г.

35. [ლექსი]. —
„ჵე საწუთრო, რად შთამაგდე ესოდენ ჭირსა...“ 42г.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია „ბესარიონისა“. ბესიკის თხზულებათა სრული კრებულის 1962 წ. გამოცემაში შეტანილი არ არის.

36. „დავით ბატონიშვილისა. —
გამიფრინდა სიხარულის მფრინველი...“ 42г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 281).

37. „სოლომონ დეკანოზიძისაგან თქმული. —
ეტრფის მთიებსა შესამკობლად გული ურვილი...“ 42v.

38. „დავით რექტორისა. —
მეყნოსა ოდეს სურნელება თმისა შენისა...“ 42v.

39. „ლექსი მუნასიბი და ტკბილ-გაწყობილი, მსმენელთათვის სამოვნო ვარდ-ბულბულისა გაბრჭობა, ნათქუამი ღ̃თივგჳრგჳნოსანის ჴელმწიფისა პატრონისა თეიმურაზისა. სუფევითმცა ყოს უფალმან საუკუნთაგან და უ̃კე ამინ. —
ჰე, არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლიფერი...“ 44г—53v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 3—14).

40. „შელაპარაკება და ბაასი მათ-მათი შესაფერი მიჯნურობა და ფარავნისაგან(!) თავის დაწვის გაწირვა, ნათქვამი ღ˜თივ-გჳრგჳნოსანის მეფის თეიმურაზისაგან. სუფევითმცა ყოს უფალმან ჴსენება და კურთხევა მისი. —

ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იდუმლად დაუფარაო...“ 53v—60r.

შენიშვნა: გამოცემულია (იხ. თეიმურაზ I, დასახელებული გამოც., გვ. 15—23).

41. „ლარაძე პეტრე ყარიბისაგან თხზული. —
დრო-ცვლილო ბულბულო, იგლოვდი მწარედ...“ 61r.

42. „თავადის დიმიტრი ბაგრატიონის თქმული ლექსები. —
ღმერთმან ინება აღორძინება,
ამით მოგვეცა კაცთა ლხინება...“ 62r-v.

შენიშვნები: 1. უძლვის: „ელისაბედიანი, ლექსი ალერსიანი,
მამისაგან ნათქვამი, ალარ დასაგვიანი“.
2. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II ტ., 1928, 249 გვ.).

43. [დ. ბაგრატიონი], „ნანი ნანა. —
ვეტყვი ახოს ნანასა, მისა შესაგვანასა...“ 62v.

შენიშვნა: დაბეჭდილია (იხ. ანთოლოგია, II ტ. 1928, გვ. 250).

44. [დ. ბაგრატიონი. ჩემო მთვარეო]. —
„ჩემო მთვარეო, შენთვის ვარეო...“ 62v—63r.

შენიშვნა: დაბეჭდილია (იხ. ანთოლოგია, II ტ. 1928, გვ. 250).

45. [დ. ბაგრატიონი], „რუსული ჴმა. —
ვაქო პირად ბადრია, განა თუცა ადრია...“ 63rv.

შენიშვნა: დაბეჭდილია (იხ. ანთოლოგია, II ტ. 1928, გვ. 251).

46. [დიმიტრი ბაგრატიონი]. —
„სულის ყვავილო, გულისა ვარდო....“ 63v.

შენიშვნა: გამოცემულია (იხ. ანთოლოგია, II ტ. 1928, გვ. 252).

47. [დ. ბაგრატიონი], „შაირი. —
ღმერთო, რომელმან ყოველი ბრძანებით შეჰქმენ ზენითა...“ 64r—67v.

48. „ქართული გალექსილი ანდაზები თავადი დიმიტრი ბაგრატიონის მიერ. — 1. კაცი ბჭობდა სხვის სავნოდა,
ღმერთი მასზედ იცინოდა...“ 68r—70v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. [დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი]. —
„ვით აღგიწერო, არ ძალმიძს, მე ჩემი ანასტასია...“ 71v.

შენიშვნა: ლექსს წინ უძღვის: „ჩემის მეორის ქალის თვალადობა ეკითხა მახია კნეინასა და იმას მივსწერე პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს. — რას ქებას შევასხმიდე ჩემსა სატრფიალო პატატა ატატო ტასიასა...“ 71гv.

50. [დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი]. —
„მე მივის ორი ასული უმკვიდრო, უმამულოსა...“ 71v.

51. [ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი დ ი მ ი ტ რ ი], „ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა. —
ახლად აღვამკობ ალვასა, ანაგებ ანაზებულსა...“ 72г-v.

52. [დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი]. —
„მალხენს, მახარებს სიახლით მე ჩემი სატრფო ასული...“ 72v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობის მიხედვით (იხ. Описание, ტ. II, გვ. 324).

53. [დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი], „თათრული ხმა. —
ჩემს ქალს მივმართავ გულსევდიანი...“ 73гv.

შენიშვნა: დაბეჭდილია (იხ. ანთოლოგია, II ტ. 1928 წ. გვ. 254).

54. [ლ ე ქ ს ი]. —
„კვლავ და ვით გითხრა სიმართლის შვილიშვილამდე ძიება...“ 74г.

55. [ს. მ ა ყ ა ე ვ ი ს ა], „ო ც ნ ე ბ ა. —
სად არიან, ოცნებაო, ის დრონი ჟამნი...“ 74г.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ს. მ ა ყ ა ე ვ ი ს ა“.

56. [ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე], „მ გ ე ლ ი დ ა კ რ ა ვ ი. —
კრავსა ერთსა მოეწყურა და მიმართა წყლის კიდესა...“ 74v—75г.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ა ლ ე ქ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1940 გვ. 157).

57. „ს ა ზ ა ნ დ რ უ ლ ი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ. —
მოვენდევით სასახლესაო დიდის კაცისასაო...“ 75г.

58. „ი ა მ ბ ი კ ო მისივე [დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი ს ა]. —
მე ვარ ქალისა სახე, ძეგლი რუალისა...“ 75гv.

59. „მ ი ს ი ვ ე [დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი ს ა] წყობილი. —
შვილნი ამკობენ მამათა...“ 75v.

60. „მ რ ჩ ო ბ ლ ე დ ი ორშვიდეული. —
მოვედ აქა ათინა, ამა თორნესა ზედა...“ 75v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

61. „მუხამბაზი. ჭავჭავ[აძე] ალექს[ანდრე].— ელების კარი გაზაფხულისა...“ 75v—76r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც. გვ. 7-8).

62. „ღამის ალერსი დიმიტრი ბაგრატოვანისაგან. — ეჰა, ღამეო, ჩემისა გულისამებ ბნელო...“ 77r—84v.
წყდება: „...და ოდეს მიწევიან საწადთა მათ საბანაკეთა, ...მისთა მიდამოთა დ[ა] სალამეთა...“.

63. [ნ. ბარათაშვილი], „არაგვი (ქართლის ბედიდგან). — მორბის არაგვი, არაგვიანი...“ 85r.

შენიშვნები: 1. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 1960, გვ. 135).
2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1839 წელსა. ტფილისი. თ. ნ. ბარათაშვილი“.

64. [ნ. ბარათაშვილი], „ჩემი ლოცვა. — ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცდომილი...“ 85v.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „1840 წელსა თ. ნ. ბარათაშვილი“.
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 6, 1960, გვ. 114).

65. [ნ. ბარათაშვილი], „მერანი. — მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი...“ 86rv.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „1842 წელსა. თ. ნ. ბარათაშვილი“.
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 6, 1960, გვ. 120—122).

66. [ნ. ბარათაშვილი]. — „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად...“ 87r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1843 წელი. თ. ნ. ბარათაშვილი“.
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 6, 1960, გვ. 125).

67. [ი. ჭავჭავაძე], „ჩიტი (თარგმანი). — ყოვლთ უწინარეს მე განვილვიძებ...“ 87v.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1856 წელსა. ტფილისი. თ. ილია ჭავჭავაძე“.
2. გამოცემულია (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ლექსები და პოემები, პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I, 1951, გვ. 227).

68. [ი. ჭავჭავაძე], „ბედა-ქადაგი (გეტესი). — იყო სალამო, სხივნი მზისანი...“ 88r—89r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1857 წელსა. პეტერბურღი. თ. ილია ჭავჭავაძე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გამოცემულია (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით, 1957, გვ. 75 — 76).

69. [ილია ჭავჭავაძე], „ელეგია. —
მქრთალი ნათელი სავსე მთვარისა...“ 89v.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1859 წელსა. თ. ილია ჭავჭავაძე“.
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 7, 1960, გვ. 18).

70. [ილია ჭავჭავაძე], „არაგვი (აჩრდილიდგან). —
ჩვენო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ...“ 90rv.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: თ. ილია ჭავჭავაძე“.
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 7, 1960, გვ. 38).

71. [ილია ჭავჭავაძე], „მტკვრის პირას (ლუარსაბ მაღალაშვილს). —
კვლავ ჩემ წინ მორბის მტკვარი ქუხილით...“ 90v.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1859 წელსა. ტფილისი. თ. ილია ჭავჭავაძე“.
2. ლექსის ეპიგრაფადაა: „დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად“.
თ. გრ. ორბელიანი“.
3. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 7, 1960, გვ. 19).

72. [ი. ჭავჭავაძე], „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე. —
მისი ლექსი სუბუქ ფრთითა...“ 91r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1860 წელსა პავლოვსკი. თ. ილია ჭავჭავაძე“.
2. ლექსის ეპიგრაფია: „Его стихов пленительная сладость.
Пройдет веков завистливую даль“. პუშკინი“.
3. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 7, 1960, გვ. 24).

73. [ი. ჭავჭავაძე], „პოეტი (უფ. ნიკ. ლოლობერიძეს). —
მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო...“ 91v—92r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1860 წელსა. პავლოვსკი. თ. ილია ჭავჭავაძე“.
2. ლექსი გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 7, 1960, გვ. 25—26).

74. [ნ. ბარათაშვილი, საყურე]. —
„ისე საყურე,
უცხო საყურე...“ 93r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ნ. ბარათაშვილი“.
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 6, 1960, გვ. 112).

75. [აკ. წერეთელი], „მუშური. —
სიმიდსა თოხნა დაუწყოთ...“ 93v—94r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი".
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 8, გვ. 10—11).

76. [აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი], „ს ი მ ღ ე რ ა მ კ ი ს დ რ ო ს. —
გავლესოთ, ძმებო, ნამგალი..." 94v—95v.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „აკ. წერეთელი".
2. გამოცემულია (იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 126).

77. [ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე], „ ნანა აკვანზედ. —
ნანა, შვილო, ნანინა,
ნეტავ რამ შეგაშინა?..." 96r—98r.

შენიშვნები: 1. ლექსის ეპიგრაფადაა: „Спи пока забот не знаешь, баюшки баю. Лермонтов".
2. გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 7, 1960, გვ. 15—18).

78. [აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი], „ს ა ლ ა მ უ რ ი. —
სად ხარ ჩემო სალამურო..." 98rv.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ჩვენი საუნჯე, 8, 1960, გვ. 8—9).

79. „ს ი მ ღ ე რ ი ს ლ ე ქ ს ი. —
ქალო ხაბარდიანო,
გაქვს და გიხარიანო..." 99r.

80. „სტიხნი ალებასა ფოთისასა ბეგლარ ორბელიანისაგან 1810 წელსა. —
1. განსაცჳფროთ და დიდთა სოფლისა შემთხუევათა..." 101r—103r.

შენიშვნა: დასაწყისში მიწერილია: „გიორგისაში დაწერილია". სიტყვა „გიორგისაში" სავანგებოდ გადაუხაზავთ. ასევე ნაწილობრივ გადახაზული მინაწერია შემდეგ ლექსებშიაც (იხ. 3723:83, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 92, 93, 94, 95, 97, 98, 99, 101, 102, 103, 104, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 116, 117, 118, 124, 126, 127, 130, 131, 132, 134, 137, 139, 140).

81. [ლ ე ქ ს ი]. —
„მიველ და ვნახე სამოთხის სახე, ედემსა გარე შემოუარე..." 103r.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „გიორგისაში დაწერილია".

82. [ლ ე ქ ს ი]. —
„ქუალად მისდაცა ვიტროფოთ, ვინ არს მიზეზი..." 103v.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „გიორგისაში დაწერილია ეს ოთხი იამბიკო". „გიორგისაში" — წაშლილია.

83. [ლ ე ქ ს ი]. —
„ჵ, საწუთირო, შენზედ ჰსჩივიან ყოველნი კაცნი მცირე და დიდნი..." 103v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

84. „ვარლაამთან მიწერილი მირიანისგან. —
ყოვლად სამღუდელოვ, მღუდელთ-მთავარო ქრისტესო...“ 104r.

85. [ლექსი]. —
„განათლებული ხარ განზენაებული...“ 104rv.

შენიშვნა: ტექსტის დასაწყისში მიწერილია სინგურით: „ამას აქვს კიდურ-წერილობა ესთა: „გლოც ძმაი მირიან“.

86. [ლექსი]. —
„იესომ გმადლოს დღეთა შენთა გრძელობა...“ 104v.

87. [ლექსი]. —
„იგავთა წინასწართქმულთა რწმუნებულთ გვექმნა შვებანი...“ 104v.

88. „ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი გაფი. —
სახე შენი მემახევა, მებადა...“.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 3).

89. [ლექსი]. —
„რადგან სწავლისა გაქვს შენ სურვილი...“ 105r.

შენიშვნა: სხვა ხელით მიწერილია:
„გიქებ ვარდ-ზამბაკებსა შენაზავებსა,
ლაწვსა ბროლ-ფიქალებსა განმჭვირვალებსა“.
„ეი თუმიან ლაჯარა, ნომი ავთა დუმიშაქარუთიმა აიშაიმა“.

90. „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი. —
ცრემლთა ისსარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით...“ 105v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1962, გვ. 46—47).

91. „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი თეჯნიში. —
ხმა სირინოზ, ლაწუ-ყულამბარ-წინამოს...“ 106r.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 54).
2. კიდეზე მიწერილია სალექსიკონო მასალა.

92. „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი თეჯლისი. —
რა გული დავაგენ შენად სარებლად...“ 106rv.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც. გვ. 52).

93. „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი თეჯნიში. —
შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი...“ 106v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც. გვ. 55).

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი მუხამბაზი ხუთ შაირად, თითო შაირი — ცხრა ტაეპია და თითო ტაეპი ათი მარცვალია. —
სევდის ბალს შეველ შენალონები...“ 107rv.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც. გვ. 29—31).

95. „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი მუხამბაზი. —
მე მივხუდი მაგას შენსა ბრალებსა...“ 107v—108r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც. გვ. 32—33).

96. [ლექსი]. —
„ჰე მოყუარეო, ზილფ ნარეო, ნარდიონ გველო...“ 108v.

შენიშვნა: 1. ფურცლის კიდეზე მიწერილია: რექტორისა“.
2. ამ ლექსის ავტორად H 390:5; S 105:120; 1512:342; 1543:49; 2385:184; 2531:27 ხელნაწერებში დასახელებულია დავით რექტორი, Q 620:18 ხელნაწერში კი გ. თუმანიშვილი.

97. [ლექსი]. —
„დრომან მუხთალმან მიმცა მოწყინებასა...“ 109r.

98. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი. —
ჯერისაებრ ქება შენი არვის ძალუძს ლთისა სძალო...“ 109r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 108).

99. [ლექსი]. —
„სამ სალმობითა უფალმან ღმერთმან დაასო მონად ისარ კეისარ...“
109r.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „ეს სხვა არის, ზეითს არ ეკუთვნის“.

100. „სხვა შესხმა ღვთისმშობლისა მეფის ძის თეიმურაზ[ისა].
ანგელოსნი გტრფიალობენ ყოველთ ქალწულთ მზისა თვალო...“
109r.

101. „ქეთევან ბატონიშვილის ნათქვამი გაფი დუგაში. —
ჵ, ვითარ ვჰსთქვა განსაკრთომელი...“ 109v—110r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 275).

102. „თეკლე ბატონისშვილის ნათქვამი გაფი. —
რად მკჳრს პატიმარს მწუხარებანი...“ 110rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 277).

103. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი მუხამბაზი. — შენს ღირსებასა ნატრულობენ ყოვლნი ქალნია...“ 111r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

104. „მარიამ ბატონიშვილისა მუხამბაზი. —
ჰი, დამწარდეს დროთა ტკბილობა...“ 111rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 272—273).

105. [ლექსი]. —
„მკვლელო მარიხო, ბაგე ლახვარს არ მკურნე შვებით...“ 112r.

106. „სოლომონისა მუხამბაზი. —
ეტრფის მთიებსა შესამკობლად გული ურვილი...“ 112rv.

107. „ალმასხანისა მუსტაზადი. —
შეყრილან ერთად მკრთოლვარენი უზადოდ მნათნი....“ 112v—113r.

108. „მუსტაზადი. —
მნათობთა ზესა მცხინვარესა უქებ არესა...“ 113rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, გვ. 66—67).

109. „მეფის ძის დავითისაგან თქმული ჩიჩაგლარი იჩინდა თათარ. —
რად ამ უბედურსა ხვედრსა შევესწარ...“ 113v—114r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 118—119).

110. „ყაფიად თქმული მდივნის დიმიტრისაგან. —
გიშრის ნავნი ეთერის ველს არობენ...“ 114rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, გვ. 29—30).

111. „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი ბაიათი. სხუაგუარი, რომელსა თურქნი ბაიათს უწოდებენ. —
იადონს ის ევარდა...“ 114v—115r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 56—57).

112. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული. —
ვაჲმე შორს მყოფსა შენსა...“ **115rv.**

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც. გვ. 12).

113. [ალ. ჭავჭავაძე, ლექსი]. „მანა განჴალუ დეგულამის ჴმა. —
„მაისის ვარდმან ფურჩვნილმან...“ 115v—116r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასხ. გამოც. გვ. 15).

114. [ალ. ჭავჭავაძე, ნარგიზოვანს]. —
„ნარგიზოვანს წალკოტს ნარგი...“ 116r.

შენიშვნები: 1. გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასხ. გამოც. გვ. 107).

2. კიდეზე მიწერილია: „დავეხსენ, მაგრამ დაიწერა გიორგისაში“. სიტყვა „გიორგისაში“ წაშლილია.

115. [დიმიტრი ბაგრატიონი]. —
„სულის ყვავილო, გულისა ვარდო...“ 116rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928 წ., გვ. 252).

116. „ბუდაღ ოღლანის თქმული მუსტაზადი. —
ეშხით დამწველი, ლერწამ წელი, აღზრდილი სარო...“ 116v.

117. „ქეშიშ დარდიმანდისაგან თქმული რასტას გუშაზედ. მუშტარ მუხალიფის ხმაზედ ითქმის. —
ლაწვთა ხალინდად ყრილთა...“ 117r.

118. [ლექსი]. —
„სევდისა წალკოტს გასაჭვრეტლად გაშლილა ვარდი...“ 117rv.

119. [ლექსი]. —
„მოი, საყუარელო, მიხილე მე შენგან ჴელად რებული...“ 118rv.

120. [ლექსი]. —
„ქ· ვფუცავ მე მუნით არა მდომია, მოსპობა ჩემი დამრჩომია...“ 118v.

121. [ალ. ჭავჭავაძე, ლექსი]. —
„უწყალომ სენმან, ყოვლთ მაწყენმან დაგვკოდა გულნი...“ 119r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასხ. გამოც., გვ. 17).

122. [ლექსი]. —
„სწყურს გულს მის მზისა ხლება...“ 119v.

123. [ალ. ჭავჭავაძე], „მუხამბაზის ყაზალი. —
ჭმუნვის მახვილი გულსა მხომია...“ 119v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასხ. გამოც., გვ. 63).

ეროვნული ბიბლიოთეკა

124. [ბ. გაბაშვილი], „მუსტაზადი. —
„ბულბულის შურსა შევდგომივარ მუდამ მძახველი...“ 120r.

შენიშვნები: 1. დასაწყისში მიწერილია: „ის არ ვიცი ვისია“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 42—43).

125. [ბ. გაბაშვილი]. —
„მე შენი მგონე, ჭირს შემკონე, დამწვი, მალალო...“ 120rv.

შენიშვნები: 1. კიდეზე მიწერილია: „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი მუსტაზადი თოთხმეტმარცულოვანი. წამხდარი იყო, გავმართე. დავით“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 44—45).
3. კიდეზე მიწერილია: „დაწერილია გიორგისაში“.

126. [ბ. გაბაშვილი]. —
„ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო...“ 120v—121r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 35—36).

127. [ბ. გაბაშვილი]. —
„მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა...“ 121rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 37—38).

128. [დავით რექტორი, მუსტაზადი]. —
„გრგვინვით, ციურნო, მოით, მზიურნო, რა არს სმინება...“
121v—122r.

შენიშვნები: 1. კიდეზე მიწერილია: „ქ. დავით რექტორის თქმული მუსტაზადი ცოლის სიკვდილზედ“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 289).

129. [ლექსი]. —
„მოით, მიჯნურნო, მსოფლიურნო, ვინ ხართ დაგულნი...“ 122rv.

შენიშვნები: 1. კიდეზე მიწერილია: „ბესარიონ გაბაევის ნათქვამი მუსტაზადი“ სხვა ხელით: „მე ხომ არ მგონია ეს ბესარიონისა იყოს, ესეც ალმასხანისა მგონია“.
2. დასაწყისში მიწერილია: „გიორგისაში დაწერილია“.

130. [ლექსი]. —
„როს განვიცადე ბედკრულმან გული საკუდავად დარია...“
122v—123r.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „ლეონ ბატონისშვილისაგან ნათქვამი თახმისი, მაგრამ ამბობენ ბესარიონისაგან არის თქმულიო“. კიდეზევე მიწერილი: „ბესარიონის ნათქვამი“, „ალმასხანის მუსტაზადი“— გადახაზულია.

131. [დავით სარდალი]. —
„პირზედ გაქვს ხალი და შავი თვალი, ნახვა მსურს შენი...“ 123r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 267).
2. კიდეზე მიწერილია შემდეგი: „დავით სარდლისა“, „ეს სხვისგან თქმულია, არ ვიცი“, „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი“, „ვის უთქვამს, არა ჩანს“. „დაუწერელია, აკლია, ამიტომ, და მერე არა არის-რა“. ბოლოს მიწერილია: „ორი შაირი — ათი ტაეპი აკლია“.

132. «მუსტაზადი ანუ მუხამბაზი ელისბარ ერისთოვისგან ნათქვამია». —
„ვაი ესე დრონი, საყვედრონი, მამცემს წყენასა...“ 123v—124r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია როგორც ბესიკის ლექსი (იხ. ანთოლოგია, II, 242 გვ.).

133. «ბარამ ბარათოვისა შაჰბადა გაფი». —
„აფროდიტო აღმობრწყინდი...“ 124r.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „სხვაში იხილე“, „დაწერილია გ.“, „ბარამ გერმანოზის შვილის ნათქვამი“.

134. „ბარამ ბარათოვის ნათქვამი შაბადა ანუ გაფი. —
ეჰა მთიები მთენია...“ 124v.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „სხვაში იხილე. დაწერილია გ“.

135. „მზეჭაბუკ ორბელიანისაგან თქმული ბატონიშვილის ქეთევანის ძეობაში, გიორგი რომ დაებადა. —
ალმკულ სრასა, უცხოდ მზასა, მზევ შინ შემოდიო...“ 124v—125v.

შენიშვნები: 1. გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 247).
2. კიდეზე მიწერილია: „დაწერილია გიორგისში და ჩემშიც“, სიტყვა გიორგისაში გადახაზულია, „ყრმა მეშვა უცხო, ჰა ეს რა — ესე სჯობს, იმას ბოლო წამხდარი აქვს“.

136. „ზაალ ბარათოვის ნათქვამი მუხამბაზი. —
ბულბული მწუხარებს, ვარდი შემომწყრალია...“ 126rv.

შენიშვნები: 1. გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 290).
2. კიდეზე მიწერილია: „სხვაში იხილე, დაწერილია გ.“.

137. [ლექსი]. —
„ალვახვნე ბაგენი, შევუმკო სახე, ოჰ სიამოვნევ...“ 126—127r.

138. „თავადის გიორგი ეგნატისძის თუმანოვის ნათქვამი. —
ჵი, ვითარად მწველად კმარად ცეცხლნი მდებიან...“ 127v—128r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გივი მიქაძე, გიორგი თუმანიშვილი: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, 48—49 გვ.).

139. „დიმიტრი თუმანოვის ნათქვამი გაფი. —
ახალ ალნაგო სულო და...“ 128rv.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, მიხ. ხელთუბნელის რედაქციით, 1938, გვ. 27—28). გამოცემასთან შედარებით აკლია ბოლო სტროფი.

140. „იოანე აქიმოვის ნათქვამი გაფი. —
თავი ვამონე სატრფოსა...“ 129rv.

141. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი. —
როს ადმობრწყინდა ბადრი მთვარე მანათობელი...“ 130r.

შენიშვნა: გამოცემაში (ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც.) ეს ლექსი შესული არ არის. 2. კიდეზე მიწერილია „[გიორგისაში] დაწერილია თეთრში“.

142. „ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი შარაშური მუშტარ მუხალიფში. —
ვაი დრონი, დრონი ნაქებნი მტკბარად...“ 130r.

შენიშვნები: 1. გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 4).
2. კიდეზე მიწერილია: „...თეთრში დაწერილია“.

143. „თამაზ ქობულოვის ნათქვამი გაფი. —
ჱ, იგი უწყალოდ ჩემი ხელმქმნელი ნეტარ თუ სადა“... 130r—131r.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „სხვაში იხილე. დაწერილია გ“.

144. „ოთარ ქობულოვისაგან ნათქვამი გაფი. —
ვიხილე საყუარლად ედემის ვარდი...“ 131r.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილია: „სხვაში იხილე. დაწერილია გ.“

145. „ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი მუხამბაზი. —
ღმერთებო, ნეტავი ჩვენა...“ 131v.

შენიშვნები: 1. კიდეზე მიწერილია: „თეთრში დაწერილია“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 5—6).

146. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი ყაფა თეჯლისი. —
არვის მართებს მის ვარდისა მიხვედრა...“ 132r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., 9 გვ.).

147. „დავით რექტორის ნათქვამი ალექსის ძისა თახმისი. ხუთ ტაეპი. ხუთეული თექვსმეტ მარცულედი. —
მეოთხესა ცის მენავსა სიტყვიერი მზე რა ახე...“ 132v—133r.

148. „პეტრე ყარიბის ლარაძის ნათქვამი მუსტაზადი. —
დამმწარდეს ჟამნი, შემხვდეს ვამნი, საწამ-საწამნი...“ 133rv.

149. [ლექსი]. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაჯდა ტყვე-ქმნილი ბულბული, სულთქმისა ჰმასა ყიოდა...“ 134r—136v.

150. [ლექსი]. — „მე მისი მსურდა ქებანი, ვით ვათქმევინო ენასა...“ 136v—141r.

151. «ბუდალ ოლლანი», „მუხამბაზი. — კრონოსის დარად, დასადარად, ალმობრწყინდები...“ 141rv.

152. [ოთარ ქობულაშვილი, ლექსი]. — „მსურს, დიანავ, გიანბო ჩემი ცეცხლთა დებანი...“ 142rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 295).

153. [დავით ბატონიშვილი, ლექსი]. — „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, ლეილიმ...“ 143r.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „მარტის კზ, წელსა ჩყიბ-ს“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 281).

154. [ლექსი]. —
„სახე შენი როს ვიხილო,
მრისხანეო, წარბშეხრილო...“ 144rv.

155. <სტეფანე ფერშანგიშვილი, ლექსი>. — „ვიხილე ტურფა კჳპაროს, წვლილი, ნაზად ზრდილია...“ 145r.

156. [ბესიკი], „ჩახრიხაულათ. —
მაღალ ღირსებას ჭამადი მსუყე
მძიმედ მოსვლია, ვით მიწა უყე...“ 149r.

შენიშვნები: 1. ტექსტის დასაწყისში მიწერილია: „წელსა ჩლჳჱ, სეკდემბრის იზ კრემენჩუკს მე და ბესარიონ გაბაშვილი ერთათ ვიყავით. სადილს ვაპირებდით. არქიმანდრიტი გაიოს დავპატიჟეთ, რომელსაცა ბოდიში შემოეთვალა: ნასადილევი ვარ, ქარიშხალიც არისო და ტალახიცაო, ვერ გიახლები. ამაზედ ბესარიონმან მისწერა ხუმრობა“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 95).
3. ფფ. 146r—157v ლიტერატურაში მირიან ბატონიშვილის ავტოგრაფულ რვეულად ითვლება (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 256—257).

157. [ბესიკი, მირიან ბატონიშვილს]. — „კრემენჩუკს გრიგოლ უწოდა სახელად: „სახლი უკარო...“ 149r—150r.

შენიშვნები: 1. ტექსტის წინ მიწერილია: „ამისგანვე ამასავე წელსა ოკდობრის იგ ქალაქსა ელისაბედს კრემენჩუკიდამ ჩემთან მოწერილი შაირნი“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი. დასახ. გამოც., გვ. 88—89).

158. «მირიან ბატონიშვილი», „შაირნი. — გებრძანა ჩვენი აქ ყოფნა...“ 150r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 254—255).

159. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „ჩ ა ჭ რ ი ჭ ა უ ლ ი. —
ყოვლად სამღვდელო ალავერდელი...“ 150r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 255).

160. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „შ ა ი რ ი. —
ჩვენი მინისტრიც თავს გიკრავს, გასდილი თავაზიანი...“ 150v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 255).

161. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „ჩ ა მ ო კ ი თ ხ ვ ა ნ ი ტ ა ე პ ე-ბ ა დ. —

[ა]

მკურნალეს ხელს დავეწაფე: სულიერს მამას — მოწაფე...“ 150v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 255—256).

162. „ი ო ს ე ბ მ ღ ვ დ ლ ი ს წინამძღვროვის მაგიერად მოკითხვა. ჩახ-რიხაული. —
ოსეფ, ქაპუა, აბრამ, პაპუა...“ 150v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 256).

163. „ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს გ ა ნ მოწერილი პასუხად შ ა ი რ ნ ი. —
რაიცა, განათლებულო, გებრძანეს ჩემგან წერითა...“ 150r—151r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 90—91).

164. [ბ ე ს ი კ ი, მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს], „შ ა ი რ ი. —
გრიგოლ მახსოვს გამატრუკლად, ხუმრობაზე შემაფხუკლად...“ 151r.

შენიშვნები: 1. დასაწყისში მიწერილია: „წელსა ჩღპთ, ფებერვლის თ, ამის-განვე მოწერილი კავკასიის ლინიაზედ“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 92).

165. [ბ ე ს ი კ ი], „ლექს[ი] ჩ ა ხ რ ი ხ ა უ ლ ი. —
ჩვენი პაატა მამიკითხენით...“ 151v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 92).

166. „ჩღპთ წელსა, აგვისტოს კზ, მეფის ძის მ ი რ ი ა ნ ი ს მიწერილი გლახა კოტეთან კავკასიის ლინიაზე თ ფ ი ლ ი ს ი ს პოლკიდამ. ლექსი. —
ვასილი კეთილ-შობილო, ჩემად ერთგულად ცნობილო...“ 151v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Е. Такайшвили, Описание, ტ. II გვ. 335)

ეროვნული ბიბლიოთეკა

167. [მირიან ბატონიშვილი], „შაირნი. —
თქუჱნ აწ მისდიხართ ტფილისსა, მე მივალ ტფილისიდამა…“ 151v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, გვ. 335—336).

168. „ამასვე წელსა, დეკენბრის იზ, მეფის ძის მირიანისაგან გარდმოღებული რუსულისაგან ქართულად ნათქვამი. პატივად ახოვანთა რუსეთის თავადისა ვოლხონცკისა და რუსეთის ღენერალ-მაიორის ივან პეტროიჩის გორიჩისა, რომელნიცა დიდად გარჯილნი დაიხოცნენ აჩაკოის ციხეზედ. ლექსნი. —

შევიდნენ უკუჱ დიდნია, ახოვანნი როსიისა…“ 151v—152r.

169. „ჩღპთ წელსა მარტის ია, ყიზლარს არქიმანდრიტის პორფირთან მიწერი[ლი] მეფის ძის მირიანისაგან. მიწერილი წიგნი პირველად შესავალნი და შემდგომად შაირნი. —
ძმას კნიას მოკითხვას უძღვნი სიყვარულისა მჩენალსა…“ 153rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 336—337).

170. „ჩღპთ წელსა, ნოენბრის კჱ, მეფის ძისაგანვე შეთხზული სვეტისცხოვლის ქება დღეი ცისკრის ჴმაზე. —
შევკრბეთ ერი ყოველი, ყოველი…“ 153v—154r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 337—338).

171. [მირიან ბატონიშვილი], „ამავ ჴმაზე ფერისცვალების შესხმა. —
მორწმუნეთა ვყოთ კრება, ვყოთ კრება…“ 154r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 338—339).

172. „ამავ ჴმაზედ მეფის ირაკლის ქება. —
ღმერთო, მოეც დიდი დღე, დიდი დღე…“ 154v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. Описание, II, გვ. 339--340). გამოცემაში ავტორად ბესარიონ გაბაშვილაა დასახელებული.

173. „ამავ ხმაზედ სომხურიდამ გარდმოღებული ქებავე მეფისა მის. —
დამბადებელო ყოველთაო, ყოველთაო…“ 154v—155r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლო სტროფი ასეთია: „ავეტიკ ამისი მთხუზელი, მთხუზელი,
ტერ პეტროზა მთარგმნელი,
ყარიბი გამლექსელი, გვედრით ღმერთო“.
2. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 340—341). გამომცემელს ავტორად ავეტიკა ჰყავს დასახელებული.

174. „ჩღჟ წელსა, აგვისტოს იბ, მოსდოკს მე ბართლომე სავარსამიძისას ვდეგ და ამავ ხმაზედ ქება შევასხი. —
ხამს ვუთხზა მე მას ქება…“ 155rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 341—342).

ეროვნული ბიბლიოთეკა

175. „**ჩღჟა** წელსა, ფებერვლის **დ**, ა შ ტ რ ა ხ ა ნ ს, ჩემგანვე ამავ ხმაზე იოსებ მღვდლის წინამძღროვის მაგიერად ო თ ა რ ლ ო ლ ა ძ ი ს შობის დღის მილოცვა. — გვუხამს კრებულთა სტუმართ ეს, სტუმართ ეს...“ 155v—156r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 342—343).

176. [მირიან ბატონიშვილი], „სხვადასხვა სიმღერანი ჩემგან ნათქვამნი გოჰარის ჴმაზედ. —
მოვედით მოყმენო, შეკრბით ჯომარდნო...“ 156rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 343—344).

177. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „სარიყიზის ხმაზედ. —
ხელქმნილ ვარ მე მას დღეს აქეთ დარდითა...“ 156v—157r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 344—345).

178. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „ამავ ხმაზე. —
დღე და ღამე ოვხრამ[!], შენსა დარდსა ვსწევ...“ 157rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 345—346).

179. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „დემიშტუმ ქი სანუნ ქოლუნის ხმაზედ ბაითითურთ. —
ოდეს ვნახე მოარული...“ 157v—158r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 346).

180. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „ვაჟის მაგიერად ქალთან მიწერილი ტანო-ტატანოს ხმაზე. —
ალვა ტანადო, მიჯნურთ დარდო, კიპარო რგული...“ 158rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. **Описание**, ტ. II, გვ. 346—347).

181. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი], „ქალისაგან პასუხი ამავ ხმაზე. —
როს ქუწყნად ჰფინე, მყის ვისმინე შენ ჩემი ქება...“ 158v—159v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 347).

182. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი]. „ე თ კ უ ს ი რ უ ნ ი ს ხ მ ა ზ ე. —
ოდეს გნახე გამოსული სარკმელსა, ვით მთვარე სრულ...“ 159v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 347—348).

183. [მ ი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი]. „**ჩღჟა** წელსა, ნოენბერს ა, ა შ ტ რ ა ხ ა ნ ს ჩემს ყოფნაში ედილი გაყინა და იქაურნი ვაჭრები დამზადებულნი საქონლით ზღვით წასასვლელად სახტი დარჩნენ, რომელზედაც ითქვა ჩემგან სიმღერა ესე აჩაკოვის სიმღერის ხმასა ზედა და ითარგმნა სომხურად ტერ-პეტრუზასაგან ამასავე ხმაზე. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული — სომხური
აშტარხანს ვინ ნახავსა... — ოვ იტის თე იაშტარხან..."
159v—160v.

შენიშვნა: ქართული ტექსტის პარალელურად არის სომხური ტექსტი ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი.

184. [ლ ე ქ ს ი]. —
„რა ვყო, რა ვქნა გლახ ხელქმნილმან, მედება ცეცხლის ალია..."
162r.

185. „რახტის გუშა ი ო ს ე ბ ნ ა ც ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ თქმული. —
ბუნდოვანს გულს შენ აღმიჩნდი დარადა..." 162rv.

186. [ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი], „თეჯლიში. —
შავ გლახ გულო, ვისთვის იწვი მუდამით..." 162v—163r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 53).

187. [ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი], „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი. —
ტანო, ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო..." 163r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 35—36).

188. [ლ ე ქ ს ი]. —
„ჰი, სიცოცხლის ნუგეშად იმენ სალმობის ხმასა..." 163v.

189. [ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი], „მ უ ხ ა ო ბ ა ზ(!). —
მე შენი მგონე, ჭირს შემკონე, დამწვი მალ ალო..." 163r—164v.

შენიშვნა: დაბეჭდილია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 44—45).

190. [ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი]. „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი. —
ბულბულის შურსა შევსდგომივარ მუდმივ მზრახველი..." 164v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბ ე ს ი კ ი, დასახ. გამოც., გვ. 42—43).

191. [ლ ე ქ ს ი], „ვალუფი. —
გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა..." 165r.

192. [ლ ე ქ ს ი], „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი. —
ეტრფის მთიებსა შესამკობლად გულის ურვილი..." 165rv.

193. [გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი], „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი. —
ვარდი რა გაიაფდეს, ვინ ჰყოფს მისსა ქებასა..." 165v—166r.

შენიშვნა: დაბეჭდილია (იხ. გ ი ვ ი მ ი ქ ა ძ ე, გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, 1962, გვ. 64—65).

ეროვნული ბიბლიოთეკა

194. [გიორგი თუმანიშვილი], „შუშტარის გაფი. —
ვ[ბ]ჭობ სიყვარულით გულის შეწირვას...“ 166v—167г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გ. თუმანიშვილი, დასახ. გამოც., გვ. 68—69).

195. „მიხეილ ყაზიბეკოვისაგან. —
მსურის გული შევსწირო ტურფა ვაგიზანასა...“ 167гv.

196. „დუგაის გუშა. —
იმელთა არეს დამამყარეო...“ 167v—168г.

197. „ბალაი ფუშტის ხმა. —
საყვარლად კმა ხარ, თუ თანახმა ხარ...“ 168г.

198. [ალ. ჭავჭავაძე], „შაჰნაზის გუშა. —
მშვენიერთა ხემწიფავ, მკლავ სიშორით შენითა...“ 168гv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 102).

199. [ლექსი]. —
„ეჰა სიცოცხლე მკლელებია(!)...“ 168v.

200. [ბესარიონ გაბაშვილი], „მუხამბაზი. —
მე შენმან ფიქრმან მიმრიდა, მიმცა ჭირებსა...“ 169г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესარიონ გაბაშვილი. დასახ. გამოც., გვ. 37—38).

201. [ლექსი]. —
„კარნი დახშულან ვარდისანი, ვითღა ნახოს...“ 169гv.

202. [დავით რექტორი, მუსტაზადი]. —
„გრგვინვით ციურნო, მოდით მზიურნო, რა არს სმინება...“
169v—170г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 289).

203. [გრიგოლ ბაგრატიონი], „მუხამბაზი. —
არ გეწყალვი ფლორაო, არ მაკმარე ტანჯვანი...“ 170г—171г.

შენიშვნა: ლექსის ავტორი აღდგენილია S 1512:340 მიხედვით.

204. „თანხმისი (!). —
როს განგიცხადე ბედკრულმან, გული საკვდავად დარია...“ 171гv.

205. [ბესარიონ გაბაშვილი]. „მუხამბაზი. —
სევდის ბაღს შეველ შენაღონები...“ 171v—172v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესარიონ გაბაშვილი, დასახ. გამოც., გვ. 29—30).

206. „მუსტაზადი. —
შეყრილან ერთად მკრთოლვარენი უზადო მნათნი...“ 172v—173г.

207. [ლექსი]. —
„ჰე საწუთროო რად ჩამაგდე ესოდენ ჭირსა...“ 173гv.

208 [ალ. ჭავჭავაძე], —
„სახე შენი მე მახევა, მებადა...“ 173v—174г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 3).

209. [ალ. ჭავჭავაძე], „მუხამბაზი. —
უწყალოვ საყვარულო, რათ მკოდე ესოდენ ძნელად...“ 174г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 19—20).

210. [ალ. ჭავჭავაძე], —
„ვაქებ თავსა თმა მდიდარასა (!), რომელსა გლახ უბამს გული...“
174г—175г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 37).

211. [ალ. ჭავჭავაძე]. —
„მსურდა ოხვრა დუმით ჩემით მეკრძალა...“ 175гv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 56).

212. [ალ. ჭავჭავაძე]. —
„მაისის ვარდმან ფურჩვნილმან...“ 175v—176г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 13).

213. [ალ. ჭავჭავაძე]. —
„ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია...“ 176гv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 63).

214. [ალ. ჭავჭავაძე]. „მუხამბაზი. —
შენს ღირსებას ნატრულობენ ყოვლნი ქალნია...“ 176v—177г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 11).

215. [ალ. ჭავჭავაძე]. „დუბეითი. —
მძგერს (!) გლახ გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყლავს თმენას...“
177г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 24).

216. [ალ. ჭავჭავაძე]. —
„შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინა...“ 177v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 23).

217. [ალ. ჭავჭავაძე]. —
„ჟამნი რბიან, შენცა მელტვი...“ 177v—178r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 21—22).

218. [ალ. ჭავჭავაძე], „მუსტაზადი. —
მწამებ ხსოვნისა არცაღა, თუ მშთომოდეს ჩრდილი...“ 178rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 126).

219. [ლექსი]. —
„ღაწვთა ხალიდთა ყრილსა...“ 178v—179r.

220. [დავით ბატონიშვილი]. —
„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი...“ 179rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 118).

221. [მარიამ ბატონიშვილი]. —
„ჵი დამწარდეს დროთა ტკბილობა...“ 179v—180r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 272).

222. „სხვა ლექსი ბატონიშვილის ფარნაოზისაგან თქმული. —
იგონეთ დრონი ყოველთ წინარე...“ 180r—181r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 278).

223. [ერისთოვი ელისბარ], „ისმინეთ გარდმოუტევეთ. —
ვაი ეს დრონი სავედრონი მომცემს წყენასა...“ 181r-v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 242).

224. „უძლვენ სიცოცხლე. —
მემდურვი ვინამო...“ 181v—182r.

225. [ბესარიონ გაბაშვილი, ყოვლად წმიდის ქება]. —
„ჯერისაებრ ქება შენი არვის ძალუძს, ღვთისა სძალო...“ 182r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 108).

ეროვნული ბიბლიოთეკა

226. [ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე]. —
„ოი გაბადრულო მთვარე, ბნელსა ვზი მომეხმარე...“ 182г-v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახ. გამოც., გვ. 101).

227. „თ ე ჯ ლ ი შ ი. —
ეჰა ვარდი ვითარ გაფურჩვნილია...“ 182v.

228. „შ ა ჰ ნ ა ზ ი ს გ უ შ ა. —
აფროდიტო ალმობრწყინდი...“ 183г.

შენიშვნა: S 1512:194, 1543:34 ხელნაწერების მიხედვით ამ ლექსის ავტორი ბ ა რ ა მ ბ ა რ ა თ ო ვ ი ა.

229. [ლ ე ქ ს ი]. —
„ვენერავ, ნუ მწვავ ალით, ვება მომფინე მალვით...“ 183г-v.

230. „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი. —
ალმოაწე კალამო, იწყე მთვარის ქებანი...“ 183v—184г.

231. [დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი]. —
„ესე ხელ-ხება მომენება...“ 184гv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 120).

232. [ლ ე ქ ს ი]. —
„შენ გეტრფის გონება, სატრფოვ, შენ მოგელის გული...“ 184v.

233. [ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე]. —
„მივედ წალკოტს სანუგეშოდ, გლახ ჩემს გულს სევდა ესია...“ 185г.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახ. გამოც., გვ. 106).

234. [ლ ე ქ ს ი]. —
„დამლარაჩიხმა, მარალარ დამლარაჩიხმა...“ 185гv.

შენიშვნა: ლექსი თურქულია, ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი.

235. „შ ა ნ ა ზ ი გ უ შ ა. —
ნადურბყბსან დალბაშინდა...“ 185v—186г.

შენიშვნა: ლექსი თურქულია, ქართული ტრანსკრიბციით ნაწერი.

236. [დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი]. —
„ქ. რად ამ უბედურსა მხვედრსა შევესწარ...“ 186гv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ტ რ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119).

ეროვნული ბიბლიოთეკა

237. [დავით ბატონიშვილი]. —
„რა შევიქენ სოფლისაგან ესრეთ მწარეთ განაწირი...“ 186v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119—120).

238. [დავით ბატონიშვილი], „თეჯლიში. —
რა მთოვარე დამესახა თვალთა წინ...“ 186v—187r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119).

239. [ლექსი]. —
„რომ მოვესწრათ გაზაფხულსა...“ 187r.

240. [ოთარ ქობულაშვილი], „მუხამბაზი, ჩოი სალბუჩინარის ხმაზე სათქმელი. —
მსურს დიანავ გიანბო ჩემი ცეცხლთა დებანი...“ 187v—188r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 295).

241. „მუხამბაზი. —
ნუ დამწვამ ცეცხლში აფონ...“ 188rv.

242. „მუხამბაზი. —
ლაზაროვსა ყელს ეხვია შალები...“ 189rv.

243. [პეტრე ლარაძე], „თეჯლიში. —
მზე ცორანობს, ერმობს, ჰაი დარადა...“ 189v—190r.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S 155:99 ხელნაწერის მიხედვით.

244. „სხვა ლექსი. —
ცრემლით გამიშვი, საყვარელო, წახველ, გამეყარე, რად არ გებრა-ლები...“ 190rv.

245. [ივანე აქიმოვი]. —
„თავი ვამონე სატრფოსა, თვის სურვილით შემოსა...“ 191r.
შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S 1512:165 ხელნაწერის მიხედვით.

246. [დიმიტრი თუმანიშვილი]. —

„ახალ აღნაგო სულოდა...“ 191rv.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. დიმიტრი თუმანიშვილი, ლექსები, 1938, გვ. 27—28).

247. „მუხამბაზი. —
მავრიდ შენთან შექცევას გათენებას ნუ მეტყვი...“ 192r—193r.

248. [ალ. ჭავჭავაძე]. —
„ჩი, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად...“ 193r-v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

249. [ალ. ჭავჭავაძე]. —
„ლოთებო, ნეტავი ჩვენა...“ 193v—194r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახ. გამოც., გვ. 5—6). დაბეჭდილთან შედარებით სტროფები გადაადგილებულია.

250. [ქეთევან ბატონიშვილი]. —
„ჩი ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი...“ 194v—195v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 275—276).

251. [თეკლა ბატონიშვილი], „ჩი ვითარ ვსთქვა“ ხმაზედ სათქმელი. —
რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი...“ 195v—196v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 277).

252. [მარიამ ბატონიშვილი]. —
„აჰა დამეცნეს რისხვით ცანია...“ 196v—197v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 273).

253. „გარდანჩამანის ხმაზედ სათქმელი. —
მიგლოვდით მეცა, მოყვასნო, სოფლისა განაწირებსა...“ 197v—198v.

შენიშვნა: H 2685:12, 2881:1 ხელნაწერებში ამ ლექსის ავტორად მარიამ ბატონიშვილია.

254. [ლექსი]. —
„გრიგალმან ქარმან მქროლველმან...“ 198v—199r.

255. „რომელთაგან მქონდა სიამე შვების ხმა. —
მოგახსენებთ ყოველთა აზიერ ერთა...“ 199v—200r.

შენიშვნა: S 1512:239 ხელნაწერში ამ ლექსის ავტორად თეკლა ბატონიშვილია.

256. „კნიაზ დიმიტრი ბაგრატოვანის თქმული „ჩი ვითარ ვსთქვა-ს“ ხმაზედ. — შორით მომესმა ხმა გოდებისა...“ 200r—201r.

257. [დიმიტრი ბაგრატიონი], „ამავე ხმაზედ სათქმელი მისგანვე თქმული. —
ივერთ მნათობნი მზე და მთვარენი...“ 201r—202r.

258. „თუშის ვისგანმე, თუშეთის მთაში მცხოვრებელისა, რომელიცა ზის ქვაბსა შინა, გარს ხალხ-შემოხვეული და იმღერის ფანდურსა. ხმა თუშური: „თუშო, ნუ წახვალ ხოჯორას“ და ჩვენებურად გარდანჩამანდარაი. —
მთის მცხოვრებთა ერთა ჰქონდათ ყოველთვის ჩინება...“ 202r—203r.

259. [ლექსი]. —
„ბედმან მომცა შვება მცირესა ჟამსა...“ 203v—204r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: Q 851:14 ხელნაწერის მიხედვით ლექსის ავტორი გრიგოლ მუხრანბატონის შვილია.

260. „ახალი აღნაგის ხმაზედ სათქმელი. —
სოფელო რისთვის მიმუხლთლე(!)...“ 204r—205r.

261. „უმაღლო ერთ მათ აღძვრასა ჰკვირდა, ტკბილო იესო. „იამათ ყაიმათის ხმაზედ, ქართულად თქმული თ[ავად] ო[თა რ] ქ[ობულოვი]ს მიერ. —
ო[თა რ] ქ[ობულოვი]ს მიერ. —
იადონი დასძახს ამ სევდის ხმასა...“ 205r-v.

262. [ბესარიონ გაბაშვილი], „მუსტაბაზი. —
ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არენით...“ 205v—206v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახელებული გამოც., გვ. 46).

263. [ბესარიონ გაბაშვილი], „ყაფია. —
რა გული დავაგე შენად სარებლად...“ 206v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 52).

264. [ბესარიონ გაბაშვილი]. —
„ჰაერი ცივ ნამიან[ი] ჩემთვისა აღარა დღიან...“ 207r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 60).

265. [ბესარიონ გაბაშვილი]. —
„შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი...“ 207r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 55).

266. [ბესარიონ გაბაშვილი], „თეჯლიში. —
ხმა სირინოზ, თმა ლულამბარ წინამო...“ 207v—208r.

შენიშვნები: 1. გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, დასახ. გამოც., გვ. 54).
2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „1845 года“

267. [ლექსი]. —
„ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი...“ 213r.

268. [ლექსი]. —
„შენ რომ წიგნი მოგეწერა, ვიღირს(!) იყო აგრე ტკბილსა...“ 213v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ექ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, გვ. 352).

269. [ლექსი]. —
„ახალო, ნორჩო, მცირე ხნიანო...“ 213v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 352—353).

270. „გამოთქმული. —
პირ-მთვარეო, ლოყა შახვალლოვანო(!),
შენ, სტეფანო, გვარად ფერშანგოვანო“ 214r.

შენიშვნა: ტექსტი აქ მთლიანადაა მოყვანილი. გამოქვეყნებული აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ 353).

271. „თეიმურაზისა. —
ჩამოვიარე ბახშია, მუნ ვნახე პირმზე ქალია...“ 214r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 353); აკად. ალ. ბარამიძის აზრით ეს ლექსი თეიმურაზს არ ეკუთვნის. იგი ხალხური უნდა იყოს. (იხ. თეიმურაზ პირველი, დასახ. გამოც., გვ. 016).

272. [გამოცანა ლექსად].
„იხილე ტურფა, გიპარე წვრილი...“ 214r.

273. [ნაწყვეტი მანანასა და ციების შორის საუბრიდან]. —
„მანანა მეპატიჟება: ამალამ ჩემთან დაწეო...“ 214rv.

შენიშვნა: სათაური აღდგენილია ექ. თაყაიშვილის აღწერილობიდან (იხ. Описание, ტ. II, გვ. 253).

274. «გრ. ორბელიანი», „ტოლუბაში. (მიბაძვა ეუკოვსკისა). —
ქ. დადუმდა ბრძოლის გრგვინვა საზარი...“ 216r—221r.

შენიშვნები: 1. ტექსტის დასაწყისში მიწერილია: „ეს ლექსნი 1826 წელსა სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც ირაკლის თაფაზედ იყვნენ ჯარნი დაბინავებულნი“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული აკ. გაწერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, 1959, გვ. 136—144).

275. «გრ. ორბელიანი», „უსტარი ჩემს დას ეფემიას. —
ჩემად ნუგეშად, ჩემად შვებად სასიხარულოდ...“ 221v—223v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გრიგოლ ორბელიანი, დასახ. გამოც., გვ. 45—48).

276. «გრ. ორბელიანი», „ეკატერინა ჭავჭავაძის ასულს. —
წინანდლის ვარდო,
სულითა ტრედო...“ 223v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გრიგოლ ორბელიანი, დასახ. გამოც., გვ. 7).

277. «გრ. ორბელიანი», „იარალის. —
ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს“... 224r—225v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასხ. გამოც., გვ. 14—17).

278. «გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი» „სხუადასხუანი ლექსნი ღ ა მ ე. —
მთვარე აშიკთა მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენდა...“ 225v—226v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასხ. გამოც., გვ. 22—23).

279. «გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი», „ექსპრომტათ ნ ი ნ ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ასულს. —
საამო არს საჭვრეტელად, ოდეს ნინას ვარდი ეპყრას...“ 226v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასხ. გამოც., გვ. 31).

280. «გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი», „გამოსალმება. —
ვითა ცის ნამი დილითა ბრწყინვალებს ახლად შლილს ვარდზედ...“ 226v—227r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასხ. გამოც., გვ. 20—21).

281. «გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი», „მ უ ხ ა ნ ბ ა ზ ი. —
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალი შენის ეშხით...“ 227r

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასხ. გამოც., გვ. 9).

282. «გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი», „ს ო.....ს ო.... —
ვარდი ხარ? — არა!
ზამბახი? — არა...“ 227v—228r.

შენიშვნები: 1. გამოქვეყნებულია (იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასხ. გამოც., გვ. 51—52).
2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „1835 წელს, ნოემბრის 24. რ ი გ ა შ ი“.

283. «გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი», „ე პ ი ტ ა ფ ი ა მ ი რ ზ ა ჯ ა ნ ი ს. —
მუხთალს ამ სოფელს გსურის ვისცა იყო ბედნიერ...“ 228v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასხ. გამოც., გვ. 24).

284. [კ ა ტ ა ლ ო გ ი ძველი ნაბეჭდი რვა წიგნისა]. — „1. კურთხევანი ირაკლი მეფის და ანტონ კათოლ. დროს. ტფ. ჩღჲდ...“ 229r:

შენიშვნა: ჩამოთვლილია რვა ძველი ნაბეჭდი წიგნის სათაური და გამოცემის დრო (კურთხევანი, დავითნი, პარაკლიტონი, სახარება, სამოციქულო საღვთო მსახურება, ლოცვები და ზატიკი).

285. „ზ ა ქ ა რ ი ა ნ ა მ ო ძ ღ უ რ ა ლ ი ს ა გ ა ნ გ ი ო რ გ ი ც ა რ ე - ვ ი ჩ თ ა ნ მ ი წ ე რ ი ლ ი მ ო ს კ ო ვ ს. —
დავითის ვარდად, ყრმად წარმოზარდად...“ 230r—231v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

286 „ბრძოლა ძლიერი კატისა თაგვთა მიმართ და თაგუ-თა სამთა გვართა შეწევნა, რომელი იქმნა მეფობასა ნადირშაჰისსა, რომელსა შაჰუნ-შაობითაცა უჴმობდნენ კაცნი სპარსეთისანი, თქმული შაირად ისაკ მცირისა მიერ, რომელმან აღლექსნა მოთხრობანი პირისპირად ამბავთა მის-თანი. —

1. ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუა წინ წამოდგა ნაზად კატა...“ 232r—240v.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „შაირი ესე იყო ვასილი კოტეტოვისაგან გარდმოწერილი საქართველოს მეფის ძის მირიანისათვის, გარნა ვინადგან დაძველებულიყო, მიბრძანა მე მანვე საქართველოს მეფის ძემ დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკმან და სენატორ-კავალერმან მირიან გარდაწერა, რომელმანცა გარდავსწერე მისთვისვე. უმდაბლესი მონა გოდერძი ფირალოვი“.

2. ტექსტი ნაწილობრივ გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 232—237). პოემის ავტორად გამოცემაში დასახელებულია ზაქარია გაბაშვილი. პოემის ავტორობის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II[2], გვ. 609; ტრ. რუხაძე, XVIII ს. ქართული სატირის ისტორიისათვის: საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს, 1959, გვ. 295—303.

287. «თეიმურაზ ბატონიშვილი», „ფრიქსა და ოქროსმატყლოვანისათჳს ვერძისა. **ა.** ფამასისათჳს, რომელი იყო მამა ფრიქსისა და ელლეიასი. — პირველად სთანადო(!) არს, რათა უწყოდეთ: თუ ვისი ძეჲ იყო Фრიქს და რაჲ შეემთხვა მამასა მისსა.—აფამანტ ანუ აფამას იყო ძეჲ ეოლასი...“ 245r — 270r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: „შესწავლება ფრიქსისა ელლეიასთჳს და ოქროსმატყლოვანისათჳს ვერძისა, თუ სადაჲთ მოყვანებულ იქმნა იგი პირველ კოლხიდად. — მოძიებულ იქმნა ამბავი ესე, პოვნილ და თარგმნილ ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის მიერ და მიეძღვნა დისწულის ძესა მისსა დადიანს დავითს ნიშნად მის მიერისა სიყვარულისა და მოთხრობაცა იგი შეუდგების ამას მოსვლისათვის არღონავტთა კოლხიდად და მოპოვნებისათვის იაზონ თესალიისა მეფის ძისაგან ოქროსმატყლოვანისა მის ვერძისა შეწევნითა და სწავებითა მედიას მიერ.

ქართულად ძველთა ელინურთა წიგნთაგან გადმოითარგმნა და ძველად ქართველისა ვისგანმე ნათარგმანებთა თანა შესწორდა და უმჯობეს იქმნა. ქართული იაზონისა და მირმიადონთ ამბავი, ვგონებ, რვაასის წლის ნათარგმნი იყოს ქართულზედ. მეფის ძე თეიმურაზ. წელსა ქ~სთ **ჩყმ**, ოკდომბრის **იდ**. პეტერლოფს“ (245r).

2. ტექსტი, წარმოადგენს თეიმურაზის ავტოგრაფს.

288. (თურქული ლექსი), „ Турецкая.—
ყალადან ყალიამან გორდუმ ონი...“ 271r.

შენიშვნა: ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი თურქული ლექსია.

289. „Романс Грузинский № 2.—
გამტყოცნა (!) სოფელმან, მოვშორდი მზესა..“ 271v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1932, გვ. 102); ახალ გამოცემაში შესული არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

290. [დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი]. —
ახალ ადმოსულო და...“ 272г.

შენიშვნები: 1. დასაწყისში მიწერილია: „Песня Грузинская“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. დ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ლექსები, 1938, გვ. 27).

291. „გ ა ნ შ ო რ ე ბ ა. —
ანტუანეტ. გამეშორე, გამითენე დღე საწუალი...“ 273г.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ა. ს. გ.“.
2. გამოქვეყნებულია (იხ. Описание, ტ. II, გვ. 356).

292. [ლ ე ქ ს ი]. —

„ამილახვარო, ლახვარო,
გამოქცეული თხა ხარო,
ლეკები შემოგიტევენ,
შიშით გაქრები, რა ხარო“ 273v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „(сказано на счет Отара Амилахвара, предводителя Грузинск. войск)“.

293. „კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა რ გ ი ზ ო ვ ა ნ ი ს ა. —
ჰე საყუარელო, შენის გონებით
ხელ ვარ მინდორსა თავის ღონებით...“ 277г—278v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. „ნ ა რ გ ი ზ ო ვ ა ნ ი“, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით 1936 წ.).

294. „დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი ს ა. —
გიშრის ნავნი შავთა ზღვათა არობენ,
ირისენი მთვარეზედ კამარობენ...“ 279г.

295. [დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი], „ქ ა რ თ უ ლ ი ბ ა ი ა თ ი. —
ქ. სახელ მომცა მანათა,
ელვარებით მანათა...“ 279гv.

296. [დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი], „თ ე ჯ ნ ი შ ი. —
ქ. ვნახე პირმზე, ბაგე-ვარდობს, დალალობს,
ლომის ბურჯზედ აღმობრწყინდა არია...“ 279v.

297. [დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი], „ვ ა ს ე თ მ ი ა რ ე მ ი ს ხ მ ა ზ ე დ. —
ქ. ტრფიალთ დამწველი, ტრფიალთ დამწველი,
ისფრით მოსილი, არს დამდაგველი...“ 279v—280г.

298. [დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი], „გ ო ჰ ა რ ი ს ხ მ ა ზ ე დ. —
ქ. მომაშორვა სვემან მზეს მცხინვარესა,
საწუთრომან მიმცა დღესა მეწარესა...“ 280гv.

ეროვნული ბიბლიოთეკა

299. [დიმიტრი თუმანოვი], „თეჯნიში. —
ქ. ვაშა მას დღეს, როს განმელო ცისკარი,
განკვირება მჭვრეტელთაგან ისმოდა...“ 280v.

300. [დიმიტრი თუმანოვი], „მუხამბაზი, —
ქ. სევდისა ლაშქარი შემომიხდება,
სურვილისა ცეცხლი მომეკიდება...“ 280v—281r.

301. [დიმიტრი თუმანოვი], „ნავაი ნიშაბურის ხმაზედ. —
ქ. დილის ნიავმა მომართვა
ჰამბავი სასურველისა...“ 281r.

302. [დიმიტრი თუმანოვი], „ფას მუხალიფის ხმაზედ. —
ქ. სატრფო შემთხვივა სავარდეს, ბუნებით იხატებოდა...“ 281v.

304. [დიმიტრი თუმანოვი], „თეჯნიში. —
ქ. მზერა მიდრკა, სიბნელესა მისევდა,
ვის ედარა, ჩემთჳს რალა აგორა...“ 281v.

305. [დიმიტრი თუმანოვი], „ტაფი თალის ხმაზედ. —
ქ. სიცრუითა დიდებულობ,
მზაკვარობით მოგწონს თავი...“ 282r.

306. [დიმიტრი თუმანოვი], „ფას მუხალიფათაც ითქმის და თახმისათაც. —
ქ. მეკეთა იგი პირ-მანგი, ატმოსფერაით მოცული...“ 282rv.

307. [დიმიტრი თუმანოვი], „მუსტაზადი. —
ქ. მნათობთა ზესა, მცხინვარესა, უქებ არესა...“ 282v.

შენიშვნები: 1. ამ კრებულის მიხედვით დ. თუმანოვის ლექსები გამოქვეყნებული აქვს მიხ. ხელთუბნელს (იხ. დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, 1938 წ.).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 318—356).

(1480) **3724**

კრებული. XVIII—XIX

174 ფ.; სხვადასხვა ზომის ფურცლები (1—157 ფფ. ზომაა 22,5×17, 158—168 ფფ. 17,5×14,5; 169—174 ფფ. 18,5×11,5); მხედრული; [XVIII—XIX სს.]; დაუწერელია: 27v—30r, 47v, 52v, 62v, 62v, 80v, 93v, 94v, 95v, 96v—98v, 99v, 116v—131v, 147v, 161rv, 167v—168v, ალ. ცაგარლის კატალოგით № 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. [იოანე ქართველიშვილი], „ქართული ღრამატიკა". § 61. — ღრამატიკა არს ჰსწავლა ჴელთმძღუანეველი კანონიერ უბნობისა და მართლწერისადმი..." 1r—27r.

წყდება: „...ნამყო სრული

მხოლობითი	მრავლობითი
ვაწერინო	ვაწერინოთ
აწერინო	აწერინოთ..."

შენიშვნა: ტექსტი მისდევს ამავე კოლექციაში დაცულ ხელნაწერს (შდრ. S 4432 ფფ. 7r—29r).

2. [ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის შესავალი]. — „...ქართული სრული ანბანი 40 ასო შესწორებულად აღრიცხუათა სხუათა ენათათა..." 31r—59v.

შენიშვნა: ტექსტი ნ. ჩუბინაშვილის ავტოგრაფია, შავად ნაწერი (იხ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. ალ. ღლონტის რედაქციით და გამოკვლევით, 1961, გვ. 10—11).

3. ამიერკავკასიის მხარის ქალაქებისა და ადგილების დასახელება და მათი თბილისიდან დაშორების მანძილი (გრაფებში მოთავსებული, რუსულ ენაზე) 60r.

4. ცნობები ქაღალდის გამოგონებაზე, წიგნის ბეჭდვის დასაწყისზე, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებაზე, ამერიკის აღმოჩენაზე, ვესტფალიის ზავზე და სხვ. (ცნობები დაწერილია რუსულ ენაზე) 60v.

5. წარწერა გაბაშვილების მონასტრის კედლისა. „გაბაანთ მონასტრის კედელზედ სწერია. — ვინათგან ჩემებრ ბრალთაგან..." 61rv.

შენიშვნა: ტექსტი ხუთჯერაა გამოცემული; უკანასკნელად გამოსცა ვახტანგ ბერიძემ (იხ. თბილისის „ლურჯი მონასტერი", ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, № 2, 1948, გვ. 96—97).

6. [ლექსი]. —

„ფილოსოფოსნი შეჰკრბნენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა.
ბატონი კაცსა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა,
ათასად გვარი დაფასდა, ასი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გუარიშვილობა" 61v, 95r.

შენიშვნა: ამ ლექსის შესახებ იხ. შ. ონიანის წერილი: „ხალხში გავრცელებული ერთი ლექსის შესახებ" (იხ. „ლიტერატურული გაზეთი" 1957 წ. III 1. ავტორის აზრით იგი შ. რუსთაველს ეკუთვნის).

7. „ანდეზები(!). — ა. ადამიანის პირის კანი ხახვის შუა გარსზედ თხელია და თუ ერთხელ გაიხა, გამბეჩის(!) ტყავზედ უფრო გასქელდება და შეიქმნება ურცხვი..." 63r—93r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ხელნაწერში ანდაზების კრებული ორჯერაა შეტანილი: პირველი ვარიანტი მოთავსებულია 62r—79v-ზე და წარმოადგენს შავს; მეორე — მოთავსებულია 2r—93v-ზე, არის სუფთად გადაწერილი; ანდაზები დალაგებულია ანბანზე. 2. სუფთა ცალს უძღვის თავფურცელი: „შეკრება რაოდენთამე ქართულთა მდაბიურთა იგავთა ანბანზედა, იმისთანა აქ არ დაიწერება, რომელშიაც უწმაწური ლექსი ურევია, ან ცუდი აუგი“ 81r. 3. ხელნაწერში 386 ანდაზაა.

8. „გამოცანაები(!). — ორნი არიან ტოლნი არიან, დარბაზს ჩადიან ჩაიმღერიან...“ 94r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 17 გამოცანას თავისი ახსნით.

9. „სიტყვის მასალები. — ცა ქუდათ არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად (ითქმის მეტად ამპარტავანზედ)...“ 96r.

10. [კითხვა-მოგება]. — „მოწაფემ კითხა მოძღვარსა — ვინ არს ღმერთი ან რა შეუძლიან?

მოძღვარმან მიუგო: ღმერთი ძლიერი ჴელმწიფეა...“ 100r—116r.

წყდება: „...კითხვა: რასათვის ეცვა თვისის ნებით ჯვარსა...“

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის ანდერძი: „სახელითა მამისათა და ძისათა, და სულითა წმინდისათა ავიღე შრომა გარდაწერისა ამა კითხვა-მიგებისა, რომელსა შინა სჩანს ბრძოლვა(!) მოძღურისა და მოწაფის სჯულისათვის, რომლითა ჩვენ ყოველნი ქრისტიანნენნი დაგვარწმუნა და არ შეგვიშვა სჯასა შინა სამღვრთო განგებულებისასა და ყოველნი ეჭვნი მით მისთვის განაქარვა ჩვენგან. **ჩყმვ**-სა წელსა, აპრილის კ-სა დღეს. მონამან ღვთისამან ელისე გოგოლოვმან“ (99r).

11. „კითხვა-მიგება კანონებრივი წმიდისა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა, რომელი იყო ერთი ასერგასისათა წმიდათა კოსტანტინუპოლის შეკრებულთა მამათაგან. მისსა მიმართ კითხუა და ტიმოთეს მიერ მიგება. — კით. ა. უკეთუ კათაკმეველი ყრმაჲ ვითარ წლისა შვიდისა, რომელ არს კაცი სრული, დაემთხჳოს სადმე ჟამისწირვასა და უმეცრებით ეზიაროს, რა ჯერ-არს ყოფაჲ მისთჳს?...“ 132r—147r.

ანდერძები: 1. „აღვსწერე ჰსჯულის კანონი ესე მე, მდაბალმან, სრულიად კახეთის რეკტორმან, სიბრძნისმოყვარემან კეთილშობილმან ალექსიევმან ალექსის ძემან დავითმან თთუჵსა იულისსა 1, ქე~ს აქეთ 1810, ქკს **უჟ**ჵ (147r). 2. „მე, სრულიად კახეთის სამეფოს რეკტორმან და სიბრძნის მოყვარემან და მოძღვარმან ფილოსოფიისა და ღ~ისმეტყველებისამან, მაღალკეთილმან ალექსიევმან ალექსის ძემან დავითმან ესე ჰსჯულისკანონი იოანე მმარხველისა აღვსწერე თჳსსა დედანსა ზედა უმეტნაკლოთ, მაგრამ ჩვენს წ~ას მამას ევთიმე ქართველს, მთარგმნელს, ეს ჰსჯულის კანონი რომ ეთარგმნა ბერძნულიდამ, ამ სჯულის კანონის საძიებელი, რომელ არს ზანდუკი, დია ავად იყო და მე შევაწყე და დავშვერ, და მის ადგილს დაუწერე თავიცა და ფურცლის რიცხვიც. ვინც ეს ჩემი შრომა ნახოთ, შენდობა ჰყავთ ჩემ ცოდვილისათჳს, რათა ღმერთმან თქვენცა შეგინდვნეს შეცოდებანი თქვენნი. ვინც ამ ჩემის ნაშრომიდამ გარდასწეროს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩემი სახელი დააკლოს, იგიცა დაკლებულ იქმნების წიგნისა მისგან ცხოველთასა, და ვინც არ დააკლოს ჩემი სახელი, იგიცა ნუ დააკლდების შერთვად ბანაკსა ანგელოსთა ცათასა, თთვესა იუნისსა, რიცხვსა 27, წელსა 1810, ქ~კს ჩყჱ“ (147r).

12. „სჳნაქსარი ოთხშაბათისა განზოგებისასა. — ოთხშაბათსა განრღუჱულისა კჳრიაკისასა ვდღესასწაულობთ დღესასწაულსა ერგასისა განზოგებისასა...“ 148r—157r.

შედგენილობა: „სჳნაქსარი ზ კჳრიაკესა წმიდათა სამას ათრვამეტთა ღმერთშემოსილთა მამათა, რომელნიცა იყუნენ პირველსა კრებასა შინა ნიკიისასა. — ამასუჱ დღესა მეშჳდესა კჳირიაკესა შემდგომად პასექისა ვდღესასწაულობთ ნიკიასა შინა პირუჱლსა კრებასა...“ 150v—154r.

„სჳნაქსარი კჳრიაკესა ყოველთა წმიდათასა. ამასუჱ დღესა კჳრიაკესა შემდგომად ერგასისა ვდღესასწაულობთ...“ 154v—157v.

შენიშვნები: 1. კრებულში ორჯერაა შეტანილი სვინაქსარის ეს ტექსტი; მეორე სვინაქსარს აქვს შემდეგი ანდერძი: „ალექსანდრეს ლავრაში **ჩყიგ**, 1813 წელსა, აპრილის 20, კ დღესა თარგმნილი რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა ყოვლად სამღვდელოჲსა არხიერის დოსითეოსის მიერ ფიცხელაურისა, აზნაურის ქსნის ხევლის არჯევანიძის ძის მიერ, ხოლო გარდაწერილ იქმნა პირმშოჲსაგან ჴელისა მიერ მისისა თხზულისა პეტრე ყარიბის მიერ, სანკტპეტერბურღს **ჩყიდ** წელსა, ივლისსს **ივ** დღესა“ (166r).

2. სვინაქსარის მეორე ტექსტი (158r—166r) გადაწერილია სხვა ხელით, სხვა ფორმატის ქაღალდზე.

13. „გიხაროდენი ყოვლად დიდებულისა და პატივოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა. — ზესთამბრძოლისა ჩუჱნისა და მოღუაწისა უძლეველისა ჯუარისა შენისა მიერ ქრისტე ღმერთო...“ 169r—174v.

წყდება: „იზ. რომელმან გჳშევ ღმერთი ჴორცითა, დამბადებელი ყოველთა, სძალო წმიდაო, ევედრე მას, რათა მოსცეს...“.

შენიშვნა: ეს ტექსტი დაწერილია XVIII საუკუნეში, ჩაწერილია ოქროვარაყიან ჩარჩოში.

(1481) **3725**

კრებული. XIX

112 ფ.; 19×11,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს. პირველი ნახევარი]; დაუწერელია: 25v, 43r—44v, 57v, 58v, 59r—60v, 85r, 94v, 96r—98v, 100v, 102v—104v, 105v, 106r, 107v, 108v, 110v, 111v, 112r; ალ. ცაგარლის კატალოგით № 104.

[მასალა რუსულ-ქართული ლექსიკონისათვის].—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Хлебосольный приятель მეპურმარილე.
Калмыцкая овчина კალმუხის ტყავი...“ 2r — 23v, 24v — 25r, 26v—46v, 47v—48r, 51r—55v, 61r—84v.

შენიშვნები: 1. სალექსიკონო მასალები ამოკრებილია ვეფხისტყაოსნიდან, რიტორიკიდან, ლოღიკიდან, წყობილსიტყვაობიდან, სასულიერო რეგლამენტიდან და სხვ. ნაწარმოებებიდან.

2. ხელის მიხედვით ეს კრებული ნიკო ჩუბინაშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

2. ამონაწერები და მოკლე შინაარსი ტ. გაბაშვილის „მიმოსლვისა“.—

„აღწერა ქიონის ქალაქისა ტაძრისა წ˜ისა ვიკტორისა დღესა ტაძრად მიყუანებისასა...“ 47rv, 48v—50v.

შენიშვნა: ამონაწერები მისდევს გამოცემას (იხ. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, 1956, გვ. 12—14).

3. საბუთების დასაწყისები, რომლებშიაც მოხსენებულია ერეკლე მეფის ტიტულები 23v, 24r, 26r.

შენიშვნები: 1. აქვე ამოწერილია ერეკლე მეფის, დარეჯან დედოფლის, გიორგი, იულონ ვახტანგ, ლეონ, ალექსანდრე და დავით ბატონიშვილების ბეჭდების ლეგენდები.

2. 24r-ზე მიწერილია მდივანბეგ იესე ბარათაშვილის ბეჭდების ლეგენდების განხილვა.—„ჟამი ესეცა წარვალს—უთანხმობა. მსაჯულმან სწორი ესე ჰყო—თანხმობა. შეისწავე: იესე მსაჯულს ორი ბეჭედი ჰქონდა, თჳთოზედ იყო დაწერილი ლექსები, რომელშიაც იმისი სახელი ზმად გამოდიოდა. უთანხმობისთჳს დასვემდა პირველს, და თანხმობისთვის მეორეს. ყოველს განაჩენზედ, როგორც განსჯიდა, სამართლიანად იყო, თუ უსამართლოდ“ (24r).

4. „ანდერძი დავით აღმაშენებელისა, მეფის პანკრატოანისა, რომელი წარმოუთხრა ჟამსა მიცვალებისა თჳსისასა მოძღუარსა თჳსსა არსენის და პირითა მისითა ყოველთა სამღუდელოთა და დიდებულთა თჳსთა. — გიბრძანებსთ და მოგახსენებთ მეფე-მეფეთა დავით...“ 56r—57r.

შენიშვნები: 1. ტექსტი მისდევს გამოცემას (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 51—52 გვ.).

2. ანდერძი კრებულში შეტანილია სხვა ხელით.

5. „იამბიკო ესე თქმული რუსთაველისა მიერ, რომელი ზედა წარწერილ არს ხატსა ხახულისა ღ˜ისმშობელისასა. —

ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო,
თბედ საიდუმლოდ ზენაჲსა განგებით...“ 57r.

შენიშვნა: ტექსტი კრებულში შეტანილია სხვა ხელით.

6. „თამარ მეფისაგან იამბიკო ხახულის ღი˜სმშობლის ხატისა.—

ცასა ცათასა დამწყები ღ˜თ მთავრობა...“ 58r.

შენიშვნა: იამბიკო დაწერილია ცალკე ფურცელზე სხვა ხელით და ჩაღებულია კრებულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ვახტანგ VI-ის სამართლის 163 და 199 მუხლის რუსული თარგმანი. 72v და 73v—76r.

8. თურქულ-ქართული ლექსიკონი (ჩართულია უღვლილებანი).
„1—ბირ,
2—იქი
3—უჩ...“ 85v—94r.

შენიშვნა: ეს გვერდები ხელნაწერში ჩაკერებულია უკუღმა.

9. ბერძნული ანბანი და მინაწერი. 95r—96r.

10. გერმანულ-რუსული ლექსიკონი (რიცხვებისა). 99r—100r.

11. სპარსული ანბანის სახელები ქართული ტრანსკრიპციით დაწერილი, სპარსული წერის ნიმუშები და გრამატიკა. 101r—111r.

მინაწერები: 1. „Наказ Комиссии о сочинении проэкта Новаго уложения ст. 158“ (1v).
2. ლათინური მინაწერი (1v).
3. „Благочестивейшия сомодержавнейшия Великия Государины Императрицы Экатерины Вторых учреждения для управления Губерний Всероссийской Империи“ (1v).
4. „Краткая“ ... Лат. языка начертанная Георгом Густавом Филлеборпом-Моск. 1803“ (1v). მინაწერი მოთავსებულია აგრეთვე 1r.

(1482) **3726**

კრებული. XIX

357 ფ.; 23×18; ქაღალდი სხვადასხვა ფერის; მუყაოს ყდა, მოვარდნილი, მხედრული და რუსული ტექსტები; [XIX ს.]; დაუწერელია: 1v, 14v, 15v, 27v, 30r—33v, 53v, 57rv, 108v, 141rv, 149rv, 150rv, 157v—158v, 161v, 214v, 289r—290v, 296v—298v, 301v, 304r—306v, 310r,—311v, 356r—357v; ალ. ცაგარლის კატალოგით № 105.

1. „При отсутствии Его Сиятельства, Почтеннейшее Собрание!— При сем всерадостнейшем не только для отечества нашего, но и для всех ...“ 2r—3r.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს 1804. VI. 10 ანჩისხატის ეკლესიაში ერთერთი მოწაფის მიერ მიმართულ სიტყვას პავლე დიმიტრის ძე ციციანოვისადმი მტერზე გამარჯვების გამო.

2. ამავე ხასიათისაა მომდევნო სიტყვები, მიმართული პავლე ციციანოვისადმი სხვადასხვა შემთხვევების გამო (იხ. 3r—4v, 5v, 6v, 7r—11v, 12r—13r).

2. „Ваше Сиятельство.-Естьли-бы люди всегда безпрестанным пользоволись благополучием жизни...“ 4v—5v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს ს. გულიაევის მისასალმებელ სიტყვას, წარმოთქმულს ლაშქრობიდან გამარჯვებული თავადის დაბრუნებასთან დაკავშირებით. 2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „С. Гуляев, говорено по приезде из походу покойнаго".

3. „Сиятельнейший, Князь, Милостивый Государь!—С нетерпеливостию ожидали мы дня сего..." 6 rv.

шенიშვნები: 1. ამ სიტყვის წარმომთქმელი სავარაუდოა ტექსტის ბოლოს მიწერილი „Пав[ел] Мальц[ов]" იყოს. 2. ტექსტი წარმოადგენს მოწაფის მისასალმებელ სიტყვას თავადისადმი მიმართულს.

4. [სიტყვა პავლე ციციშვილისადმი]. „უბრწყინვალესო თავადო, მოწყალეო ხელმწიფევ! ვინაჲთგან შემოსლჳთა ნათლისათა უჩინო იქმნების ბნელი..." 11v—12r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრისტომატია, ნაწ. I, 1863, გვ. 44—45).

5. „უბრწყინვალესო თავადო, უმოწყალესო ხელმწიფევ! გამოუთქმელი სიხარული, აღმავსებელი გულთა ჩუენთა ფრიადითა ნუგეშინისცემითა უკმოქცევასა ზე თქვენის ბრწყინვალებისასა, არს ღმრთისა მიერი ჩუენდა მიმართ მოწყალება..." 13r—14r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქრისტომატია... I, გვ. 45 — 47).

6. „უბრწყინვალესო თავადო, მოწყალეო ხელმწიფევ! უძრურთა(!) გრძნობათა ჩემთა არა ძალ-უძსთ გამოთქმად იმა სიხარულისა, რომელსაცა აგრძნობენ თანმემამულენი (!) ჩემნი მოქცევასა ზე თქვენსა მამულადვე..." 14r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქრისტომატია... I, 43—44 გვ.).

7. „Prologus.—
Solum tum florent Musarum sacre Palestre..." 15r.

8. „[სიტყვა] თქმული ვარლაამისა ოკდომბერს 29 საკათალიკოსოსა საყდარსა ზედა აღსლუასა და ნიშნების მირთმევასა ანტონი, ირაკლი მეფის ძისასა.—უნეტარესო და უწმინდესო მეუფეო..." 16r—17r.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქრისტომატია... I, გვ. 41 — 43).

9. „ირაკლის მიმართ მეფისა სრულიად საქართველოჲსა დღესა უფლისა ჩუენისა იესოს შობისასა წელსა 1794.—ვიიძულები მცირედ რაჲმე სიტყუად წინაშე უმაღლესობისა თქვენისა..." 17r—18r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ღ. ჩუბინაშვილი, ქრისტომატია... I, 43—44 გვ.).

10. [სოლომონ ლიონიძე], „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ღირსისა.—დღეს ქვეყანა ალსრული გულისწყრომისა ტახტსა ზედა...“ 18r—21v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ღ. ჩუბინაშვილი, ქრისტომატია..., I, გვ. 47—52 და ნ. კანდელაკის გამოცემა — ს. ლიონიძე „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“, 1957 წ.

11. „ყოვლად უგანათლებულესსა, უდიდებულესსა და უთჳთმპყრობელესსა დიდსა იმპერატორსა პავლე პეტროვიჩსა, მპყრობელსა სრულიად როსიისასა და სხვათა და სხ. და სხ. — ყოვლად უმოწყალესსა ხელმწიფესა, საუკუნემან ამან სახსოვრად საგლოველმან სიტყჳერთ ბუნებათა...“ 21v—22r.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „უდიდებულესობისა თქვენისა უმოწყალესის ხელმწიფისა, უმდაბლესად მეფე ამისი და ამისი“.
2. ტექსტი წარმოადგენს იმპერატორთან მისაწერი წერილის ნიმუშს.

12. „საღმრთოჲსა მცნებისა არა დამმარხველობამან და მორჩილებისა წინააღმდგომმან ურჩებამან წინაპარისა მამისა ჩვენისა ადამისამან...“ 22r—23v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს სამძიმრის წერილის ნიმუშს.

13. „ყოვლად უსაღმრთოესნო წმიდანო მამანო და სულიერნო ღირსნო ძმანო, საღმრთოჲსა სიბრძნისაგან წინათვე ცნობილნო,...“ 23v—24v.

14. „სახე უსჯულოსა მის სასჯულოსა წინააღმდეგ ქრისტესსა, რომელიცა ჰყვეს იერუსალიმს შინა მთავართა ურიათათა...“ 24v—25r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ამონაწერებს ნიკოდიმოსის აპოკრიფული სახარებიდან.

15. „პირი წიგნისა, წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმპერატორისა მიმართ პუბლიო ლენტულო მთავრისაგან ურიასტანისა იესო ქრისტესთჳს. წიგნი ესე დაიმარხვის რომს, მონასტერსა შინა უფალთა კესარიონელთასა, და ლათინურის ენისაგან გამოთარგმანებულ არს.—სათნო ყოფად ჰოი კეისარო, ნატრისა შენისა მოგახსენებ...“ 25r—26r.

16. „ანდერძი წმიდისა მამისა გიორგი მთაწმინდელისა (გამოწერილი ხელნაწერის ხუცურის დავითნიდამ, რომლისაც ბოლოს დართული იყო ესე და რომელიც მოთხოვისა გამო ბიბლიის საზოგადოობისა შევსწირე მუნ 1822 წელსა და იქიდამ დაიბეჭდა მოსკოვს 1824 წელსა მხედრულად).—წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო და ძმანო...“ 26v—27r.

შენიშვნები: 1. ანდერძის ტექსტი გამოცემულია იხ. საქ. სახ. მუზ[…]ის აღწერილობა, H, IV, 1950, გვ. 150 — 151. 2. ეს ტექსტი გადმოწერილი უნდა იყოს ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ხელნაწერიდან G — 116.

17. „განშორებულ გონებისაგან ჩემისა, დალაცათუ გუამითა შორს ვარ, არამედ გონებითა და სულითა თქუენთანა ვარ...“

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს მეგობრისადმი გაგზავნილი წერილის ნიმუშს.

18. „სულსა ბოროტად ხელოვანსა არა შევიდეს სიბრძნე, „არცა დაემკჳდროს ხორცსა შინა თანამდებსა ცოდუათასა, რამეთუ სული წმიდა განსწავლისა განელტვის მზაკუარისასა. სიბრ. 14“.

„გარეშე გონიერებისა ცხოვრება არა არს კეთილად და სამართლად, რამეთუ სადაცა არა არს ესე, მუნ შვებით ცხოვრება არა არს. პლატ. ფილ“. 28r.

შენიშვნა: ტექსტები წარმოადგენს ამონაწერებს ს ო ლ ო მ ო ნ ი ს სიბრძნიდან და პ ლ ა ტ ო ნ ი ს ფილოსოფიიდან.

19. „მ ა დ ლ ო ბ ი ს წ ე რ ი ლ ი.—უბრწყინუალესო თავადო! დიდსა ნიჭსა ქუეშე შესრულმან...“ 28r—v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს მადლობის წერილის ნიმუშს.

20. „თ ა მ ა რ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულისა ღ˜ისმშობლის დროშა და მანიაკი მიართვა. ეს იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღსწერა.—

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,
ძე საუკუნოობს პირველ და კუალადი...“ 28v—29r.

21. „თქმული ეს ლექსი თ ა მ ა რ მეფეზედ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს, მეფის ძის ა ნ ტ ო ნ ი ს ა გ ა ნ დავითიან-ბაგრატოვანისა.—
ამისსა ბროლსა ნათელსა აყაყი შუა რეოდა,
ლალსა ნათალსა ნაწებსა ბაგე შვენებით რეოდა...“ 29r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. დ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი. ქრისტომატია, ნაწ. II, 1863, გვ. 73.

22. „გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა პ ი ლ ა ტ ე ს მიერ ჯუარცმისათჳს ქრისტესსა. — 1550 წლისა პატრიარხობასა ზე კოსტანტინოპოლეს შინა იერემიასსა შემოვიდა განჩინება...“ 29v.

წ ყ დ ე ბ ა: „...რომელსა ეწოდების ერისა მიერ ქრისტე ნაზარეველი და მშობელთაგან გალილეველი...“.

23. „ს ი ტ ყ უ ა შ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. — მოგუნი აღმობრწყინვებულისა ვარსკულავისა ხილვითა შიშით ზარტეხილნი...“ 34r—35v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. „მეფესა ღ̃თისმოყვარესა და ღ̃თისმსახურსა კოსტანტინეს უძლე-ველსა კჳრილე ეპისკოპოსი იერუსალიმელი გიკითხავ უფლისა მიერ გიხარო-დენ...“ 36r—37v.

25. „დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა, უფალსა საბაოთ, რომ-ლისა დიდებითა სავსე არიან ცანი და ქვეყანა...“ 38r—44r.

26. „ლექსი ატტიკელებრი.—ქ. ესე ასული აობათასა სქესი დასაბამსა დრკების...“ 44rv.

27. „დიდება მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა.—ახარებდით დღითი-დღე მაცხოვარებასა მისსა...“ 44v—52v.

28. [სომხურ-ქართული სალექსიკონო მასალა] 53r.

29. „განმარტება ქართულისა ქრონიკონისა, რომელიცა არის 532 წელიწადი.—ამისთვის პირველად უნდა ცოდნა, თუ რაჲ არს მზის მოქცევი და რაჲ არს მთოვარის მოქცევი...“ 54r—55v.

30. „კურთხევასა ზედა მეფისასა, მეფის არჩილისა და კათალიკოზისაგან განწესება დასხდომისათვის მღუდელთმთავართასა.—მოვიდეს კათალიკოზი ქართლისა და დასჯდეს მარჯვენით მეფისა ნატითა და ბალიშითა...“ 56r—v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ექ. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურო-ბანი და შენიშვნები, I, გვ. 78—85).

31. „შესავალი ღრამმატიკისა. § 1. — ღრამმატიკა არს ჰსწავლა მართლ-უბნობისა, წესიერ წერისა, კითხჳსა და გულისჴმის ყოფისა მათისა...“ 58r—107r.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „Сия грузински граматика принадлежит Алексеев“.

2. გრამატიკის ეს ტექსტი მისდევს ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციის № 273 ხელნაწერს.

32. „დასაბამობითნი საფუძველნი მცნობელობითისა ფისიკისანი, ქმნილება უფლისა ბრისსონისა, პარიჟულისა სწავლათა აკადემიის წევ-რისა, ფიზიკისა და ბუნებითისა ისტორიისა მოძღურისა ყრმათა ფრანციის კო-როლისათა, საკოროლოსა პროფესორისა მცნობელობითისა ფისიკისა საკორო-ლოს ნავარრის კოლლეღიასა შინა და საკოროლოს ცენზორისა, თარგმნილი არს პეტრეს მიერ სტრახოვისა, მეექუსის კლასის მცნობელობითისა ფისი-კისა პროფესორისა და ორთავე ღიმნაზიათა უნივერსიტეტსა თანა ინ-სპექტორისა, სახმარებელად მოსწავლეთა საიმპერატოროსა მოსკოვის უნივერსიტეტსა შინა. ტომი პირველი“ 108r—109v.

შენიშვნა: დაცულია მხოლოდ ზემო მოტანილი თავფურცელი და მთარგმნე-ლის წინასიტყვაობა.

33. [მასალა რუსულ-ქართული ლექსიკონისათვის]. — „Слушатель—მომსმენელი.

Отношение—განსაზღვრება…“ 110r—157r.

34. „Краткое начертание Российской грамматики § 1.—Грамматика учит правильному употреблению языка...“ 162r—213r.

შენიშვნა: გრამატიკის ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა (159rv) და ტექსტის თავების საძიებელი (160r—161r). სავარაუდოა, ნ. ჩუბინაშვილის შედგენილი იყოს ეს გრამატიკა.

35. „Краткое начертание Риторики § 1. Риторика есть наука писать и говорить обильно, красно и порядочно…“ 220r—303v.

შენიშვნა: წინ უძღვის: ა. „Прибавление к учению о периодах...“ ბ. „Предворительное понятие о Риторике...“ (215r—219v).

36. „Философия практическая. § 1.—Философия практическая или моральная есть часть философии в общем смысле принимаемой...“ 312r—355v.

შენიშვნები: 1. წინ უძღვის „Предварительное понятие о Философии практической...“ (307r—309v).

2. კრებული სასკოლო დანიშნულებისა უნდა იყოს. ამას მოწმობს თავფურცლის წარწერა: „Занятия школьника“.

(1483) **3727**

კრებული. XVII—XIX

218 გვ.; 28,5×19,2; ქაღალდი (თეთრი ფერისა 1—64, 97—218 გვ.; მოლურჯო ფერისა 65—96 გვ.); ნაკლული; მუყაოს ყდა; მხედრული; XVII ს. (65—96 გვ.); XVIII ს. (1—64 გვ.); 1808 წ. (65—96 გვ.); გადამწერი (65—96 გვ.): დიაკონი ლუკა გამყრელიძე (96 გვ.) აქვს ჭვირნიშანი; ალ. ცაგარლის კატალოგით № 106.

1. [საკითხავი ადამ და ევაჲსი სამოთხით გამოსლვისაჲ], „...თა შენთა გევედრები, თქვენ, ყოველთა დაბადებულთა ცისა და ქვეყანისათა, ევედრებოდეთ ჩემთჳს უფალსა ყოველთასა...“ 1—5 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ამა წიგნსა ეწოდების ბერძნულად აპუკორიოფაჲ, რომელ არს სამოძღურროთა კითხუაჲ და არა ყოვლისა ერისა საანჯმნო ყოფაჲ, უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა ჰსჯულისკანონი“.

2. ტექსტი გამოცემულია (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 11 — 13).

2. „თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ეფრემისი, თარგმანება დაბადებისათჳს ცისა და ქვეყანისა და ადამისთჳს, ვითარ მიცვალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთს, და ცვალება ნათესავთა, ვითარ ვპოეთ ნათესავობა ქრისტესი ჴორცთა, ვითარცა წერილ არს სახარე-

ზისა ლუკას თავსა, ადამისითგან ყოველთა მამისა, ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღ~თისა ჩვენისაი პირველად, ხოლო ესე თარგმნა წმიდამან მამამან ჩვენმან ეფრემ, და შობა მამათ-მთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე მაცხოვრისა ღ~თისა.—იყო დღესა პირველსა, რომელ არს თავი ყოველთა დღეთა კვირიაკე, რა ჟამს დაბადა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა...“ 5—64 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1906, 786—845 გვ.).

3. „სიბრძნისაგან' ფილოსოფოსთასაჲ. — არა არს სიგრძე ჟამთა ყოველთა მასწავლელ სიბრძნისა, არამედ ბუნება და ზომით მიღებაჲ საზრდელისა...“ 64 გვ.

წყდება: „...უცნაურთა სათნოებათა ბრწყინვალებაჲ, ვითა მზე გამობრწყინ[დება]...“.

შენიშვნა: აქ ამ ტექსტის მეტად პატარა ფრაგმენტია დაცული. ტექსტი გამოცემულია. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ტ. რ. რუხაძე, „სწავლანი ფილოსოფოსთანი“, ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948, 289—315 გვ.

4. [სიტყვის-გება ბერისა ეფთვიმე გრძელისა სოს-თენის მიმართ სომეხთა მოძღვრისა.—ჟამთა უკვე ღვთის მსახურისა მეფისა ბაგრატისათა იქმნა უკვე კრება კ~დ ღრტილას, არა ვიდრემე სამღუდელოდ, არამედ უფროსღა სამხედრო. იყო ვინმე] „მონაზონი, ნათესავით სომეხი, მოძულვარი სჯულისა მათისა, სახელით სოსთენა...“ 65—86 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 615 — 621).

5. „სოლომონისა კითხვა-მიგება. — მიბრძანე, ჵი მეფეო, ღმერთმან რომელსა დღესა შექმნა ცაჲ და ქვეყანა? ჰრქუა სოლომონ: ცაჲ და ქვეყანა დღესა კვირიაკესა შექმნა...“ 81 გვ.

6. „უწყება პეტროზის მკაწრველისათვის და ალოჯობისათვის(!) და მისისა მარხვისათვის.—იყო პატრიარხი კაცი წმიდა და უბიწო და მართალი, და მორწმუნე იყუნეს სიტყვათა მისთა ყოველთა...“ 81—86 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 629 — 631).

7. „უწყება სუბალიძისა სუბსარქისისათვის. — მათვე ჟამთა შინა კაცი ვინმე იყო ნაგნამირევი და სახელი მისი სუბალის ძე სარგის...“ 86—91 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემულია (იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882 წ., გვ. 631 — 633).

2. ამ ორი უკანასკნელი თხზულების შესახებ იხ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I^3, 1953, გვ. 463.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. „თარგმანება სომეხთათვის წვალებათათვის და თუ რომლითა პირითა შეიჩვენებიან სომეხნი. — ა. შემდგომად ვითა უხრწნელ არ მგონე თბელნი შეიჩვენებიან...“ 91—96 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. საბინინი... გვ. 633 — 635).

9. „ეპიფანე კვიპრიელისა თქმული თუალთა. ეპიფანე ეპისკოპოსი კოსტანტია ქალაქისა, რომელ არს დედაქალაქთა კვიპროს ჭალაკისა, რომელ თქვა ათორმეტ მათ თუალთათვის. — უფალსა ჩემსა პატიოსანსა ძმასა და საქმისა თანაზიარსა თევდორეს, კეთილად მსახურსა ეპისკოპოსსა, ეპისკოპოსი უფლისა მიერ გიკითხავ...“ 97—218 გვ.

შენიშვნები: 1. ეს ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს XVII—XVIII ს.

2. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი.

ანდერძი: „აღიწერა და სრულ იქმნა წიგნი ესე მარგარიტი, რომელი აღმაწერინა დიდებულისა თავადისა აბაშიძის ასულმან, მეფის სძალმან ანნასტასიამ, რომლისა ხსენება იყავნ უფლისა მიერ კურთხეულ და დიდებულ აწ და მიუკუნითი უკუნისამდე, ამინ. აღმწერელი მე მონა მისი, ყოვლად ულირსი დიაკონი გამყრელიძე ლუკა შემიწყალე, ღმერთო; განსრულდა ივნისის **ე**, ქორონიკონს **ჩყჱ**“ (96 გვ.).

მინაწერები: 1. „წელსა **ჩყიდ** განვათავე მარტის **ე**[· · ·· ·]ვის ასულმა ანნამ“ (96 გვ.).

2. „ეს წიგნი იმერეფის (!) მესის(!) დავითის სძლის...“ (91 გვ.).

(1484) **3728**

კრებული. 1815—1820

172 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; ავტოგრაფი დ. ბატონიშვილისა (79r—100v) და იოანე ბატონიშვილისა (136r—157v); [1815—1820 წ. წ.]; ჭვირნიშანი 1815, 1816 წლებისა. დაუწერელია: 188v, 159rv, 169v—172v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 107.

1. [დავით ბაგრატიონი, შემოკლებული ფისიკა]. „ფისიკისათჳს. § 1.— ფისიკა არს ხელოვნება, გინა ჰსწავლა, რომელიცა გვიჩვენებს თვისებათა ნივთთასა და განგვიცხადებს მიზეზთა ფისიკებრთა ვანცხადებათასა...“ 1r—100v.

წყდება: „...და უკეთუ აღურევ ამას შინა ალკალსა, კვალად გარდაიქმნების გვარჯილად“...

შენიშვნები: 1. ტექსტის 79r—100v დაწერილია დ. ბატონიშვილის მიერ.

2. ტექსტი გამოცემულია (შდრ. ვ. პარკაძე, დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“, 1954 წ.) 3. გამოცემაში შეტანილია 1 — 97 პარაგრაფები. არ არის შესული ბოლო ორი პარაგრაფი: „§ 98 არჯასპის ზეთისათვის“ და „§ 99 თეზაფისათვის“. გამომცემელს ეს პარაგრაფები არ მიაჩნია ფისიკის დარგში შესატან საკითხებად (იხ. დასახ. გამოცემის წინასიტყვაობა). 3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. I, გვ. 619—623).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. [კარაბადინი] „ძაღლის ბრაზისა. — თუ ძაღლი გაბრაზნიანდეს, მოიტანე მისხალ-ნახევარი თრიაქ-მარუხი(!) და მისხალ-ნახევარი შპანცკის მუხი(!), დანაყე და აურიე ერთმანერთში...“ 101r—112v.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს ამონაწერებს სხვადასხვა კარაბადინებიდან.

2. ტექსტში ნახმარია რუსული სიტყვები და წინადადებები 3. კარაბადინი შეიცავს: ა. „სახელები ათორმეტთა მამადმთავართა, რომელნი მომასწავებელ არიან ზემოთქმულთა ქუათა პატიოსანთა და რჩეულთა“, „ნიშანი წელიწდის ცნობისა, თუშთა და დღეთა და ჟამთა“, „კარი და ნიშანი, რომელ კაცსა ასოები ემღერდეს“, ადამიანთა ცხოვრების პერიოდებად დაყოფა და მათი დახასიათება— „ღმერთმან წელიწადი ამად დაუდვა, რომე კაცთა სიყრმე და სიბერე გაუჩენია...“, „ფერთათჳს, თუ რომელნი რომელთა ხასიათითათჳს ეყვიან“ და რეცეპტები: .სანდალოზების გაკეთებისა და სხვათა.

3. [ცხენის კარაბადინი]. — „№ 1. აწ თუ გინდოდეს სიკეთე და სიავე შეიტყო ცხენისა: მაღალი და შეკრული, და ქუწვითი ლაში ზევითისაგან მოგძე, ცხვირის ნაპობი ფართო და თავი არც გძელი და არც მოკლე...“ 113r—117v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. „ეს კარაბადინი ერთის აქიმის ნათქუამი არის. ცხენისა კარგისა და ავის შეტყობა და ფერადის ავადმყოფის წამლობა. და ეს კარაბადინი არაბულად ნათქუამი არის. ალექსანდრე ჰელმწიფისათჳს სპარსულად გადმოსწერეს, რომე ვისაც უნდოდეს, ამ კარაბადინით ცხენის ამბავს შეიტყობდენ. და ეს ოცდაათი კარი არის“ (113r). ბ. „ზანდუკი.— № 1. ცხენების ქება. № 2. ღამით რომ ავათ ხედავდეს...“ (113r). 2. ტექსტი შეიცავს 30 თავს. აკლია № 28 თავი.

4. [საარტილერიო წიგნი].—„გოგირდი თუ კარგი და ყვითელი და წმინდა არის, რომ შუა გასტეხო, ებწინვება და კარგი იქნება, და თუ მოჭირვებული ლურჯი არის, რომ გასტეხო კარგად არ ებწყინვება...“ 118r—131v.

შენიშვნები: 1. შრომა თარგმნილია ალექსანდრე არჩილის ძის მიერ (შდრ. H : 1069; H : 2165). 2. ამ ხელნაწერში დაცულია საარტილერიო წიგნის ფრაგმენტები (შდრ. H : 2165 გვ. 1r—12r; 20r—21r; 28r—31v). 3. ტექსტს ერთვის: ა. თოფის წამლის რეცეფტები (132r—134v); ბ. თოფის წამლის რეცეპტებში ნახმარი ნივთიერებათა პირობითი ნიშნების სია (134rv); გ. „უბედურნი დღენი“ (კვიმატი დღეების ნუსხა) (133 v); დ. ვერცხლის წყლის, ფერადი ლითონების დამზადებისა და სარკის გასაწმენდი წამლის რეცეპტები (135rv); (რეცეპტების ტექსტის ნაწილი ნაწერია რუსულად, ნაწილი რუსულია და ნაწერია ქართული ტრანსკრიპციით). ე. „ქორს თუ აქშენდეს, ვარდის კაჭაჭი დაალბე...“ (135 r). ეს ერთი წამალი ამოღებული უნდა იყოს ფრინველთა კარაბადინიდან.

5. [ზოოლოგია]. „ტილის განმაქარვებელი გველი. — ერთი გვარი გველი არის ინდოეთსა და ამერიკასა შინა, რომელიცა არს გუწლისა ოდენი და თვით არის თეთრი და სხუადასხუა ხალებით დაწინწკლული...“ 136r—157v.

წყდება: „...იტყვიან მონადირენი: უკეთუ კუროდლის ნალოკის ადგილსა ეცეს თოფისგან განრტყოცილი ტყვია, ვერამან უკვეთდეს ადგილსა მას, რომელ გამოცდილებით უხილავთ, კუროდლისათჳს ეკრათ თოფი, მომკუდარიყოს და არსად ჰქონდეს გავარდნილი ტყვია იგი. აგრეთვე კბილ[ი]...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწერია იოანე ბატონიშვილის მიერ;

2. შრომა სხვა ენიდან უფრო გადმოკეთებულია, ვიდრე ნათარგმნი. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა შესწავლაზე.

3. 158r არის ფრაგმენტი, გ. მთაწმიდლის თხზულებიდან „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“. ტექსტი მოგვყავს მთლიანად. „[...მ]ეფისა თჳთმპყრ[ობელისა...] ულისა და ძე კოსტანტინე [...] მელიცა გამეფდა საბერძნეთსა ზედა [...] თგან სოფლისა ბერძულითა აღრიცხჳთა 6458. ჟამთა ამათ შინა იყო ვინმე საქართველოსა შინა ადგილით ტაოჲთ თავადი და წარჩინებულთა მთავართა შორის დავით მეფისა კურაპალატისათა, სახელით იოანე, მხნე, ახოვანი და განთქმული წყობათა შინა. მაღალი და შუჱნიერი სიკეთითა და აგებულებითა გვამისათა, რომელიცა სიყრმითგან თჳსით განსწავლულ იყო თავისუფლისა ჭელოვნებითა და ვონიერ-გონებითა და გულისხმისყოფითა მეცნიერ ენასა ელლინთასა და სხვათაცა ენათა ზედმიწევნილებით სწავლულ და აღსავსე სიბრძნითა და შიშითა ღჳთისათა და ყოვლითავე კეთილითა საქმითა...“. (შდრ. „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, 1946, გვ. 15).

6. „ჩოლოყაშვილების როშაქიანთ წილობისა სამამულო წერილების პირები, გარდმოწერილი ნანდვილებისაგან უმეტნაკლებოდ წელსა 1828, იანვრის 30...“.

შენიშვნა: სულ 40 საბუთია:

1. [1744—1760 წ. წ.]. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ მეფის მიერ ქიაურთ მოურავ ომან ჩოლაყასშვილისათვის (160r).

2. 1713. II. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ პატა ჩოლაყაძე — როშაქისშვილისათვის (160v).

3. [1724 წ.]. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული კონსტანტინე მეფის მიერ ზურაბ ჩოლაყასშვილისათვის (161r).

4. [1703—1724 წწ.]. ბრძანება მეფე იმამყულიხანისა სასამართლოსადმი ზურაბ ჩოლაყაშვილსა და ასლანს შორის ყმაზე დავის გარდაწყვეტის შესახებ (161rv).

5. [1744—1760 წწ.]. ბრძანება თეიმურაზ მეფისა გიო ტუსისშვილისადმი, მის მიერ პაატა როშაქისშვილისათვის ნაწყალობევი ყმების ჩაბარების შესახებ (161v).

6. [1744—1760 წ. წ.]. ბრძანება თეიმურაზ მეფისა იასე ეშიკაღასბაშისადმი მის მიერ როშაქიშვილებისათვის წყალობად მიცემული ყმების ჩაბარების შესახებ (161v).

7. [1744—1760 წწ.]. ბრძანება თეიმურაზ მეფისა ეშიკაღასბაშებისადმი მის მიერ ზურაბ როშაქისშვილისათვის წყალობად მიცემული ყმების ჩაბარების შესახებ (161v).

8. [1744—1760 წ. წ.]. ბრძანება თეიმურაზ მეფისა ზაალ ეშიკაღასბაშისადმი მის მიერ ზურაბ როშაქისშვილისათვის წყალობად მოცემული ყმების ჩაბარების შესახებ (161v—162r).

9. 1741. VII.27. ვენახის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზის მიერ უზბაშ ზალ როშაქისშვილისათვის (162r).

10. 1650 წ. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ ქიაურთ მოურავ შანშე ჩოლაყაშვილისათვის (162rv).

11. 1642. IV. 13. ყმის წყალობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ მეფის მიერ შანშე ჩოლაყაშვილისათვის (162v—163v).

12. [XVII]. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული რამანას მიერ ბატონ ანდერმანისათვის (163r).

13. 1686 წ. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული ყარაბაღის ბეგლარბეგის კახეთის ბატონის მიერ როშაქ ჩოლაყაშვილისათვის (163rv).

14. 1630 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ მეფის მიერ შანშე ჩოლაყაშვილისათვის (163v).

15. [XVII ს.]. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სამადავლესერ ანდერმან და როშაქ [ჩოლაყაშვილებისათვის] (164r).

16. [XVII ს.]. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გოგიჩასა და საბას მიერ ანდერმან და როშაქ [ჩოლაყაშვილებისათვის] (164r).

17. [1703—1722 წწ.]. ბრძანება მეფე იმამყულიხანისა ჭიაურთ მოურავ ქაიხოსროსადმი ჭიაურელთ აყრასა და კუჭატანში დასახლების შესახებ (164r).

18. 1779. VI. 6. ბრძანება ერეკლე მეფისა გარსევან ეშიკაღასბაშისადმი, თიანეთის მოურავ ქაიხოსრო ჩოლაყაშვილსა და კაკა მირიანაშვილს შორის მამულზე დავის გადაწყვეტილების აღსრულებაზე (164v).

19. 1781. IX. 6. არზა ჯადუგისშვილებისა ლუარსაბ ონანაშვილთან მიწაზე დავის გამო, ერეკლე მეფის ოქმით (164v—165r).

20. 1763. X. 30. პირობის წიგნი ერთგულად სამსახურის შესახებ, მიცემული ჯეირანა ციკინაშვილის მიერ მოურავ ქაიხოსროსათვის (165r).

21. [XVIII ს.]. ბრძანება [...] იასე მოურავიშვილისადმი სეფაშვილების ჭიაურთ მოურავის დამორჩილებისა და ერთგულად მსახურების შესახებ (165r).

22. 1785. II. 1. არზა თიანეთის მოურავ ქაიხოსროსი [ლუარსაბ] თარხანთან წისქვილის გამო დავაზე, ერეკლე მეფის ოქმით (165v).

23. 1780. IV. 12. სასამართლოს გადაწყვეტილება თიანეთის მოურავ ქაიხოსრო ჩოლაყაშვილისა და კაკა მირიანაშვილის შორის მამულზე დავისა (165v). (№ 24 საბუთი № 23-ის გამეორებაა).

25. [1785 წ. ახლო]. სასამართლო გამოძიება თიანეთის მოურავ ქაიხოსრო [ჩოლაყაშვილსა] და შილდაში მცხოვრებ ბარამ რუსიშვილს შორის მამულზე დავისა (166rv).

26. 1787. III. 21. შილდას მცხოვრებ პატარაშვილის მამულის მიჯნების გარჩევის წიგნი (166v—167v).

27. 1789. IV. 1. პირობის წიგნი წისქვილზე უდაობის შესახებ, მიცემული ლუარსაბ თარხნის მიერ თიანეთის მოურავ ქაიხოსრო ჩოლაყაშვილისათვის (167r).

28. 1775. IX. 22. მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ეფანე ბარამისშვილის მიერ თიანეთის მოურავ ქაიხოსრო [ჩოლოყაშვილისათვის] (167r).

29. [1703—1722 წ. წ.]. ბრძანება მეფე იმამყულიხანისა სულხან სახლთუხუცესსა პაპუა ჭავჭავაძესა და სხვა საკუჭატანო მიწაწყლის მიჯნების გამოყოფის შესახებ (167rv).

30. 1787. III. 22. ბრძანება ვახტანგ ბატონიშვილისა, პართენ მდივნისა და ქაიხოსრო ტუსისშვილისადმი ბარამ რუსისშვილის ნაქონი ვენახის თიანეთის მოურავ ქაიხოსრო ჩოლაყაშვილისთვის მიცემის შესახებ (167v).

31. [1703—17022 წ. წ.]. ბრძანება იმამყულიხანისა ზურაბ როშაქისშვილის ყმების აუყრელობის შესახებ (167v).

32. [XVII ს. II ნახ.]. მოკითხვისა და მამულის უკან დაბრუნების წერილი ერეკლე ბატონისშვილისა ჭიაურთ მოურავ ომან ჩოლაყაშვილთან (167v).

33. [1688—1703 წ. წ.]. საკომლოს წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე მეფის მიერ როშაქ [ჩოლაყაშვილისათვის] (167v).

34. 1796.IX.20. არზა დავით მდივანბეგისა კახოშვილთან ზვარზე დავის გამო, ერეკლე მეფის ოქმით (167v—168r).

35. 1772. III. 20. სასამართლო გადაწყვეტილება არაგვის მოურავ ქაიხოსროსა და კაკა მირიანაშვილს შორის მიწაზე დავისა (168r).

36. [XVIII ს.]. ყმების ჩუქების წიგნი, მოცემული მიმბაშ გიორგი ამილახვრიშვილის მიერ თავის და თინათინისათვის (168r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. [1722—1733 წ. წ.]. მიწერილობა კონსტანტინე მეფისა ზურაბ როშაქიშვილთან ხიზანი ყმისათვის შეღავათის მიცემის შესახებ (168v).

38. [XVIII ს.]. პირობის წიგნი ერთგულად სამსახურის შესახებ, მიცემული ხუცას მიერ გოშფარისათვის (168v).

39. [XVIII ს.]. გაყრის წიგნი (ნაკლული) (168v—169r).

40. [XVIII ს.]. ნუსხა ჭიაურთ მოურავ ზაალის მიერ შესყიდული მამულებისა (169r).

(1485) **3729**

კრებული. 1794—1820

159 ფ.; 39×24; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; ავტოგრაფი იოანე ბატონიშვილისა (127r); [1794—1820 წწ.]; დაუწერელია: 1rv, 72r—75v, 127v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 108.

1. „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გუარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან ძველად მეფეთაგანცა და უკანასკნელ მეფისა მიერ ირაკლი მეორისაგანცა, ვითარცა არს მოხსენებულ ტრაქტატსა შინა დადებულსა, ოდეს შეეკრა მის დიდებულებას იმპერატრიცა ეკატერინასა წელსა უო.—ქ. ქართლის ისტორია იპყრობს თჳს შორის ორსა უკუჱცვლილებასა...“ 2r—71v.

2. „სარჩევი საზოგადოს ისტორიისა.—ნაწილი პირველი. მუხლი პირველი...“ 76r.

შენიშვნა: საზოგადო ისტორიის ტექსტი კრებულში არ შესულა.

3. „ბაგრატიონთა შთამომავლობა. — სამცხე საათაბაგოს ცხოვრებასა შინა ესრეთ არს მოხსენებულ, რომელ დავით წინასწარმეტყუჱლმან ჰშუა სოლომონ...“ 76v—127r.

შენიშვნები: 1. თხზულება ეხება ბაგრატიონთა შთამომავლობას (წყაროთა დასახელებით) და თავადთა წარმომავლობას. მოკლედ აღწერილია, რომელი გვარი საიდადან მოდის, როდის მიიღო თავადობა და ვის მიერ.

2. ეს შრომა მოხსენებულია მ. ბროსეს არქივში დაცულ იოანეს თხზულებათა სიაში, სათაურით: „Книга о происхождении князей и дворян грузинских“. (ბროსეს არქივი დაცულია სსრ აკადემიის აზიის ხალხების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში 264 ნომრით).

4. „წელსა 1794 და 1799-ში, ქ. დროსა მეფისა ირაკლისასა და მეფისა გიორგისასა, ნებითა ამა ორთა მეფეთათა აღწერილი სოფლები შენი და უშენი, სოფლები ქართლისა და კახეთისა, რომელიც აღწერა მეფის ძემ იოანემან თვის-თვისის ხეობით, რომელნი სოფელნი მიეწერებიან თვითეულს ხეობას, არიან შემდგომნი ესე და რომელიც მიეწერება სამეფო, სათავადო, საზნაურო და საეკკლესიო. — ქ. ტფილისს რომელნიც მიეწერებიან სოფელნი აღმოსავლეთის მხარეს. ქ. ტფილისი თვით ქალაქი...“. 128r—159r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ხელნაწერი იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფებს წარ-მოადგენს სხვადასხვა დროს დაწერილი ერთნაირი ხასიათის მასალების კრე-ბულს. თარიღდება 1794—1820 წ. წ. (იხ. ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატი-ონის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959 წ., გვ. 232—233).

(1486) **3730**

სჯულის კანონი. XIX

124 ფ.; 20,5×13; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული, ადგილები ჩაწე-რილია ნუსხურით; სათაურები, აბზაცის დასაწყისი ასოები მთავრულად, სინგუ-რით, XIX ს.; ჭვირნიშანი 1825 წ.; ალ. ცაგარლის კატალოგით № 109.

[მცირე სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა], „...თა-ვი მეოთხე.— უკეთუ ცოდვათა ვინ უჯეროთა შთავრდუმილ იყოს და არა შეიწამოს და მღვდელობასა მოვიდეს და შემდგომად კურთხევისა აღიაროს ცოდვაჲ თჳსი, მღდელობისაგან განეყენენ...“ 1r—94v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ნუსხურით მიწერილია: „რომელნიცა ამას რჩუ-ლის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვასა მომიჴსენეთ გლახაკი ეფთჳმე ჵ, რომელ-მან ვთარგმნე ესე ბერძულისაგან ქართულად“.

2. „კანონი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანეს მიერ კოსტანტინეპოვლელ მთავარებისკოპოსისა, რო-მელსა მმარხველ ეწოდებოდა.—უწყებულ იყავნით, ვითარმედ ესე ნეტა-რი იოვანე მმარხველი უკუანაჲსკნელ იყო უფროჲს ყოველთა მათ, რომელთა რჩულის კანონისა წესნი აღწერეს...“ 95r—124v.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „რომელნიცა ამას რჩულის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვასა მომიხსენეთ გლახაკი ეფთჳმე ჵ, ეფთჳმე ჵ, რომელმან ვთარგმნე ესე ბერძ[უ]ლისაგან ქართულად“.

2. შრომა გამოქვეყნებულია. იხ. Н. А. Заозерский и А. С. Хаханов, Номоканон Иоанна Постника, Москва, 1902, გვ. 2—92.

3. ტექსტი გადაწერილია თეიმურაზ ბაგრატიონის ხელით.

(1487) **3731**

კრებული. 1809

202 ფ.; 21,5×16; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედ-რული; სათაურები ნუსხურათ, სინგურით; გადამწერი იესე (67r); 1809. IV. 3 (67r); დაუწერელია: 1r—4v, 67v—69v, 108v, 154v—157v, 192r—202v; ალ. ცა-გარლის კატალოგით, № 110.

1. [პროლოგ-სვინაქსარი]. „სეკდემბერისა დღეთა ათ-ოცობასა, ჰსთორმეტ ჰსთორმეტობს ჟამები დღე-ღამეთა.—1.ინდიკტიონსა დასაბამობს დღენდელი, ესე იგი არს აწსა თავად თჳსადსა...“ 7r—67r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: „წინასიტყვაობა წინამდებარისა ამის[illegible] ათორთ თჳსა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა ქმნილი ტრიფილეს მიერ დიაკონ-მონაზონისა. —

1. წინასიტყუასა ათ ორთთუჱთ წელიწადთასა
მქერდუჱლი მმკაცრი ვჰსტიხობ იამბიკოებრ...“ (5r—6r).

2. „პროლოგის“ პირველი ხუთი თვე (სექტემბერი—იანვარი) ეკუთვნის იოანე პეტრიწს; მომდევნო ოთხი თვე (თებერვალი—მაისი) არსენ ბულმაისისძეს. თებერვლის თვის დასაწყისში სათაურთან გადამწერის ხელით სინგურით მიწერილია: „ესე იამბიკონი ხუთთა თთუჱთა მეტნი არა იყუნეს ქართულსა ენასა ზედა. ესე ოთხთა თთუჱთანი არსენი ბულმაისისძის, საქართუჱლოს კათოლიკოზისა მიერ ითქუა ჩემითა შეხუჱწნითა (დიაღ ძუჱლის წიგნიდამ გარდმოვსწერე და ასე ეწერა, მეც ისე დავჰსწერე)“ (32r); შემდგომი სამი თვე: ივნისი, ივლისი, აგვისტო ანტონ კათალიკოზს ეკუთვნის. ივნისის თვის დასაწყისთან გადამწერის ხელით სინგურით მიწერილია: „ღმერთმან სასუფეველი დაუმკჳდროს ამ ცხრა თთჳს იამბიკოდ მთქმელსა და ვინც ეს ცხრა თთუჱ თორმეტად შეასრულოს, იმასაც შენდობა უბრძანეთ, დია კარგად ნათქვამი არის. ხოლო თთუჱნი ესე ცხრანი ათორმეტ რიცხუად შეასრულნა ანტონი საქართუჱლოს კათოლიკოსმან, დავითიან-ბაგრატიონმან, ძემან მეფისა იესესამან“ (51v).

3. „პროლოგის“ შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 269, 306, 354; ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960 წ., 158 გვ.

2. „იოანესგან სინელისა სამათნი გუარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი. ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მიწევნულ ხარ, ესენი თითო თავისაგან ათ მუხლად მე, იოანე, დავლექსენ პირისპირად. 1.—

გნებავს, გამოხუალ,
არსსა ვით ჰხედავ,
მარადის მხედი,
უწყით, მუნ აღუალს
საგზოდ ვინ აქა
თუ ოდესცა ამას ჰყოფ,
უმეცარი, არ მართალ,
საუკუნოსა მეტრფი,
სულთა მამისა მიმართ,
უფროს მოიგო ესე...“ 70r—
—150v.

შენიშვნა: კლემაქსი გალექსილია იოანე პეტრიწის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ. ტ. I, 1941, გვ. 263).

3. „შჳდთა ვნებათათჳს. —

შჳდთა ვნებათა,
უფროსლა დიდთა,
დაფარულადცა,
თუ არ განიფრთხობ,
აჰა, შთაჭრილ ხარ,
თჳთ აღმრიცხავი ჰპოებ
სულისა ამათ სენთა,
ვინა გონების მაბრმოთ,
ნებსით მასვე შენ მთხრობელსა,
ესე დიდი ვნება არს.

ამპარტავანო, რად ემჰსგავსე გულითა
ბნელსა ბელიარს მთავარასა მას ბოროტსა...“ 105v—107r.

შენიშვნები: 1. მკვლევარ ს. გორგაძეს ამ შრომის ავტორად იოანე სინელი მიაჩნია, ხოლო მის გამლექსავად იოანე პეტრიწი (იხ. ს. გორგაძის ნაშრომები, Q—788).

2. ტექსტში მოხსენებულია 7 ვნება: ამპარტავნობა, კერპთმსახურება, ნაყროვნება, სიძვა, სიძულვილი, მოწყინება და მწუხარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „პეტრე.—

აჰა, შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად
კიბე ხარისხთა ცად მყუანთა იოანნი...“ 107v.

5. „ი ე ზ ე კ ი ე ლ ი ს გ ა ნ უბადრუკისა.—
იძლუჱნ საცემნი ორფევის ქმათ დამჴსნელნი...“ 107v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1946, გვ. 379).

6. [ი ე ზ ე კ ი ე ლ ი].—
„ბუნებითთა მათ აღძრუათათ ესე აჰ წამებრ ღვაწლთა უფლისა ყ...“ 107v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ქრესტომათია, I, გვ. 380).

7. «ი ე ზ ე კ ი ე ლ ი».—
ნათელსა შორის ულამოსა ბრწყინავმან
დაუვალისა მზისა ელუარებითა...“ 108v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია (იხ. ქრესტომათია, I, გვ. 380).

8. «ი ო ა ნ ე ს ი ნ ე ლ ი, კლემაქსი».—
სხოლასტიკოსმან იოანე სინელმან
კიბე ცად მყუანი ჰქმნა სამ-ათ-ალსავალი,
ამათნი თავნი ათ სტიხთა შინა თითო
აკროსტიხორთ და, გარდა მესამის თავის,
ა ნ ტ ო ნ ი ვჰლექსენ უქმობის დასახსნელად.

თავი ა. —

ვარდი არ მჭნარი, ფიალი, ფიალი კეთილ სუნნელ,
ლიმენა შუჱბის ოქროთი, არ ხრწნადთ საკრები...“ 109r—151r.

შენიშვნა: „კლემაქსი“ გალექსილია იამბიკოდ ანტონ კათალიკოსის მიერ. აქ გალექსილია უკანასკნელი ნაწილიც „კლემაქსისა“, რომელსაც ეწოდება „მწყემსისა მიმართ“. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძვ. ქართული მწერლობის ისტ. ტ. I[3], 1951, 354 გვ.

9. [შ ვ ი დ თ ა ვ ნ ე ბ ა თ ა თ ვ ი ს].—

„შჳდად სარიცხუ ეშმაკთა ჩუჱნდად სავნებ
ვნებანი განსარყუნიადაგ საღთო მადლთა,
იგი ამათგნი ვრდომილთა ქუჱსკნელდ ზენათ
დგრომილ არსებხულისას, კუალად ჴორცთა
თანა ზედ ნართ ჳსებრ დანაკუჱთი ეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ნაყროვნებისა მგელი მძვნუარ მბძარუჱლი...“ 151v—154r.

შენიშვნა: ს. გორგაძეს ამ შრომის ავტორად ი. სინელი მიაჩნია, ხოლო გამლექსავად ანტონ კათალიკოსი. იხ. ს. გორგაძე, იოვანე სინელის „კლემაქსი“ ჩვენს მწერლობაში, 1916 წ. (Q 788).

10. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგორი ღუთისმეტყუეჱლისა, მუხლები-იამბიკო. სასწავლოსა წილ წარმართთასა, რომლისაგან განაშენნა ქრისტეანენი ივლიანე განდგომილმან. ზედწარწერილი თვთ მისივე: გრიგორის ვარ მე ტკივილთ-ნამუშაკევი, ოთხმუჴლედისა ჰინდურისა დამცუჱლ ვარ, მისაცემელად ცნობათა სულიერთა, ხოლო სიბრძნისა ყოვლად ჭეშმარიტისა მოსახსენებელ, ღირსებით მესწავლეთა.—

დასაბამისა კეთილისა უკეთეს
ექმნების კეთილ-ყოფა აღსასრულისა...“ 158r—169v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, გვ. 365 — 372).

11. „სხუანი ორმუჴლედნი იამბიკონი კეთილსიტყუანი, თქმულნი გრიგორი ღუთისმეტყუჱლისანი.—

საწყის კეთილის კეთილსაცა ბოლოსა
მართლად შეჰრაცხუჱნ ყოფად საქმეთ საზღუარნი...“ 169v—172v.

12. „წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა გრიგორი ღუთისმეტყუჱლისა საზღუარნი ზრქელკერძოობითნი იამბიკონი.—
ღმერთი არსება არს პირველი კეთილი,
სოფელი—შეკრუა ხილულთა გონიერთა...“ 172v—177v.

13. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „სწავლანი. —

მაგინებელ არს სიმაძღრე, ჵ, რჩეულო,
ხოლო მე მნებავს შენდა ქონება საქმედ...“ 178r—180v.

14. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ესენი ითქუნეს, რაჟამს უკანასკნელთა ჰფშვნვიდა.—

ანგელოს მნათნო, უწთომოს მომგრგუალების
სამ მნათ ღ~თაების ერთ ელვისა გარმდგომნო...“ 180 v.

15. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „სხუა. —
საქმე გაქუს, სულო, დიდი, უკეთუ გნებავს,
ჰსცან თავი თჳსი: ვინ ხარ და სადა მიხუალ...“ 181r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ბოროტისა მიმართ.—
მოხუჱდ, ბოროტო, არამედ დაეყენე.
კუამლად გიხილე და ვაგრძენ ცეცხლისაცა...“ 181r—182v.

17. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ლოცუა ცისკრისა.—
ლოცუათა მიგცემ ღმერთსა ჩემსა მარჯუჱთა,
არა რომელსა ბნელებრსა ქმნად და ქებად...“ 182v—183r.

18. „ესოდენ საკვრუჱლებანი ილია თეზბიტელისანი.—
ყორანთა მიერ პირველ გამოიზარდა
მეორედ ზარდი ქურივი სარეფთელი...“ 183r-v.

19. „იამბიკონი წმიდათა მოციქულთა აღსრულებისანი, თქმული იოაკიმ მონაზონისა.—
ჯუარს აცუამს პეტრეს თავდამოღმართ რომს ნერონ,
არ მკუდარი ცხოვლობს, მომკუდარი იოანე...“ 183v—184r.

20. „თარგმანება წმიდათა მოციქულთა სახელთა.—
პეტრე განმხსნელად ანუ მცნობელად, ანუ მსმენელად
ეწოდა პეტრეს ქრისტესაგან კეფა, რომელ არს კლდე...“ 184v.

21. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „მრავლის მეტყუჱლებისა და დუმილისათჳს.—
დუმილის მეყური მიეახლების ღმერთა
და თან მზრახუჱლი განათლდების მის მიერ...“ 185r.

22. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ტყუილისათჳს.—
არ უწყის ჩჩჳლმან ტყუილი, არცა სულმან,
სიბოროტისა სულთა მდევნელისამან...“ 185r.

23. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ყოვლად განთქმულისათჳს და დედოფლისა ბოროტისა მუხლისა.—
ნაყროვნება არს ნაოაგობათ შემოქმედ,
საზრდელ სიმაძღრე სიძჳსა დედა, ხოლო...“ 185r-v.

24. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „უხრწნელისათჳს განხრწნადთა შორის შრომათაგან და ოფლთა სიწმიდისათჳს და მრავალ ცნო-
ბობისა.—
ვიეთმე ჰნატრეს ბუნებით საჭურისთ,
ვითარ სხეულის მძლავრებისაგან ხსნილთა...“ 185v—186v.

25. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ცუდ დიდებობისათჳს.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ შეიწყნარებ მომაგონებელსა მას
წინამძღურობისა ეპისკოპოსობისა..." 186v—187r.

26. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ვნებათა წარმწყმედელთა მაღლისა მდაბალ-მზრახუჵლობისათჳს უხილავითა გრძნობითა.—
ღელე არს სული დამდაბლებული შორის
შრომისა მთათა და სათნოებისათა..." 187v—188r.

27. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „განსჯისათჳს გულისსიტყუათა და ვნებათა და სათნოებათასა.—

ზესთ სახიერი მეუფე და უფალი
რა ჟამს მრავალგზის ვიეთ უმცონარესთა..." 188v.

28. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ზესთმჩენობისათჳს.
უკეთუ სხჳსა ვნებისა რაჲსამე თჳნიერ
ამის ძლით, ხოლო მხოლოსა შთამოვარდ..." 189r-v.

29. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „სიმშჳდისათჳს და სიმარტივისა და უმანკოებისა და სიბოროტისა.—
ისწავეთ ჩემგან, იტყჳს, რამეთუ მშჳდ ვარ,
მდაბალი გულითა და ჰპოვოთ განსუჵნება..." 189v—190r.

30. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „ქვეყანის ზედაჲსათჳს, ცის ღ~თის მჰსგავსისა უვნებლობისა და სისრულისა და აღდგომისათჳს სულისა პირველ ზოგადისა აღდგომისა.—
არ შემტკიცდების დიადიმა სამეფო
ერთისა მიერ ქჳსა და არ იქმნების..." 190v—191r.

31. [გრიგოლ ღვთისმეტყველი], „თანშემკრუჵლისათჳს სათნოებიანისა სამობისა სათნოებათა შინა.—
მნებებელმან თქმად ღმრთის სიყუარულისთჳს
ღმრთისათჳს ჴელ-ჰყო თქმად, რამეთუ ღმრთისათჳს..." 191rv.

შენიშვნები: 1. კრებულში შესული გრიგოლ ღვთისმეტყველის იამბიკოები ნათარგმნია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები... V, გვ. 38—39). 2. კრებული აღწერილი აქვს ს. გორგაძეს (იხ. Q 788).

ანდერძი: „სრულ იქმნა წერით, განმართჳთ დედას ზედა აპრილს მესამეს ათას რუაას ცხრას წელსა. თუმცა საწუნ მყოფს უცებად მწერალს, გარნა გულსმოდგინებით ოდენ იძულებულსა, შენდობის პოვნად მიტევეთ მე. ი ე ს ე" (67r).

(1488) **3732**

ბარამ გერმანოზიშვილი, ბჭობა გონებისა. XIX

81 ფ.; 16,5×11; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; აბზაცის დასაწყისი ასოები მთავრულით; ავტოგრაფი (?) ბარამ გერმანოზიშვილისა (7r); ქუთაისი (7r); [XIX ს.]; დაუწერელია: 1r—4v, 59r—81v. ალ. ცაგარლის კატალოგით № 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წიგნაკი ესე არს ბ ჭ ო ბ ა გ ო ნ ე ბ ი ს ა, რომელსა შინა იპოების სწავლანი მრავალნი და ეწოდების წიგნაკსა ამას გ ო ნ ე ბ ა, ვინათგან სავონებო არს ესე თქმული გ ე რ მ ა ნ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ა რ ა მ ი ს მიერ ქ უ თ ა ი ს ქ ა ლ ა ქ ს ა შინა. ღ̃თისათვის ყოვლისა შემძლებელისა. ნაწილი პირველი ა. თავი პირველი ა.—მიხედე, ჰოი, დაბადებულო კაცო, განგებულებასა ღ̃თისასა და გონებისა თვალით განიხილე რაოდენნი ცხადნი სასწაულნი და უეჭონი სასწაულნი არიან ცათა შინა და ქვეყანასა ზედან და ყოველნივე თვის-თვისთა განწესებათა ზედან მოქმედებენ...“ 7r—58v.

შენიშვნები: 1. შრომის I ნაწილი შეიცავს შემდეგ თავებს: „ღთისათვის ყოვლისა შემძლებელისა“, „სიყვარულისათვის“, „მოწყალებათათვის“, „სიმშვიდისათვის“, „სიმდაბლისათვის“, „შეწყნარებისათვის“, „კეთილად მმართებელობისათვის“. მეორე ნაწილი: „მეფეთათვის, დედუფალთათვის და მეფის ძეთათვის. თუ ვითარი ჯერ არს ქცევა საზოგადოობასა შინა“, „დედუფალთათვის“, „მეფის ძეთათვის“, „ყოველთავე ზოგად ცხოვრებისა და მოქალაქობისათვის“, „მეფის მახლობელ მონათათვის, თუ ვითარ ჯერ არს სამსახურად მისვლა“, „ვაჭართათვის, თუ ვითარ ჯერ არს კეთილ გონიერებითი მოვაჭრება“, „მეგობართათვის, თუ ვითარ ჯერ არს ურთიერთისა თანამდებობა“, „შურისათვის, თუ ვითარ ჯერ არს კეთილი შური და ანუ ბოროტი. შური, ვითარ განმხრწნელი არს კაცისა და დამაკვეთები“.

2. უძღვის წინასიტყვაობა ბარამ გერმანოზიშვილისა (5r—6v).

(1489) **3860**

ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა. XVIII

316 ფ.; 20×15,5; ქაღალდი სხვადასხვა ფერის; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; მხედრული, სხვადასხვა ხელით; სათაურები სინგურით; [XVIII ს. II ნახ.]; დაუწერელია: 302r—305r, 306r.

[ვ ა ხ უ შ ტ ი, ც ხ ო ვ რ ე ბ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა]. „ტომობა და ჩამომავლობა ქართუჱლთა და ცხოვრება მათი, რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ც ხ ო ვ რ ე ბ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა, ნოეს ძისა იაფეტის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთადმდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. — აწ ზნეთათვის ვიწყოთ ძველითგან ახლადმდე საქართველოსათა ზნეთა, ჩვეულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა, რამეთუ წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისითგანვე, ვითარცა ვიუწყებთ: რა ჟამს მისცა ჰაოს ძმათა თვისთა წილნი ქვეყანათა...“ 15r—261v.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: **ა.** ტომობა და ჩამომავლობა ქართუჱლთა და ცხოვრება მათი (15r—151r); **ბ.** „უწყებულება მკითხველთათვის“ (151r—158v); **გ.** „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მთით, მდინარე[ე]ბით, ადგილთა და მას შინა შენებულებათა“ (158v—194r); **დ.** „შემდგომად განყოფისა სამეფოსა...“ (194r—261v); ტექსტის ეს ნაწილი გამოცემული აქვს დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ს 1885 წ., თ. ლ ო მ ო უ რ ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ს 1941 წ., და ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ს 1913 წ., დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს 1845 წ.

2. ერთვის: **ა.** დ ა ვ ი თ ბატონიშვილის „ახალი ისტორია“ (იხ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლ ო მ ო უ რ ი ს გამოცემა, 1941 წ., გვ. 1—44 და ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა, (1854, გვ. 501—516). **ბ.** ნუსხა საქართველოს მეფეების ფარნაოზიდან გ ი ო რ გ ი მეფემდე, მათი მეფობის ხანგრძლივობის ჩვენებით (311v—314r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. თეიმურაზ ბატონიშვილის შენიშვნები: ა. „ეს უნდა [illegible]-რის მეფის ფარსმანის ისტორიაში“ (2r—5r); ბ. „ეს უნდა ჩაიწეროს 3600. არტაქსერქსთან ჩაიწერება, ერთი ისტორიაა...“ (5v). ანალოგიური შენიშვნებია: ?r, 7v, 8v, 9r, 9v, 10rv, 11rv, 12rv, 13rv, 14v, 307v—311r.

4. ტექსტი ისეთივე შედგენილობისაა, როგორც S კოლექციის № 281 ხელნაწერი (იხ. საქ. სახ. მუზეუმის გზამკვლევი, 1952, გვ. 48).

მინაწერები: 1. „აბბატა მილოტ. ტომი 6. 70 სტრანიცა, 1098 წელსა სამსჯვლის პოვნა“ (საც. ფ. v).

2. „ყიზილ ყაენმან რანსა და მოაკანს დასცნა...“ (საც. ფ.v).

3. „ქ. ორმუზ ანუ არმაზ იუპიტერ.

ქ. ზადენ ანუ ზადნენ აპოლონ.

ქ. გაიმ მერკური.

ქ. გაცი სილვან ტყის ღმერთი.

ქ. მეფემან ...ფარნაჯომ აღაშენა ციხე ზადენისა. და ალმართა კერპი ზადენად წოდებული. ესე არს წვიმისა მომცემელი და ნაყოფთა აღმომაცენებელი.

ქ. გაიმ და გაცი დაფარულთა გამომეძიებელნი“ (საც. ფ.v).

4. „წელსა 1828-სა, 9-ს სეკდენბერს ახლისა რიცხჳ ჰსწერენ შუჱიცარიით, მათმან უდიდებულესობამან კოროლმან ბავარიის უბოძა უფალს ენარს, ოდეს იგი იმყოფებოდა ნევასა შინა, ორდენი ბავარიის გჳრგჳნისა. შემთხუჱულებასა ამას შინა ჰსთქუა კოროლ... შემდგომნი ესე სიტყუანი, რომელიცა შთაწერილ არ[იან] ლოზინიის გაზეთსა შინა; ვითარმედ შემთხუჱულებ... უფლისა ენარისა არს ფრიად საშურუჱლ მით ...მოისთვლო მან დიდება ჭეშმარიტი, ვინა შეურყევლობითა თჳსითა განამტკიცა არსებობაჲ ბერძენთა, ჩუჱნ ფრიად ვალდებულ ვართ წინ[აპ]ართაგან ბერძენთასა, გარნა წინაპარნი იგი მ... უმეტეს ყოველთა ვალდებულ იქმნებიან ენ...ისა.

გარდმოვიღევ ესე აკადემიისა გაზეთით პეტერლოფს 1828-ს სეკდემბრის 26-სსა, მეფის ძე თეიმურაზ“ (ზემო საცავი ფურცლის r).

5. „ეს ქართლის ცხოვრება თანა მქონდა, გერმანიაში რომ წაველ წელსა 1836-სა. მეფის ძე თეიმურაზ“ (1r).

5. „ლატი გაცი“ (1r).

6. „ქ. ფათალიხან დარბანდისა იყო ჰამზას გვარისა, მამას ერქვა ჰუსეინ ალიხან“ (1r).

7. „ქ. მაჰმად ყული ალა არის სალიანისა მირზა მაჰმადთხანის შვილი დარიასანის შვილისშვილი“ (1r).

8. „ქ. მუსტაფა ხან არის ალასი ხანის შვილი. ალასი ხან იყო ჰაჯი მაჰმად ალიხანის შვილი, სარქარ ოლლები. ნადირშას უკან იშოვნეს ამათ შამახიის ხანობა“ (1r).

9. „ქ. მაჰმად ხან არის ჰუსეინ ხანის შვილი, ჰაჯი ჩალაბის გვარისა. ესენი არიანი ყარა ქეში ოლლები. აჯი ჩალაბის მამა ტერტერა ყოფილა, გათათრებულა“ (1r).

9. „.შაჰაბაზ ხან და აჰმათხან ხოის ხანები იყვნენ რუსტამ ხანის შვილები დუნბული. ეს რუსტამ ხან იყო ხელჯოხიანი ელიალაჯი ნადიშასი“ (1v).

10. „ქ. ფანახან იყო ნადირშას ჯარჩი სარი ჯალი“ (1v).

11. „ქ. ზიად ოლლები არიან ოჯახნი“ (1v).

12. „ქ. ერევნის ხანი არის ყაჯარი გვარათ“ (1v).

13. „ქ. მეფე ფარნავაზ იყო ძმისწული სამარია მამასახლი[სი]სა და დედით სპარსთა მეფის დარიას მონათესავე. და დედა ამისი იყო დაჲ ისპანის სპარსისა. და სამარია მამასახლისი იყო ჟამსა ალექსანდრესა. ფარნაოზ შეიყვარა აზონმან ნადირობისათვის“ (1v).

13. „თართუზ ექიმმა დაწერა ყარამანიანი“ (5r).

14. „წელსა დასაბამითგან სოფლისათ სამი ათას ოთხას ორმეოცდაათშჳდმეტსა იქმნა მეფედ მიდთა ზედა არსეი, ძეჲ არბიანისა...“ ეს მინაწერი ამოღებულია დიოდორ სიცილიელისა წიგნი, ისტორიული ბიბლიოტიკა, ტომი 1. წიგნი 2. ფურცელი 212, 213 და 214“ (7r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. „ქ. წარგზავნა ტორმასოვმა მხედრობა და ამათ დაიპყრეს მიღრი. განვლო რა ჟამმან მცირემან, ყიზილბაშთა გამოგზავნეს მხედრობა და კუალად უკანვე დაიპყრეს მიღრი და გამოდევნეს რუსთა მხედრობა“ (6v).

16. „ქ. მარკისმან წარგზავნა ლისანოვიჩი მხედრებთა წარსატყუვენველად ერევნისა. შთავიდნენ მხედრობანი რუსთანი მახლობლ ეჩმიაწინისა, დაიწყეს ტყევნა. ეწია ჰუსეინ სარდალი ერევნისა, ყაჯარი, სძლო ლისანოვიჩსა და მოუღო უკან ნატყვევნავი“ (6v).

17. „წელთა რიცხვი.

დასაბამითგან ბერძული 7337
ამ წელს რომაული არს 5778
ბერძულის რიცხვით... 5095
დასაწყისით ანუ დასაბამით
იულიოსის რიცხვით 6542
ქრისტეს შობითგან 1829.
ეგირთ ლტოლვა მოხმედისა, საიდგანაც მახმადიანი იწყებენ წელთა აღრიცხვასა 1207
განყოფა აღმოსავლეთა დასავლეთის ეკკლესიით 1207
რუსთ მოქცევა 841
საქართველოს მოქცევა 1497(!)“ (305v).

18. „ქ. ეს მცირე შემოკლებული მოთხრობა იროსოდასი პეტრე ქებაძეს ერთს ვაჭართან ენახა მოსკოვს, რომელსაც რომ გამდმოეწერა(!). საფლავიდამ მოსდოგის გაღმით, და ვლადიკავკასის მხარეს კავკასიის მთის კალთებში ძველი ნაქალაქარები ბევრი არის ძველთა ქართლოსიანთა, და მუნ საფლავი იგი ეპოვნა მის ვაჭარსა; ასე წერებულიყო:

კეთილ ბედნიერებითა იროსოდა, ძე ფარნაოზისა, მთავრობდა ქალაქსა ამას და ეპყრა საზოგადოჲსა ხუთ ქალაქისა და პატივცემულ იქმნა საფლავითა ამით საზოგადოსა მიერ ხუთისა ქალაქისათა. უეჭუელად იროსოდა ყოფილ არს ერთი მამასახლისთაგანი ივერიელთა, ესე იგი გიორგიელთა ქართლოსიანთა ნათესაობისაგანი, მ[ეფის]ძე თ[თეიმურაზ]“ (306v).

19. „ყულევს, ლუდოვიჩის დროს დახოცეს ოსმალთ რუსნი. ფოთის ახლო გაიმარჯვეს რუსთაცა, ცოტა ოსმალზეც ტორმასოვს...“ (307r).

20. „კეისარმან ირაკლი წარიღო მანგლისით და ერუშეთით ფიცარი ფერხისა და სამსჭვალი უფლისა იესო ქრისტესი, რომელიც მისცა კოსტანტინემ მირიან მეფეს. ევედრა ადარნასე მთავარი, რათა არა წარახუნეს კეისარმან, არამედ არა უსმინა და წარიღო“ (307r).

21. „ბათაყვა ფოთის ახლო“ (314v).

22. „ტუონიში გამოვიდა ბონაპარტე წელს 1815 მარტში; აიღო ღრენობილი. იშოვა ჯარი და არტილერია და შევიდა პარიჟში და კოროლი გაიქცა“ (314v).

23. „ქ. არხიდეკტური(!) ოსიფ იაკულიჩ კანბერლანდ, ოსიფ ფრანცოვიჩ კანბერლანდ“ (314v).

24. „ქ. უფალი ლოვ(!) თუისსა ლოღიკასა მოიხვამს მოწმობასა ლამბერტისასა, რეცა ქრისტიანენი მ[ე]ნგრელიასა მცხოვრებნი დამარხევდნენ შვილთა თვისთა ცოცხალთა“ (314v).

25. „ქ. პირველი, დროჲ ანუ ძველი ისტორია დასაბამიდგან რომის დასრულებამდე.

ქ. საშუალი, დაწყებიდამ ევროპის მპყრობელთა ესე იგი რომის დასასრულიდამ.

ქ. მესამე ანუ უკანასკნელი, დიდის კარლოიდამ ფრანცუცის მეფიდამ, რომელმანცა დაიპყრა ყოველი ევროპა.

ქ. ჯვარით ჯარიანობა მეთოთხმეტესა და მეცამეტეს საუკუნეში იყო ქრისტესით“ (315r).

26. „წელსა 1813 მარტის სევერნიის პოშტიდამ გამოწერილი, რაც რუსთ ამ ომებში მოუკვდათ ფრანცუცის პირდაპირ წელსა 1812:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. მინცკის გუბერნიაში	18797
ქ. ბერეზინას	30106
ქ. მოსკოვს	49754
ქ. სმოლენცკას	71735
ქ. ვილენცკას	12203
ქ. კალუღას	1027
ქ. ჯამი	213516

ქ. რაც ბოროდინის ომში დაიხოცა წელსა 1813, აგვისტოს 26. კუტუზოვი რომ დამარცხდა, ის არა სწერია.

ეს ზემო ნაწერი, რაც გაზეთის ძალით იპოვეს რუსთა, და ბრძანება ჰქონდათ გუბერნატორებს დამარხვისა და დაწვისა, და რაც ყრუ ტყეში ვერ იპოეს, ან წყალში დაირჩო, ან ნადირმა და მფრინველმა შეჭამა — ის სხვა არის, ამაში არ ურევია, და არც ტყვეთ წასული" (315v).

27. „მოსკოვიდამ რომ დაბრუნდნენ ნოემბრის 24, უდინომ დაამარცხა მეწინავე ჯარი ჩიჩაგოვისა. იარანალ ლამბერტი ბორისოვთან დაიჭრა. 2000 ცოცხალი წაართვა, ხუთასი ბარგის ურემი და ექვსი ზარბაზანი. 6 [ზარბაზანი]. 27 ორიათასი კაცი გარდაწყდა, ფრანცუცებისა გზა დაჰკარგეს და ვიტელშტეინის ჯარს წაწყდნენ(!), თავიანთი ფრანცუცი ეგონათ და ის ორი ათასი ფრანცუცი დაიჭირეს რუსთ. 27. ორივ ჯარი ერთათ შეიყარა ჩიჩაგოვისა და კუტუზოვისა; დვინას ბერეზინასთან რომ გავიდა ფრანცუცის ჯარი — წინიდა(!) უდინო. იმას უკა(!) ვიკტორ, იმას უკან ნეი და იმას უკან მორტიე—იქ მოხდა ომი(!). 28, დამარცხდნენ რუსნი: აქ კარგათ იყო ღენერალ დურმეკ; იძლივნენ რუსნი და ფრანცუცთ შეიპყრეს 6000 კაცი რუსი, ორი ბაირახი და 6 ზარბაზანი. 29. ვიკტორმა დაამარცხა ვიტენშტეინი და დაიჭრა 6000 რუსი ცოცხალი, უდინო დაიჭრა გვერდში წინა ჯარში" (316r).

28. „წელსა 1812 სეკდენბრის 3, სამშაბათს დღეს აიღეს მოსკოვი.

ქ. ოსტორმან დაამარცხეს ივლისის 13.

ქ. სმოლენცკა აიღეს და ბარკლაი დამარცხდა აგვისტოს 5

ქ. კუტუზოვი დაამარცხეს მოჟაის ახლო აგვისტოს 26, ბოროდინ წოდებულსა ადგილსა" (316v).

29. „რომელიც გუბერნიები ფრანციცთაგან იავარ იქმნა:

ქ. მოსკოვი
ქ. სმოლენცკა
ქ. კალუღა
ქ. მოღილევი
ქ. მინსკი
ქ. ვიტებსკი
ქ. ვილენსკი

ქ. გროდინსკი
ქ. კურლიანდსკი
ქ. ბელოსტოკცკი
ქ. პსკოვსკი
ქ. წელსა 1812, კვირას შევიდნენ

ფრანცუცნი ვონას, ივნისის 17" (316v).

30. „ვონა აიღეს 17 ივნისს ფრანცუცთ,

სვანციანა	20.
დრისა	30.
პოლიცკა	2 ივლისს და იძლივნენ... ძლიან.
ვიტებსკა	... ივლისს.
მოღილევ	17" (ქვემო საცავი ფურცლის შიდა მხარე).

31. „მეფის თამარის მამამ გიორგიმ...

ქ. ყაენმან რანსა და მოაკანსა..." (ქვემო საც. ფ. შიდა მხარე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1490) **3862 ა**

სახიამოვნო ამბავი. XIX

24ფ.; 22,5×18; ქაღალდი, უყდო, მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 7v—12v, 15v—16v, 18v—20v, 21v, 22v—24r.

„სახიამოვნო ამბავი. ამ რამდენიმე დღის წინეთა დევესწარ ქართველთ ქალთა კრებაზედ, რომელთაც განუზრახავთ შეადგინონ საზოგადოება ჩვენ დედაქალაქში და დააარსონ სახელოსნო ანუ სავაჭრო სახით, რომ როგორმე გაავრცელონ ჩვენ ქვეყანაში ქალთა შრომა და ხელოვნური მოღვაწეობა...“ 1r—24v.

წყდება: „...ამ უკანასკნელ დროს აღარა აზრი ჩვენ დედაქალებში პატიოსნურათ“.

შენიშვნა: ტექსტი შავის ხასიათს ატარებს. ალაგ-ალაგ წერისას გამოტოვებულია ფურცლები, რის შემდეგაც ხელახლა იწყება ტექსტი, რომელიც იმავე საგანს (ქალთა შრომის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას) შეეხება. ხელნაწერში ერთ ადგილას ფანქრით ნაწერია სალანძღავი წერილი ხ ე ჩ ა ტ უ რ ი ა ნ ც ი ს სახელზე (17r—18r).

22r-ზე ასევე ფანქრით ნაწერი ცნობა, რომ თ უ მ ა ნ ი ა ნ ც ი, სომხური „ნოვო ობოზრენიეს“ რედაქტორი და „ეჩმიაწინის ლისტოკი“ ამტკიცებენ, თბილისი უწინდელ დროს სომხების ქალაქი ყოფილაო.

3862 ბ

დურგალი ივანე. XIX

1 ფ.; 54×84; ფურცელი რამდენჯერმე გაკეცილი. მხედრული; [XIX ს.].

„დ უ რ გ ა ლ ი ი ვ ა ნ ე. — ივანე დურგალს ებარა და ძრიელ ერთგულათ აწვავლობდა ამ ხელობას. შვიდი წელიწადი ემსახურა თავის ოსტატსა...“

წ ყ დ ე ბ ა: „...თუ გიორგი შენზე ჯვარს დაიწერს, სახლებ მაშინვე დაუმტკიცეფო და იმის ნებასაც მივცემ...“.

შენიშვნა: ფურცელზე ერთგან დაწერილია ფრაგმენტი S—3862 გ-სი: „ნინიკა ჯერ ისევ დასანიშნავი ვაჟკაცი იყო, როდესაც საქართველოში ხმა დადიოდა, რომ ბატონყმობა უნდა გადავარდესო...“

3862 გ

მოთხრობა (ფრაგმენტი). XIX

4 ფ.: 36×22; ფრაგმენტი; მხედრული; [XIX ს.].

„მ ო თ ხ რ ო ბ ა საკინ... სახრჩობ... უბედური ნინიკა, ბატონი ანდუყაფარის მეხრე, ჯერ ისევ დასანიშნავი ბიჭი იყო, როდესაც საქართველოში ხმა გავარდა, რომ ბატონ-ყმობა უნდა გადავარდესო...“ 1r—4v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ უ დ ე ბ ა: „...თავის მორცხვი და შეშინებული ხასიათი ნებას არ აძლევდა, რომ პირდაპირ შეეხედნა...“.

შენიშვნა: ისევე, როგორც ეს ხელნაწერი, იწყება S—3862 **გ**-ს ერთი ნაწყვეტი, მაგრამ საერთო პირველი ფრაზის შემდეგ მათ შორის საგრძნობი სხვაობაა.

3862 დ

ობლის ამბავი (ფრაგმენტი). XIX

4 ფ.; სხვადასხვა ზომის ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 1v, 2r, 3r, 4v—5v.

[ო ბ ლ ი ს ა მ ბ ა ვ ი] „...თავადი ანდუყაფარის ბოსლის ბიჭებთან და მეჯინიბეებთან ერთი პატარა ხუთის წლის ბავშვი დატუტუნებდა, რომელსაც უდროოთ დახოცოდა დედ-მამა...“ 1r—4r.

წ უ დ ე ბ ა: „...რომ როგორმე გადაერჩინა თავი ბიჭების მუდმივ და დაუსრულებელს ხუმრობისაგან და ბლარძუნაობისაგან თავი...“

3862 ე

საქართველოს მდგომარეობის შესახებ (ფრაგმენტები). XIX

9 ფ.; 35,5×22; ქაღალდი, სხვადასხვა ფრაგმენტები, მელნითა და ფანქრით დაწერილი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 5v, 6v, 8v, 10r, 11v, 18r—19v.

[ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ]. „უბედურია ის ერი, რომელს ერსაც არა აქვს ლიტერატურა, ისტორია, კულტურა და ნაშთი შეშანიშნავნი(!)...“ 1r—17v.

წ უ დ ე ბ ა: „....მეტის მეტი სიყვარულით გულზე მიჭლეტო ხოლმე თავი ძუძუ მწოარასა...“

შენიშვნები: 1. 3862 **ა, ბ, გ, დ, ე** ხელნაწერები ნაწერია ერთი ხელით.
2. გარდა შენ. 1-ში ჩამოთვლილი ხელნაწერებისა, პაპკაში იყო კიდევ ორი დოკუმენტი: ა) ხელშეკრულება, 1846 წ. დადებული ფოტოგრაფ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე რ ო ი ნ ა შ ვ ი ლ ს ა და სათავადაზნაურო მამულების სამართველო კომისიას შორის როინაშვილისაგან ქარვასლის შენობაში ფოტოგრაფიისათვის ფართობის ქირაობის შესახებ; ბ) ხელშეკრულება, დადებული 1892 წ. გერმანიის ქვეშევრდომ რ ი ხ ა რ დ რ ო ბ ე რ ტ ი ს-ძ ე დ ი ტ რ ი ხ ს ა და ქუთაისელ მოქალაქე ი ო ს ე ბ პ ა ა ტ ა ს-ძ ე ნ ი ჟ ა რ ა ძ ი ს შორის ნიჟარაძის მიერ დიტრიხის ქარხნის ლუდის გაყიდვის თაობაზე. ეს დოკუმენტები გადაცემულია საბუთების ფონდში (Ros. d: 3059, 3060).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1491) **3863**

ეპიგრაფიკული მასალა. XIX—XX

2 ფ.; ქაღალდი, სხვადასხვა ზომის (27,3×25,5; 21,8×17,5); მთავრული, მხედრული; [XIX—XX სს.];

1. ფურცელი: „ქართული წარწერა დარაჩიჩალის მაზრაში ს. თაიჩარუხის ახლო. ეკლესია ტყეშია. ნათალი ქვისა არის, კოხტად დიდი“.

შენიშვნა: გადმოღებულია ასომთავრული წარწერა (ორი). წარწერაში გაბმული ტექსტი არ იკითხება. ზოგიერთი ასო ქართულს არ გავს. საფიქრებელია, რომ წარწერის გადმომღებმა არ იცოდა ასომთავრული და ამიტომ ზოგი ასო სრულიად დამახინჯებული ფორმისაა. ცნობები ეკლესიის მდებარეობის შესახებ მიწერილია ფურცლის მარჯვენა და მარცხენა კიდეებზე.

2. ფურცელი: „ზემო ნიქოზის დიდ ეკლესიაში თვით ფოსოებიდან არის ამოჭყლეტილი, ი. დ.“. ინიციალების გვერდით ფანქრით მიწერილია სხვა ხელით: „იოსებ დავითაშვილი“.

შენიშვნა: ზემო ნიქოზის წარწერა შესრულებულია ფანქრით, ქარაგმებისა და განკვეთის ნიშნების დაცვით. ამ ნიშნების შესახებ მარცხენა კიდეზე წერია: „ეს ნიშანი თითონ ასოებს ეკუთვნის“.

(1492) **3902**

გამოკრებილი სახარება. XIV—XV

(**ხანმეტი მრავალთავი.** VIII)

64 ფ.; 20,5×16; პალიმფსესტი; ეტრატი; უყდო, შერჩენილი აქვს ყდის ტყავის ნაგლეჯი; ფფ. 1—24 დაშლილია; თავ-ბოლო ნაკლული, აკლია შიგნითაც; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XIV—XV სს.].

[გამოკრებილი სახარება] „...მესმის, ვსჯი და სასჯელი ჩემი მართალ არს...“ 1r—64v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და დამუსრა პური იგი, და მისცემდა მყოფთა თჳსთა, რაჲ-თა დაუგონ...“

შენიშვნები: 1. შემორჩენილია **ბ, დ, ე**—ი რვეულები.

2. პირველადი ნაწერი ხელნაწერისა **ბ, დ, ე** რვეულებისა წარმოადგენს ხანმეტ ტექსტს, რომელიც გამოქვეყნებულია „ხანმეტი მრავალთავის“ სახელწოდებით ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ. იხ. ტფილ. უნივ. მოამბე, VII, 1927, გვ. 98—159. გამომცემელს ფურცლები ხანმეტი ტექსტის თანმიმდევრობისდა მიხედვით დაუნომრავს ფანქრით, მთავრული ასოებით. ხანმეტი ტექსტის ფურცელი მეორადი ტექსტის ზომით ორ ფურცელს შეადგენს. ხანმეტი ტექსტის გადაჭრილი ფურცლებისათვის გამომცემელს ქაღალდის ფურცლები გადაუკერებია. ხანმეტი მრავალთავის ცალკეული ადგილების იდენტიფიკაციის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ, თ. ს. უ. შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 299.

მინაწერები: 1. „ქ. ღმერთო და ამა სახარებათა ძალო და მადლო, შეიწყალე სულით და ჴორცით გაბრიელ სილაგაძე. ამინ. უფალო, კსნ“. (25v, XV—XVI სს. ნუსხურით).

2. „ქრისდე(!) იესო, შეიწყალე ამ სახარების დამწერი. ამინ“. (24v, ფანქრით, მხედრულად).

(1493) **3918**

სადღესასწაულო. XV.

99 ფ.; 22,5×16,5; ეტრატი; უყდო, თავ-ბოლო ნაკლული, აკლია შიგნითაც (ნ. შენ. 1); ფურცლები 12, 94, 95 ამოცვენილია; [XV ს.]; გადამწერი — ანტონი? (ნ. შენ. 4).

[სადღესასწაულო] ... „ქერობინთა ზედა მჯდომარეო, და ღმრთეებით შეუწყო დიდებაჲ შენდა...“ 1r—99v.

წყდება: ...„განაახლა დაუძლურებული იგი მრავალ ჟამთაგან. და მეყსეულად ცხედარი თჳსი იტჳრთა და სახიდ თჳსად უჭირველად ვი...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერს აკლია პირველი 8 რვეული (ა—ჱ, იწყება თ რვეულიდან), იბ მთლიანად და კბ-ს შემდეგ.

2. ხელნაწერის შედგენილობა:

დეკენბერსა კე. განმაცხოველებელი შობა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან (3r).

იანვარსა ა. წინა [დაცუჱთა უფლისა] ჩუენისა ი~ჳ ქ~ჱსი და წმიდისა... და პირველ შემოსლვისა მდ... ნისა დიდისა... (12v).

იანვარსა ე. წინა დღე განცხადებისაჲ (17r) (აქ აკლია იბ რვეული)

იანვარსა კზ. ნაწილთა მოყვანებაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისათაჲ (22v).

ფებერვალსა ბ. მიგებებაჲ უფლისა ჩუენისა ი~ჳ ქ~ჱსი, რაჟამს მეცხრესა დღესა ტაძრად მიიყვანა ყოვლად წმიდამან ღ~თის [მშობელმან] (28r).

ჴორციელისა შობასა ჴსენებაჲ ყოველთა სულთაჲ (32v).

ჴორციელისა კჳრიაკესა მეორედ მოსლვაჲ უფლისაჲ (35r).

ყველიერისა შაბათსა ჴსენებაჲ წმიდათა მამათაჲ (38v).

ყველიერისა კჳრიაკესა ადამის ექსორიაობაჲ (41r).

ფებერვალსა ჱ წმიდისა თეოდორე სტრატილატისაჲ. ფებერვალსა იზ წმიდისა დიდებულისა მოწამისა თეოდორე ტირონისაჲ. რვასაცა თქუ და პირველსა შაბათსა მარხვათასა ესევე უნდა (44r).

პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა თაყუანის-ცემაჲ წმიდათა ხატთაჲ (48r).

ფებერვალსა კდ. პოვნაჲ პატიოსანისა თავისაჲ წმიდისა იოანე ნათლის მცემელისაჲ (51r).

მარტსა თ. წმიდათა და ყოვლად ქებულთა ორმეოცთა (54v).

მარტისა კე. ხარებაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა (59r).

პარასკევსა მწუხრი დასადებელნი ლაზარეს აღდგომისანი (66v).

ლაზარეს შაბათსა დასადებელნი ბზობისანი (70v).

ბზობისა კჳრიაკესა მწუხრი, უფალო ღაღადყავსა (74r).

დიდსა ორშაბათსა. მწუხრი, ჴმაჲ ა (76v).

დიდსა სამშაბათსა მწუხრი, ჴმაჲ ა (78r).

დიდსა ოთხშაბათსა მწუხრი, უფალო ღაღადყავსა (80r).

წმიდასა დიდსა ხუთშაბათსა ცისკრად ალილუიასა ზედა (81r).

დიდსა ხუთშაბათსა მწუხრი, უფსკრულმან სიბრძ.: (83v).

დიდსა პარასკევსა [...] 85r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდსა შაბათს მწუხრი უფალო ღ~ყვს (88v).

(აქ აკლია)

ახალ კჳრიაკესა მწუხრი ო~ო [...]

(აკლია)

მესამესა კჳრიაკესა აღვსებათაგან წმიდათა მენელსაცხებელთა დედათა და იოსებისი (?) ჭმაჲ. ბ. (96r).

მეოთხესა კჳრიაკესა განრღუელისაჲ. ო~ო ღღყ~ვს ჭმაჲ ა. (99r).

3. ტექსტში მოთავსებულია გიორგი მთაწმიდლის ორი იამბიკო: ა) ქრისტეს შობისა, რომლის კიდურწერილობა (აგრეთვე ცალკე მოცემული ხელნაწერში) იკითხება ასე: "ქებითა და გალობითა ყოვლად წმიდითა ქრისტეს ღმრთისა ჴორციელად ზეშთა ცნობისა ბრწყინვალესა შობასა ყოველი სოფელი იხარებს და ანგელოზთა თანა წყალობათა მისთა ადიდებს და შესხამს დღეს" (9r—12r; ტექსტი გამოქვეყნებულია. ნ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 353—355). ბ) (თავნაკლული) ნათლისღებისა, რომლის კიდურწერილობაა: „... [ი]ხარებენ ერთბამად ანგელოზნი და კაცნი" 22r—v (ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ხს. თხზ., გვ. 353).

4. ქრისტეს შობის იამბიკოს წინ უძღვის გიორგი მთაწმინდელის საინტერესო ცნობა ამ იამბიკოს თარგმანის შესახებ, სადაც გიორგის სახელი შეცვლილია ანტონით. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, გადამწერია (ფურცელი ნაწილობრივ გადარეცხილია და ცუდად იკითხება. აღდგენილია ხელნაწერ S—4999 მიხედვით): „სხუანი გალობანი ამისვე დღისანი თავედნი. წმიდისა იოანე დამასკელისა იამბიკონნი ამას გუარსა ზედა არიან თჳნიერ რომელ ამათ ყოველსა და[სდებელსა ხუთ]თავი ზის. ხოლო ამათ უმრ[ავლესნი თავნი სხენან და ამას] უფროჲსი ჭირი უნა [და ვინაჲთგან ამათი. თარგმ]ნაჲ ულონოჲ არს [ყოლადვე და შეუძლებელი, ამისათჳს მე], გლახაკმან ანტონი [რეცა თარგმანმან ქართ]ულად აღვწერენ ესე გალობანი დიდითა შრომითა. ლოცვა ყავთ ღმრთისათჳს, რაჲთა უფალმან შემიწყალოს წმიდითა თქუენითა ლოცვითა" (8v—9r).

ეს ცნობა S—4999 მიხედვით გამოქვეყნებულია (იხ. ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, პუშკინის სახ. თბ. სახ. პედ. ინსტ. შრ. ტ. IX, გვ. 190).

5. ხელნაწერს აქვს გადამწერის ხელით შესრულებული შენიშვნები კიდეებზე: „ვიდრე თუ𐀀 გავიდოდეს, ვდღესასწაულობთ ქ~ე შობისასა". 3r. „და ვინცა წერდეს, ესრეთვე ჯერ არს დაწერაჲ. ბერძულადცა ესრე სწერიან იამბიკონნი" 9r. და სხვ.

ეს უკანასკნელი შენიშვნა გიორგი ათონელს ეკუთვნის. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ხს. თხზ., გვ. 190).

მინაწერები: 1. „ქ. ღმერთო, აცხოვნე წინამძღვარი გრიგოლ" (XVII—XVIII საუკ. მხედრული, 14r).

2. „ესე სადღესასწაულო ლარგვის[ის] მონასტრისა არის [...] ვინც გამო [...]..." (30r, XVII ს. მხედრულით).

(1494) **3942**

კურთხევანი, XVII

177 ფ.; 20×14; ქაღალდი; ნუსხური; ახლად რესტავრირებული, ლედერინის ყდაში; ბოლონაკლული; [XVII ს.]. გადამწერი ევდემონ ინაძე? [4v].

[კურთხევანი]. „ნათლისცემაჲ აქა იწყების. ლოცვაჲ. — ოდეს კათაკუმეველად დაადგინებდეს, სარტყელი შეჰჴსნას და ფერჴთა განჴადნეს..." 1r—134r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. კურთხევანში შედის:

1. „ნათლისცემაჲ აქა იწყების“ (1r—20r).
2. „ლოცვაჲ განბანისა ახლად ნათელ ღებულისა...“ (20r—21r).
3. „ლოცვაჲ პირველ აღკუეცასა ყრმათასა“ (21r—v).
4. „კურთხევაჲ გჳრგჳნისაჲ“ (21v—34r).
5. „ლოცვაჲ გან....ებასა ტაძრით“ (34r).
6. „ლოცვაჲ ახმ....ასა“ (34v).
7. „კურთხევა სფ....“ (34v—35v).
8. „მკუდარი რაჟამს სახლით გამოაქუნდენ“ (35v—36r).
9. „წესი და განგებაჲ, რომელ აღესრულების დაფლვასა შესუჱნებულისასა“ (36r—v).
10. „წესი, რომელ აღესრულების დაფლვასა [შესუჱნებულისა] ძმისასა“ (37r—55r).
11. „ლოცვაჲ შესუენებულთა“ (55r—58r).
12. „ლოცვაჲ მღდელსა ზედა აღსრულებულსა“ (58r—59v).
13. „ლოცვაჲ ეპისკოპოზსა ზედა აღსრულებულსა“ (59v—60v).
14. „ლოცვაჲ მონაზონსა ზედა აღსრულებულსა“ (60v—62v).
15. „ლოცვაჲ ჩჩჳლსა ზედა აღსრულებულსა“ (62v—63r).
16. „ნუგეშინის-ცემაჲ, რომელი წარიკითხების სასმენელად ყოველთა“ (63r—68v).
17. „პანაშჳდი მიცვალებულისათჳს“ (68v—78r).
18. „იბაკონი სულისანი“ (78r—88r).
19. „კურთხევა ტაბლისა სულისა“ (88r—v).
20. „კურთხევა თესლსა ზედა“ (88v—89v).
21. „განგებაჲ წმიდაჲ ღმრთისა გამოცხადებასა“ (89v—98r).
22. „ლოცვა, თქუმული წმიდისა ნოსელისა“ (98v—105v).
23. „განგებაჲ ბაიას კურთხევისა“ (105v—107v).
24. „განგებაჲ წყლის კურთხევისა ყოველთათჳს თვეთა და დღესასწაულთა, რომელ არს აიაზმაჲ“ (107v—118r).
25. „კურთხევაჲ სულის საკლავისა“ (118r—119r).
26. „კურთხევაჲ საღმრთოსა ტაბლისა“ (119r—122v).
27. „კურთხევაჲ მარილისა“ (122v—123r).
28. „ლოცვაჲ ტაბლასა ზედა შესუჱნებულისა“ (123r—v).
29. „ლოცვაჲ, უკუეთუ შევინებული და არაწმიდაჲ რაჲმე შთავარდეს ჭურჭელსა შინა ღჳნისასა ანუ ზეთისასა“ (123v—125v).
30. „ლოცვა შევინებულისა მჭამელისა“ (125v—126v).
31. „ლოცვაჲ დანერგვასა ვენახისასა“ (126v—127r).
32. „ლოცვა აღშენებისა ახლისა სახლისაჲ“. (127r—128r).
33. „ლოცვა ახლისა სახლისა“ (128r—129r).
34. „ლოცვაჲ სახლად შესლვისა“ (129r—v).
35. „კურთხევაჲ ზუარაკისაჲ“ (130v—133r).
36. „კურთხევაჲ კრავისა“ (133r—134r).
37. „ლოცვაჲ, უკუეთუ არაწმიდაჲ რაჲმე შთავარდეს წყაროსა შინა“ (134r—v).

2. კურთხევანს ერთვის: 1) სახარება სამზგეფსო (ვინაიდან ხელნაწერი არეულადაა აკინძული, ამ ნაწილის თავი — „სამზგეფსო... სახარებაჲ. დღესა კჳრიაკესა...“ 131v , კურთხევანის ტექსტშია მოქცეული)... „არღარა უფლებდეს, რამეთუ იგი მოკუდა...“ 135r—164r; 2) „აქავების, ძრვისა და ქუხილისა“ 164r—177. ეს უკანასკნელი ბოლონაკლულია.

ანდერძი: (ტექსტის ხელით): „ღ˜ო, შ˜ე ე ღ´ მ ნ ი˜ნ ძ ე“ (4v).

მინაწერები: 1. „ღმერთო, შეიწყალე ბატონი. [......] ძე ჩ ი ქ ვ ა ნ ი და მეუღლესა ბატონსა ჭ ვ ა რ ა მ ზ ე ს ჩ ა რ კ უ ა ნ ი ს ქალსა შეუნდოს ღ˜ნ. ან. კრ˜ის...“ (69v—70r). (XVII — XVIII სს. ნუსხურით).

2. „ქ. ღ˜ო შეიწყალე ცოც[ხ]ლობით ბატონი ბ[ე ჟ ა ნ?] ჩ ი ქ[ვ ა ნ ი]“ 2r (XVII ს. მხედრულით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1495) **3943**

სადღესასწაულო (ფრაგმენტი). XVIII

9 ფ.; 14,5×10; ქაღალდი, ფრაგმენტი, უყდო, დაშლილი; ნუსხური; [XVIII ს.].

[ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო]. „...ვედრებულ და შეწევნითა უწყებულ სასოებაჲ...“ 1r—9v.

წ ყ დ ე ბ ა. „...განსაცდელისაგან გჳჴსნენით ჩუენ, დიდნო მთავარნო ზეცასა ძალნო(?), ხოლო მე, ქალწულო...“

(1496) **3944**

სახარება გამოკრებილი. XVII—XVIII

5 ფ.; 19×14; ქაღალდი; ფრაგმენტი, დაშლილი, უყდო; ფურცლები დახეულია და შემომწვარი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII—XVIII სს].

[ს ა ხ ა რ ე ბ ა გ ა მ ო კ რ ე ბ ი ლ ი]. „...საგან საფლავისა. და მიხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორებულ იყო ლოდი იგი...“ 1r—5v.

წ ყ დ ე ბ ა: „... „მოიქცა პეტრე... მოწაფე იგი, რომელი უყუარდა ი̃ჳ მისდევდა...“

(1497) **3945**

მიწერ-მოწერის ნიმუშები. XIX

24 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო, ბოლონაკლული, 22—24 ფურცლები ამოცვენილი; ჭვირნიშანი — 1820 წ. (ფფ. 8,10) მხედრული; [XIX ს.].

[მ ი წ ე რ-მ ო წ ე რ ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი]. „წიგნი პატრიარხთან. უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, უმოწყალესო და დიდო მთავარო, მემეტანიე სამოციქულოჲსა კათედრისა თქვენისა დიდითა მოკრძალებითა მივილებ კადრსა ამას თავსა წინად უწმინდესობისა თქვენისა...“ 1r—24v.

წ ყ დ ე ბ ა: „...დედაო, ნუგეშო სულისა და გულისა ჩემისაო, ნაკადი მწარე ცრემლთა...“

(1498) **3946**

კონდაკი. XVII

1. ფ.; 10×7; ფრაგმენტი; ქაღალდი; ნუსხური; [XVII ს.].

[კ ო ნ დ ა კ ი]. „...და მოგჳტევნეს ყოველნი შეცოდებანი...“ 1r—v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ცხორებისათჳს და...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1499) **3947**

კურთხევანი. XVI—XVII

2 ფ.; 12×9; ფრაგმენტი; უყდო; უხეში, სქელი ეტრატი; გარეთა მხარეებზე გაყვითლებული; ნუსხური; [XVI—XVII სს.].

[კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი]. „...რომელმან შეიწირე მსხვერპლი ესე ისაკისა...“ 1r—2v.

წყ ლ ე ბ ა. „...წოდებით, საშინე...“

(1500) **3948**

კურთხევანი. XVII—XVIII

98 ფ.; 13,5×10; ქაღალდი; ახლად რესტავრირებული, ლედერინის ყდაში; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII—XVIII სს.]; დაუწერელია 84r, 94r, 98v.

[კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი] „ლ ო ც ვ ა ჲ ყ რ მ ი ს ა ჲ. — უფალო ღმერთო ჩუენო, შენ გევედრებით და შენ გხადით...“ 1r—94r.

მ თ ა ვ რ დ ე ბ ა: „...[შ]ევიდეს მღვდელი საკურთხევლად, [ო]დეს გალობით იტყოდიან და წართქუას...“

შენიშვნები: 1. კურთხევანში შედის:

1. „ლოცვაჲ ყრმისაჲ“ (1r—v).
2. „ლოცვაჲ — დედაკაცი მეორ[მ]ოცესა დღესა ეკლესიად ალვიდეს“. (1v—2v).
3. „ლოცვაჲ რაჟამს ეკლესიად შევიდენ“ (2v—23r).
4. „ლოცვაჲ ნათლისღებისა“ (23r—24v).
5. „ლოცვაჲ აღკუმცისა ყრმისა“ (24v—25v).
6. „განგებაჲ გჳრგჳნისა კურთხევისა“ (25v—50r).
7. „ლოცვაჲ ჩჩჳლსა ზედა აღესრულების“ (50r—v).
8. „განგებაჲ პანაშჳდისა მიცვალებულისათჳს სულთათჳს მწუხარისა“ (50v—72v).
9. „კურთხევაჲ ბაიასი“ (72v—73v).
10. „კურთხევაჲ სულისა ტაბლისა“ (73v—94r).

2. ფურცლები არეულადაა აკინძული. ამასთანავე, 39—46, 84—94, 95—98 ფურცლები აღებული უნდა იყოს სხვა კურთხევანებიდან (ეს ფურცლები ნაწერია სამი სხვადასხვა ხელით).

3. 95—98 ფურცლებზე ზოგიერთი ისეთი ნაწილია კურთხევანისა მოთავსებული, რომელიც ზევით უკვე შეგვხვდა, მაგ. „განგებაჲ გჳრგჳნის კურთხევისა“ 95v.

მინაწერი: „ქ. ღმერთო შ~ე ფ ა რ ს ა დ ა ნ წინამძღვარი. [...]“ 83v (მინაწერი ანმეტია).

(1501) **3949**

კონდაკი. XVI

72 ფ.; 14×11; ეტრატი, პალიმფსესტი, ტყავგადაკრულ ხის ყდაში; თავბოლონაკლული, თავსა და ბოლო ფურცლებზე ნაწერი გადასულია; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVI ს.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

[კონდაკი]. „...ა... ისა ა...რებისათა ...ვ~ა ცხოვარი...“ 1r—72v;
წყდება: „...ითხოვენ სულთა ჩუენთათჳს დიდსა წყალობასა...“ (72r).

შენიშვნა: 72 verso, რომლის ნაწილი ჩამოხეულია, გადალეულია და აღარ იკითხება.

(1502) **3950**

იოანე ოქროპირის ჟამის წირვა. XVIII

41 ფ.; 16×11; ქაღალდი, დაშლილი, უყდო, კიდეები შემომწვარი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII ს.].

„განგებაჲ საღთოთა. ჟამის წირვაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისა. — შევიდეს მღვდელი საკურთხევლად, შეიმოსოს სტიხარი და ოლარი და თქუას: იხარებს სული ჩემი უფლისა მიმართ...“ 1r—41v.
წყდება: „...შენ იგინი. ნაცულად აღიდენ ღთე~ბრითა ძლითა...“.

(1503) **3951**

ჟამნი. XVIII

91 ფ.; 14,5×10; ქაღალდი; უყდო; დაშლილი, თავნაკლული, აკლია შიგნითაც; [XVIII ს.]; დაუწერელია 91v.

„ჟამნი მცირე სერობისა. — დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა...“ 1r—91r.

შენიშვნა: ხელნაწერის 4, 5—13, 30—31, 34—35, 39, 65—67, 83 ფურცლე-ბი სხვა ხელით უნდა იყოს ნაწერი.

(1504) **3952**

ჟამნ-გულანი. XVIII

107 ფ.; 16×11; ქაღალდი, ამჟამად რესტავრირებული, შავი ტყავის ყდაში; თავნაკლული, აკლია შიგნითაც; [XVIII ს.].

[ჟამნ-გულანი]. „ჟამნი დიდი სერობისა. მღდელმან [....] არს დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, მეუფეო ზეცათაო...“ 1r—107v.

შენიშვნა: ხელნაწერი, როგორც ჩანს, რესტავრაციამდე სრულიად დაშლილი ყოფილა. ამჟამად, როგორც ირკვევა რვეულების სათვალავიდან (იე, ივ, ზ, იგ და ა. შ.), აგრეთვე შინაარსიდანაც, არეულადაა აკინძული.

ანდერძი: (ტექსტის ხელით): „მოიჴსენე, უფალო, სასუფეველსა შინა მანია ხეცურიანის ქალი. ღ[მრთის] მადლს, შენდობა უბრძანეთ“ (107v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1505) **3953**

კონდაკი. XV

15 ფ.; 25×17; ფრაგმენტი, უყდო, დაშლილი; კიდეებშემომწვარი, დალაქავებული; ეტრატი; ნუსხური, სათაურები სინგურით; თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; [XV ს.].

[კ ო ნ დ ა კ ი]. „...ნემან და წარვიდა და თქუა: მე ვჰგონებდი, ვითარმედ...“ 1r—15v.

წ ყ დ ე ბ ა: „...არს იგი... მიახლე...“.

(1506) **3954**

ოთხთავი. XIV

154 ფ.; 26,5×20,5; ეტრატი, უყდო, დაშლილი, ბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; ნესტისაგან და ჭიისაგან დაზიანებული, შემომწვარი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XIV ს.].

[ო თ ხ თ ა ვ ი]. „სახარება მათეს თავისაჲ. წიგნი შობისა იესუ ქრისტჱსი...“ 5r—154v.

წ ყ დ ე ბ ა: „...არამედ მოვალს ჟამი და აწვე არს, ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა...“ (იოვ. 4, 23).

შენიშვნა: ოთხთავს წინ მიუძღვის ოთხივე თავის ზანდუკი: „ესე თავები არს მათჱს სახარებისაჲ...“

მინაწერები: 1. „აცხოვნე, უფალო, სული ნ ო დ ა რ ა ს ი. ამინ, უფალო“. 8r (XV—XVI საუკ. მხედრულით).

2. „ქ. [.....]ნო თავნო სახარებისანო, მათე, მარკოზ და ლუკა და იოვანე. ნუ წამახდენ და ნუ მომკლავ დღემოუჭმელ[ად]. ამას სოფელსა პირის წყლიან[ა]თ მამყოფე და საუკუნოსა [....] სული ჩემი შეივედრე. წმიდაო გიორგი შ ო მ ო რ თ ი ს ა ო, მიცოცხლე ჩემი თვალის სინათლე ბიძია ბ[...] ა თ ა ნ ა ს ე, ნუ შემასწრებ ძმების ზიანსა, მიდღეგრძელე მამა. ამინ, უფალო. ვინცა ეს წაიკითხოთ...“ 22v (XV საუკ. მხედრულით, იმავე ხელით, რომლითაც შესრულებულია მინაწერები 3 და 4).

3. „ქ. წმიდაო გიორგი შ ო მ ო რ თ ი ს ა ო, უშველე ლ ე ლ უ ა ს ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ქალსა. უცოცხლე მამა და სამნი ძმანი, ორი(?) ბიძა. ვინც მათი დღეგრძელობა ბრძანო, ღმერთმან გადღეგრძელოს. ამას ოთხთავნისა მადლო, ჩემი ბიძისა შვილი(?) ბატონი ა ს თ ა ნ დ ა რ მშვიდობით და[ა]რჩინე. ვაჟი [.......]... ზრდელი და ჩემს თავსა ნუ შეაძულვებთ“ (24v).

4. „ვინც ეს წაიკითხო, ამის მადლს [....] დაგაკლოს“ 25v. (მინაწ. 2, 3, 4, რომლებიც ლ ე ლ უ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ქალის ხელითაა შესრულებული ანმეტია).

5. „ქ. ღმერთო და წმიდაო გიორგი შ ო მ ო რ თ ი ს ა ო, უშველე ამის დამწერსა ლ ი პ ა რ ს ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ს ა. ამინ უფალო“. 61r (XV—XVII ს. მხედრულით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1507) **3971**

შარიე-ზადე. კარაბადინი. XIX—XX

73 ფ.; 34,5×21,5; ქაღალდი, მუყაოს ყდაში; მხედრული; XIX—XX; დაუწერელია 1v, 68v—72v.

„მუნთაზაფი შაკა, კარაბადინი ბევრჯელ დაცდილი წამლებისა, გამოკრეფით შედგენილი შარიე ზადის მიერ. პირველი კარაბადინი. — ეჰა დიდება დაუსაბამსა და დაუსრულებელსა მაღალსა მას მეუფესა...“ 1r—66r.

შენიშვნები: 1. კარაბადინი შედგება სამი ნაწილისაგან: „პირველი კარაბადინი“ (2r—36v); „კარაბადინი მეორე, ყოვლის სენის წამალი და მკურნალი ძალითა ღმრთისათა“ (37v—51v); „მესამე კარაბადინი, კარაბადინი მართალი და ჭეშმარიტი, მაჯუნი ჯალინოზისა, მაყავი, ამის ხასიათი ეს არის, კაცი რომ გაუღონოებული იყოს, ნაყოფი დაჰკლებოდეს, და ან თავი და ან წელი სტკიოდეს, ამას ყველას უშველის, კაცობას მოუმატებს“ (52r—68v). თვითეულ ნაწილს ბოლოში დართული აქვს სარჩევი.

2. სათაური ცალკეა მოთავსებული 1r-ზე. ტექსტი იწყება 2r-დან.

3. 66r—68r-ზე ტექსტის ხელით დაწერილია ზოგიერთი რეცეპტი.

მინაწერი: „ეს არის პირი იმ ხელთნაწერისა, რომელიც მოიპოვებოდა წიგნთსაცავში № 1095-ით და რომელიც უკან წაიღო შემომწირველმა“ (ზედა ყდის საცავ ფურცელზე ფანქრით).

3977

ალ. ყაზბეგის წერილები დედისა, დისა და სხვადასხვა პირებისადმი

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ № 157—158, 160—162, 166—168).

3978

სხვადასხვა პირთა წერილები ალ. ყაზბეგთან

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ № 169—181, 184—186, 188, 191—214, 218—219).

3979

დავით ბაგრატის ძის წერილი ალ. ყაზბეგის დედასთან

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 217).

3980

ცნობები ალ. ყაზბეგზე

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ № 156, 175, 177, 221—291).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3981

ავტობიოგრაფიული ცნობები ალ. ყაზბეგის შესახებ და პუბლიცისტური ნაწერები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№№ 1, 2, 3, 4).

3982

ალ. ყაზბეგის სახსოვარი კრებული

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 5).

3983—3985

ალ. ყაზბეგის უბის წიგნაკები № 1, 2, 3.

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 6—8).

(1508)

3986

იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო ენციკლოპედია. XIX

300 ფ.; 34,5×22,5; მოლურჯო ქაღალდი; ქვედა ყდა აკლია, ზედა (მუყაოსი) აგლეჯილია, ფფ. 1—3 ამოცვენილია; ქაღალდის ჭვირნიშანი — 1812 (ფ. 300), 1813 (ფ. 8); [XIX ს.]; დაუწერელია 1rv, 2v.

„ბუნებისმეტყჳჱლება ანუ შეკრება ლექსთა სხჳა და სხჳათა ბუნებითთა ისტორიათაგან, ანბანსა ზედა ასხმითა, რომელნიცა შეადგენენ სამთა სამეფოთა ბუნებისათა, ესე იგი: ცხოველთასა, მცენარეთასა და აღმონაკჳჱთთასა. გინა ილეკროთასა ქვებითურთ, ცხადითა განმარტებითა თჳსებისა, ნიშნებისა და ჴმარებისა მათისათა, და წოდებითა სახელთასა რუსულსა, ლათინურსა და ქართულსა ენასა ზედა, შრომითა და მოღჳაწებითა საქართჳჱლოს მეფის გიორგის ძის იოანნესითა. სანკტპეტერბურღსა შინა 1814-სა წელსა. — Аангинъ Anas hyemalis. გარიელი ფრინველია. ანღუთ. ფრინველი ესე იხუთა გჳარია...“ 2r—300v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის სათაური მოცემულია რუსულადაც 2v-ზე: „Природословіе или собраніе слов трех царств природы, из разных естественных исторій, собранных, и расположенных по алфавитическому порядку, с яснейшим толкованием на грузинском языке свойства, примет и употребления оных, и переводом собственных имен на Россійском, Латинском и Грузинском діалектах, в Санктпетербурге 1814-го года“.

2. ნუსხა, გადაწერილი უცნობი პირის მიერ, ნასწორებია თვით იოანე ბაგრატიონის ხელით. ამის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა, ხელნ. ინსტ. მოამბე, I, 1959, გვ. 231.

მინაწერი: „Гамрекелова“. 2r. იქვე, „გამრეკელოვისა“. „კეთილი იყოს ხსენება იოანნესი, რომელმანცა ცხადათ დაგვიმტკიცა, რომ მეფეთა ძეთაც შეუძლიანთ დიდი განათლების შეძენა და უფრო უმეტესი გონივრული შრომა, რომლის შედეგათ იქმნა სხვათა შორის წიგნი ესე. წავიდა დრო იგი, ოდეს მეფენიც და მათი ძენიც ხანგრძლივი შრომით და ნიჭიერ მართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ჭეშმარიტად ღირსნი იყვნენ ხალხთა მართველათ და მათი სწორეთ რომ მამობრივი შრომა დღესაც იდიდებიან ხალხშია. ნუთუ დავით აღმაშენებელი, ბრწყინვალე თამარ, ვახტანგი, ვახუშტი, თეიმურაზ, ირაკლი, გიორგი, იოანნე და მრავალნი სხვანი დაივიწყვიან ხალხშია? მოდი ერთი ჩვენ უთავბოლო ლიტერატორებს ჰკითხეთ, ყოფილან ქვეყანაზედ ზევით მოხსენებული ხალხი? გარწმუნებთ, რომ ჩვენი რედაკტორები კინტო-ავლაბრულ მახინჯ ენაზედ გიპასუხებენ, რომ ქართველ ხალხში არცა მეფე, არცა ერი, არცა ბერი არ ყოფილა მათთანა განათლებული. 1871 წელსა. სტეფანე გამრეკელი-თორელი".

3987

ალ. ყაზბეგის მოთხრობები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№№ 9—23).

3988

ალ. ყაზბეგის მოთხრობები და ლექსები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ № 22—26).

3989

ალ. ყაზბეგის „ფაქტები"

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 27).

3992

ალ. ყაზბეგის მოთხრობები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№№ 28 — 56).

3993

ალ. ყაზბეგის ლექსები და მოთხრობები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 57—77).

3994

ალ. ყაზბეგის დრამები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№№ 78—87).

3995

ალ. ყაზბეგის დრამები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 88—100).

3996

ალ. ყაზბეგის დრამები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 101—113).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3997

ალ. ყაზბეგის ლექსები

გადატანილია ალ. ყაზბეგის პირად არქივში (№ 114—153).

(1509)

3998

დავით ბაგრატიონი, ნარკვევი. 1818

108 ფ.; 17×11; ცისფერი ქაღალდი, ქსოვილგადაკრულ მუყაოს ყდაში; ჭიანაჭამი; შიგნით აკლია: ჭვირნიშნიანი ქაღალდი, ჭვირნიშანი 1817 წ. (ფფ. 36, 38); 1818 წ. (108r); დაუწერელია 17r—20v, 70r-v.

„დავითის მიერ დავითიან-ბაგრატოვანისა, ქართლისა და კახეთისა მეფის გიორგი მეათ[სამ]მეტისა პირმშოს ძისა, ღენერალ-მაიორი და კავალერის დავითისაგან ქმნილი ისტორიაჲ, რომელსა ეწოდების ნარკჳჱვი. წელსა დასაბამიდგან სოფლისა ჯტჱ, ჴორციელად შობიდგან სიტყვისა ღვთისა ჩყ. ხოლო ქართულსა ქრონიკონსა ჳპჱ, თვესა მარტის რიცხვთა ა. წინასიტყვაობაჲ. წინამდებარესა ამის წიგნისა ნარკუჱვად ზედ წოდებულსა ისტორიისა. — შემოკლებული ისტორიაჲ...“ 2v—107v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი წარმოადგენს 1800 წ. გამოცემის პირს (შდრ. ქართული წიგნი, I № 83). ტექსტს წინ უძღვის: „სადიდებელად წმინდისა ერთარსისა, ცხოველმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა და მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, დროსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა გიორგი მეათსამეტისა მეფისა ყოვლისა საქართველოისასაჲ, და კეთილ მორწმუნისა დედოფლისა მარიამისასა ციცისშვილის ასულისა და კეთილმორწმუნეთა მეფის ძეთა და ასულისათა, კურთხევით უნეტარესისა და უწმინდესისა მეფის ძისა ანტონის პატრიარხისა ყოვლისა საქართუჱლოჲსათა, დაიბეჭდა წიგნი ესე ნარკჳჱვი სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, დასაბამიდგან სოფლის ჯტჱ; ხოლო განხორციელებიდგან სიტყვისა ღმრთისა ჩყ. თვესა მარტის ა.“ (1r). 2v-ზე მოთავსებულია გამოცემიდან გადმოღებული ბაგრატიონთა ღერბი.

2. გადაწერის თარიღი მოჰყვება დაბეჭდვისას: „ივლისის რვას წელსა ჩლუჱ განსრულდა, დიდება ღმერთსა, დაბეჭდულა მარტის 29, ჳპჱ. მუშაკთა წიგნისა ამის შენდობა უბრძანეთ ცთომითა. აპრილის 3, წელსა ქრისტესით ჩლიჱ(!)“ (107v).

3. 68v—69v-ზე, რომელიც თავდაპირველად დაუწერელი ყოფილა, წვრილი ხელით ჩაწერილია ტექსტი სოლომონ II-ის სიგელისა (1805 წ.) ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისადმი (შდრ. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, 1914, გვ. 90—93).

მინაწერი: „შვილო გრიგოლ, ამ წიგნს, სიმონ ამირეჯიბმა თუ ინებოს, თვარა სხვას ნუ აჩვინებ, თვარა სამართლის წიგნივით დაგეკარგვის“. (108v; ტექსტის ხელით(?).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(1510) **3999**

სიბილაიანი. XIX

15 ფ.; 18×11; ქაღალდი, ქაღალდისავე ყდაში; ყდა გახეულია, ფ. 13 ამოვარდნილი. მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 1rv, 2v.

„ს ი ბ ი ლ ა ი ა ნ ი. — გევედრები ახალს ადამს, ადამისა შემოქმედსა. მთვარის ვარსკულავთ ღამის მნათსა, გზისა შუქსა აღმომხედსა...“ 8r—15v.

(1511) **4000**

უთრუთიანი. XIX

18 ფ.; 22×18,5; ქაღალდი, მუყაოს ყდაში; თავ-ბოლონაკლული. მხედრული; [XIX ს.].

[უ თ რ უ თ ი ა ნ ი] „...შესძახა დევსა, მაღალი კლდენი გაპობას ლამისა. სხვას ნურას ნაღვლობ, თუ არ შენ... ამას წამისა“ 1r—18v.
წ ყ დ ე ბ ა: „...დევმაცა ქმნა ამ წერითა, ყოვლი კაცი ამას კჳირავს“.

შენიშვნა: 1. ტექსტში არის მელნით შესრულებული ილუსტრაციები. 2. ყდის საცავ ფურცელზე ტექსტის ხელით ნაწერი ნაწყვეტი კონდაკიდან.
3. ხელნაწერის შესახებ იხ. დ. კ ო ბ ი ძ ე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, 1959, გვ. 231—232.

(1512) **4001**

მითოლოგია. 1869

56 ფ.; 20×17; ქაღალდი, მუყაოს ყდაში, ჭიანაჭამი; მხედრული, სათაურები წითელი მელნით. მთარგმნელი — დავით ბაგრატიონი (1rv). 1868 (56r).

<მ ი თ ო ლ ო გ ი ა>. „შეყვანილება მითოლოგიისა საზოგადოდ. თავი პირველი. — მითოლოგია ანუ ძველი ზღაპარსიტყვაობა არს მოთხრობა ერთათვს ნივთთა და ბუნებითთა მოქმედებათა ღმრთად აღსარებულთა ძველთა წარმართთაგან...“ 2r—48v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ მიუძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა: „ცნობა ისტორიული და ღეოღრაფიული (ზღაპარსიტყუაობა), შეკრება რამდენთამე ძველთა ღმერთებთა (კერპებთა), ელლინთაგან ღვთად აღსარებულთა, თარგმნილი რუსულისაგან, ქართულს ენასა ზედა, საქართველოს მეფის ძის და რუსეთის ღენერალ-მაიორის დ ა ვ ი თ ი ს გ ა ნ. — სიტყვიერთა ცხოველთა ჯერარს სიტყვიერ-ყოფაჲ, გარნა სიტყვიერ-ყოფაჲ, გარდა წერილის ხმარებისა, არა იქმნების, არცა რაჲმე საქმე წარიმართების, რომელზედაცა არს დამატებულ ბედნიერება ცხოვრებასა შინა კაცისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარსა დატკბობასა წერილისასა ადრითგან რომელთამე ერთა ჩუენთა ეწყოთ მოცილება მას შინა, რომელსაცა შინა შთამჭვრეტმან, არა რაჲმე ვიხილე მას შინა ნივთი და მაგალითი ურთიერთისად მძლვანელობითისა წერილისა საჭმარად, გარდა მაგალითთა მიერ ნაზავთათა საღმრთო წერილთათა, რომლისაცა არა ჯერ არს მოღება და აღზელა ესევითარსა წერილსა შინა, გარნა კუალდცა გარდა ამისსა ხმარობენ გარეშეთა მაგალითთაცა ყვავილთა და ღვინოთა, რომლისაცა შორის არს ფრიადი განყოფილება და რომლისაცა ჰნიშნავს უჰაზროსა და მოკლესა ჰაზრისა განვრცობასა, მიბაძვითა სპარსთა წერილთათა, რომელთაცა მოქმედებაჲ ღრმისა შინა ჩაჭურეტასა არა რაჲმესა კიდე ნივთისა ცალიერისა და ჰაზრისა **გლახაკობისასა.**

ამის გამო წერასა შემეცნებისა ერთასა შურითა შეკრულმან გარდამოვიღე რუსულისაგან ენისა სტიხთა და წიგნთა სახმარი და შესაფერისი ესე მაგალითი, რომელ ა მეითტალოგია (ანუ ზღაპარ სიტყვაობა) ძველთა ელლინთაგან ღმრთად აღსარებულთა, რომელიცა არს მრთელისა საბერძნეთისა და ევროპისა ნაცვლად ყვავილთა და ღვინის ხმარებული სტიხის და წიგნისა ურთიერთისად მიმოწერის ხმარებული, რათა ჩვენცა ქონებითა ესევითარის მაგალითისათა ვისწაოთმცა გვარი წერისა და სტიხისა. შესაფერითა ალმქსვეობითა. საქართუჱლოს შეფის ძე ღენერალ-მაიორი დ ა ვ ი თ“ (1rv).

2. ტექსტს მოსდევს „პინაქს სიტყვაობა მეტალოღიისა(!) ქართულსა ალფავიტსა ზედა“ 48v—56r.

3. ამ თარგმანის დედანია მ ი ხ. ჩ უ ლ კ ო ვ ი ს „Краткий мифологический словарь, 1767 ან 1783 წ. გამოცემები (იხ. ტ რ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, 1960, გვ. 265—266).

4. თარიღი მოთავსებულია 56r-ზე: 18 $\frac{11}{18}$ 69.

5. ზედა ყდის შიდა მხარეს ერთმანეთზე დაწებებულია რამდენიმე ფურცელი. ზედ არის დაწერილი სხვადასხვა რეცეპტი, სულ ზემოთ — ლექსი: „აქა ცამან სულსა უასაბიავა და მიწამან ხორცს“.

(1513) **4002**

მხითარ სევასტიელი, რიტორიკა. XIX.

190 ფ.; 17×10,6; ქაღალდი, უყდო; მხედრული, სათაურები წითელი მელნით; [XIX ს.]; გადამწერი — ალექსი ბაქრაძე (ზედა ყდის საცავი ფურცელი); დაუწერელია 2r, 9rv, 29v, 87v.

<მ ხ ი თ ა რ ს ე ვ ა ს ტ ი ე ლ ი>. „თჳს ჴელოვნებისა ს ა რ ი ტ ო რ ი კ ო ჲ ს ა, ესე-იგი სამჭევრმეთქვისა. წიგნი **ა.** თჳს საზღურისა სამჭევრმეთქუოჲსა და წუალებისა ნაწილთა მისთასა. თავი **ა.** მჭევრმეთქუჱობა, რომელიც ითქმის რიტორებად, არს ჴელოვნებაჲ საკეთილმეთქო...“ 10r—187r.

შენიშვნები: 1. წიგნის ვრცელი სათაური, ავტორისა და მთარგმნელის ვინაობის აღნიშვნით, მოთავსებულია 1rv-ზე: „მ ი ხ ი თ ა რ ყოვლად ბრძნისა მოძღუარისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რ ი ტ ო რ ი კ ა, სარგებლად ყრმათა სკოლის შინათა. ქართულსა ჴმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა დავითიან-ბაგრატოვანისა. დროსა უკეთილმსახურესისა ყოვლად უბრწყინვალესისა მეფისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ი ს ა ყოვლისა საქართუჱლოჲსა, მღვდელთ მოძღუარებასა ა ნ ტ ო ნ ი ს ს ა, წელსა დასაბამითგან სოფლისათა 7272, ხოლო განხორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა 1764, თთუჱსა ფებერუალსა, რიცხუსა 10“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ტექსტს წინ მიუძღვის „წინასიტყუაობა, ებისტოლე მიწერილი პლატო-ნის მიერ... ირაკლის მიმართ მეორისა ძმისა თჳსისა (2v—8v).

3. ტექსტს მოსდევს „პინაქსსიტყვაობა“ (188r—190v).

4. ზედა ყდის საცავ ფურცელზე: „რიტორიკა, აღწერილი აზ. ალექსი ბაქრაძისაგან, ქამსა სიჭაბუკისასა“.

(1514) **4003**

პეტრე კლაპიტანოვი. მოკლე კარაბადინი. 1875

16 ფ.; 18×11; ქაღალდი, მწვანე ქაღალდის ყდაში; მხედრული, სათაურები სინგურით; 1875 (14r); გადამწერი — მღვდელი ალექსი ბაქრაძე (14r), გადაწერის ადგილი — სოფელი კალის-იფრალი (14r). დაუწერელია 14v—16v.

<პეტრე კლაპიტანოვი. მოკლე კარაბადინი დარიგებისათჳს ერისა, თუ ვითარი ღონისძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისა ყოველთ გვართ შხამიანთა ცხოველთაგან>. „დარიგება ერისათჳს, თუ ვითარი ღონისძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისასა ყოველთა რიგთა შხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან. წინდაწინ ცნობის მიცემა. — ბუნებითის ისტორიისა მიერ ცნობილ არს, რომელ შხამიანნი ცხოველნი იმყოფებიან ცხელ ადგილებში...“ 2r—14r.

შენიშვნა: ხელნაწერი გადაწერილია ნაბეჭდი წიგნიდან; სრული სათაური ასეთია: „მოკლე კარაბადინი დარიგებისათჳს ერისა, თუ ვითარი ღონისძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისა ყოველთ გვართ შხამიანთა ცხოველთაგან, გამოცემული აქიმის პეტრე კლაპიტანოვისაგან და დაბეჭდილი საფასითავე მისითა, რომელმან დაურიგა უფასოდ ერთა წიგნი ესე რიცხვით 400 ოთხასი. დაიბეჭდა სტამბასა შინა იოსებ იოანესოვისსა“ (1r). შდრ. ქართული წიგნი, I, 1941, გვ. 97 (№ 145).

ანდერძი: „1862 წელსა ნოემბრის თვეში, ამისი ნამდვილი გადმოვსწერე შავად, მთავარდიაკონმან ალექსი ბაქრაძემ, სავანეს ბლალოჩინის მ. იოანე აბაშიძის კანცელარიაში. ხოლო თეთრად გარდავსწერე 1875 წელსა ნოემბრის 27 დღესა, სოფელს კალის-იფრალის წმიდის მიხაილ მთავარანგელოსიის(!) ეკკლესიის გალავანში მღვდელმა ალექსი ბაქრაძემ“ (14r).

(1515) **4004**

სამთვარიო. XIX

13 ფ.; 9,5×15,5; ქსოვილგადაკრულ ხის ყდაში; თავნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 1r—2v, 5v, 13v.

[სამთვარიო]. „...ია ზედნადები თუ იყოს, მას წელსა იყოს ზამთარი თოვლიანი...“ 4r—13r.

შენიშვნა: ფ. 1 უფრო მცირე ზომისაა; მის verso-ზე მოთავსებულია ცხრილი: „სათვალავი ეტლების და საათისა დღიური და ღამის“.

მინაწერი: „Ученик 2 класса Кутаисского Духовного училища Филарет Бакрадзе. 1873 г.“ (ზემო ყდის შიდა მხარეზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1516) **4005**

იოანე ბაგრატიონი. კარაბადინი.

22 ფ.; 22×18; ქაღალდი, ქაღალდგადაკრულ მუყაოს ყდაში; ნაკლული. მხედრული; 1883 (22v); გადამწერი — მღვდელი ალექსი ბაქრაძე (1r, 22v).

«იოანე ბატონიშვილი. კარაბადინი». „...ობა ძნელად იქმნების და ამგვარი სნეული უკეთუ ქრისტიანე იყოს, წმიდას ადგილს ეკლესიათა შინა და მონასტერთა ნაწილთ ნაბანით ალოცოს...“ 2r—22v.

შენიშვნები: 1. 1r-ზე მოთავსებულია სათაური და ცნობა ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ: „კარაბადინი იოანე ბატონიშვილისა ნატალიაერისთვის ბიბლიოთეკიდამ აღმოწერილი 1883 წ. აგვისტოს 8 შღ. ალექსი ბაქრაძისაგან“: ავტორის ვინაობის გარკვევისათვის იხ. შენ. 2, 3, ანდერძი; ნ. აგრეთვე ლ. ქუთათელაძის „იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა“, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, I, 1959, გვ. 229—230.

2. ტექსტში ხმარებული ცალკეული ტერმინები განმარტებულია შენიშვნებში, რომლებიც ფურცლის ქვედა კიდეზეა მოთავსებული, მაგ.: „დეკოხტი საკუთრად სისხლის გასაწმედს წამალს ეწოდება“ (3r). შენიშვნებს მთავრულად უწერია: „იოანე“.

3. კარაბადინის ბოლოს უკანასკნელი მუხლი („თუ ფრჩხილი აიჩნდეს“) ხაზითაა გამოყოფილი, ხაზთან გადამწერის შენიშვნაა კიდეზე: „აქ დასრულდა იოანე ბატონიშვილის კარაბადინი, თვით მისივე ნაწერიდამ გადმოვსწერე. ეს მუხლი ვილაცაა(!) დედოფლის ან დედოფლის წულის დაწერილი იყო და არა ბატონისშვილის იოანესი“ 22v.

4. სათაურს, რომელიც მოთავსებულია 1r-ზე, ქვემოთ სხვა ხელით მიწერილი აქვს ასეთი შენიშვნა: „რომში აღზრდილმან კათოლიკემან ქართველთ გვარისა შარიმანაშვილმან (სტეფანემ), რომელიცა მოკვდა თბილისს 1836 წელსა, ამან შეადგინა ლექსიკონი ბოტანიკური მცირე, ბალახთა და მცენარეთათჳს სამკურნალოთა. შემდეგ იოანე მეფის ძემან დაურთო ესე თვისგან ქმნილს ლექსიკონს. ნ. დ. ჩუბინოვმან შეიტანა ლექსნი ესენი თვისსა ლექსიკონსა, რომელიცა დაბეჭდა შემდეგ დავით ჩუბინოვმან. შარიმანაშვილის წერილი ნამდვილიცა და თარგმნილიცა ქართულად აქვნდა დავით თუმანიშვილსა, ეგნატ თუმანიშვილის ძმასა (გარდაიცვალა 1832 წ.). ვის დაშთა იგი, არა ვუწყი (იხილე ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის, 1895 წ. დაბეჭდილი ტფილისს, გვერდი 240)“. ამავე ხელით კიდეებზე ჩამოწერილია საკითხები, რომელსაც ესა თუ ის პარაგრაფი ეხება.

5. ზედა ყდას შიგნიდან აკრავს ერთი ფურცელი ხელნაწერი გრამატიკისა.

ანდერძი: „1883 წ. ივლისის 28 დღესა, მისმა ბრწყინვალებამ კნეინა ერისთვისა ნატალიამ თავის ბიბლიოთეკაში აღმომარჩევია — და ამას მეტი კარაბადინი არ ჰქონია — მხოლოდ იოანე ბატონიშვილის ხელით ნაწერი ლურჯ ქაღალდზედ (ლურჯი ქაღალდი იყო გაკეთებული, ფაბრიკის ბეჭდით 1796 წლისა) ექვსი რვეული (და ორი ფურცელი თავში რომ სწერია). ამის მეტი აღარ იყო, და იქიდამ ამოვიწერე. არც ქორონიკონი, არცა წინასიტყვაობა არ ქონდა. მე ამით ვამტკიცებ იოანე ბატონიშვილის ნაწერათ, რომ პირველი ტომი კალმასობის წიგნი დაწერილი კნიაზ ღენერალ-ლეიტენანტს ნესტორ დიმიტრისძე წერეთელს აქვს, თვით იოანე ბატონიშვილის აღწერილი და მას გავდა ნამდვილ უცვალებელად, რომ ამაში ეჭვი არ არის და მისთვის გულსმოდგინედ აღვსწერე. მღვდელი ალექსი ბაქრაძე. 9 აგვისტოს 1883 წ.“ (22v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1517) **4006**

პილატეს რაპორტი. XIX

7 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდის ყდაში; მხედრული, სათაური წითელი მელნით; [XIX ს.].

„რ ა პ ო რ ტ ი ესე ქჳემორე თარგმნილი არს წიგნისაგან ქმნილისა იაკობ ძმისა უფლისა. და დაბეჭდილი არს კონსტანტინეპოლის შინა, წელსა უფლისა **ჩყთ**-სა. — გონებითა დაბრმალმან, ჭკუჳთ სუბუქმან და ჭეშმარიტებასა ზედა ღმრთისასა იჭჳნეულმან უსჯულომან პონტოელმან პილატე. იხილა რა ფიცხელნი და სიცრუვით აღსავსენი შესმენანი...“ 1r—7v.

(1518) **4007**

ლოცვა სინანულისა. XIX

6 ფ.; 22,5×17,5; ქაღალდის ყდაში; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 6v.

„ლ ო ც ვ ა ს ი ნ ა ნ უ ლ ი ს ა, ძველი ხელნაწერიდამ ამოწერილი 1797 წლისა, ხელითა ვისიმე მღ. იოანესგან. — სახიერო და მრავალ მოწყალეო მეუფეო...“ 1r—6r.

შენიშვნა: 1. ბოლოში ტექსტის ხელით განმეორებულია ცნობა, რომელიც სათაურის შემდეგაა მოთავსებული: „ერთი ძველი ნაწერი წიგნიდამ, რომელიცა დაწ)რილ იყო 26 ფებერვალს 1797 წელსა, ხელითა ი ო ა ნ ე ს ი თ ა“ (6r).

2. ზედა ყდას ქვევიდან აკრავს ფურცელი, რომელიც ნაწილი უნდა იყოს ხელნ. S—4009-ისა („ათონის მთის გზის მასწავლებლისა“).

(1519) **4008**

ანტონ I, გრამატიკა (ფრაგმენტი). XVIII—XIX

4 ფ.; 28×22; ქაღალდი, უყდო; მხედრული, სათაურები მთავრულით, სინგურით; [XVIII—XIX სს.].

[ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი]. „თ ჳ ს ჴ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა თ ჳ ს ღ რ ა მ მ ა ტ ი კ ო ს ო ბ ი თ ი ს ა. ნაწილი პირჳელი, რომელსა შინა მდებარე არიან მარტივად თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად არიან ღრამმატიკასა მოწაფე ქმნილთა. თავი პირველი, ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1. რიცხვსა შორის ჩჳენ მიერ განჰსჯით შემოყჳანილნი ბრჳ-[ნუ]ანი სახელთანი არიან რუა...“ 1r—4v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ხოლო ესე განსაჯენ, სახელ-ედების ბრუნჳათა გარდაცემასა...“.

შენიშვნა: გრამატიკის ტექსტი ეკუთვნის რედაქციას, რომელიც გამოცემულია: „ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ა ნ ტ ო ნ I-ის მიერ“, თბილისი, 1885 წ. ფრაგმენტი მოიცავს ნაბეჭდი ტექსტის 6—16 გვერდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1520) **4009**

ათონის მთის გზის მასწავლებელი. XIX—XX

34 ფ.; 35,5×22; მდარე ქაღალდი, ქაღალდისავე ყდაში; მხედრული; [XIX—XX სს.].

„წ მ ი ნ დ ა ა თ ო ნ ი ს მ თ ი ს გ ზ ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი... სამხრეთის მხარეს ევროპისა, რომელი კეთილ შეზავებული ჰაერით და ბუნებით ნიადაგ მწვანილოვანია, მდებარეობს განცალკევებით მცირე ნახევარ კუნძული...“ 1r—34r.

შენიშვნები: ტექსტს მოსდევს სარჩევი და ზოგიერთი ძნელი სიტყვის განმარტება. (34rv). 1r-ზე სათაურის შემდეგ მოთავსებულია ნაწყვეტი ათონის ბერძნული აკოლოთიიდან: „იხარებდ, უფლისა მიერ წმიდად სახელდებულო ათონ...“.

2. ტექსტი უნდა წარმოადგენდეს თარგმანს რუსულიდან; ამას მოწმობს სათაურიც: „წმიდა ათონის მთის გზის მასწავლებელი და ღირსსახსოვარ შერაცხელ წმიდათა ადგილთა მაჩვენებელნი 29 მონასტრების სურათით. ათონის ქარტით და სადაყუდებულო სავანეებით, მეხუთედ გამოცემული 1888 წ.“ (1r). ხელნაწერი თარგმანის შავის შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით თავში: ბევრია გადაშლილ-ნასწორები ადგილები. აქა-იქ ტექსტში რუსული სიტყვებიც ურევია, მაგ. „სადაფის ნიჟარა (перламутровая раковина) “(23 r);„которые разделены на четыре пятерицы—რომელნიც განიყოფებიან ოთხ ხუთეულად“ (24r).

(1521) **4010**

კარაბადინი. XIX—XX

10 ფ.; 26×21,5; ქაღალდი, დაშლილი, მუყაოს ყდაში; [XIX—XX სს.]; დაუწერელია 10v.

<კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი>. „შეწევნითა ღვთისათა. ახლა ვიწყოთ: ვინაიდან არაბიის ანატომია ესრეთ გვიცხადებს, რომელ: რადგან კაცი ოთხი ნივთაგან არის გაჩენილი...“ 1r—8v.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს გადამწერის ხელით: „ჵ მოწყალეო მამავ! გაფუცებ თქჳნს სამღთო მადლს, რომ ესე ულირსი და წასაკითხავად ულირსი ერთხელ მაინც ინებოთ და თავიდგა[ნ] ბოლომდინ წაიკითხო. და ერთისა ოდენ გულის ხმა ჰყოთ, თუმცალა სისტემაზე არა არს გაწყობილი და შეთხზული. გარნა გახსენებაცა ერთ რამეთ შეირაცხვის, ვგონებ! თქმული არს, რომელ ჯუჯა ძაღლმა ნადირს რომ მოგიდენოს, ისიც დაჭირვად შეირაცხებაო... და სხვანი“ (8v).

2. 8v-ზე მოთავსებულია სარჩევი, მას მოსდევს ტექსტის ხელით ნაწერი „დედო ჭიის წამალი“. ქვევით ფურცლის ქვედა კიდეზე, ტექსტისავე ხელით: „1893 წ. № 72. აპრილის 10 „ივერია“. ერთი მცენარე აღმოუჩენიათ, რომელსაც თურმე აზიაში ხოლერის წინააღმდეგ ხმარობენ და უებარ წამლად მიაჩნიათ. ამ მცენარესა ჰქვიან „Fepula Sumbul სუმბულ“.

3. ფფ. 9—10 უფრო პატარა ზომისაა; მათზე მოთავსებულია განსხვავებული ხელით ნაწერი ლექსი „ღმერთო ისმინე ვედრება, თხოვნაცა მომისმინეო.
ნიჭსა მოვითხოვ მოყვრისგან, მადლიცა მომივლინეო...“ (9r—10r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გარეკანზე დაწებებულია ქაღალდი, რომელსაც აწერია: „კარაბადინი, ი. ი. ასათიანისგან მოწაფისა ჩემისა სახსოვრად მისდა ჩემდამდე მიც[ემული]".

(1522) **4011**

იერონიმე ალათანგელოზის წინასწართქმული. 1822

9 ფ.; 21,5×13; ქაღალდი, ტყავის ყდა; ფ. 1 ამოვარდნილია. 1822 (9r). მთარგმნელი—გიორგი ავალოვი (9r); გადამწერი გიორგი ტერტერაშვილი (9r). გადაწერის ადგილი—პეტერბურგი (9r).

„წინასწართქმული ნეტარის იერონიმე ალაფანგელისა, წმიდისა ვასილი დიდისა მონაზონების ორდენისა, მომხდარი მესსინსა, რომელიცა არს სიცილიისა შინა 1279-სა წელსა შობით ქრისტესით, ესრეთ ვითარმედ ღმრთისა მიერ გამოჰსცხადებიეს მას. შემდგომად მედიოლანს წელსა 1555-სა გამოცემულ არს ქუეყანად ღირსისა მამისა იერემიას მიერ, და თარგმნილ არს ლათინურით ელინიკა (!) ენასა ზედა მაღალ ღირსისა არხიმანდრიტის ფეოკლიტე პოლიიდინის მიერ.—მე, ძმამან იერონიმე ალაფანგელმან, ცოდვილმან და უღირსმან მონამან ღმრთისამან, დავჰსწერე მართლითა განჰსჯითა, რაჲცა სახიერმან ღმერთმან ამას 1279 წელს შინა შემდგომად ქრისტეს შობისა კვირას დღეს ცხად-მიყო მე..." 1r—9r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ფურცლებს კიდეებზე შემოწებებული აქვს ნაბეჭდი წიგნიდან ამოჭრილი ვინიეტები.

2. მთარგმნელის ვინაობა ნაჩვენებია ტექსტის ბოლოს: „ითარგმნა რუსულის ენიდამ ქართულად 1821 წ. დეკემბრის 13 სანკტპეტერბურღს თავადის გიორგის ავალოვის მიერ" (9r).

3. 9v-ზე მოთავსებულია 6-სტრიქონიანი ლექსი: „სულო ცოდვილო, სულს გარდაიქეც მტერთა..."

ანდერძი. „ბრძანებისაებრ მისის უმაღლესობის იმერეთის დედოფლის ანასი ს. პ. ბურღს სრულ იქმნა 1822 წ. ნოემბრის 21. მწერალი გიორგი ტერტერაშვილი" (9r).

(1523) **4012**

მადლთა, სათნოებათა და ცოდვათა ხრწნილებისათჳს. XIX

32 ფ.; 22×17; ქაღალდი, მუყაოს ყდაში; თავ-ბოლო ნაკლული; [XIX ს]. მხედრული.

<ახსნა მადლთა, სათნოებათა და ცოდვათა ხრწნილებისათჳს.> ...ითხო, ისე იგი, რომლითა ვის გული უთქმიდეს გრძელ ცხოვრებასა..." 1r—32v.

წყდება: „...მებრ ამისა ჰსცნენ სხუაჲ... და სხჳსა მიმართ ესრეთ, უკეთუ მოწაფე...".

შენიშვნა: სათაური მოთავსებულია ყდაზე დაწებებულ ქაღალდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1524) **4013**

ამბავი მაჰმადისი. 1861

32 ფ.; (64 გვ.) 17,5×11; ქაღალდი, მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები წითელი მელნით; 1861 (გვ. 62); გადამწერი ალექსი ბაქრაძე (გვ. 62); დაუწერელია გვ. 64.

„ამბავი მახმადისი. თარგმანთა შინა ფსალმუნთასა შემოხმული და წიგნთაგან მახმადიანთასა გამოღებული და ნათესაობა მათი.—გალობა ფსალმუნი ასაფისი. პდ. ესე ფსალმუნი წინაწარმეტყუელმან დავით აგარიანთა ნათესავისა და ისმაიტელთათჳს თქუა...“ გვ. 1—63.

შენიშვნა: ყდაზე დაკრულია გამოჭრილი ფურცელი, რომელსაც აწერია სათაურად „ამბავი ისმაიტელთა“.

ანდერძი: „აღვჰსწერე წიგნი ესე განმარტებაჲ პბ ფსალმუნისა დიაკონმა ალექსი ბაქრაძემ, რომელიცა მოგვითხრობს გამოწულილვით მახმადიანთა ჰსჯულსა და სარწმუნოებასა, ყოველთა კეთილმსახურებისაგან გარე განვრდომილთა. ქრისტეს აქედ ჩყჲა-სა ოკდონბერს 19-სა“ (გვ. 62).

(1525) **4014**

კრებული. XIX

78 ფ.; 21,5×18; ქაღალდი, მუყაოს ყდაში; ბოლონაკლული; ჭვირნიშანი—1816 წ. (ფ. 13); [XIX ს.].

1. „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სრულ სხეულობით ორკერძოვე. ძველისა, ახლისა წიგნთა წერილთა განრჩევით გამოკრებულნი: კლემაქსისაგან, დიდისა ვასილისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხვათა წმიდათა მღდელთმოძღუართა მამათა, მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა სოლომონ და ზირაქისათა და გარეშე წიგნთა: პლატონ, სოგრატი, მენიანდრომ და სხვათა ფილასოფოსთა მიერ თქმული კლემაქსისაგან.—ყოველთა, რომელთა გენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოვების მათ...“ 10r—32v.

2. „აპოთეღმა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესისა მასწავლელთა სიტყვებთა წიგნი სამი, ხოლო მათ შინა არიან დადებულნი კითხვა-მიგებანი, ცხოვრება და ქცევა და იგავნი, რომელ არიან სახის მეტყუელებანი და მეტყველება სხვათა და სხვათა ფილასოფოსთა შემოკლებულთა სიტყვათა და მიგებათა. წიგნი პირველი. მოკლედ სიტყვის-გება სოგრატის სწავლა პირველი. თარგმნული და სხვათაცა ფილასოფოსთა, რუსულისაგან ქართულს ენაზე ერასტი თურქისტანისშვილისაგან. კეთილის კაცისაგან წესი ეს არ არის, კაცს პირში აქებდეს და უკან სძრახევდეს...“ 32v—69v.

შენიშვნა: „აპოთეგმატას“ ტექსტს მოსდევს პირდაპირ, რაიმე გამოცალკევების გარეშე, რამდენიმე სხვადასხვა თხზულების ფრაგმენტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) „ვინც ეს ლოცვანი სინანულითა და მხურვალითა გულითა მუჴლთ მოდრეკით წართქვას, მტერთა ჴელთა არა შთავარდეს...“ 69rv.

ბ) უცნობი ავტორის ლექსი „ფილასოფოსთ უწერიათ, სწორე არის მათი მცნება...“ 70r. ასეთი ლექსი გამოქვეყნებულია „ხელნაწერთა აღწერილობაში“ (Q ფონდის I ტომი, № 166, გვ. 185). გამოქვეყნებულ ტექსტში ათი სტროფია. აქ მოთავსებულია გამოქვეყნებული ლექსის პირველი, მეორე და მეხუთე სტროფები, ცოტა ქვემოთ, ლოგიკის ნაწყვეტის შემდეგ, კიდევ 5 სტროფი (ნ. ქვემოთ, შენიშვნა დ).

გ) ნაწყვეტი ლოღიკიდან: „არსება—სხეულად, უსხეულოდ; სხეული—სულიერად, უსულოდ; სულიერი—მგრძნობელ-უგრძნობელად...“ (70r—72r).

დ) უცნობი ავტორის ლექსის გაგრძელება (იხ. ზემოთ, შენ. ბ). აქ მოთავსებულია დაბეჭდილი ტექსტის 6—10 სტროფები. გამოქვეყნებული ტექსტის ბოლო სტროფი შეეხება ენის თვისებებს. ხელნაწერ Q 166-ში, როგორც ჩანს, ლექსი დამთავრებული არაა, რადგან აქ, გამოქვეყნებულს გარდა, გვაქვს კიდევ 5 სტროფი, რომელიც შინაარსეულად გამოქვეყნებული ტექსტის ბოლო სტროფს აგრძელებს. მოგვყავს ეს უკანასკნელი და მის შემდეგ გამოუქვეყნებელი სტროფებიც:

„ენა წყარო მწყურვალთათვის, ენა ცეცხლი კაცთ[ა] მწველი,
ენა ნუგეშ მწუხარეთა, ენა მახვილ გამკვეთელი,
ენა ნათელ ბნელთა თვალთა, ენა სრულად დამშრეტელი,
ენა ბოროტთ მომქცეველი, ენა სიტყვით მრავალთ მკვლელი.
ენა კეთილ აღმომთქმელი, ენა მკბენარ ვითარ გველი,
ენა ტკბილი ვითა გოლი, ენა მწარე ვით ნავღელი,
ენა ნათელ ვით ნათელი, ენა უკუნს უფრო ბნელი,
ენა სოფლის მშენებელი, ენა სრულად აღმომფხვრელი.
ენა აღძრვის გულის წყრომად, ენა კაცსა დაამშვიდებს,
ენა ასწავლის კაცს სიბილწეს, ენა კაცსა განაახლებს,
ენა გახდის ავაზაკად, ენა ღმერთა მიაახლებს,
ენა შეიქმს კაცთა მტერად, ენა ბრძენად დაასახებს.
ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა მკურნალ სნეულთათჳს, ენა მთელთა ლახვრის მკვრელი;
ენა სული სულთმობძრავთა, ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი,
ენა სევდის უკუმყრელი, ენა ქვეყნის შეცამძვრელი.

(უკანასკნელი სტროფი ჩვეულებრივ დამოუკიდებლად ცალკე ლექსის სახით არის შესული ხელნაწერებში, მაგალითისათვის იხ. S:1512, № 223. ზოგიერთის ვარაუდით, მისი ავტორია თ ე ი მ უ რ ა ზ I. ნ. აღწერილობა, A ფონდი, ტ. V, გვ. 66).

მწირ ვიყავ ამ ქვეყანასა, უცხო თესლი გადმოვარდი,
მეფემ მანად შემიყვანა, ნათელმცა და არ დავარდი,
შვილი ვიყავ სულიერი, ვით მართებდა შეუყვარდი,
ცოდვამ ჩემმან ასე მიბრკმა, სახლით მისით გამოვარდი.
იგი პირველ დაუსაბამო განგებით დასაბამობდი.
ჩვენ უკვდავება შეგვმოსე, შენ ჩვენის ჴორცით გვშობდი,
ქვე კაცთა იხილვებოდი, ზე ნათლად უღამობდი.
ოდეს მოხვიდე განკითხვად, ჩემთვის ნუ შემრისხანობდი“ (72v—73r).

ე) ზღაპრის ტიპის თხრობის ნაწყვეტი: „მეფე იყო ერთი რომელსამე ადგილსა და შვილი არა ყვანდა...“ (73rv). ბოლოს სწერია: „ამ ანბავს აკლია, სადაც ნახოთ, დასწერეთ“.

3. „თვესა ოკდომბერსა კვ, წამება წმინდისა დიდებულისა მოწამისა დ ი მ ი ტ რ ი ს ა. მამაო გვაკურთხენ.—მას ჟამსა შინა უსჯულომან მეფემან მაქსიმიანემ დაიმორჩილნა გუთანი...“ 74r—78v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ხოლო მრავალნი სასწაულნი და საკვირველებანი ქმნა, სადაცა გზა მიახლის...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ფფ. 1—8 განსხვავებული, სქელი ქაღალდისაა. მათზე მიწერილია შემდეგი ლექსები:

ა) ნაწყვეტი ბიბლიურ სიუჟეტზე დაწერილი პოემისა: „დედოფალმან ნება დართო, გულსა მძიმედ ახვნეშინა...“ (22—4r). ფრაგმენტში შედის თავები: „წარსლვა ბრძნისა მის დედოფლისა სმენად სიბრძნისა მის სოლომონისა, რომელი გვეუწყების წმიდითა მით სახარებით (!)“; „ანდერძი დავით მეფისა, ვითა უბრძანა ძესა თვისსა სოლომონს“.

ბ) „ხუთი წელს იქით, თქვენც იცით, განგება მოგვცემს თავის ძღვენსა...“

გ) „ამბავსა სხვასა დავიწყებ:—აქა იქით გამოურევ პირველ (5r).
რუსთვლის დასაწყისსა...“ (6rv).

დ) „ცოლ-ქმარობისათვის.—სიცოცხლის მიჯნურობაზედ ნუ მიჯნურობთ, კეთილია ესა მცნება...“ (6v).

(1526) **4015**

იოსიპოს ფლავიოს, იუდებრივისა სიტყუა ძველობისა. XIX

109 ფ.; (II+214 გვ); 34×22; ქაღალდი, კარტონის ყდაში; მხედრული, სათაურები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია გვ. 213—214.

„იოსიპოს ფლავიოს. იუდებრივისა სიტყვა დასაბამობისა, წიგნი პირველი. წინათ საწყი ყოვლისათვის მოქმედებულისა.—მნებებელთა აღწერად მოთხრობისათა არა ერთისა არცა მასვე გხედავ ქმნილთ მიზეზსა..“ გვ. 1—214.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში მოთავსებულია ფლავიოსის სიტყუა დასაბამობის I, II, III, IV, V, VI წიგნები. თვითეულს წინ უძღვის სარჩევი (ნ. Irv, გვ. გვ. 35, 73—74, 107, 139, 171). IV, V, VI წიგნებს სათაურებში შეცდომით ეწოდება შესაბამისად პირველი, მეორე, მესამე; ბოლოში კი (გვ. 212) სწორადაა აღნიშნული: „დასასრული მეექვსისა წიგნისა“.

2. ტექსტს წინ უძღვის: „იოსიპოს ფლავიოს, აღმწერელი იუდაებრივთა ძველის სიტყვაობათა, ცოცხლებდა პირველად ვიდრემე ას წლეობასა შემდგომად ქრისტეს მაცხოვრის გარდამოსლვისა...“ (IIrv).

(1527) **4040**

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა. XVII—XVIII

5 ფ.; 16×11,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; ნუსხური; დასურათებული; [XVII—XVIII სს]; დაუწერელია: 1r 2r, 3r, 4r, 5r.

[შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა.] „1. ურჩება, 2. სიქადული ქნინისა კეთილისა..“ 1r—5r.

შენიშვნა: ხელნაწერი ილუსტრირებულია; თვითეული ფურცლის recto-ზე შემოხაზულია ჩარჩო; ჩარჩოთი შეკრული სივრცის ქვედა ნაწილში დახატულია გული, რომელშიც შიგნით ჩახატულია ამათუიმ ცოდვის სიმბოლიურად გამომხატველი ცხოველი, სათანადო ცოდვა წარწერაზეა აღნიშნული: ფარშევანგი—ამპარტავნება, გველეშაპი—შური, ლომი—მძვინვარება, ძაღლი—ნაყროვანება, თხა—არაწმიდება. ჩარჩოს ზედა ნაწილში ჩამოწერილია ნაირსახეობანი ამათუიმ ცოდვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4052

სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანისა და სხვათა პირადი წერილები

გადატანილია Varia-ში (№№ 45—54).

(1528) 4088

აია სოფიას აღშენება. XIX

12 ფ.; 21,5×16; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; სათაური სინგურით; [XIX ს.]; გადამწერი—მღვდელი ალექსი ბაქრაძე; დაუწერელია: 1rv, 12rv;

„უწყება და თხრობა აღშენებისათჳს დიდებულისა აია სოფიას, ესე-იგი (წმიდა სიბრძნისა ღვთისა) ტაძრისა; ესრეთ აღეშენა პირველ და შემდგომად ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლის ახალსა ჰრომსა.—დიდი ღვთისა სიბრძნისა (წმიდა სოფია) ეკკლესია, პირველ აღაშენა კონსტანტინე დიდმან...“ 2r—10v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემულია ხელნაწერ S—3345-ის მიხედვით. იხ. Е. Такаишвили, Описание . . . , I, გვ. 585—600. წინამდებარე ხელნაწერიც აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. იხ. ხსენ. თხზულ., გვ. 701—703; აღწერილობაში აღნუსხულია ის ვარიანტული სხვაობები, რომლებსაც ხელნაწერის ტექსტი აჩვენებს გამოცემასთან შედარებით, ე. თაყაიშვილის ცნობით, ხელნაწერის გადამწერია მღვდელი ალექსი ბაქრაძე.

2. ტექსტს ერთვის ვახტანგ VI-დმი მიძღვნილი ლექსი:
„ღმერთო, რომელმან ინებე, შეჰქმენ სოფლისა შენება,
დაბადე ზღვა და ხმელადი, ამათ მოჰფინე შვენება...“ (10v—11v).

(1529) 4148

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. XIX

344 ფ.; 21×17; ქაღალდი, მუყაოს ყდაში; მხედრული; ჭვირნიშანი 1824 (ფფ. 5,36); [XIX ს.]; დაუწერელია 1v—2v, 11v, 36v, 56v.

<სულხან-საბა ორბელიანი>. „სიტყუის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ა—ანი არს პირველი ასო და ჴმოანი და ართრონი მრავალ რიგად...“ 12r—344v.

მთავრდება: ...„პტული—პირჳწლ ნაყოფი“.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს ფურცლები არ აკლია. შესაძლოა, ტექსტი გადმოწერილია ნაკლული დედნიდან, რომელიც აქ წყდებოდა; დასაშვებია ისიც, რომ ტექსტი ლექსიკონისა ორ ნაწილად იყო აკინძული. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ზედა ყდის საცავ ფურცელს აწერია: „Кванчатира [дзе] (შდრ. მინაწ. 2) წ. I“.

2. ტექსტს წინ მიუძღვის: ა) „ანბანი პირველი სასწავლო ყრმათათვის“ (3r); ბ) „მეორე სწავლება ანბანთ რიგისა“ (3v); გ) „მესამედ სწავლა ანბანურად“ (3v—4r); დ) „ანბანთ რიცხვით სწავლანი თუ რომელნი რაოდენთა რიცხვთა იტ-

ყვიან“ (4r—6r); ე) „საქცევნი ხუთთა ხმოვანთა ასოთანი“ (6v—8r); ვ) „ანდერძ-ნამაგი ამის მუშაკისა“ (8r—10r); ზ) „ესე ოთხნი ნიშანნი ქუეყნის მზომელობი-სანი არიან“ (10v); ჱ) „ეს ნიშნები სადაცა სხენან, მიგასწავლის, ცხოველი არს [თუ] მცენარე“ (10v—11r).

3. ლექსიკონი A რედაქციისა არის.

მინაწერები: 1. „ეს ლექსიკონი ეკუთვნის აზნაურს ა ნ ტ ო ნ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ს და ღმერთმან მოახმაროს კეთილ დღეობასა შინა, რომლისა ფასად მიეცა...“ (1r).

2. „1888 წელსა აპრილის ე-სა დღესა გარდაიცვალა ი ა კ ო ბ, იგივე ჩ ი თ ა-ნ ა ი კ ვ ა ჭ ა ტ ი რ ა ძ ე თ ბ ი ლ ი ს შ ი, დასაფლავდა კ უ კ ი ი ს მართლმადი-დებლების სასაფლაოზე“ (ქვედა ყდის საც. ფ.).

(1530) **4284**

წმ. ნინოს ცხოვრება. XIX

12 ფ.; 21╳16,5; ქაღალდი; ქაღალდის ყდაში; ნუსხური; სათაური სინგურით; [XIX ს]; გადამწერი ალექსი ბაქრაძე.

„თუესა იანვარა(!) იდ, ც ხ ო რ ე ბ ა ჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოცი-ქულთა სწორისა ნეტარისა ნინასი. გ. მ. — მათ ჟამთა ოდეს იწამა წმიდაჲ და ყოვლად ქებული და დიდებული მთავარმოწამე გ ი ო რ გ ი კ ა პ პ ა დ უ კ ი ე-ლ ი, მასვე ჟამსა შინა და ამასვე ქალაქსა შინა კაცი ვინმე იყო...“ 1r—12v.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოგვიდგენს ნ ი ნ ო ს ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციას. ტექსტის დასაწყისში მხედრულად სწერია: „ნეტაფრასი ნ ი ნ ა-ს ი“ (1r).

2. ტექსტის ბოლოს მოთავსებულია: „უწყებაჲ ჯერ არს, თუ მეფენი ქ ა რ-თ ლ ი ს ა ნ ი ვიეთნი ტომნი იყვნეს, რამეთუ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მეფემან ვითარ-ცა დაიმორჩილა ყოველი, მაშინ ქ ა რ თ ლ ი ს ა იხილნა ნათესავნი სასტიკნი ნა-თესავნი (!) წარმართნი...“ (11r—12v).

3. ქვედა ყდა წარმოადგენს ფურცელს რუსულ—ქართული ხელნაწერი ლექ-სიკონისა.

4. ხელნაწერი აღწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. იხ. Описание..., II, გვ. 702.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ამისი მწერალი ა ლ ე ქ ს ი ბ ა ქ რ ა ძ ე, ძმა-ნო, ამისი დედანი სხჳსი იყო და მაჩქარიდა, და სიჩქარით წარვსწერე და ნუ მწყევთ სიჩქარისათჳს; ვინც შენდობა მიბრძანოს, ღმერთმან იმასცა შეუნდოს“. (12v).

(1531) **4432**

იოანე ქართველიშვილი, ქართული გრამატიკა. 1809

69 ფ.; 21,5╳16,5; ცისფერი ქაღალდი; მუყაოს ყდაში; ჭვირნიშანი 1808 წ. (ფ. 1) და 1809 წ. (ფ. 68); გადაწერის თარიღი 1809 წ. (65v); ავტოგრაფი (65v), დაუწერელია: 1v, 2rv, 5v, 6rv, 20v, 21v, 66r—69v.

<ი ო ა ნ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ო ვ ი> „ქ ა რ თ უ ლ ი ღ რ ა მ მ ა ტ ი კ ა.—§ 1. ღრამმატიკა არს ჳსწავლა ჴელთმძღუჳანჳწლო კანონიერ უბნობისა და მართლ-წერისადმი...“ 7r—65v.

შენიშვნები: 1. სრული სათაური მოცემულია 1r-ზე: „ქართული ღრამმატიკა, შეთხზული ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის მოძღურის პროტოპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პის იოანე ქართველოვისაგან საჴმარად მისვე სასწავლებელისა. 1839 წელსა ტფილისს".

2. ტექსტს წინ უძღვის: ა) „წინათუწყება მკითხჳელთადმი. — თუმცალა ცნობა კანონთა ღრამმატიკისათა კმად აღწერილ არს განსჳენებულისა საქართჳელოს კათოლიკოს პატრიარხის ანტონისაგან მის მიერ ქმნილსა ღრამმატიკასა შინა, გარნა ვინაჲთგან სივრცისა გამო მისისა არა ადვილ ძალუცსთ ჰსწავლად იგი მცირწლოვანთა(!) ყრმათა, ამისთჳს და გულსმოდგინებისა ძლითცა თანამდებობისა ჩემისადმი, ეგრეთვე სასარგებლოდცა ყრმათა თანამემამულეთა ჩემთათა დავშჳერ შეთხზჳსა შინა წინამდებარისა ამის წიგნისასა. ჴელმყოფმან აღწერად ამისსა ვიმეცადინე მჰსგავს ყოფად სისტემაჲ მისი როსსიულისა ღრამმატიკისა თანა, ხოლო სხუანი კანონი(!) ლექსთწარმოებისა და ლექსთთხზულობისანი დავჰსდე ყოველნივე ესრეთნი, ვითართაცა მოითხოვდა თჳსება ქართულისა ენისა. ამას შინა ხმარებულნი წოდებანი რომელთამე სიტყჳს ნაწილთ-მდევართანი, ეგრეთვე განყოფილებანი მათნი და სხუანი, თუმცალა არიან სახელდებულ ახლითა გჳარითა, გარნა არა წინააღმდეგად სხუათა ღრამმატიკათა ქართულსა ენასა ზედა ქმნულთა, არამედ მსუბუქ და უსრულეს ცნობისათ ჴელოვნებისა ამის ყრმათა მიერ როსსიულისა ენისა მოსწავლეთა. ვსასოებ რომელ გულსმმოდგინებული ამისადმი შემძლებელ იქმნების მოპოებად სარგებელობისა მცირისა ამის შრომისა ჩემისაგან, ხოლო უსრულესად მეცნავი ამის ჴელოვნებისა, უკეთუ ჰპოებს მას შინა ნაკლულევანებასა რასამე არა ძიებულ მყოფს მე მისთჳს, არამედ თჳთ იმეცადინებს სრულ ყოფად მისსა. პროტოპოპი იოანე ქართჳელოვი" (2rv).

ბ) „განყოფა თავთა ზედა".

ღრამმატიკისათჳს § 1;

ნაწილი პირველი, მართლწერისათჳს, § 2;

თავი 1. ასოთათჳს და განყოფილებათა მათთა, § 4;

2. მარცჳალთათჳს და ლექსთა, § 10.

3. ნიშანთათჳს ტრიქონთა შინათა და ტრიქონთ ზენათა, § 13;

ნაწილი მეორე, <წარმოებისათჳს ლექსთასა>.

1. სახელთათჳს და განყოფილებათა მათთა, § 18;

2. თჳსებათათჳს ანუ მდევართა სახელთა, § 26;

3. ნაცჳალსახელისათჳს, § 42;

4. ზმნისათჳს, §58;

5. შეცჳალებათათჳს და დაბოლოებათა ზმნათა ორთავე უღლჳლებათათა სხუათა და სხუათა დროთა შინა და სქესთა, § 90;

6. მაპიროვნებელთათჳს და მამრავლებელთა ზმნათათა, § 114;

7. უკანონოთათჳს ზმნათა, § 121;

8. მიმღეობისათჳს, § 126;

9. თანდებულისათჳს, § 131;

10. ზმნისზედისათჳს, § 134;

11. კავშირისათჳს, § 136;

12. შორისდებულისათჳს, § 138.

ნაწილი მესამე, ლექსთთხზულებისათჳს ანუ სინტაქსისა, § 140;

1. შეთხზჳსათჳს არსებითისა სახელისა არსებითისა თანა სახელისა, § 144;

2. შეთხზჳსათჳს ზედშესრულისა სახელისა, § 148;

3. ჴმარებისათჳს ნაცუალსახელისა, § 152;

4. შეთხზჳსათჳს ზმნისა სახელთა თანა და ბრუნვის მიღებისა მისისა, § 156;

5. ჴმარებისათჳს მიმიღეობისა(!) და ბრუნვის მიღებისა მისისა, § 177;

6. შეთხზჳსათჳს თანდებულისა და ბრუნვის მიღებისა მისისა, § 178.

7. შეთხზჳსათჳს ზმნისზედისა, § 182;

8. ჴმარებისათჳს კავშირისა, § 185;

9. შეთხზჳსათჳს შორისდებულისა, § 194;

დამეტება და ნიშანთათჳს მართლწერისათა

1. ჴმარებისათჳს ტრიქონთშინათა ნიშანთასა, § 195;

2. ჴმარებისათჳს ტრიქონთ ზენათა ნიშანთასა, § 205.

ეროვნული ბიბლიოთეკა

